

Կարգ

8

1971



ბორის ქეილაძე

მხატვარი ლიმიტრი ერისთავი

საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატი

სესია

171

გამომცემის მეთხუთმეტი წელი

8

აპრილი

1971

თბილისი



საქ. კვ. ც.-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო



ზინეარსი

— 70 —

3. ნუზარ ფოფხაძე. ბორის ძნელად
8. ნოდარ დუმბაძე. სამოცდაათი წლის ვაჟები
9. ელდარ უნაგუაძე. მისი სიტყვებზე მბაღალითი
9. ნოდარ წულუისკირი. რევოლუციის რაინდი
10. რეზო ამილახვანი. სახელი — დროსა!..
11. ნაზი კილაშვილი. მარად ახალგაზრდა გვამლო-
დი. ბანა ზღაპარია. ლექსები

კოეზია

61. მადია კახიძე. ლექსები
72. მარი აბრამიშვილი. ლექსები
79. გურამ კლდიაშვილი. ლექსები

კოეზია

13. თეიმურაზ მაღლაფერიძე. წყურვილი. რომანი. გა-
გრძელება
62. ზესარიონ ჯორჯიანი. ჩემი სოფლის სურათები.
მოთხრობა
74. ზურაბ რცხილაძე. ნარდი. მოთხრობა
77. მისივე გოგონა. გზა სარკვეში. მოთხრობა

მეგობრები

81. ირაკლი უგულავა. ათასი ამბავი

ნარკვევი

90. ჯემალ მთავროშვილი. მისამართი: ნოდარ ველი

ახალი თარგმანები

96. რობერტ ბერნსი. მხიარული მათხოვრები. თარგმ-
ნა მურმან ლებანიძემ
104. ჰომეროსი. ოდისეა. გაგრძელება. ძველბერძნულიდან
თარგმნეს ზურაბ კიქნაძემ, თამაზ ჩხენკელმა

წერილები

118. ლეონარდო ჯულაბაშვილი. საპარტიო-სოციალური
ნიგულენი
122. ზურაბ ჩხეიძე. „გულდენროკები“ პარტიულად
128. მთავრან მუშაშვიანი. ილია ოქრომთავროშვი-
ლის მოსაზრებებზე
132. რეზო თვალიანი. არმოცნობილი და რუსთაველი
- ჩხეიძე კალენდარი
150. ვასტონ ბუაჩიძე. მარად პრესტი ელისეს მინდვ-
რებზე
159. ყოველი მხრიდან

მთავარი რედაქტორი
ჯანსუღ ნარკვევი

სარედაქციო კოლეგია:

გურამ ასათიანი,
პაპი ბაქრაძე,
გივი გვიგინაძე,
გურამ გვიგინაძე,
მარამ ელიშვიტი,
ქარლო კალაძე,
კონსტანტინე
ლორთქიფანიძე,
ოტია პაპორია
(მასუხისმგებელი მდივანი),
ნუზარ ფოფხაძე,
ნოდარ წულუისკირი,
ტარიელ შანთურია,
სერგი შილაძე,
თამაზ შილაძე,
ლუბა ჯანაშია.

ნუგზარ ჯოჯაძე

საქართველოს კომკავშირის ცენტრალური
კომიტეტის მდივანი

ბორის ძნელაძე

საქართველოს კომკავშირთან დაკავშირებულია უამრავი ფაქტი და სახელი, რომელთა გარეშეც, საერთოდ, წარმოუდგენელია ქართველი ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ნახევარსაუკუნოვანი ისტორია.

ძნელია ერთბაშად ჩამოთვალოს საქართველოს კომკავშირის სასახელო საქმეები. ძნელზე უძნელესია დასახელო ყველა ის, ვინც თავისი სისხლითა და ოფლით, ერთგულებით, სწრაფვით, ენერჯით ჰქმნიდა ყოველივეს. ძნელია იმტომ, რომ ისინი ბევრნი იყვნენ, საოცრად ბევრნი. თვითეული მათგანი იმსახურებს იმას, რომ კეთილი სიტყვით, მოწიწებით, სიყვარულით ვილაპარაკოთ მათზე. მაგრამ არიან კიდევ რჩეულები, რჩეულთა შორის რჩეულები, ისინი, ვისი მართო სახელისა და გვირის ხსენებაც მღელვარებას მოჰგვირის ადამიანს.

მათ შორის უპირველესია ბორის ძნელაძე. ბორისის მამის, დავით ძნელაძის ოჯახი მრავალრიცხოვანი იყო. თავდაპირველად იგი ოზურგეთის მაზრის (ჩოხატაურის რაიონი) სოფელ ბურნათში ცხოვრობდა, ხოლო შემდეგ ხაშურში გადავიდა. აქ ოჯახმა დიდი ტრაგედია გადაიტანა. ზედიზედ გარდაიცვალა ოჯახის შვიდი წევრი და დავით ძნელაძემ, ბორისის დაბადებამდე რამდენიმე წლით ადრე, საცხოვრებლად გორს მიაშურა. სწორედ გორში, 1901 წლის 23 აგვისტოს დაიბადა ბორის ძნელაძე.

1905 წლის დამდეგს დავით ძნელაძის ოჯახი საცხოვრებლად კვლავ ხაშურს დაბრუნდა და ბორისმაც თავის ბავშვობის ხუთი წელი აქ გაატარა. 1908 წელს იგი სასწავლებლად შეიყვანეს ხაშურის ახლად გახსნილ პროგიმნაზიაში, სადაც თავი გამოიჩინა, როგორც ერთ-ერთმა უნიჭიერესმა მოსწავლემ.

დელ-მამის ადრე გარდაცვალებისა და მძიმე ეკონომიური მდგომარეობის გამო ბორისმა

გიმნაზიის დამთავრება ვერ შეძლო. ობლად დარჩენილი ბავშვი ნათესავეებმა კვლავ გურიაში, სოფ. ბურნათში წაიყვანეს.

ბორისის უფროსი ძმა ვარლამი ბოლშევიკური პარტიის წევრი იყო 1903 წლიდან. იგი ადრე ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში და უმცროს ძმასაც არსებული წყობილებისადმი შეუთრეგებელი ბრძოლის სულისკვეთებით ზრდიდა. მან 1916 წლის დამდეგს ბორისი სწავლის გასაგრძელებლად თბილისში ჩამოიყვანა. აქ მან ბრწყინვალედ ჩააბარა მისაღები გამოცდები ვინოგრადოვის ტექნიკურ სასწავლებელში, მაგრამ უსახსრობის გამო მალე იძულებული გახდა სწავლისთვის თავი დაენებებინა.

1916 წლის მაისში ბორისმა კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველს მიმართა თხოვნით, რათა მიეღოთ სამხედრო სასწავლებელში შემსვლელთა მოსამზადებელ სკოლაში. იგი წერდა: „ვინაიდან ვარ გასაწვევი ასაკისა... და არა მაქვს სახსარი, რომ მოვემზადო სამხედრო სასწავლებელში შესასვლელად, გთხოვთ... მიმიღოთ უფასოდ სამხედრო სასწავლებელში შემსვლელთა მოსამზადებელ სკოლაში“. ამ ახოვნაზზე „მზრუნველმა“ უარი უთხრა და ბორისს ისლა დარჩენოდა, გულმოდგინედ ემუშავა თავის თავზე და ამ გზით შეეძინა ცოდნა.

ბორისი უკვე საკმაოდ ერკვევა იმდროინდელ პოლიტიკურ და სოციალურ სიტუაციაში. ზისში თანდათან გამოიმუშავდა მტრული დამოკიდებულება არსებული წყობილებისადმი და თავიდანვე მტკიცედ დადგა ბოლშევიკური პარტიის ბოზიციებზე. 1917 წლის თებერვლის რევოლუციამ საბოლოოდ განსაზღვრა 16 წლის კაბუტი რევოლუციონერის ცხოვრებას ჯზა. მალე ბორისი ბოლშევიკური პარტიის რიგებში მიიღეს და ისიც მთელი არსებით ჩაება პოლიტიკურ მოძრაობაში.



ამ პერიოდში ბორისმა ცოტა ხანი ვაქტარია სოფელ ბურნათში. სოფელში ყოფნის დროს მან თანამშრომლობა დაიწყო ბოლშევიკური პარტიის თბილისის კომიტეტის ვაჟეთ „ბრძოლაში“, სადაც „პატარა ტექნიკოსის“ უსუკულონიმით ათავსებს უღირსად კრიტიკული ზასიათის წერალებს ადგილობრივი მენშევიკური ორგანიზაციების შესახებ. ამან იმდენად აღაშფოთა მენშევიკები, რომ მათ ბორისი სამედიატორო სასამართლოში გამოიწვიეს.

თბილისში დაბრუნებისთანავე იგი უკავშირდება პირველი რაიონის (ნაძალადევის) რევოლუციურად განწყობილ მუშა-ახალგაზრდობას და ეწევა პრაქტიკულ-რევოლუციურ მუშაობას. ბორისის ვარშემო შემოკრება იწყებს რევოლუციური ახალგაზრდობის საუკეთესო წარმომადგენლებმა.

ეს ის პერიოდი იყო, როცა საქართველოში გადაიდგა პრაქტიკული ნაბიჯი პარტიის მეექვსე ყრილობის რეზოლუციის „ახალგაზრდობის კავშირების შესახებ“ ცხოვრებაში კანონიერებისათვის. პარტიის თბილისის კომიტეტის უშუალო მითითებით და ხელმძღვანელობით შეიქმნა ე. წ. „საინიციატივო ჯგუფი“, რომლის შემადგენლობაში სხვებთან ერთად შევიდა ბორის ძნელაძე. ამ ჯგუფს დაევა თბილისის რევოლუციურად განწყობილი ახალგაზრდობის საერთო კრების მოწვევა და ორგანიზაციულად გაფორმება.

„საინიციატივო ჯგუფმა“ ვაჟეთ „კაკასკი რაზონის“ 1917 წლის 2 სექტემბრის ნომერში გამოაქვეყნა ასეთი განცხადება: „კვირას, 3 სექტემბერს, დილის 10 საათზე, ავლაბრის საზამთრო კლუბის შენობაში (კახეთის მივდანი № 1), შედგება დამფუძნებელი კრება ახალგაზრდა სოციალისტ-ინტერნაციონალისტების — „სპარტაკის“ ორგანიზაციისა. მოწვეულია მთელი მუშური და ინტელიგენტური ახალგაზრდობა, რომელიც დაინტერესებულია ასეთი ორგანიზაციის შექმნით.“

3 სექტემბრის კრებას დაესწრნენ ახალგაზრდა მუშები, მოსწავლეები, სტუდენტები და მოსწავლე-ახალგაზრდობა, სულ 200-მდე კაცი. კრებამ მიიღო დადგენილება, რომლის თანახმად ახალგაზრდობის ორგანიზაციას ეწოდა ახალგაზრდა სოციალისტ-ინტერნაციონალისტთა ორგანიზაცია „სპარტაკი“.

„საინიციატივო ჯგუფის“ მუშაობაში განსაკუთრებით აქტიური როლი ითამაშა ბორის ძნელაძემ.

„სპარტაკის“ დამფუძნებელმა კრებამ დასაბამი მისცა საქართველოს ახალგაზრდობის რევოლუციურ ორგანიზაციებში მუშაობის სათანადოდ ვაშლას. მინიშნულოვან წარმატებებს მიიღწიეს „სპარტაკის“ ნაძალადევისა და ავლაბრის დროებითა კომიტეტებმა. ნაძალადეგში „სპარტაკის“ ორგანიზაცია შეიქმნა 1917 წლის 20 ნოემბერს რევოლუციურად განწყობილი

მუშა-ახალგაზრდობის კრებაზე, სადაც ეწვეოდა ეს რაიონული კომიტეტი ბ. ძნელაძის, ნილისა და ა. ამირბეგოვის შემადგენლობით.

პარტიის თბილისის კომიტეტის მითითებით და „სპარტაკის“ ნაძალადევის კომიტეტის ხელმძღვანელობით თბილისში შეიქმნა „სპარტაკის“ ახალი ორგანიზაციები, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ რევოლუციურ მუშაობაში.

„სპარტაკის“ ორგანიზაციების შექმნაში უაღრესად დიდი წვლილი მიუძღვის ბორის ძნელაძეს. ფაქტიურად, „სპარტაკის“ ნაძალადევის რაიონული კომიტეტი ასრულებდა „სპარტაკის“ თბილისის ორგანიზაციების ხელმძღვანელობის როლს.

„სპარტაკის“ ორგანიზაცია, უპირველესად ყოვლისა, მიზნად ისახავდა მშრომელი ახალგაზრდობის კომუნისტური სტრუქტურებით აღზრდას და მათ ორგანიზაციულ გაერთიანებას. შემდგომ ბორისი თავის მოვლენებებში წერდა: „მან ჩვენს ორგანიზაციას ერქვა ახალგაზრდა სოციალისტ-ინტერნაციონალისტები — „სპარტაკი“. კავშირი შემდეგნაირად გვემონდა წარმოდგენილი: მას მშრომელი ახალგაზრდობა უნდა აღეზარა და წმინდა კომუნისტური სტრუქტურებით“.

ამ დღიდან არ არსებობს ბორის ძნელაძის პირადი, პერსონალური ბიოგრაფია. ამ დღიდან არსებობს ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ისტორია, რომლის განუყოფელი ნაწილია ერთ-ერთი შესანიშნავი ხელმძღვანელი, თავდადებული მეზრძოლის ბორის ძნელაძის ბიოგრაფია. ბორისისათვის არ არსებობდა სხვა საზრუნავი, სხვა ფიქრი, თუ არა ახალგაზრდობის კავშირის წინსვლა, განმტკიცება, რევოლუციური მუშაობა.

ვაჟეთ „სპარტაკის“ 1923 წლის 14 ოქტომბრის ნომერში „სპარტაკის“ თბილისის ორგანიზაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელის ზაქარია რაზინივიჩი ბორისის შესახებ წერდა: „მას დაბადებიდანვე თითქოს თან დაჰყვა რევოლუციური სულისკვთება, ალღო აუღო რა რევოლუციურ მოძრაობას, მტკიცედ ჩაღმა მოწინავე მეზრძოლთა რიგებში... იყო შემთხვევები, როცა ჩვენ რაიმე საკითხის გამო ხანგრძლივი კამათი გვექონდა, მაგრამ დაიწყებდა თუ არა ბორისი ლაპარაკს, ყველაფერი უტებ ირკვეოდა, ბურჟოი იფანტებოდა. ყოველ ჩვენთანაჲს ჰქონდა პატარა პირადი საქმე. ბორისს ასეთი რამ დავიწყებული ჰქონდა. მან მთელი თავისი ენერგია და სიცოცხლე კომუნისტურ მოძრაობას შესწირა. იგი ყოველთვის პირველი იყო. მან შეიტანა ჩვენს რიგებში ნათელი კლასობრივი გარკვეულობა. იგი მოვიდა ჩვენთან თავისი ორგანიზატორული ნიჭით, ნათელი, კონკრეტული, სპეციაკ რევოლუციონერად“.

1918 წლის დასაწყისში ბორისი პარტახტაინი ტიფთი გახდა ავად. გამოჯანრთელდა თუ



არა, ახლა ტიფთი ავად გაუხდა ძმა, რომელიც მალე გარდაიცვალა. უსახლკაროდ, მარტოდ დარჩენილ ბორისს ბინა დააცვინეს, და ისიც იძულებული გახდა ბნელი, ნესტიანი სარდაფისათვის შეეფარებინა თავი. ყოველივე ეს მკვეთრად მოქმედებს მის ჯანმრთელობაზე. ამის მიუხედავად, იგი ენერჯის დაუზოგავად მუშაობს, იჩენს გამბედაობას, მახვილგონიერებას.

სპარტაკელები, ბორისის მეთაურობით, უაღრესად აქტიურად მონაწილეობენ ბოლშევიკების ინიციატივით ჩატარებულ ღონისძიებებში.

განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა „სპარტაკი“ ლექციურ პროპაგანდას. ახალგაზრდობისათვის სისტემატურად ეწყობოდა ლექციები, მიხსენებები, დისპუტები სხვადასხვა აქტუალურ პოლიტიკურ თემებზე. ამ მხრივ საინტერესოა ერთ-ერთი საჯარო ლექცია, რომელიც ბორისის ინიციატივით „სპარტაკის“ ნაძალადევის რაიონულმა კომიტეტმა მოაწყო ძველი ციხის შენობაში. ლექციით უნდა გამოსულიყო მიხა ცხაკაია. მოხსენების თემა იყო „დიდი ოქტომბრის რევოლუციის შედეგები და პერსპექტივები“. ამ ლექციაზე მოწვეული იყვნენ მენშევიკური მთავრობის ლიდერები ნ. ჟორდანიას და ი. წერეთელი. ამ მოწვევებისთანავე დაკავშირებით მიხა ცხაკაია შემდგომ წერდა: „ბორია შემოვიდა ჩემთან სიცილით და მეუბნება: იცი, მიხა, რა „პოდლეცობა“ ჩავდინე ახლა!...“

— რა-მეთქი.

— ვიყავი და ვნახე ნოე ჟორდანიას პირად და ირაკლი წერეთელიც. მათ ვუთხარი: აი, ჩვენ გვინდა ქუშმარტება ვავიგოთ, ამიტომ ვმართავთ „ცხაკაიას მოხსენებას“, — მობრძანდით და უპასუხეთ... მათ გაუკვირდა.

— განა თქვენ უკვე არა ხართ ვარკვეული და მისი მომხრეო, ე. ი. ბოლშევიკ-კომუნისტიო. მე ვუპასუხე, — ჯერ არაო. ჟორდანიას ძლიერ გაეხარდა, დამირდა, უემქელად ან მე მოვლ ან პასუხისმგებელ ამხანაგს გამოვაგზავნიო. ირაკლი წერეთელმა კი ზრდილობიანად მიმიღო, მარა „ყური ჩამოუშვა“, იბოდიშა, რომ ის მიდიოდა იმ დღევე თბილისიდან სოხუმში, თუ არა დიდის მკაცრი იტვირთებით დაესწრებოდა მიხას მოხსენებას...“

ჟორდანიას ამ ლექციას არ დასწრებია, სამაგიეროდ მისი განკარგულებით საგანგებო რაზმულემა თავდასხმა მოაწყვეს ციხის შენობაზე და ჩაშალეს ლექცია.

ამ საჯარო ლექციის შესახებ მიხა ცხაკაია შემდეგ წერდა: „ბორისი და მისი ახლობელი ამხანაგები ცდილობდნენ „ლიგალიზმი“ მენშევიკების მთავრობისა გამოეყენებინათ მაქსიმალურად... და დაიწყეს გამართვა ერთი მრავალთაგანი ჩემი საჯარო მოხსენებისა (ლექციისა) დიდ ცირკში, ვერის ხიდთან... თითქმის

ორ კვირას აცხადებდნენ გაზეთებში ამაზე... და იწვევდნენ ყველა პარტიას გეგზავნით სადისკუსიოდ თავიანთი პასუხისმგებელი მუშაკები... კიდევ შედგა ლექცია... სხვა პარტიებიდან და ჯგუფებიდან ყველანი იყვნენ და ცირკი საესე იყო ხალხით... მართალია, ლექცია ნახევარზე შევიწყვიტეს, ჯარის შემწეობით გარეკეს, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, ვფიქრობ და ავტიატია დიდი იყო. ბორიამ და მისმა მეგობრებმა მიაღწიეს მიზანს...“

თუ კი აქამდე მენშევიკური მთავრობა ცდილობდა არ შეემჩნია სპარტაკელთა საქმიანობა, ახლა იგი იძულებული შეიქნა რუპრესიებისათვის მიემართა. „სპარტაკი“ არალეგარულ მდგომარეობაზე გადავიდა და სწორედ აქ გამოვილინა ბორისის, როგორც პროფესიული რევოლუციონერის ნიჭი.

„ეს საკვირველი ახალგაზრდა, — წერდა მიხა ცხაკაია 1918 წელს, — ჩემს თვალწინ ისე გაიხარდა, ისე დავეჟაცა, რომ ყოველგვარ ორგანიზაციულ-პოლიტიკურ ღონისძიებებში ჩვენი არალეგალური მუშაობისა, რომელიც ისიც იყო დაეიწყეთ, იგი ერკვეოდა საოცრად სწრაფად და იმსახურებდა ისეთივე ნდობას, როგორც მრავალწლიან მუშაობაში გამოწრთობილი მეტროლი“.

რევოლუციური მუშაობისათვის ბორისი არა ერთხელ დაუპატიმრებია საგანგებო რაზმს. მაგრამ ამან კიდევ უფრო გამოაწრათ იგი.

1919 წლის დასაწყისში „სპარტაკის“ ორგანიზაციაში შექმნილი იყო ქალაქის ითხივე რაიონში. მდგომარეობა ითხივად საერთო — საქალაქო კონფერენციის მოწვევას. ეს კონფერენცია გაიხსნა 1919 წლის 31 მარტს. მის მუშაობაში განსაკუთრებული აქტიური მონაწილეობა მიიღო ბორისი ძნელაქემი. იგი არჩეული იქნა საქმიანი პრეზიდიუმის შემადგენლობაში. როგორც საწესდებო კომისიის წევრმა, უშუალო მონაწილეობა მიიღო „სპარტაკის“ წესდების შემუშავებაში. კონფერენციამ ბორისი „სპარტაკის“ თბილისის კომიტეტის წევრად აირჩია.

კონფერენციის შემდეგ ბორისი გაემგზავრა გურიაში, სადაც დახმარება გაუწია რევოლუციურ ახალგაზრდობას „სპარტაკის“ ორგანიზაციების შექმნასა და განმტკიცებაში. შემდეგ კვლავ თბილისშია და მუშაობს ახლად შექმნილი „სპარტაკის“ ამიერკავკასიის დროებითი ცენტრალურ კომიტეტში, როგორც მისი ერთ-ერთი ხელმძღვანელი. ბორისმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციის გაერთიანებისა და ახალგაზრდობის პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით აღზრდის საქმეში. 1919 წლის სექტემბერში გაიმართა ამიერკავკასიის კომუ-

ნუგზარ ფოფხაძე

ბორის ძნელაქემი



ნისტური ახალგაზრდობის პირველი საოლქო კონფერენცია; რომლის გახსნის დღესაც ბორის ძნელაძე გამოვიდა მოხსენებით „სპარტაკის“ ამიერკავკასიის დროებითი ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ. ამ კონფერენციაზე ამიერკავკასიის ახალგაზრდობის კომუნისტური ორგანიზაციები გაერთიანდა და „რუსეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ამიერკავკასიის ორგანიზაცია“ დაერქვა. კონფერენციამ ბორის საოლქო კომიტეტის წევრად აირჩია.

ბაქოდან დაბრუნების შემდეგ კომკავშირელები ვაცხოველებით ემზადებიან მენშევიკური შთაბრძნის წინააღმდეგ შეიარაღებულ აჯანყებისათვის. ბორის დაუღალავად მუშაობს თბილისში, ქუთაისში, ლანჩხუთში, ჩოხატაურში. აჯანყების მთავარი შტაბის დაპატიმრების გამო შეიარაღებული გამოსვლა გადაიდო. მაგრამ მთელ რიგ რაიონებში ამის შესახებ გაფრთხილება ვერ მოასწრეს და აჯანყება დაიწყო. მენშევიკურმა მთავრობამ სისსეში ჩახაჩო საქართველოს მშრომელთა შეიარაღებული გამოსვლა. დაპატიმრებულ იქნა პარტიისა და კომკავშირის ხელმძღვანელი ცენტრების თითქმის მთელი შემადგენლობა, მათ შორის ბორის ძნელაძეც.

1920 წლის იანვარში ბორისმა საბატმიროს თავი დააღწია და ახალი ძალით ჩაება რევოლუციურ საქმიანობაში. პარტიის დავლებით იგი მიემგზავრება ბაქოში. თბილისში დაბრუნებისას ბორისი დააპატიმრეს და კვლავ ბაქოში გაასახლეს. თებერვალში „დობრომობიური შვირის“ თავად ეფრემოვის პასპორტით იგი თბილისში ბრუნდება და მთელი არსებით განაგრძობს საქმიანობას. 1920 წლის 19 თებერვალს ბორისი კვლავ დააპატიმრეს და ჩასვეს მეტეხის ციხეში, როგორც „გადასახლებიდან თვითნებურად დაბრუნებული“. აპრილის ბოლოს, სხვა პოლიტიკურ პატიმრებთან ერთად, იგი ვაძმოყვანეს ქუთაისის ციხეში, საიდანაც 7 მაისს რათავისუფლეს იმ ხელშეკრულებით ძალით, რომელიც საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს მენშევიკურ მთავრობას შორის დიდო. ბორისი კვლავ აქტიურად ჩაება კომკავშირულ საქმიანობაში.

1920 წლის 22 მაისს რუსეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის მითითებით გაუქმდა კომკავშირის ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტი. იმავე დღეს საქართველოს კომპარტიის დროებითი ცენტრალური კომიტეტის მითითებით გაფორმდა საქართველოს ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირი.

საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენელთა თათბირზე ბორისი კვლავ აირჩიეს ცენტრალური კომიტეტის წევრად და III კომუნისტური ინტერნაციონალის II კონგრესის დელეგატად. კონგრესზე მიმავა-

ლი ბორის ძნელაძე ვლადიკავკაზში შეხვდა სერგო ორჯონიკიძესა და სამხა გეგეჭკორს. ორჯონიკიძის მითითებით, ბორისი მოსკოვში აღარ ემგზავრა და თბილისში დაბრუნდა, რათა ხელმძღვანელობა გაეწია საქართველოს კომკავშირის ყრილობის მოსაწყობად გაშლილი მოსამზადებელი მუშაობისათვის.

1920 წლის 25 აგვისტოს ბ. ძნელაძემ გახსნა საქართველოს კომკავშირის I „ლევალური“ ყრილობა. იმის გამო, რომ ყრილობას ესწრებოდნენ საგანგებო რაზმის წარმომადგენლები, ბორისმა თქვა: „ჩვენ დღეს გვიხდება ყრილობის გახსნა, იმ საქართველოში, სადაც მშრომელი ხალხი და მშრომელი ახალგაზრდობა იმყოფება ოპორტუნისტული მენშევიკური ეანდარმერის ბრტყალებში. დღეს ჩვენ აქ თავს დაგვტრიალებს კელია-დაჩულის „ოხრანა“, მაგრამ სულ მალე მოვა დრო, როდესაც ჩვენ ნამდვილ ლევალურ ყრილობას გახსნით, იქ, სადაც ზეიმობს დღეს მენშევიკების დამფუძნებელი კრება“.

მენშევიკურმა მთავრობამ ყრილობა დაარბია და გარეკა. დღევანდებმა მანქნ მოახერხეს არჩევა კომკავშირის ცენტრალური კომიტეტისა, რომლის შემადგენლობაში, სხვებთან ერთად, შევიდა ბორის ძნელაძე. ყრილობის გარეკვის შემდეგ შედგა ცენტრალური კომიტეტის სხდომა, რომელსაც თავს დაესხა საგანგებო რაზმი. დააპატიმრეს რამდენიმე ხელმძღვანელი მუშაკი, მათ შორის ბორის ძნელაძე, რომელიც მეორე დღეს ბაქოში გაასახლეს.

ბაქოში იგი მრავალმხრივ საქმიანობას ეწევა. მუშაობს ქალაქის კომკავშირის რაიონის მდინად, აღმოსავლეთის ქვეყნების ახალგაზრდობის მოქმედი საბჭოს, ხოლო შემდეგ მისი პრეზიდიუმის წევრად.

ბორის ძნელაძე მონაწილეობდა რუსეთის კომკავშირის მესამე ყრილობის მუშაობაში, როგორც საქართველოს კომკავშირის წარმომადგენელი. ამ ყრილობაზე, როგორც ცნობილია, სიტყვით გამოვიდა ე. ო. ლენინი. იმავე საღამოს საქართველოს კომკავშირის სახელით ყრილობას მიესალმა ბორის ძნელაძე. სიტყვის დასასრულს მან თქვა: „მე მყოფნის გამბედაობა, საქართველოს კომკავშირის სახელით ვანვაცხადო, რომ უახლოეს მომავალში დღევანდელი საწყობი კონტრარეული კომკავშირული აღარ იქნება და მალე შეიქმნება წითელი მუშურ-გლეხური საბჭოთა საქართველო“.

1920 წლის 20 ნოემბერს საქართველოს კომკავშირის II ყრილობამ ბორისი დაუსწრებლად აირჩია ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში. 1921 წლის თებერვალში, როდესაც საქართველოში შეიარაღებულ აჯანყება დაიწყო, ბორისი ბაქოს ქვეითი კურსანტების რაზმს ჩაუდგა სათავეში და კოჭრის მიდამოებში მენშევიკებთან შეიარაღებულ შეტაკებაში მიიღო მონაწილეობა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ბორისი ჭერ კომკავშირის თბილისის კომიტეტის მდივანი, შემდეგ კი პარტიის თბილისის II რაიონული კომიტეტის მდივანი.

1921 წლის 20 აპრილს საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის გაფართოებულმა პლენუმმა იგი ცენტრალური კომიტეტის მდივანად აირჩია. 21 აპრილს იგი შეყვანილ იქნა კომკავშირის კავკასიის ბიუროს დროებითი პრეზიდიუმის შემადგენლობაში.

1921 წლის დეკემბერში ბორისი გადაყვანილ იქნა პარტიის ლუშეთის სამაზრო კომიტეტის მდივანად, ხოლო ორი თვის შემდეგ დაინიშნა წითელი არმიის მეთაურთა მოსამზადებელი ქართული სკოლის პოლიტკომისრად.

აფასებდა რა ბ. ძენლაძის მოღვაწეობას სამხედრო კომისრის თანამდებობაზე, ვაზეთი „წითელარმიელი“ წერდა: „ბ. ძენლაძემ... დიდი ენერჯითა და თავგამოდებით მოკვიდა ხელი ამ საქმეს. იგი ფარვანასავე თავს დასტრიალებდა სკოლას და მთელი ძალ-ღონით ცდილობდა წითელი არმიისათვის შესავადების ხელმძღვანელები აღეზარდა. იგი ერთ-ერთი საუკეთესო პოლიტმუშაკი იყო ქართულ წითელ ჯარში“.

წითელი არმიის ერთ-ერთი გამოჩენილი მეთაური და სამხედრო მოღვაწე თედორე (სოსო) ბუაჩიძე კი ბორის ძენლაძის შესახებ შემდეგს ამბობდა: „ბორისმა დიდი როლი შეასრულა სკოლის მუშაობაში, მხოლოდ მას უნდა ვუმაღლოდეთ, რომ კურსანტების პირველმა გამოშვებამ ქართულ დივიზიას კომუნისტურად აღზარდული მეთაურები მისცა“.

1922 წლის ზაფხულში ბორისი ავად გახდა, წარსულში ცხოვრების მიმე პირობებმა, მენსევიკური მთავრობის მიერ სისტემატურმა დევნამ, დაბატონება-გადასახლება შეარყია მისი ჯანმრთელობა. იგი ტუბერკულოზით დაავადდა და რამდენიმე თვე მკურნალობაში გაატარა.

მომგობინდა თუ არა, ბორისი კვლავ მწყობრში ჩადგა და ჩვეულებისამებრ განაგრძო მუშაობა. ამ პერიოდში საქართველოს ზოგიერთ რაიონში ადგილი ჰქონდა შეიარაღებულ ბანდიტურ გამოსვლებს. პარტია ბანდიტების წინააღმდეგ საბრძოლველად ქართული ჯარის ნაწილებთან ერთად მეთაურთა სკოლის კურსანტებსაც გზავნიდა. ბორის ძენლაძე, მიუხედავად შერყეული ჯანმრთელობისა, სათავეში უღვას კურსანტების რაზმს და ხეცსურეთისა და გუ-

რიაში იარაღით ხელში იბრძვის კონტრრევოლუციური გამოსვლების წინააღმდეგ.

ამ ლაშქრობის დროს ბორისი გაცივდა და ავადმყოფობა კვლავ გაართულა. იგი სასწრაფოდ გადაიყვანეს ჭერ ბორჯომში და შემდეგ აბასთუმანში. პარტია და კომკავშირი შეუხელებელ მზრუნველობას იჩენდა მის მიმართ. მიუხედავად მიმე მდგომარეობისა, ბორისმა გადაწყვიტა მონაწილეობა მთელი საქართველოს კომკავშირის მე-6 ყრილობის მუშაობაში, რომელიც 16 სექტემბერს გაიხსნა. იგი თბილისში ჩამოიყვანეს 17 სექტემბერს, მაგრამ მისი მდგომარეობა უეცრად გაუარესდა და ყრილობაზე დასწრება ვერ შეძლო. მიუხედავად ამისა, დღეგატემა იგი ყრილობის საპატიო თავმჯდომარედ აირჩიეს.

ავადმყოფი ბორისი სასწრაფოდ აბასთუმანში დააბრუნეს. 1923 წლის 5 ოქტომბერს იგი გარდაიცვალა.


ბორისის გარდაცვალებას უდიდესი მწუხარებით შეხვდნენ საქართველოს მშრომელები, მთელი ახალგაზრდობა.

ვაზეთმა „კომუნისტმა“ გამოაქვეყნა საქართველოს კ(ბ) ცენტრალური კომიტეტის სამგლოვიარო განცხადება, სადაც აღნიშნული იყო: „საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მწუხარებით აღუყებს ამხანაგებს ახალგაზრდობის კომკავშირის დამაარსებლისა და პარტიის ძველი თავდადებული მებრძოლის ამხ. ბორის ძენლაძის უდროოდ დაკარგვას“. ასეთივე განცხადებები გამოაქვეყნეს სხვა პარტიულმა და კომკავშირულმა ორგანოებმა.

დასაფლავების წინა დღეს რუსთაველის თეატრში ჩატარდა ბორისის გარდაცვალებისადმი მიძღვნილი სამგლოვიარო სხდომა, რომელზედაც სიტყვებით გამოვიდნენ მამია ორახეღავილი, სოსო ბუაჩიძე, ბესო ლომინაძე, ი. რუბტეკი, დავით კაპარავა, ალექსანდრე ამირბეგოვი.

11 ოქტომბერს, დაკრძალვის დღეს, თბილისში 2 საათზე მუშაობა შეწყვიტა ქალაქის ყველა საწარმოო-დაწესებულებამ და სამხედრო ნაწილებმა, კომუნარების ბაღში დაკრძალვისას გამართულ მტინგზე სიტყვებით გამოვიდნენ სერგო ორგონიციძე, შალვა ელიავა და ზნე.

23 წლის უდროოდ გარდაცვლილ რევოლუციონერს თანამებრძოლები „კომკავშირის სინდისს“ უწოდებდნენ.





სამოცდაათი წლის ჰაუკი

ახლა შეიძლება ამის თქმა. 1944 წელს კომკავშირში რომ მიღებდნენ, არც კი ვიცოდი, რომ ბორის ძნელაძის მეზობელი ვიყავი და ჩოხატაურში ყოფნისას საივანობო მსხალიც მომიპარავს მის სოფელში. იგი კომკავშირის მანდატთან და ოსტროვსკის უკვდავ წიგნთან ერთად მოვიდა ჩემს ცხოვრებაში. მიუხედავად იმისა, რომ ნიკოლოზ ოსტროვსკის წიგნიდან ჩემი ტოლა, ხმელი, მახვილი სახის რუსი ბიჭი მიყურებდა, ბორისი, რატომღაც, ზუსტად ისეთი მეგონა, მასავით ჯმუხი, ჯიუტი, და შეუპოვარი. მერე როდესაც მისი დიდი სახელმწიფო საქმეები შევიტყვე, სულ სხვა-კაცად წარმომესახა — ბრგე, უზარმაზარ, მხარგაშლილ და წვეროსან კაცად, დაახლოებით ისეთად როგორც ციმბირის პაპა კალანდარიშვილი იყო.

ამ ორიოდე წლის წინ ბორისის სახლმუზეუმის გახსნას დავესწარი ჩოხატაურის რაიონში. ახლა უკვე ასაკში შესული მისი მეგობრები ათროთლებული ხმით, თვალზე ცრემლმომდგარნი ყვებოდნენ მისი დიდი საქმეების შესახებ, ყვებოდნენ მის დამწვარ და დაფერფლილ ჯანმრთელობაზე. ყვებოდნენ სიამაყის და ბედნიერების გრძნობით. რომ მისი პირველი კომკავშირული ორგანიზაციის წევრები იყვნენ.

მე ვუტყეოდი აივნიდან ეზოში მდგარ სულგანაბულ პიონერებსა და კომკავშირელებს. ვისმენდი მათ სიტყვებს, რომლებიც ფიცივით გაისმოდა გურული პატარა ოდის პატარა ეზოში და მჯეროდა, რომ ამ ახალგაზრდობის, ყველა ჩემი ტოლის საამაყო წინაპრის კვალზე უამრავი ბორისი, კორჩაგინი, მატროსოვი და ვაგარინი გაიზრდება, რომელიც თვალის დაუხამხამებლად დალევს სულს კომკავშირისათვის, პარტიისათვის და მამულისათვის. ეს არ არის ლიტონი სიტყვები, ამას მიხვდება ყველა, ვისაც იმ ახალგაზრდობის ანთებული თვალები უნახავს, ვინც მუხლმოდრეკილი შეხებია ბავით დროშის ფარჩას და ვისაც ქულმოხდილს მოუხმენია მამულის პიონი.

კომკავშირის ერთი რამ დიდებული სჭირს: იგი არ გადის ასაკთან ერთად, პირიქით, რაც დრო გადის, უფრო უახლოვდები მას. უფრო ვერ ელევი, მასთან ყოფნა გაახალგაზრდავებს, გახმნევებს და გულს გიხალისებს. ეს მე საკუთარ თავზე გამომიცდია და ახლა, როდესაც ასე ხშირად ვხვდები ბორისს კომკავშირის ცეკას შესასვლელსა და კომუნარების ბაღში უკვდავებადქცეულს ქანდაკებაში, ასეთ ახალგაზრდას, ლამაზს, ძლიერსა და მხნეს, სულ არ მივივრის, რომ თავი მისი თანამედროვე, მისი ტოლი და მეგობარი მეგონა.

კვლავ გავა სამოცდაათი წელი, კვლავ სამოცდაათი და, ალბათ მეტი, და იგი კვლავ ბევრს გაახსენებს თავის ახალგაზრდობას. კვლავ გაუძღვება წინ ისეთი ახალგაზრდა და ძლიერი, როგორც დგას კვარცხლბეკზე.

მისი სიბოძნე პეპალითია

კაცობრიობის ისტორიამ ბევრი როდი იცის შემთხვევა, როცა კაცი სრულიად ახალგაზრდა წასულა ამ ქვეყნიდან, თავისი ხალხის ცხოვრებაში კი საშვილიშვილო კვალი დაუტოვებია. ბორის ძნელაძე ერთი ასეთი ბედნიერი გამოჩაყლისია. მისი ბრძოლა, მისი ცხოვრება, მისი ფიქრი — მაგალითია. ამ მაგალითზე თაობები აღზრდილა: ისინიც, ვინც ამ მარად ჭაბუკი კაცის თანატოლები იყვნენ, და ისინიც, ვინც თუმცა გვიან გაჩნდა, მაგრამ თავისი ასაკით უკვე მამად ან უფროს ძმად შეეფერება ბორის ძნელაძეს. სისხლითაც და ხელოვნებითაც ჩემმა წინაპარმა ნიკოლოზ შენგელაიამ თავისი მხატვრული ტალანტის დიდი ნაწილი შეაღია რევოლუციური ქართველობის ეკრანზე გადატანას. მეცა მაქვს სურვილი, ეკრანზე გავაცოცხლო ახალგაზრდები, რომლებიც ცხოვრობდნენ მძიმე წლებში, იმ ძნელ დროს, როცა ასე იოლი იყო სიკვდილი და ასე ძნელი — სამშობლოს ღირსეული მომავლის გამოცნობა და მისთვის თავდადება. ეს საპატიო და მძიმე ამოცანაა, მაგრამ იგი უნდა შემიმსუბუქოს იმ ძვირფასი სახეების მოლანდებამ, ვისი რევოლუციური შემართებაც, ვისი სიწმინდეც, ვისი ნამუსიც, ვისი გამირობა და სამართლიანობაც დღემდე რჩება ნორმად და ნიმუშად. ამ სახეთა შორის ერთ-ერთი ყველაზე უფრო შთამაგონებელია ბორის ძნელაძე — კარგი ქართველი, კარგი კომუნისტი, კარგი ვაჟკაცი! სულითა და გულით მინდა, რომ ჩემი ეს დიდიხნის სურვილი ეკუთვნოდეს ჩემივე რეჟისორული გეგმების იმ ბედნიერ ნაწილს, რომელთაც განგებისა თუ გარემოებათა წყალობით, განხორციელება უწყრიათ!..

ნ ო ლ ა რ შ უ ლ ე ი ს კ ი რ ი

საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატი.

ჩეოლუციის ჩინილი

რევოლუცია და თავისუფლება ქართველი კაცისათვის ორი განუყოფელი ცნებაა, იქნებ ამიტომაც საქართველომ განსაკუთრებით განიცადა რევოლუცია, განსაკუთრებული მსხვერპლი გაიღო და განსაკუთრებული წვლილიც შეიტანა მის გამარჯვებაში.

რევოლუციისათვის თავგანწირული მებრძოლები რაინდებად დარჩნენ ადამიანთა მეხსიერებაში. ერთ-ერთი ასეთი რაინდი იყო ბორის ძნელაძე.

კითხვაზე, „განიცადეთ თუ არა რეპრესიები პარტიული მუშაობისათვის, როდის? როგორი?“ ბორის ძნელაძემ უპასუხა: „განვიცადე, 1919 წელს, აჯანყების დროს დამაპატიმრეს და ვიჯექი ოზურგეთის ციხეში... 1920 წლის დასაწყისში კვლავ დამაპატიმრეს და გადამასახლეს ბაქოში. ათი დღის შემდეგ ჩამოვედი არალეგალუ-

რად, ვმუშაობდი თბილისში, კვლავ დამაბატიმრეს და ჩამსვენ მეტეხის ციხეში, სადაც ვიჯექი ორ თვე ნახევარი, შემდეგ ვიჯექი ქუთაისის ციხეში, ლეგალიზაციის შემდეგ გამათავისუფლეს, მაგრამ ძალე დამაბატიმრეს და რესპუბლიკიდან გამასახლეს“.

გაოცებული მისა ცხაკაია წერდა: „ეს საკვირველი ახალგაზრდა 1918 წელს ჩემს თვალწინ ისე გაიფურჩქნა, ისე გაიზარდა და დავაქაცადა, რომ ყოველგვარ ორგანიზაციულ-პოლიტიკურ მაქინაციებში, ჩვენს მაშინ დაწყებულ არალეგარულ მუშაობაში გასაოცარი სისწრაფით ერკვეოდა და ყოველგვარი ნდობის ღირსი იყო, ვითარცა ბევრი წლების მუშაობაში გამოჭედული მეზობლი“.

საქართველო დიდი რევოლუციონერების სამშობლოა. დიდი რევოლუციონერების გვერდით ამ „საკვირველმა ახალგაზრდამ“ თავისი ადგილი იპოვა, თავისი წილი საქმე გააკეთა და 23 წლის ჭაბუკი იმ იმედით მოკვდა, რომ სამშობლოს თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის იბრძოდა.

რ ი ზ ო ა მ ა შ უ ჰ კ ი ლ ი

საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატი.

სახელი — ღრობა!..

გავა დრო და საქართველო კიდევ მრავალ სახელს დაიწერს გულზე.

დღეს მე ვეძახი სამოცდაათი წლის მეგობარს, კაცს, რომელსაც პირადად არ ვიცნობდი და რომელიც თანატოლივით მახლდა ჭირსა და ლხინში წლების მანძილზე.

დღეს მე ვეძახი კაცს წინამძღოლსა და ნამდვილ ქართველს, თაობათა ვაჟკაც მეთაურს... და მინდა ვუთხრა, ვით იხარა ხემ მსხმოიარემ, მშობელ მიწაზე, სადაც იგი ასე იღვწოდა. მინდა ვანახო მისი ლაშქარი, როგორ მომძლავრდა მედგარ მდინარედ, რომ მის ოცნებას სხივოსანი ადგას გვირგვინი. ბევრი სახელი გადაიქცა დროშად, სიმღერად, ბევრი დაეცა ჭრაც ბავშვი მომავლისათვის. ეს დღე აქამდე თაობებმა ჩარხეს და ზიდეს, ოფლით და სისხლით, სიყვარულით, შურისძიებით.

მე დღეს ვეძახი კაცს, რომელსაც არ დასცალდა გულის სიმღერა, ვინც დავეიტოვა სანთელივით სინდის-ნამუსი და მოკვდა რწმენით, უმტკიცესი ძლიერი რწმენით.

დღევანდელი დღე, ლანგრით მორთმეული შაქარყინული ნურვის გონია, რადგანაც იგი ათასობით სიცოცხლედ ფასობს... და დრო ხმამალა იმეორებს უკვე სახელებს, ისე ვით ლოცვას და სიმღერას სამარადისოს.

შეხედეთ ახლა ამ ბრიალა გოგონებს, ბიჭებს, და დროის სახე, აღმავლობა მათში იხილეთ.

საქართველოში სანამ ივლის ბიჭი და გოგო, სანამ სიყვარულს მიუძღვნიან ლექსს და სიმღერას, ის ჩვენთან ივლის და ცოცხალივით შეაშველებს თავის ძლიერ ხელს ახალ-ახალი თაობების გმირულ საქმეებს.

მარად ახალგაზრდა გვეოლოდი

„რატომ მოხდა ასე?“ — იკითხა ბორის ძნელადემ
სიკვდილის წუთებში.

ამბობენ: დარახტული ცხენით მიგაცილეს
და უკანასკნელ სანგარში ცრემლით მიგაწვინეს,
ბორის.

ამბობენ: იყავი ფიცხი და იყავი მაღალი,
მაგრამ, რაც მთავარია — იყავი ახალი,
ბორის!

შენთვის უცხო არ იყო ბრძოლა და ტკივილი,
მაგრამ ლექსებზეც შეგეძლო ტირილი,
ბორის!

მას, ვისაც მტრად თვლიდი, მოკლავდი სიცივით,
მაგრამ ბავშვივით გიყვარდა სიცილიც,
ბორის!

და როცა წაგაქცევდა სიცხე და ბურანი,
ბიჭივით გენატრებოდა ცეცხლი და ქურანი,
ბორის!

მას შემდეგ, წლები მიდიან... ვკითხულობ წუხილით სახეს:

მაინც როგორ მოხდა,
მაინც რატომ მოხდა ასე?

შენ რატომ გაჩერდი დაღლილი ბავშვივით გზაზე,
შენ, ვინც ცეცხლს აჩენდი,
რატომ? რატომ მოხდა ასე?

იქნებ ვერ გაფრთხილდით, იქნება დაგხარჯეთ ძლიერ,
და სხვებში — ახლებში დავებებთ შენეულ იერს,
ბორის!

და ასე, კაცადან კაცამდე მიდის, მიირწევა
შენი ცხელი გული,
შენი დიდი რწმენა, ბორის!

და გვახსოვს, და გეტკივა ვე კითხვა წუხილით სახეს:
მაინც რატომ მოხდა,
მაინც რატომ მოხდა ასე?..

იქნებ იმისთვის, რომ
ჩვენზე სიცოცხლის ბოლომდის, ბორის,
შენ მარად ჭაბუკი,
მარად ახალგაზრდა გვეოლოდი,
ბორის!

განა ზღაპარია

შენა და სამოცდაათი წელი? —
ეს ხომ ზღაპარია:
ჩვენი ბავშვობა წრფელი
შენ გაბარია!

შენა და სამოცდაათი წელი?
ესეც ზღაპარია:
ჩვენი სიჭაბუკე მწველი
შენ გაბარია!

შენა და სამოცდაათი წელი?
უფრო ზღაპარია:
დროშა ახალგაზრდა რწმენის
შენ გაბარია!

და როს სიბერისკენ ვიღერებით,
განა ზღაპარია:
ჩვენი გაფრენილი სიმღერებიც
შენ, შენ გაბარია!





რომანი

თავი X

(ზაია თოიძის დღიურიდან)

იმ დღეს ქუჩაში შემეფეთა ბიძინა. მთვრალი იყო, ფეხზე ძლივს იდგა. მე-ქირა მისი ხელი და ვეხვეწებოდი:

— წავიდეთ, ბიძინა!
— არრა! — ამბობდა თითქოს ჯიბრით. ნოემბრის ისეთი უფერული დღე იყო, როცა ვერ მიხვდები რა დროა, — დილა თუ საღამო. ნოტიო ბურუსში ყველაფერი ერთმანეთს ჰგავდა: — მიწა. ცა, ხეები, ადამიანები, მანქანები. ბიძინა

მა მიტობდა გაყინულ თითებს და იმეორებდა.

— მაია... მაია...
— არა, არ შემეძლო ამ წვიმაში მთვრალის მიტოვება.
— დავჯდეთ მაინც, — ვთქვი მე.

უნივერსიტეტის ბაღში შევედი და სველ მორზე ჩამოვსხედით. ეს მორი ჩვენი სტუდენტობის დროს დადეს აქ სკამის ნაცვლად. ოდესღაც მე, ბიძინასა და ლადოს გვიყვარდა მასზე ჯდომა და ბაასი.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი“ № 7.

ძალიან მციოდა. თხელი წინდები და თეთრი ფესხაცმელები მეცვა. თმაც დამისველდა, ბეჭებიც. წამწამებზე შერჩენილი წვეთები უნებურად მიხუტავდა თვალებს.

— რაზე ფიქრობ? — მკითხა ბიძინამ. — არაფერზე.

იმ წუთში მართლა არ ვფიქრობდი. არც მწყინდა, არც მიხაროდა რაიმე. გულგრილი განურჩევლობა დამეუფლა. ალბათ იმიტომ, რომ ასე საძაგლად ჰგავდა ყველაფერი ერთმანეთს.

წვიმა არც უმატებდა, არც უკლებდა.

„ასეთ წვიმას ფუთქი ჰქვია“, — გამახსენდა გურიაში გაგონილი და მძაფრად ვიგრძენი წვიმის სუნი. მერე წვიმისას კონიაკისა შეერია და თითქო მეც დავთვეერი.

„როდემდე ვიქნებით ასე?“

ბიძინა უსამველოდ დუმდა. ვერაფრით ვერ ვხვდებოდი, — რას ფიქრობდა, რა ეწადა?

ავურის ფხვნილით შეწითლებულ ბილიკებზე პატარა გუბეები იდგა. გუბეებში მღვრიე ცა და შიშველი ხეები ჩანდა და მე თამაში მომენტარა. გუბეებთან ჩაცუტკება და თამაში. წამოვიწიე, მაგრამ ხელი ბიძინას ეჭირა. — „რატომ ვზივარ აქ? რატომ?“

ყველაფერი ჰგავდა ერთმანეთს და ყველაფერი სულელური იყო. არც წვიმის სუნი მინდოდა, არც გუბეებთან თამაში და აღარც გაყინული თითების გათბობა.

— ასეა, ასე! — თქვა ბიძინამ.

— რა არის ასე?

— რა ექნა, მაია, ასეა და...

სველ თმაზე დამადო ხელი. რატომღაც დედაჩემი გამახსენდა. ქვეყანაზე არაფერი მიყვარს ისე, როგორც მისი ხმელი, ძარღვიანი ხელები და მიმტევებელი მზერა. რაც გინდა აუტანელი და ცუდი მოხდეს, მას მაინც შეუძლია ატანა და პატიება. ბიძინას სწორედ იქ ედო ხელი, სადაც დედა მკონცის ხოლმე და მე ძალიან მომინდა რაღაც ისეთის თქმა ან გაკეთება, რაც ბიძინას გაახარებდა. ეს სურვილი გამაწვალებელ მოუთმენ-

ლობად გადაიქცა, მაგრამ ბიძინა იქვე მა შემაშინა. მისი სახე ერთ უტყუარ ტანჯვას გამოხატავდა.

— რა გინდა, ბიძინა? — ვკითხე გაუბელავად?

— შენი მოფერება... — თქვა ჩურჩულთ.

უცებ, ტალახში ჩაიჩოქა და სახე მუხლებზე დამადო. ეს იმდენად მოულოდნელი იყო, გავშეშდი. დავყურებდი მის ათრთოლებულ მხრებს და თავბრუ მეხვეოდა.

— ბიძინა... ადექი... რას შვრები, ბიძინა...

მთელ სხეულზე ყინულის ნამტკრევები მომედო. გამეყინა ტვინი, გული და გაჩერდა მაჯისცემა. გაჩერდა წვიმა, მანქანები, ადამიანები. აღარ ვიყავი მე და აღარ იყო არაფერი. როცა გამოვერკვიე, ხელი ბიძინას ჯიბეში მედო და იგი ცდილობდა ჩემი გაყინული თითების გათბობას.

— მაია, თქვე რამე, მაია!..

მინდოდა მხრებში ვწვდომოდი და მეყვირა:

— არ შემოდო! გაიგე, არ შემოდო!

მაგრამ შემეშინდა, — არ ეთქვა ან გაეკეთებინა უფრო მტანჯველი და ძნელი. ხელი გამოვტაცე.

ნაკვითაც არ შერხვია. ისევ გვერდით მომიჯდა. უნდა წავიყვანო სახლში, ახლა უეჭველად უნდა დაიძინოს, თორემ ქუჩაში დაეცემა. იქნებ უჩემოდაც შეუძლია? მაგრამ ვერა, ვერ მივატოვებ ასეთ მთვრალს.

— წავიდეთ, ბიძინა!

— არ წამოვალ!

— მცივა.

ადგა, ხელი ჩამკიდა.

— წავიდეთ!

ბაღიდან გამოვედით და ქუჩას დავადექით. უხილავი და მძიმე მომედო სახეზე, თმებზე, ბეჭებზე და აჩურჩულდა: „რაღაც მეწყინა შენგან, შროშანავ...“

ყველაფერი გაჰქრა. გაჩერდა, გაქვავდა და გაჰქრა.

— ცუდად ხარ, მაია?

— არა.

— მთვრალი გგონივარ, ხომ?
— არა, რატომ...
ხრინწიანი ხმით გაიცინა.
— გონება ფხიზელი მაქვს.
— ჰო, უნდა გქონდეს.

მომშალა ჩემმა უაზრო პასუხებმა. არ ვიცოდი, რა გამეკეთებინა — წაესულიყავი თუ დავრჩენილიყავი. ამდენი წელია ვიცნობ ბიძინას და ასე ცხადად პირველად წამომეჭრა კითხვა: „როგორ მოვიქცე ახლა?“

— მე მინდა სულ ერთად ვიყოთ, მაია...

— გაჩუმდი! გაჩუმდი! — ვიყვირე მე და გავიქეცი.

მერე მარტო ვიდექი ტროლეიბუსის გაჩერებასთან. ბიძინა წავიდა და მარტოდმარტო ვიდექი. ისევ ამეფარა თვალზე რაღაც უხილავი და მძიმე, ჩამიდგა სულში, დამიხშო სმენა. „რაღაც მეწყინა შენგან, შროშანავ“... — მონოტონურად, ნერვების მოშლულად ხმა ურობდა სიტყვების ნიაღვარი.

ნელა ამოძრავდა გაქვავებული ქუჩა. გაუბედავად მისრიალებდნენ მანქანები და სველ ასფალტზე საბურავების კვალს ტოვებდნენ. ახლად ფეხადგმულებივით დააბიჯებდნენ აღამიანები. ყველას თვალზე კრთოდა წყენა, ტკივილი და ეს უნებურად მახსენებდა: „რაღაც მეწყინა შენგან, შროშანავ“...

სველი ვიყავი და მციოდა. მერე წვიმაც სიტყვებად იქცა. სიტყვები მირტყამდა სახეში, ხელებზე, გულში: „რაღაც მეწყინა... რაღაც მეწყინა“...

ტროლეიბუსი სახე იყო. უკან დავჯექი და შუბლი ფანჯარას მივადე. ყველა წინა კარს მისჩერებოდა.

...ბოშა ქალს ცალ ხელში ბავშვი ეჭირა, ცალი — გამოწვდილი ჰქონდა. ძალიან ეშხიანი იყო. „ოცი წლისა თუ იქნება“, — გავიფიქრე და მაინც არ შემეცოდა. ისეთი ამაყი სახით ჩამოიარა ტროლეიბუსი, თითქოს აქეთ იძლეოდა მოწყალებას. და გული ჩამწყდა, როცა მის ცარიელ მუჭაში დაუთვლელად ჩავყარე ხურდა.

„შენი ბრალია ეს რომ მათხოვრობს“
— თქვა ერთმა.
„შენი ბრალია“ — გაიმეორა მეორემ.
„შენი ბრალია“ — გაიმეორა მესამემ.
„შენი ბრალია“...
„შენი ბრალია“...

გაძლიერდა, გუგუნად იქცა ეს ხმა. დამე ვგრძნობდი, როგორ ვეხლებოდი ყინულის ლოდებს და ვუყურებდი ბავშვის სიცივისაგან აცრემლებულ თვალებს, დახეთქილ კანს. ბოშა ქალი ჩასვლისას გამეღრიჭა:

— კარგი ბედი...

გაუნელებელმა სურვილმა ამიტანა, — სახე ჩამერგო ცივ ხელებში და მექვიტინა. დამეფარა გუგუნადქცეული „შენი ბრალია“ და მწარედ, მწარედ აკვიატებული „რაღაც მეწყინა შენგან შროშანავ“...

ანგარიშმიუცემელი და დიდი იყო ეს სურვილი.

ლადო ცივი ხელის შეხებამ გააღვიძა. წამოხტა, ფანჯარა გააღო, შუქის დილაკი გადაატრიალა და შიშამდგარი თვალებით მიაჩერდა მამას.

ოთახი ღამის სუსხიანი ჰაერით ივსებოდა. წვიმას გადაეღო.

ლადო ტანსაცმელს ეცა. მოაგონდა, რომ სასწრაფო დახმარების გამოძახება შეიძლებოდა. ტელეფონი მეზობელს ჰქონდა, პირველ სართულზე.

— ლადო...

ტუჩები ჩალურჯებოდა. ხელი ასწია, მაგრამ ისევ უღონოდ დაუვარდა. ლადომ მის სასთუმალთან ჩაიჩოქა, რომ უკეთესად გეგონა დახშული ხმა. ძლივს ერეოდა მომკვეთ ცახცახს.

— არ გინდა ალიაქოთი.

— აბა რა ვქნა, მამა? — ისე უმწეოდ აღმოხდა, რომ პეტრემ, მის დასამშვიდებლად, გაღიმება სცადა.

— ნუ გეშინია, გამივლის... იამზეს დაუძახე, ნემსი გამიკეთოს...

ლადო აივანზე გავარდა. წყნარ ღამე-

თეიმურაზ მაღალაფერიძე
წაუხრვილი

ში თოვის დაცლასავით გაისმა მინაზე რახუნნი. იამზემ ფარდა გადასწია და სახეარეული ლადო რომ დაინახა, უთქმელად მიუხედა. მაშინვე გაბრუნდა შპრიცისათვის.

ნამძინარევი მეზობლები მორიდებით აიტუზნენ იაშვილენის კართან.

— რამე ხომ არაა საჭირო? — იკითხა ერთმა.

— არ ვიცი, — დაბნეულად უპასუხა ლადომ, — არაფერი არ ვიცი!

— სასწრაფოსთვის რომ დაგვეძახა?

— არაო...

— ავადმყოფს რას უყურებ, შე კაი კაცო?

რამდენიმე მობინარე ადგილს მოსწყდა. ბრავაბრუვით ჩაირბინეს კიბე.

ნემსის შემდეგ პეტრეს ფერი მოუვიდა და ხელ-ფეხიც ოდნავ შეუთბა.

— მგონი აღარ მოგვედები, — თქვა ჩუმად.

მალე სასწრაფო დახმარების კვიცილმა ააწრიალა პატარა, მიძინებული ქუჩა. ამ ქუჩაზე ყველა იცნობდა და პატივს სცემდა პეტრეს. მოქალაქეები თავის ქნევითა და ოხვრით უყურებდნენ საკაციან სანიტრებს. ექიმი სათვალისანი, მალალი კაცი იყო. ოთახში შესვლისთანავე ავადმყოფის მჯა აიღო და პულსი გაუსინჯა, მერმე გულს მოუსმინა.

— საშიშროებას გადაუვლია, — თქვა ბოლოს, — ნემსი გაუტყვის?

— დიახ, — გაუბედავად უპასუხა იამზემ. მას სამედიცინო ტექნიკუმი ჰქონდა დამთავრებული და რომელიღაცა პოლიკლინიკაში ექთნად მსახურობდა.

— კოფეინი?

— დიახ.

— ყოჩაღ!

მერმე გულის წვეთები გამოსწერა და ხელი დამაბანინეთო, — ითხოვა. იამზემ პირსახოცი და საპონი მიუტანა. ექიმი დიდხანს ისრესდა ისედაც ქათქათა ხელებს.

— თქვენ რა ხართ ავადმყოფის? — ჰკითხა ლადოს.

— შვილი. როგორაა საქმე?

— არცთუ სახარბიელოდ...

ლადო უნებურად შექანდა.

— უნდა გამიგოთ, — განაგრძობდა ექიმი, — მიძიე შედეგი გარდაუვალია, მაგრამ ეს შეიძლება მალე მოხდეს, შეიძლება ორი წლის შემდეგ. ვიქონიოთ იმედი.

— ო, დიახ, — სადღაც შორიდან უპასუხა ლადომ.

ექიმმა შეძლებულ ჰონორარზე უარი თქვა და წავიდა. მეზობლებმაც ბინებს მიაშურეს. მხოლოდ იამზე არ სცილდებოდა პეტრეს, სასთუმალთან მისჯდომოდა და წარამარა უსწორებდა საბანს. მოხდენილი გოგონა იყო; ლადო ისე მოიქანცა შინაგანად, მადლობა სულ გადაავიწყდა. მთელი სხეული უბეუოდა, მოწყვეტილ დაეშვა სკამზე.

— რა მოგივიდა, ბიჭო, რას დაფეთდი, — უთხრა პეტრემ, — ასე უნდა?

ტანჯული, თან განათებული სახე ჰქონდა. ხმა სუსტად ისმოდა, მაგრამ თანაბარი და მტკიცე იყო.

— ლაპარაკი დაგვლით, პეტრე ბიძია, — გააფრთხილა იამზემ.

— ახლა ჩემი ლაპარაკი მოსწრებაზეა, შვილო.

— ნუ ამბობთ, პეტრე ბიძია, ნუ! — იამზე შეწყუბდა.

— კაი გოგონა ხარ, იამზე, — უთხრა პეტრემ ამ თვალი ლადოსკენ გაექცა, — ბევრ ოჯახს დაამშვენებდა შენისთანა რძალი.

იამზეს მუქი სიწითლე მოედო. მაშინვე ადგა.

— მე წავალ, — თქვა ჩუმად, — თუ დაგვირდეთ, დამიძახეთ.

ლადომ კარებამდე მიაცილა.

— რატომ გააწითლე? — უსაყვედურა პეტრეს, როცა მარტონი დარჩნენ, — მეტი კი არ უნდა, მთელ ღამეს გაათენებს ტირილით.

— ანგელოზივით ბავშვია, — თქვა პეტრემ.

ლადოს მაწისა გაახსენდა. გაახსენდა მისი დიდი, შიშხამდგარი თვალები, სუსტი მხრები, ახლადაფეთილ მკერდზე გადმოშლილი მსხვილი ნაწნავი. იამზე და მაწისა რალაციტ ჰგავდნენ ერ-

თმანეთს და ამ აღმოჩენამ იამზე თითქო უფრო ახლობლად აქცია. მაგრამ, რა დროს ამაზე ფიქრი იყო ახლა?

— არ გეძინება? — ჰკითხა პეტრემ.

ღალღალე თვალი შეავლო მის გამხდარ პროფილს და ყურში დაუწვივლა ექიმის ნათქვამმა: „მძიმე შედეგი გარდუვალია“...

— არა, მამა, რა დამაძინებს?

— იქნებ წაგვეკითხა რამე?

ღალღალე გულზე მოეშვა. იცოდა: თუ პეტრეს კითხვის ან წაკითხულის მოსმენის თავი მინც ჰქონდა, კრიზისი ვადავლილი იყო. წამოხტა. მეორე ოთახში წიგნების თაროსთან მივიდა.

— გალაკტიონი? — გამოსძახა მამას.

— სხვა მირჩევნია.

— პუშკინი?

— ძველი ქართულიდან ნახე რამე.

პეტრეს მუღამ უღრმეს კმაყოფილებას ჰგვირგვინდა რაინდული დარბაისლობით სავსე, ლბილი და თასმასავით მოქნილი ძველქართულის კითხვა.

ღალღალე ჰალი ჩააქრო და საღამურის ნათურა აანთო. ასე მეტი მყუდროება იქმნებოდა. სასთუმალთან მიუჯდა და წიგნი პეტრესგან ჩაინიშნულ ადგილზე გაშალა.

ბალაჰვარი ეუბნება იოდასაფს:

„მსგავს არს საწუთრომ ესე კაცსა, რომელსა სდევდა პილო ამირზებული და მიაწყუდია იგი ჭურღმულსა საშინელსა. და იხილნა ხენი, რომელსა ზედა აღქდა, და იხილნა კუალად ორნი თავგუნი, ერთი შავი და ერთი თეთრი, რომელნი სჭრიდეს ძირსა მათ ხეთასა, რომელთა ზედა აღსრულ იყო კაცი. და შთახედნა ჭურღმულსა და იხილა ვეშაპი, რომელსა აღეშკმო პირი და ეგულეობდა შთანთქმად მისი. და აღიხილნა ზე და იხილა თავლი მცირეჲ, რომელი ჩამოსდიოდა ხეთა მათ, და იწყოლოკად მისი. და კუალად არღარა მოიქსენა განსაცდელ, რომელსა შთავრდომილ იყო. ხოლო თავგუთა მათ ხენი იგი წარსჭრნეს და კაცი იგი დაეცა და პილომან აღიტაცა და მიუჯგო ვეშაპსა“...

— არ გვინდა, მამა, ეს. სხვა წავიკითხოთ.

— პირიქით, სწორედ ეს გვინდა, — თქვა პეტრემ, — განაგრძე!

„აჲ, ძეო მეფისაო, პილომ იგი სახე არს სიკუდილისა, რომელი სდევს ძეთა კაცისათა, და ხენი იგი საწუთრომ არს, და თავგუნი იგი დღენი და ღამენი, და თავლი იგი საწუთრომსა ამის სიტყვობება არს და შეაქცევს კაცსა გემოვნებასა საწუთრომსაჲ. და დღენი და ღამენი აღსრულდებიან და სიკუდილი წართაცებს და ჯოჯოხეთსა შინა ვეშაპი იგი შთანთქმამს და ესე არს ცხოვრებაჲ კაცთაჲ“.

პეტრე ფიქრმა წაიღო.

ბალაჰვარის იგავი ადრეც კარგად იცოდა, მაგრამ არასოდეს ასე ცხადად არ შეუგრძენია მისი ყოვლისმომცველი სიბრძნე. აჰა, თეთრმა და შავმა თავგუმა გაასრულეს თავისი საქმე, ხე, რომელსაც პეტრე ებღაუჭებოდა, ფესვებგადაღრღნილი აგერ-აგერ უნდა წაქცეულიყო. ქვემოთ იცდიდა საზარელი პილომ, რათა ლაშქარმანტილი ვეშაპისთვის მიეგდო მისი უძლური სხეული.

ალარ მოსწვეთდა თავლი მცირეჲ, მინავლულ სულის მოსაბრუნებლად.

„რისთვის ვიცხოვრე? რა გავაკეთე?“

— გაიფიქრა პეტრემ.

ამ კითხვებმა ორლესული მახვილივით დაუშანთა გონება. სამოცი გრძელი წელიწადი იჯახირა ამ სამზეოზე. რა არ ნახა, რა არ გადაიტანა: მეძროხეც იყო, მღვდლის ხელზე მოსამსახურეც; დეპოს მუშაც და ავქალის აუდიტორის სცენისმოყვარეც; უნივერსიტეტის სიბრძნის მეტყველების ფაქულტეტის სტუდენტიცა და ხევსურეთში, გუდანის დაწყებითი სკოლის მასწავლებელიც. საკუთარ ტყავზე გამოსცადა შვილიერების სიხარული, ადამიანთა მზაკვრობა და სიამაყის თავგასულობა, კაცური კაცობის მაღლი, მახლობელთა დაკარგვის სიდუხჭირე, სულიერი მარტოობის მწა-

თეიმურაზ ბალაჰვარიძე
ფეხივილი





რე ნადველი, ჟამთა სიავე და უკანასკნელი ომის სისხლიანი ღვართაფები. ცოტა, ძალზე ცოტა იყო სალბუნი, უფრო მეტი ღრმა ნაჭრეები სულსა და ხორცზე. ახლა კი?

ალარსად იყო თავლი მცირეა...

და მოველინა თეთრწვერა ბერიკაცი, სათნო, გამგები, ჭირთა და ურვათა მკურნალი. ბერიკაცს პურის მთესველის ალალი ხელები ჰქონდა და პეტრე განკვირდა ფრიად, რაკილა თავის გამზრდელი ბაბუა შეიცნო მასში.

ბაბუა ტკბილად, ტკბილად მოეფერა პეტრეს, სახეზე მიელამუნა, თმაში შეუცურა თითები და პეტრე მიხვდა: — ეს ბაბუა კი არა, თვით სიკვდილი იყო, მძლეთამძლე და კეთილი სიკვდილი.

— ჩემს წასაყვანად მოსულხარ? — ჰკითხა პეტრემ.

— რათა განგწმიდო, მამავ და თვალო!

— რისთვის მამყოფე ამ ქვეყანაზე?

— სიკეთისათვის!

— რალად მიგყევარ?

— სიკეთისათვის!

— რა არს ცხოვრება ესე?

— სიკეთე!

— მე მიშრომია სიკეთისათვის.

— ვიცი.

— მაგრამ, ხშირად დარჩეული ხორბალი დამითესია, გუდაფშუტა კი მოწეულა.

— და... ვის ემღერე?

— თავისთავს მხოლოდ!

— პირნათელი ხარ, მამავ და თვალო.

ახლა კი სთხოვა პეტრემ:

— განმწმიდე!

— იყავნ ნებაა შენი!

და გაჰქრა ბერიკაცი, — ჭირთა და ურვათა მკურნალი.

...ლადო გუმანით მიხვდა, — მამა აღარ მისმენსო და კითხვა შესწყვიტა.

პეტრემ მაშინვე გამოახილა თვალი.

— ბევრი წაიკითხე?

— ორ გვერდამდე.

— უცნაურია. ამ ერთ წუთში მთელმა ჩემმა ცხოვრებამ გამოიარა თვალწინ, ბოლოს, თვით სიკვდილიც შეახლა და...

მეგობრულად ვისაუბრეთ, ყველაფერს აზრი სიკეთეთაო, ასე მითხრა სიკვდილმა. განმწმიდა კიდევ...

თვალეზანთებულმა დაუმატა:

— კარგი ყოფილა...

და ლადომ იდუმალი ჟრჟოლით იგრძნო: ღიღხანს ველარ იცოცხლებდა მამა. იცოდა, ასე არ უნდა ეფიქრა, საშინელება იყო ასე ფიქრი, მაგრამ ცხადზე უცხადეს სინამდვილეს სად გაექცეოდა? წყეული, შემზარავი ფიქრი კი ეძალეზობდა და ეძალეზობდა, ჯიუტად იკლავებდა სულში, მთელს არსებას უმღვრევდა, უფორიაქებდა.

ამ დროს, ვილაცამ გაბმით დაარახუნა.

ორი საათი სრულდებოდა. ვინ უნდა ყოფილიყო? დაუპატიჟებელ სტუმარს ნებართვისათვის არ დაუტოვია, სახელური ღონიერად მოსწია, ოთახში შებლატუნდა და კარის ცალი ყური კინაღამ გაიტანა მხრით. ლადო წამოხტა.

— რომელი ხარ?

წინა ოთახში გაღიმებული ბიძინა აჰკვროდა კედელს.

— ოო, შენი ჭირიმე..., — ამომარცვლა და ლადოს მოეხვია.

— რა მოგივიდა? — შეკრთა ლადო. მაგრამ ღვინის ოხშივარმა მიახვედრა, რომ ბიძინა ნასვამი იყო და მკლავები ცივად მოიშორა.

— მთლად გალოთდი, ბიჭო?

ბიძინამ მჰახედ გაიცინა:

— კი. გავლოთდი, მამ!

თვალეზში კვიმატი ნაპერწკლები აუთამაშდა. ტყავის კურტაკი დაუდევრად ჰქონდა მოღელილი.

— ვინ მოვიდა? — სუსტი ხმით დაიძახა პეტრემ.

— გლვიძავთ, ძია პეტრე?

ბიძინამ თმებზე აიკრა ხელი, გულისპირიც უმალ შეიბნია და მეორე ოთახს მიაშურა. ლადოს არ სიამოვნებდა მისი გამაღიზიანებლად თავისუფალი ქცევა. განსაკუთრებით ახლა, როცა მამა ვერ იყო კარგად. ეშინოდა, — რამე ბრუნდი და უამუში არ წამოტორტლოსო.

პეტრეს რომ აღკოპოლის სუნი არ

ეყნოსა, ბიძინა საწოლისაგან მოშორებით ჩამოვდა.

— როგორ ბრძანდებით, ძია პეტრე?

— ჰკითხა მოკრძალებით.

პეტრემ ოდნავ გაიღიმა.

— კარგად...

ლადო კინლამ მოუყვა წელანდელი შიშის ამბავს, მაგრამ გადაიფიქრა. მთვრალი იყო, ბოლომდე მაინც ვერ გაიგებდა.

— სად იყავი ამ შუალამეზე?

— მე? — ბიძინამ წვრილი თვალები შეანათა, — ნუცა ჩიქოვანი გაგიგონია?

— გამიგონია.

— იმასთან გახლდი.

ლადო შესამჩნევად აიმღვრა.

— იქ დათვერი?

— არა, იქ მხოლოდ დაფუმატე, — თქვა და ხრინწიანად ჩაიციხა.

— ხშირად სვამ, ბიძინა. რაზე იკლავ თავს? — უსაყვედურა პეტრემ.

— სხვა რა დამრჩენია? — თქვა ბიძინამ, — საითაც გავიქეცი, იქით წავიქეციო, ხომ გაგიგონიათ? ჰოდა, მორჩა! რას კითხულობთ? ა, „ბალავარიანი“? ახლა როცა პრუსტმა და კაფკამ დაგვიწიწკნეს ნერვები, ამის წაკითხვას კი უნდა მოთმინება...

შემპარავი, ცინიკური ტონით ლაპარაკობდა. ვერ გაიგებდი, — სხვას დასცილნოდა თუ თავისთავს.

— ახალს თუ აკეთებ რამეს? — ჰკითხა პეტრემ.

— თანამედროვე პროზის პრობლემებზე ვწერ, ძია პეტრე. ნახევარი წიგნი დაწერილი მაქვს.

— ბარაქლა! ჰოდა, ნულარ გააქიანურებ.

— როდის დავამთავრო? — ბიძინამ ჩაიხიხითხითა, — დღე უშტატო კორესპონდენტის მოვალეობას ვასრულებ, საღამოს — გაგლეჯილი მთვრალი ვარ. აუ, რას მიძღებს საწყალი დედაჩემი?!

— არეული ხარ, — უთხრა ლადომ, — ხომ არაფერი შეგემთხვა?

— მე? ეგლა მაკლია! — და მოუღლო-

დნელად წამოდგა, — ბოდიშს ვინდობთ ძია პეტრე, უდროოდ დროს შეწუხებთ სათვის. ეზოდან დავინახე სინათლე და...

— რას წამოხტი? — გაუყვირდა ლადოს, — რაღა დროს წასვლაა, დარჩი აქ, მოისვენე.

— არა! გადაირევა საწყალი დედაჩემი. იცის: თუ ცოცხალი ვარ, სხვაგან არ მოვიციდი. წავედი, კარგად იყავით.

— იცოცხლე, შვილო, — მიადევნა პეტრემ.

ლადო აივანზე გაჰყვა. ბნელი, უმთვარო ღამე იყო. შორიდან ისმოდა მილიციელის სასტვენის გაბმული ხმა. ლადოს არ ასვენებდა აზრი, ბიძინას სათქმელი აქვსო.

— ასე მგონია, რაღაც გაწუხებდა.

ბიძინამ შეაყვინა პასუხი და ლადომ დაინახა, ბნელში როგორ გააკვსნა მისმა თვალებმა.

— ოლოლო შენ, გამოცანა გერგება! დღეს მათ ვნახე...

— მერე?

— არაფერი. ისე გითხარი. მაიას მტრე, ნუცასთან ავედი.

— ნუცასთან რა გინდოდა?

— კარგი გოგო ყოფილა...

— გილოცავთ დამეგობრებას!

— ეჭვიანობ?

— მითხარი, რა გაწუხებებს?

— ეჰ, ლადო, ნეტა ამ დაბნეულობების გაგნება მასწავლოს ვინმემ...

სანამ ლადო პასუხს მოასწრებდა, ბიძინა კიბეებზე დაეშვა.

პეტრე თვალებდახუჭული იწვა. მშვიდად, თანაბრად სუნთქავდა.

„ჩასძინებია“, — გაიფიქრა ლადომ, საბანი მზრუნველად ამოუქეცა და შუბლზე ეამბორა.

პეტრეს არ ეძინა. „ღმერთო, კარგად ამყოფე“... თქვა გულში, როცა ტუჩების შეხება იგრძნო.

თეიმურაზ მაღლაფერიძე
წაშრივილი

ვიორგობის თვემ სუსხიც მოიყოლა. წიგნების მალაზიასთან, ჭავჭავაძის აღმართის კუთხეში, ლადომ ნუცა ჩიქოვანი დაინახა. ვიტრინას ათვალეირებდა. ყაყაჩოსფერი პალტო ეცვა და ამ მოქაშულ დღეს გამვლელებში მკვეთრად გამოირჩეოდა. გაშლილი სქელი თმა მოხდენილი დაუდევრობით ეყარა ბეჭებზე. ჯიშინი ცხენივით თავადერილი იდგა. ოდნავ კეხიანი ცხვირი და წამოწეული ქვედა ბაგე ამაყისა თუ უკარებელი ქალის იერს ანიჭებდა. ლადოს ფული შეუფართქალდა, მძლავრად გაშოლტა ვენების ტალღამ. თვალი მოარიდა და ქუჩის მეორე მხარეზე გადასასვლელს მიაშურა, მაგრამ სწორედ ამ დროს, ტრანსპორტისათვის გზის გახსნის მათწყებელი ნათურა აციმციმდა. წიაღვარივით მოსკდა მანქანების რიგი. ლადომ ისევ ნუცასკენ გააპარა თვალი. იქვე იყო, სულაც არ ფიქრობდა ადგილიდან დაძვრას. ვედარ მოითმინა, ზურგიდან მიუახლოვდა, მხარზე დაადო ხელი. ნუცა არ შემეკრთალა, თითქოს ელოდაო მის გამოჩენას.

— საიდან მოდიხარ? — ჰკითხა და, როგორც ლადოს მოეჩვენა, ნაძალადევიად გაიღიმა.

— სამსახურიდან.

— მეც.

დაბინდული, იღუმალი კითხვებით აღსავსე მზერა ჰქონდა. ლადოს არ უყვარდა ეს მუდმივი რაღაცაზე მიმანიშნებელი გამოხედვა. თვალს არიდებდა ხოლმე.

— „ბორჯომი“ არ გინდა? წამო, დავლით.

ნუცა უსიტყვოდ დაეთანხმა, მკლავში ჩელი გამოსდო და მხარზე მიეხუტა. „ბორჯომის“ გამყიდველ ქალს სიცივისაგან თითები დასწითლებოდა. ნუცამ კედლის გამწვედნ სარკეში ჩაიხედა, თმები შეივარცხნა და უქმაყოფილოდ წაიბუტბუტა:

— რასა ვგვვარ...

„ბორჯომი“ დალიეს, ისევ გარეთ გა-

მოვიდნენ. არ იცოდნენ საით წასულიყვნენ. „სპარტაკში“ არაბული ფილმის დილოდა. საერთოდ, იმ ხანებში ეკრანებზე რიგინი არაფერი იყო. ახლა ყველაზე უკეთესი იქნებოდა მყუდრო კაფეში დაჯდომა, მაგრამ ფული? ლადომ, როცა ფული ედო ჯიბეში, უანგარნოდ იცოდა ხარჯვა. მორიგ ხელფასად, უმეტეს შემთხვევაში, გრომებით მიაღწევდა ხოლმე. ვერ იქნა და ვერ მიეჩვია ყაირათს. მამის პენსია რომ არა, ნახევარჯერ ცარიელ-ტარიელი იწაწალებდა.

— სად წავიდეთ?

— სადაც გინდა! — მაშინვე უპასუხა ნუცამ.

— მაინც სად?

— ჩემთან?

ქალმა მზერა უსწორა და ლადომ ისევ შეამჩნია მის თვალელებში იღუმალზე, აკრძალულზე მიმანიშნებელი ნაპერწკალი. ვენების მომთენთავმა ჭავლებმა დაურბინა.

— არა! — თქვა ბოლოს.

— ჰო, მართალი ხარ, არა ღირს, — ნუცა ძლივს მოერია წყენას.

უმიზნოდ წაყილდნენ. კინო „რუსთაველთან“ ქუჩა გადაჭრეს და მეორე ტროტუარით ისევ უკან მობრუნდნენ. უნიათო, მოწყენილი საღამო ნელ-ნელა მოედო ქალაქის სახლებს, გაძარცულ ხეებსა და ქვაფენილს. ნისლიან ბინდბუნდს რეკლამები და მანქანის ფარები ანათებდა. მერმე, პროსპექტის გაყოლებაზე ჩამწყრივებული ლამპიონები ერთბაშად აინთო.

სასტუმრო „თბილისის“ შემინული კედლიდან მსუქანი შვეიცარი აგდებულნი მზერით ათვალეირებდა მათ.

— ნეტა უცხო ქალაქში ვიყოთ, — თქვა ნუცამ, — ლენინგრადში, კიევში, ან ტალინში. ვცხოვრობდეთ კარგ სასტუმროში და...

— მოდი შევიდეთ! — თქვა ლადომ, — ვითომ უცხო ქალაქია, ეს კიდევ, ჩვენი სასტუმრო.

მძიმე კარი უდარდელი ღიმილით შეაჭრიალა. ვესტიბიულს დიდი ჭალი ანა-

თებდა. კედელზე ვარაყმოვლებული
სარკეები იყო ჩამოკიდული. უმზერდ-
ნენ საკუთარ გამოსახულებებს და სი-
ცილს ვერ იმაგრებდნენ. ლადოს ნაია-
რევი სიცივისაგან გალურჯებოდა და
მსუქან შვეიცარს დაუფარავ ეჭვებს
აღუძრავდა. ბოლოს, ულტიმატუმის წა-
ყენებაც დააპირა, — უსაქმოდ ნუ გა-
ჩერდებითო, მაგრამ ლადომ დაასწრო,
მეგობრულად დაჰკრა მხარზე ხელი:
— როგორ ბრძანდებით, ბატონო ლავ-
რენტი?

შვეიცარი დაიბნა:
— გმადლობ, ბატონო...
— რაღა ლავრენტი? — ღიმილით იკი-
თხა ნუცამ შვეიცარის წასვლის შემდეგ.
— კარგი სახელია ლავრენტი, — უპა-
სუხა ლადომ, — ჩვენი განყოფილების
უფროსს ჰქვია.

გალანტერიული საქონლის ჯიხურთან
სავარძელში ჩასხდნენ. ნოქარი რადიო-
ლაზე ფირფიტას უკრავდა. ისმოდა მი-
ნაწებული ხმა:

„გამიგონია, მთვარიან ღამეს
ზღვასთან მივიდა ერთი ირემი“...
— რაც მე ამის მოსმენა მინდოდა, —
თქვა ლადომ.

— ეგ რომელია, ირემი რომ რქებმა
დაღუპა?
— ირემი რქებმა დაღუპა. — შენ —
სილამაზე დაგღუპავს!

— მე კიდევ დაღუპვა მინდა? — ნუცა
ვერ მიუხვდა ხუმრობას.

თავი ჩაჰკიდა, თმები სახეზე მიეფი-
ნა. პალტოს კალთა გადახსნოდა და მუხ-
ლისთაეები უჩანდა. საუბარი დაიძაბა.

— რაო, ახალი ხომ არაფერი შეგემ-
თხვა?

ნუცამ ულამაზოდ გაიღიმა.

— არა, ძველიც მყოფნის. იცი, ზოგ-
ჯერ ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქო
ორმოში ვიყო ჩადგებული, სიდანაც
ცის ნაგლეჯის მეტი არაფერი მოჩანს.
ვცდილობ ამოვიდე, მაგრამ კედლები
სლიპია და უკანვე ვცურდები. გარშე-
მოც ისეთი ადამიანები მახვევია, ამოყ-
ვანის მაგიერ ქვევით მეზიდებიან...

„მაღალ მატერიებზე ლაბარაკობს,

ლოგინის მეტი კი არაფერი უნდა“... — უსრუტესად
გაახსენდა ლადოს ბიძინას ნათქვამი.

— წუხელ ბიძინამ შემომიარა.
ნუცა შეკრთა, სწრაფად აიხედა:
— მერე?
— დამეგობრებულხართ.
— რა გითხრა?
— არაფერი. კარგი გოგო ყოფილაო.
— ეჰ, ისიც ჩემსავით გზაარეულია.
ნერვიულად გაიცინა:

— განა ბევრს ვთხოვლობ ამ ცხოვ-
რებაში? მინდა ჩვეულებრივი ოჯახი
მქონდეს, მყავდეს ბავშვი, ქმარი. ვიყო
ღიასახლისი...

— არ გამოვა!
— რატომ, ლადო, რატომ? — ჩაეკი-
თხა ცრემლების ყლაპვით..
— იმიტომ, რომ...

ლადომ პასუხი ვეღარ მოსძებნა. ერ-
თმანეთის საწინააღმდეგო განცდები
ეუფლებოდა. ხან უნდოდა მუხლებზე
დაეჩოქებინა ნუცა და უზოგველად ელა-
წუნებინა სილები, ხანაც სიბრალული-
სა თუ ახლობლობის შეგრძნება ავსებ-
და და მზად იყო გაუქეთებელი გაეკე-
თებინა მისთვის.

— ლადო...
— ა?
— ნუ მომიშორებ, გთხოვ, გვედრე-
ბი!

— არ შემიძლია!
— ბევრჯერ მომატყუეს, ლადო, მო-
მატყუეს და შეურაცხყოფა მომაყენეს...
შენ მაინც შემიბრალე...

— არ შემიძლია!
— ნუ მეტყვი მაგას, ლადო! ოღონდ
მაგას ნუ მეტყვი...

— მე ქეთუ მიყვარს, — თქვა უცებ
თქვა და გულიდან ლოდი მოსცილდა.
ფორიაქი, ყოყმანი და ქაოსი მაშინვე
ჩაიფარცხა. ყველაფერი ნამდვილი,
მართალი, გასაგები შეიქნა. ახლა ლა-
დო მტკიცედ ფლობდა საკუთარ თავს.
და იცოდა რა ხდებოდა მის ირგვლივ.

თაიშუაზა ვალაფერიძე
წაშრილი

— ქეთუ? ვინ არის ქეთუ? — ვერ
მიხვდა ნუცა.

ლადოს გულწრფელი სიხარულით გა-
ვლიმა:

— როგორ ვითხრა... ქეთუ—ქეთუა...

— აა...

ჯომიანი ცხენივით ააღერა კისერი,
ამყი, ზიზღარევი მხერა შეაგება ლა-
დოს და წამოდგა:

— რა სისულელეა ყველაფერი!..

პალტოს საყელო წამოიწია და სწრა-
ფად გაიარა ვესტიბიული.



ლადო იდგა სასტუმროს წინ და
თვალს აყოლებდა უცხო გამვლელებს,
აღარ იცოდა სად წასულიყო, ან რა გაე-
კეთებინა.

ამ დროს, ნუკრი ვირსალაძე დაინახა.
შალითიანი გიტარა ეჭირა და რესტორ-
ნის შესასვლელისაკენ მიემართებოდა.

დაუძახა.

ნუკრი ცას ეწია სიხარულით.

— შე მიციდი?

— შეენ? არა.

— მართალი მითხარი.

— არა, ძმარო.

— გიკვირს გიტარით რომ მხედავ?

— რატომ უნდა მიკვირდეს?

— აქ ვუკრავ, რესტორნის ჯაზში.

— რას ამბობ! დიდი ხანია?

— ორი კვირა იქნება. შევიდეთ, გიამ-
ბობ.

— ქესატად რომ ვარ?

ნუკრის გაეცინა.

— წამო, წამო, ნუ გედარდება!

ლადოს თავბატიყი აღარ გამოუღვია,
შეჰყვა.

თავი XII

უნივერსიტეტის დამთავრების შემ-
დეგ, ნუკრის ძალაუნებურად დააცლე-
ვინეს სტუდენტალის ის ოთახი, სადაც
უზრუნველად გაატარა ხუთი ფერადი
წელი და ამხანაგები რომ არა, მთლად
ქუჩის ანაბარა დარჩებოდა. რიგრიგო-

ბით, ხან ერთთან, ხან მეორესთან ითე-
ნებდა ღამეს.

ბოლოს, იღბლად, ერთი შორეული
მოყვარე გამოუჩნდა, თავისთან ჩაიწერა
და ჯიბის ფულსაც დაჰპირდა; სამაგიე-
როდ, ნუკრის მისი აცენილი და მოდე-
ბილო ვაეიშვილისათვის კულში უნდა
ედევნა და ქართულიან — ალგებრიანად
ყველაფერი ესწავლებინა. ნუკრი დათან-
ხმდა, რადგან მშობლიურ, პროვინციულ
ქალაქში დაბრუნებას (სადაც ის განათ-
ლების სამინისტრომ სამუშაოდ გაანა-
წილა), სიკვდილი ერჩივნა. იქ მისი ფუ-
ძე და კერა უამთა სიავემ ძირ-ფესვი-
ნად გააპარტახა. ნუკრი სამადლოდ ნა-
თესავებმა გაზარდეს და ახლა, როცა
ისინი თვითმამყოფილი იერით ხშირ-
ხშირად იხსენებდნენ ამ ღვაწლს, აღარ
შეეძლო მათ სიახლოვეს ყოფნა.

მოწაფე ნამდვილი პატარა მტარვალი
იყო; უკიდურესად ვადღაღლიმა ნუკ-
რამ ერთხელ გაზეთში წაიკითხა: ფი-
ლარმონია მართავს კონკურსს ესტრადის
მსახიობთა გამოსავლინებლად და ყო-
ყმანის შემდეგ, ფილარმონიას მიაშურა.

უიურის წევრები მის გამოსვლას გან-
საკუთრებული აღფრთოვანებით არ შეხ-
ვედრიან, მაგრამ მაინც აღიარეს, — ნი-
კიერი ახალგაზრდააო და ფილარმონიის
თანამშრომლად მიიღეს. ეს დიდი გა-
მარჯვება იყო მომღერლისათვის, რო-
მელსაც უნივერსიტეტის თვითმოქმედი
ანსამბლის გარდა არავითარი სკოლა არ
გაეცლო.

მერმე, ქალაქის განაპირას, ღრმალე-
ლეში, პაწაწინა ოთახი იჭირავა.

ასე დაიწყო ფილოლოგმა ნუკრი ვირ-
სალაძემ საესტრადო მომღერლის ცხოე-
რება.

გაჩახახებულები დარბაზი მუშტრები
იყო საესე. მაგიდებშუა ოფიციატები
დაჰქროდნენ. ისმოდა დახშული ბუბუ-
ნი. ესტრადაზე როიალი და ცარიელი
პიუპიტრები იდგა.

— ძალიან ადგილისთვის მიგიგნია! —
თქვა ლადომ.

ნუკრი საწყლად ილიმებოდა.

— გავებზრდი, ლადო, აღარ შემიძლია ამდენი გაჭირვება. ფილარმონიას თვეში ერთხელ გამოვყავდი, აქ კი — ხელად გავითქვი სახელი. მართალია, ზოგჯერ ისეთ რამეს მამღერებენ, გული მერევება, მაგრამ... თევზის მოყვარული ფეხის დასველებას არ უნდა მოერიდოს...

— მე ფილარმონიაც მეხამუშებოდა! — გააწყვეტინა ლადომ.

— რას იზამ... ისე, მართალი ვითხრა, არ ვნანობ. კაცმა ყველაფერი უნდა გამოსცადოს ცხოვრებაში...

ლადო უყურებდა და ფიქრობდა: — თვითონვე არ სჯერა, რასაც მეუბნებაო.

— ერთი სიტყვით, ბოჰემას თამაზობ? ნუკრიმ ხელეზი გაასავსავა:

— მე და თამაზი? შენ ხომ მაინც მიცნობ.

დიდულვაშა ოფიციატმა სწრაფად, საქმის ცოდნით გააწყო მაგიდა და უსიტყვოდ გაილალა. ნუკრის შეკვეთა არ მიუცია, ენდობოდა მის გემოვნებას. ჭიქები სურნელოვანი „მუკუზნი“ შეასესო.

— გაგვიმარჯოს.

— ხშირად სვამ?

— არა, კაცო, სად შემიძლია?

მაიას დაბადების დღე მოაგონდათ.

— გახსოვს, მაშინდელი? ჭუჭუკით დავითვერი. როგორ ვაწყენინე ბიძინას. ველარსად შევხვდი, რომ ბოდიში მაინც მოვუხადო. რომელი დამრტყემელი მე ვარ? კაცის წყენინებას სიკვდილი მირჩევნია. თუმცა, არც თვითონ იყო მითლად მართალი... ა?

— პირიქით ებოდიქები?

— ასე მირჩევნია.

ნუკრი წამდატყუნებდა ისწორებდა მსხვილჩარჩოიან სათვალეს. უსაზღვროდ კეთილი გამომეტყველება ჰქონდა.

— ვინ იცის, იქნებ მართალიც იყო, — თქვა ლადომ.

— იქნებ კი არა, მართალი ვარ! — ვამეორა დაბეჯითებით.

ნება-ნება, დაგემოვნებით სვამდნენ. საუტხხო ღვინო იყო „მუკუზანი“.

ოფიციატმა ხახემოყრილი მწვადი

მოიტანა. მადის აღმძვრელი ოხშივარი ასლიოდა.

— გადაიღე, თორემ გაცივდება, — ნუკრიმ ლანგარი მიაწოდა, — შენ ის მოთხარი, ნუცა როგორ არის?

ლადომ ტყემალი დაისხა თეფშზე. ერთ ხანს თავჩაღუნული იყო. „აალობა დაინანა წელიდან“...

— რატომ მეკითხები?

— კარგი გოგოა ნუცა.

— შენ თუ დაგიჯერა კაცმა, ამ ქვეყანას ანგელოზებით დასახლებულ სამოთხედ წარმოადგენენ.

— ასეცაა! — წამოიძახა ნუკრიმ, — ყოველ შემთხვევაში, ასე უნდა იყოს!

სიტყვა გაწყვიტა და ხელზე მოეჭიდა ლადოს:

— გამიგონე! რატომ არ ირთავ?

— ვისა, ბიჭო?

— კითხვა უნდა? ნუცას!

— გაგიჟდი?

— სულაც არა. უყვარხარ. შენც გიყვარს. მეტი რა გინდა?

— რას ბეუტურობ, ნუკრი?!

— მართალს გეუბნები. ნუთუ არ შეგიძლია, უფრო ლმობიერი იყო?

— რა ადვილად სჭრი და ჰკერავ!

— შენ კი, ზედმეტად ართულე.

— მაშ, მიყვარს, ა? — ლადოს მწარედ ჩაეცინა, — მე რაც მებადა, სვანეთში დავხარჯე, ჩემო ნუკრი და ახლა ყველაფერი მიამიტ, ხშირად უპატიოსნო გართობადაც მიმჩნია. იცი ეს?

ააღლევა გულახდილობამ, ჭიქას მიეტანა:

— დავლიოთ!

— იყავნ ნება შენი, — თქვა ნუკრიმ.

ესტრადიდან ინსტრუმენტების წრიპინი მოისმა. დამკვერელები შეუმჩნევლად მოგროვილიყვნენ. ხმელ-ხმელმა სუფთად გაპარსულმა და მელოტმა კაცმა ნუკრის ზრდობიანად ანიშნა, — ვიწყებთო.

— ესაა ჩვენი მესტრო, — თქვა ნუკრიმ, — ახლავე მოვიყვან.

თეიმურაზ მაღლაჭარიძე
ფაფრვილი

დიდ ხანს ეჩურჩულებოდა ყურში. მაესტრო ხელებს შლიდა, თავბატიუს იღებდა, მაგრამ ბოლოს მაინც წამოპყვა.

— გაიცანი, ლადო, ცნობილი ჯაზმენი ფელიქს ჯიბუტი, — საზეიმოდ გამოაცხადა ნუკრიმ.

ლადომ წამოიწია.

— Сидите, сидите, молодой человек — უთხრა ჯიბუტმა.

— სუფრა დაგვილოცეთ, მაესტრო, — მიმართა ნუკრიმ.

— Я только стаканчик,

— ჯიბუტი ქალივით ინახებოდა, — видите, ребята ждут... ჭიქა ასწია, ნასწავლი ღიმილი მოეფინა სახეზე.

— Желаю удачи, друзья.

— ქართული არ იცით? — ჰკითხა ლადომ.

— К сожалению, нет. Я хочу выпить за Нукри. Славный он парень... И великолепный музыкант. Вы читали «Три товарища» Ремарка? Нукри Роберт Локамп нашего коллектива. Ведь так, Нукри, а?

ნუკრიმ საწყლად გაიღიმა. მაესტრომ ცოტათი ჩაანაკლულა ჭიქა და დადგა.

— Ну, мне пора. А вы какой хмурий!

ხელი წაუწია ლოყაზე მოსაცაცუებლად, მაგრამ ლადომ უხეშად მოიცილა.

მაესტრო, ცოტა არ იყოს, შეკრთა.

— Не грустите, мой друг, — უთხრა და წავიდა.

— პედერასტი! — ზიზღით თქვა ლადომ, — შენი ხათრი, თორემ...

— თუ ძმა ხარ, გაჩუმიდი.

— ხომ გახსოვს, რობერტ ლოკამპი ბორდელში უკრავდა.

— ვიცი, — ამოიოხრა ნუკრიმ, — ახლა წავალ და ვიმდერებ. მერე ისევ ვიქეივოთ. არ მოიწყინო, კარგი?

— არა, აჰ! რა მომაწყენს?

ნუკრი ესტრადაზე ავიდა, გიტარას შალითა მოაძრო და ორკესტრანტებში ადგილი დაიკავა. დარბაზში სმენის წამლები ბუბუნნი იყო, ესტრადისაკენ არავინ იყურებოდა. შესავლად ლადომის

„თბილისო“ დაუკრეს. საყვირზე მაესტრო უკრავდა. მერმე ნუკრიმ შემოვიდა თიბები შუბლზე ჰქონდა ჩამოშლილი. ნელა ეხებოდა სიმებს:

„შენ დედამიწა, უფრო მაშინებ,

როცა ოცნებით ზეცას მოვიარ“...

თავი უკან გადაეწია, სათვალე შეუქმე უბრწყვიალებდა და განუმეორებელი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი რბილი ინტონაციით მღეროდა.

ლადოს საშინლად დაუმძიმდა გული. უმზერდა მთვრალ სახეებს, რომლებიც ყურადღებას არ აქცევდნენ ნუკრის და კინალამ მთელი დარბაზის გასაგონად იღრიალა:

— გაჩუმიდით!

რალაც ძალა აკაგებდა:

„აღამიანი ნავი როდია —

ნაპირს შიბა და შიბათოვ“.

გაისმა კანტიკუნტი, უგულო ტაში. სულ ეს იყო ნუკრის ჯილდო. ორკესტრი ახლა ტემპიან მელოდიას უკრავდა კინოფილმ „მზიური ველის სერენადიდან“. დროდადრო ნუკრი მხიარულად იღიმებოდა. ამან სულ მოშალა ლადო. ჭიქა შეივსო და მარტომ დაიწყო სმვა. სვამდა ხარბად, ჟინით. დათრობა უნდოდა. მალე გაუბრუვდა თავი. და უცებ, თითქო განათდარო, ქეთუ წარმოუდგა. დაფოთლილი, მწვანე კაბა ეცვა. სიმინდის ხაშარის ფერი ტალღოვანი თმა წმინდანის ნიმივით ედგა თავზე. უყურებდა ლადოს და იღიმებოდა თეთრი, ნათელი ღიმილით.

„მოხვედი, ქეთუ? ვიცოდი, მოხვიდოდი. აი, ვზივარ და მარტო ვსვამ. შენ გაგიმარჯოს, იცოცხლე! თავს ვეძალები, რომ გადაგივიწყო და უფრო მიყვარხარ. როგორც არასდროს, ისე მიყვარხარ. მომენატრე, ქეთუ, ძალიან მომენატრე. ნეტა იცოდე, როგორ მარტო ვარ უშენოდ. დავიტანჯე, გავწვალდი. სადა ხარ ახლა? მიგონებ? გახსოვარ?“...

ნათელი, თეთრი ზმანება ნელ-ნელა ილიბრებოდა რესტორნის ბულსა და ოხშვიარში. ლადომ ბოთლი აიტაცა და მთელი ძალით დაანარცხა იატაკზე. ნამ-



სხვრევები სპეკალივით მიმოიფანტა. წამით, უთავყამო ბუბუნნი შეწყდა. ყველამ მას მიჰხედა, ქონიანი, გამოკრეტი-ნებული სიფათები ჰქონდათ. ორკესტრი დაკვრას განაგრძობდა. ახლა „ალუბლის ბაღს“ ასრულებდნენ. ნუკრი შემფოთებული იყო. ლაღო ადგა, გაშომწვევად, ზინლით იღიმებოდა, მაგრამ დარბაზში მალე გადაიფიქვს მისი არსებობა. აურზაური განახლდა.

მეტი ვეღარ შეიძლო, ნუკრის დამშვიდობების ნიშნად ხელი აუწია და კარისაკენ გაემართა.

სახლში მამა მარტო იყო. ყოველთვის ასე ხდებოდა: ლაღო ნასამსახურევს შერჩებოდა საღმე, მამა კი მოთმინებით ელოდა. საყვედური არასოდეს დასცდენია. ზედმეტი ლაპარაკი ევაზრებოდა პეტრეს. მას უყვარდა, მისახედრს თვითონვე რომ მიხვდებოდნენ. ლაღო ხვდებოდა, მაგრამ თავისდაუნებურად, მაინც სხვაგვარად გამოსდიოდა ხოლმე და სინდისის ქენჯნას ვეღარ იშორებდა...

ეზო გაიარა, ფრთხილი ნაბიჯებით ავიდა კიბეებზე და განათებულ ფანჯრიდან შეიჭვრიტა. თხელ მარმას იქით მოჩანდა სავარძელში გადაწოლილი, ღრმად დაფიქრებული პეტრე. მკერდზე გადაშლილი წიგნი ედო, მაგრამ არ კითხულობდა.

თავი XIII

ტექნიკურ გამოცემათა რედაქციის ჩვეულებრივი, რუდუნებით აღსავსე დღე.

რედაქტორები თავულებლად უკირკიტებენ სამუშაოს: სათვალეწამოდგმული რომანოზი ლურჯი ფანქრით აკრელებს სქელ ხელნაწერს. სანდრო ორი საათის განმავლობაში ამოდ ებრძვის რაღაც დაბურდულ წინადადებას. აზრის რიგიანი ქართულით გამართვა უნდა, მაგრამ არ გამოუდის და მეჩხერულვაშებს იწიწკნის. ეს მისი ნერვიულობის უტყუარი ნიშანია. მაია ისეთი გულსყურით ჩასცქერის „კოლოიდური ქიმიის“ კურსს, თითქო ამაზე საინტე-

რესო წიგნი თვალთაც არ ენახოს. ლაღოს ხელნაწერის თხუთმეტი გვერდილამაჟეს დარჩენილი; ამ სანატრელ დღეს, უკვე მეორე თვეა, ისეთი მღელვარებით ელოდება, რომ ახლა, ყოველი წაიკითხული ფურცლის შემდეგ, წასაკითხ გვერდებს უღრმესი სიამოვნებით ითვისს თავიდან.

ნადია და პიმენიც თვალებს იწყალე-ბენ საკორექტურო აბრაკადაბრის კითხვით.

მაგია, ერთ დროს ლავრენტი ბედიანს რომ ეჭირა, თავისუფალია. დაწინაურებამ ლავრენტი სულ სხვა პეწით შემოსა. უკვლოდ გაჰქრა კაცი, თვითდამცირებით რომ ეძიებდა სხვათა გულის მონადირებას. ახლა ლავრენტი კატეგორიული ტონითა და ღირსების სრული შეგნებით გამოსთქვამს საკუთარ ნააზრევს და წინადადებას ისე არ იტყვის, ვინმე ცნობილი ავტორიდან ციტატი არ დააყოლოს.

ლავრენტის დაწინაურება, სხვათა შორის, იმაშიც გამოიხატა, რომ ეს უკანასკნელი, სარედაქტოროდან კაბინეტში გადაბარგდა. ის დღეა და, სალაპარაკოდ ათასში ერთხელ თუ მოიხელთებს ადამიანი. გადაუდებელი საქმეების მომიზეზებით მთელი კვირები იკარგება, ხოლო თავის სარედაქტორო წიგნებს სანდრო ცხვარიაშვილს აკითხებს. სანდრო გულზე სკდება, მაგრამ შეშინებული კაცია და ვერაფერს უბედავს.

და აი, ერთ ჩვეულებრივ დღეს, კარი უხმაუროდ იღება. ფრთხილი ნაბიჯით შემოდის გამოშვები კოლია. ამჯერად საკორექტორო მასალის ნაცვლად სქელი წიგნი შემოაქვს, მალა იშვერს და ამბობს:

— აბა გამოიცანით ავტორი?!

რედაქტორებმა საქმეს თავი ანებეს.

— მაჩვენე! — უთხრა რომანოზმა.

კოლიამ საზეიმო იერით მიართვა. რომანოზმა ხმამალა წაიკითხა: — ლ. ბე-

თეიმურაზ მაღლაზერიძე
ფუჰრვილი

დიანი, „ალექსანდრე მაკედონელი“, თბილისი, 1960 წელი.

რომანოზმა ახლა წიგნის მოკლე ანოტაცია წაიკითხა: — „მწერალ ლავრენტი ბედიანის „ალექსანდრე მაკედონელი“ — ესაა მხატვრული ბიოგრაფია, რომელიც ასახულია მსოფლიოს დასაპყრობად გრიგალივით ამხედრებული გენიალური მხედართმთავრის — ალექსანდრე მაკედონელის ცხოვრება და მოღვაწეობა, დარდი და იმედი; საუკუნის ფართო სურათის ფონზე გაშლილია მღელვარე სულისკვეთება ანტიკური სამყაროს დიდი მეომრისა. წიგნი სიყვარულით იწერებოდა. ავტორს იმედი აქვს, მკითხველთა ფართო წრე ასევე სიყვარულით წაიკითხავს მას“.

ეფექტმა მოლოდინს გადააჭარბა:

— არ გამაგიჟოთ! ლავრენტის წიგნია? — პიმენი ადგილიდან წამოხტა.

— ოპოო..., — გააგრძელა სანდრომ.

— შეხედე შენ! — თქვა ნადიამ.

— ვივა, ლავრენტი! — შესძახა ლადომ.

— როგორ წერია? გრიგალივით ამხედრებული მხედართმთავარიო? — ღიმილით იკითხა მაიამ.

— სტილი დაცულია! — უპასუხა რომანოზმა.

გაეცინათ.

რომანი სამ ნაწილად იყო გაყოფილი. პირველ ნაწილს ერქვა: — „ბუცეფალის ფაფარი“, „მეორეს: — „გორდიას ნასკვი და გავგამელა“ მესამეს; — „ბაბილონური ციება“ ნაწილები, თავის მხრივ, ქვეთავებისაგან შედგებოდა, რომელიც ავტორს გულმოდგინედ დაესათურებინა მოკლე, ფრთიანი გამოთქმებით: „დაუცლელი თასები“, „მოსეინენ დრაკონი“, „არწივები მთებში მიეშურებიან“, „რწმენა და სიყვარული“, „ასპიტი და აბლაბუდა“, „მზე და ამორძალი“ და ასე ბოლომდე... ყველა თავს ეპიგრაფი ჰქონდა წამოღვარებული და, ღმერთი დიდებული, ვისგან ამოღებულ ციტატას არ შეხვდებოდი აქ! მულტატული და ვახტანგ ორბელიანი, ტა-

რას შევჩენკო და მარტინ ანდერსენი ნექსე, აზერბეიჯანული ანდაზა და ავალთის დასა, შიო არაგვისპირელი და ერაზმ როტერდამელი, ისაია ტეგნერი და ფუცუ დგებუაძე...

მიუხედავად იმისა, რომ ყოველივე ეს დიდ საცთურს შეიცავდა ღიმილისათვის, ლადო დაინტერესდა. მუდამ, როცა კი ლავრენტისთან ჰქონდა ურთიერთობა, ვერ იშორებდა ფიქრს, — უფრო რთული პიროვნებაა, ვიდრე ჩანსო. და გაუხარდა, რომ არ მოტყუვდა. ამხელა წიგნი! ბიოგრაფიული რომანი! თანაც, ალექსანდრე მაკედონელზე!.. დაწერა და როგორ დაწერა: ძე სორციელისათვის სიტყვა არ უთქვამს, არავისთვის გაუნდვია საკუთარი ტანჯვა თუ სიხარული. ჯერ მარტო ეპიგრაფების ძებნას რამდენი შრომა უნდოდა!

— უბრეცედენტო შემთხვევაა! — რომანოზი წაღმა-უქულმა ატრიალებდა წიგნს.

— თურმე ნელმძვანელად მწერალი გვყავს, ჩვენ კი ჭურში ვზივართ! — თქვა კოლიამ.

— აბა! აბა! — მაშინვე კვერი დაუქრა ნადიამ, — შეხედე შენ!

— რა შეწუხებული სახე გაქვთ, ძია სანდრო? — ჩაეკითხა მაია.

— მეშინია მაგ კაცის, — სწრაფი ჩურჩულით თქვა სანდრომ, — მეშინია! მეშინია, მაგის გაყვითლებული სახის და გაყინული თვალების. სულ იმას მეჩიჩინება. — არასაიმედო ელემენტი ხარო. მომიწამლა სიცოცხლე.

სანდროს, თითქო რადიო გამოთიშესო, უეცრად ჩაუწყდა ხმა.

კარებში ლავრენტი იდგა. დაკვირვებით შეათვალიერა ყველა თანამშრომელი, მერმე მზერა საკუთარ წიგნზე შეაჩერა და ნელ-ნელა გაიღიმა: ღიმილმა სატირლად გამზადებულს დაამგვანა.

სრული სიჩუმე ჩამოვარდა.

— აი მე... თქვენი რომანი... ამხანაგებს..., — დაიშაქრა კოლიამ.

დადგა საზეიმო წუთი!

ლავრენტი რომანოზისაკენ გაემართა,



ხელი ჩამოსართმევად გაუწოდა და ლოყაც მიუშვირა.

მაგრამ რომანოზმა მხოლოდ ხელის ჩამორთმევა იკმარა და ზრდილობიანად უთხრა:

— ჭეშმარიტად საკვირველია. დიახ! დიახ!

ლავერენტიმ ახლა ნადიას მიაჩნია გაშეშებული ხელი. მღელვარებამ, ნადია წითლად ააფორაჯა. როგორც იქნა, დაიოკა გულის ფანცქალი და გრძნობიერად ჩაეხუტა ლავერენტის. თან მორცხვად ეუბნებოდა:

— აღფრთოვანებული ვარ... ვიცოდი, დამიჯერეთ ვიცოდი... თქვენ ისე შთამაგონებლად გამოიყურებოდით, რომ გული მეუბნებოდა, — მწერალიაო. ო, ღმერთო...

ლავერენტიმ პიმენისაკენ გადაინაცვლა:

— რა გითხრა, ჩემო პატივცემულო მეგობარო? — პიმენი ღონივრად ართმევდა ხელს, — კარგად იცი, დიდი განათლება არ მაწუხებს, უბრალო კორექტორი ვარ. თუ საქართველოს პირველი მწერალი გახდი, ჩვენისთანა მოკვდავები არ დაივიწყო.

კმაყოფილი, რომ ოსტატურად დააღწია თავი შექმნილ ვითარებას, დაჯდა.

ლავერენტიმ ახლა სანდროს დაუთმო ხელი და ლოყა. აქ მოხდა რაც მოხდა! სანდრომ გული ამოისკვნა:

— თქვენი წიგნი, ბატონო ლავერენტი, შემოქმედებითი წვის ნაყოფია! ბიოგრაფიული რომანი მაკედონელზე! და ეს მაშინ, როცა ასე ღარიბია ქართული ბიოგრაფიული რომანის ტრადიცია! წარმოუდგენელია! განსაკვიფრებელია! ეს ერთი და სხვა ათასი! დიახ!

— კმარა, სანდრო, კმარა! — გააწყვეტინა ლავერენტიმ:

ასე უგულო მოპყრობით ნირწამნდარმა სანდრომ უღვაშების წიწქას მიჰყო ხელი.

ჯერი ლადოზე მიდგა. კინაღამ გააქრკოლა, როცა ლავერენტის ცივისა და ღიბ ხელს შეეხო, მაგრამ იძალა და მინც აკოცა ყვრიმაღზე.

მაია გაფაციცებით ადევნებდა თვალს სარედაქტოროში გათამაშებულ სცენას. არ უყვარდა ლავერენტი და არც ფარავდა, რომ არ უყვარდა. ვერ წარმოედგინა, მისი ხელიდან რამე სასიკეთო თუ გამოვიდოდა. წიგნი სიცილად არ ეყო. მაშინვე ის იფიქრა: — „პლუტარქედან და სხვა ავტორებიდან გამომიწერდით“.

— აი, თურმე რატომ გყვარებით თევზაობა, — უთხრა იქედნურად — ზიხართ ანკეით ხელში და ფიქრობთ ალექსანდრე მაკედონელზე.

ლავერენტიმ ჩამოსართმევად გაწვდოდა მარჯვენა ზურგსუკან დამალა.

— ჰმ...

— ძირითადად, რომელი ავტორებით იხელმძღვანელებთ? და საერთოდ, თქვენი რა არის მაგ წიგნი?

ლავერენტის სახემ წამით უსაზღვრო მძულვარება გამოასხივა, მაგრამ მხოლოდ წამით. უპასუხოდ დასტოვა მაია და ოთახის შუაგულში გავიდა.

— მადლობელი ვარ, კეთილი სურვილებისათვის, — თქვა ყრუ, მაგრამ მტკიცე ხმით, — ჩემი მიზანია სიცოცხლე ერის სამსახურს შევალთ და ეს რომანიც ერთი გამოხატულებაა ამ მიზნისა. მე ჩაფიქრებული მაქვს ბიოგრაფიული რომანების მთელი სერია. დარწმუნებული ვარ, კეთილისმყოფელთა ხელის შეწყობით შევძლებ ჩანაფიქრის ხორცშესხმას...

და მოსჭრა:

— განაგრძეთ მუშაობა!

კოლიას წიგნი გამოართვა და კაბინეტისაკენ გაემართა.

— რას ერჩოდი? — უთხრა ლადომ მაიას, — თავისთვის ჩალიჩობს კაცი. შემეცოდა.

— არ იცნობ შენ მაგას!

— რა არის ჩვენი ცხოვრება?! — ამოიოხრა სანდრომ.

— ცხოვრებას ადამიანები ექმნით, სანდრო ბატონო, — გაცხარდა მაია, —

თეიმურაზ მალაფარიძე
წყურბრელი



და თუ უკეთესი არ არის, საკუთარ თავს დავაბრალეთ!

— ეეჰ, ჯერ ბავშვი ხარ, ჩემო მია, — სანდრომ ხელი ჩაიქნა;

რატომღაც, გუნება დაუძძიმდათ. სა- მუშაოს მიუბრუნდნენ.

ერთი კი ნაღდი იყო: ასე თუ ისე, იმ ჩვეულებრივ, რუღუნებით აღსავსე დღეს, ტექნიკურ გამოცემათა განყოფი- ლების რედაქტორებმა საკუთარი თვა- ლით იხილეს ბიოგრაფიული რომანი ალექსანდრე მაკედონელზე. რომანი ესე ეკუთვნოდა ლავრენტი ბედიანს.

თავი XIV

შესვენებაზე, სანდროს გარდა, ყვე- ლანი წამოიშალნენ. სანდრომ უჯრიდან რვეულის ფურცელში გახვეული საუზ- მე ამოიღო; სასაფლაოში ფულის ხარ- ჯვა ზედმეტ ფუფუნებად მიაჩნდა. სხეე- ბი, ლაპარაკ-ლაპარაკით, სასაფლაოსაკენ გაემართნენ. საუბრის თემა ისევ ლავ- რენტი ბედიანის გარომანისტება იყო. ამ ფაქტმა ისე დიდი შთაბეჭდილება მო- ახდინა, რომ სხვა სალაპარაკო გადაავი- წყდათ. ამიტომ, ლადო ცოტა არ იყოს შეაკრთო რომანოზის მოულოდნელმა კითხვამ:

— მამა როგორ არის?

რომანოზი და პეტრე ომამდე, ერთ სკოლაში მასწავლებლობდნენ. პეტრე რუსულ ენასა და ლიტერატურას ას- წავლიდა, რომანოზი — ფიზიკა-მათემა- ტიკას.

— ძველებურად, ბატონო რომანოზ.

— შეტევა აღარ ჰქონია?

— არა, მაგრამ სუსტად გრძნობს თავს.

— განწყობილება?

— სულ ჩუმდაა. დღე ისე გავა, ხმას არ ამოიღებს.

— მდაა, — რომანოზმა თავი გადააქ- ნია, — ხომ არაფერი გჭირდება? ნუ მომერიდები.

— გამდლობთ, არაფერი!

ლადოს გუნება აემღვრა. არ უყვარ- და მამის ავადმყოფობაზე ლაპარაკი.

ღრმად სწამდა, რომ საკუთარი ვარამით სხვა არ უნდა შეაწუხო, შებრალებულის როლი ყველაზე უსი- მოვნო როლია ამ ქვეყნად. არა და, მარ- თლაც გატყდა პეტრე. მოდუნდა, მოეშ- ვა, ხალისი დაჰკარგა. ლადოს ზოგჯერ ეჩვენებოდა, — მეც თავს ვაბეზრებო და ამის შეგრძნება მტკივნეული იყო.

სასადილო თვითომსახურეობით მუ- შაობდა. მესტამბეები და გამომცემლო- ბის პერსონალი ალუმინის ლანგრებით იდგნენ რიგში, საუკმელებს ირჩევდნენ, მოლარესთან ფულს იწდიდნენ და აორ- თქილ მათლაფებს მაგიდებისაკენ მი- არბენინებდნენ. ზეთისა და მომწვარი ხახვის ოხშივარი ტრიალებდა. არც თა- ვისუფალი ადგილი ჩანდა სადმე.

— ჩემთან რომ წავსულიყავით? — უთხრა მიაამ ლადოს, — სწორედ გუ- შინ, დედამ რალაცეები გამომიგზავნა.

ლადომ იცოდა, რასაც ნიშნავდა — „რალაცეების გამოგზავნა“.

— სანთლის არაყი?

— უმაგისოდ როგორ შეიძლება? სან- თლის არაყი, ქათამი, კეცის მჭაღი და ჩვილი ყველი.

— შენ რა გითხრა! პურ-მარილი სახ- ლში გქონია და „რამშტექსნ“ მაკმევე- დი? ახლოს მიინც არ ცხოვრობდე!

— სხვებს ვუთხრათ?

პიმენს, ნადიასა და რომანოზს განაპი- რა კუთხეში უკვე დაეკავებინათ მაგი- და და გემრიელად ზერებდნენ წვნიანს.

მიაამ და ლადომ გარდერობს მიაშუ- რეს, პალტოები ჩაიცვეს და მარჯანიშ- ვილის ქუჩას აუყვენენ. დეკემბრის ცივი მზით განათებული, ლურჯი შუადღე იყო, ცენტრალურ უნივერსიტეტთან მილე- თის ხალხი ირეოდა; თეატრის მხარეზე, — თითქმის არავინ ჩანდა. „ხეები ზეზე- ურად კვდებიან“, ეწერა აბრაზე. მა- იას ნანახი ჰქონდა ეს სპექტაკლი, მა- ინც მიაშურა სალაროს.

— შენთვის ავილო?

ლადომ დათანხმება დააპირა, მაგრამ მამა გაახსენდა და იტყრა. საღამოობით, ჩვეულებრივ, წიგნს უკითხავდა ხოლმე.

— გიყურებია?



— ჰო, — იტრუა ლადომ. არ უნდოდა ისევე მაისის ავადმყოფობაზე ჩამოვარდნილიყო სიტყვა.

— ბრწყინვალეა ვერო! — თქვა მაიამ, — მისი თამაში მაინტერესებს, თორემ პიესა დიდი ვერაფერი შვილია.

ორი ბილეთი გამოართვა.

— ერთი ნუცასათვის. დამირეკა, — შემოვივლიო. ბარემ ერთად წავალთ.

ლადოს რიგიანად არც გაუგონია მაიას ნათქვამი. იმ წუთში ნუცა სადღაც მისი აზროვნების მიღმა იყო დარჩენილი. გონება მთლად მამაზე ფიქრი ჰქონდა დაკავებული. ვერ მიმხვდარიყო, — რატომ ღელავდა ასე. დილით პეტრე უკეთ გამოიყურებოდა. და მაინც... და მაინც...

ლიფტში ჩასხდნენ და მეოთხე სართულზე ავიდნენ. მაიამ ის იყო გასაღები მოიმარჯვა, რომ მოპირდაპირე კარი ფრთხილად გაიღო, მეზობელი ქალის ცნობისმოყვარე თავი გამოჩნდა და მაშინვე მიიმალა.

— სულ ასეა მოყურადებული, — ამოიხრა მაიამ.

— რა უნდა?

— ჯანდაბა! ქვეყანას არწმუნებს, — მაია თოიძეს საყვარლები დაუდისო.

— გაგიჟდა?

— რა ბედი მაქვს, არა? — მაიამ ნალვლიანად გაიღიმა.

— ალბათ მეც დამნაშავე ვარ, — თქვა ლადომ, — უნდა მოგერიდო, ხალხს სალაპარაკო არ მიცევ.

— სისულელეა! ძაღლი ყეფს, ქარავანი მიდის! მთავარია, სინილისი გვქონდეს სუფთა!

ალაღად გაიღიმა. ცისფერი, სპორტულ ყაიდაზე შეკერილი კაბა ეცვა. მკერდი, მოქნილი და მიმზიდველი იყო. მუდამ ერთი და იგივე სუნამოს, „პიკის ქალს“, ხმარობდა.

ლადოს უყვარდა მაიას ბინა. უყვარდა ის ფაქიზი სიმყუდროვე და სიმშვიდე, რომელიც მუდამ სუფევდა იქ. მაგიდა წინა ოთახში გააწყეს. მაიამ მოხარული და სუნელით შეზავებული ქათამი აქნა. ტყემალი, კეცის მჭადი და ყვე-

ლი მოიტანა. მარჯვედ, ლამაზად ტრენდულბდა, გამოცდილ დიასახლისს რომ შეეფერება ისე, ბოლოს, სანთლის არაყიც ჩამოდგა.

— ლავრენტი ბედიანის სადღეგრძელო არ დაგავიწყდეს!

— ნუ ხარ, გოგო, ცინიკი! — მაიას გამოაჯაღრა ლადომ.

ცდილობდა საუბარში აპყროლოდა, მხიარულადაც ყოფილიყო, მაგრამ შინაგანად გრძნობდა, — კრიჭა ჰქონდა შეკრული. მამისაკენ მიუბრუნდა ფიქრი. ვერ აეხსნა: რა იყო ეს? რა უფოთვა იყო? მაიასათვის რომ არ შეემჩნევინებინა, არაყს მიეძალა. უქო ღედის ნახელავი.

მაიას გული აუჩუყდა.

ცოდნა ქალი იყო დედამისი. ოცდახუთი წლისას ქმარი ფრონტზე დაელუპა. მას მერმე ქვრივ-ობლობისა და ცრემლის მეტს არაფერს შესწრებია ამ წუთისოფელში. ჯერ კიდევ ახალგაზრდა, დედაბერს დაემგვანა.

— შეილს გავზრდი და მეშველებო, ამბობდა. მე კი, ა, ბატონო, რა შვილი გამოვდექი! მივატოვე და დიდ საქმის ქალივით, დავბრძანდები ქალაქში.

— რატომ არ მოგყავს აქეთ?

— ვინ წამოგყავა? გავყიდოთ ეს სახლი და გადმოვი თბილისში-მეთქი, მაგრამ ეყურება? სანამ პირში სული მიდგია, მამაშენის ფუძეს ვერ მოვშლიო. მაშინ, მე ჩამოვალ-მეთქი. ამაზე — წიწმობის: მთელი ახალგაზრდობა ქალაქში გარბის და შენ უკან ბრუნდებიო? მართლაც, ლადო, ვერ წარმოიდგენ რა ამბებია სოფელში, დიდი თუ პატარა, ქალაქში გადასახლებას ცდილობს. ზოგი ბათუმს ეტანება, ზოგი ქუთაისს, ზოგიც — თბილისს. კაცმა არ იცის, თუ ასე გავრძელდა, რა ბედი ეწევა სოფელს... ლავრენტი-აბდალი მაკედონელზე რომ წერს, თუ მართლა მწერალია, აი, ამაზე დაწეროს!

თეიმურაზ მაღალაფარიძე
ფაფრვილი

— ისევ ლავრენტი?..

— ეშმასავით ამეკვიატა. შენ დაამ-
ბთავერე მოთხრობა?

— ორი თავი მაკლია.

— აჩვენე ვინმეს?

— მამამ წაიკითხა.

— მერე? მერე?

— ოღონდ კარგად იყოს და.., — და-
ფანტულად ჩაილაპარაკა ლადომ. ისევ
მამისაკენ გაექცა ფიქრი. გული როგორ-
ღაც ავბედიდად ეკუმშებოდა. „რა გე-
მართება?“ — შეუწყრა თავის თავს და
არაყი დაისხა. „რახე ვლაპარაკობდით
წელან? ჰო, მაიას დედაზე“...

— ახლა დედაშენისთვის ყველაზე მე-
ტი სიხარული შვილიშვილი იქნება.

მაიას ხმამაღლა გაეცინა.

— კი, მაგრამ საიდან მივუყვანო?

— რატომ არ თხოვდები?

მაია შეცბა:

— გავწითლდი, არა? — თქვა უხერ-
ხული ღიმილით.

— მიპასუხე! — არ მოეშვა ლადო.

— რა უცნაური ხარ! ჩემზეა დამოკი-
დებული?!

— შენზეა! მხოლოდ და მხოლოდ შენ-
ზეა! — ბეჭითად უთხრა ლადომ.

მათი თვალები ერთმანეთს შეხვდნენ
და მაიამ სწრაფად მიაგება:

— თუ ხათრი გაქვს, ბიძინაზე ნურა-
ფერს მეტყვი!

— რატომ, მაია?

მაია კარგა ხანს იჯდა თავჩალუნული.

— მე ვიცი, ლადო, კარგი ბიჭია ბი-
ძინა; ეგ არაფერი, ხშირად რომ თვრე-
ბა, — დრო მოვა, გაუვლის...

— მერე?

— ბევრს ვფიქრობ ბიძინაზე. ტანჯვით
ვფიქრობ. — ერთი ხანობა თითქოს და-
ვაპირე კიდევ რაღაცა, მაგრამ... — მა-
იას მშვენიერი, კრავებით ალალი თვა-
ლები ცრემლით აევსო, — შენ თუ არ
გითხარი, სხვას ვის ვუთხრა? როგორ-
ღაც აწეწილი სული აქვს...

— სწორედ მაგიტომ უნდა მხარში
ამოდგომა!

— მე ქალი ვარ, ლადო... თვითონვე
მინდა პატრონი და გზის მაჩვენებელი.
მე ვერ ვზიდავ აღმზრდელის როლს. სა-
ერთოდ, არ შემიძლია როლის თამაში.

— მესმის, — ჩაილაპარაკა ლადომ.

— მაბტყუნებ?

— არა, მაია.

— იცი, ზოგჯერ ვიფიქრებ, მოსწრე-
ბაზე-მეთქი საქმე. კაცს უყვარხარ, მე-
ტი რა გინდა? ზოგისათვის ესეც მიულ-
წვევლი ბედნიერებაა. რაკი შენ გერგო,
მოსწარი და ჩაებლაუქე, თორემ იმსაც
დაჰკარგავ. სულ ერთია, შენთან აღარა-
სოდეს მოვა დიდი, წამლეკავად დიდი
სიყვარული. აი ისეთი, სულის დაფა-
რულ საუნჯეს რომ გავახსნევენებს. ჰო,
ზოგჯერ ვფიქრობ ასე, მაგრამ ვატყობ,
მცირედით დაკმაყოფილება არ შემიძ-
ლია, ან ყველაფერი, ან არაფერი! მანამ-
დე კი, ისევ ლოდინი მიჩვენია...

ლადო უგულოდ იციცქნებოდა. რამ-
დენჯერმე დაიჭირა თავი, რომ ყურად-
ღებით ვერ უსმენდა მაიას. მამა ვერ
მოიცოდა გონებიდან. მოთმენა აღემა-
ტებოდა მის ძალ-ღონეს. სწრაფად ადგა,
ტელეფონთან მივიდა. მეზობლის ნომე-
რი აკრიფა. ყურმილში კარგა ხანს ის-
მოდა გაგრძელებული სიგნალები. ლა-
დოს აღლევებისაგან სისხლი გაეყინა.
როგორც იყო, ბავშვის ხმამ უპასუხა:

— გისმენთ?

— „ბუთუხუ“ ხარ?

— დიახ. ვინ ლაპარაკობს?

— ლადო ვარ, „ბუთუხუ“. შენ გაზრ-
დას, აირბინე და გამიგე, მამა როგორ
არის? მოგიცდი.

— კარგად.

— რა იცი, ბიჭო?

— წელან ეზოში იყო.

— ეზოში! რას ამბობ, ადგა?

— ხო, ძია ლადო, დედას ვფიცავარ.
მე მელაპარაკა.

— ახლა ისევ ეზოშია?

— არა, აბრუნდა. რა გადაცვე?

— არაფერი. გაიზარდე.

ყურმილი დადო. ახლად გაიგონა,
რომ, ალბათ მეზობელთან, რადიო იყო

ჩართული და რომელიღაც კომპოზიტორის ნაცნობ სიმფონიას გადმოსცემდნენ. ნაღვლიანი, გაყინული ბგერები თოვლიან ველს ეფინებოდა...

თავი XV

პეტრე იწვა და კითხულობდა:

„და თუ იკითხო: სიკვდილი რაჲ არს, ანუ რის არსებისაგანი არს, მე გითხრა შენ: სიკვდილი ვითარცა არარაჲ არს და განმქარვებელი ჩვენი არს, სიკვდილისა არსება უჩინო არს და ხილულისა ჩვენისა არსებისა უჩინო მყოფელი არს; სიკვდილი უქორცო არს და ქორცთა ჩვენთა დამადნობელი არს; სიკვდილი უსულო არს და სულთა ჩვენთა წარმატებელი არს; სიკვდილსა ძვალნი არა აქვს და ძვალთა ჩვენთა განმამიშვლებელი არს; სიკვდილი უქმო და უსიტყუო არს და სიტყვათა ჩვენთა დამადუმებელი არს; სიკვდილი უცნობი არს და ცნობათა და გონებათა ჩვენთა მიმღებელი არს.“

გვეწინოდენ სიკვდილისაგანი!...“

წიგნი დახურა. რაიმე ისეთის წაკითხვა მოუნდა, რაც სულს გაუნათებდა. სასთუმალთან დალაგებულ წიგნებს რიგრიგობით იღებდა და ფურცლავდა. „მონტენი?.. არ მინდა... სახარება? — არა. „ნადიმი?“ — არც ეს... ანაზღად „ვეფხისტყაოსანი“ მოხვდა ხელში. ვეღარ მოითმინა, გაშალა. ჩუმი წამღერებით დაიწყო კითხვა:

„მიშვალდი ცაჲა შესტირს,
ეუბნების, ეტყვის მშვესა:
აჲა, მზეო, გეაჭებო შენ, უმძლესთა
მძლეთა მძლესა,
ვინ მდაბალთა გაამაღლებ,
მეფობისა მისცემ სვესა,
მე ნუ გამყრი საყვარელსა,
ნუ შემიცვლი ღამედ ღღესა!“

და გაახსენდა პეტრეს, როგორ უკითხავდა „ვეფხისტყაოსანს“ მისი სათაყვანებელი ბაბუა. პეტრე მაშინ თითისტოლა ბიჭი იყო, ჭრელფარდაგიან ტახტზე იჯდა და მონუსხულივით შეჰყურებდა კვარით განათებულ ბაბუას სა-

ხეს, რომლის ბაგეებში საოცარ სტრუქტურებს ბუტბუტებდნენ. პეტრეს ახლაც კარგად ახსოვდა ის შეგრძნება, რომელიც „ვეფხისტყაოსნის“ პირველი მოსმენისას გაუჩნდა:

...პატარა ბიჭი ნაირ-ნაირი ყვავილებით აფერადებულ ველზე მიდიოდა. აქა-იქ დიდი, გაბარჯღული მუხები იდგა. დაკბილულ, პრიალა ფოთლებში მცხუნვარე მზის სხივები იხლართებოდა და ყვითელ ლაქებად ელვენებოდა ახავრადებულ მიწას.

კითხულობდა პეტრე და სულს ნელ-ნელა ედებოდა წყნარი უშფოთველობის თბილი ნაკადი. ჭერზე დეკემბრის მზის სუსტი ათინათი ლივილივებდა. და უცებ, აშკარად იგრძნო, რომ სიკვდილი აქვე იყო, სულ ახლოს...

„ნუ შემიცვლი ღამედ ღღესა“... არა, სულაც არ არის ძნელი... ადამიანებო რიგში დგანან. ზოგს ადრე უწევს, ზოგს გვიან. რიგის ლოდინი უფრო ძნელია“...

სულის ხუთვა მოეძალა. გულზე რკინის სალტეები შემოერტყა, მოჭრა და უწყუო. სცადა მთელი მკერდით ჩასუნთქვა, მაგრამ ამაოდ.

„სადა ხარ, შვილო?“

სალტეები მოეშვა, ჰაერი მოუზღვავდა. ცივი მზე მალლა აიწია და მთელი ოთახი გაანათა. ისევ მიდიოდა პატარა ბიჭი ყვავილებით აფერადებულ ველზე, გაბარჯღული, ტანდაკობილი მუხების ქვეშ.

„ლადო ხუთამდე არ მოვა. გავუძლებ მანამდე? უნდა გავუძლო!“

გაჭირვებით წამოდგა, ტანსაცმელს მისწვდა და ჩაიცვა. პალტოც შემოიფუთნა. ხშირი, თეთრი წვერი მთელ სახეზე მოსდებოდა და გაცილებით ხნიერი ჩანდა, ვიდრე სინამდვილეში იყო.

სუსხიანმა ჰაერმა გაახალისა. აიგნიდან მოჩანდა უსწორმასწორო სახურავები და მალლა აშვერილი ანტენის ფუნჯები. ეზოში, ძელსკამთან, მეზობ-



ლის ბიჭუნა ფუსფუსებდა. რეზიკო ერთ-
ქვა, მაგრამ სიმსუქნის გამო ყველანი
ბუთხუზას ეძახდნენ. პეტრე სვენებ-
სვენებებით ჩავიდა კიბეზე.

— რასა იქ, ბუთხუზ, როგორა ხარ?

— გმადლობ, კარვად. თქვენ როგორ?
პეტრეს გაელიმა:

— მშვენივრად. ჩვენთან რატომ აღარ
ამოდიხარ?

— დედამ მითხრა ავად არისო.

— ჰო, ცოტა წვავივადმყოფე.

ბუთხუზა, თანაგრძობის ნიშნად,
გვერდით მიუჯდა.

— სწავლა ორ საათზე მეწყება, —
თქვა საქმიანი იერით.

— რუსული ისევ გიჭირს?

— „ოთხი“ მივიღე.

— „ხუთი“ უნდა მიიღო. ამოდი ხოლ-
მე, გამეცადინებ.

— ნუ შეწუხდებით, — დიდივით სე-
რიოზულად უთხრა ბუთხუზამ.

— შენ რაღაც ძალიან დადინჯებულ-
ხარ, ა? — პეტრემ ალერსიანად მოუცა-
ცუნა ლოყაზე ხელი, ჯიბიდან ფოსტის
ყუთის გასაღები ამოიღო და გაუწოდა,
— შენს გაზრდას, ახალი გაზეთები მო-
მირბენინე. უკვე ჩამოივლიდა დამტარე-
ბელი.

ბუთხუზა გაიტკა. ეზოში სიჩუმე
იყო. მოქალაქენი სამსახურებში გაკრე-
ფილიყვნენ. არც პენსიონერები ჩანდ-
ნენ, რომ პეტრეს მათთან საუბრით მო-
ეცხებინა გული. ბექებზე გრძობდა
მცხუნვარებაგამოცლილი მზის სასია-
მოვნო ლამუნს. და შვილი მოენატრა.
ძალიან, ძალიან მოენატრა...

„ნუ შემიცვლი ღამედ დღესა“, —
თქვა ჩურჩულით, — „ნუ შემიცვლი ღა-
მედ დღესა“.

ბუთხუზამ ვაზეთებთან ერთად წე-
რილიც მოიტანა. პეტრემ მაშინვე იცნო
მეგობრის, გიორგი დუმბაძის ხელი. გი-
ორგი ბათუმთან ახლოს, მწვანე კონცხ-
ზე ცხოვრობდა. არც ერთი ფეხი არ
ჰქონდა და ომის შემდეგ, მეთექვსმეტე
წელი იყო, ლოგინიდან არ ამდგარა.

ისევ მოენატრა შვილი. დააპირა ბუ-

თხუზასათვის ეთქვა, — სამსახურში
ურეკე, მოვიდესო, მაგრამ წარმოდგინ-
და როგორ დაიზაფრებოდა ლაღო და
მოერიდა. უცებ, ისეთი სისუსტე იგრძ-
ნო, შეეშინდა: — ვაი, თუ ლოგინამდე
ვერ მივაღწიოო. ძლიეს აიარა კიბე, სას-
თუმაღზე მიესვენა და მთლად მოეშვა,
მოღუნდა. კიდურები დაუმიძიდა.

...კარი უხმაუროდ გააღო თეთრწვერა,
სათნო ბერიკაცმა. ბერიკაცს პურის მთე-
სველის ალალი ხელები ჰქონდა და პეტ-
რემ შეიცნო გამზრდელი ბაბუა.

— მოხვედ?

ეს სიზმარში თქვა პეტრემ. თან იმა-
საც ფიქრობდა, — იქნება მღვდიაკსო.

— მოვედი, მამავ და თვალო.

— არ მეგონე ასეთი.

— როგორი გეგონე? — ჩუმაღ ჰკითხა
ბერიკაცმა.

— მთარული ჩონჩხი — ხელში ცივი
და ელვარე ცელით. ბავშვობიდანვე მე-
შინოდა შენი.

ბერიკაცმა კეთილად გაიღიმა.

— უბირი მხატვრები მხატავენ აგრე.

— როგორ ვცდებოდი... პირველად
რომ გამომეცხადე, მაშინ დავრწმუნდი.
თურმე, კეთილი მეგობარი ხარ, უხმოდ
დადიხარ ჩვენ შორის და მოსვენება და
ბედნიერება მოგაქვს.

და პეტრემ სიზმარი ნახა. სიზმარში-
— სიზმარი: ბერიკაცი დაჩოქილი ლო-
ცულობდა მისთვის. მერმე ხელში აიყ-
ვანა. პეტრე, მთრთოლვარე მკერდზე
ნახად მიიხუტა და ტკბილად, მშობლი-
ურად შოფერა. მათი გულისცემა ერ-
თმანეთს შეეთვისა, ბოლოს კი სულ შე-
ერთდა.

ძლიერმა ბიძგმა გამოარკვია. მიხვდა.
ზმანება იყო, მაგრამ ბერიკაცი ისე სა-
თუთად ეალერსებოდა, რომ გამოფხიზ-
ლება არ გაჰხარებია.

„რა მალე დაღამდა. ლაღო კი არსად
ჩანს“...

საიდანღაც მუსიკა მოისმა. ნაღვლია-
ნი, გაყინული ბგერები თოვლით დაფა-
რულ უსასრულო ველს ეფინებოდა. ნა-
ძვებს ყინულის ლურჯი ლოლულები ეკი-



და. პეტრე მარხილზე იჯდა. მიჰქროდა. ლადო მისდევდა. თოვლი მუხლებამდე იყო, ბორძიკობდა და მინც მისდევდა. მარხილი ბუქში გაეხვია. ლადო წაიქცა, თოვლი უმწეოდ მოპოტნა...

„შვილო“, — დაიძახა პეტრემ, — „შვილო“...

ისევ გამოჩნდა ბერიკაცი, — ტუბილი, სასურველი. პეტრემ მკლავები გაშალა და მთელი არსებით ჩაეკრა მას. საშინელი სიძლიერის შუქი მოვარდა, ყველაფერი გააჩახახახა.

— ოი, ღედა, რა კარგია! — აღმოხდა პეტრეს. სასწაული დამთავრდა.

წიგნი მესამე

ზ ღ მ ა

თავი I

მატარებელი გვირაბიდან გამოვიდა და გაჩერდა. ბაქანზე, საწვიმარიან მენისრეს ყვითელი ალაში ეჭირა, მოწყენილი მზერით უყურებდა ვაგონებს. ლადო სწორედ მის პირდაპირ ჩამოხტა. მატარებლის ბოლოში, ორმა თუ სამმა მგზავრმა ბარკი სასწრაფოდ გადმოიტანა და სირბილით მიაშურა სადგურის თეთრ შენობას. მოაჯირის გასწვრივ ჩარიგებულ მაგნოლიებისა და ევკალიპტების ყანგისფერ ფოთლებში განუწყვეტლად შრიალებდა წვიმა. ასფალტზე, აქა-იქ, მღვრიე გუბეები იდგა. სადღაც ზარი ჩამორეკეს. ელმავალმა იკივლა და მატარებელი დაიძრა. რონოდების ჩაბნელებულ სარკმლებს დილის ძილისაგან გამოუფხიზლებელი სახეები მოჰკვროდნენ. მათ თითქოს თან მიჰქონდათ სითბო და სიმყუდროვე. დროდადრო ჩნდებოდა და ისევ ქრებოდა თეთრ ფირფიტებზე წარწერილი: „თბილისი-ბათუმი“, „თბილისი-ბათუმი“...

ბოლო ვაგონის ჩავლის შემდეგ, ლადო პირისპირ აღმოჩნდა ზღვასთან. შლაგბაუმის ქვეშ გაძვრა და ნავმისადგომზე გავიდა. რომელიც ღრმად იყო შეჭრილი წყალში. ზღვა ყრუდ მსხუოდა. ტალღები აწყდებოდნენ სველ, უკაცრიელ ნაპირს და მოთეთრო კვალს ტოვებდნენ. ცოტა მოშორებით ბეტონის სწორკუთხოვანი დამბები იყო ჩაყრილი. დი-

ლის ნისლში ოდნავ ირჩეოდა კონცხზე გაშენებული ქალაქის სილუეტი.

ზღვა უზარმაზარი იყო. ყველაფერი ირგვლივ, მარადიული სიმწვანით დაფარული წვერწამახული მთები თუ გორაკებზე მიმოფანტული თეთრი სახლები, მასთან შედარებით, სათამაშოებს ჰგავდნენ. მხოლოდ ზღვა არ ჰგავდა არაფერს. ზღვა — თვითონ იყო! წებოვანი, თბილი წვიმა კი ასხამდა და ასხამდა. გაუთავებელი წვიმები აქეთ ხშირად იცის ზამთარში. ამ დროს მიწა, ცა, ადამიანებიც კი, როგორღაც უხილავი სინოტივით იქლინებოდა და მაშინ ზღვისპირეთში ყოფნა აუტანლად მოსაბეზრებელი ხდება, მაგრამ ლადოსთვის ახლა სწორედ ასეთი ვარემო იყო საჭირო. ფიქრში ათასჯერ უთხრა მადლობა რომანოზ ნათენაძეს, რომლის დაყინებითაც გამომცემლობის პროფკომიდან „მწვანე კონცხის“ თორმეტდღიანი საგზური მისცეს და დასასვენებლად გამოაგზავნეს.

შლაგბაუმთან ლაბადიანი კაცი გამოჩნდა, ხელი დაუქნია. ლადო მისკენ წავიდა.

— თქვენ დასასვენებელ სახლში ჩამოხვედით?

— დიახ.

თეიმურაზ ხალაფერიძე
წაუშრილი

— გამოვიცანი! — კაცმა გაიღიმა, — წავიდეთ, ავტობუსი გვიცდის.

რკინიგზა ვადაჭრეს და პატარა მოედანზე, მანქანასთან მივიდნენ. ავტობუსში შოფრისა და ორი ქალიშვილის მეტი არავინ იყო. წინა სავარძელზე გვერდივერდ ისხდნენ. ლადო მათ უკან დაჯდა და შეორთქლილი მინა სახელოთ გაწმინდა.

გამოჩნდა ლურჯად შეღებილი ტირის პატარა შენობა, სასურსათო მაღაზია და კაფე-პავილიონი, რომელიც ბექობიდან გადაპყურებდა ზღვას. ჯერ ადრე იყო და არც ერთი არ გაეღოთ. მხოლოდ განთების ჭიხურთან ფუსფუსებდა შალ-მოსხვეული ქალი. დინჯად გაიარა კულ-ათრეულმა სეტერმა, მაღაზიის კიბეზე ავიდა და მოიკალათა.

მანქანა ასფალტზე თვლების ზუზუ-ნით შეჰყვა აღმართს. გზა ევკალიპტების, მავნოლიების, პალმებისა და კვიპაროსების ხეივანში მიდიოდა. ალაგ-ალაგ ჩაის პლანტაციებიც ჩანდა. ლაბადიანი გამყოლი მგზავრების ვინაობამ დააინტერესა:

— თბილისიდან, ხომ? — ჰკითხა ქალიშვილებს.

ქალიშვილებმა თავის დაქნევა იკმა-რეს.

— რა გაძლებს თორმეტი დღე? — თქვა მერმე ერთმა.

— ვიცოდი ასე იქნებოდა.

— ზამთრობით აქ ჩამოსვლა არ ვარ-გა, — დამნაშავის ღმილით მოიბოდი-შა ლაბადიანმა, — სულ წვიმს და წვიმს. ვერც იბანავებ, ვერც ისიერებ...

— მე მომწონს, — თქვა ლადომ.

ქალიშვილები ერთდროულად მიბრუნდნენ მისკენ, მსუბუქი ირონიით შეათვალეურეს, მაგრამ მაშინვე მიხვდნენ, რომ ეს გაჩეხილშუბლიანი, პირქუში ბიჭი მათი „მაყირის“ ობიექტად არ გამოდგებოდა.

— ბაკურიანში უნდა წასულიყავით, — თქვა ლაბადიანმა, — აი, სად არ მოგეწყინებოდათ.

ბაკურიანი ახლა დიდ მოდაში იყო.

ზამთრის იქ გატარება „კარგ ტრადი-“
ითვლებოდა.

— თქვენც თბილისიდან ხართ? — ჰკითხა ქალიშვილმა ლადოს.

— ჰო.

არ ჰქონდა გოგოების თავი. საერთოდ, არავის თავი არ ჰქონდა ამქვეყნად. ბედზე, ავტობუსმა მოუხვია. ეზოში შევიდა და ორსართულიან, თეთრ შენობასთან დამუხრუჭდა.

— დასასვენებელი სახლი „მწვანე კონცხი“, — საზეიმო იერით გამოაცხადა ლაბადიანმა.

რეგისტრატურის მოსაცდელ დარბაზს წკრიალი გაუდიოდა. კედლები შეინდის-ფრად შეეღებათ, სარკმელებსაც ამავე ფერის მძიმე ფარდები ჰქონდა ჩამოფარებული. ვარეთ მოჩანდა კვიპაროსები, რკინიგზის ლიანდაგი და დამბებით ჩახერგული ზღვის ნაპირი. კუთხეებში სავარძლები იდგა.

ლადოს დიდ ხანს არ დასჭირვებია ცდა. ქალიშვილები მალე გამოვიდნენ რეგისტრატურიდან და მორიგე სანიტარს გაჰყვნენ. ორივე მაღალი და უსაშველოდ გამხდარი იყო. მოდის მიხედვით, თმა ბიჭურად ჰქონდათ შეჭრილი, მუქი წინდები და კაუჩუკის ძირიანი ფეხსაცმელები ეცვათ.

მათ შემდეგ ლადო შევიდა. ქალმა, რომელსაც გაქათათებული თეთრი ზაღალი ეცვა, პასპორტი და საგზური გამოართვა და რალაც ანკეტა შეავსო.

— კარგი ოთახი შეგიჩინეთ, კმაყოფილი დარჩებით, — უთხრა ლადოს და სანიტარს გასძახა, — ერნა, წაიყვანე მე-თორმეტეში!

ოთახი მართლაც კარგი იყო, ნათელი და მყუდრო. ფანჯრიდან ხელის გულივით ჩანდა ზღვა.

— აქ ვინა წევს? — ლადომ სანიტარს მომიჯნავე ლოგინზე ანიშნა.

— ჯერჯერობით არავინ, — უპასუხა ერნამ ღმილით.

ლადომ ახალა მიაქცია ყურადღება. ქალს ჩაღისფერი, ღბილი თმა ჰქონდა;



ოდნავ აპრეხილი ცხვირი მის სახეს მიმ-
ზიდველ, თან ბავშვურ იერს ანიჭებდა.
ლადომ სთხოვა, თუ შესაძლებლობა
იქნეს, ნურავის ჩამომისახლებთო.

— ო! მარტობის მოყვარული ხართ?
— ასე გამოდის.

პალტო ვახიხადა, კარადაში ჩამოკ-
კიდა. პატარა ჩემოდანიც დააბინავა.

ქალი მიანიც არ მიდიოდა.

— რატომ ხართ ეგრე? — ჰკითხა მო-
ულოდნელად.

— როგორ? — ვერ მიხვდა ლადო.

— აი... მოღუშული. ცუდი ხომ არა-
ფერი შეგემთხვათ?

ლადო კიდევ უფრო მოიღუშა. არ უყ-
ვარდა, როცა სულში უფათურებდნენ
ხელბს. მკვახედ შებასუხება დააპირა,
მაგრამ ქალის ხმაც და იერიც იმდენად
გულწრფელი იყო, ვეღარაფერი აკადრა.
ბანზე აუგდო სიტყვა:

— ქართული სულ არ იცით?

— ცოტა-ცოტა, — ქართულად თქვა
ერნამ და გაიცინა.

— უნდა ისწავლოთ. საქართველოში
ხართ.

— ვინ მასწავლის?! აი, თქვენ რამ-
დენ ხანს დარჩებით აქ?

— თორმეტ დღეს.

— მასწავლით?

— თუ შევძლებ, — ლადომ უნებლი-
ედ გაიღიმა.

— შეძლებთ! — მხიარულად თქვა ერ-
ნამ, — გეტყობათ, რომ შეძლებთ! მხო-
ლოდ გაიღიმეთ ხოლმე, კარგი? გიხდებ-
ათ ღიმილი! თუ რამე საწყენი შეგხვ-
დათ, გადაივიწყეთ. აქ უნდა დაისვენ-
ოთ, ვასაგებია? იმხიარულოთ, გაერ-
ოთო.

— ჰმ, გადაივიწყე! ადვილი სათქმე-
ლია...

ლადო საწოლზე ჩამოჯდა.

— ბოდიშს ვიხდი, — გაუბედავად
თქვა ერნამ, — დაისვენეთ. ათ საათზე
საუხმევა.

თავი დაუჭრა და კარი ფრთხილად
გაიხურა. ლადო ტანსაცმლიანი მიწვა,
ერთხანს უსმენდა ზღვის შხუილს, მერ-
მე მკვდარივით ჩაეძინა.

დასასვენებელი სახლი მოსაწყენ სა-
ჩემში თვლემდა. ლადომ ჰიშკარი გა-
იარა და ლიანდაგის მიწაყრილზე ავი-
და. სველი მიწისა და მავშუთის მძაფრი
სუნი იდგა. ზღვის განაპირა ზოლი ტა-
ლახისფერი იყო. რკინიგზა ნავმისადგო-
მისაკენ მიმავალმა შარამ გადაპკვეთა.
იქვე, სემადფორთან ბრეზენტის კაპიშო-
ნიანი მესიერ გრძელტარიანი ჩაქუჩით
საქმიანად ურაკუნებდა ლიანდაგის ქან-
ჩებს.

— გამარჯობა შენი! — დაასწრო ლა-
დოს.

— გაგიმარჯოს.

— საით, ყმაწვილო?

— არსად. ისე დავდივარ.

— ჩამოსულის ხარ, ხომ?

— დიახ.

— იცოცხლე, — უთხრა და საქმე გა-
ნაგრძო.

იმ პატარა მოედანზე, სადაც დილით
ავტობუსი იცდიდა, კაციშვილი არ ჩან-
და. ვაზეთების ჭიხურში შალმოხვეული
ქალი იჯდა. ლადო ტირისაკენ გაემართა.
ტირის გამგეს მისი დანახვა ძველი ნაც-
ნობივით ეამა. ბრგე ვაქაკი იყო, ჭრო-
ლა, ცოცხალი თვალები ჰქონდა. სკამის
გვერდით ყავარჯნები აეყუდებინა. დან-
ლზე დაწყობილ თოფებს პატარა ბიჭი
ელაციცებოდა. სამხედროს ნაქონი ყუ-
რებიანი ქული ცხვირამდე ჩამოფხატეო-
და.

— შეიძლება ვისროლო? — იკითხა
ლადომ.

— აბა, რიზა ვარ მე აქ? — ღიმილით
უპასუხა კაცმა, — ჭოვ, მიეცი ბიჭიას
კაი თოფი!

კედელზე სამიზნეები ჩაემწკრივები-
ნათ: ზევით, — თოჯინები, ირმები, მე-
ლიები. ქვევით — ქალღიშნისა. შუაში
ჩოხიანი და უღვაშებაწკვერტილი კაცი
იყო გამოხატული. შუბლზე ნატყვიარე-
ბი აჩნდა. თოჯინები ცივი, მომლოდინე
თვალეებით იყურებოდნენ. ლადომ ხუ-

თეიმურაზ მაღლაფერიძე
წაუბრკლი

თივე ფუნჯი ქალაღის სამიზნეს ესრო-
ლა. ბიჭმა ფუნჯებგარჯობილი მუყაო
მოარბენინა.

— ხუთიდან ორმოცდაშვიდი! ზოუ-
ლია!

— უწინ უკეთ ვისროდი.

— მიდი კიდევ, — შეაგულნიანა კაცმა,

— დინჯად დუმიზნე, ნუ აჩქარდები.

მეორეჯერ, ხუთიდან ორმოცდაცხრა
იყო.

— სნაიპერივით ისერი, ჭოვ, რა გინ-
და მეტი? პრემიაზე გეისვრი?

ლადო დაინტერესდა:

— რა არის პრემია?

— ეგერ, შამპანური.

— რას უნდა ვესროლო?

— ე, იმ ბურთის თავზე რკინის ლე-
როს ხომ უყურებ? ისე უნდა მიარტყა,
რომე ბურთი დატრუალდეს.

— თუ ვერ მოვარტყი?

— წაგებული ხარ. სამმაგ ფარას გა-
დიხიდი.

ტყვიებად კალის მრგვალი ფისტონე-
ბი იყო. ლადომ გულდაგულ დაუმიზნა,
მაგრამ ააცდინა. მეორედ კიდევ უფრო
მოინდომა, მაგრამ ესეც ასცდა.

— მიეშვი, — უთხრა კაცმა, — ისევე
ფუნჯები ესროლე.

ლადომ მესამედ დაუმიზნა. ფისტონი
მოხვდა ღეროს, ბურთი შეინძრა, მაგ-
რამ რატომღაც არ დატრიალდა.

— ყოჩაღ! — წამოიძახა კაცმა, — ინა-
თიანი ყოფილხარ! ნური, მიეცი საპო-
ნი!

— რა საპონი? — გაუკვირდა ლადოს.

— ასეა, ვინც მოარტყამს, მაგრამ
ბურთს ვერ დაატრუალებს, საპონი ერ-
გება.

ლადოს გაეღიმა და საპონი, რომელ-
ზედაც ვარდიანი ქალი იყო გამოსახუ-
ლი, უკანვე მიუწია.

— ოქნებ სულ არ ტრიალებს ეგ შენი
ბურთი?

— მოგიტა მაჰმუდა ვერძაძე! რავე
გეკადრება, ჭოვ?

თოფი სასწრაფოდ გატენა, ცალი ხე-
ლით შაიპარად დაუმიზნა და ესროლა.
ბურთმა ბზრიალი დაიწყო. როცა გაჩერ-

და, მეორედ ესროლა და ისევე დააბზრი-
ალა. ლადოს შერცხვა, დანახარჯი გადი-
ხნადა, მერმე ნური იხმო, ფული მისცა
და უთხრა:

— გაიქცი, ბიჭიკო, მალაზიაში, კო-
ნიაკი და რამე საქმელი გამოართვი. და-
ვილოცებთ მე და მამაშენი.

მაჰმუდას სახე გაეხადრა:

— რეზა წუხთები, ჭოვ?

მალე დამეგობრდნენ. მაჰმუდა ხალი-
სით უყვებოდა შთისა და ბარის ამბებს.
აღმოჩნდა, რომ ფეხი სტალინგრადთან
ჰქონდა „დათესილი“, ეს პატარა ბიჭიც
მისი შვილი კი არა, შვილიშვილი იყო
და ტირში იმიტომ დაჰყავდა, რომ სა-
მიზნეებზე მორჯობილი ფუნჯები უკან-
ვე მოეტანა.

— ომმა დამაქცია, მარა მიინც ვერ
ვეშვები ამ თოფებს, — ამბობდა სიცი-
ლით.

— კარგი სროლა გცოდნია.

— გაფრენილ სკვინჩას ვადებდი! ახ-
ლა რაღა... ღონეზე კი ვარ მაგრათ.
ერთი მუშაყაცის ოდენი ჭამაც ქე მინდა,
მარა დაკუთებულის ფასი მინც გრო-
შია, აპა!

ნურიმ უბრალო კონიაკი, ყველი, ძენ-
ვი, მუყვე წიწკა და პური მოიტანა.
ეტყობოდა, პირველად არ ასრულებდა
ასეთ დავალებას. დახლზე მარჯვედ გა-
დაფინა ძველი გაზეთი და სუფრა გაშა-
ლა.

— რამდენი წლის ხარ, ნური? — ჰკი-
თხა ლადომ.

— რვაის.

— მერე და სკოლა?

— წელს არ გოუშვი, — ჩაერია მაჰ-
მუდა, — ხომ ხედავ ჩემ გაჭირვებას? გა-
ისაღ მაგის ძამიე წამეიჩიტება და იმას
წევებმარებ. რა ექნა, აპა? გინდა ბაბა-
ია, შკოლაში?

— კი მინდა, — თქვა ნურიმ. ფერ-
მკრთალი იყო.

— შენ აქეთ სტუმრად ხარ, თუ... —
ჰკითხა მაჰმუდამ ლადოს.

— ვისვენებ. თან ერთი კაცი უნდა
ვნახო.



— ვინ კაცია? — დაინტერესდა მაკ-
მულა.

— იქნებ გაგიგონია, გიორგი ღუმბა-
ძე.

— ჩემსავით უფეხო რომაა? რავე არ
გამიგონია, ჭოვ?

— შორს ცხოვრობს?

— აქვეა: რეზა ვინდა?

ლადომ ბოთლს ლუქი შემოატეხა და
გათლილ ჭიქებში ნახევარ-ნახევარი და-
ასხა.

— მამაჩემის მეგობარი იყო.

— რავე იყო, აღარაა თუ?

ლადომ მავნოლეების ხეივანს გახედა.
ზღვა არ ჩანდა.

— მამაჩემი აღარაა.

— ჰოო... გაანათლოს მისი სული!

— მამა და გიორგი ღუმბაძე ერთად
იყვნენ ომში, — თქვა ლადომ, — რო-
გორ არის თუ იცი?

— ნუ მკითხავ, ჩემი ძამიე! რაფერ
იქნება თექვსმეტ წელს ლოგინიდან აუ-
ღგომელი? მე, ავია თუ კაია, ჯოხებით
მინც დავათრევ ძორს. რას იზამ კაცი,
უნდა გაუძლოთ, აბა!

მაკმულამ ჭიქა გამოსცალა, ნურის
მოჰკიდა ხელი და მუხლზე დაისვა. ბავ-
ში მორჩილად მიეხუტა. საიდანღაც
ახალგაზრდა მილიციონერი მოვიდა.
შემიკვინებული იყო. სალაში თქვა და
თვალი კონიაკიანი ბოთლისაკენ გააპარა.

— რეჯებ, ეს კაცი გიორგი ღუმბაძეს-
თანაა, — უთხრა მაკმულამ.

— ეეჰ, — თანაგრძნობით ამოიოხრა
მილიციონერმა.

ლადომ კონიაკი დაუსხა.

— გაგიმარჯოთ, — დაილოცა რეჯები,
— ნათესავი ხართ გიორგისი თუ?

— არა.

— ამის მამა და გიორგი აფხანიკები
ყოფილან, — განმარტა მაკმულამ, —
ჩხუბში ერთად უბრძოლიათ.

— მაგისთანა მეცნიერი და სტავლუ-
ლი ბარე ორი არ დადიოდა თურმე აჭა-
რაში, მარა ახლა რაღაი, — თქვა რე-
ჯებმა, — ასე არაა, მაკმულ?

— მაგი არ ეთქვი, ჭოვ?

— ამ გზას რომ აყობი, მესამე სახლი

გიორგისაა, — უთხრა რეჯებმა, — პირ-
დაპირ ზღვას დასცქერის. დამისხით მაი
კონიაკი კიდევე, თვარა გევიყინე კაცი!

— ჰაი, შე „კუსოჩნიკო“, შენ! — და-
უცაცხანა მაკმულამ, — სულ დაღევაზე
რომ გამოგიყვლებია თვალები, ერთხელ
ყიდევაც მენდომე!

რეჯებმა გადაჰკრა, დაიჭყანა და პუ-
რი და ძეხვი ჩააყოლა.

— კაი, მაცალე ახლა! — შეუღრინა
მაკმულას, — საწყალი გიორგი... მინც
რა უბედურებაა კაცო, ა? ორივე ფე-
ხის დაკარქვას ეხუმრები შენ?

ლადო მიხვდა, მეტ ხანს იქ გაჩერება
აღარ ივარგებდა. პატარა ნური აღდეგ-
რძელა, ჭიქა მოსვა და წავიდა.

ზღვის უსასრულო სივრცეს ნელ-ნე-
ლა ემარებოდა ნოტიო ბინდი. შორს,
კონცხზე სადაც ბათუმი იყო, პირველი
ნათურები აციმციმდნენ. მერმე ზღვის
ჩამუქებულ ჰორიზონტზე აბუქუტდა
ობოლი სინათლე. გემი პორტისაკენ მი-
ეშურებოდა.

თავი III

ლოგინზე წამოწოლილ უცნობს ლუ-
რჯი სპორტული პიჟამა ეცვა. ლადოს
შესვლისთანავე მარღად წამოდგა, ხე-
ლი ჩამოართვა და ვინაობა დაუსახელა:

— რიშარდ ჟურავსკი!

ქვასავით მკვრივი მარჯვენა ჰქონდა.
ცისფერთვალემა, ქალივით ნაზი პირი-
სახის კაცი იყო, ვერაფრით ვერ წარმო-
იდგენდი, რომ ასეთი ენერგიული ხელი
მას ეკუთვნოდა.

გვარმა და სახელმა დააინტერესა ლა-
დო, რადგან პოლონეთისა და პოლონე-
ლებისადმი სიყვარული სტუდენტობის
დროიდანვე მოსდგამდა, მაგრამ არაფე-
რი უთქვამს;

— მ... მშაპატივით, რომ თქვენს დ...
დაუკითხავად შემოვედი პალატაში, —
თქვა ჟურავსკიმ.

— როგორ გეკადრებათ!

თეიმურაზ მაღალფარიძე
წაუარვინი



— დილის მატარებლით ჩ... ჩამოხვე-
ლით?

— დიას.

— მეც. მხოლოდ ჯერ ბ... ბათუმში
წავიდი. საქმე მქონდა.

ენაბრგვილობა, შეიძლება ითქვას,
უხდებოდა კიდეც. ტუჩებს ბავშვივით
ბურცავდა და მიამიტური, გულუბრყ-
ვილო იერი ედებოდა სახეზე. კოჭლო-
ბით მივიდა ფანჯარასთან, გაიხედა.

— აი, ეს ავღარი კი არ მ... მომწონს.

ამჯერად ლაპარაკისათვის იყო განწ-
ყობილი.

— ასე იცის აქეთ, — უხალისოდ გა-
ეპასუხა ლადო. წედან დაღეული კონი-
აკისაგან თავი სტკიოდა და რაკი იმ
დღეს დასასვენებელი სახლიდან წასვ-
ლას აღარსად აპირებდა, მოიბოდიშა
და გახდას შეუღდა.

— წვებით? ასე ადრე? — გაიკვირვა
რიშარდმა, — საღამოს კ... კლუბში ცეკ-
ვები იქნებო.

— არ ვცეკვავ; — ცივად თქვა ლა-
დომ.

ჟურავსკიმ მაგარი, მძივებევით ჩარი-
გებული კბილები გამოაჩინა.

— არც მე. ჩემი ფეხის პ... პატრო-
ნი...

ლადომ ლავრენტი ბედიანის რომანი
„მაკედონელი“ აიღო. ჟურავსკიმაც გა-
ზეთს დაუწყო თვალღერება.

სისხლი გაუშრო ამ წიგნმა. წაიკითხა-
ვდა ათ-თხუთმეტ გვერდს, აეცებოდა
მთომინების ფიალა, საბოლოოდ გადას-
წყვეტდა — თავს დავანებებო, მაგრამ
ახსენდებოდა ვისი დაწერილიც იყო და
ხელახლა უბრუნდებოდა.

წამდაუწუმ ხაზავდა არეებს, კითხვისა
და ძახილის ნიშნებით აჭრელებდა. ბო-
ლოს, ვეღარ მოითმინა, ტკაცანით დახუ-
რა.

ჟურავსკი დაუფარავი ცნობისწადი-
ლით უყურებდა.

— შეიძლება გავიგო, რას კ... კითხუ-
ლობთ?

ლადოს გაელიმა:

— რომანს; მაკედონელის ცხოვრე-
ბე.

— ქ... ქართულად.

— ქართულად.

— მ... მათათით, ვისი დაწერილია?

— არის ერთი; ლავრენტი ბედიანი.

— არ გ... გამიგია, — რიშარდმა მხრე-
ბი აიჩეჩა, — პირველი წიგნია?

— დიას. მაგრამ დაგვიბრდა, მომა-
ვალში მთელ სერიას დაგწერო.

— საინტერესოა.

— შემიძლია გათხოვოთ.

— არა, გ... გმადლობთ, ნუ შეწუხდე-
ბით, — რიშარდმა ზრდილობიანად იუა-
რა და აგრძნობინა — მივიხვდი, რა ტო-
ნითაც მითხარო, მაგრამ ლადო აღარ
უსმენდა. მთელი ყურადღება რიშარდის
პიჯაკისაკენ გაექცა, რომლის ლაცკანასაც
ქართველ მთამსვლელთა ემბლემა, წე-
რაყინველ აღერილი ვეფხი ამშვენებდა.
ვეფხის უკან ორკუთხიანი უშბა ეყუდა.

— ალპინისტი ხართ?

— როგორ გ... გითხრათ, — რიშარ-
დმა თითქოს დაირცხვინა, — მთაში ბე-
ვრი მივლია...

— მაინც სად?

— კავკასიონის მრავალ მწვერვალზე
ავსულვარ.

ლადო მღელვარებისაგან წამოჯდა.

— უშბაზეც?

— არა, უშბაზე არა, — რიშარდმა
დამნაშავესავით გაილიმა და თეთრი,
მაგარი კბილები გამოაჩინა, — ისე
კი, მთამსვლელობა უშბისთვის დ...
დავიწყე. არ გ... გამიმართლა. შარშან-
წინ ზაფხულში, უშბაზე წასვლამდე, ჩა-
ტინზე ვიყავით. სულ უბრალო მ...
მწვერვალია...

— ვიცი!

— საწვრთნელ ვარჯიშებს ვატარებ-
ლით. დ... დამუშებისას ფეხი გ... გავი-
ფუქე და ვინდა გ... გამიმშვებდა უშბა-
ზე? ახლა სულ აღარ მტკივა, ცოტა გკო-
ჭლობ, ეგაა და ეგ. მ... მაგრამ ვატყობ,
ბ... ბიჭები უკვე ჩამოწერილად მთელი-
ან. ამ სეზონზე არც კი შემომთავაზეს
სადმე წასვლა. ერიდებთან ჩემთან ერ-
თად რთული ტრასის გ... გაკეთებას.

უშინათ სათრევი არ გ... გავხდე.
რიშარდმა თავი ჩაჰკიდა.
— რას იზამ, არც ვ... ვამტყუნებ.
ცისფერ თვალბში ისეთი ნაღველი
ჩაუგუბდა, რომ ლადო აშკარად მიუხე-
და გულსტიკვილის სიგრძე-სიგანეს.
— მეც მინდოდა უშმაზე ასვლა, —
თქვა თავისთვის.
რიშარდმა ყურები სცქვიტა. ოდნავ
კოჭლობით გაიარა, სკამი აიღო და სა-
წოლთან მიუჯდა.
— რადარა მ... მწვერვალბზე ყოფი-
ლხართ?
ლადო გვიან მისწვდა შეკითხვის აზრს,
ხელი ჩაიქნია.
— მაგას რა მნიშვნელობა აქვს!
— ძალიან დიდი, — მთელი სერიო-
ზულობით უპასუხა რიშარდმა.
— მხოლოდ სტუდენტურ ალბინია-
დებზე ვყოფილვარ.
— ოო, ვერ შეიძლება!
ლადომ, თითქო რამე ღრმად შეუბრა-
ცხმყოფელი მოესმინოს, იწყინა. წამო-
ენთო, შუბლი შეიკრა.
— შევიძლება!
— ვერა! — რიშარდი ისე იღიმებოდა,
თავნება, მაგრამ საყვარელ ბავშვს რომ
გაუღიმებენ ხოლმე, — ვერა! უშმა
სხვია!
ლადო უფრო გაღიზიანდა.
— თქვენ შეიძლება?
— მე ნავარჯიშევი ვარ. ახლაც ვ...
ვარჯიშობ. მაინც მ... მეშინია, — თქვა
დინჯად.
ლადო შინაგანმა კანკალმა აიტანა.
ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქო ცინუ-
ლის დანებით უსერავდნენ გულგვამს.
გამწარებული კაცის სიჯიუტით მოუწ-
და ახლადგაცნობილი მთამსვლელისათ-
ვის, რომელიც უშმას ედავებოდა, თა-
ვისი ძალა თუ უძლურება ეჩვენებინა.
ტრუსების ამარა წამოხტა, წყლიანი
გრაფინი ფანჯრის რაფაზე გადადგა, ნი-
დაყვით დაებჯინა მაგიდას და დაიძახა:
— აბა მოდი!

— ვითომ საჭიროა?
— მოდი! — მოუთმენლად გაიმეორა
ლადომ, — მოდი!
— ვთქვით გ... გადამიწიეთ, მერე?
რას დაამტკიცებთ ამით? — მშვიდად
ჰკითხა რიშარდმა.
— არაფერს.
— მე რომ გ... გადაგიწიოთ?
— არ გვინდა ლაპარაკი. მოდი!
რიშარდმა ცისფერი თვალბი მკაც-
რად მოჰკურა. უსიტყვოდ დაეყრდნო
მაგიდას. ხელები მარწუხებებით ჩაფ-
რინდნენ ერთმანეთს. ლადოს მტევანი
ფართო იყო, მოიმწყვდია რიშარდისა.
სამაგიეროდ, უურავსკის ქვასავით მაგა-
რი და სოლივით წამწვეტილი ხელო
ჰქონდა. დაიჭიმნენ, დაიძაგრნენ, კუნთე-
ბი დაეზურკათ და აუთახთანდათ. ლა-
დო მთელი ძალით აწვებოდა და რამ-
დენჯერმე კიდევ გადახარა რიშარდი
მაგიდასაყენ, მაგრამ უურავსკი ნელა,
ჯიუტად აღიდგენდა ხოლმე წონასწო-
რობას. ახლა მან დაიწყო შეტევა. გაუ-
ჭირდა ლადოს. შუბლზე ჰირის ოფლი
გადაასკდა. კბილები დაკრიჭა, იძალა და
ნახევრამდე გადაწვნილი მკლავი ისევ
გაასწორა. ორივენი მთელი სხეულით
ძაგძაგებდნენ. რიშარდი მთლად გათეთ-
რდა სახეზე. მაინც იღიმებოდა. და
უცებ, შეთანხმებულებივით უშვეს ერ-
თმანეთს ხელი და წელში გაიმართნენ.
— ფრე! — წამოიძახა რიშარდმა.
— მომიცდის ჩემი უშმა! — ყრულ
თქვა ლადომ.
რიშარდს კეთილად, მეგობრულად
გაეღიმა, ცისფერ თვალბში სხივი ჩაუ-
ღება.
— არც მე ვკარგავ იმედს!
ლადოს რატომღაც თემრავ გაახსენ-
და. აშკარად დაინახა მისი ნაღველიანი
სახე. ზის ალბათ ბუხართან, უკრავს
ჰუნირს და გაბზარული ზმით ღიღი-
ნებს: „ვოი, დედემ — დედემ, მირა-
ნგულა და“... „მეც მინდოდა უშმაზე
ასვლა“, — თქვა მან ერთხელ.

თეიმურაზ მალაფერიძე
წყუხრილი

— ყოფილხართ სვანეთში? — დაარღვია სიჩუმე რიშარდმა.

ლადომ სახეზე აიფარა ხელები.

რიშარდი საგონებელში ჩავარდა. ვერ მიმხვდარიყო რა აწვალებდა ამ ბიჭს? რა ტყვილი ღრღინა? შუბლის ნაიარევს დაადგა თვალი.

— შეგემთხვათ რამე? — ჰკითხა თავანგრძნობით.

— არაფერი! ლადო გამოერკვა, უხერხულად გაიღიმა, — მანატრით, პატარა ბიჭვივით მოვიქეცი. რაღა დროს ჩვენი ძიძვილაობაა?

— როგორ თქვით? მ... მომიცდის ჩემი უშბო?

— დიახ.

— სწორია! არასოდეს არ არის გვიან; — ლადოს შეჰღიმა, — აი, გავიცანით კიდევ ერთმანეთი.

კარზე მორიდებულად დააკაქუნეს. ლადომ სწრაფად მიაშურა ლოგინს, საბანი გადაიფარა. ერნა იყო.

— შეიძლება? — იკითხა და პასუხს აღარ დალოდებია, ლადოს საწოლთან მივიდა:

— თქვენ რა, ავად ხართ?

თბილი ხმა ჰქონდა, მოალერსე. ლოყაზე მიადო ხელი, — სიცხე ხომ არა აქვსო. სასიამოვნო იყო მისი გრილი მტეფენის შეხება.

— ვისვენებ, ერნა.

— მე კი შემეშინდა. უნდა ადგეთ, საცაა ვახშამი იქნება.

— უკვე გეახელით, — უთხრა ლადომ, — მაჰმუდა ვერძაძესთან. ტირის გამგეა.

— ა, ცალფეხა? კარგი კაცია, არა?

— მაგრად გაუწვალებია ცხოვრებას...

— რას იზამ! უნდა გაუძლო, ესაა საქმე, — ერნა ახლა რიშარდს მიუბრუნდა, — მოგეწონათ პალატა?

— ძალიან.

— იცით, რა მითხრა ამ ახალგაზრდამ? აქ ნურავის შემოუშვებთო, მართლობა მიყვარსო, — ერნამ გაიცინა, — აღამიანები მართლობას გაურბიან, ეს კი დაეძებს. უცნაურია!

ისე მზიარულად, უდარდელად ლაპარაკობდა, იფიქრებდი მთელმხსნელად ხლეკისკისა და ქლურტულში გაუტარებიაო.

ლადომ ყურავსკის ყურადღებიანი მხერა დაიჭირა. „აშკარად დარტყმული ვგონივარ“...

— აბა, ადექით, ადექით! — თქვა ისევ ერნამ.

— მართლა არ მშია, ერნა.

— ერნა, ვითომ გაბრაზდა. შუბლი შეიკრა.

— რამდენი წლისა ხართ?

— ოცდაშვიდის.

— თქვენ? — ჰკითხა რიშარდს.

— ჩემი ხნის ქვეც აღარ დაგორავს, — რიშარდმა ქათქათა კბილები გამოაჩინა, — ოცდაათის.

— მე ორივეზე უფროსი ვყოფილვარ. ამიტომ, ჩემი სიტყვა კანონია, ადექით!

ლადოს მართლა მოენატრა მარტობა. თვალები მილულა.

— ბოდიშს ვიხდი, რომ გ... გეკითხებით, მაგრამ ეხედავ რაღაცა გაუწხებთ, მოულოდნელად წამოიწყო რიშარდმა, იქნებ შემიძლია დახმარება? ა?

— ხმა გულწრფელი იყო. ლადოს თვალები არ გაუხელია.

— მამა მომიკვდა.

— ოო!.. დიდი ხანია?

— წადით, ივანშმეთ. ძალიან ვთხოვთ, წადით.

თავი ბალიშში ჩარგო. რიშარდი და ერნა ერთ ხანს ჩუმად იყვნენ, მერმე რიშარდმა პიჯაკი შემოიციცვა და უხმოდ მიაშურეს კარებს. ლადო იწვა გარინდული, უსმენდა ზღვის ყრუ მხეილს და გული ემსჭვალებოდა ბოლომდე გაურკვეველი, გამთანგავი ფორიაქით. ახლა მარტო იყო იგი, ზელს არავინ უშლიდა გაეაზრებინა, რაც მის სულში ხდებოდა. იგრძნო: — დამდგარიყო საკუთარ თავთან ანგარიშსწორების ეამი და პირველად ეს გაიფიქრა: აღარ შემიძლია ასე უფორმო, დინებას მინდობილი ცხოვრებაო. „აღამიანები მართობას გაურბიან, ეს კი ეძებს“, — მოა-



გონდა ერნას ნათქვამი. არა, ლადო არ ეძებდა მარტოობას. პირიქით, ლადოს არ შეეძლო მარტოობა. ლადო გაწამდა მარტოობით და არ იცოდა რით ეშველა თავისათვის. იგი მხოლოდ მაშინ იყო გაწონასწორებული, როცა მარტო არ იყო, როცა ასე თუ ისე, ერკვეოდა თავის თავშიც, ადამიანებშიც და გარემოშიც. ახლა კი, აშკარად ხედავდა, რომ აბნეულად, ერთმანეთის მოწინააღმდეგე სურვილებით არსებობდა. და შეუბრალებელი სიცხადით წამოიჭრა კითხვები— „რაშია ცხოვრების აზრი? რა გამართლება აქვს ჩემს ყოფნას? უნდა ვეძებდე, თუ არაფერია საძებნი? რა არის სწორი და რა —ბრუნდი? რა გავაკეთოთ ისეთი, რომ უკვალოდ არ გავქრე?!“.

ეს კითხვები დაჟინებით, ჯიუტად თბოულობდნენ პასუხს და წყურვილი, შეცნობის წყურვილი აზრჩობდა ლადოს! წყურვილი აზრჩობს ადამიანთა მოდგმას გაჩენის დღიდან მოაქვამამდე, მაგრამ წყალწმინდა ბინული ერთადერთია ამქვეყნად და თანაც ისე ძნელად მისადგომი, რომ ადამის თესლის დიდი ნაწილი თავს აღარ იტყობს მისი ძიებით.

ლადოს გული უგრძობდა, საღდაც ახლომახლო დიოდა ცინცხალი ბინული, მაგრამ ვერასოდეს იგემებდა მის ციურ ცვარს თუ საკუთარ თავში არ იპოვნოდა ძალას, რომ ბოლომდე ეძებნა ბინულისაკენ მიმავალი გზაწვრილი. მხოლოდ მაშინ განიხვნებოდა მის წინაშე კამკამა, ლურჯი წყაროს-თვალი. მხოლოდ მაშინ!

თავი IV

ლადომ ტრიფოლიატის დობეში დატანებული ჭიშკარი მორიდებით შეალო. კიბის ქვემოდან თეთრი ფინია გამოხტა და თავგამოდებით აყვდა. აივნამდე მოასფალტებული, ვიწრო გზა გადიოდა. გზის ორივე მხარეს მანდარინის ხეები იდგა და ფოთლებდაცვენილი ვაზის თალარი იყო. აივანზე ქალი გამოჩნდა. მიდრეკილი მზის სხივე-

ბი თვალეში სცემდა. ხელი მოიჩრდილა და დაიძახა:

— რომელი ხარ?

ლადომ არ იცოდა რა ეპასუხნა, ჩუმად უყურებდა. ქალმა მარად ჩამოიარა კიბეები, ფინიას დაუტია და მისკენ გამოემართა. შავები ეცვა, გამხლარი იყო.

„ალბათ ცოლია“...

— ვინ გნებავთ?

— გიორგი ღუმბაძე აქ ცხოვრობს?

— გიორგისთან ხართ? მობრძანდით, ბატონო, მობრძანდით, თქვენი ჭირიმე, აივანზე აუძღვა, სკამი გამოუტანა, ბოდიში მოიხადა. „ერწამას“ გიორგის დავხნე და გეახლებითო და გაქრა. სახლი მალეობზე იდგა. მოჩანდა ზღვა, მისი რიტმული მხუილიც ისმოდა.

ქალი მალევე გამოჩნდა და ღიმილით, რომელიც სახეს უახალგაზრდავებდა, ლადოს ოთახში შეუძღვა. ჭიანჭველებურ ყაიდაზე მორთული სასტუმრო. გიორგი მომიჯნავე ოთახში იწვა. ლადოს მღელვარებისაგან სიტყვა გაუშრა, ღუმილით ჩამოართვა ხელი და შეუპატიებლად დაიმუხლა სკამზე. უეცრად, გიორგი წამოიწია:

— პეტრეს ბიჭი ხარ?! — და ლადო მის მკლავებში აღმოჩნდა. ქალი კარებთან იდგა. წინსაფრის ყურით იშვრალეზდა ცრემლებს.

— ხედავ, ლატი, ჩემი პეტრეს ბიჭი გვესტუმრა, — გაპზარული ხმით უთხრა გიორგიმ.

ქალმა გულზე მიიხუტა ლადო.

— მოგიკვდეს ბიცოლა!..

ლადო მთლად დამუნჯდა. არასოდეს ისე არ მონდომებია ხმამაღალი ქვითინი, როგორც ახლა, მამის მეგობრის ოჯახში. მართლა რომ არ ატირებულყო. წამოდგა, ზღვას გაჰხედა. ჰორიზონტიდან ნაპირამდე მზის ოქროსფერი, ლივლივა ბილიკი იყო გავლებული. თავს ძალა დაატანა და საუბარი წამოიწყა:

თეიმურაზ მაღალაფრიძე
წაშრილი



— როგორ ბრძანდებით, ბიძია გიორგი?

— საუცხოოდ, საუცხოოდ. — აჩქარებით უპასუხა გიორგიმ.

მართლაც, გადასკვნილ წარბებს ქვემოდან უბეებმეჩხვებულ თვალები ფიქრანად, მაგრამ მხნედ იცქირებოდნენ. პირი სუფთად გაეპარსა. შეთხელებული, ტალღოვანი თმა და მალალი შუბლი ჰქონდა.

— დაჯეჩი, ბიცოლა გენაცვალა, რატომ დგეხარ? — ფატიმ სკამი მიუწია ლადოს.

— მიაბზე შენი ამბავი, — უთხრა გიორგიმ, — აქეთ როგორ მოხვდი?

— უბედურების შემდეგ..., — ლადოს ყელში გაეჩხირა სიტყვა, — სამსახურში ამიტყდნენ, დასვენება გჭირდებაო. უარი არ გამივიდა.

— ნამეტანი კარგად მოქცეულან! სად გაჩერდი?

— დასასვენებელში. საგზური მაქვს.

— რად გინდოდა, ბიჭო, დასასვენებელი სახლი, აქ ვერ მოხვდი? ტყუილდაა ამოდენა ბინა, შვილი მე არ მაწუხებს და ძირი.

— მომერიდა, ბიძია გიორგი.

— ა! შეხედეთ ახლა ამას! ფატი, გეყურება?

— უიშე, შვილო, მაგ რა მოსარიდებელია, ბიცოლა? გადმოიტანე თუ რა-მე ბარგი გაქვს და სანამ არ მოგბეზრდება, იყავი აქ. მჭადს და ყველს არ მოგაკლებთ და, სხვაზე ნუ დაგვემღურობი.

— გმადლობთ, ფატი ბიცოლა.

— სამადლობელოდ კი არ გეუბნები, შე კაცო.

— გაჩუმდი, ქალო ბიჭის ცოდვა გინდა დაიღო? რა უნდა ჩვენისთანა გადაყრუებულ ბებრებთან? — გიორგიმ თვალი ჩაუკრა ლადოს, — იქ ურჩევნია, გაერთობა, გულს გადააყოლებს. ა, არა?

— როგორც გერჩიოს, დედა — შვილო.

შეხვედრის პირველი წუთების დაძაბულობამ მალე იკლო. ლადოს ისეთი

შეგრძნება ჰქონდა, — ეს ოჯახი, ეს კი არ გავიციანი, სულ ვიცნობ, რაც თავი მახსოვსო.

— ასე უცებ როგორ მიციანთ, ბიძია გიორგი?

— მაშინვე! შეგხედე თუ არა, მაშინვე! ფატი, შენ ვერა, ხომ?

— ვერა, მე სასიკვდილემ. რას წარმოვიდგენდი?

— ამას არც მე ველოდი, თუ პეტრეს ვაქს აქ ენახავდი, — გიორგის სიხარულის სხივი უთამაშებდა თვალებში, — კაი ბიჭი ხარ, რომ მომიგონე, კაი!

„ჩემო პეტრეო“, — ისე ბუნებრივად და სიყვარულით ამბობდა, ლადო ძლივს იკავებდა ცრემლებს: უნდოდა ეამბნა, მამის სასთუმალთან მისი გაუხსნელი წერილი რომ ნახა. წერილი, რომლის წაკითხვაც აღარ დასცალდა პეტრეს, მაგრამ მოერიდა: იცოდა, ზედმეტად აღელდებოდა გიორგი.

— მომიყვივი... ეწვალა?

ლადოს ყრუანტელმა დაუარა.

— არ ვიცი. არაფერი ვიცი. ვერ მივუსწარი.

— ავაი, ნენა! — აღმოხდა გიორგის.

— გიორგი, ნუ გენაცვალე, — უთხრა ფატიმ, — ცუდად შეიქნები.

— ჰო, კაი, კაი, — გიორგიმ ცრემლები მოიწმინდა, გაიღიმა, — შენ იცი, როგორ სადილს მოგვიმზადებ. ა, ლადო, თითო ბოთლი „აღესა“ მართლაც მოგვიხდება ახლა მე და შენ. ისე, ღვიწხოს როგორ იტან?

ლადომ გაუღიმა:

— არა უშავს...

— კი დაგათრობს და! — გამოაჯავრა ფატიმ.

— არა, აპ! შენც არ მომიყვდე! მომიყვანოს თავისი ამხანაგები, ისე გავუშვებ, შვილი დედას ვერ ცნობდეს. აბა!

ფატის გაეცინა:

— კი მარა, ქადილი რომ არ იცოდი?

— ჰე, მიდი ახლა, მიდი, დროზე მიხედე საქმეს. — უთხრა გიორგიმ და როცა ფატი გავიდა, ლადოს მიუბრუნ-

და: — მიფრთხილდება. ვერ შევავანე-
 შინე, რომ ბებერი მგელი ვარ და ზოგ-
 ჯერ თუ გრძნობებს ავყვები, ეს კიდევ
 არ ნიშნავს პოზიციების დათმობას!

მსუბუქი, მხიარული განწყობილება
 თითქო ფატიმ წაიყოლა.

— ყველა მეგობარი შემომეცალა-
 ზოგი ომმა ჩაყლაპა, ზოგი ცხოვრებამ
 მოინღლა. ერთი მამაშენილა მეგულე-
 ზოდა...

გიორგიმ ტუჩები მაგრად მოკუმა.
 ქათქათა ბალიშზე იყო მისვენებული.
 გახამებული თეთრი პერანგი და კაკა-
 ოსფერი ნაქსოვი ყილეტი ეცვა; ოთახ-
 ში მიხლოდ მისი საწოლი და მაგიდა
 იდგა, რომელზედაც უამრავი დაგორ-
 გოლავებული თეთრი ქალაღი, ალბათ
 ნახაზები, ეწყო. საწოლის თავზე წიგ-
 ნებით გამოტენალი თაროები ჭერამდე
 აღწევდა. წიგნების უმეტესობა ტექნი-
 კური იყო, თანაც ინგლისურ ენაზე, და
 ლაღოს მათი არაფერი გაეგებოდა. კუ-
 თხეში, რადიომიმღები ისე იდგა, რომ
 თავისუფლად მისწვდომოდა. მიმღების
 თავზე ანშტაინის სურათი ეკიდა. ფა-
 ტი შემოვიდა:

— წამოდი, ბიცილა, ღვინო ამოვი-
 ლოთ, თუ არ შეწუხდები;

— ე, ბიჭო, არ დაგათროს ჭურის თა-
 ვზე, — წაეხუმრა გიორგი.

ლაღო სიამოვნებით გაჰყვა. უხარო-
 და, რომ შინაურულად მიიღეს ოჯახში.
 ამის გამო, თვითონაც თავისუფლებას
 გრძნობდა.

ჭვევრები ბულოს ძირში იყო ჩაყ-
 რილი, ჭსთან. ჭის ოწინარზე ჯაჭვგა-
 შობმული ვედრო ეკიდა. ფატიმ აყალო
 შიწით მოგოზილი სარქველი ხის ნიჩ-
 შით ახზადა. მზის სუსტ შუქზე ღვინო
 მუქად აკიაფდა. ფრთხილად ჩაუყო კო-
 პე და სველსველი მიაწოდა ლაღოს.

— გასინჯე, გიორგის სახელზე მაქვს
 დაწურული.

ლაღომ დალოცა და მოიწაფა. აღის-
 ფერი, შუშუნა „ადესა“ იყო, სანამ არ
 ვამოცალა, ვერ მოიშორა. ფატიმ ისევ
 აავსო.

— შენს ჩამოსვლას გაუმარჯოს ბი-

ცილა... ღმერთო, გიორგი მიმყოფე
 კარგად...

აუჩქარებლად მოსვა. ჭანისკის უსინ-
 ჯავდა.

— არაა ურიგო! ქალის ნახელავ ღვი-
 ნოს რა მადლი უნდა ქონდეს, მარა
 მაინც.

ლაღოს უნდოდა რამე მხიარული,
 გამამხნევებელი ეთქვა, პირიქით კი
 გამოუვიდა.

— შიმე ტვირთი გაწევთ, ფატი ბი-
 ცოლა.

— ტვირთს ვინ ჩივა, შვილო, ორ ამ-
 დენს გავუძლებ, ოღონდ გიორგის არ-
 აფერი გაუჭირდეს. ამ ბოლო დროს,
 ნერვიულობა დაჩემდა, გულიც ვერა
 აქვს კარგად. ესუმრები?

ლაღო ნაღვლიანად ჩასტკეროდა ჭუ-
 რში არეკილ თავის სახეს, რომელიც
 კოპეს ყოველ ჩაყოფაზე იშლებოდა
 და მერმე ისევ ჩნდებოდა.

— შარშან რაღაც სპეციალური საინ-
 ქინრო წიგნი თარგმნა ინგლისურიდან.
 გადაყვა, დღედაღამე შრომობდა. უკვე
 დაუდეს ხელშეკრულება, წელს უნდა
 გამოვიდეს. ახლა მთელი აჭარისტანის
 ზღვასაცავე ზოლის პროექტს ადგენს.
 თუ სიტყვამ მოიტანა, შეუქმე ბიცილა
 გენაცვალა, ხალისი მოემატება. ხა-
 ლისი ბევრს ნიშნავს ასეთ მდგომარეო-
 ბაში...

სავსე ღოქი გვერდზე გადადგა.

— თუ გამოგო ამაზე რომ გელაპა-
 რაკები, მომკლავს!

ლაღო გაკვირვებით და აღტაცებით
 შეჰყურებდა ამ სუსტ და ვალეულ
 ქალს, რომლის გაცრეცილი სახესაც
 მოუშორებლად ანათებდა რბილი, სი-
 კეთით სავსე ღიმილი. აღარ იცოდა
 რით გამოეხატა მადლობა. ფატიმ და-
 მხობილი გოდრის ქვემოდან ფეხებგაყ-
 რული ქათამი დაითრია და წაღღთან
 ერთად შეაჩჩა:

— ა, ბარემ ესეც დამიკალი და თა-
 ვისუფალი ხარ.

— არაა საჭირო, ბიცილა.

თეიმურაზ მაღალაშვილი
 წყუბრილი

— დროზე ქენი, გაცივდა გასაბუტავი წყალი, — ფატიმ კუნძზე ანიშნა, — ე, იქინე შეიძლება.

ლადომ უმწეო ღიმილით დახედა წალღსა და აკრიახებულ ქათამს.

— არ შემიძლია.

— რა, ბიცოლა, რა არ შეგიძლია?

— ვერ დაკვავ. ჩემს სიცოცხლეში არაფერი დამიკლავს.

— უი, შენ კი რა გითხრა! — ფატიმ წალდი გამოართვა, ქათმის კისერი კუნძს უმარჯვა და ერთი მოქნევით წააცალა თავი. — გათავდა! კაცის დაკლულს სხვა გემო აქვს, თორემ მაგის დაკვლას რა უნდა?!

ლადომ დოქს წამოავლო ხელი.

— ამოხაბეთ ჭური, თუ რააა? — შეეგება გიორგი.

— დიდებული ღვინო გქონიათ!

— ფატის დაწურულია, — ამაყად თქვა გიორგიმ, — მირონის ქალი მყავს, მირონის.

ფატიმ ტაბლა შემოიტანა, მერმე ცხელ-ცხელი კეცის მჭადი, ბადრიჯნის საცივი, ტყემლის საწებელა და ჩვილი ყველი მოაყოლა. მალე დაბრუნული ქათამიც ვაჩნდა. ღვინოს ბროლის მალა ჭიქებში ასხამდნენ. გიორგი თამაღობდა. პირველად დიასახლისის სადღეგრძელო თქვა:

— კარგად იყავი, ფატი, ვაგეძლოს...

— ასე იცის სულ, — შესჩივლა ფატიმ ლადოს, — კარგად იყავი, ვაგეძლოს, და მორჩა. ერთხელ მაინც მი-თხრას ლამაზი სადღეგრძელო, შემამკოს — ასეთი ხარ, ისეთი ხარო, რა უჭირს აწი? ფარას თხოვენ სიტყვაში თუ?

გიორგის გაეცინა.

— შემკობა მოგინდა, ბებერო?

— რეიზა არა, აწი?! სწორედ ბებერს უნდა შემკობა, თორემ ახალგაზრდა ისედაც შემკულია.

— მე შეგამკობთ ფატი ბიცოლა, — უთხრა ლადომ.

— კი ბიცოლა, შენ მაინც ვამახარე.

— მხოლოდ არ ვიცი, როგორ გი-

თხრათ..., — ლადო დაბნეულად იღიმებოდა.

— შენც დაგება ენა, ხომ? — ფატი ვითომ გაგულისდა, — რას იზამ, ასეთი ყოფილა ჩემი ბედი.

ლადომ მისი გამხდარი, ძარღვიანი ხელი ფრთხილად აიღო და აყოცა.

— კარგად მყავდე, შეილო, მადლობელი ვარ.

მერმე, პეტრეს ხსოვნისა შესვეს. გიორგი ჩაფიქრებული ატრიალებდა ხელში ცარიელ ჭიქას, თან წვრილად ეკითხებოდა ლადოს მამის უკანასკნელი დღეების ამბავს. უმნიშვნელო დეტალებიც კი აინტერესებდა... ლადო ჭირის ოფლში იღვრებოდა, სიტყვებს ძლივსძლივობით აბამდა ერთმანეთზე, მაგრამ სადღაც, შიგნით იმასაც გრძნობდა, რომ გულს უქარებებდა ეს საუბარი.

— მაშ, რისთვის ვიცხვოვრე, რა გავაკეთო? — თავისთავს ჩაეკითხა გიორგი.

— ძალიან აწვალებდა ეს კითხვები.

— შემოდგომაზე ბარათი მომივიდა. იქაც ამ კითხვებს უტრიალებდა. მე ვუბასუხე, — მთავარი აზრი დაგაკარგვია-მეთქი.

— მაგ ბარათის წაკითხვა ველარ მოასწრო.

— მთავარი აზრი! უმაგისოდ, ცხოვრება არსებობად იქცევა, ჩემო შეილო, — თქვა გიორგიმ, — მხოლოდ არსებობა კი, ჭირზე უარესი ჭირია!

— რა არის მთავარი აზრი, ძია გიორგი? — ლადო შინაგანად დაიძაბა.

გიორგიმ მოქანტული, ჭკვიანი თვალები მიაპყრო:

— უნდა ეძებო;

— როგორ?

— ყველა თავისებურად ეძებს!

— თქვენ როგორ მისწვდით?

— სისხლის წვიმები გავიარე, თვითონვე ხედავ:...

— მითხარით, ბიძია გიორგი, — ლადოს თხოვნა გამოეხატა სახეზე, — თქვენი მთავარი აზრი მითხარით!

— საქმე, ჩემო შეილო! გახსოვს, ფაუ-



სტი ამბობს: — დასაბამით იყო საქმეო!
 — მახსოვს.
 — და სიყვარული!
 — ?!
 — აი ისეთი, აინშტაინს რომ ჰქონდა,
 — გიორგიმ მისი სურათისკენ აიშვირა
 ხელი;
 — წყურვილი! — სიხარულით თქვა
 ლადომ;
 — ჰო, უნდა გწყუროდეს საქმე და
 სიყვარული! — თქვა გიორგიმ, — მა-
 შინ ყველაფერი გასაგები იქნება!
 ლადომ ჭიქას წამოავლო ხელი;
 — გაუმარჯოს სიყვარულს და საქმეს,
 ბიძია გიორგი! წყურვილს გაუმარჯოს!

თავი V

დასასვენებელი სახლის კლუბი გა-
 ჩაჩახებული იყო. მაგნიტოფონი სა-
 ცეკვაოებს უკრავდა. ჯგუფ-ჯგუფად,
 ზმამალაღი ლაპარაკითა და სიცილით
 შემოდრიოდნენ დამსვენებლები და კედ-
 ლების გასწვრივ ჩარიგებულ სკამებ-
 ზე ადგილებს იკავებდნენ. ქალების უმ-
 რავლესობას ხელოვნურად დახუჭუ-
 ქებული თმები ჰქონდა. კაცები დიდნა-
 სკვიანი პალსტუხებით, მოდიდან გამ-
 ოსული გრძელი პიჯაკებითა და უსაშ-
 ვლოდ ფართო შარვლებით გამოირჩე-
 ოდნენ. მოვიდნენ თბილისელი ქალიშ-
 ვილები, ზეინაბი და თათია, ლადოსთან
 ერთად რომ იმგზავრეს ავტობუსით.
 ორივეს ვიწრო, გვერდზე შეჭრილი
 ზუკლეს ქვედატანები, მამაკაცის პერან-
 გები და კაუჩუკის ძირიანი ფეხსაცმე-
 ლები ეცვათ. ავდებულად შეათვალიე-
 რეს დამსვენებლები, რიშარდისა და
 ლადოს გვერდით დასხდნენ და შავწი-
 ნდიანი მუხლისთავები ზომავზე მეტად
 გამოაჩინეს. ზეინაბი, ოდნავ, ჯინა ლო-
 ლობრივიდან წააგავდა. ეს თვითონაც
 იცოდა, მაგრამ ისე იქცეოდა, რომ
 სხვებს ეფიქრათ: — გარეგნობას მნიშ-
 ვნელობას არ ანიჭებსო. მუხლების გა-
 მოჩენაც ამას ნიშნავდა: ვიცი, ქალი
 სხვანაირად უნდა იჯდეს, მაგრამ ვილა-
 ცის მიერ შემუშავებული პირობითობა

ჩემზე არ მოქმედებსო. ლაპარაკისა და
 ქცევის კატეგორიული, გამომწვევი გე-
 ნერა ჰქონდა.
 — ძაან ჭაჭები არიან, არა? — მიმა-
 რთა რიშარდს და დამსვენებლებზე ან-
 იშნა.
 რიშარდი დააბნია მოულოდნელმა
 კითხვამ, დაიმორცხვა.
 — რა... ატომ? ა?
 მაგნიტოფონი ახლა „მარუჩელას“
 უკრავდა. დარბაზში წყვილები ირეოდ-
 ნენ. ტევა აღარ იყო. თათიას გადაჭარ-
 ბებული მოწიწებით მიეახლა დასა-
 სვენებელი სახლის კულტმუსიკა და
 სთხოვა: — ვიცეკვოთო. თათია მაშინ-
 ვე გაპყვა. თხელი, უნაკეთო ტანი ჰქონ-
 და.

— ეს შუბლგაჩეხილი თქვენი ამხა-
 ნავია? — ისევე წამოიწყო ზეინაბმა.
 — აქ გ... გავიცანი.
 — აა!
 — ძალიან კ... კარგი ბიჭია, — დაუ-
 მატა რიშარდმა, თან უხერხული ღიმი-
 ლით გაჰხედა ლადოს — არ გაიგონო-
 სო, მაგრამ ლადო მოცეკვავეების ყუ-
 რებით იყო გართული.
 ამ დროს, ერნა გამოჩნდა. ლურჯი,
 სადა კაბა ეცვა, თმა საგულდაგულოდ
 ჰქონდა დავარცხნილი. ლადო გაახარა
 მისმა დანახვამ, ძალიან გაახარა.

— ვიცეკვოთ? — მხიარულად ჰკით-
 ხა ერნამ.
 თვლებში შესციცინებდა და ამან
 მთლად აურია ლადოს თავგზა. იზიდა-
 ვდა ეს ქალი.
 — ცეკვა არ ვიცი, ერნა.
 — მე ვასწავლით.
 — არა!
 „რა უცნაური ბიჭია!“ — გაიფიქრა
 ერნამ.
 — მაშინ, თუ გინდათ, სანაპიროზე
 გავიაროთ.

ლადომ რიშარდს გაჰხედა, უნდოდა
 ენიშნებინა — მივდივარო, მაგრამ რი-
 შარდს მისთვის არ ეცალა. მთლად აქ-

თეიმურაზ მაღლაფერიძე
 წყურვილი



არხლებული, ნირწამხდარი, ყესტებს იშველიებდა და რაღაცას გაცხარებით უმტკიცებდა აგდებულად მომღიძარე ზეინაზს. მაგნიტოფონი „ჩემს იაცეკს“ უკრავდა, ედიტ პიენას შესრულებით. თათია კულტმუშაკს ჩაჰხუტებოდა და სახეების მიმართ, გარეშემო რომ ტრიალებდნენ, სრულ გულგრილობას გამოჰხატავდა.

ეზოში ნოტიო სიცივე იყო. ლიანდაგი გადაკრეს და პლაჟზე ჩაირბინეს. ზღვა მშვიდად ელამუნებოდა ნაპირს. მთვარის შუქი ცივ ზოლად გადასწოლდა ჩაბნელებულ წყალს და პატარა, რბილ ქავლებს ოქროსფრად ავარაყებდა. ერნამ კენჭები წამოკრიფა, ქალური მოუხერხებლობით დაიწყო სროლა. მომზიბლავი იყო და ლადოს ძალიან მოუნდა მისი მოფერება.

- ერნა...
- ა?
- იცით...

ერნამ ხელი გაითავისუფლა.

— რა გემართებათ? — უთხრა მკაცრად.

ლადო ისევ მიეტანა, მობღუჯა, გულზე მიიკრა. თვალეზბახუტული, ბრბად ეძებდა მის ტუჩებს.

— როგორ არ გრცხვენიათ!

ლადოს რეტი დასხხა მოულოდნელმა სილამ, წამით მოადუნა კიდეც; აღარ იცოდა რა ჩაედინა. მერმე თანდათან შეიკუმშა გაბორბტების ბურთი და ისეთი ძალით ამოაწვა ყელში, რომ შეეშინდა ცუდი არაფერი ეკადრებინა ქალისათვის. უცებ, რაღაც აზრმა გაჰკრა... გახდა დაიწყო.

— თქვენ რა, გაგიჟდით? — ერნა დაზაფრული ეცა. ვერ გაეგო რას აპირებდა.

— უნდა ვიბანავო!

— რაა? ერნამ მოჩვენებითი უდარდელობით გაიცინა, — რაა?

ლადო ბათინკების ვახდას შეუღდა.

— სიკვდილი მოგინდათ? გეხუმრეთ, სულელო! — ერნას ხმაში ცრემლი გაერია, — თავს თუ მაწონებთ, მაინც არაფერში ჩაგეთვლებათ!

ლადომ არ უპასუხა.

— კისერიც ვიტყვიათ; — აღმართლსა ერნა, — სულაც წავალ აქედან!

ბოლო სიტყვები არ გაუგონია. ყინულოვანმა წყალმა სხეული დაუთუთქა, კიდურები ქვასავით დაუმძიმა. ღრბად ჩაისუნთქა ჰაერი და ჩაყვინთა. სიღრმეში წყალი შედარებით თბილი ეჩვენა. ზამბარასავით შეიკუმშა და გაიშალა. ასე რამდენჯერმე გაიმეორა და როცა თავი ამოჰკყო, აჩქარებით ამოძრავა ხელ-ფეხი. მიცურავდა თვალეზბახუტული და არაფერზე არ ფიქრობდა. ძახილი ჩაესმა. ლიანდაგის გასწვრივ, ნათურების ფონზე, ხელუბაწეული სილოუეტი გაარჩია. წელამდე ამოვიდა წყლიდან, შეეპასუხა ერთხელ, ორჯერ... როცა დააწმუნდა — გავაგებინეო, ისევ შეცურდა მთვარის ზოლში. წყალმა თანდათან დაკარგა სუსხი, კუნთები რიტმულად, ელასტიურად ამუშავდნენ. მერმე ისევ ჩაესმა ერნას ძახილი. ახლალა მიხვდა, როგორ ააფორიაქებდა მას და შეეცოდა. სწრაფი მხარულით გამოსწია უკან. ჩაბნელებულმა, უკიდვგანო ზღვამ შვება მოუტანა. გრძობდა: უფალი იყო საკუთარი ნებისა. ნაპირს მოულოდნელად შეეხო. ხტუნვა-ხტუნვით ამოვიდა ერნა აქოშინებული მივარდა, ტანსაცმელი ეჭირა.

— ჩაიცვით ჩქარა! ჩქარა, თორემ მოკვდებით!

ლადო ისე აიყვანა სიცივემ, ხმის ამოღებას ვერ ახერხებდ. ანიშნა — მიტრიალიყო.

— სულელო! რა დროს ეგ არის? — ერნამ ხალათი მოკუმშა და ტანის ხეხვა დაუწყო. როგორც იქნა, ჩააცვა. თავის პალტოს მოხურვაც დაუპირა, მაგრამ ეს აღარ დაანება ლადომ.

მუხლები გაშეშებული ჰქონდა, უჭირდა მოძრაობა. ლიანდაგზე ავიდნენ, შლაგაუმის ქვეშ გაძვრნენ, დასასვენებელ სახლს უგანეს და მოასფალტებულ გზას დაადგნენ.

— მამატივთ, ერნა, შეგაშინეთ, —

გულწრფელად უთხრა ლადომ, — საერთოდაც მაპატიეთ, თუ შეგიძლიათ:

ერნამ გაუღიმა;

— მითხარი, რატომ შესცურეთ?

— არ ვიცი.

— ძალიან გთხოვთ.

— როგორა ვთქვა... — ლადომ თვალი აარიდა. ისევ იზიდავდა ეს ქალი.

— არეული იყავით?

— ჰო.

— ახლა?

— კარგად ვარ. თქვენის წყალობით.

— თუ პირიქით, ჩემი წყალობით აირიეთ? — ერნამ გაიცინა და თვალები დაენამა, — აი, თურმე როგორი ყოფილხართ! რა გეშველებათ ცხოვრებაში? პატრონი გინდათ, თორემ თავს დაიღუპავთ.

ლადოს აღმური მოედო.

— ახლა წადით, — თქვა ერნამ, — უნდა ჩაწვეთ და თბილად დაიხუროთ.

— გაგაცილებთ, — გაუბედავად უთხრა ლადომ.

— არც იფიქროთ! რა გაცილება მინდა? აქვე ცხოვრობთ.

ლადო აღარ მისძალებია.

თავი VI

ლადომ პალატის კარი შეაღო. მაგიდასთან ზეინაბი და რიშარდი ისხდნენ. კონიაკის ბოთლი დაცლაზე იყო. ზეინაბს არაბუნებრივად ასტკეცოდა დაწვევები, ფეხი ფეხზე გადაედო.

— ოო! — შესძახა მან, — სად დაიკარგეთ?

რიშარდი ოდნავი კოჭლობით მტეგებდა. შეწუხებული, დაბნეული სახე ჰქონდა.

— რა კ... კარგია, რომ მოხვედით!

ლადოს ტანში სიცივე დაუდიოდა. არაქათი გამოცლაზე ჰქონდა, დაწოლა ქვეყანას ერჩია, მაგრამ გაიღიმა და მაგიდას საქმიანი იერით გადახედა. „უღროო დროს შემოგვხეტე“.

— სასმელი გამოგლევიათ. ახლავე დაგბრუნდები!

— სად მ... მიდიხართ?

— კონიაკს მოვიტან.

— არაა საჭირო.

„რას თვალთმაქცობ?“

— აქვეა მაღაზია.

— ნუ წახვალთ, ლადო, — რიშარდის, ნმაც და სახეც გულწრფელ თხოვნას გამოჰხატავდა, — კიდევ მაქვს ერთი ბოთლი.

საწოლის ქვემოდან ჩემოდანი გამოათრია და „გრემი“ ამოიღო. გაკვირვებულმა ლადომ პალტო გაიხადა, მაგიდას მიუჯდა.

— მომაწევიანეთ! — ჭირვეულად ითხოვა ზეინაბმა. აშკარად ეტყობოდა სიმთვრალე.

— არ ვეწევი, ზეინაბ. არც ლადო ეწევა.

ზეინაბმა არაბუნებრივად გაიცინა.

— ო, ღმერთო ჩემო! მაშინ დამალევიანეთ მაინც!

— იქნებ მეტი აღარ დაგელიათ? — რბილად უთხრა რიშარდმა.

— დამისხით!

რიშარდმა დაბნეულად გაიღიმა და ლადოს გადახედა, თითქოს შველას სთხოვსო. ეს არ იყო ადამიანის გაღიმება, რომელიც უმტკივნეულოდ აიტანს ირონიასა და დამცირებას. ეს იყო კეთილი, მომთმენი კაცის ღიმილი.

— გაუმარჯოს ბრეტ ეშლის! — თქვა ზეინაბმა და გადაჰკრა. მერმე ლადოს მიუბრუნდა: — თქვენ არ დალევთ?

მოწონებთ თამაშობდა როს.

— ბრეტ ეშლი ვილა? — განგებ ჰკითხა ლადომ.

ზეინაბმა ირონიით გაიღიმა. კითხვა უპასუხოდ დასტოვა.

— მართლა, რატომ გაქვთ რუსული გვარი? — ჰკითხა რიშარდს.

— პოლონური, ზეინაბ.

— ჰო, პოლონური.

— მამაჩემის წინაპრები პოლონელები იყვნენ. კოსტიუშკოს აჯანყების დროს გადმოუსახლებიათ საქართველოში.

— თქვენი ბაბუა ცოცხალია?

— არც ბაბუა, არც მშობლები...

„პატარა ვარ, ობოლი, ბედმა დამობრიყვა“..., გაიცინა ზეინაბმა, — ცოლი გყავთ?

— არა, ზეინაბ.

— შვილი?

— შვილი საიდანღა შეყოლება? — რიშარდმა ისევ გადახედა ლადოს: — რა გქნა?

— ხდება ხოლმე, ჩემო ბიჭიკო! ვითომ არა? თქვენ რას იტყვი? — მიუბრუნდა ლადოს.

— არაფერს! — პირქუშად მოსჭრა ლადომ.

— ოო, რა მოღუშულია! ქვეყანას მაინც ვერ გაასწორებთ, ძვირფასო! რიშარდ, მე ხომ არ მიშვილებთ? კრავივით დამჯერე გოგონა ვიქნები.

კონიაკი დაისხა.

— ჩემს მამიკოს გაუმარჯოს!

— ზეინაბ...

— საღ მუშაობთ? ხელფასი კარგი გაქვთ?

— ისტორიკოსი ვარ, ეთნოგრაფი.

— ეთნოგრაფი? სასაცილოა! პოლონელი და ეთნოგრაფი! პოლონელები, უმეტესად, ესტრადის მომღერლები არიან... დავლიოთ! გაგიმარჯოს, ძვირფასო მამიკო!

სულმოუთქმელად გადაჰკრა.

„მოითმინე... მოითმინე... მოითმინე“..., — უხმიანდებოდა ლადოს.

— მითხარით, ხომ მოგწონვართ? — ჰკითხა მშვიდად.

— პირდაპირ მითხარით, მოგწონვართ? — შეუბრუნა კითხვა ზეინაბმა, თან ცალი ხელით ჩედელზე ჩამოკიდებულ სარკვეში თმები შეისწორა.

— არა!

სკამის ზურგს გადააწვა და ახარხარდა:

— ვერ ვიტან, როცა პირდაპირ ამბობენ, რასაც ფიქრობენ!

რეპროდუქტორში ქალი წვრილი ხმით მღეროდა: „ო, როგორ მიყვარხარ ჩემო ძველო ბალო“. მერმე რაღაც საცეკვაო დაუტრეს.

— მაეკევეთ! — დაიყინა ზეინაბმა.

ლადო ატყობდა, როგორ ედებოდა

გაგულისებდა. ჯერ ის იფიქრა, — კალთაში ეტაცნა ხელი და ეთქვა: ჩამოიფარე მაგ გაჩხიკინებულ მუნღებზეო. მერმე სულაც გაგდება მოუნდომა ოთახიდან, მაგრამ რიშარდისა ერიდებოდა.

— იცით, ორივენი კარგი ბიჭები ჩანხართ, მაგრამ მაინც კრეტინები ხართ! ალბათ სულ მაღალ-მაღალ იდეალებზე ლაპარაკობთ, არა? ცხოვრების აზრსა და მიზანზე, ადამიანზე, მის დანიშნულებასზე...

— თქვენ რაზე ლაპარაკობთ ხოლმე? — ლადოს ხმა დაეძაბა.

— თათიასთან? თათიაც კრეტინია! საერთოდ, ყველა კრეტინია, მე კი ყველაზე მეტი კრეტინი!

— აი, ეგ კი..., — რიშარდმა არ დაამთავრა, რაც უნდა იყოს, მაინც ქალს ელაპარაკებოდა.

— რა არის ისეთი ამ ქვეყანაზე, თავის ასატყებლად რომ ღირდეს? ა, მამიკო? მოეშვით მაღალ მატერიებს, ხუთწუთიანი მძაფრი შეგარძნება მირჩევნია ხუთი წლის დუნე ცხოვრებას.

— შეგარძნებას გააჩნია, ზეინაბ, — უთხრა რიშარდმა.

ზეინაბს ყურადღება არ მიუქცევია მისთვის. ლადოზე გადაინაცვლა.

— თქვენ ყოველთვის ასეთი ჭერიო-ზული ხართ?

— ყოველთვის.

— ოო... კონიაკი გიყვართ? გამეჭიბრეთ სმამიო.

— ქალებს არ ვეჯობრები.

— მართლაც არ მოგწონვართ? თუ გინდათ, თქვენ იყავით ჩემი მამიკო, ა? ლადოს უცებ შეეცვლა ეს გოგო. სურვილი გაუჩნდა რბილად გადაესვა მის თმებზე ხელი და ეთქვა: „მე ძმა ვარ შენი, ზეინაბ“.

— რატომ იქცევით ეგრე?

ზეინაბმა ნერვიულად გაიცინა.

— ლადო, თქვენი ჭირიმე, მე მამა-ტიეთ..., — აფუსფუსდა რიშარდი, გოგოს მკლავში ხელი მოჰკიდა და კარამდე თითქმის ძალად მიიყვანა, — წაადით, ზეინაბ! წადით!

— ფი, კრეტინები!

კარი გაიჯახუნა. რიშარდი და ლადო თვალს არიდებდნენ ერთმანეთს, ახლა უმეველად უნდა თქმულიყო რაღაცა, მაგრამ რა, არცერთმა არ იცოდა, უცებ, კარი ისევ გაიღო. ჩაბნელებული დერეფანის ფონზე აწითლებული, მობარბაცე, მთვრალი ზეინაბი გამოჩნდა. ცრემლები ღვარღვარად ჩამოსდიოდა.

— ჩემი ცრემლი ძვირად ფასობს, იცოდეთ... — ლულულუღებდა და ირწეოდა. — ძალიან ძვირად!

მოულოდნელად მოეშვა, კარის წირთხლს მიეყრდნო და თავი მკერდზე დაუჯარდა.

— დედა. დედიკო... — ასლუყუნდა შესაბრაღისი ხმით, — საღ ხარ, დედიკო... ჩემი დედიკო მინდა...

ლადომ და რიშარდმა ვაკვირვებით შეხედეს ერთმანეთს. მათ წინ იდგა უმწეო, დაბნეული გოგონა, რომელსაც ამაოდ უნდოდა სრულიად უცხო როლის თამაში.

— ავიყვანოთ თავის პალატაში, — თქვა რიშარდმა.

ლადო უსიტყვოდ წამოიღდა. იქით — აქედან ამოუღგნენ.

— დედიკო, მიშველე, დედიკო... — შესაბრაღისად მოსთქვამდა ზეინაბი.

— არამზადა გგონივართ, ხომ ასეა?

ლადოს მოსწონდა ეს კაცი. ნებსით თუ უნებლიედ, თავის მიმართ პატივისცემით განაწყობდა. გრძნობდა: არ შეიძლებოდა არამზადა ყოფილიყო.

— რატომ დათავრეთ ასე უღმერთოდ?

— სინდისს გეფიცებით! თვითონ აიჩემა. ბრეტ ეშლივით შემიძლია სმაო. ერთი-ორჯერ დავეშალე.... — რიშარდმა დარცხვენით გაიღიმა. — საერთოდ, არ დ... დაგიმაღავთ, ძალიან დ... დამაბნია.

— მაინც რა გინდოდათ?

„სულელური კითხვაა“...

მაგრამ რიშარდს არ გაჰკვირვებია.

პირიქით ისე მიიღო, როგორც აუცილებლად განსამართლები რამ.

— დ... დამაინტერესა.

ლადომ მხრები აიჩეჩა.

— მაშინ, მე რაღა საჭირო ვიყავი აქ?

— პირველად დ... დამაინტერესა, — რიშარდი გაწითლდა, — მერე კი, იცით, შემაშინა. ისეთ უცნაურ რამეებს მ... მელაპარაკებოდა, რომ თქვენ პირდაპირ მ... მხსენლად მომეკონინეთ. დ... ღმერთმანი, ასეთი ქალი ჯერ არ შემხვედრია. არ ვიცი მე ჩამოვრჩი ცხოვრებას, არ ვიცი სხვანაირი ახალგაზრდობა წა... წამოვიდა, ერთი სიტყვით, დღეს საბოლოოდ დ... დავრწმუნდი, რომ ბებერი ვარ და ეთნოგრაფიაში ფუთფუთის მეტი აღარაფერი დ... დამრჩენია.

რიშარდი მკვირვად ჩასხმული კაცი იყო, უღვაშს არ ატარებდა და თავის ასაკთან შედარებით, ბიჭსა ჰგავდა. ცისფერი თვალებიდან შეურყეველი სიჯანსაღე და თავშეკავება გამოუკრთოდა. და ეს აღამაინი უჩიოდა სიბერეს? ლადომ გაიღიმა.

— არც ეგრება საქმე!

— მმართალს გეტუბნებით, ჩემი ცხოვრება ისე წარიმართა, რომ მთაში ხეტიალსა და მუზეუმების მმჩხრეკელობაში გამეპარა დრო.

— ნანობთ?

— რასა?

— მთაში რომ დადიოდით.

— ერთადერთი, რასაც ფუჭად არ ჩავთვლი, მთაში გ... გატარებული დღეები!

— მთამსვლელი რომ ვიყო, მეც ეგრე ვიტყვოდი.

— მე კიდევ, წავალ ზევით, უშმაზე. როგორ თქვით მაშინ, მმომიციღს ჩემი უშმაო? რას გულისხმობდით?

— მმომიციღს! მეტი არაფერი!

— გულდახურული ხართ, — წყენით თქვა რიშარდმა.

— ერთი მეგობარი მყავს, ნუკრი ვირსალაძე, ძალიან კარგი ბიჭია! ზოგჯერ იმას მაგონებთ.

თეიმურაზ მაღალაფერიძე
წამბრუნველი



ეს მოალერსება იყო და რიშარდმა თეთრი, მაგარი კბილები გამოაჩინა.

— რითი ვგვევარ?

— ისიც თქვენსავით... როგორ ვითხრათ... რბილია თუ მიმტევებელი.

— მიმტევებელი რბილს არ ნიშნავს, ლადო. ადამიანებთან მ... მიმტევებელი უნდა იყო, მე ასე მწამს!

— ყველასთან?

— ყველასთან. ყველა უნდა ვიყვარდეს.

ლადოს გიორგი დუმბაძე გაახსენდა. „სხვისთვის უნდა იცხოვრო“...

— მართალი ხართ, — თქვა ლადომ და იგრძნო: მათ შორის შემთხვევით გაბმული ნაცნობობა იოლად არ გაწყდებოდა...

წათვლემილ ლადოს მამა ეზმანა. იჭდა თავის სავარძელში და „მირანგულას“ ლიღინებდა. ზმანება იმდენად ცხადი იყო, სიხარულისაგან კინაღამ გული ამოუვარდა. როგორ მონატრებოდა მამა! როგორ მონატრებოდა! მაგრამ ეს „მირანგულა“ რაღა იყო? მამას არასოდეს უმღერია „მირანგულა“. პეტრე, როგორღაც, თემრაზმა შესცვალა. ჭუნირი ეკავა და ნაღვლიანი თვალები ჰქონდა.

მერმე რიშარდთან ერთად თეთრ ციკაბოზე მიაბიჯებდა მთამსვლელის მოწყობილობით აღჭურვილი და ჩვილი ბავშვით უბიწო თოვლზე წერაყინის ბუნდით წერდა: ქეთუ... ქეთუ...

ქვემოდან მთელი ხმით ასძახოდა მამა:

— ლადო! ნუ მიდიხარ, ლადო!

ხელნაკრავით გამოედვიძა.

— გესმით?

თურმე რიშარდი ეძახდა. საიდანღაც ისევ ისმოდა „მირანგულა“, ნამდვილი, ცხადი, დარდით სავსე „მირანგულა“. „ვოი, ლეშხიაქ და, ჯემშიშ ლადედ და“... გვიან მიხვდა, სიმღერა რეპროდუქტორიდან ისმოდა. ხალხურ სიმღერებს გადმოსცემდნენ. მერე „ლაგუმედა“ მიაყოლეს. რიშარდმა ბოლომდე აუწია ხმას.

და ლადომ ისევ იგრძნო ბეჭებზე ქე-

თუს აცახცახებული თითები. მისი სასოწარკვეთილი კენესა: „ლალო“... გაყინულ, გაქვავებულ სივრცეს შემზარავად შეასკდა ცხენის გაბმული ჭიხვინი. როგორ ციოდა მამინ... ახლაც როგორ ცივა...

— რატომ იყავით სვანეთში? — ისევ შეეხმინათ რიშარდი.

— ვმასწავლებლობდი.

— რაღად წამოხვედით?

— მაიძულეს.

— როგორ თუ..., — რიშარდი წამოჯდა.

— გრძელი ისტორიაა. დავგლახდი, ვისუსტე, ვავტყდი და ეგ იყო!

— ლადო, გამაგებინეთ წესიერად. მე...

— არ შემიძლია! სხვა დროს იყოს..., — ხმა გაეზარა.

— ლადო თქვენ რაღაც...

— არაფერი... არაფერი... მინდოდა მეთქვა, ამ ზაფხულს მეც წამოვალ მეთქი უშმაზე. უმკველად წამოვალ!

— უშმაზე?

— ჰო, უშმაზე!

„ლაგუმედაო“, — ქუხდა რადიოში ძვირფასი ხმები. ლადოს უხაროდა, რომ ბნელოდა და ცრემლებს, რომლებიც თვალთა კილოებიდან დაუცურდა. რიშარდი ვერ დაინახავდა.

თავი VII

ვესტიბიულში, ფანჯარასთან, ერნა იჭდა და ქარგავდა. დამსვენებლებს უკვე ეძინათ.

— სად ბრძანდებით, ახალგაზრდავ: არ იცით, რომ დავგვიანება განაწესით აკრძალულია?

ლადო მახინჯაურიდან ბრუნდებოდა. სადგურზე თბილისელ, ნაცნობ ბიჭებს გადაეყარა. ვერაფრით ვერ აუარა გვერდი. იქვე, ბუფეტში ძალისძალად შეიყვანეს და შამპანურების ბათქაბუთქით აპხადეს ჭერი. გემით უნდა გამგზავრებულიყვნენ ოდესაში, გზას ილოცავდნენ.

— ამხანაგები შემხვდნენ, ერნა.

— აქ დასასვენებლად ჩამოხვედით

თუ სალაზღანდაროდ? მე კი, ვიჯდე და გიცადოთ როდის ინებებთ მობრძანებას, არა?

ერნა განგებ მოდღუშული ლაბარაკობდა, თან თვალეზში დიმილის ნაპერწკლები უთამაშებდა და ამიტომ, ერთიორად მიმზიდველი იყო.

— მე მიცდილით?

— სამწუხაროდ!

— რატომ, სამწუხაროდ?

— იმიტომ, რომ მეჭინება.

— ამაღამ მორიგე ხართ?

— დიახ.

— მეც თქვენთან ერთად ვიმორიგებებ!

— ეგლა მაკლია!

— ძალიან გინდათ, რომ წავიდეთ?

— სულ ერთია, — ერნამ მხრები აიჩეჩა.

— თუ სულ ერთია, წავალ.

— დაიგვიანა და კიდე თვითონ იბუტება, — წაიბუზღუნა ერნამ, — იყავით, რა!

სანიტრის თეთრი ხალათი ეცვა, — მკერდზე ამოქარგული სახელისა და გვარის ინიციალებით. ლადო სავარძლის სახელურზე ჩამოუჯდა. ზემოდან დააცქერდა ფაქიზად დავარცხნილ ჩალისფერ თმაზე და მთენთავმა ქრუანტელმა დაუარა. ფრთხილად გადაუსვა ხელი. ერნას გააკანკალა, მზერა უსწორა. შეშინებული ბავშვის სახე ჰქონდა. ტორპერი მკრთალად ანათებდა ვესტიბიულსა და დერეფნის ნაწილს. ჩამიჩუმი არსაიდან ისმოდა. ლადო, დაიხარა და ხელში აიყვანა ქალი. ერნა არ ელოდა ამას.

— დამსვით!

— არა!

— ვიყვირებ!

— იყვირეთ.

— აი, სულელი! რა გინდათ ჩემგან?

ერნა რიყეზე ამოსროლილი თევზივით შესწამრტალდა, მაგრამ ამოდ. ლადო სიყვარულით დასცქეროდა. მერმე ყურის ძირში აკოცა. ქალი მიიღღუშა...

● ოდნავ, სულ ოდნავ ისმოდა ზღვის შესული. ნათურის თალფაქს ქარი კრივალით არწევდა.

— ლადო!

— ა?

— რას ფიქრობ ჩემზე?

ლადომ ტუჩებზე მიადო თითი.

— სუ!

ერნამ აკოცა. ჰკოცნიდა მკერდზე, ყელში, თვალეზში, ხელეზზე...

— ალერსისათვის ვარ გაჩენილი, — თქვა ჩურჩულით, — მაგრამ სასიკეთო არაფერი გამოდის აქედან...

— ნამდვილი ბავშვი ხარ, დიდი ბავშვი.

ერნამ ამოიხარა:

— ეჰ, ძვირფასო, მე არ დამცალდა ბავშვობა. სადღაც გვერდით ჩამიარა და გააქრა.

გაჩუმიდნენ.

— მიახმე, — სთხოვა ლადომ.

დერეფანში ძახილი გაისმა. ერნა წამოხტა, ხალათი მოიცვა და ფეხები ფლოსტებში წაპყო.

— ერთი მოხუცი ქალია. ალბათ სათბურა უნდა. არ მოიწყინო, ახლავე მოვალ.

ლადო ჩაცვებით უმზერდა სიბნელეს. ვნების ტალღამ გადაიარა და მისი ადგილი მღვრიე ფიქრების კორიანტელმა დაიჭირა. ლადოს არ უყვარდა შემთხვევითი კავშირები. უკმარისობის განცდა ეუფლებოდა. თითქო ვიღაცას ატყუებდა, შეურაცყოფდა. ხშირად ბოლომდე არც ესმოდა საკუთარი თავისა. ადგომა და წასვლა მოუწია, მაგრამ ერნა გაახსენდა და თავი უკანასკნელ არამზადად ჩასთვალა: — „როგორ შეიძლება ახლა მისი მიტოვება?“ ერნა მართლაც მალე დაბრუნდა. ძაგძაგებდა.

— მომეხვეი! — აჩურჩულდა ცხარედ, — მაგრად! უფრო მაგრად!

— ო, დმერთო! — დასცდა ლადოს. ერნამ წამოიწია.

თეიმურაზ მაღლაფერიძე
წყურვილი



— რა მოგვივიდა?

— არ ვიცი, ერნა, არ ვიცი!

— მე კი, ვიცი! ნანობ, ჩემთან რომ ხარ! სჩადინხარ რამეს, თან ღიქრში ამოწმებ. ბოლომდე ვერაფერს ეძლევი. გახსოვდეს: ცუდია ეგრე: ბედნიერი იშვიათად იქნება.

— ჭკვიანი ყოფილხარ, ერნა, — ჩუმად თქვა ლადომ.

— ბევრი რამ მინახავს ცხოვრებაში. ქალი შუბლზე ნაიარევს წააწყდა.

— სულ მინდოდა მეკითხა: რატომა გაქვს?

ლადო შეერთა:

— ერთი ქალი დავკარგე. სამაგიეროდ, ჭრილობა შევიძინე.

— ახლა სადაა?

— შორს. მთაში.

— ისევ გიყვარს?

— ნუ მეკითხები.

— იმას? უყვარხარ?

— არ ვიცი!..

ლადომ ისე მოუჭირა მკლავები, რომ ძელოებს ჭახაჭახი დააწყებინა. ერნა საშინელი ტკივილისაგან იგრიხებოდა, მაგრამ სიცილი არ შეუწყვეტია.

— განგებ შეგეკითხე, აბა რას მეტყვის-მეთქი. რატომ ირთულე ცხოვრებას? დამიჯერე, მწარე გამოცდილება მალაპარაკებს.

ლადო მოეშვა, მოდუნდა:

— ეშმაკმა იცის, იქნებ მართალიც იყო...

— იქნებ კი არა, მართალი ვარ! აი, მე რომ მარტივად არ მეტკირა, აქამდე თავი უნდა მომეკლა. ადამიანი მაინც ადამიანია და ცხოვრება უნდა. შენ ომი გახსოვს?

— ბუნდოვნად.

— მე — ძალიან კარგად. რიგაში ვცხოვრობდი, უპატრონო ბავშვთა სახლში. ერთ მზიან დღეს, ხაზზე დაგვა-მწკრივეს და ღირექტორმა გამოგვიცხადა, — ომი დაიწყო. მაშინ არ მესმოდა რას ნიშნავდა ეს, მერმე გავიგე, გვიან. ჩვენთან მოზრდილებიც იყვნენ. ბევრი მოხალისედ წავიდა ომში. მოხალისეებს საზეიმო გაცილება მოვუ-

წყვეთ, დროშებითა და სასულეთითა კესტრით — როგორც იყო მიღებული.

ერთი ბივი განსაკუთრებით დამამახსოვრდა, — ბრუნო. ადრეც მუდამ ალერსიანად მეპყრობოდა, ახლა კი როცა გაცილება დამთავრდა, მაგრად მომეხვია და ტუჩებში მაკოცა. თან მეჩხურჩულება: — არ დამივიწყო, დავბრუნდებიო.

მოულოდნელად, ღამეულ სიჩუმეში, ელმავლის კვილი და თვლების გამაყრუებელი რახრახი შემოიჭრა და ერნას ლაპარაკი გააწყვეტინა: მატარებელი საბარაკი იყო, ჩვეულებრივზე მეტად ფრუხუნებდა. მთელი შემადგენლობა უსამველოდ გრძელი მოჩვენა ლადოს. გიჟური სისწრაფით მიჰქროდა ვაგონები, დასასრული კი, მაინც არ ჩანდა, ბოლოს, როგორც იქნა, უკანასკნელმაც ჩაიქროლა და ისევ მყუდროება დამკვიდრდა.

— მერე?

ერნა ხმას არ იღებდა. საცოდავად მოკუნტულიყო და მთელი სხეულით ცახცახებდა, ხელები ყურებზე ჰქონდა მიჭერილი.

— ერნა რა მოგვივიდა?

ერნა გასწორდა, ლადოს მკლავები წელზე შემოისალტა და ჩავარდნილი ხმით განაგრძო:

— ევაქუაციის დროს, აი, ასეთ საბარგო მატარებელში ჩავგყარეს და ორ თვეს ვმგზავრობდით შუა აზიამდე. მას შემდეგ რამდენი წელი გავიდა და ახლაც ვერ ვუძლებ საბარგო მატარებლის დანახვას... ჰო! ბრუნო მართლაც დაბრუნდა. მიიმე კონტუზია ჰქონდა მიღებული. ჩონჩხივით იყო, რომ შეგეხედა, თვალებს დახუჭავდი. ეს უკვე, ორმოცდაოთხის ბოლოს. ჩვენ თან ვსწავლობდით, თან კოლმეურნეობაში ვმუშაობდით, — ბამბის აღებაზე. მე ავდექი და ცოლად წაყვევი ბრუნოს. სულელი ვიყავი. თექვსმეტი წლისა, არაფერი მესმოდა. მალე ომიც გათავდა, მაგრამ ბრუნო ისევ ისე იყო: ღამე გიჟივით წამოვარდებოდა, ყვიროდა, კედლებს ეხეთქებოდა. სულ ომი ელა-

ნდებოდა. დათვრებოდა და იწყებოდა ჩემი წამება. მცემდა! ოი, როგორ მცემდა! მე ვითმენდი. მეცოდებოდა. ძალიან ნატანჯი იყო და მეცოდებოდა. სიფხიზლეში აღარაფერი ახსოვდა. დავარდებოდა ჩემს მუხლებთან და თავიდან ფეხებამდე დამკოცნიდა, თან ტირილი საცოდავი. ამდენ უბედურებაში მკვდარი ბავშვი დამეხდა. ამან სულ არა ჩვენი ცხოვრება. ერთხელ, საღამოა, მე ვუთხოვებდი. მეზობელი მეძახის: „ერნა, სახლში ხარ, გამოდი, ერთი გამოიხედე“. გავედი, რას ვხედავ: ბრუნო მხარზე გაუღვიათ ვიდაცეებს, დგანან და მიყურებენ. მეც ვდგავარ და ვუყურებ. შიშისაგან ენა ჩამივარდა: თურმე, იმ უბედურს თავი ჩამოუხრჩვია ხეზე. მიყვარდა! ხომ ასე მაწამებდა, მაინც მიყვარდა. ერთადერთი ახლომედი ადამიანი იყო. იქ ვეღარ გავჩერდი; წამოვედი და მას მერე დავგეტიალობ. სად არ ვიყავი, ვის არ გადავეყარე. ბოლოს, საქართველოსაც მოვალწიე. მეოთხე წელია აქა ვარ, ზღვისპირეთში...

— მე კი მეგონა..., — წამოიწყო ლადომ.

— ბედნიერი ქალიაო, არა? ხომ დაინახე, რა ბედნიერიც ვყოფილვარ?

— მომავალში რას აპირებ, ერნა?

— არაფერს. იქნებ აქ დავრჩე, იქნებ ისევ ლატვიაში წავიდე. გაიგებ?

— ძნელია ასე.

— მე შებრალებას არ ვთხოვლობ!

— ამაყად თქვა ერნამ.

— გინდა, თბილისში წამოდი? —

მოულოდნელად უთხრა ლადომ, — ა? ერნა სწრაფად წამოჯდა.

— მერე და, რა გავაკეთო იქ?

— იმუშავებ.

— რითი ჯობია თბილისი აქაურობას?

— მე ცხოვრობ და იმით, — ლადომ გაიღიმა.

— ოო, ეს სულ გადამაფიწყდა. — ერნამ მისი ტუჩები მოსძებნა და აკოცა. — ვისთან ერთად ცხოვრობ?

— მარტოდ მარტო.

— შემთხვევით, ცოლად ხომ არ გიხდევარ? — ერნამ ხმამაღლა გაიცინა.

— არა!

— აჰა, საყვარლად?

ლადო მოიღუწა, გული ეტკინა.

— მე ადამიანურად გელაპარაკები. შენი კი...

ერნა ჩაეხუტა, კოცნით დაუფარა სახე:

— ლადო, ძვირფასო, სულელურად ვხუმრობ. რომ იცოდე, შენი საყვარლობა მირჩევნია სხვის ცოლობას. გახსოვს, ზღვაში რომ გადახტი? ეს მაშინ ვიფიქრე. მაგრამ, ნუ გეწყინება და, გულუბრყვილო ხარ. არ იცნობ ადამიანებს. ზოგიერთებს ხელს მოსაფერებლად ვაუწუვდი, ისინი კი მოგაჭამენ.

— ჭკუას ნუ მარიგებ, — რბილად უთხრა ლადომ.

ერნა ჰკოცნიდა და ჰკოცნიდა.

— ოი, ლადო ათი წლის დაკლება რომ შემეძლოს, მართლა კარგი ცოლი ვიქნებოდი. ვიცი, როგორი ქალიც გჭირდება, — მე სწორედ ისეთი ვიყავი. ახლა გვიანია, ზედმეტად ვატეხილო ვარ ყველაფრის თავიდან დასაწყებად. და შენც, წელან რომ ქალი ახსენე, იმის მეტს ვერავის შეიყვარებ ნამდვილი სიყვარულით გეტყობა!

— მართალი ხარ, — ჩუმად თქვა ლადომ.

თავი VIII

— აი, მოვედით, — ლადომ ჰიშკარი შეაქრიალა.

თეთრი ფინია ყფა-ყფვით გაექანა მათკენ, მაგრამ იცნო ლადო და წკმუტუნით მიეღაღილა. სტუმრებმა ტალავრის ქვეშ გაიარეს, კბებს აუყვანენ. სახლიდან ჩამიჩუმე არ ისმოდა.

— ლადო, — რიშარდი უხერხულად იღიმებოდა, — მ... მრცხვენია... რა უნდა ვუთხრა? როგორ მ... მოვიქცე? ლადომ მკლავში წაატანა ხელი.

თეიმურაზ მაღლაფარიძე
წაშრიმილი

— მოდი, მოდი! იყავი ბუნებრივი, სხვა არაფერია საპირო!

● გიორგის სახე გაუნათდა. ორივეს ენ-ერგიულად ჩამოართვა სასიამოვნოდ თბილი, ვაჟკაცური ხელი. როგორც ყოველთვის, ქათქათა ლოგინში იწვა და გემოვნებით ეცვა, სათუატროდ გამზადებულს ჰგავდა. საწოლზე დავრავნილი ნახაზებისა და გადაშლილი წიგნების დასტა ელავა. თაბახის ფურცლები წვრილი, მკაფიო ხელით დაწერილი გაანგარიშებებით იყო სავსე.

— ჩემი მეგობარია, რიშარდ ჟურავსკი, — უთხრა ლადომ, როცა პალტოები გაიხადეს და საწოლთან ჩამოუსხდნენ.

— კეთილი, ბატონო. პოლონელი ბრძანდებით?

— დ... დიახ. წარმოშობით.

— პოლონეთში ყოფილხართ?

— ჩემდა ს... სამარცხვინოდ, არა.

— არ გეპატიებათ!

რიშარდი ბაღივით გაწითლდა.

— ვიცი, მაგრამ...

— წლელს აპირებს, — ჩეროია ლადო.

— უნდა წახვიდეთ, მოინახულოთ თქვენი წინაპრების მიწა. თუ იცით, ჟურავსკები საიდან არიან?

— მგონი, კრაკოვიდან.

— მშვენიერი ქალაქია, ომის დროს მომიწია გავლა. მაშინ თითქმის მთელი პოლონეთი მიწასთან იყო გასწორებული, მაგრამ ვერ წარმოიდგენთ, როგორ ოპტიმისტურად შეჰყურებდა მომავალს თვითეული მოქალაქე. მგონი არც ერთ ქვეყანას არ მოუშუშებია ომის ჭრილობები ისე მალე, როგორც პოლონეთმა მოიშუშა.

— ისტორიულადაც ეგრე იყო, — თქვა ლადომ.

— სწორია. დაქცევდნენ—აღდგებოდა, დაქცევდნენ—აღდგებოდა. ამ მხრივ, საქართველო და პოლონეთი ძალიან ჰგვანან ერთმანეთს.

სარკმელი, რომელიც ზღვას გადას-

კეტიროდა, ჩამავალმა მზემ ნაფიქსურად მოავარაყა. ზღვაზეც ტამდე გაწვა ოქროსფერი, მოცახცახე ზოლი. მანდარინის დაგვარჯღული ტოტები ოთახში შემოჭრას ლამობდა. იგრძნობოდა მოახლოვებული გაზაფხულის ფაქიზი ფშვენა.

— სულ ცოტაც და, გაიღვიძებს ბუნება, — ჩაილაპარაკა გიორგიმ, — რა სჯობია ახლა გარეთ ყოფნას. მალე კვირტებიც დაუსკდებათ ხეებს და მობრძანდება გაზაფხული...

თანაგრძნობით თავიდანუღულ რიშარდსა და ლადოს რომ შეხედა, დაუცაცხანა:

— ჰაიტ, ვაჟკაცებო! რას ჩამოუშვით ცხვირები? მე ის გაზაფხულიც მეყოფა, რაც ჩემი ფანჯრიდან მოჩანს... ფატი მანც იყოს შინ, რაღაცით გვიმასპინძლებდა.

— სად არის? — ჰკითხა ლადომ.

— ჩაის ფაბრიკაში. ეშმაკად, მეორე ცვლამ მოუწია დღეს.

— ძნელია: ოჯახი, სამსახური...

გიორგიმ ხელი ჩაიქნია:

— რა ქნას? ჩემი პენსია ვერ გაწვდა ყველაფერს და ჯახირობს საცოდავი მიღი, წინა ოთახში არაყი და ჯანჯუნა იქნება, გამოიტანე.

ლადომ მუხლებზე დადებულ საქაღალდეს ხელი გადაუსვა.

— საქმეზე ვართ მოსული, ბიძია გიორგი.

— ო! საქმეზე? — გიორგიმ ნახაზები და წიგნები პატარა მაგიდაზე გადაალავა, — თქვენი ხმალი, ჩემი კისერიც გისმენთ.

— გახსოვთ, მოთხრობას ვამთავრებ-მეთქი, ვითხარით...

— როგორ არა! დამთავრე?

— დავამთავრე.

— აგაშენა ღმერთმა. როდის მაჩვენებ?

— აი..., — ლადოს საქაღალდე დაანახა.

— აგაშენა ღმერთმა! — გაიმეორა კმაყოფილებით და რიშარდს მიუბრუნდა: — თქვენ წაითხული გაქვთ?

— გ... ჯერ არა.

— ჰოდა, აბა, კეთილი ინებს და ვეტორმა თვითონვე წაგვიკითხოს. მერე კი, განვიხილოთ და გავარჩიოთ. დიას! რავა გგონია, სიტყვას არ შეგვარჩენთ სიტყვას! დიდი ვერაფერი ლიტერატორობით დავიქადნი, მაგრამ მაინც!

— ზედმეტად თავმდაბლობით, ბიძია გიორგი.

— არაფერს არ ვთავმდაბლობ. თუ არ მომეწონება, ავადენ ბღღვირს! ჰე, დაიწყე აწი, რაღას უტედი? — უჩვეულოდ იყო გამოცოცხლებული.

— დიღია და... ვაი, თუ მოსასმენად...

— ნუ გედარდება! ოღონდ ივარგოს და, ღამესაც გავათენებთ, ასე არაა? მიუბრუნდა რიშარდი.

— ცხადია, ბ... ბატონო.

— აბა, ჰე! დასცხე!

ლადო ახალა მიხვდა, რომ საშინლად ღელავდა. საქალაქე ვახსნა და დაუღვევარი კალიგრაფიით ნაწერი თაბახები ამოაღავა. ალაგ-ალაგ მთელი გვერდები იყო გადახაზული, სტრიქონები წაშლილი, წვრილად ჩამატებული... „როგორ უნდა გავარჩიო?“ — გაიფიქრა შინით. გიორგი და რიშარდი მომლოდინე მზერას არ აცილებდნენ და ეს კიდევ უფრო აბნევდა. „ლიტერატურა გაბეღვაც არის“, — გაახსენდა ოდესღაც მოსმენილი სიტყვები. გული მოიცა და დაიწყო. პირველ გვერდებზე ხმაში ბზარი ეტყობოდა, წაკითხული გონებადღე არ მიუღიოდა, ბუბუნი ესმოდა მხოლოდ. ბგერებს ყლაპავდა, უშნოდ სცრიდა ტუჩებში... როდის-როდის, წინადადებათა რიტმმა თავისი გაიტანა. ცოტაც და, არჩევდა თვითეული სიტყვის ელფერს, წონას, სიღრმეს.

მერმე მოეჩვენა, რომ უსაშველოდ დიდი ხანი იყო, რაც კითხულობდა. „ალბათ მოეწყინათ. თუმცა... ჩემთვის სულერთია“. და მართლაც სულერთი იყო. ახლა ის მხოლოდ თავისთვის კითხულობდა...

„ქეთუ, ქეთუ, სადა ხარ ახლობელი ჩემო“, — შეჰკენესა გულმა.

გიორგის ხმა: ვააგრძელებ, რას ვაჩერდი?

ლადო: ა?

ის ახლა „იქ“ იყო, ზემოთ, სვანეთში...

გიორგის ხმა: ვისმენთ.

ლადო: ჰო...

შეუქმნეველად გასხლტა სამი თუ ოთხი საათი. ფანჯრიდან დამე იმზირებოდა. ლადომ თაბახები საქალაქეში ჩაღო და მოთმინებით დაუწყო ლოდინი თუ რას იტყოდნენ გიორგი და რიშარდი. უკმარისობის მწვავე ტკივილი სტანჯავდა. აშკარა იყო, ისეთი ვერ გამოვიდა მოთხრობა, როგორც უნდოდა და შეეძლო. წაკითხვის შემდეგ ეს განსაკუთრებული სიცხადით დაინახა...

ღუმელი არ დარღვეულა: გიორგიც და რიშარდიც ვითუად არ იღებდნენ ხმას. ბოლოს, გიორგიმ რაღაც თქვა. რიშარდი ჩაერია. ბორძიკობდა, გაუგებრად ბურღლუნებდა. „თქვით, რომ არ ვარგა და მორჩა“, — ფიქრობდა ერთიანად გატანჯული ლადო. მერმე რიშარდმა სინათლის ჩამრთველი გადაატრიალა. ლადომ თვალები დახუჭა...

კარგა ხნის შემდეგ, ლადო სულ ცდილობდა გაეხსენებინა, რაც იმ საღამოს გიორგიმ და რიშარდმა ილაპარაკეს, მაგრამ ამოდ. საიდანღაც არაყი და ჯანჯუხა გაჩნდა. „ნუთუ მე გამოვიტანე?“ — ფიქრობდა და გიორგის უყურებდა.

— გაუმარჯოს შენს მოთხრობას, — ილოცება გიორგი;

— გ... გაუმარჯოს! — უდასტურებს რიშარდი.

გიორგიმ ეშმაკურად მოკუტა თვალები:

— ისე, თუ იფიქრებ, ამისთანა ჯერ არაფერი დაწერილაო, აშკარად შეცდები!

ლადომ საწყლად გაიღიმა.

— თითო-ორიოლა მოთხრობას ყველა მოცლილი მოჯახირებს თუ მოინდომა. საქმე მერეა. არა, რიშარდ?

თეიმურაზ მაღალაშვილი
წიგლისწერი



— დიხ, ბატონო გიორგი.

— ამ მოთხრობაში მე საკუთარი ტყვიელებით გაწვალებული კაცი დავინახე. მალე ისეთი ნაწარმოები წაგვაკითხე, სადაც ხალხის, ერის ტყვიელეზზე იქნება ლაპარაკი. ლაპარაკი კი არა, ყვირილი! ვამიგე, შვილო?

— მგონი, — ჩუმად თქვა ლადომ.

— ავაშენა ღმერთმა. თქვენ გავიმარჯოთ, ახალგაზრდებო!

— თქვენც, ბ... ბატონო გიორგი.

— თქვენ უნდა იყოთ კარგად, ესაა მთავარი! მე ჩემი, ავი იყო თუ კაი, გავიტანე და სანამ ცოცხალი ვარ, ფარხმალს არ დავყრი.

— თქვენი ძალა სანატრელია, ბატონო გ... გიორგი...

— ჩემი ძალა არ გეყოფათ, გაცილებით მეტია საჭირო! ბევრი გაქვთ გასაკეთებელი! დღეს-ხვალ, ცხოვრების მთელი სიმძიმე თქვენს მხრებზე გადამოინაცვლებს. უნდა გაუძლოთ, ასწიოთ, ბოლომდე მიიტანოთ და თქვენს შვილებს გადაულოცოთ!

გიორგი წამოიგზნო:

— სახარებაში სწერია: „თქვენა ხართ მარტილი ქვეყნისაჲ. უკეთუ მარტილი იგი განქარდეს, რათა-მე დაიმარხოლოს?“ ახალგაზრდებზე ეს ნათქვამი. თქვენ თუ განქარდებით, განქარდება მამულის ხვალინდელი დღეც! ჩვენ, მამებმა, სისხლი ჩავაქციეთ, რომ ქვეყანა უმწიგლო და შეუბღალავად მოგვეტანა აქამდე. ძნელი იყო ჩვენი გზა; მწარე გამოდგა ნაყოფი ცნობადის ხისა, მაგრამ... არ გავტეხილვართ! რწმენას გისურვებთ, აღამიანისა და მამულის სიყვარულს გისურვებთ. ნამდვილი საქმის კეთებას გისურვებთ! საქმე აცოცხლებს ადამიანს!

— სიყვარული და საქმე, — ხმაღამლა თქვა ლადომ.

— დიხ, სიყვარული და საქმე! ამას წინად ერთი ამერიკელის წიგნი წავიკითხე — ფიზიკოსებზე. იცით, აინშტაინი რას ამბობს? ვინც შესაფერისად ვერ აფასებს ჯაფის მნიშვნელობას და პირველ რიგში საქმისადმი თავდადე-

ბას, მას არ შეუძლია პრაქტიკული ცხოვრებიდან ამაღლებული იდეის წარმოქმნაზე იფიქროსო. მე რე მისტიკაზეც ლაპარაკობს. ყველაზე მშვენიერი და ღრმა გრძნობა, რომლის განცდაც ჩვენ შეგვიძლია, მისტიციზმი-აო. ის, ვისაც არ ძალუძს შეჩერდეს, რათა ვაოცდეს და გაინაბოს მომხიბლავობაში, მკვდარს ჩამოჰვავს, მისი თვლები დახუჭულიაო... სიცოცხლის საიდუმლოთა ჭკრეტა, თუმცა შიშთანაა დაკავშირებული, რელიგიის წარმოქმნელიაო... შეგნება იმისა, რომ ჩვენთვის მიუწვდომელი საგნები ნამდვილად არსებობენ, გვევლინება უმაღლეს სიბრძნედაც და მბრწყინავ მშვენიერებადაც, რომელთა წვდომაც ჩვენს შეზღუდულ გრძნობას თითქმის არ შეუძლიაო... ამას, იცით, რატომ გეუბნებით? მე კომუნისტი ვარ და მისტიკისა ნაკლებად მჯერა მაგრამ შეცნობის, ჩაწვდომის წყურვილი თუ არ გვახრჩობს, ვაოცებისა და მომხიბლავობაში გარინდების უნარი თუ დავკარგეთ, მკვდრებს დავემგვანებით!

გიორგი უცებ გაჩუმდა:

— ალბათ ფიქრობთ, რა ქადაგად დავარდა ეს ბერიკაციო... ნუ დამძრახავთ, ახალგაზრდებო, მე მოვიბოვებ უფლება — მომდევნო თაობას ვუთხრა, რაც გამოტანჯული მაქვს. ეგეც არ იყოს, ისე იშვითაოდ ვლაპარაკობ ასეთ თემებზე, რომ...

ლაღო მის ოღნავ მოღლილ, მაგრამ მშვიდსა და გონიერ მხერას წააწყდა.

გვიანი ღამე იყო, როცა გიორგის დემშვიდობნენ: პატარა ოთახში დარჩა კაცი, ზომიზე მეტად რომ ჰქონდა ნაგემი ცხოვრების მწარე ნაყოფი, მაგრამ წყურვილისა და ვაოცების უნარი მაინც არ დაჰკარგვოდა.

მიამიჯებდნენ ჩაბნელებული ზღვის ნაპირზე და ფეხქვეშ ხრამუნობდა ქვიშა. ზღვა შრიალებდა ოღნავ, სულ ოღნავ.

— კარგია! — თქვა ლადომ, — ყველაფერი კარგია ამ ქვეყნად! თვით ტანვარჯიშშიაც არის რაღაცა კარგი!



სამი დღეც და, გათავდებოდა დასასვენებელი სახლის საგზურით. მერმე ისევ თბილისი. ნაცნობი გარემო, ნაცნობი სახეები. გამომცემლობის მოსაბეზრებელი ყოფა... მაგრამ ლადო ინტუიციით გრძნობდა, რომ მისი ცხოვრების ახალი ხანა უნდა დაწყებულიყო. იწურებოდა ქაში წყალულებისა და დგებოდა კურნების ქაში.

თ ა 3 0 IX

დადგა თბილისში გამგზავრების დღე. მატარებელი ბათუმიდან მწვანე კონცხზე ღამის ათი საათისთვის ჩაივლიდა. ლადომ და რიშარდმა ბათუმში წასულა გადაწყვიტეს. მოქაშული ამინდი იყო. ზღვის მხოლოდ ტალახისფერი სანაპირო ზოლი მოჩანდა, დანარჩენი ნისლში იყო ჩანთქმული. ტალღები დამბებზე ტლაშუნობდნენ. საიდანაც ისმონდა თოლიების ნალვლიანი ყვირილი

სასადილოს წინ დასასვენებელი სახლის ცარიელი ავტობუსი იდგა. მას უნდა წაჰყოლოდნენ ბათუმამდე.

ერნა არსად ჩანდა. ლადომ ყველა კორპუსში შემოიარა, სამზარეულოშიც კი შეიხედა, მაგრამ ვერ იპოვნა, ბოლოს, მოხუცი დამლაგებლისაგან გაიგო:—ამ დილით ღირექტორმა ჩაქვში გააგზავნა საქმეზეო. ლადოს გული ეტკინა. სხვა რაღა გზა იყო, უბის წიგნაკიდან ფურცელი ამოხია და დაწერა: „ერნა, მშვიდობით! ყოველთვის მემანსოვრები; თუ როდისმე თბილისში ჩამოხვიდე, მომიძებნე. როდენის ქ. № 4, ლადო იაშვილი“. ბარათი დამლაგებელს დაუტოვა.

რეგისტრატურაში პასპორტები გამოართვეს და ავტობუსში ჩასხდნენ. მგზავრი მათ მეტი არავინ იყო, ზეინაბი და თათია ორი დღით ადრე აიბარგნენ დასასვენებელი სახლიდან. რიშარდს პალტოს საყელო წამოეწია, ნიკაპი შივჩაერგო და ჩუმად იჯდა. — ფიქრში გართული.

ავტობუსი ზუზუნით შესრიალდა მაგნოლიებისა და კვიპაროსების ხეივანში. გამოჩნდა ტრიფოლიატის ღობიანი ეზოები, გიორგი დუმბაძის სახლი.

მაჰმუდა ვერძაძის ტირი, ზღვაში ღრმად შეჭრილი ნავმისადგომი. ყრუ გულს ტკივილით შორდებოდნენ ნაცნობ, შეჩვეულ გარემოს.

ჩაუარეს კათოლიკურ ეკლესიას, რომელსაც ორი წამახული შპილი ჰქონდა და მიხვეულ-მოხვეული ქუჩებით ნავსადგურისაკენ გაემართნენ. სახლები უმეტესად დაბალი და ძველი იყო. გზაჯვარედინებზე საჩაიეები და სასაუზმეები ხვდებოდათ. საჩაიეებში მოხუცები ისხდნენ და აორთქლილ ლამაზქებს დისკვეროდნენ. ნავსადგურში ბეტონის ნავმისადგომის გასწვრივ ბარკასები და სამგზავრო კატერები ირწყოდნენ. მოშორებით, ვეებერთელა ელევატორების ქვეშ, რომელიდაც უცხოური გემი იდგა. ლადოს სიამოვნებდა, რომ ბათუმში იყო და მთელ ქალაქს განუმეორებელი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი იერი ედო. ნავსადგურის რესტორანში სიწყნარე და სიმყუდროვე სუფევდა. ისინი ფართო სარკმელთან დასხდნენ. სარკმლიდან გემმისადგომი ბაქნის ნაწილი და მონისლული ცა ჩანდა. გზის ფული უკვე გაესტუმრებინათ და, თუმცა ორივემ კარგად იცოდა, რომ მომავალი თვის ხელფასამდე ყოველგვარი საარსებო წყარო დაშრეტილი ჰქონდათ, დარჩენილი ფულის თბილისში ჩატანა სასაცილოდ არ ჰყოფნიდათ.

ნისლიდან დიდი თეთრი გემი გამოცურდა და მისადგომისაკენ დაიწყო მობრუნება. ბაქანზე ხალხი შეგროვილიყო; მუშებმა წითლად შეღებილი თეჯირები დადგეს ხალხსა და მისადგომს შორის. გემი ტაატით ახლოდებოდა. „ადმირალი ნახიმოვი“ იყო. კაიუტების მრგვალი სარკმლებიდან სახეები ჩანდა. გემბანზე რამდენიმე კაციანი სასულე ორკესტრი რადაც მარშს უკრავდა. ღირეჟორი — დაბალი, საწვიმარიანი კაცი, შეუსვენებლად იქნევდა ხე-

თეიმურაზ მაღლაშვილი
ფაფრვილი

ლებს და ორკესტრიც სულ უკარავდა და უკარავდა.

— იმ ღირიუორს გაუმარჯოს, — თქვა ლადომ.

რიშარდმა მაგარი, თეთრი კბილება გააეღვა.

— თავის ორკესტრიანად.

გემი, როგორც იქნა, მოადგა ნაპირს. კიორდან მსხვილი ბაგირი ვადმოვადგეს, მუშამ მარჯვედ დაიჭირა და იქვე რკინის ბოძზე მიაბა. ღიმლის მომგვრელი იყო, რომ ამხელა გიგანტი ბაგირით უნდა დაეხათ. ჩამოუშვეს თუ არა ტრაპი, ორკესტრმა დაკვრა შეწყვიტა. სამაგიეროდ ნავსადგურის რეპროდუქტორში „თბილისო“ გაისმა. მობუზული მგზავრები სწრაფად ჩამოდიოდნენ ტრაპზე და, დამხვდურებში უჩინარდებოდნენ. გემი მალე დაიცალა. ბაქანიც თანდათან მოსუფთავდა და ისევ სიწყნარე დაემკვიდრა. მხოლოდ ახლა ნაპირთან იდგა დიდი, თეთრი გემი, როგორც შორეული, აუხდენელი სურვილების გახსენება.

— სიამოვნებით წავიდოდი ამ გ...გემით სამოგზაუროდ, — თქვა რიშარდმა. — მსოფლიოს გ...გარშემო. უჰ, რა იქნებოდა! ქვეყნებს ვნახავდი, ხალხებს გ... გავიცნობდი... ეთნოგრაფი ვარ მე, საქართველოს არ გ...გავშორებდითარ?

— საქართველო კი მოგივლია?

— თითქმის. ადვილად სავალ გ...გზებს სიბერისათვის ვინახავ, როცა ფეხით სიარული აღარ შემეძლება.

რიშარდმა ლუდი მოსვა.

— აი, მე არსად წასვლა არ მინდა. სანამ საქართველოს ყოველ სოფელსა და ქალაქს ფეხდაფეხ არ დავივლი. ოცნებადა მძაქვს გადაქცეული — გომეწრის ხეობით გავიარო თუშეთი, აწუნტის უღელტეხილით ჩავეშვა ხევსურეთში, ხევსურეთიდან როშკის უღელტეხილით — ხევში გადავიდე; ხევიდან სამხედრო გზით ჩრდილო კავკასიაში, იალაუზის მხარეში და იქიდან ბეჩოს უღელტეხილით — სვანეთში, ზუსტად უშბის ძირას.

— აუჰ! — აღტაცებით წამოიძახა

რიშარდმა, — რა გზაა! იქიდან ვა... წვერათი შეიძლება რაჭაშიც გადავიდე — ღებში.

— არა, მე სვანეთში დავრჩები! — თქვა ლადომ.

— მეც, — თქვა რიშარდმა, — ნუ გეფიქრება, არ მიგატოვებ.

ლადომ ხელები მომუშტა:

— მომისმინე! მართლა აპირებ უშბაზე წასვლას?

რიშარდის ცისფერ თვალებში ნაღირის სიფრთხილემ იელვა და ისევ ვაჰქრა.

— მერე?

— ჰოდა, მეც მოვდივარ!

რიშარდმა თავი ჩაღუნა. კარგა ხანს დუმდა.

— გგონია ვერ შევძლებ? თქვი პირდაპირ, — მოუთმენლად უთხრა ლადომ.

— თუ ღმერთი გ...გწამს, ხელის გ...გადაწევა არ მ...მომინდომო. ვაცივინათ.

— მაშინ სისულელე მომივიდა. ბავშვივით მოვიქეცი... აგვისტოში, არა?

— რა ადვილად წყვეტ! — თავის ქნევით ჩაილაპარაკა რიშარდმა.

— ვიცი, მაგრამ მაინც უნდა ავიდე!

— ნებართვას არ მოგვცემენ, ლადო, — რიშარდს შუბლი დაეღარა.

— გავიპართ!

— ა? — შეკრთა რიშარდი.

— გავიპართ-მეთქი. ვინ გაიგებს? ავალთ და ჩამოვალთ. გამარჯვებულებს არ სჯიან!

— სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია, ლადო!

— იფიქრე! — თქვა ლადომ, — იფიქრე! დრო წინაა.

რიშარდი მის ლაპარაკს საქმეში ჩაუხედავი კაცის ლაპარაკად სთვლიდა და არ უნდოდა სერიოზული მნიშვნელობა მიენიჭებინა. სიტყვა ბანზე აუგლო:

— მინტერესებს შენი მ...მეგობრების ვაცნობა. აი, მე არცა მყავს ნამდვილი მეგობარი, ამ ხნის კ... კაცი კი ვარ. ღროებით შევხვდები ამა თუ იმ



ადამიანს, მერე ისევ გ...გავეყრები და ის თავის გზაზე წავა, მე — ჩემთვის ვრჩები. რის ბრალია ეს?

„შევხვდებით, — გავიყრებით“ — ლადოს მწარედ ეჩხვლიტა გულზე. — უნდა მენახა ერნა. უეჭველად უნდა მენახა! — თქვა თავისთვის, მაგრამ რიშარდმა გაიგონა.

— მოასწარი წარომანება?

— არა, ეს არ იყო რომანი. მწვანე კონცხზე ჩამოსვლამ ბევრი რამ ახლებურად დამანახა. თურმე არიან ადამიანები, რომლებსაც მრავალი წვალება უნახავთ, მაგრამ არ ტყდებიან, ადამიანურ მოვალეობას არ დალატობენ. ერნა ასეთი ქალია.

— მწერალი ხარ;

— რა შუაშია მწერლობა? — ლადომ უქმაყოფილოდ შეიკრა შუბლი, — ვამბობ იმას, რასაც ვფიქრობ.

ბინდუნდი თითქო ზღვიდან შემოიპარა. რუხი ფერები ჩამუქდა და როგორღაც დაბნულდა. თეთრი გემის სართულებზე, აქა-იქ, სინათლეები აკიაფდა. ზღვა არ ჩანდა, გემი ჰვარავდა ზღვას, საიდანაც ისევ მოისმოდა თოლიების გულის წამლები კრუალი.

— წავიდეთ, — თქვა რიშარდმა, მატარებელი ნახევარ საათში გავა.

„ბათუმი-თბილისი“ პირველ ლიანდაგზე იდგა. დებარკადერი ხალხით იყო სავსე. რონოდების კარებთან გამყოლები მგზავრებს ბილეთებს უსაჩვენებენ და რიგრიგობით უშვებდნენ შიგნით. ლადომ და რიშარდმა შემნახველი საკნიდან ჩემოდნები გამოიტანეს და მეხუთე ვაგონისაკენ გაემართნენ. ორივეს ართობდა მოფუსფუსე ხალხის ცქერა. დებარკადების გასწვრივ ლამპიონები ენთო და მათი შუქი უვითლად ირეკლებოდა ჩამუქებულ ასფალტზე. ნოტიო, უსიამო სიცივე იყო. ქაოტურ ხმაურში ლადოს მოეჩვენა — ვილაცამ დამიძახაო, მოიხედა, მაგრამ სუსტ სინათლეზე ნაცნობი ვერავინ დაინახა და გზა განაგრძო. ძახილი უფრო მკაფიოდ განმეორდა. ისე მკაფიოდ.

რომ რიშარდმაც მიიხედა. ერნა იყო შეჭგუფულ ხალხს მიაღრვევდა და ხელს იქნევდა. ლადოს სინარულის ქრუანტელმა დაჰკრა. ჩემოდანი რიშარდის მიაჩეჩა, ერნას შეეგება, თავი ველარ შეიკავა და მკერდზე მიიკრა. ერნა უღიმოდა მომხიბლავი, ბავშვური ღიმილით.

— წერილი ვადმომცეს თუ არა, წამოვედი. ორი საათია აქ გელოდებით. რომელ ვაგონში ხართ?

— მეხუთეში, — უპასუხა რიშარდმა.

— წავიდეთ, მწვანე კონცხამდე მეც თქვენთან ერთად ვიმგზავრებ. შეიძლება?

ლადომ სიყვარულით მოხვია მკლავი. ერნა მიპყვებოდა, თან ხელი მის პალტოს ჯიბეში ედო. ვაგონის გამყოლმა ბილეთები გასინჯა, ზრდილობიანად დაუბრუნა რიშარდს, მაგრამ მესამეს ავლაზე კატეგორიული უარი განაცხადა.

— ეს ჩვენი კ...კეთილი ფერიაა, — უთხრა რიშარდმა, — მხოლოდ მწვანე კონცხამდე გვაცილებს.

— ბილეთია საჭირო! — ჯიუტად იმეორებდა გამყოლი.

— მაღამ, თქვენ რომ მ...მოგცეთ ფული არ შეიძლება?

— ჯერ ერთი, მე „მაღამ“ კი არა, „პრავადნიცა“ ვარ. მეორეც, ბილეთების სალარო სადგურშია და არა ჩემთან. გასაგებია?

გამყოლს რკინიგზელის კოკარდიანი ქუდი წამოეკოსებინა და წითელი თმები მოუჩანდა.

— თქვენ ადით, მე ბ...ბილეთს ვიყიდი და ახლავე მოვალ, — თქვა რიშარდმა და ოდნავ კოჭლობით ხალხს შეერია.

ლადო კიბზე ატკა, ერნას ხელი შეამველა. კუბეში არავინ დახვედრიათ. ისხდნენ და უყურებდნენ ერთმანეთს. ერნამ სარკეში ჩაიხედა, თავსაფარი გადაიძრო, თმა შეისწორა.

— გათავდა კიდევ ერთი ზღაპარი, — თქვა ჩურჩულით.

თეიმურაზ მაღლაშვილი
წაშრილი

— ჩამოდი თბილისში, ერნა.

— არა.

— რატომ?

— არ ჩამოვალ! შენ ჩემთვის არ გცალია.

— ძალიან კარგი ქალი ხარ, ერნა.

— შენც კარგი ხარ, — ერნამ ნაძალადევად გაიცინა, — ყველანი კარგები ვართ.

ბაქანზე სამჯერ ჩამორეკეს ზარი. ელმავალმა იკივლა და მატარებელი ნელა დაიძრა, ისე ნელა, რომ ერთხანს ვერც შეამჩნიეს.

— რიშარდი? — შეკრთა ერნა.

— არ დარჩება.

მართლაც, რიშარდი მალე გამოჩნდა, მაგრამ კუბეში არ შესულა. არ უნდოდა ხელი შეეშალა მათთვის. დერეფნის სარკმელთან მიდგა და უყურებდა განათებულ ქალაქს. თვლების რახრახი გაძლიერდა. მატარებელი ახლა ზღვის ნაპირზე მიჰქროდა. ზღვა ბნელში გასუდრულიყო. სადღაც შორს ციმციმებდა ეული სინათლე, ალბათ გემი თუ იყო.

— ლაღო, რაღაც უნდა ვითხრა.

— გისმენ, ერნა.

— მაპატიე, ასე პირდაპირ რომ გელაპარაკები... ბედნიერი ვერ იქნები, თუ გვერდით ქალი არ გეყოლა. წადი იმ ქალთან, ვისზეც მიყვებოდი...

— ის ქალი სხვისი ცოლია, ერნა.

— სხვისი? ეგ არ გითქვამს?!

— ჰო, არ მითქვამს...

— მაგრამ, ხომ უყვარხარ?

— ალბათ.

— მაშინ, წადი; ნურაფერს მიამჩნიე ყურადღებას და წადი!

ლაღოს ზედმეტად ეჩვენებოდა ეს საუბარი. ზედმეტად და უადგილოდ. მატარებელი მახინჯაურში გაჩერდა და მალე ისევ დაიძრა. რამდენიმე წუთის შემდეგ მწვანე კონცხი იქნებოდა. ერნა რიშარდს დაემშვიდობა და ტამბური-საკენ გაემართა. ტამბურში ბნელოდა, თვლების რახრახი უფრო მკაფიოდ ისმოდა. ერნა უცებ მოტრიალდა, მაგრამ ჩაეხვია ლაღოს და ატირდა. ლაღო თმებზე უსვამდა ხელს.

— მაკოცე, რა! კიდევე! კიდევე! ჩურჩულებდა ერნა და თვითონაც გახელე-ბით ჰკოცნიდა ტუჩებში, თვლებში, ყელზე... მოგუდული ხმით გაეცინა:

— რა სულელი ვარ!

მატარებელი გაჩერდა.

— გათავდა!

ლაღო მიწაზე ჩახტა, ერნას ჩასვლა არ აცალა და ხელში აიყვანა. ქალმა გაიბრძოლა, გაეშვებინა.

— გაჩერდი! თორემ დავკარგავ თავს და წამოგყვები იცოდე!

— მშვიდობით, ერნა...

— თავს გაუფრთხილდი!

მატარებელი დაიძრა. ლაღომ უკანასკნელად მიიზიდა ერნა და კიბეს შეახტა. ბაქანზე ბნელოდა, არავინ იყო. ერნას პატარა სილუეტი უფრო და უფრო ძნელი გასარჩევი ხდებოდა. მალე სიბნელეს შეერთო და გაუჩინარდა.

ელმავალი გვირაბში შევარდა.



გ ვ ი ს ღ ი ა ნ

მიხმობენ, მელიან, მახელებენ,
 სიზმრებშიც ვერსაით ვემალეები,
 ჩემი სათაყვანო სახელები,
 ჩემი ცადქცეული მწვერვალები!
 მიწიდან მოვჩუხჩუხებთ სიმღერებად,
 ზეები, წყაროები, ბალახები,
 და თუ ცხელ მიწაში ვიღვენთებით,

ისევ ცხელ მიწაზე განვახლდებით.
 სიცოცხლეს ვეჭიდებით გაგიჟებით,
 მიწას ვერკინებით დამკლავებით,
 არ ისმის არსაით ნაბიჯები,
 არც ვინმე გვაშინებს დაქადნებით.
 სერებზე გვიცდიან დადინჯებით,
 ჩვენთვის მოზომილი საფლავები!

უნეს მუჟაა იხის არაჟინ!

ჰე, ჰეი, თურმანაულო,
 ფშაურ სინდისის წმინდანო,
 არ გინდა, გულმა გაუძლოს
 აქაურ მზეს და მიდამოს!..
 შეგვინდე აურზაური,
 არაგვის წყალო ბებერო,
 დააგუგუნე მგზავრული,
 შენი ტალღები გვებევროს.
 ცა ვაჟასავით ამალდდეს,
 ცეცხლი ვასესხო ნალვერდლებს,

როგორც არაგვის კალმახი,
 ფშაურ მიწაზე დავებრდე.
 არაგვო, არაგვიანო,
 ფიქრით რა შორს წასულხარ,
 აბღავლდი ომახიანად,
 ჩვენი გულისთქმის პასუხად.
 მოიხავეთბა არაგვი,
 გზა-გზა უსიერ ჭალას ჰგვის,
 შენს მეტმა იცის არაგინ,
 რას ამბობს ფშავის არაგვი!

ვისაც სიყვარული შეუძლია!

იმ ქალს,
 იმ ბერიკაცს
 გაუმარჯოს,
 ვისი ცხოვრების გზაც შეეუღლია,
 ვისაც არასოდეს გაუმართლდა,
 მაინც სიხარული შეუძლია.
 ვისაც იმედები პურად ყოფნის,
 ვინც მთელ ქვეყანაზე ეულია,
 ვისაც სიყვარულით უარყოფილს,
 სხვისი სიყვარული შეუძლია.
 იმ ქალს, იმ ბერიკაცს გაუმარჯოს,
 ვისი სიმღერებიც მწუხარია,
 ვისაც სიხარული გაუავდრდა,

სხვისი გაღიმება უხარია!
 ვისაც შეუძლია ატირება,
 მზითა და სიკეთით ძლეულია,
 დიდი შეცოდების პატივბა
 ვისაც დიდსულოვნად შეუძლია!
 ვისაც უხარია ყველაფერი —
 ტყვებია თუ ველეგია,
 ვინც ჩვენი მამულის ფერად ფერებს
 ვერა და ვერაფრით შეღვევია!
 ვისაც არასოდეს გაუვარდდა,
 მაინც სიყვარულით გრძნეულია,
 ეს იმ ადამიანს გაუმარჯოს,
 ვისაც შეცოდება შეუძლია!

ბესარიონ ჯობაძე

ჩემი სოფლის სურათები

1

ჭიშკარი. ჭიშკართან — ახალგაზრდა მუხა. მისი ჩრდილი დევის ლანდივით დასწოლია ეზოს.

კვამლის სუნი.

კვამლისა და ნედლი ბალახის.

ძალი ყეფით მოქანება.

მიცნო. შედგა. კუდის ქიცინით მეგებება. წკმუტუნებს.

ფერდობს ალუბლისა და ტყემლის ხეები მიჰყვება.

მერე — დაცემული ადგილი და ზედ მსხლის ხე. ხავსმოდებული. ნაღვლიანად თვლემს მზის გულზე.

მსხლის ჩრდილში ძველებური, პარმალიანი ოდა მიყუჟულა. პარმალზე სამი სარკმელი და ორი კარი გამოდის. ოდის ირგვლივ ოქვათოს ხავსი მოსდებია. ხავსი მიჰყვება პარმალში ამაველ კიბეებსაც.

თითქოს გამინელდა ხალისი. ყველაფერი ჩვეულებრივია. ქალაქს გამოქცეულს შეგონა რაღაც საოცრებას ვნახავდო... თავი მომამბეზრა ფეხადგმულმა რკინამ, ცადაზიდულმა ქვამ... და საოცრების სანახავად აქეთ წამოველ.

აქ კი თითქოს არაფერია საოცარი, განსაკუთრებული.

და მიანც...

სიჩუმე, დალოცვილი სიჩუმე.

ფუტკრები დაჰბზუიან ბალახებში ქარისაგან ჩამოყრილ ჭიანჭამ მსხლებს. სადღაც, ფოთოლთა სიხშირეში მოლალური სტვენს. ჭკნობაშეპარულ მინდვრის ყვავილებს ჭრელი პეპლები დაფარფატებენ თავს.

პარმალზე ავიღივარ. ფუთებს კუთხეში ვყრი. ეზოს გავცქერი და თითქოს ფიზიკურად ვგრძნობ, როგორ ქრება რაღაც ციური და შეუგრძნობელი ილუზია და ვივსები ბალახებისა და მიწის სუნით გამაძლარი, ახალგამომცხვარი პურივით თბილი და სანეტარო მიწიერი განცდით. იმით, რაც ბავშვობიდანვე მიყვარდა და რაც მშვენიერი იყო სწორედ თავისი მიწიერებითა და ჩვეულებრივობით.

მსუქან მიწას ძუძუები ამოეყარა და ბრდღვლიან მზის ქვეშ ნებივრობდა, გაზაფხულის თესლითა და სინოტივით დაორსულებული სიცოცხლის წვეს იწოვდა, ნაყოფს იწევდა.

ცალ ფეხზე მდგარ მთვლემარე წეროსავით გარინდებულა თხილნარის სიხშირეში ოწინარი. ჭის წითელი თიხის გვიმი.

სიჩუმე...

ახლა სულ არ მჭირდება მის მიღმა რაღაც დიდის, რაღაც საოცარისა და ზღაპრულის, რაღაც მარადიულისა და



გარდუვალის დანახვა. მე ჯერ ეს მყოფ-
ნის. ეს მამშვიდებს და სადღაც სიღრ-
მეში მიმალული, დაჩლუნგებული და
დამცირებული საკუთარი ძალის აღორ-
ძინებას მაგრძნობინებს. ახლა პირის-
პირ ვარ შემქმნელთან და არაფრის მე-
შინია. ვემორჩილები მარადიული არ-
სებობისა და ბრძოლის მისეულ კა-
ნონს. არ ვფიქრობ დასასრულზე, გარ-
დუვალობაზე, ამოებაზე. მჯერა არსე-
ბობის განუწყვეტელობისა და იმისა,
რომ აუცილებელია ჩემი არსებობა,
რომ შეუცვლელი ვარ, რომ შეუცვლე-
ლია და აუცილებელი ჩემგან დანახუ-
ლი და ჩემში შექმნილი სამყარო. მწამს
მარადცვალებადი მარადიული უკვდა-
ვებისა.

რალაც ნეტარებასა და სიმსუბუქეს
ვგრძნობ. შინაგან თავისუფლებას.
ტახტზე ვწვები და ვუცქერი იქვე კი-
ბესთან აჩურჩულებულ ყვავილებზე-
მოლულსა და ფოთლებში ჭკნობაშე-
პარულ იასამანს. ვთვლემ და მესიზმ-
რება ლურჯ ცას ვარსკვლავებად შე-
ფრქვეული იასამნის ყვავილები. ყოვე-
ლი მხრიდან შემოტეული სიმშვიდე
თავს მართმევს. ვიძინებ.

2

ხანდახან ვფიქრობ, რომ ბუნებისა-
თვის არ არსებობს კეთილი და ბორო-
ტი, ცუდი და კარგი, მახინჯი და მშვე-
ნიერი. იგი ყველაფერ ამაზე მაღლა
დგას. ყველაფერი ერთნაირად მონებს
ძლიერს და ბატონობს სუსტს. ოღონდ
ეს მორჩილება და მეუფება სხვადა-
სხვანაირად ვლინდება და ჩვენც სწო-
რედ ამით ვზომავთ სიკეთესა და ბო-
როტებას. ბუნება კი იმასვე ემორჩი-
ლება, რასაც თავად ბატონობს. ამით
თანასწორდება მასში დიდ-მცირობა.
უბრალო თესლი, რომელსაც ჩიორა
ჩაგრავს, მიწაში ღვივდება და იქცევა
ხედ, რომელიც დევ-გმირივით გაშლის
მკლავებს. მაგრამ კვლავ იქცევა იგი
უმცირეს თესლად და ოდესღაც ღრუბ-
ლებთან გაჯიბრებულის დაჯაბნა წიწი-

ლასაც არ გაუჭირდება. საოცარი მეტა-
მორფოზა ხდება ყოველ ფენის ნაბიჯ-
ზე, დროისა და სივრცის ყოველ ნა-
წილში. მლოდავი მატლი უეცრად
ფრთამოხატულ ფარვანად იქცევა. შემ-
დეგ კი ეს მშვენიერება ისევ მატლო-
ბას უბრუნდება და თვალნათლივ და-
გვანახებს იმ წარმავლობას, რომელიც
განუხრელად ბატონობს ბუნებაში —
ფოთლებში, ბალახებში, ფრთოსნებში,
მსხავეებში, ადამიანებში...

რამ გამახსენა?..

ასკილის ყვავილს ორი თეთრი პეპე-
ლა დაფარფატებს თავს. წამით დაასხ-
დებიან ყვავილს, ფრთებს აკეცავენ.
გაირინდებიან. მერე ისევ აიქნევენ
ფრთებს, ცის სილურჯისაკენ აფარფა-
ტდებიან, სადღაც ოქროსფერი მზის
მხურვალეებისაგან გარინდებულ ჰაერში
გადანდებიან, გაუჩინარდებიან. მერე
ისევ ხეს მოწყვეტილი ფოთლებივით
ეშვებიან, ხან დაშორდებიან, ხან მიუ-
ახლოვდებიან ერთმანეთს. ფარფატე-
ბენ ქარისაგან ატაცებული ტყემლის
ყვავილებივით.

ბალახ-ბულახში მირიადი ჭიანჭველა,
ფაცი-ფუცობს, მარცვლებს, მკვდარ
ქუპრებს მიათრევს, მიმორბის, ფუს-
ფუსებს.

ალაგეს იქით ნაურმალი გზა იწყება.
გზას საქონლის ნაჩლიქარი ატყვია. ნა-
წვიმარზე თუ უვლია აქეთ ნახირს.
ვრცელ მინდორზე ერთადერთი ნამე-
ხარი წიფელი დგას. მზე უმოწყალოდ
იკბინება.

ჩემი მეგზური თეთრი კიტელის სა-
ყელოს იხსნის და გაოფლილ კისერს
ცხვირსაოცოთ იმშრალებს.

— ძანიალი მიჭირს ამ ბოლო დროს
სიცხე, ძანიალი!.. — იმართლებს თავს,
— აღრა უფრო ვიტანდი... იყო დრო,
თაკარა კვირიკობისთვის შინელში მივ-
ლია და ვითომ არაფერი... მაგი წინათ
იყო, პირველი ომის დროს. შენ არ გე-
მახსოვრება... — და მეტი არაფერი.

განსარიონ ჯორჯანაძე
ჩიბი სოფლის სურათები



თუმც სიძრახი არაფერი ჩაუდენია, რატომაც გაუბრძის თავისი წარსულის მოგონებას.

გზიდან გადავედით და თხილნარის ჩრდილს შევაფარეთ თავი.

მეგზურმა თუთუნმა გაახვია გაზეთის ნახევრები. მეც გამომიწოდა. უარი ვთქვი. სიჩუმე ჩამოვარდა. უნდოდად ჩურჩულებენ ფოთლები. გადახურებული ჰაერი ჩუმი გუგუნით ავსებულა. მზის გულზე თვალისმომჭრელად გარინდებულა მტვრიანი შარავზა. ჩვენი ფეხის ხმა ისმის.

— კუპ, კუპ, კუპ! — კუთავდა გზის პირას დამშრალ დელეში ჯაჭვეტა კრუხი. ბალახებში იქეჭებოდა. ღაბუა, ყვითელი და ჯაჭვეტა წიწილები წიაჭით მიმორბიოდნენ მის ირგვლივ.

— კუპ, კუპ! — ხან აქ წაპყოფდა კრუხი ნისკარტს, ხან იქ. დინჯად, თავის კანტურით მიმოდიოდა, ფეხებით ნაგავს ქეჭავდა, მერე თავს წამოპყოფდა, გაშტერდებოდა. ყურს მიუგდებდა, თვალს მიუწვდენდა, საფრთხე ხომ არსაიდან მემუქრებოდა.

— ელოკოუ!.. — გადასძახის ვილაც შარაზე.

ქიშკართან შევჩერდით. შინ ვეპატიეები. ჯერ უარზეა. წყალი მაინც დაგვლიათ-მეთქი. მეთანხმება. წინ გავატარე და მის მერე გადავედი ალაგზე.

ქასთან ჩავედით. წყალი ამოვიღე და ჭიქა ახლალა გამახსენდა. შინ არბენა დავაპირე, შემაჩერა:

— ასე სჯობს, უფრო გემოიანია!.. — შემომეპატიეა. წყალი უმცროსისაო. უარი ვთქვი. პირდაპირ ბადიიდან მოსვა, წვერზე ჩამოეწვეთა. — აუპ, სიცოცხლეა, სიცოცხლე!.. დარჩენილი წყალი თხრილში ჩააქცია და ბადია ორკაბზე ჩამოვიდა.

— აბა, ბედნიერად მენახე! — დამეშვიდობა და ისევ ქიშკარისკენ წავიდა.

3

პარმალის ქვერთან მერცხლის ბარტყები იფოფრებოდა ბუდეში. წამიდან-წამზე კლდმაკრატელა მერცხლები შე-

მოფრინდებოდა. ბარტყები იწყებენ მათ დანახვისას. მერცხლები ბუდის კიდეზე შემოსხდებიან და გაღებულ პირში უღებენ ქია-ლესს. მერე შეფრთხილდებიან და ისევ იკარგებიან ბინდშემოპარულ სივრცეში.

ჩამოლამდა. მერცხლები ბუდეში მოკალათდნენ და მიჩუმდნენ.

გზის პირიდან ბაყაყების ყრუალი ისმოდა. ციკინათელები ნაპერწკლებით შესეოდნენ ეზოს კუთხეში სიბნელეს.

ლამპას პეპლები აწყდებოდნენ. ჩვენ, მთელი სახლუელი, პარმალზე ვისხედით. ვყვებოდით მთისას და ბარისას.

— გუგულის გოგო გაუთხოვებია!.. — ოპ, კაი, ნამეტანი კაი!..

მე ყურს აღარ ვუგდებ, აღარ მაინტერესებს. ფოთლებს შუა ვარსკვლავიანი ცის ნაგლეჯი მოჩანს. ახლა განსაკუთრებით მიმზიდველი და მომავადობელი მეჩვენება ვარსკვლავებით დამძიმებული ცა. ქვემოთ, თხილნარში მიმალული ჭის თავზე ჭინკებს ჩაუბამთ ფერხული. ქიშკართან კი მზეთუნახავის ქოშივით ანათებს დამპალი კუნძი. მთვარის სხივები იდუმალ ქსოვილს ქსოვენ ცასა და დედამიწას შორის. შარაზე დაგვიანებული მგზავრის ფეხისხმა ისმის. მიწაზე ხეების ლანდები ბორიალობენ.

ისევ პარმალს ვუბრუნდები ზღაპრული სამყაროდან. ყურს მოწვედა დაწყებული სუბარბი, წამით თავს მართმევს.

— გუშლამ აღმასის კაკალივით ბიჭი დღურჩვია წყალს...

— უი, უი!.. რა მითხარი აგი!

— აბა!

მე კი ისევ მიტაცებს ამ სიჩუმეში გაქვავებული ზღაპრის სუნთქვა. საკმარისია ჯადოსნური წკებლა გადავკრა და გაცოცხლდება. ამეტყველებდა, როკვით აახანზარებენ მიწას ცხრათავიანი დევები. უკვადევბასთან გაჯობრებული მზეჭაბუკები. მზეთუნახავი ქალები, ტყისა და მინდვრის სულები.

— ძანიალი მოუჭირა სიცხემ! — მოწვდა ყურს ისევ, — ერთი წვიმა თუ არ ქნა, გადაწვავს ყველაფერს. კიტრი სულ გაამწარა გვალვამ...

— აბა, აბა, სულ გადააზრო ლორთქო კვირტები, წყალი ენატრება...

და მე ვფიქრობდი ხანდახან, რომ ვინ იცის, იქნებ ის გლეხი, რომელიც დღენიადავ ებრძვის მიწას, უფრო ძლიერია მათზე, ვინც ცდილობს ბუნებაში გონებით შეღწევას. იგი ებრძვის მიწას და სძლევს კიდევ მას, სძლევს, სანამ თავად იქცეოდეს მიწად. სძლევს, სანამ შეუძლია, რადგან აქ მისი დამარცხება მის გაჭრობას, არარაობად ქცევას უდრის. იგი მიწას უბრუნდება, რომ ლორთქო ყლორტს საზრდო არ მოაკლდეს, ხორცსაცხე იყოს და გამტანი. ჩვენ კი ჰაერში ვიფერფლებით და სევდად შევდივართ შთამომავლობით სულში.

ციცინათელებმა ახლა ეზოს მეორე კუთხეში გადაინაცვლეს. ჭგუფ-ჭგუფად ფრენენ, მხოლოდ აქა-იქ გაანათებს წამით გუნდს ჩამორჩენილი ციციანთელა.

ჭიშკარი ჭრიალებს და ჯახუნით იხურება. ლამპას ვიღებ და ჭიშკრიდან მომავალ ბილიკს ვანათებ. ძაღლმა ჩაიღრინა და ისევ მიჩუმდა, იცნო მოსული.

— რომელი ხარ?

— მე ვარ, შინაური!

ხმაზე ვიცანი, კიბეზე შევეცებე. ხელი ჩამომართვა, გადაამკოცა.

— როის ჩამოი? — მეკითხება.

— ამ დღით.

— აჰ! კაი, ნამეტანი კაი! მოგვანატრე თავი!..

— შემოი შინ, რა კარში გაჩერებულხარ! — ჩაერია საუბარში სოლომონი.

— მეჩქარება, ხვალ იალონზე ვარ ასადგომი.

მინც შემოვიდა.

ვიყუჩეთ. სათქმელი უცებ შემოგველია.

— რაეა ხარ, რას შობი? — მეკითხება ისევ.

— რას ვიზამ?..

— არ მოგწყინდა ქალაქში?

— აი, ჩამოვედი!..

ტოტიდან ტოტზე სინათლით დამფრთხალი ჩიტი შეიფრთხილებს, დაიწყვილებს. მერე ისევ მიჩუმდება ყველაფერი.

— ე, ბიჭო, მოლაღური! — დაიძახა მოსულმა, — ჩემი თოფი მომცა ახლა!

უცებ შემეცოდა მოლაღური და ვიგრძენი, რომ ნამდვილი მონადირე ჩემგან არასდროს დადგებოდა. სიჩუმეში გაბმულ ზუზუნს წამიდანწამზე ერთვოდა ზანზალაკების წკრიალი. სოლომონმა იგრძნო, რასაც ეუფლებდი ყურს.

— ჭრიჭინებია! — დაარღვია სიჩუმე.

— ჭრიჭინები? — გაიკვირვა მოსულმა, — ჭრიჭინები არაა...

— აბა?..

შორიდან მატარებლის ხმა მოისმის. ბორბლები ხმაურობენ. ეტყობა, სამგზავროა, ჩვენი სოფლის ბაქანთან შესივენა წამით.

სიჩუმეში ისევ ისმის უცნაური ზანზალაკების მონოტონური წკრიალი.

მერე ელმავლის ყრუ ბუბუნი მოისმა და ისევ ახმაურდნენ ბორბლები. ნაწყვეტ-ნაწყვეტ მესმის ზანზალაკების წკრიალი. უნებურად მატარებლის ხმაურს ვუგდებ ყურს. ბოლოს მიწყდა ბორბლების ხმაური. ისევ სიჩუმე ჩამოვარდა და ისევ აივსო იგი ზანზალაკების წკრიალით. და ახლა მეზობლის ძაღლი აყუფდა. ვილაც გაუჩავარდა. ძაღლმა წკმუტუნე გააბა.

— ვილაც კვდება ალბათ? — ვიკითხე გულუბრყვილოდ.

გაიცინეს.

— არა, ამას მაშინ იტყვიან, როცა ძაღლი ტირილნარევი ხმით ყმუის... მთქმელმა ზიზღიანად შეათამაშა მხრები, — საშინელი ხმა! ახლაც მუბრძვლის ტანში...

გენაროონ ჯორჯანაძე
ჩემი სოფლის სურათები

შარაზე შეგვიანებული ძროხა რაეს მორახუნებდა.

დედოშარაზე მანქანამ ჩაირახრაბა. ჩანდა, როგორ მოანათებდნენ მისი ფარები.

ახლა ყველაფერი ეს მღლის და მამბრაზებს.

მერე მეზობლისას რადიო ჩართეს და უგემოვნო რომანსებმა ამაფორიქეს.

— რას შობიან ესეფისანი? — მეზობლებზე კითხულობს მოსული.

— ჭე არიან... უფროსი ბიჭი ახლა უნდა ჩამოსვლიდათ ჯარიდან. დღე-დღეზე ელოდნენ, მარა მეიწერა, ჯერ-ჯერობით გაშობა შეაჩერეს...

— ომი არ დეიწყოს, კაცო!..

— აჰ, რავა დეიწყება!..

სიჩუმე.

და უცებ, როგორც გველის ენას ენით შეხებულ გულთმისანს, ათასნაირი ხმები ჩამესმა. ჩუმი ოხვრა ხეებისა, ჩურჩული ფოთლებისა, ჭრიალი ქარი-საგან შექანებული ბებერი კოპიტებისა და ფუსფუსი, ზუზუნი და ღულღუნი მსუყე მიწისა.

რალაცას წუხდნენ ძილში.

ისევ დუმილი. ვერ იქნა და ვერ ავაბით საუბარი.

მოსულმა თუთუნე გაახვია. მე სიგარეტის კოლოფი ამოვიღე.

— აგი მოსწიე! — პორტსიგარი გამომიწოდა, — შინაურია. დიდი ხანია ეწევი?

— კი! — ხველა ამივარდა.

ზურგზე მომითათუნა ხელი:

— აფერია, აფერია!.. შეირგე, შენი არჩივია!..

— კი!.. — ჩავახველე, ჩახლჩილი ხმა ჩავიწმინდე, — კი, დიდი ხანია!

— არ ვარგა!.. მარა მიჩოვა იცის...

— ჰო, მივეჩვიე.

— მე ფრონტზე მივეჩვიე. იქ ვერ გაძლებ უამისოდ.

— ვერ გაძლებდი, — დავეთანხმე.

წამით ქალაქი მომენტატრა, ახმაურებული ქუჩები.

მერე ისევ მომესმა ზანზალაკების

რეკა. ფოთლების სიხშირეში ისევე დაეძლიანდნენ ვარსკვლავებით მოოქტილი ცა, მირიადი იღუმლად მოკამკამე ნაპერწკლით შეფრქვეული. თითქოს ვარსკვლავების შორეული ხმები ჩამეამოდა. ჰის თავზე ისევ ღრებდნენ კინკები. ვენახიდან აგუნას თვალები ანათებდნენ. მუხის კენწეროზე დევის მზეთუნახავი ქალი შემომგდარიყო. და ჩემდაუნებურად ვფიქრობდი იმ უმაღლესსა და უჩინარზე, რომელიც ამ ხილული სამყაროს მიღმა არსებობს, რომელიც ჩვენივე სულის მარად გამოუსახველი ნაწილია და რომელიც აზრს აძლევს ყოველი არსებულის არსებობას...

— ქალაქში რა ამინდებია? — მკითხა უცებ მოსულმა.

— არა უშავს... შენი თოფი სადაა?

— რომელი?..

— აი ის, ცალპირა...

— საცხა სხვენზე უანგდებია...

— კარგი თოფი იყო!.. — დამენანა.

— თოფს ნუ იკითხავ! არ გიღალატებდა!..

— მე მინდა ნადირობის დაწყება.

— ძნელია, მიჩოვა უნდა.

— მივეჩვიე. ვიცი, რომ ძნელია.

— კაი მონადირე დამჯდარ ჩიტს არ ესერის...

— ვიცი... გამიგია, მიზანს გიქებენ. ახლა? აღარ ნადირობ?

— კი, ხანდახან, მარა მოცლა არაა...

— ბევრია ნადირი?

— ტყეში ბევრია... შველი, ირემი. ზამთარში ტახი იცის... ტყის ქათამი, ჩხართვი...

— რალაც არ გამიგია, რომ აქეთ ვინმე გულდაგულ მისდევდეს ნადირობას!..

— რავა არა!.. მარა ჩვენ არ მოგვდგამს. ნადირობას ისე უნდა წაჩოვა, რაც მიწას.

— სულ არ ნადირობდით?

— სულ რავა არა!.. ბაბუაჩემს ბადით უყვარდა ნადირობა...

— ბადით?! თევზაობდა ალბათ!..

— თევზს ნუ იკითხავ! ერთი ქეჩხო ჩამოგვქონდა ერთ წასვლაზე... მერმე



ახვებ ნადირობდა ბადით, ღერღედ-
 ზე... ჭაობში ბევრი იცის გადაფრენის
 დროს. სულ მოფენილია იქაურობა.
 კრიახით რომ ცას მოედებოდნენ დამ-
 ფრთხალი, საავდრო ღრუბელი გეგო-
 ნებოდა... ნაგარს გაკაფავდნენ და ბა-
 დეს ვააბამდნენ. ღამე ჭონჭყოსკენ მი-
 მავალი იხვი გაებმებოდა შით... — მე-
 რე ცას ახვდა, — კაი ამინდი იქნება
 ხვალ. კაია, დარი დაგესწრო. რაცხა
 ორი დღით ჩამეირბენ და იგიც თუ ქა-
 ლიკონი შეგბთა, რას დეისვენებს!..

მე კი ისევ ღამეულ ზანზალაკებს
 ვუგდებ ყურს და ისევ მგონია, რომ ეს,
 აი, იმ მოციმციმე ვარსკვლავების შო-
 რული და იღუმალი ხმებია.

4

მერე ის იყო, ქვენა ქარი ამოვარდა.
 მოაწვა, გადაზნიქა ასწლოვანი მსხლები
 და ბეოლები. ყალყზე შემდგარი ულა-
 ყებებით აწყდებოდნენ ხეები სარკმლის
 მინებს. ყრუანტელივით დაურბინა ცას
 ელვამ, გააპო კაბადონი, დაბზარა. მერე
 ზათქით მოვარდა კოკისპირული და
 მთელი ღამე გადაუღებლად წვიმდა. ის-
 მოდა, როგორ ხმაურობდა კრამიტზე
 წვიმა.

— სულ ჩააღობს ამ ნასიცხარ ყა-
 ნებს!.. — წუხდა სოლომონი.

კერძას ვუსხედით ტაბლასთან. სველი
 ფიჩხი ტკაცუნობდა. ჯაჭვზე ჩამოკიდე-
 ბულ კარდალში ღომი თუხთუხებდა.
 ჩვენ კი შინნახად არაყს ვსვამდით და
 მეცნიერულ თემებზე ვსაუბრობდით.

— შენ ახლა იმასაც მეტყვი, სულის
 გადასახლება არ არსებობსო!.. — მე-
 უბნება სოლომონი და მეასედ მიხსნის
 ერთი და იმავეს, ახალ საბუთებს პოუ-
 ლობს და არყით შეხურებული და გალა-
 დებული სულ უფრო ხმამაღლა ლაპა-
 რაკობს, — იქნებ არც სიზმრისა და
 წინათგრძნობისა გჯერა?.. აუჰ, შენ რა
 ყოფილხარ, ძამა!.. დააყურე, დააყურე
 ერთი, რას ჩივს! — ხშირ-ხშირად მიუ-
 ბრუნდება ცოლს და სიტყვის თქმას არ
 აცლის, თითონ იწყებს მტკიცებას, თან-

დათან ეშხში შედის და მეც მზად ვარ
 დავეთმო. არა სტუმრის ზრდილობისა
 გამო. იმიტომ, რომ თითქოს ვრწმუნ-
 დები, თითქოს მაჯერებს მისი საოცარი
 რწმენა.

— აბა, რაფერ გგონია შენ!.. — ირწ-
 მუნება ისევ სოლომონი.
 წვიმს.

კრამიტზე წვიმა ხმაურობს.
 ისევ ეხლებიან ხის ტოტები სარკმ-
 ლებს.

კარის ღიობში ჩანს: სახლის ქვეშ
 გაწუწული ძაღლი წევს და ძვლის ნა-
 ტეხს ღრღნის. იქვე კრუხი გადაფოფრე-
 ბია თავის წიწილებს და კრუსუნებს.
 და კიდევ: როგორ გადის კვამლი გარეთ.
 დიასახლისს ფიჩხის კონა შემოაქვს
 და გვაყვედრის:

— აფერი გიჭირთ, პაწა რომ მომეხ-
 მართო!..

ტუბლად დღუნებს ცეცხლი...
 გარეთ კი ისევ წვიმს. მღვრიე ბურუსი
 ეხვევა გაწუწულ ხეებს...

5

ჩამორეცხილ ცაზე მზემ გამოანათა.
 ხებიდან ისევ წვეთავდა. მიწას ოხ-
 შივარი ასდიოდა.

სველი ხეები დამბალ ძვლებს ითბობ-
 დნენ.

ჰაერში გაფუებული მიწის სუნი ტრი-
 ალებდა.

ნესტისაგან დამძიმებულ ბალახ-ბუ-
 ლანში ჭია-ღუა ხოხავდა.

შუადღის მზემ უცებ ააშრო მიწა.

შარაზე საქონლის ნაჩლიქარი შეხმო-
 ბოდა თირს.

აქა-იქ დატბორილ მღვრიე გუბეებში
 ცა და ხეების კენწეროები ირეკლებო-
 და. მეჩაიე ქალებით დატვირთულმა
 მანქანამ ჩაიარა. რყევით, ძრავის ღრი-
 ალითა და ჩხარუნით.

ყოველ ფოთოლში, ყოველი ბალახის
 ღეროში, ვენახის ძირში, ბაღში, ეზო-
 ში მირიადი სიცოცხლე ფაჩუნობდა და

ბასარიონ ჯორჯანაძე
 ჩიმი სოფლის სურათები



სძლევდა სიკვდილის მარადიულ შიშს. თრობის ენით იტვირთებოდა ყურანის მტევანი, იღვინებოდა ლედვი, მიწის რძით იგსებოდა დამდიდრებული ტარო. სიცოცხლეს ეწაფებოდა ყველა და ყველაფერი და მაინც ყველაფერს სევდა ახლდა ახლა თან, სევდა წარმავლობისა, რადგან ყვითლდებოდა ფოთოლი, ცვიოდა და დილის ნამიან ნეშოში საკალანდროდ ნასუქი მამალი იქექებოდა.

მიწას ჭუქულებივით გადმოუყრია ვენახის მტევნები და ღამით მთვარეს ეთამაშება, დღისით მზეს ეფიცება. ნაყოფიერების ამძუნებელი ღმერთის სული ტრიალებს ამ სერებში, თაღარაში, ეზოში, კერაზე. უმისოდ მომაკვდავია ყველაფერი, უმისოდ არ განმეორდება არაფერი, თრობისა და ნაყოფიერების სულის გარეშე.

წვიმისაგან გაჩენილი ნაკადული დაფნარში მორაკრაკებს, გზა გაუტვალავს და გარდასულთა შორის ისევ ცოცხლობს ახალი, მარადიული და დაუსრულებელი. ჩვენთვის დაუსრულებელი. და ჩვენც იმიტომ ვართ ბედნიერი, რომ უბოლოვებელი გვგონია წყაროს რაკრაკი და რალაც ნუგეშია, რალაც იმედი, რომ უკვდავია სული ჩვენი, სწრაფვა ჩვენი, სიყვარული ჩვენი. და თვით წამიერი და მღვრიე გატაცებაც.

მოლში ქათმები იქექებიან. ხოშზე მოსული მამალი სათითაოდ ეფაფხურება მათ. ქათმები კრიახითა და ფრთების ბათქუნით არიდებენ თავს.

იხვები ბაჯბაჯით მიდიოდნენ ჭასთან დამდგარი გუბისაკენ.

ხიდან ხან აქ, ხან იქ ჭიანჭამი ვაშლი და მსხალი ვარდება ბათქუნით. შორიოდ ისევ მოისმის მატარებლის ხმაური.

მერე ყველაფერი მიწყნარდა. მზის გულზე კატის კნუტები თამაშობენ. წამით შედგებიან და გულდაგულ ისუფთავენ თავს. ძალდი უკანა თათით ყბას იქექავს. უცებ წყმუტუნით შეხტა ჰაერში და ჰაერს უკბინა, გადმოშტარ მებენარს თუ იჭერდა. მერე უკანა ფეხებზე

ჩაცუცქული კიდევ დიდხანს ექექებოდა. წამოდგა. ტანი გაიბერტყა. ჭიშკრისკენ წაძინძულდა, თან მიწას ყნოსავდა. ჩიტბატონა ფოთლიანში ხტოდა და ივენეებოდა.

სადღაც შოშია სტვენს და რომელიღაც ჩიტი ჭყვივლით გადაუფრენს ეზოს.

— მოჭიის, მოჭიის! — ეძახიან ქათმებს.

— კვატ, კვატ! — საკენკს უყრიათ გასასუბებელ იხვებს.

— ნწი, ნწი! — და ღორები ღორუტუნითა და ჭყვივლით გამოვბიან.

— ეცი, ეცი! — აქეზებს ვიღაც ძაღლს ყანაში შემოშლივინებულ ღორებზე.

სიჩუმე.

შუადღის სიჩუმე. მხოლოდ ფოთლები შრიალუბენ ქარის ყოველ მოძალეზაზე და ხან აქ, ხან იქ ჭიანჭამი ნაყოფი ვარდება ბალახებში ყრუ ბათქუნით.

6.

სადამოს ამირანმა გადაგვიპატიჟა: ხვალ დილით ქალაქს მივემგზავრებით და გზა დაგვილოცეთო.

— დაგვარჩობენ ახლა ღვინოში! — მეც ვცდილობ აქაურად მოვუქციო, რადგან მომწონს და მიყვარს ეს უცნაურად ტკბილი კილო.

— ყა! მაგი ნუ გენაღვლება! მაგი მე ვიცი! უბატონოდ ხმას ვერ გაგვეცემენ!..

სტუმრები, თითქმის ყველა, შინაურები ვიყავით და შვებით ამოვისუნთქე. თავის გამოჩენა სცადეს, სუფრას ოდაში გავშლითო, მაგრამ ჩვენი გავიტანეთ და პურმარილი ასწლოვანი წაბლის ძირში მოგვართვეს, ქვევრის თავზე.

ჯერ დანდობილად, მიპარვით დავიწყეთ. ღიჭინით, დაძალეებით, ხუმრობადაცინვით წაქეზებულები ვცლიდით ჭიქებს. მერე თანდათან მოგვეკიდა ღვინო.

ღიასახლისის სადღეგრძელო ხომ დავშაქრეთ და დავშაქრეთ, ზედ კერია და კერიის სითბო დავაბედეთ, მერე ცის ნამი და მიწის ბარაქა ვინატრეთ, ზედ ლამაზად ჩახვეული კრიმანჭული მივა-

ტანთ და ის იყო, თამადამ ლიტრიანი
ყანწი მოითხოვა. ლიკლიკებდა ალისფე-
რი ღვინო და რაც მეტს ვსვამდით,
მით უფრო გველავდა წყურვილი.

ბოლოს ნადიმის მიზეზს მივადექით
და წავიდა და წავიდა ჭინჭილები, ფი-
ლები, ყანწები, მტერ-მოყვრის სადღე-
გრძელობები.

— ეს გაუმარჯოს ჩვენს...

მოგცილია, საქმე გამოგლევი! ვის აინ-
ტერესებს შენი მჭევრმეტყველება, ჩა-
ხუტუტებული ქება-შესხმა, მკერდზე
დარდიმანდულად აბაგუნებული მჭილი.
დალიე, ალავერდს გადადი და დაქუხე-
ბულ სიმღერას ხმა შეაწიე, თუ შეგიძ-
ლია, თუ არა და ავე, მოლზე გადახტი
და ქვეყრის თავზე მთვრალი ბელივით
ღრიალ-ღრიალით დაუარე დავლური.
მრავალკამიერით ცა ავანგრით და
კაჟიანი თოფის ბათქა-ბუთქით იქაურო-
ბა ავაფორიაქეთ. დამფრთხალი ქათმე-
ბი კრიახითა და ფრთების ბათქუნით
ცვიოდნენ ხეებიდან. შეშინებული მე-
ზობლები საცვლების ამარა გადმოდიო-
დნენ ალავეზე და ჯარიმად ჩაფიან ყანწს
ვაცლევინებდით. კრიმანჭული ვენახის
ყლორტივით მიიკლაკენებოდა ცისკენ.
ვარსკვლავებით მოქედილი ცა დაგვკამ-
კამებდა თავზე და ახლა ასე მეგონა.
ხელს ავუწვდენდი მას.

მერე ის იყო. პატარა სევდაც გაერია,
როცა წინაპართა საფლავები გავიხსე-
ნეთ. ჰოდა ამირანმა აიღო სიტყვა, თვა-
ლებიდან ორი კურცხალი დაუგორდა
და ხმის კანკალით დაიწყო:

— ძმებო და მეზობლებო, ხვალიდან
აი ყოლიფერი ბედის და ერთგული მე-
ზობლების იმედზე უნდა დავტოვო. მივალ
ქალაქს. რას იზამ, ცხოვრება გვინდა და
ჩემდა ცხოვრების აი გზა გამოჩნათ. დე-
დაჩემზე მეტად მე მიძნელებდა ამ სახლ-
კართან განშორება, მარა რაღაი ახლა...

უკვდავი არაკაცი არაა, ცას არავინ გა-
მოკერებია, მარა, სანამ ვცხოვრობთ, წა-
სულების გახსენება გვმართებს, რადგან
კაცური კაცი ხსენებითაა უკვდავი. ჰო-
და, ნუ დამზარდებით, სასაფლაოზე ავი-

დეთ და თითო ჭიქა ღვინით იმის სა-
დღეგრძელო შემისვით, ვინც აი ასეთ
გაწყობილი სახლ-კარი დატია და თვი-
თან კი ციდან დაგეყურებს და უხარია,
ასეთ რომ ვართ, ასეთ რომ ვმღერი-
ვართ. პურმარილიანი კაცი იყო და გო-
უხარდება ჩვენი სტუმრობა!

გზას სანთლებით ვინათებდით.

სასაფლაოს კარებთან ამირანმა შეგვა-
ჩერა:

— სიმღერა, ძმებო! მტერს თვალზე
უნდა დავუფსოთ! ჩემმა მამა-პაპამ მინ-
და გაიგოს, რომ მის დანატიარზე ისევ
ხარობს ყლორტი და მზეს შეხარის...

ჰოდა, მრავალკამიერით დავაფრთხეთ
ბნელ კუნჭულში მიყუყული ავი სული,
ჭინკები კისრისტეხით ჩარბოდნენ თავ-
დადმართზე, ეშმა ასკილის ეკლიან ღე-
როებში გაეხლართა, ალუბი მკლავებზე
დაგვიგორდნენ ერთგული ცოლებივით
და ხვეწნა-ალურსი გვთხოვეს. მაგრამ
ვის ეცალა მათთვის. საფლავის ქვას
ღვინიანი ჭიქა დავალეწეთ და წავიდა და
წავიდა. კვრის ჩირაღდნებმა ღამე და-
ფხრიწეს. თეთრი ეკლესიის ნანგრევები-
დან დამფრთხალი დამურები გამოფ-
რინდნენ და თავს დაგვტრიალებდნენ.

მოვხსენით თავი ტიკს, საფლავის ქვას
სუფრა დავაფინეთ. წამოვიდა და წამო-
ვიდა შემწვარ-მობრაკულები. სასმისის
სასმისზე ვცლიდით და ალავერდს საფ-
ლავის ქვებთან გადავდიოდით.

ვმღეროდით, ვიცინოდით, ვხუმრობ-
დით და ერთმანეთს ვაბითურებდით,
გულს კი რაღაც მწვავე სევდა შემოსწო-
ლოდა და თვალებს გვინისლიანებდა.
საოცარი განცდა იყო. ბევრი ნადიმი მი-
ნახავს, ბევრი ღრეობა და შედლუხი,
მაგრამ ის ნაღვლიანი მხიარულება გა-
ნუმეორებელი და დაუვიწყარი იყო.

სამაში დავათენდა თავს.

სიმღერა და ცეკვა არ შეგვიწყვეტია
მთელი ღამე.

ხასარტონ ჯორჯანაძე
ჩემი სოფლის სურათები

გზად ნაცნობ-უცნობის სალამ-გაკითხვა მიგვაცილებდა.

ნახილი რაეის რაკუნით მობაკუნობდა შარავზაზე. უღლიანი ღორები ბორძიკითა და ღრუტუნით დადიოდნენ თხრილში და ღობეში გაძრომას ლამობდნენ. გზა ბატების გუნდმა გადაგვიჭრა სისინით. მერე მანქანამ ჩაგვიქროლა და მტვერი შემოგვავყარა. მტვერი ნელა დაეფინა გზის პირა ბალახებსა და ფოთლებს.

შინ მისულები ეზოში გაშლილ ჭილოფებზე დაცვივდით და მკვდრებით ჩაგვეძინა. სადილობამდე გვეძინა. ანკარა ღვინო მალე გამოგვინელდა და ჩინებულ ხასიათზე გავიღვიძეთ.

ბოსტანში გადავედი კიტრის დასაკრეფად.

ნასადილევს ბაბუასეული ჩიბუხი გავაჩაღე. მერე სოლომონმა ურმის გატეხილი თვლის შეკეთება დაიწყო, მე კი წიგნს მოვკიდე ხელი. ძველისძველი წიგნი იყო, ნესტისა და ობის სუნი ასდოდა. მე მიყვარს ეს სუნი, ქალაქში ყოველთვის სოფელს მაგონებდა და ალბათ იმიტომ, წიგნი მალარიას ეხებოდა. მერე ძველი საბავშვო წიგნები გადმოვიღე და ბოლოს სკივრის ფსკერზე საგულდაგულოდ ჩაკეცილ წიგნებს მივაღეჭი.

ბინდი რომ ჩამოწვა, ისევ პარმაღზე გამოვიკრიფეთ ყველანი.

სადღაც ძაღლმა დაიყვება, სოფლის ბოლოდან გამოეხმაურა მეორე და მთელი უბნის ძაღლები აყენენ მას. რაღაცაზე ადავებული ძაღლები კარგა ხანს ღაგ-ღაგებდნენ.

ჭის თავზე ისევ ჩაუბამთ ჭინკებს ფერხული. ბაღში, წყავის ძირას დაფლულ ქვევრებზე მთვრალი აგუნა დაბორილობს.

გაფიცებული მიწის გულში ვნების ცეცხლი ტრიალებს.

ჰაერში ისევ ისმის მირიადი ზანზალაის რეკა...



დილის ცისფერ ნისლში შეცურებულ კორტოხზე წითელკრამიტიანი ოდები მიმობნეულან. ხუჭუჭა ტყეებით დაფარულ მთებს ამომავალი მზის ბაჯაღლო ავარაყებს. ნამიან ფოთლებში ასხლექილი სხივები ხალბივით აფენია ხასხასა მოლს. ძარღვებით ყრია მიწაზე ბებერი მსხლის ფესვები.

როგორც ნაპირს მოახლოვებული გემები ივრძობენ მიწისა და ანკარა წყაროს სურნელს, ისე ვივრძენი ჩემი საოცნებო სამყაროს სიახლოვე. მე ეს მიწა, ეს ქვეყანა მიყვარდა ბავშვობიდან და ამის წასაქითხად ვიყავ დაბადებული და გამოფიტულ წიგნებს ამაოდ შევალიეჯანი და ვარჯა. ასი წიგნიც ვერ მეტყოდა იმას, რასაც ეს ბალახის ღერო, ეს ხავსმოდებული ლოდი, ეს ტრიფოლიატის ღობეებს შორის დაკლავილი, ბეოლის ჩრდილებით მოქარგული გზა მეუბნებოდა. მეც ყველაფერ ამის ერთი უჯრედი, ერთნი ნაწილი ვიყავ და მისგან ძალით მოგლეჯილი და ცხელ, უსულგულო უდაბნოდან ისევ მასთან დაბრუნებული ისევ სწრაფად შევესისხლბორცე. შევეთვისე და გავიგე მისი...

სათევზაოდ მივდივართ.

— ახლა სამსონა თუ არ შეგვხვთა, კარქათაა ჩვენი საქმე!.. — მეუბნება სოლომონი.

სამსონი რატომღაც ნავს კაცად მიაჩინათ სოფელში. ალბათ თავისი კვიპატრენის გამო. ძუნწიც იყო, თავის ეზოში ჩაფრენილ ჩიტსაც არავის დაანებებდა. მუშაობაზე რომ კაცს წაასწრებდა, გამარჯობას კი ეტყოდა და მერე სიტოცხლეს მოუწამლავდა:

— რას შობი, კაცო, შენ!.. — შეიცხადებდა დამდულრულივით, — ვის გუუგია აქანე ჭის თხრა. აი ამოდებული მიწა არ ვადაყარო შორ, ამოსამსები დაგირჩება, იცოდე!..

და მართლაც, დედამიწა მთლად რომ გაეხვრიტა, იმ ადგილას წყალს კი არა და, სინესტის კვალსაც ვერ მიაგნებდა.

— ოუჰ, სანადიროდ მიხეალ ხომ! რად



ვინდა, ბიჭო, აი ზარბაზნის თოფი? ჩიტი არაა ჩვენი...

და მონადირე ხელცარიელი ბრუნდებოდა.

შუკაში ახორების ჭიშკრები გამოდიოდა. ქალები ძროხას წველიდნენ, ღორებს აპურებდნენ. ჩვენ რომ დავეინახავდნენ, ყასიდად დაიმორცხებდნენ: ცალი ხელით გაღვლილ საკინძეს ისწორებდნენ, მეორეს მოიჩრდილავდნენ, გვიცნობდნენ და გვესალმებოდნენ.

— აი ქალაქელი კაცი ამ შუკებით რამ წამოგაყვანინა, სოლომონ! — კარგა ხანს მიგვაცილებდა მათი მზერა.

— თქვენს უკეთესს ვის ვანახებდი ამ დილით!.. პირი მაინც დაგებანა, დია, იქნებ აი კაცი მაინც შემცთარიყო და რაცხა შემოეთავაზებინა შენთვის!.. — ქილიკობდა სოლომონი.

ნეჭვში მამალი იქეჩება და თვალებს აბრიალებს.

გზა ახლა სიმინდის ყანებს შორის მიიკლავება. ამოწვერილი მზის სხივი სისხლივით ეწვეთება სატყვერებივით აღესილ ფურცლებს. რკინიგზის გასასვლელს მივადექით. საბარგო მატარებელმა ჩაირახრახა. ვაგონებს ვითვლიდი. როცა უკანასკნელმა ვაგონმა ჩავვიქროლა რწვევითა და ჩხარუნით, გზა ვანვაგრძეობ.

ნავი წყალს მიაპობდა. დამფრთხალი თევზები ჭვინტთან გაჩენილი ბატარა ტალღებიდან სხტებოდნენ და ისევ უჩინარდებოდნენ ამღვრეულ მწვანე უფესკრულში. ლექაშებიდან ხან აქ, ხან იქ იხებობს დამფრთხალი გუნდი აიჭრებოდა ცისკენ კრიახითა და ფრთების ტყლაშუნით, მთლად დაფარავდა კაბადონს, ერთხანს ტბის თავზე ტრიალებდა, მერე ისევ დაეშვებოდა მოშორებით, მიყუჩდებოდა.

ერთხანს ნაპირ-ნაპირ მივეცურავდით. ფლატო წყალს გამოეთხარა და ტბაზე გადმოკიდებული ხეების ფესვები გვე-

ლებივით გადახლართულიყო ერთმანეთში. შუა ტბისკენ ავიღეთ გეზი.

მზე აქერდა. ხან ღრუბლებს მოეფარებოდა და სულს მოგვათქმევინებდა. მთლად გავოფლიანდით. სოლომონმა ბაღე ისროლა. ნავი შექანდა და შემეშინდა. სოლომონს გაეცინა. მერე თამბაქო გავაბოლეთ და ამაოდ ვცდილობდით რამე დაგვენახა მღვრიე წყალში. პირველ ამოღებას ათიოდე კობრი და რამდენიმე ლიფსიტა ამოყვა. სოლომონმა ისევ ისროლა ბაღე. ნავის ფსკერზე თევზები ფართხალდებდნენ და ვერცხლისფრად ბრჭყვიავდებდნენ. ასე ვისხედით საღამომდე და იშვიათად გავეხშიანებოდით ერთმანეთს. მზემ დამწვა, კანი დამიწითლა და ამიქერცლა. მერე ისევ ამოვიღეთ ბაღე. ორიოდ წვერა ამოყვა. ბაღე წყალმცენარეებით იყო სავსე. ტბის ირგვლივ კონტურები ჩამუქდა. ფრინველთა გნისა და ჭყივილი, კრიახი და ფრთების ტყლაშუნი გაძლიერდა და გახშირდა. ნავი ახლა უტრესაკენ მიგვყავდა.

— ამაღამ თაბიაზე გავითენებთ! — მეუბნება სოლომონი.

— მწყემსებთან?

— მწყემსებს რა უნდა? ისთეა საქონელი გამობილი. პატრონი ჩამოაკითხავს მერე...

— მეელი არ ერჩის?..

— საღლაა მგლები, გაწყვიტეს თლად!

შემოგვალამდა. ტბის გლუვ ზედაპირზე ვარსკვლავებით დაჭორფლილი ცა ირეკლებოდა. ნიჩბები წყლიდან ამოყარე და გულაღმა გავწექი ნავში. ნავის ხერხემალი ზურგს მტკენდა, მაგრამ ვარსკვლავებით მოჭედილი ცის ცქერას ვერ შეველოე. დინებას ნავი ნელა მიჰქონდა ატეხილ კოდმეებს შორის. ქვემოთ კი მოჩანდა იღუმალი ჩურჩულით დატვირთული უზარმაზარი ჩამუქებული სივრცე და ზედ დევის ნაბდებივით წამოხურული მთები! ბაკმ-მოდებული სილუეტები. ჰაერია სიგრილედაკრული ტყის სურნელებით იედინებოდა.

მარი აბაშიძე

ახლა

როცა ბალდი ვიყავი, კაფანდარა გოგონა,
 როცა გულში ხალისის მენტო ჭიაკოკონა,
 მაშინ ყველა ჩემსავით უზრუნველი მეგონა,
 ეს ცხოვრება მარტოდენ სიხარული მეგონა,
 მაშინ ჩვენი სოფელი მთლად ქვეყანა მეგონა,
 ჩვენი სოფლის მინდორი ასპარეზი მეგონა;
 მხარზე თოხგადებული გლეხი გმირი მეგონა
 და მეზობლის კაკალი საზიარო მეგონა.
 მაშინ ბაბუაჩემი დიდი მეფე მეგონა,
 ბებია კი... ბებია დედოფალი მეგონა;
 ჩვენი ქოხი ფიცრული სრა-სასახლე მეგონა,
 ჩემზე უფრო მდიდარი არც არავინ მეგონა.

ახლა?

ახლა ვითომ რა, ასე აღარ მგონია?
 ახლაც ასე მგონია,
 ახლაც ასე მგონია.



— მითხარ, რა მოხდა, მერცხალო,
 გაფიცებ დედა-ბუნებას,
 ველარც ნაგარდობ, ვერც გალობ,
 რამ შეგიცვალა გუნება?
 ასე რად ზიხარ მარტოკა,
 გულს მიკლავს შენი ყურება.

— რა გითხრა, გული მკვდარია
 და განა გამემტყუნება,
 ჩემი თავნება მერცხალი
 სხვა მერცხალს ეძღურტულება;
 თუმც სიყვარული ჭიკჭიკით
 მე შემომფიცა მარადი...

— ავაპმე, ჩემო ფრთოსანო,
 თქვენშიც ყოფილა ღალატი?!

სიყვარულის სიკვლე

ეს... მე კი არ დავბერდი,
გულს რომ დარჩა მარადა,
იმ ძველი სიყვარულის
სევდა გაჭაღარავდა.

შუბლზე გადავატარე
სტრიქონები ღვარადა,
მე დავასწარ — სიბერე
სანამ დამიღარავდა.

სასტიკ ბედთან ჭიდილში
მთად ვიყავ თუ ბარადა,
ყველგან ჩემი მფარველი
ანგელოზი მფარავდა.

ეს მე კი არ დავბერდი —
დარდი გაჭაღარავდა.



ნ ა რ დ ი

გოგია რაზმაძემ მთელი თბილისი გადაატრიალა, მაგრამ ნარდი ვერსად იშოვნა: დახლის იქიდან ერთნაირმა პასუხმა — არცა გვექონია და არც გვექნებაო — დალაღა და გააბრაზა. არ ეგონა, ნარდი ასე ძნელი საშოვნელი თუ იქნებოდა. სტუმრისა რცხვენია, აკი უმტკიცებდა, თბილისი ისეთი ქალაქია, ჩიტის რძეც იშოვნებაო. სტუმარი ტამბოველი რუსია, ცოტა ხნით ჩამოსულა, საღდაც, ვილადისგან, გოგას ჭირად ნარდი უსწავლია, მაგრად ჩამწვარა და აუხირებია, გინდა თუ არა, მაშოვნინეო. თურმე ცოლი შეუძლოდა ჰყავს და გასართობად კარტს საათობით ეთამაშებდა. კარტი არც ადრე ჰყვარებია და ეხლა დასანახად შესჯავრებია. ამბობს, ნარდს ჩავიტან და ვასწავლი, უფრო ვაეკაცური თამაშიაო. კამათლის ჭიუტობაზე გაბრაზებული მენარდე ქვას გამეტებით, რომ ურტყამს, ყველაზე ძალიან ის მოსწონს. უბის წიგნაქში საგანგებოდ ჩაუწერი: ერთი და ერთი — იაგანი, ორი და ორი — დუბარა, ჯუტეს, ბემდორთი, შაშიბეში, მერე ჩამჯდარა და კვირის თავზე კამათლის ექვსივე წიბო კარგი ყომარბაზივით გაუხეპირებია. კი არ დადის, სიხარულით დაფრინავს, ეს რა დუშაში გავაგორე — რა თამაში ვისწავლეო. მასპინძელს განუცხადა, უნარდოდ აქედან ფეხსაც არ მოვიცვლიო. სტუმრის ნება გოგისათვის ადრეც კანონი იყო, მაგრამ ააფრინე ალალიო, რაც არ არის — არ არიო, და ერთი ნარდის გულისათვის ეხლა ბაქოში ხო არ წაბარგდებოდა?! კითხვა-კითხვით ელიაზე ვილაც ხელოსან-

საც მიადგა, მაგრამ მეზობლებმა სინაწულით მოიგონეს: ჩვენიცა და მუშტრების ჭირიც დიდი ხანია იმ ქვეყნად წაიღოო. ესეც იღბალია!..

მეორე დღით გოგიამ სალდათის ბაზრისკენ გასწია და თან სტუმარიც გაიყოლა — რა ადვილი საშოვნელი, თვითონვე დარწმუნდესო. მრგვალი ბაღის წინ ვინ არა ნახეს: მღებავი, თულუხჩი, მეთუნუქე, დურგალი თუ კალატოზი, მაგრამ ნარდის გზაკვალს ვერ მიაგნეს. პასუხად ყველა ხელსა შლიდა და მხრებს იჩეჩავდა. ერთიც ვცადოთო, და განმარტობულ მოხუცს მიადგენ. უცნობი ენაწყლიანი აღმოჩნდა, ვიდრე პასუხს გასცემდა, რა არა ჰკითხა. გოგიას გაუხარდა, რახან ამ მთის — იმ მთისა გამიბა, ალბათ ნარდიც ექნებაო და აუხსნა, რომ სტუმრისათვის უნდოდა. მოხუცმა სტუმარი ჩაათვალიერა.

— ეგ ჩვენებური არ უნდა იყოს?
— რუსიაა...

— რუსი და ნარდი?! — და დააყოლა, — დომინო კიდე ჰო.

— ეხლა ისწავლა, — უთხრა გოგიამ და ნარდი ხელიდან რომ არ გამოსცლოდა, ზედ რუსის ცოლის ავადმყოფობის ამბავიც მოაყოლა.

მოხუცმა ყური სცქვიტა, არა, მართლაო? რამდენჯერმე აამბობინა და მერე მოკლედ მოსჭრა, ნარდი მაქვს, კარგი ნარდი. გოგიამ გაიხარა, რასაც დამიფასებ მოგცემო.

— შენ იცი, რასაც კარგს იზამ, — უთხრა მოხუცმა, — აქ დამელოდეთ ფეხი არ მოიცვალოთ, — შეტრიალდა და წავიდა.

გოგია რა გიყი იყო, ადგილზე არ გახევებულიყო.

ცოტა ხანში მოხუცი დაბრუნდა, ორი დიდი, სავსე პარკი გოგიას გადასცა, მე ვერ მოვერევიო და დააყოლა, თუ ნარდი გინდათ, შინ უნდა წამომყვეთო.

კარგა ხანს იარეს. ჩულურეთის აღმართს აუყვანენ, დაბალ ჭიშკარში გაძვრნენ, მეორე სართულზე ავიდნენ და მოხუცის პატარა, დაკრიალებულ ოთახში აღმოჩნდნენ. ძველყაიდის ავეჯს ისეთი ქათქათი გაჰქონდა, ყველაზე პეწიან დიასახლისსაც შურის აღს წაუკიდებდა. გოგიამ და რუსმა თავდაპირველად ნარდი მოიძიეს და თვალი რომ ვერსად მოჰკრეს, არ ეჭაშნიკათ. მასპინძელმა სტუმრებს სკამები შესთავაზა, მერე მოხალული თხილი და ნიგოზი მიაართვა თავი შეიქცეით, მე ემსააჩი გვახლებითო. გოგია გაბრაზდა. თხილს რა თავში ვიხლიო და ნარდი რამდენჯერმე მოიკითხა. მოხუცმა იწყინა: თუ ჩემსას არ დამაცლით, თქვენსას ვერ მიიღებთო და გავიდა. ის იყო და ის, შეშინებულ გოგიას იმ წუთიდან ნარდზე კრინტი აღარ დაუძრავს. ბერიკაცმა მარდად ითადარიგა: პურმა, ყველმა, კიტრის, წიწაკისა და წითელი ჭარხლის წნილმა, სათალმა და ორნაირმა სასმელმა პატარა მაგიდა მთლად დაფარეს. სუფრის გაწყობას რომ მორჩა, სტუმრებს მიუბრუნდა:

— იცით ვიწრო ოთახი რათ მიყვარს, ჰა? არაფერიც არ იცით, სტუმარს მოპატიყება არა სჭირდება და იმიტომ, როგორც არ უნდა დაჯდეს, მაინც სუფრასთანა ზის.

ამ ოთახში სადაც არ უნდა დამჯდარიყავი სუფრა არ აგცდებოდა.

— მაგ ბოთლში არაყია და ჩამოუსხი — უთხრა გოგიას მოხუცმა, მაგრამ იმან სხვის მაგივრად იუარა, არაყს არა სვამსო.

— შენ მე აქ საცინლად ხომ არ მიგდებ, ეს კაცი აკი რუსია, — გაიკვირვა მოხუცმა.

— რუსია, მამ!

— რანაირი რუსია, არაყს თუ არა სვამს?

— იქა სვამს, თავიანთსას, აქ კი ღვინო ურჩევნია, — აუხსნა გოგიამ.

— ნება თქვენია, — მოლბა მოხუცი, — არაყიც არის და ღვინოც; რომელიც გსურდეთ ის მიირთვიო.

ოჯახი ადღეგრძელეს და დალიეს. გოგიამ ნაღდი კახური იცნო და თვალეში ნეტარებით მილოლა.

— ქრისტეს ცრემლებია, თქვა მოხუცმა, — ესლა ერთმანეთი, რომ გაცივინოთ, არც ის იქნება ურიგო. შენ რა გქვია?

— გოგია...

— ამას?

— პავლიკა...

— ამოდენა ახმახი და პავლიკა? პავლე რქმევია, — ნელ-ნელა, ბებრულად თითოც ჩამოასხა, გაჩუმდა და კარგა ხნის მერე დააყოლა, — მე შაქრო ვარ.

სათითაოდ ადღეგრძელეს კეთილი ანგელოზები, მშობლები, დედამამშვილები, ნათესავები, მეგობრები. ღვინომ სიმღერის საღერღელი აუშალათ. „ავანთოთ შუშის ფარნები, პარი-პარაალეე“, წაუღლინა ძია შაქრომ და გოგიაც უმალ აჰყვა: „მოვეძნოთ ღვინის მარნები, თარი-თარაალეე“. რუსმა უსმინა, მერე ხახა დაალო და ხაფის ხმის დასჭექა „შუმეელ კაამიშ“... კარგა ხანს მღეროდა.

— ეს რა ხელობის კაცია, — ჰკითხა შაქრომ გოგიას, რუსი სიმღერას რომ მორჩა.

— მშენებელი...

— ჭკუა უხმარია, რომ მომღერლობა არა სდომებია — თქვა მოხუცმა. წამოდგა, — ესლა ნარდსაც მოგართმევთ.

გოგიამ სული მოითქვა.

ბერიკაცი აივანზე გავიდა, კიბე მოათრია, კედელს მიადგა და სხვენზე აბობლდა.

ზემოდან სხვენმა რამდენჯერაც დაი-

ზურაბ რცხილაძე
ნარდი



ხმაურა, ქვემოთ გოგვიამ და პავლიკამ იმდენჯერ რიგვარეშე გადაპკრეს, რა არი, ნარდი გვიახლოვდებო.

ამასობაში გოგვიამ ფანჯრიდან შენიშნა, მოხუცი როგორ მოზობდადა ზემოდან. ცალ ხელში ვეება, ძველებური ნარდი ეჭირა და ჩამოსვლა უჭირდა. გოგია გაეგება, მომწოდეთო, მაგრამ იმან არ დაანება, მტვრიანი, გაგვრის, ბარემ გავსუფთავებ და მერეთო. ჩამოვიდა, ნამიანი ტილო გადაუსვა, მტვერი მოაცილა და შინ შეიტანა. რუსმა გაიხარა და კვლავ „შუმელ კემიშ“, შემოსძახა, მაგრამ გოგვიამ შეაწყვეტინა და მასპინძელთან პირი მოსწმინდა, ძალიან ხმამაღლა მღერისო.

— არაფერიც, ეგ ხმამაღლა კი არა მღერის ძალიან ჩუმად ღრიალებს, — სთქვა მოხუცმა, მერე ოთახიდან გავიდა, ცოტა ხანში ორი კოლოფი ნარდის ქვა მოიტანა, ნარდში ხმაურით ჩაყარა, მერე ჯიბე მოიფხიკა და სტუმარს წინ რამდენიმე წყვილი კამათელი გაუგორა, ძაღლის ძვალია, თვალხელშუა გაქრობა იცისო.

გოგიას უნდოდა ყოვლაწმინდა ზეზეულად დაეღია, მაგრამ თამადამ არა ქნა და სტუმრები კვლავ სუფრას მიუხსნენ. შეპქრომ წელგაწყვეტილი ჭიქები შეეგსო, კარგა ხანს ჩააშტერდა ღვინოს და ბოლოს თქვა, ეს ჩემს დაროს გაუმარჯოსო. კობები შეპქრა, მძიმედ ამოისუნთქა და კედელზე, შავ ჩარჩოში ჩასმულ სურათს ახედა. ცოცხლად გაუმარჯოსო, ისეთი უძირო სევდით დააყოლა, რომ გოგიას ენა დაება. რუსი ყველაფერს მიხვდა, სურათს თვალი შეავლო და უხმოდა, არაყივით გადაპკრა.

— რო შევუდღდიოთ სულ ჭეღლები ვიყავით, თითო ხელი ტანსაცმელის მეტი არაფერი გვებადა, ობლებს რა შეგვეძლო... ეს ოთახი ვიჭირავით და პირველი ბინა აქ დავიდეთ, სახლის პატრონმა ავეჯი არ დაგვანება, ორ ყუთზე ვისხედით, მესამეზე პურსა ვჭამდით, და იატაკზე გვეძინა. ჭე-

ლები ვიყავით-მეთქი, აკი გითხარით და პირველად ეს ნარდი შევიძინე. მეზობლები დაგვეცინოდნენ, რა დროს ამათი ოჯახი იყო, აბა უყურეთ, ქვაბი არა აქვთ, ლოგინი არა აქვთ და ნარდი უყიდიათო. მაშინ ეს ნარდი კაი ფული ღირდა. მე და ჩემს დაროს ამის მეტი გასართობი არა გვექონდა-რა, საღამოს დავსხდებოდით — ის თავის ყუთზე, მე ჩემსაზე და კამათელს მოსვენებას არ ვაძლევდით. მერე ყველაფერი შევიძინეთ, ოთახიც, ავეჯიც, მაგრამ ეს ნარდი არ გამოგვიცვლია. ხუთი წლის წინათ დარომ რომ დამტოვა, სხვენზე ავიტანე, აბა ვილასთან უნდა მეთამაშინა? — მოხუცმა შეისვენა, ჭიქას დასწვდა და ძირში ჩარჩენილი ღვინო დაცალა. — ეხლა ამ შენი სტუმრისათვის დამითმია, რახან ცოლთან სათამაშოდ უნდა, მაგაზე ალალია, კარგი კაცი ყოფილა, ეგრე უთხარ, ფეშქაში-თქო.

სუფრიდან სამივენი ერთდროულად წამოიშალნენ და ვიდრე გოგია ხმის ამოდებას მოასწრებდა, პავლიკამ ჯიბეზე ხელი გაიკრა, ფული ამოიღო და კიბხა, რამდენს აფასებსო.

— ფეშქაშია-თქო, — გაელიმა ბერიკაცს.

გოგიამ უმალ უთარგმნა. სტუმარ-მასპინძელი კვლავ გამზიარულდა... რუსმა ფული ჯიბისკენ გააქანა, წასვლისას ჩია მასპინძელი ერთხელ კიდევ შეანჯღრია, ჩაქმუქნა და გოლიათ მკერდზე ისე ღონივრად მიიკრა, ბებრულ ძელებს ქახუხი აუტეხა.

— ნელა, კაცო, არ მომკლა, ეს რა დათვი ყოფილა? ამის ცოლი ავად გახდება მა რა იქნება, — გაჯავრდა მოხუცი — და გოგიას უთხრა, — ეს არ უთარგმნოო...

მასპინძელმა იღლიაში ნარდამოჩრილი, ფეხბარეული სტუმრები ვიწრო კიბეზე ვედარ ჩააცილა და ქუჩაში გასულელებს აივნიდან დაადევნა: მხარი არ გექცეთ, მარჯვნივ წადით, თავქვე დაუყევით და მუხრანის ხილთან, რიყეზე გაქვალთო.



მ ზ ე ს ა რ კ ე უ ი

წვიმდა. სველ ლიანდაგებზე სწრაფად გარბოდნენ გალუმპული ვაგონები.

ვაგონის კუბეში, ზემოთა საწოლზე, გულადმა იწვა ჩალისფერთმიანი გოგონა.

უფროსები ხმამაღლა ლაპარაკობდნენ კუბეში. იგი არ უსმენდა მათ, დაჯინებით მისჩერებოდა თავისი ფეხის წვერებს. თეთრი წინდები ეცვა. უცნაური გამომეტყველება ჰქონდა სახეზე.

მეზობელ კუბედან დროდადრო ბავშვების ხმაური მოისმოდა.

მატარებელი რომელიღაც სადგურზე გაჩერდა. ვაგონში შეეტუხა ბიჭი შეშოვიდა. მავთულისაგან დაწნულ გალიაში კანარის ჩიტები ჰყავდა. გოგონამ გულგრილად შეათვალიერა გალია.

მეზობელი კუბე მგზავრებისაგან დაცარიელდა.

ვაგონიდან ჩასვლისას ბავშვებმა თვალი შეავლეს ჩალისფერთმიან გოგონას. მას ყურადღება არ მიუქცევია მათთვის.

წვიმამ გადაინაცვლა.

კუბის სარკეში მზემ გაიელვა. კედელზე გასრიალდა სარკიდან არეკლილი სხივი.

გალობა დაიწყო კანარის ჩიტებმა. ჩალისფერთმიანი გოგონა წამოიწია, ძირს ჩამოსვლა მოინდომა, სულ ვედარ ამოძრავებდა ფეხებს.

ღედა შეეშველა.

ჭალარათმიანი ქალი და მის გვერდით მჭდომი კაცი ღედა-შვილს მიჩერდნენ.

გოგონა ფანჯრიდან თვალს არ აცილებდა გავარჯარებულ დისკოს, რომელიც გამალებით მისდევდა მატარებელს.

— დიდი ხანია, რაც ამ დღეშია?

— იკითხა ჭალარათმიანმა ქალმა. იგი გოგონას გალულ წვივებს მისჩერებოდა.

— თითქმის დაბადებიდან.

— აქეთ მართლაც იშვიათი სამკურნალო ადგილებია.

— ეს ერთი გყავთ?

— დიას.

„საბრალო ბავშვი“, — გაიფიქრა ჭალარათმიანმა ქალმა და სიგარეტს მოუქცია.

— მეუღლეც თქვენებურია?

ახალგაზრდა ქალი შეიშმუშნა, მერე ერთ წერტილს მიაშტერდა, ფიქრებში წავიდა.

ჭალარათმიანი ქალის გვერდით მჭდო-

მმა კაცმა მეჭექიანი ცხვირი მოიფხანა. ახალგაზრდა ქალს ახედა. მერე ისევ განაგრძო გაზეთის კითხვა.

წითელი დისკო ახლა კუნელის ბუჩქებში მიძვრებოდა ბორცვზე, მერე ვაგონის სახურავზე მოექცა.

დებიშობილა ბაღები ღელეში ქყუშპალაობდნენ. ხელი დაუქნიეს მატარებელს. გოგონას გაეღიმა.

ჭადართმიანი ქალი ისევ გოგონას მიჩერებოდა. „როგორ უხდება ღიმილი“ — ფიქრობდა.

წითელი დისკო კვლავ გამოჩნდა ფა-

ნჯარაში. იგი ისევ გამალებით მდებარეობდა ბოდა ბორცვზე, მაყვლის ბუჩქებში. თანდათან უმატებდა სიჩქარეს.

სულ უფრო იზრდებოდა გოგონას სინარული. მზე ფიჭასავით ავსებდა მის სხეულს. ლოყა შეუფუაკლდა.

უცებ ჩალისფერთმიანი გოგონა მონუსხულივით მიაჩერდა გაჩირალდნებულ უსასრულო სივრცეს. გავარვარებული დისკო ახლა ზღვაზე იყო გატყორცნილი.

უფროსები კვლავ ხმამაღლა ლაპარაკობდნენ.



გუგამ კლიაშვილი

●
გადავიტანე გადასატანი,
აღბათ არა ვარ მთლად შერისხული,
რამდენი რამის ვიყავ ამტანი,
რამდენი ვტანჯე ამაყი სული.

მაგრამ დასრულდა...
სადღაც მივიღტვი...
ფეხქვეშ დავიგდე ყველა აღმართი,
მადლობელი ვარ მხოლოდ იმიტომ,
რომ შენი თავი შენვე წამართვი.

ალარასოდეს გადაგეყრები,
ღია ფანჯრები მავსებენ შვებით,
ალარ დამივლის ტანში ეკლები —
შემოჩენილი შენგან და შენით.

მორჩა,
დასრულდა...
სადღაც მივიღტვი...
ფეხქვეშ დავიგდე ყველა აღმართი.
მადლობელი ვარ მხოლოდ იმიტომ,
რომ შენი თავი შენვე წამართვი.

ს უ რ ვ ი ლ ი

ო, როგორ მინდა,
ო, როგორ მინდა,
შენი თვალების ამარა დავრჩე.
და როგორც ქორი
გასული მინდვრად
თავის ბახალას აფრენას აჩვევს,
მეც ასე მინდა,
მეც ასე მინდა,
შენმა თვალებმა დამგეშოს ბარემ,
დღესავით წმინდას,
ცასავით წმინდას,
რომ აღარ ვენდო უცხოთა თვალებს.



იკაპლი უპუდაკა

ათასი ამბავი

(ნაწყვეტი წიგნიდან)

დალილა და კარმინი

ისტორიის მასწავლებელმა გალინა ქოჩიაშვილმა მოულოდნელად შეწყვიტა გაკვეთილის ასხნა და გვეთხრა:

— მეშვიდეკლასელები ხართ! ახლა უკვე უნდა გქონდეთ ცხოვრების მიზანი, ყველამ მოიფიქრეთ რა გინდათ გამოხვიდეთ, რა დარგს გასურთ მიუძღვნათ თქვენი სიცოცხლე? აბა, დავიწყეთ! — ეს თქვა და მერხებს დაუყვავა. ბევრისათვის ასეთი კითხვა მოულოდნელი იყო და ხმა ვერ ამოიღო, დაიბნა. ბევრის პასუხმა სიცილი გამოიწვია, ჩემმა პასუხმა კი — ირონია:

— ღიღ სცენას მინდა ვემსახურო, — განაცხადე, რაც გულში მეღო, რაზედაც ვოცნებობდი ნიადაგ.

სკოლაში ყველა მიცნობდა, როგორც დრამატული წრის ავან-ჩაფანს: ვიღამღი და ვთამაშობდი პიესებს, ასე გასინჯეთ, ვწერდი კიდევ პიესებს. ამიტომ მასწავლებელს ჩემი პასუხი არ გაკვირვებია, მხოლოდ ზოგიერთმა ურწმუნოდ გამკენწლა.

— უშანგი ჩხეიძე უნდა შეცვალოს! — არა, არავეს შეცვლას არ ვაპირებდი. რომ განმეზრახა კიდევ, ვერც შევწვდებოდი ამ გიგანტს. ჩემი მიზანი ღიღ სცენაზე საკუთარი ადგილის პოვნა იყო. დრამატული თეატრის მსახურობაზე ვოცნებობდი... ბედმა კი... საოპერო თეატრში მიმიყვანა. ნუ ვაგიკვირდებთ, საამისო არც ხმა მქონდა და არც სმენა. მაგრამ ნამდვილად ასე მოხდა.

უკვე მაშინ, 1928-29 წლებში დრამატული და საოპერო თეატრების სტაჟიან მასურებლად ვითვლებოდი. რასაკვირველია, არც ბილეთს ვყიდულობდი და არც აბონიმენტი მქონდა შექენილი: ჩვენს ეზოში ცხოვრობდა რუსთაველის

სახელობის თეატრის სამი, ხოლო საოპერო თეატრის ორი თანამშრომელი. მათ დაეყავდით ეზოს ბავშვები რიგრიგობით. სპექტაკლის დაწყებამდე ორი საათით ადრე შეგვიყვანდნენ თეატრში, რომელიც ბნელ კუნძულში დავგტოვებდნენ და გვაფრთხილებდნენ: ვიდრე თეატრში ხალხი დენას არ დიწყებდა, ფეხი ადგილიდან არ მოგვეცვალა... ასე დავდიოდით დრამატულ თეატრში.

საოპერო თეატრში კი გარდერობში მომუშავე სტეპანიდა ივანოვნა პირდაპირ ქანდარაზე ამიყვანდა ხოლმე და იქ თავის კოლეგას ჩამაბარებდა. ვინ არ მოვისმინე იმ მუსიკალურ სეზონებში: ინაშვილი, ქუშისაშვილი, ლემეშვიცი, კოზლოვსკი, პეჩკოვსკი, პიროგოვი, მიგაი... როდესაც აევეგინი ონეგინში“ ლენსკის პარტიას კოზლოვსკი ასრულებდა, ხოლო ონეგინისას — ინაშვილი, ოვაციებისაგან დარბაზი ზანზარებდა. ჩვენც ხმის ჩახლეჩამდე ვავევიროდით:

— ინაშვილიიიი! — ვედილობდით კოზლოვსკის მომხრეთა მიერ ატეხილი ხმაურის ჩახშობას.

შესანიშნავი სეზონი დაავიკვირვინა ცნობილმა მსახიობმა ქალმა ფატმა მუხტაროვამ. როგორც კი იგი მოველინა თბილისს, ხმა დაიარხა: ფატმა მუხტაროვა ოპერა „სამსონ და დალილაში“ დედამიწილად გამოვიდა! ხალხი მოაწყდა თეატრს. ყოველი ბილეთისათვის სალაროსთან ხელჩართული ბრძოლა იმართებოდა. რასაკვირველია, განსაკუთრებით აქტიურობდნენ კაცები.

მეც ვავერე მარაქაში.

როდესაც სტეპანიდა ივანოვნას „სამსონ და დალილაზე“ წაყვანა ეთხოვე, გაკვირვებით შემომხედა, მაგრამ მინც არ მიითხრა უარი. რო-

გორც ყოველთვის, ქანდარზე ამიყვანა და თავის კოლეგას ჩამაბარა. ხალხი მოზღვავდა. რვას ოცი წუთი აკლდა, პარტერი და იარუსები რომ უკვე გაიჭედა. ქანდარა ჯერ კიდევ არ ავსებულყო — მოგესხენებათ, ქანდარის სტუმრები არ ჩქარობენ თავიანთი „ბილი სავარძლების“ დაკავებას. მე მშვიდად ვიჭევი გარდერობში და ვუღიღიდი სინათლის ჩაქრობას, რომ მაყურებელთა დარბაზში შევსულიყავი.

ამ დროს ქანდარზე შემოვიდა მადალი, ლოყაწითელი კაცი. ფოიეში გაიარა-გამოიარა. დარბაზში შეიხედა. მაყურებელთა შორის ვიღაცას ეძებდა. შეწუხებული სახე ჰქონდა. ერთხანს იდგა დარბაზის შესასვლელში, შემდეგ ხელი ჩაიქნია და ალბათ წავიდოდა, მეგარდერობე ქალს რომ არ შეეჩერებინა.

— ისე ეძებთ?

— არ იცით, რა ხალხში ვარ? ეს არ მომწონს, ამას პაჟუა ცხვირი აქვს, ეს ფეხებში გამეჩხირება... დღეს ერთი ბიჭი უნდა მოსულიყო, როგორც ჩანს, მომატყუა.

— ეს ხომ არ გამოგადგობთ? — უთხრა ქალმა და ჩემზე მიუთითა.

— ბიჭოს, ეს საიდან გაჩნდა? აბა, გამოდი. დამენახვე. მოეწონება. წამოდი, ბიჭო, ჩემთან. მეგარდერობე ქალმა სახეზე შეტუბუნება რომ შემატყუო, გამამხნევა.

— გაპყვ, ნუ გეშინია, ნიკოსთან მივიყვანს.

ვინ არის ნიკო? რატომ უნდა მიმიყვანოს მასთან? ფატმა მუხტაროვას სანახავად მოვედი და ნიკოსთან რა მესაქმნებ? ვფიქრობდი და თან მომენტს ვეძებდი, რომ ხალხში შეერეულიყავი. მაგრამ ვიტირე არაქჩივება (როგორც შემდეგ გავიგე რეჟისორის თანაშემწე ყოფილა) გასაქანი არ მომეცა, ხვეული კიბით მეორე იარუსზე ჩამომიყვანა და კარი შეაღო.

— იცით სადა ხარ, ბიჭო? — მეუბნება და ყვავებით.

— არა.

— საოპერო თეატრის სცენაზე.

— აქ რა მინდა?

— საპატიო საქმეა, წამოდი.

დიდი თეატრის სცენაზე პირველად დავდგი ფეხი. რატომღაც მეგონა, რომ იქ სრული სიწყნარე და სიმშვიდე იქნებოდა. სიწყნარე კი არა... კულისებში, მსახიობთა ფოიეში, დერეფნებში ერთმანეთში ირეოდა უცნაურ ტანსაცმელში გამოწყობილი, ათასფრად გაბრიძული და წვერგაბურძგვნილი ხალხი. მსახიობები, ორკესტრის, გუნდის წევრები ხმამაღლა ლაპარაკობდნენ, მღეროდნენ, ხმას ისინჯავდნენ. სცენას ოციოდე კაცი შესეოდა, დეკორაციებს დგამდნენ.

ჩემმა მეგზურმა სცენა გადამატარა და კარზე დააკაუნა.

— მობრძანდიო! — გაისმა შიგნიდან.

ოთახში მხოლოდ ერთი, გოლიათური აღნა-

გობის კაცი იყო, სარკის წინ ტანსაცმელს დაწვრივდა. ეს არის ნიკო? გავიფიქრე. ჩემს ალბათ ქუმსიაშვილი... ნუთუ?

— აი, ბატონო ნიკო, მოგაცნავთ, — დაარღვია სიჩუმე არაქჩივება.

სამსონი — ნიკო ქუმსიაშვილი აღჩქარებლად მომიახლოვდა, თვალი შემავლო და რეჟისორის თანაშემწეს უთხრა.

— პატარა, დადიხემა.

— მე არც პატარა ვარ და არც დამეძინება, — ვთქვი განაწყინებულმა.

— ოჰო, რა დიდგულა ყოფილხარ?! — მოთხრა ნიკო ქუმსიაშვილმა, — შენ, ჩემო ძმო, აქ იმიტომ მოგყვანეს, რომ სცენაზე გამოვიხიდე ნიკო ქუმსიაშვილთან ერთად. არის ასეთი მომღერალი, ვაგიგონია? ძალიან კარგი. საქმე შემდეგშია: მე, სამსონი, უძღვევლი კაცი ვარ, შემოიღა დავანგროს სახელმწიფოები, მეფეები ტახტიდან გადამოვადგო. ჩემი, ძალა თმებშია, — თქვა და ოქროსფერ კულულებზე ხელი წაიკვლო, — ჰოდა, ჩემი მტრები მომგზავნიან დალილას, რომელიც შემაციდნს, გამოიტყუებს სადილმოსს და ერთ დროს უძღვევლი გოლიათს, მათხოვრად მაქცევს. პატარა ბიჭის დახმარებით დავდივარ კარდაკარ. ეს ბიჭი შენ იქნები. ძნელი საქმე გაისრია, გიციე?

— გავიგე, სცენაზე პირველად კი არა ვარ.

— ძალიან კარგი, — მეჩერ არაქჩივებს მიუბრუნდა, — რადგან ასეთი დამსახურებული მსახიობი ყოფილა, წაიყვანე და ჩააცვით.

ჩამაცევს კი არა, დამონძილი ტანსაცმელი გამხადეს, სახე ყავისფერი გრძობით გამოიხუნეს. შემდეგ რეჟისორის თანაშემწემ მსახიობთა ფოიეში ჩამომიყვანა და გამაფრთხილა: მესამე მოქმედებაში გამოდიხარ, აქედან ფეხი არ მოიცივალაო.

სექტაკლის დაწყებას წუთები აკლდა, რადგან მსახიობთა ფოიეში შემოვიდა შესანიშნავი აღნაგობის, შავთვალა ქალი, რომელსაც წითელი, მძივებით მორთული მოსასხამი უფარავდა ტანს. ფოიეში მყოფნი ფეხზე ამღვარო ტანით შეეგებნენ ფატმა მუხტაროვას. მან დიმილით გადაუხადა მადლობა ყველას და აღჩქარებლად გაემართა სცენისაკენ.

მაყურებელთა დარბაზზე არანაკლები სიყნაროვე იყო კულისებში. გუნდის წევრები, სცენის მუშები, რეჟისორები, მონტორები, ცეცხლფარეშები... ყველა აქ იყო, ყველას თვალები ხარბად მისჩერებოდა ფატმას.

...დალილა ცილიბას სამსონის მოხიბვლას, მაგრამ გოლიათი მტიციედ დგას, არ უმხელს საილუმოსს. იგი შეუვალაია... მაშინ დალილა უკანასკნელ ზერხს მიმართავს: წითელ მანტიას მოიხსნის!.. სამსონი, ეს რკინის კაციც, ვერ უძლებს ცლუნებას...

არ ვიცი, რა მოხდა მაყურებელთა დარბაზში. იქ არ ვყოფილვარ; კულისებში კი ხალხი შე-

ემშქმნა. სამი მხრიდან განათებული იდგა საროსტანიანი ქალი, დალილა — ფატმა მუხტაროვა! ბრინჯაოსფერ სხეულზე კიაფობდა ძვირფასი ქვეებით მოოქვილი მრავალი სამკაული. მის ფეხებთან კი გართხმული იყო აღამიანი, რომელსაც ერთ დროს სახელმწიფოების დანგრევა შეეძლო.

ჩემი „როლი“ წარმატებით შევასრულე, სცენაზე დეკორატიული დაბეჩავებულ სამსონს. შეთანხმებული ვიყავით: როგორც კი სამსონი მხარზე ხელს მომიჭერდა, მოძრაობა უნდა დამეწყო, მიმართულემას თვითონ მაძლევდა. ყველაფერი ისე წარიმართა, როგორც ბატონ ნიკოს სურდა. მაგრამ მოქმედების ბოლოს მაინც დაიბნეინ, შემეშინდა: სამსონმა აღიდგინა თავისი ძალა და მიულეწ-მიულეწა იქაურობა... ვეებურთელა კოლონები ინგრეოდა, ზემოდან ნახეზი მეყრებოდა, მუსიკა გრგვინავდა... კიდეც კარგობს ფარდა მალე დაეშვა.

— ხუთშაბათს კიდე მოდ, თან ამხანაგიც მოიყვანე, „კარმენში“ გვიპირდება ორი ბიჭი. ხომ მოხვალ? — მითხრა არაქჩიევმა, — არ მომატყუო.

მეორე დღეს მთელ სკოლას მოვდე ეს ამბავი. მაგრამ არავინ დამიჭერა, სიცილი დამაყარეს.

— ოპერაში? ნიკო ქუმსიაშვილთან ერთად? წარმოუდგენელია! — არ დაიჭერა გალინა ქოჩიაშვილმაც.

— მაშ, ხუთშაბათს მობრძანდით „კარმენზე“.

— კარმენს თამაშობ? — დამცინეს.

— ბილეთებს თუ გვიშოვნენ, წაშოვალთ, — თქვა მასწავლებელმა, — ხომ წამოხვალთ, ბავშვებო?

თეატრის შესასვლელთან ორ საათს ველოდე ნიკო ქუმსიაშვილს, როგორც იქნა ველირსე.

— გამარჯვება. — მივესალმე და წინ გადავუღდე.

ნიკომ ზემოდან დამხედა, ერთხანს მათვალთვარა გაკვირვებულმა, ალბათ გულში ფიქრობდა, ვინ არის ეს თავხედი ბიჭიო.

— გაგიმარჯოს... — მითხრა მაინც.

— ვერ მიცანით? მე ის ვარ, გუშინ სცენაზე, რომ გაგატარ-გამოგატარეთ.

— ა-ა-ა, გიცანი.

— სკოლაში არავინ დამიჭერა, მე და თქვენ ერთად რომ გამოვდიოდით „სამსონ და დალილაში“, სიცილი დამაყარეს.

— სამწუხარო ამბავია, რით შემოძლია გემსახურო?

— ხუთშაბათს „კარმენში“ გამოვდივარ, ბილეთებს რომ მიშოვნიდეთ, ყველაფერი მოგვარდება, მნახვენ სცენაზე და დაიჭერებენ.

ნიკომ ადმინისტრატორთან მიმიყვანა და უთხრა.

— ჩემს ღირსეულ პარტნიორს „კარმენზე“ მიაჩნოთ ათი ბილეთი, ნაღდ ანგარიშზე.

ხუთშაბათს, ექვს საათზე, მე და ჩემი ამხანაგი მიტო, არაქჩიევმა სცენაზე შეგვიყვანა და საქმის ვითარება გავვაცანო:

— შენ შეეცდები ვირზე (მე მითხრა). შენ კი ვირს გამოჰყვები უკან. როგორც კი კარმენი დონ ხოზეს ხელს ჰჭრავს, სცენაზე ატყვდება აურხაური... ამ მომენტში შემოდინხართ სცენაზე.

— მე და მიტო?

— აბა, შენ, ვირი და მიტო. ვირი თვინიერია, არ გააჩუტდება. გასაგებია? მაშასადამე, ვიმორბეობ: როგორც კი კარმენი დონ ხოზეს ხელს ჰჭრავს, ამ კულისიდან გამოხვალთ და იმ კულისში შეხვალთ.

ეს მოულოდნელი და თანაც აღმაშფოთებელი ამბავი იყო. ოპერის პირველმა ტენორმა ნიკო ქუმსიაშვილმა თავისი პარტნიორი მიწოდა და უცებ... ვირზე შემეხვეს. მიტომ ბუზლუნე დაიწყო: ამისათვის წამოიყვანეთ. ვირის უკან ჩანჩალი რომ მაინტერესებდეს, ჩვენს ქუჩაზე ყოველ საათში ათ ვირს მაინც გაატარებენ მემბრუნეები და მენახშირეებიო. ცუდ გუნებაზე, დედლები, წასვლაც დაეპირე, მაგრამ გამახსენდა ჩემი კლასელები და გალინა ქოჩიაშვილი, რომლებიც ჩემს სანახავად მოვიდოდნენ ოპერაში.

ლუკარ ხავერდის ჯუბები ჩავეცვეს. ფარგლებიანი ქუდები დავგებურეს, გრიმიც ვაგვიყვანეს, ალბათ, ესპანელ ბიჭებს დავგავსეფსეს-სარკეში ჩაიხილდეთ, მოგეწონა ჩვენი მორთულობა, გაეხალისდით: ამ დროს არაქჩიევი ამოვარდა ქლოშინით და „გავაგახარა“.

— წამოდით, ვირი მოიყვანეს!

პირველ კულისში, რამბიდან რაღაც ორ ნახიჯზე იდგა ვირი, ყურებჩამოყრილი, მართლაც თვინიერი, უნავარზე რუხი ფერის დამონდილი ნაჭერი გადაეფარებინათ. გავაზე ხელი დავკარი, არც განძრეულა, კუდიც კი არ გაუქნევია.

— პატრონი სად არის?

— მოპირდაპირე კულისში გვიდით, იქამდე მიილწიეთ, მერე თვითონ იცის.

ოპერის უვერტურამ მოამზადა მაყურებელი კარმენისა და ხოზეს ტრაგიკული რომანის მოსასმენად.

ფარდა აიხალდა...

სევილია, ქალაქის მოედანი: თამბაქოს ფაბრიკის წინ დაგუთნა საფეშაფო; მღერიან ჯარისკაცები, შემდეგ მუშა ქალები და გაისმის... „ხანანერა“! სცენაზე ქარიშხალივით შემოიჭრა კარმენი — ფატმა მუხტაროვა. „სიყვარულს ვითო ფრინველს ფრთები აქვს“; მღერის ეს, მართლაც, საცრისოდენა თვალეზიანი ამორძალი. ფაბრიკაში ქალებს შორის ატყდა ჩხუბი და კარმენი სისიკვილილოდ დაჭრის მოწინააღმდეგეს.

ირაკლი უგულავა
აბუსი აბაგვი



მისი ციხეში წაყვანა ხოზეს დაავალეს. კარმ-
ნი ღრაგუნს მოხიბლავს...

— შეგეძი ვირზე! — მიბრძანა რევისორის
თანაშემწემ, — მოემზადეთ.

როგორც კი კარმენმა ხოზეს ხელი ჰკრა, მი-
ტომ სახრე შემოჰკრა ედრეს და შეველით სცე-
ნაზე. მაგრამ დახეთ უბედურებას! ჩვენმა თვი-
ნიერმა ვირმა, რამდენიმე ნაბიჯი ვადაღვა და
ზუსტად იქ გაჩერდა, სადაც კარმენს უნდა ჩა-
მოვრბინა; წინა ფეხები დაარტო იატაკზე ამ
შართლა ვირმა და ფეხს აღარ იცვლის. მიტომ
დასცხო სახრე გავაზე, მე ქუსლები ამოვკარი
მუცელში, კულისებში არაქჩიევი იფხრიწებოდა
ჟვირილით.

ხოზე წაიქცა, კარმენმა ზედ გადააბიჯა...
ოცამდე ქალი წვილი-კვილით დაეშვა რამ-
პისაკენ.

დაფრთხა პირუტყვი, ღრუნნი გაიშვირა და...
ტლინები აპყრა, უნაგირზე თავს ძლივს ვიმა-
გრებდი. აურზაური ვაორკეცდა, ვირმა კიდეც
ერთხელ ჰყარა ტლინე, ალბათ, ორმაგი ძალაქ-
ვაგაქეთ და სუფლიორის ჩიხურთან გავიშ-
ლართვ.

ფარდა დაეშვა.
დარბაზში ოვაიცა ქუსდა.

— მუხტაროვა, ქუმსიაშვილიიი!..

სხვას ყურადღება არ მიუქცევია, მე კი გა-
ვივონე, ჩემს გეარსაც ვაპყვიროდა ვილაც. თუ-
ცა რატომ ვილაც, ჩემი კლასელი იქნებოდა.

— ჩვენი სასცენო ურთიერთობა დამთავრდა,
ტანსაცმელი ჩააბარეთ და წადით, — გვითხრა

გავითრებულმა არაქჩიევა, — კიდეც კარგი,
რომ არ დაიყოფიანი.

— უმაღლრად მოგვექცენ, — თქვა მიტომ,
როდესაც თეატრის უქანა კარიდან კომენდან-
ტმა ქუნაში გავვიძახა, — სექტაკლის ბო-
ლომდეც არ დავეტოვას.

მე ჩემი დანდი მაწუხებდა.

— ღიღ სცენაზე პირველი ნაბიჯი... პირველი
მარცხი! — მივდიოდი და ხმამალა ფეფობობდი.

— შეხედე! — შეუბნება მიტომ.

ჩვენგან სულ ოც ნაბიჯზე მოჩაქაქებს ჩვენი
დამღუპველი ვირი, უქან ნაბდისქუდიანი კაცი
მისდევს, ალბათ, პატრონია.

— ძმობილი! — დაუძახებ. — ვირი შენია?

— ჰო, ჩემია.

ნაბდისქუდიანი დამაკვირდა, მიცნო, სიცილი
წასკდა. გულიანად იცინოდა. მერე უნაგირს
დაეყრდნო და მითხრა:

— შენ არ ვაღმომავადო? ჰა, შენ არ იყავი?
ცოცხალი ხარ? მე კი მეგონა ასაკრეფი ვახბ-
ლოდა.

— აკი თვინიერაო.

— მე, ძმო, ვირის მოყვანა მითხრეს. ვირი-
სა, გააგე? იქა ისეთი ბრახაბრუხი ატყვდა, რომ
კინალამა მეც ავყარე ტლინეები. ვირია, შეი-
ლოსან, ჰკუღ, რომ ჰქონდეს, მაშინა პროფესორს
დაუქაბებდით.

ნაბდისქუდიანმა სახრე შემოჰკრა ვირს, „აცე“
მიამახა და რუსთაველის პროსექტს გაუყვია.

მაშინ პროსექტზე ვირზეც ვერ კიდეც ჰქონ-
დათ სიარულის უფლება.

ჰველაფრს თაზის ღრო აჰჰს

რესპუბლიკის სახალხო არტისტი ალექსანდ-
რე იმედაშვილი პირველად სექტაკლ „პრო-
ტესტში“ ვნახე. ეს იყო 1929 წელს, რუსთავე-
ლის თეატრში, იგი მუშა-გამომგონებელ ტკა-
ჩოვს თამაშობდა. შემდეგ „ანზორში“ შეასრუ-
ლა ჯავნოსანის მატარებლის კაპიტნის როლი და
ღიღ ხანს აღარ ვაპყარებია სცენას. როგორც
თავითონ ამბობდა, მისი შესაფერისი პეისა არ
იღამებოდა. ამ სიტყვებში ქართული სცენის
ვეტერანი გულისხმობდა „ოიდიპოს მეფეს“,
„მაკბეტს“, „მეფე ლირს“. მაგრამ რუსთაველის
თეატრი იმ პერიოდში ძიების, თავისი ორიგინა-
ლური სახის ჩამოყალიბების პროცესში იყო და,
რასაკვირველია, ასეთ გიგანტებს ვერ შეეებე-
შობდა.

ალექსანდრე იმედაშვილი სულ სხვა ყაიდის
მსახიობი იყო: არაჩვეულებრივად ლამაზი,
ტკბილად მოსასმენი ხმა, შესანიშნავი დიქცია,
თბილი გული და ხალასი გრძნობა ჰქონდა. ყვე-
ლა ამ მსახიობურ სიკეთესთან ერთად, იგი იყო
ქართული მხატვრული მეტყველების უბადლო
ისტეტი. ღადო მესხიშვილის, ვასო აბაშიძის

ვალერიან გუნიას ღირსეული პარტნიორი ვერ
გვეუბოდა ქართულ სცენაზე ამოვარდნილ გრი-
გალს, რომელიც შეუბრალებლად ანგრევდა ყვე-
ლაფერ ძველსა და დრომოქმულს, არ მოს-
წონდა უზარმაზარი დეკორაციები, თავბრუდამ-
ხვევი რიტმი. როდესაც სცენაზე ყყაჩაღების
დეკორაცია ნახა დადგმული, მოსწრებულად
თქვა: ტყუილად ვარჯილხართ, ამდენი ხე-ტყიი
ერთი სილვად ვაგწინდებოდაო.

რუსთაველის თეატრში „მეფე ლირი“ აჩე-
რებდა, როდესაც მოიწვიეს, დაპკირდნენ, და-
ვიდგამთო. ახლა კი თავისუფალი ღრო თავზე-
საყრელად ჰქონდა. ყოველ დღე დადიოდა თე-
ატრში, თან დაპკონდა თამაჰქოს პატარა ყუთი
და ცარიელი ჰილზები, იქვე ტენიდა პაპირო-
სებს და აბოლებდა. მისთვის ჩვეულ პოზაში —
ოდნავ მხრებში მოხრდილ და თაქჩაქინდრული
იჭდა ხოლმე რეპეტციებზე და თვალყურს
ადენებდა მოქმედებას. გულუხვი იყო რჩევა-
ღარიგების მიცემაში, მაგრამ არ უყვარდა, რო-
ცა პაპიროს სიხოვდნენ, განსაკუთრებთ უწყ-
რებოდა მსახიობ ღაზარე ყაზაიშვილს.

— რაო, მოხველი? — ეტყოდა ხოლმე, როგორც კი დინახავდა, — პაპიროსი გინდა? მე, შვილოსან, თამბაქოს პლანტაცია კი არა მაქვს, ეგ არის, იმედაშვილიმა ტენის და ყაზაიშვილიმა აბაგლოს.

იმ პერიოდში რუსთაველის სახელობის თეატრის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა შილერის „ყაჩაღების“ დადგმა. ორი სეზონის განმავლობაში მზადდებოდა იგი. როგორც სარდალს კომში, ისე ვაჟყვა მთელი დსი „მძიმე ბროლიში“ თავის ხელმძღვანელს — ალექსანდრე ახმეტელს. რეჟისორებიც სპექტაკლის შემდეგაც მიმდინარეობდა, ხშირად საქმეში გართულთ თავზე დასთენებიათ, დალას არავინ გრძნობდა, რადგან დღითიღმე იხვეწებოდა მომავალი დიდი სპექტაკლის კონტურები. და, როდესაც დეკორაციები აღიმართა, როდესაც მსახიობებმა მოსინჯეს სარბიელი, თეატრს გაუგონარი უბედურება ეწვია: ერთ-ერთ მთავარ მოქმედ პირს, შვაიცერის როლის შემსრულებელს, ელგუჯა ლორთქიფანიძეს სცენაზე ფეხი მოსტევა.

...კარლმა თანამებრძოლთა გუნდი გაგზავნა თავისი ვერაგი ძმის, ფრანცის შესაპრობად. გუნდის შეთაურება დააკისრა შვაიცერს, რომელიც შევიდა: ან ფრანცს მოიყვანდა ცოცხალს, ან თვითონ მას ველარ იხილავდა ცოცხლებში. შვაიცერი ბრძოლით შეიჭრა ფრანცის სასახლეში, მაგრამ დაავიანა, ფრანცი მკვდარი დახვდა. მან ვერ შეასრულა აღთქმა, ამიტომ თავი უნდა მოიკლას.

ელგუჯა ლორთქიფანიძემ — შვაიცერმა ზიზხლით გადახადა ლურჯი მოსახამი გვამს და რა დარწმუნდა ფრანცის სიკვდილი, უკუიქცა... ხანჯალი იძრო, მაგრამ კიბეზე ფეხი დაეხსტა, წონასწორობის აღდგენა სცადა და უხერხულად კი გადახსტა... ფეხი ბარბაქუში შუშასავით გადაემსხვრა.

გაფთორებული იწვა ვეება ვაჟაკი საკაცეზე. ქვედა ტური მოეგდო კბილებს შუა, ტკივილი აწუხებდა, მაგრამ ხმას არ იღებდა. იცოდა, მისი ერთი ამოკენსა მომავკვინებლად იმოქმედებდა მის ირგვლივ შემოხვეულ, ისედაც თავზარდაცემულ ამხანაგებზე. აუწყებელი მწუხარების გრძნობით გააყოლა ალექსანდრე ახმეტელმა თვლი სკაკეს, შუბლთან ჩამოყრილი თმები მოისრისა და რეჟისორის თანაშემწეს უბრძანა: — მიხმეთ ვანო ლაღიძე!

გენერალურ რეპეტიციაზე ვანო ლაღიძე გამოვიდა შვაიცერის როლში, ელგუჯა ლორთქიფანიძის გამოჩანსაღებამდე იგი თამაშობდა.

პრემიერა ღამის სამ საათზე დამთავრდა. მსყურებელმა მიიღო სპექტაკლი, რომელსაც არც მაშინ და არც ახლა, ბადალი არ ჰყავს. გუშინდელი ხევისტოები („ლაპარა“) და მთიულეები („ანზორი“) ფრანც მორისის სასახლეში უზადოდ ეკევადნენ პოლონებს, მენუეტს, დადიონდნენ და მეტყულებდნენ, როგორც იმდროინდელ გერ-

მანელ არისტოკრატებს შეეფერებოდა. „ყაჩაღების“ დადგმის გამო გამართულ დისპუტზე, პროფესორმა შალვა ნუცუბიძემ ასეთი შეფასება მისცა სპექტაკლს: „ეს არის ქართული პილიტი შეკავშული შილერის ტრავედია, ზოგან პილიტი მეტი მოსვლია ახმეტელს, მაგრამ მემინც სიაშოვნებით ვუყურებ მას. ეს რუსთაველის თეატრისა და მთლიანად ქართული სცენის გამარჯვებაა“.

ამ დღიე წარმატების ცენტრში იდგა აკაკი ხორავა — კარლი მორი. 1926 წლიდან დღემდე, მის მიერ შესრულებული თითქმის ყველა როლი მინახავს, მაგრამ ასეთი სრულყოფილი, ალბათ, არც ერთში არ ყოფილა. მოქმედაკისაგით ძერწავდა ალექსანდრე ახმეტელი კარლის მონუმენტურ ფიგურას.

...კარლმა თავისი სატრფო ამალია მოკლა და გვამს დაემხო.

— დაიტრე შენი სატრფო, გესმის, აკაკი, დაიტრე, — უთხრა ალექსანდრე ახმეტელმა. აკაკიმ სცენა გამოიჭრა.

— გესმის თუ არა? უნდა იტირო, შენ, შენა სატრფოს მკვლელი ხარ.

— ბატონო საშა, — შეედავა აკაკი, — მე, ხომ გმირი ვარ, ვანა გმირს შეჰფერის ტირილი.

— რაო? გმირს ტირილი არ შეჰფერისო? ტარიელი დასტიროდა ნესტანის დაპარვას. გესმის, ტარიელი? ვანა კარლი შეედრება ტარიელს?

მე მომსწრე ვარ იმ ბედნიერი დღეებისა, როდესაც პირველად მოსკოვში ნაჩვენები იქნა „ყაჩაღები“ — „შეტევისა და ქარიზხლის“ ხანის შესანიშნავი ლიტერატურული ძეგლი.

სპექტაკლი ყუმბარასავით აფეთქდა!

— ხარავა, ხარავა, ხარავა! — თავდადოვნებამდე, ხმისახლეჩამდე ყვიროდნენ მოსკოველები.

პრემიერის მეორე დღეს, არავის დაუბარებია, არც არავის უთქვამს მობრძანდითო, მაგრამ დღითიდანვე ვაივს მოსკოველი მსახიობებით, რეჟისორებით, კომპოზიტორებით, მხატვრებით მცირე თეატრის ფოიე. ყოველი მათგანი გულწრფელად ულოცავდა სპექტაკლის ავტორს, ალექსანდრე ახმეტელს და შემდეგ პირველი სიტყვა ეხებოდა მორის — აკაკი ხორავას!

- რამდენი წლისია?
- თმა აქვს თუ არა?
- სპორტსმენია?
- მღერის?

აკაკი — კარლი კი ტავერნასა თუ ბოქმინიტეში, ფრანცის სასახლეში თუ მაქსიმილიანე მორის აკლდამასთან ნაიალარაი ხარკით ბორგავდა, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისაკენ მისიწრაფვოდა, მამის აკლდამასთან ბავშვი-

ირაკლი უგულავა
ამასი ამბავი



ჯით ქვეთინებდა და ხელის აუქანკალებლად კლავდა თავის სატრფოს:

— მოორის სატრფო... მოორის ხელითვე უნდა მოკლდე! ახლაც უფრო ჩამესმის ეს სიტყვები.

„ყაჩაღები“ პროგრამაში ხორავსთან ერთად ალექსანდრე იმედაშვილიც ეწერა. ოცდაათი სპექტაკლი ითამაშა ხორავამ შეუცვლელად. რვენ უკვე ვიფიქრეთ, რომ იმედაშვილი აღარ გამოვიდოდა ამ როლში. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ხორავას შემდეგ თითქოს შეუძლებელი იყო კარლის თამაში. მეორეც — ალექსანდრე იმედაშვილმა იმ ხანად ფილტვების ანთება გადაიტანა. შეძლება ორმოცდაათ წელს გადაცილებულა, „ნაადამყოფარი კაცი ტავერის ციკაბო კიბეზე სირბილს, ბოჰემიის ტყეში ლოდებზე ნავარდს? — ან გაუძლებდა მისი ნერვები სპექტაკლის რიტმს და უარესად დაძაბულ სიტუაციებს? მაგრამ იგი სცენაზე ნაწრთობი მსახიობი იყო და ასე ადვილად არ დაიხვედა უკან. როლს თავისებური რედაქცია გაუქეთა, რეჟისორებიც დამაჩრებლად გაიარა და განაცხადა — „მზად ვარ“.

1933 წლის 12 მარტს დანიშნულ იქნა სპექტაკლი.

ალექსანდრე ადრე მივიდა თეატრში, მსახიობთა ფოიეში მისთვის ჩვეულ პოზაში — ბეჭებში ორნავე მოხრილი და თავჩაქინდრული — დაჯდა. რეჟისორის თანაშემწემ გოგი ბაკურაძემ შეამჩნია უგუნებობა.

— ბატონო ალექსანდრე, ავად ხომ არ ბრძანდებით?

— არა.
— თუ დაიღალეთ, მაშინ...

— შენი საქმე იცოდე... თუ დავიღალე, ადგილიც ვცი, სად უნდა დავისვენო.

— არ იმჩნევდა, თორემ ნამდვილად დაღლილი იყო. აუჩქარებლად მივიდა თავის ოთახამდე და სავარძელში მოწყვეტით ჩაეშვა. გრიმიორი რაჩიკა შემოვიდა, პარიკი მოიტანა:

— ბატონო ალექსანდრეჯან, უგუნებობდ ბრძანდებით?

— რას ჩამაცივდით, მომწყდი თავიდან! — შეუტია არამკითხვ გულშემბტიკივარს.

სპექტაკლი დაიწყო...

სცენამ ტავერნაში, სადაც ამხანაგები კარლს ყაჩაღთა ბრბოს ბელადობას შესთავაზებენ, მშვიდად ჩაიარა. რასაკვირველია, სცენაზე არ იყო ხორავას კარლი: შეტრიბებელი, თავაწყვეტილი მებრძოლი, ჩახმახივით შემართული და ავასასავით მოსხლტილი. იგი ლაპარაკობდა აუჩქარებლად, ცოტას მოძრაობდა, უფრო მოზარდოვნეს გავდა, ვიდრე ყაჩაღების ბელადს. ტავერნის ციკაბო კიბეზე არც უცდია ასეღა — ფრანცის წერილი რომ მივიდა, ერთი დაეკმინა და პირდაპირ კულისში გავიდა.

მეორე მოქმედება ბოჰემიის ტყეში მიმდინა-

რეობდა. სცენაზე იდგა ვებებერთელა გუნდისკე გადახრილი მუხა. კარლის რაზმი ალექსანდრე-როზე ემუქრება ყველას, მაგრამ იარაღს არავინ ჰყრის. კარლი ყველას სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისაკენ მოუწოდებს. მაწანწალები მუხაზე აფოფდებიან, ფულტრობებში ძვებრიან, რათა იქედან შურდულებით ქვები დაუშინონ, იყვირონ, უსტიტონ. საერთო არეულობაში კი ყაჩაღები ხმაღდახმაღ ეკეთებებიან მტრს. ყველაფერი მზად არის სათერბოლად, მაგრამ მოწინააღმდეგეთა ბანაკიდან მოვიდა მოციქული (თამაშობდა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი გიორგი სარჩიშვილი). იგი მოუწოდებს ყაჩაღებსა და მაწანწალებს:

— თამაზად შეჰკარით მეთაური და ჯილდოდ თავისუფლება! აი, წაიკითხეთ, აქ სრულ პატიებაზეა ხელი მოწერილი! — ამბობს იგი.

შეწყალების სიგელმა იმოქმედა ხალხზე. თითქოს განდგა ბრძოლის ცინი. მაწანწალები თანდათან ჩამოცოცდნენ ხიდან, მათი მეთაური შპიგელბერგიც თანახმაა მიიღოს პატიება. ყაჩაღები კი პირქუშად დგანან — ვერ წარბოუდგენიან, როგორ უნდა შებოჭონ და მართლმსაჯულობას გადასცენ თავიანთი ბელადი. კარლი ღელავს, ფვალეში ჩასტკერის თვითეულ მებრძოლს, სურს ამოიცნოს მოღალატე, მღდალი, გამცემი.

„კარლი: ხომ მოისმინეთ, რაღას აყოფებთ. ნუთუ სამოთხესა და ჯოჯოხეთს შორის არჩევანი ასე ძნელია? რას უდგახართ, იქნებ გეშინიათ თავი არ მოვიკლა და ჩემი თვითმკვლელობით არ ჩავშალო მათი პირობა, რომელსაც მხოლოდ ცოცხლისათვის დებენ. აი უქქირეთ: გადამიგდია ხმალი, ხანჯალი, დამაჩა. აი ეს საწამალავიც, რომელიც ოდესმე დამჭირდებოდა. ახლა იმდენად უმწეო ვარ, რომ საკუთარი თავზედაც კი დავკარგე გამგებლობა.“

ვერავინ ბედებს ბელადთან მიახლოებას. იდგა ლოდზე კარლი — იმედაშვილი და გარს ცეცხლის რკალივით ერტყუნე ალვისტანინი ყაჩაღები (ე. ლორთქიფანიძე, ვ. აბაშიძე, დ. მკავია, ვ. ლალიძე, მ. ჩიხაძე, ლ. ყაზაიშვილი, ი. შერვაშაშვილი, ვ. დოლიძე, ი. წულაძე...). ისინი აღზნებული, უქადურესობად დაძაბულნი შესტკეროდნენ ბელადს.

ფვალი შეავლო იმედაშვილმა თავის თანამებრძოლს... შეკრთა, მუხის ფესვს მიეყრდნო. უკანასკნელი ძალა მოიკრინა:

„კარლი: უქქირეთ, ამ მუხის ტოტზე მივიბამ მარჯვენას. ახლა იმდენად უღონო ვარ, რომ ბავშვიც კი შემკრავს. აბა, ვინ არის თქვენში პირველი, რომელიც თავის მეგობარს გაჭირებაში დატოვებს!“

„როლი: (თამაშობდა ვ. აბაშიძე) არავინ! თუ ძაღლები არა ხართ, გუშველოთ მეთაურს!“ მართლაც, უშველეს მეთაურს: გარს შემო-

ერთყენ ყაჩაღები და მყურებელს არაფერი შეუმჩნევია, ისე გაიყვანეს კულისში.

ალექსანდრე ახმეტელი იმ დროს არ იყო თეატრში, უიშისოდ ვერაინ ვაბედა ეთქვა, თქვენ ვეღარ გაავრძელებთ სპექტაკლსო. თვითონ კი წუთიერმა შოკმა, როგორც კი გაუარა, თავი უკეთ იგბნო, ყველაფერი წესრიგშიაო, უთხრა რეჟისორის თანაშემწეს და სცენაზე შევიდა.

...კარლი გაიგებს, რომ მისმა ძმამ ფრანცმა საგვარეულო აკლდამაში ცოცხლად დამარხა საკუთარი მამა, მაქსიმელიანე მორი (თამაშობდა რესპუბლიკის დამსახურებული მსახიობი ბიძინა წულაძე), გაშმაგებული შეამსხვრევს აკლდამის კარებს. დღის სინათლეზე გამოდის ვახტანგი, შიშვილისაგან სასომხილიო მაქსიმელიანე მორი, იგი ვერ ცნობს თავის უფროს შვილს — კარლს, ლოცავს მას კეთილი საქმისათვის. კარლი ვერ ითმენს და გამოუტყდება:

„კარლი: შენი მხსნელი ავაზაკი და კაცის მკვლელია. მამაჩემო!“

„მაქსიმელიანე მორი: კარლ, კარლი ნუთუ შენ...“

ელდანიკრავი მორი დაცა... ამ დროს კარლ მორიცი ნეტორტმანდა, ხელები გაასავსავა, თითქოს სინლის ვაფანტვა უნდოდა, ჩაიმუხლხა...

— ჩქარა, ფარდა! — იყვირა რეჟისორის თანაშემწემ.

როგორც კი ფარდა დაიხურა, მაქსიმელიანე მორი წამოდგა, კარლ მორი კი გაუნძრევლად იწვა, გული აღარ უფეთქებდა.

ტიციანის მიხაკი

ყრმობიდანვე მიყვარს რუსთაველის პროსპექტი! მისი უძველესი თუყვანისმცემელი ვარ, თუმცა პირველობას არ ჩემობ, ჩემზე უძველესებიც არიან. ოდესღაც ირმის ნაბიჯებით რომ დასეირნობდნენ მის ქვაფენილზე, დღეს საცოდავად დაიჭაჩაქებენ, მაგრამ მაინც, დღემო ერთხელ ან ორჯერაც, ამ უძლურების ეპოს, კიდევ ვაგვიღიან ხოლმე პროსპექტზე. ცოტა ხანს ჭადრების ქვეშ დადგებიან, „თვალს წყალს დააღლიეინებენ“ და ისევ შინსკენ გაუყვებიან გზას.

ამ ცოცხელ მიწაზე ბევრი პროსპექტი სჯობია სილამაზით რუსთაველის პროსპექტს. დაე, ასე იყოს! მე მაინც საუკეთესოთა შორის საუკეთესოდ მიმაჩნია იგი. ვცდები? მერე რა. მე, მისი ჭადრების ქვეშ ვაზდილი კაცი, და არა მარტო მე, მთელი ჩემი თაობა ამ აზრის არის.

სკოლიდან შინ ყოველთვის რუსთაველის პროსპექტით ვბრუნდებოდი. ავლაბარში, ხარფუხში, სვანეთის უბანში მცხოვრებნიც არ ერიდებოდნენ გზის გაგრძელებას, ხალისით მოგვეყვებოდნენ ჭადრის ხეივანში გასასეირნებლად. მერე დღეს კი ერთმანეთს ნიშნის მოვებით ვეუბნებოდით: „გულშინ უშანგი ჩხეიძე ვნახე“,

ატყავ ალიაქოთი...

მსახიობთა ფოიემი ექიმის დახმარებით ძლივ მოასულეერეს.

მეორე დღეს ალექსანდრე ახმეტელმა სახლში ინახულა თავისი სენია — ალექსანდრე იმედავილი. როგორც ვაივკეთ, რეჟისორსა და მსახიობს შორის ასეთი დიალოგი გამართულა:

— რა ბებერო, ცუდად ვახდის? ნაქვიფარი ზომ არ იყავი?

— არა.

— მაშ, რა დაგემართა, განა ასეთი როლები ვითამაშობა?

— დახ, მითამაშობა კარლიც და ფრანციც-ოტელიც, ოდიზოს მეფეც, მაკბეტცი! მაგრამ ჩვენი სპექტაკლები სხვა იყო. იქ მარტო მე ვიყავი, მე ვებნდი სიტუაციას, სხვები მომყვებოდნენ. აქ კი, ყველა კარლია, ერთად ორმოცამდე კარლი იდგა სცენაზე. მოდი და გაუძელო მათ მზერას. უკვე მეორე მოქმედებაში ვავხდო ცუდად, მესამე მოქმედებაში, როდესაც დამიბულობამ ზენიტს მიაღწია, ბოლო მომეღო... სუნთქვა შემეკრა... პარტერსა და სცენას შუა თითქოს სინილი ჩამოწვა. ეჰ, ყველაფერს თავის დრო აქვს.

ადამიანი, რომელიც სცენაზე გათეთრდა, ოტელიც, ოდიზოს მეფე, მაკბეტი ითამაშა, რომელსაც უხაროდა ძლიერ პარტნიორთან თამაში... სცენაზე დაეცა.

მართლაც! — ყველაფერს თავის დროს აქვს.

„მე კი სანდრო ინაშვილი“, „იცი, კონსტანტინე გამსახურდიამ ცხენით ვაიარა პროსპექტზე“...

ასე, თითქმის ყოველდღე, დასეირნობდით და ვოცენებოდით...

ვიცოდით ვინ სად იდგა: რუსთაველის პროსპექტსა და ჭავჭავაძის ქუჩის კუთხეში თავს იყრდნენ მწერლები, წულუკიძის ქუჩასა და რუსთაველის პროსპექტის კუთხეში — მხატვრები და მუსიკოსები, ბორჯომის წყლის მღაზის პირდაპირ — „ღვინის მსმელები“ და საერთოდ, ნაბახუსევი ხალხი. უფრო იქით — ოფიცერთა სახლის ქვედა სართულზე, კაფე „რუსთაველი“ — რუსთაველის თეატრისა და, საერთოდ, მსახიობები. ჩვენ კი, ჯერ გაურკვეველი პროფესიის ქაბუტები, დაველიოდით ჭადრებს ქვეშ და ვოცენებოდით — ვტკებოდით მწერლებს, მხატვრებს, მუსიკოსებს, მსახიობებს აღზნებული სახეთა ყურებით.

ერთი ასეთი გასეირნების დროს ლადიძის წყლებთან მეტად მხიარული ახალგაზრდების

ირაკლი უშვალვა

ათასი ამაზი



ჯგუფი შემოგვეყარა, ეტყობოდათ ნასევამები იყვნენ. შუაში მწითურთმანიანი კაცი ჩაეყენებინათ და ხმამალა, თითქოს ყვირილით, რაღაცას უხსნიდნენ. შემდეგ იხველეს და ყველა ერთად ლაღიძის წყლების მალაზიაში შევივდნენ.

— ეს რუსი პოეტები სარგეი ესენინია, — გვითხრა ხანში შესულმა კაცმა, — ჩვენი პოეტების სტუმარია. აი, ის მალალი, პაოლო იაშვილია, ის, მკერდზე მიხაყი რომ ახნევია — ტიციან ტაბიძე. თავისუფალი ხალხია, მოდიან და მთელა ქუჩა მოაქვთ.

წითელმიხაკიანს კარგად ვიცნობთ. იგი ყოველდღე, ზუსტად შვიდ საათზე, ჰავეჯაძის ქუჩაზე გამოჩნდებოდა. იდეალურად დაუთოვებულ, გაწმენდილი კოსტუმში ეცვა, უხდებოდა წინ ჩაპოყილი თმა, ოდნავ შემუბუბული თვალები და შეწითლებული ლოყები ჰქონდა. რაც მთავარია, ყოველთვის მკერდზე ეხნია წითელი მიხაკი. ჩამოათავებდა ჰავეჯაძის ქუჩას და გაბადებული სახით შემოუხვევდა პროსპექტზე, კაცი ერთი შეხედვით შეატყობდა, რომ აუწყურელ სიამოვნებას გვრიდა ამ დიდ ქუჩაზე გავლა, იგი მსუბუქად მიიპიჯებდა ქვაფენილზე. ღიმილს აფრქვევდა ირგვლივ.

ერთ დღეს, ჰავეჯაძის ქუჩის კუთხეში რომ გამოჩნდა ტიციანი, ჩვენ მოსიერინე-მეოცნებეთა ჯგუფის წევრს არსენ ომაიძეს ასეთი „ორიგინალური“ აზრი დაებადა:

— ვინ მოსტაცებს მიხაკს ტიციანი?

— გოშლის? — მივეუბრე დაუყოვნებლივ.

— ტიციანის მკერდზე მიხაკის დანახვაზე ხელი შევაქვება, საღ შოულობს, მიხაკების ბალა აქვს?

ყოველდღე ერთსა და იმავეს იმეორებდა ეს ჯიუტი ბიჭი. რამდენჯერმე უკან აღედგინა კიდეც, მაგრამ ხელცარიელი დაბრუნდა.

— ვისაც უნდა და რაზეც უნდა დავენიშლები, თუ ერთხელ მოეტაცეთ მიხაკი, მეორეჯერ აღარ გაიკეთებს. — იმეორებდა თავისას იგი.

არსენამ იმდენი ილაპარაკა ტიციანის მიხაკზე, რომ ჩვენც აღგვიძრა მისი მოტაცების სურვილი.

ლი. პროსპექტზე ათასი კაცი თუ ქალბატონი წელიწადის არც ერთ დროს, არც ერთ მსოფლიო მკერდზე ყვავილი არ ეხნია. საერთოდ, ბუნების ეს შესანიშნავი ნუბარი, მამინ მოდიდან გადავარდნილი იყო. მას კი ყოველ დღე, ახალი, პოეტული მიხაკი ეკეთა ერთსა და იმავე ადგილზე — ბიჭაკის პატარა ჯიბეზე. ვიმსჯელოთ, ვინდავით და გადავწყვიტეთ, კენჭი გვეყარა — ვინსაც შეხვდებოდა, უნდა მოეტაცა მიხაკი. ქუდში ჩაეყარეთ მონიშნული ნაკუწები. ყველა ამოიღო და ყველამ შევებით ამოიხუნტა, მხოლოდ მე ამოვიხიხრე — ქუდში დამჩნა ერთი ქალაღი, რომელსაც ეწერა — „მიხაკი“.

ტიციანის გამოჩენას წუთები აცლდა. გონებაში მიხაკის მოტაცების გეგმა შევადგინე და წიგნის მალაზიის ვიტრინას ავეკარი. ცდა დიდხანს არ დაგვეკირდა, ჰავეჯაძის დაღმართზე გამოჩნდა პოეტი. გრძელ ჩინუხში გაერქო პაპიროსი და უღარდელად აბოლუნდა, როგორც კი გაუსწორდა რუსთაველის პროსპექტს, საფრინდან ვისკუბე, ვწვდი ბიჭაკზე მიმდარებულ ყვავილს და მოვკურცხლე — პროსპექტი გადავკვეთე. უკან რომ მოვიხედე, ტიციანი ისევ იმ ადგილას იდგა. ვერ გამორკვეულიყ, რა მოხდა. რად მოსტაცებს მიხაკი. შემდეგ ხელით მოისინჯა მკერდი, დახედა იმ ადგილს, სადაც ყვავილი ეკეთა, მხრები აიჩეჩა და უკან გაბრუნდა.

ეს „ტერორისტული აქტი“ ისეთი თვალშეუვლები სისწრაფით მოხდა, რომ ტიციანს არც კი დაეუნახავარ, ამიტომ ამხანაგებს თამამად შევეერთდი.

— მომეცი მიხაკი, — მეცა არსენა, — ისტორიული მცენარეა, შევინახავ, წიგნში ჩავდებ და გავახმოვ. ქვეშ მივაწერ: „ტიციანის უკანასკნელი მიხაკი“.

მწაარდ შეცდა.

ნახევარი საათის შემდეგ გამოჩნდა ტიციანი ჰავეჯაძის ქუჩაზე, გაბადრული სახით. ხალისიანად მოუხვია პროსპექტზე და... მის კოსტუმზე ისევ კიაფობდა წითელი მიხაკი.

კოპიის იუბილე

დაუფასადა დეწლი დიდ პოეტს, გოგლა ლეონიძეს: 1959 წლის მიწურულში მისი დაბადებიდან 60 წელი იზეიმეს, იუბილე გადაუხადეს და საქართველოს სახალხო პოეტის სახელიც მიანიჭეს.

რესპუბლიკის ყველა ჟურნალ-გაზეთი გამოეხმურა ამ ღირსსახსოვარ თარიღს და, რასაკვირველია, თავისი პროფილის მიუხედავად, სპორტულ გაზეთ „ლელოსაც“ უნდა ეთქვა თავისი სიტყვა. სარედაქციო თათბირზე გადავწყვიტეთ კაცი გავვეგზავნა გოგლასთან, რათა ჩვენ მიერ მომზადებული რესპუბლიკის სპორტ

სმენებისადმი საახალწლო მისალმების ტექსტო წაეკითხა და, თუ თანხმა იქნებოდა, ხელი მოეწერა, გამოქვეყნების დასტური მიეცა. ყოველ შემთხვევისათვის სახლში ტელეფონით მაინც დაეურეკეთ ბატონ გოგლას.

— ბატონო გოგლა ბრძანდებით?

— დიხ, — გაისმა ყურმილში ბოხი, სასიამოვნო ხმა.

— გაუწუხებთ გაზეთ „ლელოს“ რედაქციიდან, ჩვენ გვინდა თქვენი საახალწლო მისალმება რესპუბლიკის სპორტსმენებისადმი.



— აქამდე სად იყავით? გვიჩინეთ? ორ საათში ჩემი იუბილე იწყება, რა დროს ეგ არის.

— ტექსტი მზადა გვაქვს, მხოლოდ თქვენი ხელმოწერა გვჭირდება.

— თქვენ დაწერეთ ჩემი მისალმება? როგორ, გოგლაზე კარგად წერთ? — მცირე პაუზის შემდეგ დაუმატა, — რა ვქნა, უარი როგორ გითხრათ, მოდიეთ.

გოგლა ლეონიძეს ჩვენი შედგენილი ტექსტისათვის არც კი დაუხედავს. ღვთის მადლით წერა მეხერხებაო, უთქვამს და იქვე შეუდგენია მისალმების ტექსტი. თანაც ბოდიში მოუხდია, აი ხომ ხედავთ, მთელ ჯალაბოზით იუბილეზე მივიღვივართ, თუ რამე დავაკელი, თქვენ მიუმატეთ, ნებას გაძლევთ.

— შორს გაგეტანოთ მშობლიური მიწის სახელი, ქართველური შემართებით. სინაუქითა და ვაჟაყვიბოთი, ახალ-ახალი გამარჯვებებით შეგემკოთ ჩვენი სამშობლოს მკერდი. თქვენთან მივგულეთ, ჩემო შვილებო და ძმებო — სახელოვანო სპორტსმენებო. მრავალ ახალ წელს, მრავალჟამიერ! გოგლა ლეონიძე... — ასე მიესალმა ჩვენს სასიკეთლო პიეტი რესპუბლიკის სპორტსმენებს.

ყველაფერი რომ დამთავრდა — მაკეტში მონიშნა ბატონ გოგლას სურათი და მისი მისალმების ტექსტი — რედაქციის პასუხისმგებელმა მდივანმა თქვა:

— დღეს გოგლას იუბილეა, ყველა გაზეთი მიესალმება მას. ჩვენ კი, ამ დროს, ჩვენდამი მის მისალმებას ებეჭდავთ, რამდენად მართებულია?

— როგორ მოვიქცეთ?

— მე დაწვერე პატარა ლექსი, რომელიც მანდვე უნდა მოთავსდეს. სასურველი იქნება, თუ ლექსს ხელს მოაწერს რომელიმე სპორტსმენი.

მართლაც, სასურველი იყო, რომ ლექსისათვის სპორტსმენს მოეწერა ხელი, მაგრამ ვის? გონების თვალი გადავავლეთ რესპუბლიკის სპორტულ კოლექტივს. ვიფიქრეთ, ვიფიქრეთ და აღმოვაჩინეთ... გოგი ანთაძე!

რესპუბლიკის სპორტის მოყვარულებს კარგად ახსოვთ თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდის წევრი გოგი ანთაძე, რომელიც გვერდს უშვებებდა ჩვენს სახელოვან სპორტსმენებს შორის პაიჭაძესა და ავთანდილ ლოლო-

ბერიძეს. იგი წლების განმავლობაში თავდასხმულად თამაშობდა. შემდეგ უკან გადაინაცვლნახევარდაცვაში ჩაღვა და აქაც გამოირჩეოდა თავისი ბრძოლისუნარიანობით და მაღალი ტენიკით. იმხანად იგი უკვე აღარ თამაშობდა „დინამოში“, წვრთნიდა ფოთის „კოლხეთს“, რომელიც „ბ“ კლასის გუნდების საკავშირო გათამაშებაში მონაწილეობდა. აი, ამ ხალისიან, გულლია, მუდამ მომღიმარ სპორტსმენს ერთი „სისუსტე“ სჭირდა — ლექსებს წერდა. რასაკვირველია, მათ გამოქვეყნებაზე არც უფიქრია, მაგრამ მაინც წერდა.

საკავშირო პირველობა დამთავრებული იყო, ამიტომ გოგის თბილისში დაუწყვეთ ძებნა. წინასწარ ვიცოდით, რომ უკან არ გვეტყუოდა, მაგრამ მაინც ხომ უნდა სცოდნოდა? სამწუხაროდ, თბილისში არ აღმოჩნდა, ფოთში წასულიყო წინა დღით.

ბეკრი ფიქრის დრო არ იყო. სტამბიდან გამოშვები ყოველ წუთს რეკავდა — მეორე და მესამე გვერდების მაკეტები და ასაწყობი მასალა გამოგზავნეთო.

1959 წლის 31 დეკემბერს გამოვიდა გაზეთი „ლელო“, რომლის მეორე გვერდზე მოთავსებული იყო გოგლა ლეონიძის პორტრეტი, მისი სახალწლო მისალმება საქართველოს სპორტსმენებისადმი და სპორტის დამსახურებული ოსტატის გოგი ანთაძის ორსტროფიანი ლექსი.

რამდენიმე დღის შემდეგ გოგი ჩამოვიდა ფოთიდან და, რასაკვირველია, რედაქციასაც ეწვია. მოვიდა თავისებური უშუალოებით, ღიმილით, მოგვიკითხა, ახალი წელი მოგვილოცა და ვიდრე რამეს ვეტყუდი გოგლა ლეონიძისადმი მიძღნილ ლექსზე, თვითონ დაგვასწრო: გულწრფელი მადლობა გადაგიხადა, რომ მის მაგიერ გავისარჩეთ და მისი სახელით ასეთ საყვარელ აღამიანს მივესალმეთ და დაუმატა:

— რა დღეში ჩამაგდეთ! პირველ იანვარს ყოველ ათ წუთში რეკავდა ვიღაც და ერთსა და იმავეს ყვიროდა ყურმოდში: არა გელექსება, გუნდი მერვე ადგილზეაო. სალამოს ბიძა მეწვია, „ლელო“ წინ დამიღო და სრულიად სერიოზულად მითხრა:

— შე კაცო, ლექსის წერა შეგძლება და ამ ხნის კაცი ბავშვივით კიდევ ბურთს დასდევ?





ს ა რ კ მ ე მ ი

ჯაბაღ მჭარლიოზილი

მისაქართი: ნოღაის ველი

კახუზი

ჩენი „ავტო-კოლონა“ სამი მანქანისგან შედგება: საქართველოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის „კოლხონიკი“ და წიგნის ორი ავტო-ფარდული, რომლებითაც ქართველ მეცხვართა საზამთრო ბინებზე ბიბლიოთეკების შესაქმნელად ცეკავშირის წიგნით ვაქრობის სამმართველო სხვადასხვა სახის ლიტერატურას აგზავნის...

ციხლარში ოთხნი მივდივართ: რადიოსა და ტელევიზიის წარმომადგენლები — გიორგი გიგაური, სპარტაკ ყვანია, ოთარ ტეტელაშვილი და მე — ამ სტრიქონების ავტორი.

ქარაიანი მღვთას გასცდა და ჭვრის უღელ-

ტეხის შეუყვა. შესახვევთან ტრაქტორი თოვლის ნაშქერს ხვეტდა, გზისპირისკენ გადააქონდა და ხევში ყრიდა. გაზაფხულის ბოლო იყო და გვიკვირდა — მუხლამდე თოვლი რა მზემ დატოვა ამდენხანს! როგორც იქნა, მომთავრდა თოვლის ხვეტა, ტრაქტორისტმა გზა დაგვიტოვა და ჭვრის უღელტეხილზეც ავიღამართეთ. კიდევ ცოტაც და, თერგის ხეობა დაიწყება... დარიალის ვიწროებში არაერთი ელგუჯა და იაგო, გოჩა და ონისე შემოგვეყრება. ღიმილით შემოგვეყრებიან, გზას დაგვილოცავენ და სანამ მოსახვევს მოვეფარებთ, თვალს ვერ მოგვაცილებენ „ცხორში“ მიმავალ ვაყებებს.

კოჩუბაი

ქალაქ ციხლარის ჩრდილოეთით, 150 კილომეტრზე მდებარეობს დაბა კოჩუბეი — ნოღაის საზამთრო საძოვრებზე მიმოფანტულ მეცხვართა „დედაქალაქი“, განთქმული უღაბნოს ქარებით — საკმარისია ნიაგმა წამოუბეროს, კბილბში სილა დაგიწყებთ კნაწა-კნუწს.

კოჩუბეი მრავალეროვანი დაბაა: რა ენაზე მისაუბრეს არ ნახავთ აქ. ასე იყო ადრეც. როცა სოფელს, იმჟამად „შავ ბაზრად“ წოდებულს, მონებით ვაქრობის ციებ-ციხლება მოსდებოდა... აქ იყრიდნენ თავს კასპიის ზღვით ჩამოსული ირანელი და ავღანელი ვაქრები, თურქი და ინდოელი სოფდაგრები, დონელი და უკრაინელი კაზაკები, რუსი მისიონერები და კავკასიელი მთიელები. მონები ძირითადად კავკასიელ მუსულმანებს ჩამოჰყავდათ და იყო ოქროს ჩხრიალი. სტამბოლის მონათა ბაზარს სწორედ კოჩუბეი ამარაგებდა კავკასიური „საქონლით“. ამის შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაია-

რა — კოჩუბეი რკინიგზის ხაზმა გადასერა, სოფელი დაბად იქცა, გაიზარდა, დამშენდა...

სალამო ხანი იყო, კოჩუბეიში რომ ჩავედით. შორს არ დაგვიკვირებია წასვლა, გიორგი გიგაური შინმოუტყველეთა ობელისკთან მდგარ სამ ნამაკაცს მიუახლოვდა, მხარბუქიან, გოლიათ ვაჟკაცს მხარზე ხელი დაკრა და გადაეხვია: მერე ჩვენ მოგვიბრუნდა:

— იცნობდეთ, ბიჭებო, ეს კაცია ამ უკიდევანო ტრამალების „ბატონ-პატრონი“, ციხლარის საზამთრო საძოვრების უფროსი — მიხეილ გელაშვილი.

— საით აპირებთ, ბიჭებო, გზის გაგრძელებას? — გვეკითხა მიხეილმა.

— ჭერ ღუშეთისა და ლენინგორის მეცხვართა ბინები გვინდა მოვიჩახულოთ: მერე, თუ დრო დაგვჩრება, სხვებსაც ვესტუმრებთ.

— დღეს უკვე ვეღარ მოასწრებთ, დისვენეთ.



სიაზონებით მივიღეთ მიხეილის წინადადება — ცეკავშირის მუდრო ოთახები ვარჩიეთ სიკისხვად დამსკდარ, მტვრიან სტეპში ხელახლა ზორიას; მით უმეტეს, რომ თბილისიდან კოჩუბიძემ თითქმის დღენახევარი ვიმგზავრეთ. წინა ღამეს ხუთიოდე საათით წავთვლინეთ გრო-

ზნის კოლმეტურნეთა სახლში და ახლა ერთ სული გვეწონდა, ვიდრე მტვერში ამოგანვლულები ხელპირის დავიბანდით და საწოლზე მივეგდებოდით. სასტუმროს ოთახები არც თუ ისე ურიგო აღმოჩნდა, როგორც გარედან გვეჩვენა...

იალაღებისკენ

მზეს ამოსვლა ვერც კი მოესწრო. ქუჩაში უკვე კაი ხანია გვიციდნენ ჩვენი მანქანები. მალე მიშა გელაშვილის „კოლხონიკი“ შემოგვემატა და იალაღებისკენ დავიძარბეთ.

ასფალტინაზე გზამ სტეპში ვადაუხვია და ასტრახანის რკინიგზის პარალელურად, ჩრდილოეთისკენ ვაემართა.

უცებ ინათა. ათიოდე წუთიც არ იყო გასული, რომ ცის ტანობზე წითელი ბადრო კაშკაშა მზედ იქცა და უსაშველოდ დაგვიწყო კბენა. უცებვე გახურდა მანქანის ბრუნვითიანი სახურავი და ისე ჩამოიხუთა, იძულებული გავხდით, მანქანის კარი გავგველო — იმას აღარ დაგიდედით, შემხვედრ ნიათთან ერთად მტერის კორიანტელიც რომ შემოდოდა კაბინაში.

გადარეული სტეპი მართლაც უძლიერებოდ მიმოვანტულიყო გზის ოთხივე კუთხივ, იკაცებოდა, იკაცებოდა და ყოველი მხრიდან მოკრიალებულ ცას უერთდებოდა.

სამანქანო გზა ოდნავ მიწაში ჩაწეული და ოც-ოცდაათ სანტიმეტრზე ფხვიერი სილით ამოვსებული. სიმძიმისგან სახურავები სილაში ჯდებიან და რხევა-რხევით, ჯანჯღარით მივიწვევთ წინ. გვივიკის — რით იკვებება მთელი ზამთარი ცხვარი, როცა გახაფხულზეც კი აქ მხოლოდ ერთადერთ სახის ეკოვანია, მონაცრისფერო ბალახი მოჩანს ყველგან. მიშა გელაშვილი გვიხსნის:

— ამ ადგილებში ოდენსაც კასიის ზღვა იყო. ამიტომაც აქ ყველგან მარლიანი მიწა, ბალახიც მლაშეა და ცხვარიც „დიდი სიამოვნებით“ შეეჭეკება.

პორიზონტის დასასრულზე, აქა-იქ, მოლანდებისავით ჩნდებიან და ქრებიან ნავთის უბატრლილითა გაბუნდებული კოშკები. ჩრდილო კავკასიის აღმოსავლეთი მარტო მარლიოვანი სამოვრებით როდი გამოირჩევა...

გამოვიარეთ ჩეჩნეთ-ინგუშეთის მიდამოები და გზა-გზა სულ ცამდე მოლაპლაპე ცეცხლის ენები ელვარებდნენ — ეს ახლად აღმოჩენილი გაზი იწველა. და ვანა მარტო გაზის საბადოები? გროზნოს რომ გავციდით, ახლა ნავთის უბატრლილები მოეფინა ტრამალეებს. მართლაც რომ მიდიდარია ჩრდილო კავკასიის მიწა!

ჩვენი „კოლხონიკი“ კვლავ რწევა-რწევით მიიკვლევს გზას სილაში. გარშემო სტეპების ერთფეროვნებას აქა-იქ ჩაუტბებული პატარა ტბები არღვევს — სიციხის სუნთქვით, გარეული ბატებითა და იხვებით რომ არის საყსე. ჩასუტეულმა ყურცქვიტა კურდღელმაც არა ერთხელ გადაგვიკრა გზა და გვანატრა — ნეტა სანადირო თოფი წამოგვედოთ.

პირველი ბინა, ჩვენ რომ შემოგვხვდა, ლენინგორის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობას ეკუთვნოდა. მანქანების ხმაურზე დამხდურები გამოიშალნენ. მიშა გელაშვილმა სათითაოდ გავავცნო ისინი: ლენინგორის რაიონმასკომის თავმჯდომარე თენგიზ დურგლიშვილი, მოწინავე ბრიგადირი ვარლდ ფსუტური, მწყემსი ვასო პავლიაშვილი...

ხალხი ცხვრის პარსვით იყო დაკავებული და ისე მომჩვენდა, თითქოს არც ესიაშვანთ ჩვენი დანახვა, ეკონათ, ალბათ, საშუაოს მოგვეწყვეტენ კაი ხნითო.

— ძალიან იმარჯვეს ბიჭებმა, ძალიან — გვიყვება მწყემსების შრომით კმაყოფილი თენგიზ დურგლიშვილი, — 7,000 სული ცხვარი რამდენიმე დღეში გაპარსეს. თვის ბოლომდე თითზე ჩამოსათვლელი დღეები რჩება; ასე თუ იყოჩაღეს, თავისუფლად მოასწრებენ დანარჩენის გაპარსვასაც.

— ყოჩაღებიც თუ არიან გამოსარჩევი ბიჭები? — ეკითხება ოთარ ტეტელაშვილი და თან კინო-აპარატს ამზადებს ვადასადებად.

— რასავიკრევათ! — პასუხობს თენგიზი, — აგერ, ვასო თამარაშვილი, ლექსო საბიაშვილი, იოსებ პავლიაშვილი; იოსები დღეში საშუალოდ 90 ცხვარს პარსავს, ალექსანდრე მწითურის დღურით გეგმა კი 100 ცხვარია...

—საინტერესოა, რამდენი კილოგრამი მატყლი გამოდის თითო ცხვრის ნაპარსიდან და მეურნეობა წელს რამდენ ტონა მატყლს ჩააბარებს სახელმწიფოს? — კითხულობს სპარტაკ ძვანია.

— თითო სული ცხვარიდან კილოგრამანახევარ მატყლს ლებულობენ ბიჭები. ვვარაუდობთ, რომ მაისის ბოლოს მეურნეობა 50 ტონაზე მეტ მატყლს მისცემს სახელმწიფოს.

ჯიშალ მხადიწივილი
მისამართი: ნოლანს ვილი



— რაიონის ყველაზე საუკეთესო კოლმეურნეობას თუ დაგვისახელებთ? — ახლა მე ვეკითხები.

— დამდურებით არცერთს არ ვემდურით და თუ ჩემს აზრს გაიზიარებთ, სოფელ ცხრაამის კოლმეურნეობა „საქართველოს“ დავისახელებთ. სანდრო ჩიტიშვილი რომ ხელმძღვანელობს.

სანდრო ჩიტიშვილი და მისი ბიძები

მთასავით კაცია სანდრო ჩიტიშვილი, ჯანმავარი, სახელადეადა...

— ბაღი ვიყავი, მამაჩემმა, სახელგანთქმულმა თავჩობანმა ვანო ჩიტიშვილმა ცხვარში რომ წამოიმიყვანა, — სანამ ბაღს მუხლი ვაქმანგრდებდა, მანამ უნდა მისცე კომპალი ხელში. თორე უღვაში რო ამოეწვერება, მეცხვარედ აღარ ივარგებსო... — ხშირად უყვარდა თქმა იმ ცხონებულს.

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. სანდრო ჯერ თავჩობანი გახდა, მერე კოლმეურნეობის თავმჯდომარე და აგერ 35 წელია, ნოღაის ველს ვეღარ ეღვევა... ზეპირად იცის კონუბენიდე გაშლილი ყველა გზა თუ ბილი, ყველა საძოვრის ავკარგი, კოლმეურნეობა „საქართველოს“ ცოცხალი მატანა, დაარსებიდანვე მისი პირველი წევრი და შემდეგ უცვლელი თავმჯდომარე.

აი, ერთ-ერთი დაუფიქარი დღე სანდროს ცხოვრებიდან: კონუბენი მწყემსების სანახავად რესპუბლიკის ხელმძღვანელები ვასილ პავლესძე მავანაძე და გივი დიმიტრისძე ჯავახიშვილი ამოვიდნენ. ნახეს სანდროსა და მისი ბიძების ნახტავი, მარჯვენა შეუქქეს ვაქცაცებს, სანდროს ავტომანქანა „ვაზ-69“ აჩუქეს.

წარმატებები კი მრავალდებოდა, დოვლათს დოვლათი ემატებოდა და 1967 წელს ცხრაამელთა კოლმეურნეობის თავმჯდომარე შორის წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვეს... ჯილდოები მიიღეს მოწინავე მწყემსებმაც...

კოლმეურნეობაში ბრიგადებს შორის სოციალისტური შეჯიბრია გაშლილი. პირველობას წლების მანძილზე კვლავ ფედრა ბალხაშიშვილის პირველი ბრიგადა ინარჩუნებდა. 1969 წლის ზამთარშიც კი, იმ უამინდობის ზამთარში, როცა მეცხვარეთა უმრავლესობამ 70-მა პროცენტზე მეტი ბატკნის შენარჩუნება ვერ შეძლო, ფედრას ბრიგადამ კიდევ ერთხელ დამტკიცა პირველობა — 1772 დედაცხვირიდან ამდენივე ბატკანი მიიღო, შეინარჩუნა და გამოზარდა კიდევ.

ტოლს არ უდებენ ერთმანეთს დავით, ვასო და ომარ ჩიტიშვილები, შოთა ბაშარული, მიხეილ თეხლაშვილი; ხოლო საშუალო სკოლა-დამთავრებული ბიძაშვილები — ომარ, ვანო, ვეა და ლევან ჩიტიშვილები სამავალითო მწყემსებად ითვლებიან მთელს რესპუბლიკაში.

ცხრაამელთა ბინები არც თუ ისე შორსმდებარეა და და, თუ გულით გინდათ, შეგიძლიათ თავად დარწმუნდეთ ჩემს ნათქვამში.

ელექტრო-მარკატლები ბზუილსა და ძველებური ღუქარდების ჩხრიალში ეტოვებთ საბჭოთა მეურნეობის სადგომს და „ცხრაამელთა“ ბინებისკენ მივეშურებთ.

— მართლაც სოფლის მამაა ჩვენი სანდრო! — განაგრძობს კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის მდივანი ვარდო ჩიტიშვილი. — ახლა ოჯახი იკითხეთ! შვილი შვილი გაზარდა და შვიდივე სასახლო: შაქრი იურისტო ჰყავს, ვანო — ისტორიკოსი; მესამე ბიჭი უმაღლესში შესასულელად ემზადება. ორმა ქალიშვილმა საშუალო სკოლა დაამთავრა და ახლა შვილები უზრდიან მამულს; მესამე — ეთერი, პედაგოგია. მეოთხე კი — სალომე, უკვე ოთხი შვილის დედა, გორის პედაგოგიური ინსტიტუტის დაუსრულებელი განყოფილების სტუდენტია, თოთხმეტი შვილიშვილი ყავს და ერთმანეთზე უყუთესი! წარმოიდგინეთ მთელი წლის უნახავ პაპას ყველა ერთად რომ შემოგუყევდა... გაიხსენებ კი უცებ რომელს რა ჰქვია?... ჰოდა, ამასაც ერთმანეთში ერთვა.

— შენ ისა თქვი რომ არც ერთის დაბადებას არ შეგეწრებივარ! — გულიანად ხარხარებს სანდრო.

— რას იზამ, შვილსა, ეგეთია მეცხვარის ბედი! გამოხვალ შინიდან და ცხრა თვე ამ ცხვრანა ტრამალეს უტრიალებ! დოლი კი ცხვარშიაც და შინაც ერთდროულად გვეწყება... — ხარხართვე პასუხობს ვარდო. — კაი შვილი ხარ და მიატოვე ცხვარი, ვნახავ რა დახლი დაგიდგება! იქ კი, სოფელში, ათასი მშველელი ჰყავს დედაჯასა — ცალკე ექიმი, ფერშალი, მეზობელი, ნათესავი... ტყუილად ხომ არ აღდგერძებ ხოლმე პირველი ყანწით ცხვარ-მეცხვარს, მერე კიდევ ოჯახსა...

სიცილ-ხორბოცში ყმაწვილმა მწყემსმა მობრბინა თავმჯდომარესთან და მოახსენა:

— ძია სანდრო, წიგნები ყველა გადმოვაწყეთ. რომელ ოთახში გვექნება ბიბლიოთეკა?

— ჯერ სასადილოში შეზიდეთ! მერე კი, ამ წინებზე ქალაქიდან რომ ამოვიხდეთ, თაროებად ვაქცევთ იმ ფიცრებსა; თაროებს საძილე ოთახის გვერდითა დარბაზში დავდგამთ და სამკითხველო იქ იქნება. აბა, თქვენ იცით, ბიჭებო, ყოჩაღად შეზიდეთ, ცა მორღებულულია და ვინმე წვიმამ არ მოვიწერათ.

...უპრივიტ ღამე ჩამოწოლილიყო, გზა როცა დაგვილოცეს ცხრაამელებმა.



ბატრა ქალაქ სუხოკუმსკს რომ გასდებოთ, რომელიც სულ 20-25 წელია, რაც მენავთობე-ებმა ააგეს და ქაბურღილების კომპერები შემ-მოარტყეს, კვლავ გამოიღო სტეპში გახვალთ, ვაიკითი თხუთმეტოდე კილომეტრს და თვალ-წინ აღიმართება ბაჯეანის ყურგანი.

სწორედ ამ ყურგანის სახელოვეს მდებარეობს ღუშეთის რაიონის ვეტერინალური ბუნქტი. იგი კოხუბეიდან 120 კილომეტრითა დაშორებულა. ბუნქტში საქართველოს კომპარტიის ღუშეთის რაიკომის მეორე მდივანი ალექსანდრე ახოზაძე დაგვიხდა.

— ერთი ნაბიჯით მომასწარით, — თქვა მან, — ეს-ე არის ტრამაღში გპრას ვაიბრებდი. სანამ ცოტას წავისაუზმებდეთ, ამირან შუბლაძის ლაზარეთში შევიართო, მერე კი გზა არსად ვაგვიძქვევა. ლაზარეთის დათვალეირება კი მართლაც ღირს! რა ბუკი გამოგვეცალა ხელიდან! ვეტუნქტის წინ არტეზიული ჰის მსხვილი ნა-კადი ამოსჩქეფეს და არხში ვარდება. არხს ლა-ზარეთის აყვავებულ ეზოში შევეყვართ.

— ესეც იმ ბიჭის ნახელოვია! რიგორც კი ჩამოვინდა, მაშინვე წყლის გამოყვანა აჩინა და სანამ სუხოკუმსკელ მენავთობებს არტეზიული ჰა არ ვაათხრებინა, ვეღარ მოისვენა! და აი. შედეგეც! — ალექსანდრე ლაზარეთის მოშრაი-ლე ბალზე მიგვითითებს.

ვაოცება გვიპყრობს. ალბათ ათას კილომე-ტრზე მეტი სიგრძე გადმოვსგრეთ და ძეძვისმა-გვარი ბუნქიც კი არ გვიჩანავს არსად; აქ კი... ჩვენებური ვაშლი, მსხალი, ალუბალი, ჰანჭურ-რი... ბალს მტვრისა და თოვლის ნამქერისგან დასაცავად ალვის ხეები და ტირიფები შემო-რტყმია. ეზოს შესასვლელიდან ლაზარეთის მი-სადგომამდე დადებულნი შარა-გზაც ალვის ხე-ების ხეივანშია ჩაართხლებული. სასიამოვნოდ ირხებიან ტანაშოლტის ხეები. პაპანაქება სი-ცხეში უყეთეს თავშესაფარს ვერ ინატრებს კაცი.

ქუდმოხდილნი ვიდექით ამირან შუბლაძის საფლავთან.

ამ ვაქაცზე ჯერ კიდევ კოხუბეიში მოგვი-თხრობდნენ ათასგვარ ლეგენდებს. ლეგენდა ლეგენდა იყო და ყველა კი ერთსა და იმავეს გვეუბნებოდა: თვდაუზოგავი კაცი იყოო. რთ-ცა ცხენი და ავტომობილი თოვლსა და ნამქერში გზას ვერ იკვლევდა, იგი თანმხლები სანიტრი-თურთ ყველა ბინას ფეხით შემოივლიდა, სუხო-კუმსკეზე ბევრჯერ ჩასულა და ავადმყოფი, მწყემსი იყო თუ მენავთობე, სიკვდილის ბრჯე-ლებიდან გამოუხსნია. სუხოკუმსკელმა მენა-ვთობებმა დიდი სიყვარულით დაგვიბარეს: ბა-ჯეანიდან დაბრუნებამდე ამირანის საფლავი ჰოინახულებოთ.

და აი, მოვედით მის საფლავთან. მხოლოდ

აქ შევიტყვეთ, რომ ამირანი სინამდვილეში თბილისში წაუსვენებიათ. მაღლიერ მენავთო-ბეებს ლაზარეთის ეზოში ბეტონის კვარცხლბე-კზე ოთხკუთხედი ობელისკი აღუმართავთ, სვე-ტში ამირანის პორტრეტი მოთავსებიათ და ქვეშ მიუწერიათ:

„ძვირფას ამირან გრიგოლის ძე შუბლაძეს. მეგობარი მენავთობეებისაგან. დაიბ. 1924 წ. გარდ. 1962 წ.“

ათი წელიც არ გასულა ქართველი მკურნა-ლის გარდაცვალებიდან, — აქაური მცხოვრებნი კი ისე შეეისხლბორენენ მის „ბაჯეანურ სა-ფლავს“, რომ ვერაფრით დააჭერბ, თუ ეტყვი — თქვენი სათაყვანო ექიმი აქ კი არა, თბილის-შია დაკრძალულიო. ხშირად ამოღინა სუხოკუმ-სკიდან და ყვაილებს თაივლები მოაქვთ მის „საფლავზე“. ყვაილები კი ამ ოქროზე ძვირ-ფასია! შრომისმოყვარეობამ და კიკაცობამ ხალხის გულში ძეგლი დაუდგა — სიყვარული და არდადეგეც!

— 1947 წელს დაამთავრა ამირანმა თბილ-ისის სამედიცინო ინსტიტუტი და ცოლშვილი-ნად ბაჯეანში ჩამოვიდა. — მოგვითხრობს რადისტი ნადევედა გონჩაროვა.

— ახლანდელი უტრსდამთავრებულნი კი ხა-რაგოულში ჩასვლავზე უარს ამბობენ! — ჩიო-ლაპარაკა ვილაკამ.

— მკაცრი ზამთარი იდგა მაშინ. ექვს თვეს მძლავრობდა ქარიშხალი. ნამქერმა დასამარა მეცხვარეთა ბინები. ნახევარ მილიონზე მეტი ცხვარი გაწყდა ნოღის სამოვრებზე. წაიყვან-და ორიოდ სანიტარს და სათითაოდ ჩამოუვლი-და ასეულ კილომეტრზე გამოიღო მეცხვარეთა ბინებს ჩვენი ექიმი. ფიტრებიც ანთება, ბრმა-ნაწლავი, გერმის ეპიდემია... ვინ მოთვლის, რა ავადმყოფობა არ სტანჯავდა იმ წელს ზამთრის სისხანტიკისა და გაორმაგებული ჯავისგან და-სუსტებულ მეცხვარეებს... მაგრამ ამირანის ოქროს ხელი უკვდავების მალამოდ ქვეულოყო თითქოს!

— საიდან იცის ყოველივე ეს? — კითხუ-ლობს გონჩაროვას მაგიერ ლაზარეთის სანიტარი ვახტანგ შუყავილი. — ვართ რომ ქარი ღმუ-ოდა, ეგ დღეღამე რადიოაპარატმა იქდა და გამოუდებული კავშირი ჰქონდა მეტეოსა-დგურთან, ამირანთან, ლაზარეთთან და დიდ მიწასთან (ზამთარში ნოღის სამოვრები ზოგჯერ მთლიანად წყდება სამყაროს და ოკეანეში და-კარგულ კანჭოებს ემსგავსებიან მაშინ მეცხვა-რეთა ბინები. ერთდღითი კავშირი ამ დროს რადიოსადგურია; ამის გამო უხმობენ რაიონის ცენტრს „დიდ მიწას“.

ჯამალ მადლირიშვილი

მისამართი: ნოღაის ვილი



კლდე ბევრი რამ გაიხსენეს გონწარბოვამ და შიოკამვილია ამირანზე...

ამასობაში ლაზარეთის მთელი მომსახურე პერსონალი გამოეფინა ეზოში. უდიდესი სიამოვნება ვიგრძენით, როცა ჩრდილო კავკასიის ამ უდაბურ კუთხეში ქართველ მანდილოსნებს

გავეცანით: ლილი და ლიანა ბიაშვილები, ნინო გოგიაშვილი, ლიანა ჭააძე... აი, ამ ქართველ ქალებს მადლიანი ხელი, მშობლიური ზრუნვა და ქართული სიტყვაა, უპირველეს მალამოდ რომ ედებათ ჭროლობაზე ლაზარეთში მოხვედრილ მწყემსებს...

ორიოდ საათით შრომის გმირთა

მზე ეშვებოდა ზენიტიდან, მლეთის კოლმეურნეობაში რომ მივედი. ბიჭები ცხვრის პარსვას ამოვარებდნენ. საცოდავად იწვნენ ნახევრადგაპარსული ცხოველები, ენა გადმოეგდოთ და ათასში ერთხელ თუ დაიბლავლებდნენ საბრალოდ.

ცხვარზე უმორჩილესი ცხოველი ხომ არ არსებობს საერთოდ! ტყუილად როდი უთქვამს ქართველს — ცნვარით კაციაო... ალბათ ეს მორჩილება და თვინიერებაც თამაშობს გარკვეულ როლს ცხვრისადმი მწყემსის ესოდენ სიყვარულში.

— საპყრები არიან, ეს უბედურები! — თითქოს გულის ფიქრს მიმიხვდაო, ამბობს ალექსანდრე ახოზაძე, — კაცის მზრუნველობა და სიყვარული რომ არა, ალბათ საზოთაპარკედაც აღარ დაჩნებოდა მათი ნასახი.

— როგორა ხართ, ბიჭებო, ხომ შვიდიობაა, ხომ არაფერი გვირთ? — ეკითხება რაიკომის მდიანი ბიჭებს.

— რაღა ეშაქი გავგიჟებებს, თუ რამ საჭიროა მწყემსისათვის, არა გვაქვია რა, ე ცხვრის მოვლის მეტი კიდე არაფერი გვაგვლია და... — ამბობს ტანდაბალი, სახეგარუჯული მწყემსი.

— აი, ეს არის ყარამან გავაძე! — მეუბნება გიგაური.

ვეჯახოვდები, ხელს ვართმევ და ჩემს საიდუმლოს ვანდობ — პირველ რიგში შენთან სასაუბროდ ამოვდი-მეთქი, ვაკვირდები მის არც თუ ისე წარმოსადგე გარეგნობას და მივირის — რა ძალა ეტევა ამ ტანმორჩილ კაცში, სად იმალება ის ძლიერი ბუნება, გაჭირვებაში ნუგეშად რომ გადმოსჩქეფს ხოლმე?

ძლივს გამოვტყუე ორიოდ სიტყვა.

...ვაისი დაბადება ძველად ყველაზე უფრო სასიხარულო მეცხვარისათვის ყოფილა თურმე! ერთი მწყემსი კიდე ვეშებოდა ოჯახსო, — გასძახებდნენ მეზობლებს ოჯახის წევრები; კეთილი ცნობით აღტაცებული მამები კი საზამთრო საძოვრებზე ეპიბატურით სავსე ყანვით სვამდნენ ჯერ კიდევ უნახავი ვაისის სადღეგრძელოს, მგლის მუხლსა და დედამიწის გამძლეობას უსურვებდნენ უსუსურ „მწყემსს“.

ასე დაუღვევით ყარამანის სადღეგრძელოც, სახელიც იქვე შეურქმევიათ და არც ყარამანს გაუმტყუნებია მათი იმედი — 12 წლის „ბღარ-

ტი“, როგორც თვითონ უყვარს თქმა, უკვე საიმედო მწყემსად ითვლებოდა.

ეს იყო 1932 წელს — სწორედ მაშინ ჩამოყალიბდა მლეთაში კოლმეურნეობა. მამამისო, სიმონი, თავგობანი ყოფილა და ყოველნაირად ცდილობდა ყველაზე რთულ უბანზე ჰყოლოდა შვილი.

— არ გეცოდება ბიჭი! — ეტყოდნენ ხშირად სიმონს ხანდაზმული მონამგლები, შენი შვილია, მოჯამავირედ ხომ არა გყავს დაქირავებულს. მაისი მაგიერ ჩვენ წვალოთ, გამოცდილება მეტი გვაქვს, გაწამდება ი ბიჭი.

— გაუშვდი, გავაგ! — პასუხობდა სიმონი, — მოჯამავირე რო იყოს, უფრო არ გავგზანდი! მე ბიჭს მეცხვარედა ვზრდი, მეუთახორად კი არა! გაუშვდი. ეხლავე გაიგოს რა არის მწარე და რა — ტკბილი! სიყრმეში ნასწავლი და განცდილი მეგრე გზას გაუღებლებს!

აი, ასე გამოზარდა სიმონმა ყარამანი და ნიკალაც, ახლა ყარამანის ბრიგადის თითო საჩვენებელი მწყემსი რომაა... მას შემდეგ ორივე ძმა ნოღის მუღმივი სტუმრები გახდნენ... თუმცა, მასპინძლის სახელი უფრო შეგებარია, ვიდრე სტუმრისა! 37 წლიდან ყოველ ცხრა თვეს ხომ ამ მინდვრებზე ატარებენ და თუ მიახლოვებით დაიანგარიშებთ, მათ მიერ ნოღეთში გატარებულ დღეებს, აღმოჩნდება, რომ 37-დან 28 წელი ზამთრის საძოვრებზე ყოფილან.

ალბათ არასდროს დაავიწყდებათ გავაცანთ უბანში 1959 და 1966 წელი. პირველ წელს ყარამანი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დელეგატად არჩიეს, მეორე წელს კი რესპუბლიკის ათასობით მწყემსიდან პირველს და ერთადერთს მიანიჭეს სოციალისტური შრომის გმირის წოდება! სწორედ მაშინ შეახსენა სიმონმა უკვე ღრმად მოხუცებულ ძმაცაც:

— გახსოვს, გავაგ, რომ გუბნევილი — ბიჭს მწყემსად ვზრდი-მეთქი... არ გამიმტყუნა წრთენამ, არა! — თითქოს ნიშს უგებდა სიმონი სიყრმის მეგობარს და თან სიხარულის ცრემლს იწმენდა.

ბრიგადის არც წევრები ჩამორჩნენ დამსახურებაში — მწველავი ნინო სეთურძე ლენინის ორდენის კავალერი გახდა... სხვებმაც დაიმშვენეს მკერდს ორდენებითა და მედლებით. ყარამანის ბრიგადით ამაყობს მლეთის კოლმეურნეობა, მთელი დღეების რაიონი.



— 1969 წლის ზამთარი უნდა გენახათ ბიჭები! — გვიყვება რაიკომის მდივანი, — ყველა რომ ბრიგადირის გადანაწერია. დღის ზრუნვა რა არის იმასთან, მაგათ რომ გამოიჩინეს თავიანთი ცხვარ-ბატკნებისადმი. წარმოიდგინეთ: 20-25 გრადუსი ყინვა, დღი თოვლი და ქარა-შხალი... და ყველაფერი ეს დღის დროს. ამოვარდებოდა ქარი, ჩამარხავდა ნაშქერში ფარეხებს და შესასვლელის გამოსუფთავებასაც კი ძლიერ ასწრებდნენ ბიჭები. უპაველოდ რომ არ ამოხსრბოდათ ფარა. ბატკანი საჩვილში ყავთ. ცხვარი—ფარეხში. დღე და ღამე არ ეძინა ყარამანს და არც ვინმეს აძლევდა მოსვენებას. იღვენ თვალბდასიებული ბიჭები და ფიზიკურად შეპყრებდნენ დოღში ჩამდგარ ცხვარს. როგორც კი რომელიმე მოიგებდა, დასტაცებდნენ ლუბრიან ბატკანს ხელს, ჩაისვამდნენ უბეში და საკუთარი მკერდით ათბობდნენ. გამოუშვებდნენ ბატკნებს ძუძუს საძუმელად და უკან დაბრუნებულეს სათითაოდ წმენდნენ ჩავრებით, კიი შვილი იყო რომელიმე და ნამი დაეტოვებინა ბატკნისთვის ტანზე — აღარ გააჩერებდა ფარეხში ბრიგადირი.

— როგორ იყო, ყარამან, ნეფისკალოზე მერა რომ დაგეცა და ვერარა კი დაგაკლო? — მიუბრუნდა ალექსანდრე ახობაძე გმირს.

— იმ ღამეს, მართო დარჩენილიყო ფარასთან, — თვითონვე განაგრძო თხრობა რაიკომის მდივანმა, — გაავდრდა თურმე, გაქარიშხალდა. მერე მეხიცი დასცემია იმ ადგილს, სადაც ეს ბიჭი იდგა. გონი დაკარგა ყარამანმა მხოლოდ და, როცა გამოფიზიზღებულა, ფარა გავანტული დახვედრიდა, სათითაოდ შეუფროვებია იმ წარღვნაში ცხვარი, ერთიც არ მოუნაკლისებია თანაც.

— აბა, მაშ სილაშაისთვის ხომ არ მისცემდნენ გმირობას, — ჩაილაპარაკა ნიკაელ და თავჩაღუნულ ძმას მხარზე დაჰკრა ხელი.

...ყარამანს უკვე ღუქარდი უჭირავს ხელში და ავტომატური სისწრაფით ატრიალებს ნარზე წამოგორებული ცხვრის მატყლში. სიმარჯვე და მუყაითობა შედეგებზე ეტყობა: ყოველწლიურად სახელმწიფოს 3 კილოგრამ მატყლს აბარებს თვითუღ ცხვარზე, ფარიდან კი — თორმეტ ტონაზე მეტ ხორცს.

ჩვენს კითხვაზე — რატომ ხმარობ ღუქარდს, მაშინ, როცა მთელი რაიონის მწყემსები ელექტროტრა-მაკარტლით არიან შეიარაღებული, გვპასუხობს:

— კაცია და გუნება! მე ასე უფრო მომწონს! ყოველივე ძველის უარყოფა არ შეიძლება. ძველად ურმებთა და სახედრებით გადმოვდიოდით ხოლმე ყიზლარში და გზას თვეზე მეტ ხანს ვანდომებდით ის ტანჯვა სხვაა, გზაში რომ ვიტანდით. ურემი ავტომობილმა შესცვალა და ახლათი დღეც კმარა, მღუთიდან ორჯონიკიძეში რომ ჩამოვიდეთ. აი, ეს არის ცხოვრების წინსვლა, ამ დროს ავტომობილი აუცილებელია, მაგრამ ეს ღუქარდი... ეს ჩემი მამა-პაპური მაკარტელია და ვერც მივატოვებ... თანაც ხელი ისე მაქვს მიჩვეული, რომ ორივეთი ერთსა და იმავე დროში ვპარსავ. მატყლის ხარისხი კი ამით უკეთესი გამოდის.

...ვეთხოვებით ქართველ გმირს, მის ბრიგადას, მღუთის კოლმეურნეობის მეცხვარეებს და მათთან ერთად ყველა ჩვენს თანამემამულე მწყემსს, ასეული კილომეტრის მანძილზე რომ მოჰყვნიან ნოღაის ველს თავიანთი ფარებთა და ნაგაზებით. ვეთხოვებით და კიდევ ერთხელ მახსენდება საღდაც გაგონილი სიტყვები — ყველა მეცხვარე გმირაო!

— აბა, მალე გვენახოს ერთმანეთი! — გვემშვიდობებთან მწყემსები, — ორ-სამ კვირაში ჯერის უღელტეხილზე ავიღმართებთ და იქაც ჩამოგებედეთ, უფრო ახლოს ვიქნებით თბილისთან!

— გვიანხლეთ, არ დაგვივიწყოთ! ღამის სიბნელეს ჩვენი ავტომობილის ფარებიდან ასხლებილი შუქი ჰკვეთს და როგორც ცას პროექტორი, ისე ანათებს ცასვით გაშლილ ნოღაის ტრამალს.

— „მალე გვენახოს ერთმანეთი!“, — ვიმეორებ მწყემსების ნათქვამს და თან გზას ვულოცავ ჩვენს მომთაბარე ძმებს, ორ-სამ კვირაში სამშობლოს გზას რომ გამოუყვებიან, — ემრავლოს ბარაქას თქვენს ფარებში, უკლებლივ ჩამოგვეყვანოთ ცხვარ-ბატკანი მშობლიურ მიეზში!



აღბეაგ ბეინსი

მხიარული მათხოვრები

კ ა ნ ტ ა ტ ა

როცა ბინდდება და როცა ცივა,
როცა ყვითელი ფურცელი ცვივა
და ქარი გზებზე ფანტავს,
როცა გვცემს წვიმის წვეთები ჩქარი
და ჩრდილოეთის ზუსუნა ქარი
ძვალსა და რბილში ატანს, —

მაწანწალების მოსძებნის დასი
ლამის გასათევე ბინას
და ტავერნაში ივსება თასი
და სადღეგრძელო გრგვინავს.

პყეფენ და სვრეპენ სასმურებს ჯერით,
ბედს დასცინიან ბოღმით
და ტავერნაში ირყევა ჭერი
ხორხოცითა და როკვით.

ბუხრის ტკრციალში სალდათი ჩანდა:
იჯდა, მხარიღლივ ვეიდა ჩანთა,
ცალ მუხლზე უჯდა ხასა
და ქალიც, მოვრალი მკლავების ალყით,
შემთბარი ცეცხლით, შემთვრალი არყით,
თვალს უწკურავდა ნაზად.

ლოშინდა იგი კახბას და უშვერს,
ხოლო როსკიპიც ფრთხილად
უწვდიდა ტუჩებს, უწვდიდა დრუნჩებს,
როგორც მათხოვრის ქილას.

იდგა ღიჯინი, იდგა ყიჟინი,
ლოშნა, მანჭვა და გრეხა,
ვიდრე არ დათვრა ჩვენი სალდათი
და სიმღერა არ სჭეჭა.

ს ი მ ღ ე რ ა

მწყობრში გამოზრდილი ვარ,
ომში გამოცდილი ვარ,
ვარ ამაყი ათასი
ჭრილობით და იარით.
აქ — ჩხუბში ვარ დაჭრილი,
იქ — ხიშტი მაქვს გაჩრილი,
როცა ფრანგებს ვეკვეთეთ
დაფ-ნალარის გრიალით.

ჩავაბარე გამოცდა,
როცა კენესა წამოსცდა,
მეთაური წამეჭეცა,
სისხლი წასკდა თქრიალით;
როცა ცეცხლში გამოჩნდა —
მოროს ციხე გამოჩნდა,
როცა ზეცას სწვდებოდა
დაფ-ნალარის გრიალი.

ახლა თუმცა ვმათხოვრობ,
ტურფას ასე ვპატრონობ,
დავალ ჩანთით, მათარით
და ხის ფეხის ჭრიალით,
ვხარობ, როგორც ვხარობდი,
როცა მტრისკენ ვჩქარობდი
ჭიაფერი მუნდირით
დაფ-ნალარის გრიალით.

რა ვუყოთ, რომ ზამთარი
მიტვეს, როგორც აფთარი,
რა ვუყოთ, რომ ვერ ვნახე
ქვეყნის წაღმა ტრიალი.
ჩანთას დავეგირავებ,
ჭიქას დავეყირავებ,
ჯანდაბაშიც წაგყვებით
დაფ-ნალარის გრიალით.

რ ე ჩ ი ტ ა ტ ი ვ ი

საღდათი დაჯდა, კვლავ კათხას დასწვდა,
„ბის!“ — იგრილა პასუხად ხორომ.
შეირხა ჭერი, შეირყა ჭერი —
და წყვილი ვირთხა ჩაყლაპა სორომ.

„ბის!“ „ერთიც კიდევ!“ — ატყდა გნიახი,
მაგრამ ხალხის წინ წარსდგა დიაცი
და ღრიანცელი
ჩაახშო სოლომ.

ს ი მ ლ ე რ ა

ერთ დროს
ქალწული ვყოფილვარ, თურმე —
აღარ კი მახსოვს, როგორ და როდის!
ყნაწვილი კაცი მახარებს ახლაც —
ელეთმელეთი მომდის.
მამა საღდათი მყოლია, თურმე, —
იმხანად დედას დრაგუნი ჰყავდა...
კვიცი გვარზე ხტის — ვეთაყვანები
და მეც ვაღმერთებ საღდათს.

ჩემი პირველი მასწავლებელი
და ცხოვრებაში წადგმული ბიჭი
იყო მუნდირში გამოწკეპილი
პოლკის მედოლე ბიჭი.
მუხლმაგარი და ლოყაწითელი
იყო მედოლე და დოლი სწამდა.
სადაც წავიდა, მეც თან წავეყვი,
არ ვეშვებოდი საღდათს.

მაგრამ შეგვიჩნდა პოლკის მოხუცი
მღვდელი მე და ჩემს მედოლეს კოხტას —
ანაფორაში გავცვალე დოლი
და მოსახდენი მოხდა.
მე მხოლოდ ჩემი სხეულით ვცოდე,
მან სულით სცოდა, სხეულის გარდა,
ამიტომ იყო, რომ ვუღალატე
ჩემს სათაყვანო საღდათს.

მაღე მომბეზრდა წმინდანი ლოთი,
ჩემი ბეზრეკი მომბეზრდა მაღე.
ვარაყიანი შუბები რიგში
ჩავეყენე და ვთვალე.
ქმრად გავიხადე პოლი მთლიანად,
საღდათი მწამდა, საღდათის გარდა
სხვა არაფერი მე არ მინდოდა
და ვაღმერთებდი საღდათს.

მშვიდობამ დაჰკრა, პოლკები გაჰქრა,
მე ვმათხოვრობდი ბოღმით,
ვიდრე ხელახლა არ გავიხარე
ჩემი მედოლე მოყმით.
ბაზრის კარებთან გადავეყარე
არ ვუღალატე ადამს,
კვლავ ჩავეხვიე ჩემს წითელ მუნდირს,
ჩემს სათაყვანო საღდათს.

ვიცხოვრე ბერი, დღეების ტვერი
მახსოვს ძნელი და ჭრელი.
კვლავ შემიძლია გაიყო შენი
პური, ღვინო და ჭერი
და სანამ ჭიქა მიჭირავს ხელში
და პურსაც ვხედავ ნაღდად,
შენს საღღერძელოს ვიტყვი ხმამაღლა,
შენ გაღღერძელებ — საღდათს!

კუთხეში იჯდა ბაზრის მასხარა,
 დიაცის ეშხი სწვავდა;
 აღღერძელედა როსკიპს ჩქარჩქარა,
 ლულს ასმევედა და სვამდა;
 ბოლოს, შემთვრალმა ლუდით აშკარად,
 ანუ თავისი ლედით,
 ადგა ბარბაცით, სახე დაჯღანა
 და ჩაიმღერა სვედით.

ს ი მ ღ ე რ ა

ბატონი ბრძენი თავს იმასხრებს, როცა შეთვრება,
 ხოლო თაღლითი სესიებზე მასხრობს აშკარად;
 ვერა და ვერა! მე ვერც ერთი ვერ შემედრება --
 პროფესიით

მე ვარ მასხარა!

ბებიჩემმა დედაენა მიყიდა ყმაწვილს,
 მაგრამ სკოლაში აღმზრდელები მიცქერდნენ ცერად:
 შტერი ვიყავი, შტერი ვარ და ვიქნები აწიცი
 შტერი, თურმე,

დარჩება შტერად!

ჭიქა ღვინისთვის ყულფში გავეყოფ ნამდვილად კისერს,
 მთელ ჩემს ცხოვრებას მივახარჯავ მხიარულ ქალებს.
 მაგრამ უკეთესს რას მოვლი შენ მისგან ისეთს, —
 შტერი ვარო,

ვინც თვითონ ბრძანებს!

მე ერთხელ შემკრეს, როგორც გიჟი — გამოვთვევ ღვინით
 მივადექ სალხს და სულ დედ-მამის სული ვაგინე!
 ერთხელ საყდარშიც მირტყეს, როცა ამემღერა ტვინი
 და წირვის დროს

გოგო ვაკივლე...

საწყალი ანდრიუ! ვარ დებილი და ვარ ჯამბაზი!
 მაგრამ ნუ, ზიზღით ნუ მახსენებთ — ჰყეებიან ამბავს —
 თურმე ლონდონში საჯამბაზო არის დარბაზი
 და პრემიერი ეწოდება

იქაურ ჯამბაზს.

ამბობენ, თურმე, ის ყმაწვილი განრისხებული
 ბრბოს გასართობად სახეს მანჭავს, გვლანძღავს და გვეთახავს,
 ჯამბაზობაში მეცილება პატივცემული
 და მტრად მყავს

საწყალს.

რ ე ჩ ი ტ ა ტ ი ვ ი

დებილი დაჯდა, დებლის გვერდით,
პირქუში სახით, მრისხანე მკერდით,
ვანდილოსანი წამოდგა ერთი —
ასე, შუახნის ის იყო ლედი —
ქველი ოსტატი არიფის წაბმის,
ქსივის, ბეჭედის, მაცუთის წაბნვის,
ქურდი, ქურდების და-ქალი ნაღდად,
ჭაში ჩამხრჩვალი თოთხმეტჯერ გახლდათ.
ჭყოლოდა ერთ დროს საყვარლად ჯონი,
მაგრამ მოეშოთ ის ჯონი, მგონი,
და ჰა, ნაღველით იმ წარსულ დროზე,
მან წამოიწყო სიმღერა ჯონზე.

ს ი მ ლ ე რ ა

მთის ჭაბუკს, პირმშოს სკოტლენდის მხარის,
ო, ჩემს ჯონს სძაგდა კანონი ბარის,
პქონდა სახელი განთქმული შორს —
ჩემს ლამაზ ჯონს!
ჩემს მამაც ჯონს!

თეძოზე ხმლით და ბეჭებზე პლედით,
ამაყი კისრით, ამაყი ქედით,
ჭკუაზე შლიდა ქალების ჯგროს —
შესტრფოდნენ ჯონს!
ჩემს მამაც ჯონს!

გ უ ნ დ ი

აბა, პე! შევავსოთ თასი!
აბა, პე! აბა, პო! — ტაში!
არ დაბადებულა მთაში,
ჯონ, შენი
ფასი და მსგავსი!

გაშლილი იყო სახლ-კარი ჩვენი
ტვიდიდან სპიმდე — ვცხოვრობდით ლხენით;
პქონდა სახელი განთქმული შორს —
ჩემს ამაყ ჯონს!
ჩემს მამაც ჯონს!

გადამისახლეს ზღვის გაღმა ჯონი,
მაგრამ მოსძებნა გამოღმა ფონი;
კვლავ დამიბრუნდა, კვლავ შევხვდი სწორს —
ჩემს ამაყ ჯონს!
ჩემს მამაც ჯონს!

გ უ ნ დ ი

აბა, ჰე! შევავსოთ თასი!
აბა, ჰე! აბა, ჰო! — ტაში!
არ დაბადებულა მთაში,
ჯონ, შენი

ფასი და მსგავსი

მაგრამ შეიპყრეს და შეჰკრეს ბოლოს.
წყველა და კრულვა თახსირს და ბოროტს,

წყველა და კრულვა ძაღლსა და ღორს,
ვინც მიუსაჯა
სიკვდილი ჯონს!

და გადის წლები ბეჩავე ქვერივის,
და ითმენს გული უწყალო ტკივილს,
და სტირის გული იმ წარსულ დროს —
ჩემს ერთგულ ჯონს!
ჩემს ბედკრულ ჯონს!

გ უ ნ დ ი

აბა, ჰე! შევავსოთ თასი!
აბა, ჰე! აბა, ჰო! — ტაში!
ჯერ არვინ შობილა მთაში,
ჯონ, შენი,
ჯონ, შენი ფასი!

რ ე ჩ ი ტ ა ტ ი ვ ი

ქონდრისკაცი, რომელიც
ჰგავს მუსიკოსს ნამდვილს,
აწრიპინებს ცხენის ძუას,
ქუჩა-ქუჩა დადის —
ვიოლინოს უკრავს,
ქვერივს ჭიპამდე სწვდებოდა
ერთიბეწო თავით,
მაგრამ ისე მოიხიბლა
მკვერივი თეძო-გავით,
მიეტმასნა ძუკნას.

ცალი ხელი და-ქალის
სქელ ბარძაყზე ედო,
ცალიც — ვიოლინოზე
თვალში ცეცხლი ენთო —
უბრწყინავდა სახე.
ხელი უშვა ბარძაყს,
დასწვდა თავის ქამანს,
აღდა დააწიწინა
ერთი-ორი გამა და
შემოსძახა მჭახედ.

ს ი მ ლ ე რ ა

ნება მომეცი, შეგიფარო,
ალერსით გითხრა: ჩემი ხარო,
ცრემლი შეგაშრო და შეგიყვარო —
ფურთხის ღირსია
დანარჩენი!

ჩემი ხელობაა — ვალეები,
მუსიკა, ღვინო და ქალები,
მიქია ცისფერი თვალეები —
ფურთხის ღირსია

დანარჩენი!

სადაც ღვინი და ქორწილია,
ჩემთვის მასპინძელი მოცლილია,
პური და ღვინო მოწვდილია —
ფურთხის ღირსია

დანარჩენი!

გამოვხრავთ ძვალს და გავალღებთ,
შევძახებთ, როცა დაგნაყრდებით,
როცა გავძლებთ და ავმალღებთ, —
ფურთხის ღირსია

დანარჩენი!

მაშ, წამო ჩემთან და ვიაროთ,
ვიცხოვროთ ცხოვრებით ზიარით,
გვაცხოვრებს სიმების წკრიალი —

ფურთხის ღირსია

დანარჩენი!



რ ე ჩ ი ტ ა ტ ი ვ ი

ამასობაში ბოშა მკალავიც
მონიბლულიყო ქვერვით —
არ დაუთმობდა დროშას არავის
ის, ჩასხმული და მკვერვი;

უმალ დადრიკა დაშნით დამფრთხალმა
სურ ვიოლინომ თავი,
დაუჩოქა და სთხოვა საწყალმა
პატიება და ზავი.

სწვდა ვიოლინოს დამკვერვლს წვერებში —
არა, არ ჰგავდა ლაჩარს —
და დაიფიცა: ან ქალს შეეშვი,
ან გაგიყრიო დაშნას.

მინც, ყასიდად, მეტი რა ექნა,—
ენას უყოფდა მკალავს,
როცა მკალავმა ქვერვი ჩაიკრა
და მიუმღერა ქალას.

ს ი მ ლ ე რ ა

მე სპილენძს ვკალავ,
მე თუნუქს ვკალავ,
მე მომივლია მთელი ვეროპა.
არაფერს ვმალავ,
ეს არის, ქალავ,
ეს არის, ქალავ, ჩემი ხელობა.

მაგ ეშმაკს დამჭკანარს,
მაგ ლაჩარს დამხრჩვალს
ზურგი აქციე — ცვედნობას მალავს.
მაშ, იყავ მისი,
ვინც არის ღირსი,
ვინც ქალს არგია და ცოცხლად ჰკლავს.

მე ვიყავ ჯარში,
მაგრამ ვერ დავერჩი,
გამოვექეცი სამხედრო ამბებს,
მოგაბიჯებდი
მხედრული მარშით
და სოფელ-სოფელ ვკალავდი ქვაბებს.

ვსვამ სავსე თასით —
თასები ასწით—
შენ, ჩემო რწმენავ, ზეცავ და მიწავ,
ვიაროთ ასე!
ცხოვრების გზაზე
გაუჭირვებლად გატარო, ვფიცავ!

რ ე ჩ ი ტ ა ტ ი ვ ი

რას მივაწვროთ, არყის სამსალას,
ანუ სიყვარულს ხალასს? —
პასუხად ქვერვიმა მკალავი გაშალა
და ჩაეხვია მკალავს.

მაგრამ აზურმა ისარი ლეწა —
სხვა ქალს გააცნო მსუქანს
და ეჭვს იწვევდა ხენუშა და ხეწენა
ბნელში, საქათმის უკან.

სერ ვიოლინო დარჩა სულგრძელი,
თუმცა შეიძრა ამით.
ღვინო დაისხა და შეერთება
მათი აღნიშნა ჯამით—
დაე, თუნდ
ერთი ღამით!

პოეტი — ქმარი ღალატს მიუხვდა,
ტვინი აემღვრა სისხლით,
კუროს და თავის კახას მიუხტა
და დაემუქრა წიხლით.

ლოთი, შფოთი და მოხეტიალე
იყო პოეტი ჩვენი,
თუმც სევდაც სწავდა ოხერტიალი,
რაც მოეცარა ხელი.

მაინც ხალისის გზებით მიჰქროდა
მისი აზრი და ტვინი,
მაინც მხიარულ ლექსზე ფიქრობდა,
სევდას იქრობდა ღვინით.



ს ი მ ლ ე რ ა

არ მაქვს სახელი
დიდ პოეტის,
ჩემს თავს შევირდად
ვოვლიდი ყოველთვის.

მაგრამ მეც ფუტკრის
ამალით დავალ,
მეც კომეროსის
პატარა ძმა ვარ.

გ უ ნ დ ი

მიუხედავად, ბიჭებო, ამის,
ცოლი ყოველდღე ვიშოვნო ლამის —
დავკარგე ერთი კახპა და
მომლოდინე ვარ სამის!

მე არ ვყოფილვარ
ოლიმპოს მთაზე,
არ შევხვედრივარ
იქ მუზეებს გზაზე.
მაგრამ ნამდვილი
კასტალის წყარო
აქ, ამ ჯამშია —
ცხარობს და ჩქარობს.

გულისფრიალით.
საყვარელს ვხვდები,
მისთვის ცოცხალვარ
და მისთვის გვედები,
მაგრამ ნუ მკითხავ,
რამდენს ხანს გასტანს
ჩემი ცხოვრება
მასთან!

მე ვეტრფი ამურს
მე მიყვარს ქალი,
ვარ მისი მონა
და მისით მთვრალი;
ჩემს ღვთიურ სხეულს
რომ ვხრწნი და ვხრწნიდი,
ეს, რა თქმა უნდა,
ცოდვაა დიდი.

ეს ჩემი ტვინი
ქალით მთვრალია,
ეს ჩემი სისხლი
ქალმა დალია,
ეს ჩემი თავი
ქალებმა გახმა
და მაინც მიყვარს
ნაინც მიყვარს
წყეული კახპა...

გ უ ნ დ ი

მიუხედავად, ქალებო, ამის,
ცოლი ყოველდღე ვიშოვნო ლამის —
დავკარგე ერთი კახპა და
მომლოდინე ვარ სამის!

ასე იმდერა პოეტმა — ბავშვმა
და ტავერნაში იქუხა ტაშმა;
იმატა სუფურის ეშხმა და ფასმა
და, როგორც ხდება ამ დროს,

და ღრეობაში შეთეთრდა ღამე;
ხოლო ცისკრისას პოეტს, —
გაიხსენეო ბაღადა რამე, —
ერთიც გვითხარო, სთხოვეს.

ატყდა ფუსფუსი, გახდა და ჩაცმა,
და რაც გააჩნდა — ძონძი თუ თასმა —
დახლზე დაუწყო ყოველმა კაცმა
ნენსის, ტავერნის პატრონს.

ხალხს მსახურებდა ლექსი ყოველთვის
და ხალხი სთხოვდა რადგან,
ორ და-ქალს-შუა იჯდა პოეტი —
მაინც ხალისით ადგა.

ს ი მ ლ ე რ ა

შეხეთ ღვინით სავეს ჯამებს!
ვიყოთ მხნე და ჯანმრთელი!
დავიხსოვოთ, ძმებო, ღამე
და წრე ამალამდელი!

დღე ზურგჩანთით ვზვერავთ შუკებს,
მცირე ლუკმაც გვახარებს,
ღამით თივა-ჩალას ვუგებთ,
გულში ვიკრავთ საყვარლებს.

ასწით, შევსვათ! ჰა ცხოვრება!
ერთმანეთი ვაცხოვროთ!
მათხოვრებმა მათხოვრები
კარგად დავიმახსოვროთ!

რაკი მსღებლის ჯარი შვენის,
ეტლი უფრო სწრაფია?!
ან საწოლი ჯვარის წერის
ბეჭდიო უფრო მძაფრია?!

ზიზლი! ვისაც ძილშიც ჰღვიძავს —
ლაჩარსა და მშიშარას!
ზიზლი! ვისაც ციხე იცავს
და კანონი იფარავს!

ეს ცხოვრება შეშლილია, —
ჭრელი ძაფით ნაქარგი.
ჩვენ არც პონის გვეშინია
არც არაფრის დაკარგვის.


ციხეები აუგიათ
მღვლეების დასაწყნარებლად,
საყდრები კი გაუღიათ
მღვლეების გასახარებლად.

ჩვენი ავლადიდება
ჩანთები და ჩვარები,
მაწანწალა შვილები და
მაწანწალა ქალები...

სახელსა და ქონებაში
ანუ ფულში რა ჰყრია —
ბედნიერი, ცხოვრებაში,
ჩვენისთანა ხალხია.

გაუმარჯოს! ასწით ჯამი!
ამ ცხოვრებას წამიერს!
— ვაგიმარჯოს!
— ვაშა! ამინ!
— ვიყოთ!
— მრავალქამიერ!





ო დ ი ს ე ა

XII

ოკეანის მრუმე ტალღებს გავცდით, ღვინის-ფერ ზღვაში ვავიყვანეთ ხომალდი და ასე მივალწიეთ აიას კუნძულს, ოქროსტახტოსანი ეოსის სახლსა და საროკველ ადგილს, საიდანაც დღე ცისმარე ამოდის ხოლმე პელიოსი. ხომალდი ქვიშიან ნაპირს მივაყენეთ და ხმელეთზე ვაღმოვედით.

როგორც კი ახლადშობილმა ეოსმა ვარდისფრად ირიტრაჟა, თანამგზავრები ცირცეს სასახლეში გავგზავნე ელპენორის ცხედრის მო-

სასვენებლად. კოცონისთვის შევა მოვამზადეთ და ცხარე ცრემლით დატირებული მეგობრის გვამი ზღვისპირა გორაკზე ცეცხლს დავუღეთ. როცა გვამი და საჭურველი ერთიანად დაიწვა, სამარხი ბორცვი აღმართეთ, ზედ სამახსოვრო ლოდი დავდეთ და გვერდით მისი კეთილნახელავი ნიჩაბი ჩავარტყვეთ.

ამსობაში ცირცემ შეიტყო ჩვენი დაბრუნება პადესის სამეფოდან, სასწრაფოდ გამოეწყო და ჩვენსკენ გამოეშურა. მოახლეებმა უხვად მოიტანეს პური, ხორციეული და ფუტახუნა, წითელი ღვინო. ჩვენს შორის მდგარმა ქალღმერთმა ასეთი სიტყვით მოგვმართა:

— ეჰა, უშიშარო მოყმენო! ცოცხლებს გა-

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი“, № 3, 4, 5, 6, 7.



დავიხიზავთ პადესის წყლები, — სხვანი ერთხელ კვდებოან, თქვენ კი ორჯერ მოგიწიათ სიკვდილში! ახლა ჰამადს შევექცით და შევინდებამდე სვით ღვინო, გათუნებისს კი სამგზავროთ მოემზადეთ, — მე თვითონ მივასწავლით გზას, რომ უმეცრებით ხიფათს რასმე არ გადაეყაროთ.

ასე გვითხრა და ჩვენც, მოხარულნი, დაყვევით მის ნებას: მზის ჩასვლამდე ვისხედით და ვნაღიმობდით. როცა მზე ჩაღდა და სიღამე ჩამოწვა, ხომალდებთან მიწვენენ და ძილს მისცეს თავი ჩემმა თანამგზავრებმა. მე კი ცალკე გამიხმო ცირცემ, გვერდით მომისვა და გულდავულ გამომოკითხა პადესის ამბები. მეც წვრილად ვუამბო ყოველივე. ჩემი ნაამბობი რა მოისმინა, ეს მითხრა ქალღმერთმა:

— მაღლი ზეუსს, ყოველივეს კარგად ჩაუყვლია! ახლა ყური მივდე, რასაც გეტყვი და გზაში დაიმონიც ვაგასენებს ჩემს ნათქვამს: შენს გზაზე პირველად სირინოზებს შეგხვდები. სირინოზები ტყბილი გლობობთ აჯაღოებენ ყველას, ვინც მათ ნაპირს მიუახლოვდება. მიხიბლულებს აეიწყებდით სამშობლო მხარე და ცოლ-შვილი. ამწვანებულ მდელოზე სხედან სირინოზები და განის წამლები გლობობთ მოუხმობენ გზად ჩამვლელს, ხოლო იქვე მთად არის დაზვიანული დაღუპულთა ტყავომპალი ჩონჩხები. სწრაფად ჩაუარე ამ ნაპირს, თანამგზავრებს ცვილით ამოუღეცი ყურები რომ მათ სმენას არ მისწვდეს სირინოზების ხმა. შენ კი, თუ ინებებ მათი გლობობით გულის დატკობას, ანაძაზე მიამბევიანე თავი ამხანაგებს და დაარიგე, რაც უფრო მეტად შეგებვეწვებით, მით უფრო მაგრად მიმაპართოთო ანაძაზე.

სირინოზებს რომ გასცდები, ორი გზა დაგხვდება და ერთ-ერთი უნდა აირჩიო. ორივეს ამბავს გეტყვი, მაგრამ ვერ გირჩევ, რომელს უნდა დაადგე. ერთი გზა არ თვალშეუღვამ კლდეს შუა გადის, სადაც ლურჯთვალა ამფიტრეტეს მთისოდენა ტალღები გამაყრუებლად გუგუნებენ. მოხეტიალე კლდეებს ეძახიან მათ ნეტარი ღმერთები. ჩიტრი ვერ გაძვრება მათ შორის, მამა-ზევისსათვის ამბროზისი მიმტანი ორი მტრედიდან ერთ-ერთს უემპველად დაიტანენ ერთმანეთზე შეხილი ეს უხარმარაო კლდეები. მოკვდავთა არცერთ ხომალდს არ გაულწევიდა ჯერ ამ სრულტემში, — ხომალდის ნაშურეგვებსა და მეზღვაურთა გვაგმებს დღემდე აბრუნებს ზღვის ღურღუმელში ქარცეცხლიანი მორთვი. ერთადერთმა — კოლხეთიდან მომავალმა სახელგანთქმულმა არგოს ხომალდმა დააღწია მათ თავი. მასაც არ ასცდებოდა დაღუპვა, იაზონზე მზრუნველ ჰერა რომ არ შეშველებოდა.

მეორე გზაზე შავი ღრუბლით მობურთულ ცაღამართულ ქარაფს დაინახა. ზამთარ-ზაფ-

ხულ მზის შუქი ვერ ატანს ამ ღრუბელში და მოკვდავთაგანი, თუნდაც ოცი ხელ-ფეხი ებას ვერც ავა და ვერც ჩამოვა ამ გასიბულ პიტალოზე. კლდის შუაგულ ბნელი გამოქვაბულია ერთი და მას ფსკერი ერებოსის უქუნეთ უფსკრულში უღდას. ამ კლდეს ჩაუარე, მაგრამ ნურგინ ეცდება, ისარი მიუღვდიანს იმ ღრმა გამოქვაბულს. სწორედ მანდ ბუღობს ავადმეყფარი სცილა, რომლის დანახვა თვით ღმერთებსაც კი ჰზრამავს. თორმეტი ვაფარჩხული თათი აქვს და ექვსი წაშვებოლი კისერი, ზედმიზმული ექვსი შემზარავი თავით. დაფჩენილ ხახაში სამ წყებად დაქრევილი ბასრი, შხამით სავსე კბილები უელავს. წელსზევით კლდეზე გადაოყვდება და შემზარუნენ ყვივით ნთქავს ამფიტრეტეს წიაღში გამოკვებულ ხვიტქებს, ზღვის ძაღლებსა და ღალღობებს. ვერცერთი ზღვაოსანი ვერ დაიკვებნის, უხიფათოდ ჩამივლიათ ეს ადგილი. სცილა თითო თავით თითო მეზღვაურს იტაცებს სწრაფმავალი ხომალდიდან.

ამ კლდის პირდაპირ მეორე კლდეს დაინახა. მაღალი არ არის იგი, ისარს თავისუფლად მიუწვდებ მწვერვალამდე. ზედ ბერწი ლევის ხე დავს, რტოებგაფოფრილი, რომლის ქვეშ პირასმეული ქარიბდა დღეში სამჯერ ნთქავს და საშინელი ღრიალით სამჯერ ამოანახივებს ხოლმე ზღვის შვე ყვალს. ზღვის შეხარებვისას არამე და არამე სიახლოვეს არ გაეცარო ქარიბდას, თორემ თავად პოსეიდონიც ვერ გიხსნის დაღუპვისაგან. ამიტომ გეტყვი: სჯობს, ისევ სცილს ჩაუარო ხომალდით, — ერთიანად დააღუპვას ექვსი კაცის გაწირვა გერჩიოს! ასე მარიგებდა ცირცე და მეც შეეკადრე:

— ახლა ის მამცნე, ქალღმერთო, ქარიბდას თუ გადავურჩი, როგორ მოვიგერიო სცილა, როცა ჩემი მეგობრების მტაცებას დააპირებს?

— შეუბოვარო კაცო! აღარ გაძღა ეგ შენი გული ბძოლითა და ფათერაკებით? უკვდავთაც აღარ ებუები? მოკვდავი ასი გეგონოს, უკვდავთა ბორბეტული სცილა, სასტკო, მჭივინარე და უბრძოლველი გულს ნუ გაივლებ მასზე მახვილი აღმართვას! მეორე ხანიც რომ შეყვინდე მასთან შესაბრძოლებლად, კიდევ იმდენივე ნიზბოსანს მოგტაცებს, რამდენი თავიც აბია. გიჯობს, სწრაფად მოარიდო ხომალდი და დედამისს, კრატეას, შეევედრო, — მოკვდავთა რისხვად დაბადებულ თვისი ნაშეირი დააოკოს. სცილას თუ გაღურჩი, თინაიკის კუნძულს მიადგები, სადაც მზე-ჰელიოსს შვიდი ნახირი და შვიდი ცხვრის ფარა დაუღდის. თვითელში ორმოცდაათ-ორმოცდაათი ცხვარ-ძროხაა. არც იხოცებანი ისინი და არც ნამატი აქეთ. თამაშვენიერი ნიმივები მწყემ-

კომეროსი
ოლმისა

საეც მით, — ფეთუსა და ლამპეტა, რომლებიც მალღობრულ პელიოსს ქალღმერთმა ნეაიამ უშვა. დვითებრივმა დედამ დაზარდა ისინი და შორეულ თრინაკიაში გაისტუმრა, რათა იქ ეცხოვრათ და მაისესული ცხვრის ფარა და რქანათი ძროხები დღეღამე ემწყესათ.

თუ ამ წმინდა ზესტაგს ხელს არ ახლებ, სამშობლოში დაბრუნდები, თუმცა კი მრავალი ჰირი გარდაცხდება თავს, ხოლო თუ დახოცავეთ, წინასწარ გაფრთხილებ, ხომალდი და თანამგზავრები დაველულება, შენ კი — სიკვდილს გადაჩენილი, დიდ ხნის ხეტიალის შემდეგ მარტოდმარტო მიადგები ითაკის ნაპირს.

ეს მითხრა და ოქროსტახტოსანმა ეოსმაც ამოანათა. ცირცე თავის სახლისკენ გაეშურა, ხოლო მე თანამგზავრები ვავალიძე და ვუბრძანე ბაგირები აეხსნათ. ნიზბოსნები სასწრაფოდ მიუსხნენ თავთავანი რაკულებს და ხალისიანად ააქაფეს ღვინისფერი ზღვა. თამამშვენიერმა ნიმფამ ჩვენს შვევივინტიან ხომალდს კეთილი ზურქპარი დაადევნა. აფრებდაბერილი ხომალდი მესაქემ და ქარმა გზაზე დააყენეს. გაშლილ ზღვაში რა შეველით, გულდამძიმებულმა ასე მივმართე თანამგზავრებს:

— ჩემო ერთგულო მეგობრებო! არა ხამს, მარტო ერთმა კაცმა იცოდეს ცირცესაგან განდობილი წინასწარმეტყველება! ყველას გაგიმხელთ, რათა იცოდეთ, რა მოგველის გზაზე: დავვლუბავს თუ დავგარჩენს ბედისწერა. ქალღმერთმა გავაფრთხილა, მოვერიდეთ სირინოზების ჯალოსნურ ვალობას და მათ ამწვანებულ მდელს. ხოლო მე ერთს დამართო ნება მათი ვალობის მოსმენისა, მაგრად მიმბათი ანძაზე და კიდევ რომ გიბრძანონ ან შეგვედროთ, ამხსენი-მეთქი, უფრო ძლიერად მომიჭირეთ თოკები.

ასე ვარიგებდი თანამგზავრებს. ამასობაში კი ჩვენი კეთილნაგები ხომალდი სირინოზების კუნძულს მიუახლოვდა. ქარიც ჩადა და რომელიდაც ღმერთმა მყუდროება ჩამოაგდო ზღვაზე. აფრები ჩამოხსენით, დავკეცეთ და ღრმამუცლიანი ხომალდის ძირში ვადვინახეთ. ახლა ნიზბნს მიუსხნენ ჩვენი ზღვაოსნები და ააქაფეს ზღვა. მჭრელი მახვილით ცვილის დიდი მორგვი ნაწილ-ნაწილ დავჭერი, მცხუნვარე მზეზე გამდნარი გუნდები ღონივრად დავხილე და თანამგზავრებს სათითაოდ ამოვეღვინე ყურები. შემდეგ ანძაზე მივაბმევიინეთა და ასე ვაქსწიეთ წინ.

კუნძულს ხმის მისაწვდენზე რა მიუახლოვდით, სირინოზებმა თვალი მოგვკრეს და ჯალოსნური ხმით წამოიწყეს:

— აქეთ, აქეთ მოაკურე ხომალდი ოლინგეს, აქაველთა სიქადლო! ვის ჩაუვლია ამ კუნძულთან, რომ არ მოეწინოს ჩვენი ტბილი ვალობა? ყველა სენანადატკბარი და გაბ-

რძობილი წასულა ჩვენგან! ვიცით, რაც გარდაცხდათ ილიონში არგოსულებსა და ლებს, ყოველივე ვიცით, რაც კი მომხდარა დელამიწის ზურგზე...!

ასე მიხმობდნენ სირინოზები. ისევ და ისევ მინდოდა მათი ხმის მოსმენა: წარბით ვაინძნე თანამგზავრებს ამხსენი-მეთქი, მაგრამ წამოიჭრნენ პერიმედ და ვეროლოქე, მრავალკეცად მომხზეის გრძელი თოკი და უფრო მაგრად მიმბოქვეს ანძაზე. დანარჩენები მთელი ძალით დააწვენ ნიზბნს. როცა კუნძული თვალს მიეფარა, და სირინოზების ხმაც მიწყდა, თანამგზავრებმა ცვილი გამოფხიკეს ყურებიდან და მეც ამხსენ თოკები.

კარგა მანძილზე რომ გავცდითკუნძულს, სქელი ბურუსი დავინახეთ და ტალღების გამაყრუებელი ღრიალი შემოგვესმა. გულშემოყრილ თანამგზავრებს ნიზბნი დასცივდათ ხელიდან. ხომალდი დადგა. მე მივევარი ნიზბოსნებს და სათითაოდ შევძახე ყველას:

— გულ გაიმარტო, მეგობრებო! ბევრი ჰირი გადაგვიტანია და ამასაც გავუძლებთ! ხომ გახსოვთ, როგორ დავუძღვრით ხელიდან ციკლოპს? ახლაც მომედეთ, სამშვიდობოს გავიყვანთ და შემდეგ დიმილით მოვიონებთ ამ განსაცდელს! მაშ, ყური უგდეთ ჩემს ბრძანებას: კვლავ მიუსხედით რიკულებს და რაც ძალი და ღონე გაქვთ, დააწიეთ ნიზბნს, ვინძლო ზუესიც შემოგვეწიოს და ავგარიდოს დალუბავს! შენ კი, მესაქემ, გვერი აუქციე ბურსა და ადუღებულ მორებს და იმ პიტლო კლდისკენ ისე წაიყვანე ხომალდი, რომ ტალღებმა ზედ არ მიგვალყურო!

ასე ვუბრძანე, მაგრამ სცილასთან გარდულვალ შეხვედრაზე არაფერი მიტყვამს, რომ ზარგანდოდ ნიზბოსნებს ხელი არ აეღოთ საქმეზე და ხომალდის ღრმა მუცელში არ ჩამალულიყვნენ. მე კი უშეშებურე: ორ გრძელ შუბს დავავლე ხელი და ხომალდის ქიმიან საბრძოლოდ შევიმართე. — სულ გადამაიწყვდა, ცირცემ რომ დამიშალა სცილასთან შეშმა. ასე ველოდი იმ ურჩხულის გამოჩენას, რომელსაც ჩემი ექვსი ამხანაგი უნდა მოეტაცნა.

პირქუშ კლდეს მიშტერებულს თვალი გამიწყალა. ხომალდი უკვე იწორი სარტუში შედიოდა: აქეთ სცილას კლდე დავგუფრებდა თავზე, იქით — პირაშქული ქარიბდა ერთნაირად ხერგბდა წყალს, ზღვის ფსკერზე შავ ქვიშას აინდა, ხოლო შემდეგ საშინელი ღრიალი უკანვე ანთხვდა ზღვის შავ წყალს. როგორც ეცხლზე შემოდგმულ უზარმაზარ ქვაბში თხთუხებს ხოლმე წყალი, ისე დღედა და მთის მწვერვალს ეტყალაშენებოდა აქაფებული ზღვა. ეს რა იხილეს, სიკვდილის ფერი დაედოთ ჩემს მეგობრებს, და სწორედ ამ ღროს დავაცხრა სცილა და ხომალდიდან ექვსი გულადი და მკლავლონიერი ამხანაგი მოგვტაცა. ანკესზე წამოგებული თევზებივით



ფართხალბუნდნენ სცილას ხახაში გარჩილი ჩემი საცოდავი თანამგზავრები, განწირული ხმით უქანასკნელად მეძახდნენ სახელს და შველას მთხოვდნენ. რამდენი არ მიხეტიალია ზღვის ზურგზე და რა ჭიარი არ ვადამიტანია, მაგრამ ასეთი შეშარავი არაფერი მინახავს.

როგორც იქნა გავედიო სამშვიდობოს და მალე მივადექით კუროსის კურთხულ კუნძულს. აქ დაუდიოდა მალეთმოარულს ფართეშუბლიანი ძროხები და მსუქანი ცხვარი. ჭერ კიდევ ხომალდზე მოგვესმა მთი ბლავილი. მაშინ გამახსენდა თებელი ტირეზიას წინასწარმეტყველება და ქალღმერთთა შორის უტუროფისი ცირცეს ვაფრთხილება, — გვერდი აუქციეთო ცხოველყოფელი ჰელიოსის კუნძულს, დაღონებულმა ასე ვუთხარი ჩემს ამხანაგებს:

— ყური დამიგდეთ, ჭირგამოვილიო ჩემო შეგობრებო! მინდა იცოდეთ ბრმა ტირეზიასა და თამაშვენიერი ცირცეს ვაფრთხილება, — გვერდი აუქციეთ ცხოველყოფელი ჰელიოსის კუნძულს, რადგან იქ მოველითო ყველაზე დიდი განსაცდელი. გავყვით ჩვენს გზას, ნუ გადავალთ ამ კუნძულზე!

არ ეპრიანათ ჩემი რჩევა თანამგზავრებს: იმ წამსვე წამოიჭრა ვერილოქე და ავი სიტყვით შემომოიტია:

— ჰოი, ოდისეეს, ჯანმოუღალავი და შეუპოვარი ხარ! თავად რკინის გული გიდგას მყარდში, მოსვენება არ იცი და შენს უძილობით გაწამებულ და მშვიტ თანამგზავრებსაც არ ასვენებ! არ გინდა, კუნძულზე გადავიდეთ და სული მოვიტყვათ. ამ კუნაპეტ ღამეში კვლავ ნისლიან ზღვაზე გვერეკება, რომ სასტიკმა ჭელიკონმა ან მძინეარე აკვამა დაგვიღწოს ხომალდი. განა არ გვიჯობს ღამის წესს დავევით, ვახშამი გჭამოთ და წითელფერა და ხომალდთან ნებიერად მივიძინოთ? დილით კი კვლავ ზღვაში შევატუროთ ხომალდი და გზას გავუდგეთ.

ეს თქვა ვერილოქემ და თანამგზავრებმაც მხარი დაუჭირეს. მაშინ კი მიგრძნო გულმა, რომ რამელიდაც დაიმონმა დასალუბად გავეწირა. იმედგადაწურულმა ესხა ვუთხარი ვერილოქეს:

— რაკი თქვენსას არ იშლით, შემომოვიცეთ მიანიც, რომ ხელს არ ახლებთ მზე-ჰელიოსის ძროხებსა და ცხვრებს, და ცირცესაგან გამოტრულ სავაზლს დასაჭერდებით.

საშინელი ფიციით დაფავიციე თანამგზავრები. მერე მყუდრო ყურეში მივაყენე ხომალდი, ნაპირზე ვადმოვიდი და ვახშამი მოვაზადეთ. როცა დაენაყრდი სცილასაგან მოტაკებულ ჩვენი სვეტბელური ამხანაგები გავახსენდა და ცხავე ცრემლით ავტირდი. ასე, თვალცრემლიანებს მიგვეძინა ქვიშიან ნაპირზე. ღამის მესამე სახმოლაზე, როცა ვარსკვლავები ჩაჭრნენ, ღრუბელითმეფე ზევსმა ქა-

რები აუშვა, შავად აფუებული ღრუბლებით მოგარავნა ცარგავიო და უკუნი წყვილიად ჩაგვიწავა ზღვისა და ხმელზე.

როგორც კი ახლადშობილმა ეოსმა ვარდისფერი თითები გამოაჩინა, ხომალდი ერთ დიდ მღვიმეს შევაფარეთ. ამ მღვიმეში იყრიდნენ თავს ტურფა ნივთები და აქ ცეკვავდნენ თავიანთ ლამაზ ფერხისას. აქვე შევკრიბე ჩემი თანამგზავრები და ერთხელ კიდევ გავაფრთხილე:

— მოძმენო, ხომალდზე უხვად გვაქვს ცირცესაგან ნაბოძები სასმელ-საჭმელი, ნუ დაეხარბდებით ჰელიოსის ცხვარსა და ძროხას, რომ არ მოვიცეთო ყოვლისმზოდელი და ყოვლისმეცხური მზღმერთის რისხვა!

ასე ვუთხარი და ისინი შეშინდნენ, — არ გადავალთო შენს სიტყვას. მთელი თვე არ გამოუდარებია. განუწყვეტლივ ჰქროდნენ მძინეარე არავი და მცხუნვარე ხორშაკი, — ზურგქარი არა და არ ჩანდა. სანამდის წითელი ღმინო და საჭმელი გვეულებოდათ ხომალდზე, თანამგზავრები მზღმერთის შიშით არ გაჰქარებოან მის ნახარს. როცა საჯავალი გამოვლიათ თევზაობასა და ფრინველებე ნადირობას მიჰყვეს ხელ: ჭამდნენ ყველაფერს, რასაც მოიხელთებდნენ, რომ როგორმე ამოეყორათ მშვიერი მუცელი. მე კი კუნძულზე დავდიოდი და ღმერთებს ვევედრებოდი, კეთილი ზურგქარი მოეციონებინათ ჩვენიოვს.

ერთხელ კარგა მანძილზე დავშორდი თანამგზავრებს, წყაროსთან ქარისაგან მოფარებული მყუდრო ადგილი ვნახე, ხელი განვიბაძე და ოღონდოვლ ღმერთებს ვედრება აღუქვინინე. უღმუჭეჭრებულს წამწამებზე ძილი ჩამომიღვარეს ღმერთებმა. სწორედ მაშინ იხვლთა დრო ევრილოქემ და ასე ურჩია თანამგზავრებს:

— ჭირგადახდილნო ჩემო ძმებო! სახარელია სიკვდილი მოკვდავთათვის, მაგრამ შიშვითი სიკვდილზე უარესი ამ ქვეყნად არა არის რა. მოდი, გამოვიტყვოთ ჰელიოსის ნასუქალი ძროხებიც, ცის უკვდავ ბინადართ მსხვერპლი შევწიროთ, და თუკი საშველი დაგვადგა და ითაკაში დაგბრუნდით, დიდებული ტიპარი აუვგათო ჰელიოსს და მის წინაშე ძვირფასი შესწარავი მოვიღოთ. ხოლო თუ რტამნათი ძროხების დაცვლის გამო დასალუბად გავეწირავს და სხვა ღმერთებიც მას მიემხრობიან, დაე, ავრე იყოს! უმჯობესია, ზღვის უფსკრულმა გვამონთქის, ვიდრე შიშვითი ამოწყვდეთ ამ უკაცრიელ კუნძულზე!

გასჭრა ვერილოქეს სიტყვამ: იქვე, ჩვენს წითელფერად ხომალდთან მობალახე რქადავრებილი და ფართეშუბლიანი ძროხები მოდენეს, მუხის ნედლი რტობეი მოამტვრიეს, რაკი

კომენტარი
ოქტომბერი

ხომალზე საკუთარი ქერი არ მოეძებებოდათ, — გარს შემოეხვივნენ ძროხებს და ღმერთებს ვედრება აღუდგინეს. შემდეგ დაჯდნის და გაატყვეს ძროხები, მსუქანი ბარკლები ცეცხლს დაუდეს და ზედ შიგნეული და კვლავ ხორცის ნაჭრები დააწყვეს. ზედაშის ნაცვლად წყალი მისახურეს მსხვერპლს. როცა ზეარაკი დაიწვა, შიგნეულით ბირი გაიხსნილეს, ხოლო დანარჩენი ხორცი შამფურებზე წამოაგეს და შეწყვეს.

ამასობაში, ნეტარი ძილისაგან გამოფხიზლებული ხომალდისკენ გავეშურე. ზღვის ნაპირს რა მიუვალხოვდი, კვამლისა და შემწვარი ხორცის საამური სუნე მცა. გულშემოყრილმა ერთი ამოვიგმინე და უკვდავ ღმერთებს ასე შევლოდე:

— ზევსო, ჩვენო მამავ და მარადიულო ღმერთებო! რისთვის მომიღვარეთ ეს ავი ძილქუში? ხედავთ რა ცოდვა ჩაიდინეს ჩემს იქ არყოფნაში გონებას გადაცდარამა ჩემმა მეგობრებმა?

ლამპეტამ, ქალწულმა მწყემსმა, სასწრაფოდ ამცნო მამა-პელოოსს ძროხების დახოცვის ამბავი. ვაცეცხლებულმა ჰელოისმა ასე შესჩივლა ღმერთებს:

— ზევსო, ჩვენო მამავ და უკვდავო ღმერთებო! შური მიავეთ ოდისეისს თავგასულ თანამგზავრებს, რომელთაც ჩემი რქანათი ძროხები დაუხოცავთ! მიხაროდა მათი ხილვა მარაგიან ცაზე მოარულს. უკეთუ შურს არ იძიებთ, სამუდამოდ ჩაეხდები შვეთში და მხოლოდ მკვდრებს ვაგუნათებ!

მესთანტეხელმა ზევსმა ასე მიუგო ჰელოისს:

— ზეცას მოარულს, კვლავ გაუნათე უკვდავ ღმერთებსა და ქვეყნიერთს სულ მალე მებს დავატებ შუაგულ ზღვასი გასულებს და ხომალდს ნაფოტებად ვუქცევ!

ასე ეუწყებინა გზათამალხავ ჰერმესს თამშვენიერი კალიფსოსათვის, ხოლო ქალღმერთისაგან მე შევიტყვე.

გავებული მივეჭერი ხომალდთან თავშეყრილ თანამგზავრებს, გლანძღე და ვათრიე ყველანი, მაგრამ საქმეს რაღას ვუშველიდი: ჰელოისის ძროხები დახოცილი იყო! სულ მალე ასეთი ნიში მოგვივლინეს ღმერთებმა: სისხლით შესერილმა ტყავებმა ცოცვა დაიწყეს ჩვენს თვალწინ, ხოლო შამფურებზე წამოგებული სულები ცოცხლებივით აზმუვლდნენ. არც ამ სასწაულს შეებუნენ უგუნურნი, კიდევ დახოცეს ჰელოისის ძროხები და ეჭვსი ღმე შეეჭოდნენ მათ ხორცს.

მეშვიდე დღე რა შემოაქცია კრონიონმა, მძვინვარე ქარები დაეუდნენ და კეთილმა ზურჭარამა დაჰბერა. ხომალდზე ავიდით, აფრები გავშალეთ და გზას ვაგუდნებთ. როცა კუნძული თვალს მივფარა და მარტოოდნე ცასა და ზღვას შევჩაი, მენისმტყორცნელმა შვი

ღრუბლები დაგაწვია. უქუნეთი წყვილიანი ჩამოწვა ზღვამ, ხომალდი დადგა და დაეძვინა. კალიფონი ამოვარდა. ქარბორბალამ ბავირები დაუწყვიტა ხომალდს; აყირაგებულმა ანძამ ტინი გაასხმევინა მესაქებს და მყინთავივით თავდაყირა გააღუსვა წყალში. მალღმერთგვიწინავეა ზეცსმა დაიქუხა და მჭი დაგვატანა თავზე. ცეცხლის გორგალმა ზღვაში გადაყარა ნიზოსნები და ვანწირულნი ყორნებივით აატეგტევა ხომალდის გარშემო. ქარისხალმა ძირში გადაამტვრია. ანძა და ფერღები მოვრღვა ხომალდს. ქარებს მინებებული ასე ვიყვიე შიშველ ძირზე. ბოლოს ჩადგა სასტიკი კალიფონი, მაგრამ ახლა მძვინვარე არავი ამოვარდა. მთელი ღამე მიმაქანებდა გრიგალი და შვის ამოსვლისას კვდა სცილასა და ქარიბდას კლდეებთან მიმაგლო. სწორედ ამ დროს ხერებდა პირამქული ქარიბდა ზღვის აქაფებულ მორებს, და მე ისღა მოვასწარი, რომ მის თავზე ვადმობორნი ლღვის ტრტს ღამურასავით ჩაეებლაუქე ხელ-ფეხით. ასე ვევიღე მვის ჩასვლამდე, ვიდრე საზარელმა ურჩხულმა უკანვე ვადმონთხელ წყალს არ ვადმოაყოლა ხომალდის ნაშურღვი. გულმოცემულმა მაშინ კი ხელი ვუშვი ლღვის ტრტს და ხომალდის ძელებს ზედ დავახტი. მკლავები გავშალე და ნიჩბებივით მოვუსვი. კაცთა და ღმერთთა მამამ ჩემი თავი აღარ დანახა სცილას, თორემ სასტიკ სკველდის ვერასაგზით ვადაურჩებოდლი.

ცხრა დღედაღამე დამაქანებდა ზღვა. მეათე დამეს ოგიფაზე, თამშვენიერი კალიფსოს კუნძულზე გამრყეს ტალღებმა. ნიშამ შემიგრობა და შემიტბო. სიტყვა აღარ გავაგრძელებე! წუხელ უკვე მოგაყვით ეს ამბავი შენ და შენს ძვირფას მუელღეს. ნამბობის კვლავ მოყოლა არა მჩვევია!

თავი XIII

ოდისეისს ნამბობით მონუსხული ფეაკელები სულგანაბული ისხდნენ ჩამობნელებულ დარბაზში. ბოლოს, ფეაკელთა მბრძანებელმა, დიდსულოვანმა ალკინოემ დაარღვია დუმილი:

— მრავალქირანხული ოდისეეს, მას შემდეგ, რაც ვნებ შემოდგი ჩემს ბუქმიელ სახლში, დარიღი უნდაფარისა გავქს, — დასრულდა შენი ტანჯვა და უგზოუკვლოდ ხეტიალი! ახლა კი, აქ შეკრებილ ფეაკელთა უხუცესებს, ჩემს სახლში წითელ ღვინოს რომ შეეჭკევიან და ღვთაებრივი აედის სიმღერით სტკებთან, ასეთ რაბეს ვეტყვი: თუმცა ოდისეისს სიკვრი უკვე საუსესა ფეაკელთაგან მორთმეული ძვირფასი სამოსით, ოქრო-ვერცხლითა და სხვა საბოძვარით, — თვითუღმა, თითო სამფეხა ზედღვარადი და თითო სპილენძის კარადა კიდევ ვუბოძოთ სტუმარს. ვაცემულს ადვილად ავიწაზღაურებთ, — ერთისათვის კი ძნელია ყოველივე ამის გაღება!

ეს თქვა ალკინომე და ბასილევსებმა კვერა დაუტრეს. შემდეგ დასაძინებლად გაეშურნენ დიდებულნი. მაგრამ ირთრთა თუ არა, ხომალდანი შეიკრიბნენ. მანდატურებმა სპილენძის საჭურჭლე მოზიდეს. თავად ალკინომე და ამინავა ხომალდზე ტვირთი ისე, რომ ფეაკელ მეზღვაურებს ხელი არ შეშლიათ ნიჩბის მოსმისას. ხომალდი რა დატვირთეს, სასახლეში მობრუნდნენ და ნაღობისათვის სამზადისი შეუდგინენ. ალკინომე, — მენავთა და მოგზაურთათვის გზა რომ დაელოცა, — ნასუჭი ხარი დაუკლა შედვრუბლიან ზევსს. ხორცი შეწვეს და პურობად დასხდნენ. ამღერად ღვთაებრივი აედი დემოდოკეც.

ფეაკელ ბასილევსთა შორის მონადიმე ოდისეის თვალს არ აშორებდა ცას, ერთი სული ჰქონდა მალე ჩასულიყო მზე, რომ გზას დასდგომოდა. როგორც დამაშვრალი გუთნისდედა ელის ხოლმე მზის ვადახრას და სამხარის მოლოდინში მუხლი ეკეცება, — სულმოუთმენლად ელოდა ოდისევსიც დღის მიწურვას. მიდრეკა თუ არა მზე, ზღვის მოყვარულ ფეაკელებსა და მათ მბძიანებელს ასე მიმართა ოდისევსმა:

— ერისმთავრო ალკინოე და ფეაკელთა დიდებულნი, დაკრა ჩემი წასვლის ეამში ღვინო დავუღვარო ღმერთებს და გამისტუმრეთ! ამა, ვეწეე გულისწადღს, ღვთის მადლით, ხომალდი სავსე მაქვს უხვი საბოძვარით. შვიდობით მენახოს ერთგული მეუღლე და ყველა თინაური! თქვენ კი, ფეაკელნი, გაიხარეთ შევეს ცალ-შვილნი, სიკეთე მოგვით და ქირი გაშორეთ უკვდავმა ღმერთებმა!

გზიანი სიტყვა მოუწოდეს ფეაკლებმა და დასტური უთხრეს ოდისევსს. მაშინ ალკინოსე წმინდა ძალამ თავის მანდატურს — პონტონის უბრძანა ღვინო ვაზაყენი და თსებით მოერთმია დარბაისელთათვის: მამა-ზევსს ეედრება აღუელინით და სტუმარი საყვარელ სამშობლოში გაავაგზავროთ ბრძანა ალკინომე. პონტონომე ლაგონებში ვაზაყენი ტკბილი ღვინო და იქ მყოფთ ჩამოურთავა. შეინახებმა უკვდავი ღმერთების საიდებლად თსებს პირი წაუქციეს. შემდგომ ამისა წამოდგა ოდისევსი, სახლის დიდას არათას მიეხაზა, ორძირიანი ბარძმის შარავსა და სამადლოზელი უხრთა:

— დღეგრძელი იყავ დედოფალო! ღმერთმა ტკბილი სიბერე მოგცეს! იხარე და იბედნიერე შენი ძვირფასი შვილებითა და ღირსეული მეუღლით! მარადღმე შვიდობით ბრძანდებოდეთ!

ეს თქვა და სპილენძის ზღურბლს გადააბიჯა ოდისევმა. ალკინომე მანდატური აახლა, რომ ხომალდზე მიეცილებინა სტუმარი, ხოლო არეთამ მსახური ქალები გააყოლა: ერთს, ახალთახალი ქიტონი და სუფთად გარეცხილი მოსასხამი მოჰქონდა, მეორეს, მოჩუქურთმებული სკიერი,

სხვებს სავზლად გამოტენული პურღვინო ზღვის პირას რა მივიდნენ, ყველაფერი ეს ხომალდზე აზიდეს ნიჩბოსნებმა, ოდისევსს სავზელი დაუტრეს და მოსასხამი გაუშალეს ზელ, ვახვრეტელ ქვაში გაყრილი ხომალდის ბაგირი მოხსნეს, თავთავიანთ რიკულებს მიუსხდნენ და მთელი ძალით მოუსვეს ნიჩბები. ოდისევსი სიტყვის უთქმელად დაწვა: ღრმა და უშფოთველმა, სიკვდილის მსგავსმა ძილმა წაართვა თავი იმწამსვე.

როგორც მათრახგადწუნული ოთხი ულაყი გააჭროლებს ხოლმე მიწიდან მეყსეულად მოწყვეტილ ეტლს, — ჰაერში აიტაცესო თითქმის, ისე მიპრობებდნენ მეწამულ ზღვაზე კიჩოაწეულ ხომალდს ფეაკელი მეზღვაურები. ქორზე და შევარდენზე სწრაფად მიჰქროდა ხომალდი, უკან იტოვებდა აქაფებულ ზღვას და სამშობლოსკენ მიჰყავდა გონებით ღმერთს შემსგავსებული კაცი: კაცი, რომელმაც ბევრი იომა, ზღვის ზურგზე მოხეტიალემ დიდი ქირი ნახა და მრავალი ვანსაცდელი გადაიტანა. ახლა ტკბილად და უშფოთველად ეძინა მრავალქირნახულ მამრს, დაიწყებოდა გარდაბლილი სიმძიმელი.

ის იყო, ცაზე განთიღის მაუწყებელი ცისკრის ვარსკვლავი ამობრწყინდა, რომ ითავის ნაპირებიც გამოჩნდა. ფეაკელთა ხომალდი ზღვის ბერიკაცის — ფორკინის ყურეში შევიდა. ორი კლდოვანი კონცხით მოზღუდული ეს ყურე დაცული იყო ქარებისა და ზღვის ბოთქარი ტალღებისაგან. მყუდრო ყურეში შესულ ხომალდს ბაგირით მიბმაც არ სჭირდებოდა. ყურეს თავზე დაჰყურებდა უზარმაზარი, შტომარავალი ზეთისხილის ხე. იქვე, მშვენიერი, გრილი მღვიმე ჩანდა, ნაიაღებლ ნიბობლი ნიმფების წმინდა სამყოფელი, რომელშიც კრიალა წყაროს თვალი ეკამკებოდა. მღვიმეში გოლეულით სავსე ქვის ლაგონები, ქუბრები და ქვისავე ბუქსახელები იდგა. მასზე ნიმფები სახილველად უხუბო, ძოწისფერ ქსელს ბუქავდნენ. ორი კარი ჰქონდა ამ მღვიმეს: ჩრდილო კარიდან კაცნი შედიოდნენ, კაცთაგან შეუვალი სამხრეთის კარიდან კი უხილავი ღმერთები. ფორკინის ყურე წინათაც ენახათ ფეაკლებს და ახლაც, მკლავღონებმა ნიჩბოსნებმა ნაპირისაკენ ისე მძლავრად გამოაქანეს ხომალდი, რომ იგი შეაწეულამდე ავარდა ნაპირზე. მეზღვაურებმა ქვეშაგებლად გადმოიყვანეს მძინარე ოდისევსი და იქვე, ქვიშაზე დააწინეს. შემდეგ ათინას ჩაგონებოთ ფეაკელ დიდებულთაგან ნაბოქები საჭურჭლე ვაღმოზიდეს და გზიდან მოშორებით, ზეთისხილის ძირში მოაქურჩეს, რომ ოდისევსის გამოლოცობამდე ვინმე გზადგავილს არ მიტყა-

კომეროსი
იფი:იკ



ცა. საქმეს მორჩნენ და უკანვე გაბრუნდნენ ზღვისმოყვარული ფეაელები.

მაგრამ მიწისმრყეველს არ ავიწყდებოდა ძველი მუჭარა და ოდისევის შინ შშვილობით დაბრუნება რა შეიტყო, ასე შესანიღო ზეეს:

— ო, მამა-ზეესო, ვითა მცენ პატევი უკვდავმა ღმერთებმა, როცა მოკვდავი ფეაელები კი, რომელია მოდგმას მე. მივეც დასაბამი, არად მაგვღებენ? ვიოდო, ჭირგადახდილი ოდისევი მაინც რომ დაუბრუნდებოდა სამშობლოს, რადგან ღვთაებრივი განგებით იმთავითვე ავრე გადაწყვიტე. სწორედ ახლა მოყვანეს იგი ითავის მიწაზე ფეაელებმა და მისთვის ბრძობელი აურაცხელი სიმდიდრე გადმოუზიდეს ხომალდიდან. ამდენ დოვლათს მაშინაც ვერ დაეპატრონებოდა, ტროადან წამოღებულ ითავისი წილი ნადავლი უკლებლივ რომ მოეტანა სამშობლოში.

მებთამტეხელმა ბაგენი დასძრა:

— უკვდავი ღმერთებისაგან პატეკლებს გულში ნუ გაივლებ, პოსეიდონ! ვინ გაბედავს შეურაცხად მოექცეს ჩვენს შორის უძველეს და უძლიერეს ღმერთის საყუართ ძალას მინდობილი მოკვდავები თუ არად მივიჩნივენი, ვინ დავიშლის მათ დასჯასა და ჭკუაზე მოყვანას? პოსეიდონმა მიუთვა:

— შენი შოში მაქვს, ჩვენი მეუფეც, შენს რისხვას ვერიდები და ამიტომ შენი ნებისამებრ მოვიქცევი: შინ მობრუნებულ ფეაელებთან ხომალდს დავლუბავ, ხოლო მათ ქალაქს უზარმაზარ კლდეს მოვავლებ, რომ ამიერიდან ვეღარ შესძლიონ ჩემგან დევნილი ზღვაოსნებ-ს შინ გასტუმრება.

ღრუბელთ მეუფე ზეესმა კვერი დაუტრა:

— მეთნევა შენი განზრახული, ჩემო ძვირფასო! ფეაელებმა ქალაქს თვალსაწიერზე რა მიუახლოვდებნა შინ მიმავალი ხომალდი, მეყსეულად გააქევე მათდა სასწაულად, ხოლო ქალაქი გარემურგვლად კლდით მოუზღულდე!

პოსეიდონმა ფეაელებს კუნძულს — სქეროას მიასურა, იქ დაელოდა ითავიდან წამოსულ მზღვარებს. მალე ზღვის მოყვარული ფეაელების ხომალდიც გამოჩნდა. პოსეიდონი მიეჭრა ხომალდს, ნები დაჭრა და ქვადქვეული ზღვის ფსკერს მიაძირკვა. ნაპირიდან ამის დანახავი ფეაელები დიდად განვიცირდნენ: ეს-რა ენახეთ? ვინ გააქევა ადგილზე ჩვენი ხომალდი! შიშნულნი ერთმანეთს ეჩურჩულესოდნენ, ვერ კი მიმხვდარიყვნენ, რას მოასწავებდა ეს ამბავი. მაშინ შეუფოთებულ ქვეშევრდომთ ეს გაუმხილა ალკიონემ:

— ვაი, ჩვენ — ფეაელებო! ახლა მამიჩემის ნაწინასწარმეტყველები: ერთხელაც იქნება გავგვირისხდება მიწისმრყეველი პოსეიდონი, გზადავარტულ მგზავრებს შინ შშვილობით რომ დაბრუნებთო. მოაწეეს ეამი და ზღვათა მეუფე კუნძულისკენ უკუშემოქცეულ ჩვენს კეთილ-

ნაგებ ხომალდს დაღუბავს, ქალაქს კარგად მოაზარ კლდეს შემოავლებსო. ასე ამბობდა მამიჩემი ხუცებულები მამიჩემი და აპა, მოვესწარიით ამ შავ ღღეს. ამიერიდან ასე მოვიქცევი: ჩვენს კუნძულზე მოხვედრად უცხოელს სამშობლოში აღარ გავამგზავრებთ... წაიღეთ, პოსეიდონს თორმეტი გამოჩრეული ხარი შეეწიროთ მსხვერპლად, ეგების შეგვიწყალოს და ქალაქი კლდით არ მოგვზღუდოს.

ზარდაცემულმა ფეაელებმა თავაკეცბმა და ბასილევებმა ხარები დაუკლეს და საკურთხეველთან ვერბება აღუვლინეს მიწისმრყეველს.

ამასობაში ოდისევეს გამოეღვიძა. ის მიწა, სადაც იშვა და გაიზარდა, მან ვეღარ იცნო. ათინას ნისლით შეებურა ითავის სანაპირო. თვად ოდისევესაც ვერი უცვალა ქალღმერთმა, რომ მეუღლეს, მეგობრებსა და მოქალაქეებს ვერ ეცნო მანამ, სანამ გულდავულ არ დაარიგებდა როგორ ეძია შური თავგასულ სასიძობზე. ეუცხოვა ითავის მბრძანებელს მუყულო ნავსადგური, ცივაბო კლდეები და ნაყოფდასმული ხეები. ვაოგნებულები წამოიღვა იგი. თვალი შიმოავლო უცნობ არემარეს, ხელები შემოირტყა თეძობებზე და გულჩაწყვეტილმა ტირილთ წამოიძახა:

— ვაჰ მე, სადა ვარ, ნეტავ? რა ხალხი ცხოვრობს აქ, ველური და უსამართლო თუ სტუმართმოყვარე და ღვთისნიერი? მერჩინა ფეაელებთან დავრჩენილიყავ და ვინმე სხვა ბასილევისათვის მეთხოვნა სამშობლოში გამომგზავრება. ეჰა, რა ყოფილან ეს ფეაელები თავაკეცი და მეტყენი, — გონიერნი და გულმართალნი მეგონენ, მაგრამ მომპაიორეს და უცხო ქვეყანაში გადმომაგდეს! დაე, მანვეწართა მფარვლმა, ყოვლისმხილველმა ზეესმა გადაუხადოს მათ სამაგიერი!

ეს თქვა და ექვმა შიდაყრო: ბოძებულებიდან რამე ხომ არ წაიღესო უკან. საჩქაროდ გადათვალა ხის ძირში მოქუჩებული ოქრო-ვერცხლი, სამოსელი და სპილენძის ჭურჭელი. ნაბოვარს არაფერი აკლდა. მაშინ სამშობლოსადმი სევდა შემოაწვა გულზე, ზღვის ნაპირზე დაბორილობდა და ხმამაღალი ტირილით ყველრიდა ითავს ბეღს. ამ დღეში იყო, რომ პირმშენიერი, ყრმა მწყემსის სახით გამოცხადებული ათინა შემოეყარა გზად. ქალღმერთს ორკეცად მოესხა მოსახსამი, ხელში კომბალი ეჭირა, ხოლო ფეხებზე კარგად გამოქნილი ქალამანი ემოსა. გული მოეცა ოდისევეს, მწყემსს მიესალმა და სიტყვა შეაგება:

— გამაჭრება შეილო! პირველი შენ შემომხვდი ამ უცხო ქვეყანაში და ავი თვალთ ნუ შემებდებ ყარობს, მუხრე კონიით გემუღარებ, სადმე გადანახავი ეს საკურჭელი. ისიც მამცნე, რა ქვეყანაში ვარ, რა ჭურის ხალხი მკვიდრობს აქ, ზღვით გარემოებული კუნძულია



თუ უკიდევანო და ბარაქიანი ხმელეთის კიდე?

თვალსიხვისათვის ათინა შემოსწყრა ითაკელს:
— ან გონითი ვადავარდნილხარ ბედმავო, ან ვადათიელი ხარ ვინმე, თუ რომ არ ვაგვიგონია ეს მხარე. აღმოსავლეთიდან ბნელ დასავლეთამდე ყველასათვის ცნობილია იგი. მართალია, ცხენთასაქუნებლად ურგია ფიცხელ-კლდოვანი ჩვენი კუნძული, მაგრამ უნაყოფო არ გეგონოს. დღევანდ უხვად მოგვედის და პურიც, რადგან წვიმები და დღის ცვარი არ გვაკლია. საძოვრებზე თხა და ძროხა დაგვიდის. ტყით დაბურული და წყარობრავალია ჩვენი მიწა და თუმცა აქვეითიდან შორს არის, ტროპიკული ვადავარდნილი ითაკის სახელი.

გულზე მოეშვა მრავალჭირათამომენ ოდისევეს, გაუხარდა კვლავ რომ ელირსა სამშობლოს ხილვას, მაგრამ იქვენულმა თავი არ გაამყდევინა. ფარისმკურთხელის ასულს მან ასეთი სიტყვა შეაგება:

— მეც მომწვედენია ითაკის სახელი ზღვათა ვადალმა, ფართოზხიან კრეტაში. იქაური ვარ, ეს საჭურჭლეც იქილან მომაქვს, თუმცა ამდენივე შვილებს დააუტოვე. კრეტაში ფეხმარდობით ვანთქმული დიდმენვესის ძე ორსილოქე მოკვალი და ვადავიხვეწე. ტროაში სიხლისფასად ნაშოვნი ნადავლის წარათმევა მომინდომა, რადგან ილიონის კედლებთან მამამისის ხელქვეითობა არ ვისურვე: მე ხომ თავად ვიყავ მოყმეთა მეთაური. ჩემს მეგობართან ერთად ჩაუხსაფრანო გზისპირას და მინდვრითან მომავალს გულში ვაძებრე სილონქის შუბი. ბნელი დამე იყო, ძეხორციელს არ გაუგია არაფერი. მერე ზღვასთან ფინიციელებს მივმართე, ძღვენი მივართვი, ქვიშიან პილოსში ან შიხან ელიდამი წაიყვანეთ-მეთქი, — ვთხოვე. ასე ვადმოვიხვეწე კრეტადან. ჩემი მოტყუება გულში არ ედოთ მეზღვაურებს, მაგრამ ქარიშხალმა გზას ავავადინა და ამ მყუდრო ნავსადგურს შემოვავაფრთ ხომალდი. გზაკვალბანულნი და ილაგაწყვეტილნი დამით ვადმოვხსენდით მიწაზე, ჰამის თავიც არა გვემონდა, ვგრძევე, უფასშობლ მივიყვარენით დასაძინებლად. ვერ კიდევ ძილში ვიყავი, რომ შეზღვაურებმა ვადმოვიხილეს ჩემი ავლადილება, თვითონ კი კეთილნაგებ სილონსკენ გასწიეს. გულდარდიანი ასე დავრჩი ამ კუნძულზე.

ვაეღიმა თვალსიხვისათვის ათინას, მხარზე ხელი შემოსდო ოდისევეს და ლამაზ და ტანსრული დიაცად სახეცვლილმა ასეთი სიტყვა უთხრა:

— სიფრთხილით, მოხერხებითა და ცბერებით მულამ ვამოიარჩეოდი მოკვდავთაგან, — თავად ღმერთიც ვერ გაგვარტუებს. ცხასა და სხვათა მოტყუებაში ბალორბიდანვე ხარ ვაწუფული და სამშობლოში მობრუნებულციც ველარ ეშვები ცრუსიტყვაობას. მაგრამ მეტს ნურას ვიტყვი ამზე. ამ საქმეში ტოლს ვერა-

ვინ დაგვიდებს: შენ მოკვდავთა შორისა ხარ. პირველი ბრძული თათბირითა და მკვერი სიტყვით, მე კი ღმერთთა შორის. მითხარი, როგორ ვერ მიცან მე — ზევისას ასული ათინა პალადა — ძნელბედობაში შენი შემწე და მწყალობელი? ვანა ჩემი შეგონებით არ ავავსეს დოვლათით ფეაკელმა დიდებულებმა? ახლაც შენთან გამოვეშუბე, რომ შემოგვეშვო, — საჭურჭლე ვადავამაღლირი და გაგიმხილო რა განსაცდელი მოგვედის შშობლიურ კუნძულზე. იცოდე, საკუთარ სახლში მათხოვრად მისულს, რაც უნდა გეწიოს, უსიტყვიოდ დაითმინე ყველაფერი და არამც და არამც თავი არ გაამყდევინო.

— ეჰა, ქალღმერთო, — შესძახა ოდისევესმა, — რაგინდ გულმეცნიერიც იყოს პირისპირს შეყრისას ძნელია ვიცნოს მოკვდავმა: მრავალი სახით იცი გამოცხადება! მკვნიანც ხომ შენ მწყალობდი, როცა ილიონის კედლებთან ვებრძოდით აქაველნი? პრიამოსის ციხე-ქალაქი რომ დაეამხეთ და სამშობლოში გამოგზავრებულეებს ზღვაზე ხომალდები დაგვიფანცა ზეცსმა, იმის შემდეგ აღარ ვამოცხადებინარ ნუგეშინის მცემლად. გულამტყდარმა დიდხანს ვიხეტილე ზღვის ზურგზე, ვიდრე ღმერთებმა განსაცდელისაგან არ მიხსნეს. ფეაკელთა კუნძულზე მოხვედრისას მომივერინე მხოლოდ, გული გამიყვდა და თავად გამიძღ ქალაქისაკენ. მამა-ზევისის სახელით აწ მუხლმოყრილი გვედრებები მიმცნო, მართლა ჩემს სანატრელ სამშობლოს მიწაზე მიდგას ფეხი? ვერ დამიჯერებია, რომ ითაკაში ვარ. ასე მგონია დამცინი და მაცთური სიტყვით ჩემი ვატრუება გწილს.

— ჰე, ოდისევეს. დღეინადაც ერთი ფიჭრი გიტრიალებს გულში. დამჭირახი და გონიერი ხარ და ვასაქობში ამტომაც არ მინდა მიგატოვო. სხვა — შენს დღეში მყოფი — უმალ სახლს მიიშურებდა, რომ დიდხანს უნახავი ცოლშვილი ენახა, შენ კი თავს იოყებ, არაფერი შეკითხები, — თავად ვინდა გამოსცადო სევდამწარებელი პენელოპე ერთგულეებაში, ახლაც რომ სახლში ზის და შენს მოლოდინში თეთრად ათენებს დამეებს. ვიცოდე, მაინც რომ მოაღწევიდ მაშეღი მიწას, თუმცა კი ყველათანამგზავრადლუბული. ამიტომ ვამჯობინე მოვრიდებოდი შენზე ვანრისხებულ ბიძაქმს — ბოსიედონს, რომლის საყვარელ შვილს თვალი დაუხვი გამოქვაბულში... მაშ, არა ვჯერა, რომ ითაკაში ხარ? აბა შეხედე: ეს — ზღვის ბერიკაცის ფორკინის ყურეა, კლდიდან უზარმაზარი ზეთისხილის ხე რომ ვადმოპყურებს. იქვე ახლოს, ნაიადებად ხმობილი ნიშფები გრილი მღვიმეა. გაიხსენე, ამ ღრმა და

ჰომეროსი
ოდისეა



ერეკლ გამოქვაბულში ნიშნებისათვის რამდენჯერ შეგიწირავს წმინდა ჰეკატომბა; ახლა ვეღარა ცნობ ტყით დაბურული ნერტიონის მთას?

ეს რა თქვა ათინამ, ნისლი გაიფანტა და ოდისევს თვალწინ გადაშალა მშობლიური მიწა-წყლის ნაცნობი სანახები. გახარებული ოდისევსი დაეშხო და ნაყოფიერ დედა-მიწას აკოცა. მერე ხელები აღაპყრო და ასე შეკლადლა ნიშნებს:

— ზევისს ასულო ნაიაღებო, აღარ მეგონა თუ კიდე ვიხილავდი. მითავყანეთ მარადღე თქვენი მავედრებელი. კვლავაც შემოგწირავთ მსხვერპლს ზევისს ასულმა ათინამ თუ დამარჩინა და შვილის დეაქეციებას მომასწორო.

— მაგ ნუ ვეადრებდა, — მიუგო თვალსხივოსანმა ქალმერთმა. მოდი, ჯერ წმინდა მღვიმეში გადავინახოთ შენი საპურტლე, მერე კი განვსაჯოთ, რა ვიღონოთ და როგორ მოვიქცეთ.

ბნელ მღვიმეში შევიდა ათინა, რომ განძეულის შესანახად მარჯვენ ადგილი დაეგულეზინა. მალე ოდისევსმაც მოზიდა ფეაველთაგან ნაბიძგები ოქრო-ვერცხლი, სპილენძი და ძვირფასი სამოსელი. განძეული გადაინახეს და ათინამ ვეება ლოდი ააფარა ქებასი კარს. მერე წმინდა ზეთისხილის გაფარჩხულ ფესვებზე ჩამოსხდნენ და ბჭობა დაიწყეს, თუ როგორ მოელოთ ბოლო სასიძოებისათვის.

ფარისმპყრობელის ასულმა ასეთი სიტყვა უთხრა ოდისევსს:

— ოდისევსს, ზევისს ნაშიერო. ახლა დროა, სასიძოთა შემსურავო იფიქრო. მესამე წელია, რაც შენს სახლში პარპაშობენ და ძღვენითა და ურავადით ლამობენ შენი ღეთისდარი მეთულის გულის მონადირებას. ის კი ღდენიადგ ტირის, და თუმცა დასაიმედებლად თვითეულ მათგანს ცალცალკე უგზავნის მაინცებს, გულში სხვა რამე აქვს განზრახული.

— ეკა, — შესძახა ოდისევსმა, — მეც ავა-მეგნონის ბედი მეწეოდა საყუთარ სახლში, შენ რომ არ დავემომღვრე ჩემო მწყალობელი. ახლა ის მირჩიო, როგორ მიუზღლო მათ სამაგეირო? ახლაც ისე ვამიმავრე გული და შემომემეველე, როგორც ილიონის თეთრი გალავანის დანგრევისას მეწველებოდი. ოღონდ მხარში მედგე შენ — თვალსხივოსანო და სამას კაცთან ომსაც არ შეეუწინდები.

კვლავ მიმართა ოდისევსს ფარისმპყრობელის ასულმა:

— დაუწყებ თუ არა სასიძოებს მუსვრას, იცოდე, არ მიგატოვებ, იმწამვე მხარში ამოგიდგები: შენი სახლის იავარდმყოფელთა ტინის მივასხმევინებთ ეელვებზე და მათი სისხლით მოგაწყვეთ სანადიმო დარბაზს, ახლა კი სახე უნდა გიცივლო ისე, რომ ძეხორციელმა ვერ გიციოს: დამკენარ და ძაბუნ ბერკიაცად გაქ-

ცევ, ღერ თმას არ შეგარჩენ თხემზე. ენაწილა თვალებს ჩაგიჭრობ და ტანზე წვეთსა ჩვალის მოვასხამ, — შემხედვარი ზიხლით მოგარიდებს თვალს. ასე გამოეცხადები სასიძოებს, მეუღლესა და საყვარელ ძეს. მაგრამ მანამდე შენს მეღორეს ესტუმრები, შენი ერთეულია იგი და პენელთაეცა და ტელმაქეც გულით უყვარს. კორაქისს კლდესთან, არეთუსას წყლის პირას ნახავ, იქ, სადაც კრითი ნასუქალი შენი კოლტი ანკარა წყალს ეწაფება. მასთან დარჩი და ყოველივე წვრილად გამოკითხე ბერკიაცს. ამასობაში მე ლამაზი დიაცებთი განწმულ სპარტას მიგაშურებ და შენს ძვირფას ტელემაქეს სამშობლოსკენ ვაქნეინებ პირს. მზიურ ლაკედემონში მენელაოსს ეწვია იგი, რომ შენი ასავალ-დასავალი გაეყო.

— ქალმერთო, რატომ ადრევე არ გაუძხილე ჩემი ამბავი, — აღმოხდა ოდისევსს, — ავი ყველაფერი იმთავითვე უწყობდი? ამდენს რატომ ახეტილებ ტელემაქეს უნაყოფო ზღვაზე, როცა აქ, ჩვენს საბადებელს უცხონი გვიპამენ?

ასე დაამშვიდა თვალსხივოსანმა ათინამ ოდისევსს:

— ნუა გენაღლებდა, მრავალნაცადო. მე თვითონ ვავაგზავნე ტელემაქე უცხო თემად, რომ დარბაისელთა შორის თავი გამოეჩინა. უზრუნველად ზის იგი ატრევსინათა ოჯახში და გულწებიერად იღებენ. ეს კია, — სასიძოებს აყოლილი ითაკელი პაბუეკები კონცხთან ჩაუსაფრდნენ და სიკვდილს უმზადებენ, მაგრამ ვიცი, არ აღსრულდება ევე. უმალ მიწა უხამს პირს შენი სახლის იავარდმყოფელთ.

ეს უთხრა და კვერთხი შეახო ათინამ. მიუყეულად დამკენარ და დალეულ მოხუცად აქცია ოდისევსი. თმა გაუცვინა და ბრიალა თვალები ჩაუჭყო. წვირიანი ჯვალთით და ქვარტლით გამურული ქტიონთი შემოსა, ხოლო ზედ ირმის გაქუტული ტყაბუქი მოასხა. ხელში გოხი მისცა და დაგლეჯილი გუდა გადაჰკიდა მხარზე. შემდგომ ამისა განმორდნენ ურთიერთს. თვალსხივოსანი თვალმერთი ტელემაქეს მონახნახუნებლად მზიურ ლაკედემონს გაეშურა.

თავი XI V

ოდისევსმა ზურგი აქცია ყურეს და ციციბო ბილიკით მთას აუყვა. იქ, დაბურულ ტყეში, მისი ერთეული ყმა — მეღორე ემემოსი ცხოვრობდა, რომელიც ღღემდე თვადანებულად ემსახურებოდა თავის პატრონს და გულმოდგინედ ზრუნავდა მის საბადებელზე. ემემოსს ვაშლილ ადგილას, შემადლებულზე ედგა ქოხი. ოდისევსის წასვლის შემდეგ დედოფლისა და მონუცი ლავრტეს სიტყვას არც დალოდინებია, ისე შემორავდა ეზო: სარებად მუხინ ძელები ჩაარჭო, დიდრონი ლოდებით ყორე



ამაღლა და ზედ ეკალ-ჯაგი დაყარა. ეზოში ერთმანეთის მიჯრით თორმეტი საღორე ჩადგა. თითოეულში ორმოცდაათ-ორმოცდაათი ნეზვი იყო შერევილი, რომელთაც ახლახან დაეყარათ გოჭები. ტახები კი ეზოში ეყარნენ; შუთხელე-ბულიყო ტახების კოლტი, საშასამოცილა დარჩენილიყო, რადგან მეღორე ყოველდღე თითონასუქალი ბურვავს უგზავნიდა სასიძოვებს. ევემოსის მიერ გაწერონილი ოთხი მგლისახიანი ქოფაკი თეფორ იწვა და დარაჯობდა ეზოს.

ახლა ქოშართან იჯდა მეღორე და კარგად გამოქნილ ხარის ტყავს საქალამნედ ბანდავდა. სამი მეღორე ბიჭი სხვადასხვა ადგილას მწყევსავდა ღორების კოლტს, მეოთხე კი გულისუწვინდო ვაგვგზავნა ევემოსს ქალაქში, რომ გალაღებული სასიძოვებისათვის სანადიმოდ კარგად ნასუქალი ბურვავი მიეგვარა. სწორედ ამ დროს მოადგა ევემოსის ქონს ოდისევისი. უცხო კაცი რა დანიხავს, ვაგვებული ქოფაკები ყვეფთ მისცივიდნენ მოსულს. ოდისევისმა იმწამევე დაავდო ჯიხი და იქვე ჩამოხულა. მეტი გზა არც იყო, — ბიჭი რომ წაღებდა, უთუოდ დაგვადრდნენ ვაფთვარბული ძაღვები. ევემოსი უმაღლე წამოიჭრა, შოლტი მუხლიდან დაუცურდა, მაგრამ ქვას წამთავლო ხელი და ცახნით შეუტია ძაღვებს. ძაღვები რა მოუგერიან, ასე მიმართა სტუმარს:

— სულზე მოვისწარი, ბერიკაცო! კიდეც ცოტაც და, ჩემი მეყვრების წერა გახლებოდი და სირცხვილისაგან საღდა უნდა გამომეყო თავი? ვანგების ძალით ისედაც არ მაკლია ჭიარი. გულდარდინი მივსტირი ჩემს პატრონს, მის ხვასტაგს გულსუწვინოდ სხვას ვაჭმევ, ამ დროს კი, ვინ იცის, უგზო-უქვლოდ მოხეტიალეა და მშიერ-მწყურვალს ლექვაპური ენტარბოდეს, თუკი ღვთის წყალობით ცოცხალია და ჯერ კიდევ უშვებს პეილოსის ნათელს. მოდი, ქონში შემომეყ, ბერიკაცო! პური გავტეხთ, მერე კი შიამბე, სიიდან მოსულხარ და რა ვაგვირეებია.

ეს უთხრა და ქონისკენ წაუძღვა სტუმარს კეთილშობილი მეღორე. შინ შეიწვია, ქვერი ერთ ადგილას მოუქურა, ზედ თხისურის ნატი დაუფინა და დასვა. ვამა ოდისევისს გულლია მასპინძლის ქცევა. მადლიერმა ასეთი სიტყვა უთხრა:

— ასმაგად გადავიხადონ, მასპინძლო, ეს სიყვთე უქვდავმა ღმერთებმა.

ევემოსმა პასუხად მიუგო:

— სტუმარი ღვთისაა. თავად ზევსია მახვეწართა და ყარბთა შემწე. უქადრისად არავის დაგვედრებო და სხევებში არც შენ გამოგარჩევ. ბევრი კი არაფარი მაქვს, მაგრამ კეთილი გულით ვავიშასპინძლოთ. ახალუხლები ვაგვიბატონდნენ და მათი შიში გვაქვს ყმებს. ძველ პატრონს კი ღმერთებმა მოუტრეს შინდასაბრუნებელი გზა. დიდად მწყალობდა ჩემი

პატრონი: აქ რომ მყავდეს საბადებელსა დასაქმებულნი სახლ-კარს მიბოძებდა, დამაბინავებდა და ბევრ რისათვის სანატრელ ცოლს შემრთავდა. ვანა დაუქარავდა ვინმეს ამავს? მე ჩემდა თავად ერთითად ვავუმრაველ მობარებულს ხვასტავი. კიდეც მეტს მიითვლიდა, აქ რომ მოსწრებოდა სიბერეს. მაგრამ ვი რომ დაიღუპა ელეონას გამოისობით! ტყერი ვაქციე შეიწირა მავოჯახდასაქცევა ცენწმრავლე ილიონში! ჩემი მზრძანებელი იქ დაეცა ატრევისთან ღირსების დასაკავად მებრძოლი.

სიტყვა რა დაასრულა ევემოსმა, ქიტონის კალთები აიკეცა, საღორეში შევიდა, ორი გოჭი გამოარჩია, დავლა და ცეცხლზე გატრუსა. მერე ასო-ასო აქნა და შამფურებზე აავო. შემწვარი ხორცი ოდისევის მიართვა, ზედ ფქვილი მოუფრქვია, თავლა ღვინით კათხა შეუევსო და ტყბილი საუბრით შეიქცია:

— მიირთვი, სტუმარო! ეს არის, რაც მაქვს. მსუქან ბურვავებს სასიძოვები მიჭამენ. რა ჭქნა, ვაუმაძდარნი აიიან ეგ უუღმარათები. მაგრამ არ ეთევნათ ნეტარღმერთებს გულგაროზნი და თავგაზიღვნი. მართალთა და გონიერთ სწყდომენ ისინი. თავად მეკობრედაც კი, უცხო ქვეყანას რომ მოარბევენ ზოლმე და ზევსის შეწვევით ხომალდსავინი რომ ბრუნდებთან შინ, — შურისგების შიში არ ასვენებთ. ესენი კი, თითქოს ციური რომ ხმა მოსწვდენიათო ჩემი პატრონის სიკვილზე, თავს აბეზრებდნენ ქმარყოფამოვილო ჩვენს ედღოროზნი. მაგრამ არც წესისამებრ ნიშნებზე და არც ეშვებიან: დღედაღამ ღრეობენ მის სახლში და ქონებას უნადგურებენ. ზევსის დღე და ღამე ისე არ წარხდება, რომ საკლავი არ დაყლან და სხვისი ღვინით უღვინოდ არ გაიღვონ. თუმცა კი აუწონელი სიმიდღარის პატრონია ჩემი ბასილევსი: არც ზღვითავრემოცულ ითაკაზე, არც სხვაგან სადმე მასზე მდიდარი კაცი მე არ მეგულუბა. ოკი ბასილევსის ქონებას აიწონის მისი დღვლათი. ჩამოკითვლი, თუ ვინდა, მის საბადებელს: თორმეტი ხარავანი და ცხვრის ფარა დაუღის კუნწულგაღმა ხმელითზე, ამდენივე თხის არეც და ღორის კოლტი. თავისი ხალხი და მოჯამაგირენი უმწყემსავენ სტონელს. ამას გარდა თვით ითაკაში თხის თერთმეტი არეც ჰყავს ჩაბარებული მის ერთგულ ყმებს. მაგრამ მეტი ღონე არა გვაქვს: შეცა და ისინი ვამორჩეულ ხვასტაგს სასიძოვებს ვუგზავნი.

ოდისევისი უხმოლ შეეჭქეოდა გოჭის ხორცს და ზედ ღვინის აყოლებდა. მედგარი გული კი შურისძიებით ევსებოდა. ჭამდით სული რა მოიბრუნა და მომაგრდა, ევემოსმა ახლა პირამდე შეავსო თავისი ჯამი და სტუმარს მიაწოდა. სტუმარმა ხალხით დასცალა სასმისი, მერე კი ფრთხილად ჩაეკითხა:

აომაროსი
ოღისაა



— ერთი ეს გამავებინე, მასპინძლო, ვინ გიყიდა ან რა ფასად გიყიდეს? მართლა ასე შეძლებულია შენი პატრონი? წელანაც ხომ თქვი, ავამეზონის თანამდგომი იყო და ტროელებს შეაკვდაო მისთვის. წვრილად მიაბე უოველივე. ზევისი და სხვა უხილავნი დამემოწმებდნენ, რომ ნავალი კაცი ვარ, ბევრი მინახავს და, ვინ იცის, იქნებ შენს პატრონსაც გადლიყვიარა სადმე?

ასე უპასუხა ოდისევს მწყემსთა წინამდგომმა:

— ბევრი ყარიბი შემოხებტებულა ჩემს ქუძულსო, ბერიკაცო! რა არ უთქვამთ, რა არ მოუჩინაბათო ლუქმაპურისათვის, მაგრამ გზიანი ჯერ არაფერია დასცდენიათ. ვისაც კი ბედი ითაკებთ გადმოგადგებს, ყველა ჩემს დედოფალთან მიდის და ათასგვარი ჭორს უთყვება. უყვარს ჩემს ქალბატონს მათი გამოიკიხვა, უხვდაც ასაჩუქრებს და როგორც ქმარდაყარგულ მეუღლეს შეპყვრის, გულმდღღარედ სტირის მათ ნაამბობზე. შეენ, ჩემო კარგო, რას არ გამოიგონებ ახალ-ახალი ქიტონისა და მოსასხამისათვის, მაგრამ მწარე ის არის, რომ ჩემი ბედშავი პატრონის გულ-ღვიძლს ალბათ სადმე ძალღები და სევამეი ჯიჯჯნიან. ვინ იცის, იქნებ თევზებშიც შეპამეს და მის თეთრ ძეღებს ზღვის შლამი აფარია უყვეთავდაც დაიღუბა და სახლულესაც ვარამი დაუტოვა, მეტადრე კი მე. სადაც არ უნდა წაიღეს, ასეთ ტბილსა და მწყალობელ პატრონის ვერსად გიშვოვი, თუნდაც მამაპაეულ სახლს დაფებრუნდე. იცოდე, დედ-მამა ისე არ მენატრება, როგორც შორსდაღუბული ოდისევსი. ეპ, ჩემო სტუმარო, მისი სახლის ხხუნებაც კი მიმძიმს. სულ თვალწინ მდგას, — ჰე, ჩემო ოდისევს, ჩემო ძვირფასო-მეთქი, — პირზე მდგას, თითქოს აქ მეგულებოდეს სადმე ჩემი მზედავისილი პატრონი.

მრავალჭირნახულმა ოდისევსმა ასე მიუგო ეგემოსს:

— დიდი ურწმუნო ვინმე ყოფილხარ, ჩემო კეთილო! კაცი ვერაფერს დაგაჯერებს. ახლა ერთს გეტყვი და ფუქსიტყვაობაში ნუ ჩამოერთმევე. ფიციტ შემოგფიცავ, თუ ვინდა: მალე დაგაბრუნდება ღვთისნიერი შენი პატრონი! ამ კეთილი ამბისათვის ახლა არაფერს მოგთხოვ. მაშინდა მომეცი ახალი საბოსელი, როცა შენ სევბენდინერად მოგივა ოდისევსი. პადვისის კარიბქესავით მძულს ცრუმეტყველი კაცი, ლუქმაპურისათვის რომ ენად გაიკრიფება ხოლმე. ზევისის სახელს, ამ სუფრის მალღსა და ოდისევსის კერას გვეფიცები, რომ ვარდუვალად ახდება ეს ჩემი სიტყვა: ახალი მოვარე ჯერ არ იქნება დამდგარი, რომ კარზე მოგადგებათ ოდისევსი და შურს იძიებს იმათზე, ვისაც მისი მეუღლე და სანატრელი ძე შეუპირებება.

ასე მიუგო სტუმარს მწყემსთა წინამდგომმა — ვაი რომ ვერაფერს მიიღებ, მაგრამ ალარ უწერია ოდისევს შინ დაბრუნება. მშვიდად სვი ღვირო, სხვა ამბით შევიტყითო თავი. ნიღველს მიმატებს ჩემი პატრონის გახსენება. იმას რა აჯობებს, თუ კვლავ დაგვენახვება ოდისევსი, ჩვენც ხომ ვე გვინდა ყველას, — მეც, პენელოპესაც, მოზუც ლორტეს და დევისთა ტელემაქეს. მაგრამ მოეფიცი ფიცოილს, არაფერს გვავენებს ფუჭი იმედი. რაღაც ტელემაქეც მეყოფა — ოდისევსის პირში და ღმერთების კეთილი მორჩი. ვფიქრობდი, მამამისივით სახით ღვთისნასახსა და ვინით გონიერს მოვესწრებოდიო, მაგრამ ახლა ისიც დაგვეკარგა: რომელიღაც დაიბონმა შეაკატუნა და მამის საძებრად ქერიან პილოსს გაამგზავრა, ხოლო გულღვარეობიანი სასიძოვნი კონცხთან ჩასაფრებია, რომ ამოძიკვინო არკესიანთა ღვთაებრივი მოდგმა. რას ვიხამო, ჩვენს ხელთ არ არის მისი ხსნა. კრინიონიც იყოს მისი შემწე და ვფარველი! შენ შენი მიუთხარ, ბერიკაცო ვინ ხარ და სადაუფი ხარ? სად ვიდგას საშყოფელი, სად გყვანან მამა-პაპანი? საიდან მოხვდი ითაკებ? ვისი ხომალდით გულმოლახე ბობოქარი ზღვა? ფეხით ხომ არ მოადგებოდი ამ კუნძულს?

ასე მიუგო ცბიერმა ოდისევსმა მელორეს:

— ნება შენია, წვრილად გიამბობ ყოველფეს, ჩემო კეთილო. ოღონდ სასმელ-საქმელო ნუ მოგაკვლდება, თავზე ჭერი გვეხუროს, მზამზარეულზე ვისხდეთ და უზრუნველად შევეტყეოდეთ ტბილ ღვინოს. მთელი წელიც რომ ვისხდეთ ასე, ვევე, ყველფერი მოგიბნებო ბოლომდე, რაც უეფდავი ღმერთების განგებობა ვადამხლდობია თავს. ოქრომრავალ კონტაში მკვიდრობს ჩემი სახელგანთქმული გვარი. მდიდარი და სვიანი კაცის, ჰილაკანთ კასტორის შვილი ვარ მე. კანონიერი მეუღლისაგან სხვა ვეთიშვილები ვაყავა მას, მე კი, თუმცა ხარჭისნაშობი ვიყავი, მათ სწორად მივაჩნდი მამაჩემს. თავისი მდიდრისა და კეთილშობილი ვაჟების წყალობით ღვთის დარად იყო კასტორი პატრივებული კრეტელთა შორის, მაგრამ უღმობილმა მორიგებმა ჰადესს გაიტუმრეს იგი. ჩემმა ძმებმა წილი ჰყარეს და მამის მონაგარი თანაბრად გაიყვეს, მე კი მცირე არჩივი და მარტოოდენ მამისეული სახლ-კარი მარტუნეს. ჩემს სიჭველს, ვაეკაცობასა და ომში გულშეშობას უნდა ვემადლოდე, რომ უმდიდრესი გვარის ქალი შევირთე. ახლა რადა ჩემი სიცოცხელი, ბზესავითა ვარ ბედისაგან ნაღწეო! მაშინ კი არკისსა და ათინასაგან ხმალშეუვალობა მქონდა მომადლებული. ურჩეულს მეომრებთან ერთად ჩასაფრებულს სიცოცხლის შიში არ მეკარავებოდა: პირველი ამოვიტყებოდი ხოლმე საფარიდან და უწყალოდ ემუსრავდი ყველას, ვისაც კი და-



ვიცელთვები. მაგრამ ომში ასეთ შმაგსა და ფიცხელს საოჯახო საქმეზე გული არ მიმდინოდა, შინ ვერ ვერტყდებოდი. გული ნიდავ ზღვისკენ მიმიწევდა, მიყვარდა კეთილნაგები ხომალდი თარეში, ვრძელი, წვერმახი შუბები და პირწვერილი ფრთხილადი ქებიურები... მე ის მიყვარდა რაც ლემერებმა დაძაბოთლეს შობითანვე; სხვებს კი სხვა საქმე და სხვა საზრუნავი აქვთ!

ტროადის ომამდე ბარე ცხრაჯერ ავმხედრებულვარ სწრაფმავალ ხომალდებზე და დამილაშქრავს უცხო თემები. ბედი ჩემსკენ იყო მუდამ. ალფს ნებისაებრ ვირჩევდი და წილისყრითაც ბევრი მხედვებოდა. ასე გამომჩაყვდა ჰონება და კრეტაში სახელგანთქული და პატრივლბული შევიქნე. მაგრამ როცა შორითმაცრეტაში ზევსმა გმირთა დამღუპველ ილიონში წასვლა გადაგვიწყვიტა, კრეტლებმა მე და ერისთავარი ილომენესი ხომალდებითურთ გაგვგზავნეს ტროას. უარის თქმა არ ეგებოდა, რაკი ამას გვაპლემდა ხმა ღვთისა და ერისა. ცხრა წელი ვიბრძოდით ტროას ციხეგალავანს და მხოლოდ მეათე წელს დაეპყვიეთ აქავლებმა პრიამოსის დედა-ქალაქი. აქეთობისს ლემერებმა დაავიფანტეს თევზმრავლ ზღვაზე ხომალდები. შინდაბრუნებულს ერთი თვეც არ დამიყვია ცოლ-შვილში, რომ დაუდევარმა გულმა კვლავ სამეკობროდ გამიწია. ეგვიპტეში გასამგზავრებლად ცხრა ხომალდი აღვახებე, თავი მოვეუყარე გულად მეომრებს და ექვსი დღე ქეიფს ვეწვოდით. ბლომად ავრევე ხომალდებზე ხეასტავი, რომ საღვთო საკლავი და საგზალი არ მოგვეკლებოდა. მეშვიდე დღეს ბორეასმა რა დაამბერა, გავშლეთ აფრები და კრეტადან დავიძარით. ოთხი დღე უშფოთველად მივცურავდით ზღვაზე, თითქმის მდინარის დინებას მივყვებოდითო დაღმა. მეხუთე დღეს ეგვიპტის მშვენივრადმდენი ცისფერ მდინარეში შევეტურეთ, სადაც დავისადგურეთ კიდევ. თანამგზავრებს ვუბრძანე, ნაპირზე აეთრიათ ხომალდები და იქაურობა დაეზვერათ. მაგრამ ნადავლს დახარბებულები შეესიენ მონაპირე თემებს, მამრნი ამიხოცეს, დედა-წული კი ტყვედ წაშოასხეს. მათი განწირული ძახილი მიწვედა ქალაქს და ალიონზე ბრინჯაოთი შეჭურვილი მხედრები და ქეიონი მოგვივარდნენ. მეხისმტყორცნელმა ზევსმა გულში შოში ჩაუღვარა და აოტა ჩვენინებთ. ძალამისილნი ბრინჯაოს მახვილებით შემუსრეს ეგვიპტელებმა, ნაწილი კი მონებად წაასხეს. მეც გარდუვალი სიკვდილი მეწერა იქ, ეგვიპტის მიწაზე, მაგრამ ზევსის შთაგონებით ასე მოვიქციე: მზინვარე, უცხოლნაჰქედი მუზარადი და ფარშუბი დავყარე, ეგვიპტელთა ბელადის ეტლს მივეახლე, მუხლებში ჩავეყარე და ფეხებზე კოცუნა დაუწყე. შემივრდობა განწირული, ეტლ-

ზე ამიყვანა და ქალაქისაკენ გამაქანა. შუბმოდერგებულ ეგვიპტელი მგომრები მოსაკლავად დამედვენენ, მაგრამ მათმა მთავარმა დამიცვა და დამიფარა, რაკი მახევეწართა შემწე ზევსის რისხვისა ერიდებოდა. შვიდი წელი დავყავი მათთან. ეგვიპტელთავე უხვად დასაჩუქრებულმა დიდძალი ჰონება დავავაროვე, და მერვე წელი რა შემოიქცა, ერთმა გაქნილმა და გაიძვერა ფინიკელმა დამიყოლია, თავის ქვეყანაში წვეყოლოდი. მარწმუნებდა, დღევითი სავეს სახანი მაქვსო. ერთი წელი მასთან გავტარე წლის სწორს ცრუ დაპირებით მომალორა, ხომალდი მთელი ჩემი მონაგებით დაბატირითინა და ლიბიაში წამიყვანა; დოვლათის მიხვედა და ჩემი გაყვდა უნდოდა დიდ ფასად. არ ვენდემის სიტყვას, ყოლოთ კი მინც წაყვყვი. კეთილმა ბორეასმა დაპებრა და გაშლილ ზღვაში გავედით. კრეტას რომ ჩაუყარეთ და მარტოდენ ცასა და ზღვას შევრჩინე, მალღითმვრგვინავმა ჩვენი დაუღუვა განიზრახა და ხომალდს შავი ღრუბლები დააწია. უტუნი წყვიდადი ჩამოწვა ზღვაზე, ხომალდი დაღვა და იმავ წამსვე სასტიკი ქალიცონი ამოვარდა. ქარბორბლამ ბავრები დაუწყვიტა ხომალდს, აყრავებულმა ანამ ტენი გაასხმევინა მესაქეს და მყვინთავივით თავდაყირა გადაუშვა წყალში. მეხისმტყორცნელმა ზევსმაც დაიქუნა და მეხი დავვატეხა თავზე. ცეცხლის გორგალმა ზღვაში გადაყარა ნიხოსნები და განწირულნი ყორნებით ატივტივა ხომალდის ვარშემო. ქარშხალმა ძირში გადაამტვრია ანა და ფერდებო მოერღვა ხომალდს. ამ ძნელყოფის ვამს ისევ კრონიონმა შთამაგონა ჩავბლუქებოდი ხომალდის შიშველ ძირს. ცხრა დღე და დამე ასე დამაქანებდა ქალიცონი აბობრქებული ზღვის ზურგზე. მეათე დამეს ტალღებმა თესპროტების ქვეყანაში გამირიყეს.

გათოშილი და ქანცაწყვეტილი თესპროტელთა უფლისწულმა ზღვის ნაპირზე მიპოვნა, მომასულიერა და მამამისის სასახლეში მიმიყვანა. მათმა ბასილევსმა, გმირმა ფეიდონმა დოდის პატივით მიმიღო და ახალი სამოსელით შემოსა. იქ გავივე ოდისეისს ამახი. თავად ბასილევსმა მითხრა, სამშობლისაკენ მიმავალმა ჩემთან შემოიპოაო. მანვე მიჩვენა ოდისეისის მონახევი აუარაცელი საჰურბლე: ოქრო-ვერცხლი, ბრინჯაო და ძნელად საჰედი რკინა. ეს ქონება მეათე მუხლამდე ეყოფოდა ერთ საგვარეულოს. ოდისეისს თავისი ნადავლი ფეიდონისათვის მიებარებინა, თავად კი დოდონში წასულიყო, რომ დღეთაბრვი მუხისაგან ზევსის რჩევა მოესმინა, თუ როგორ დაბრუნებულიყო ამდენი ხნის უნახავ ითაკაში — ცხად-

ჰომეროსი
ოდისა



ლივ თუ იღუმაღ. ნადიმობისას, ზედამეს რომ უღვრიდა უკვდავ ღმერთებს, ფიციონი მეფიციებოდა, გამაზღებელი მუავსო ოდისევის ვასატუმრებლად ხომალდი და ნინბოსნებო.

მაგრამ უწინარეს მე გამისტუმრა ოქროყანოვან დუღიხიონში. ნინბოსნებს უბრძანა, ბასილევს აკასტესათვის მიეგვარათ ჩემი თავი. ამით კი ბოროტი იზრახეს: გავცილდით თუ არა თესპოტების კუნძულს, შავი დღე დამათვის: შემპიყრეს, ნაჩუქარი ქიტონი და მოსასხამი წამლეჩქეს და დაკონილი ჭვალო ჩამაცევს. თავდაც ხედავ, რაც მაკცია!

სალამო ხანს, შორითსაინიარი ითაკის კუნძულს რა მოვადქვით, კინოზე თოკებით მიმბეგს, თვითონ კი ნაპირზე გადავიდნენ და ვაზშობას შეუღდნენ. მაგრამ მოწყალე ღმერთებმა გრძელუდალ ამსნეს, სამოსი თავზე შემოვიგდენ, საჟის ღერძს მოვექვიდენ, ჩავცოციდი და როცა წყალი მკერდამდის მომწვდა, უჩუმრად გავცურე. ხომალდიდან მოშორებით ნაპირზე გავიდე და ხშირფოთლოვან მუხრანში მივიმაღე. დიდხანს ხეძებეს გუნებაწამბარმა ნინბოსნებმა, მერე ბელო ჩაიჭნიეს, ხომალდზე ავიდნენ და თავიანთ გზას გაუყუენენ. მე კი ღმერთების განგებით შენს სტუმართოყოყვარე ქერქვეშ მოეხვდი, — ღვთის ნებით ჭერ არ მიწერია სიკვდილი!

— ვაჰჰე, ჩემო პირნახულო სტუმარო! გული შემიძრა შენმა თავგადასავალმა. რალა არ დინახავს, რა არ გადაგბდომია თავს! მიხეც ვერ დამარწმუნეს: ოდისევსზე შენი მინაყოლი მეექვება. თუმცა დროული კაცი ხარ და ტყუილს რატომ ეკადრებდი! მე ერთი ვიცი: ღმერთებს მოუძღუდებიათ ჩემი პატრონი, არც ტროაში დალუბულა სახელგანდღე და არც მგებობრის მკლავზე დაუღევი ბრძოლის შემდეგ სული, — თორემ სამახსოვრო ბორცს აღუმართავდნენ პანაქაეღლი და მის მემკვიდრესაც სახელი შემატებოდა. მაგრამ ვაი რომ პარბიებისავან მოტაცებულს უსახელი სიკვდილი ხედა წილად! მე კი ასე, ღორში ვატარებ ჩემს წუთისოფელს, ქალაქად არ დავდივარ, თუ რომ დედუღუღამა ჩვენმა პენელეპიმ არ დამიხარა რამე ამბის შესატყობინებლად. ითაკაში მოსულ შორებელ-ახლობელთა გამოკითხვა უყვართ იმთავც, ვინც პატრონის დაკარგვასა სწუნს და იმათაც, ვინც არავფრად ენადღებდა მისი ქონების განუსჯელად გაპარტახება. ხოლო მე ხალისი დავკარგე გამოკითხვისა, რომ ერთმა ეტოლიელმა ტყუილითა და ჭორით მომიქონა თავი. კაცი შემოკვდომიდა იმ შეჩვენებულს, ბევრი ეხებოილან და ბოლოს მე შემომეკედლა. მეც გულლიად მივიღე. ის მეუბნებოდა, იდომენესთან ენახეთ კრეტაში შენი პატრონი ოდიესესი, ზღვაზე დაღუწილი ხომალდის შეკეთებას ელოდაო. მიმეღებდა, ამ ზაფხულს ან შემოდგომას უთოოდ ჩამოვყო თავისი მეგობ-

რბითურთ და დიდძალ ქონებას ჩამოტაცებულ ხომალდით. ჩემო ჭირგამოვილილო სტუმარო! თუმცაღა დამომინმა მოვიყვანა აჰ, ამ ზღაპრებით ვერც გამახარებდა ვერც გულს მოიგებ ჩემსას. შენი მინაყოლის გამო კი არ გვებ პატრეს, სტუმართმფარველი ზევისის რიდი მაქვს და ამიტომ მებრალბო.

ასე მიუტო ვემეოსს დედგონიერმა ოდისევმა:

— მერტმეტად ივენუელი ყოფილხარ, ჩემო კეთილო! ფიციოაც ვერ დავიმტყიცე ჩემი ნათქვამი. ახლა, მოდი, ასეთი პირობა დავდოთ მე და შენ. — ოლიმოელი ღმერთები იყვენენ ამის მოწმენი: უყეთ დავებრუნებება პატრონი, ქიტონსა და მოსასხამს მანუქებ და დუღიხიონს გამისტუმრებ. ხოლო უყეთ არ ახდება ჩემი სიტყვა, ციებაო კლდიდან გადაავდებინე ჩემი თავი მონა ქალებს, რომ ამბორიდან ყარბითავან ვერვინ გაბელოს თქვენი მოტყუება.

კეთილშობილმა მეღორემ მიუგო:
— რა კაცობა იქნება, ჩემს სახლში კეთილად სტუმარულს სული რომ აოფოართო? როგორღა გავტეხო პური ან როგორ დავუღვარო ზედამე კრონიონს? მოვეშვათ ამ ლაპარაკს, ვაზშობის დრომ მოაწია უკვე. მალე მობრუნდებან ჩემი მწყემსები და გემრიელ ვახშამს მოვაგზადებთ.

ასე მუსათფობდა სტუმარ-მასპინძელი. ამასობაში მწყემსებმაც მორეკეს ღორის კოლტი. აჰყვირებული პირტყევი რა დააბინვეს, ევმეოსმა ასე მიმართა მწყემსებს:

— საუყეთესო ტახი აჰომირჩიეთ, ბიჭებო, რომ შორითოსულ სტუმარს გავუმასპინძლდეთ და თავდაც შეევექეთ. მადლია ჩვენთვის, დიდი ჭაფა გვადგას თეთრეშვიანი ტახების მოვლაში. სხვები რომ გვიკამენ ურცხვად, ერთხელ ჩვენც შევივროთ ჩვენი ნაჭირ-მაგვი!

ეს თქვა და ბრინჯაოს მახვილი ცულოთ მოარები დააბო. მწყემსებმა ცეცხლთან მიუყვანეს დასუქალი ხეთრლიანი კერატი. ევმეოსმა საღვთო წესი არ დადიოყვა: ტახს ქეროდან ჯავარი ააჭრა. ცეცხლს მისცა და ოდისევისს დაბრუნება შესთხოვა ღმერთებს. მერე თავში მუხის ნაკოდი დაჭკრა და სული გააცხებინა პირტყეს, მწყემსებმა დაკვეს ტახი, გატრუსეს და გაფაშვეს. ევმეოსმა ნედლ ხორცს ქონის ნაჭრები შემოუწყყო, ზედ ქერის ფქვილი მოაფრქვია და ღმერთებისათვის ცეცხლადი დაუღო დასაწყველად. დარჩენილი ხორცი ასოასო აფესკეს, მწყემსებმა შამფურებზე წამოაგეს. შიშინა მწვადები სუფრაზე მიიტანა მწყემსთა წინამდგომმა და შეიდ წილობად დაინაწილა: ერთი ნაწილი ნიმფებას და ჰერმესს შესწირა, დანარჩენი კი მერინახებს ჩამოურთავა. შემდეგ სუკის უყეთესი ნაჭერი მიართვა ოდისევს,



როცა დიდად გაახარა პატრონის გული. ნამეხმა ოდისევმა მადლი მოახსენა მელორეს:
— ისე გაგახარონ, — ევმეოს, ღმერთებმა; როგორც მე გამახარე ახლა! ზეცსმა გადაგიხადოს ჩემი პატივისცემა!

კეთილშობილმა მელორემ მიუთო:
— მიირთო, ბედშაგო ცაცო! შეეგვრავს ღვთის ბოძებული ეს ჰამაიდი ღმერთები ხან რას გეიწყალობებენ და ხან რას, — ყოვლისშემძლენი არიან უკვდავნი!

ევმეოსმა საღვთო დაწვა და ზედაშე დაუღვარა უკვდავ ღმერთებს; შემდეგ საზედაშო ბარძიმი ოდისევს მიაწოდა. მწყემსმა ბიჭმა, მესავლიოსმა პური გატეხა და მინახეთ დაუნაწილა. ეს მესავლიოსი ოდისევსი აქ არაფერისას დედოფლისა და მოხუცი ლაერთეს უკითხავდ ეყიდა ევმეოსს ტავოსელთაგან.

პურობა დაიწყეს. სმა-ჰამით გული რა იჯერეს, მესავლიოსმა სუფრა ალაგა, და ყველანი მოსასვენებლად მოემზადნენ. უმთვარო, ქუფრი ღამე ჩამოღდა. ზეცის ნაღვარი ესხმებოდა დედამიწას და ცივი, უმჟური ქალიონი უბერავდა გამუღმებოთ.

ოდისევს უნდოდა გამოეცადა მსზე ასერიგად მზრუნველი ევმეოსი, ფიქრობდა — აქცევ ღამეში ნეტავ გაიმეტებს ჩემთვის მოსახამს თუ სხვას მოაციმინებსო, — და ამიტომ იგავდა ასეთი რამ უამბო:

— ყური დამივლეთ, ჩემო კეთილო ევმეოს და თქვენც, ერთგულო მწყემსებო! ერთ რასმე მოგეცემა და კეენაში ნუ ჩამოშორდით. ღვინო ჰქუას აარკვივინეს კაცს, თავად დარბისელსაც ამღერებს და აარკვეებს ხოლმე, და ისეთ სიტყვას წამოაცდენინებს ზოგჯერ, რისი თქმაც არა ხამს. მეც რაკი შევთვერი და ლაპარაკის საღერღლი ამეშალა, არ დაგიმავლეთ ერთ ამბავს: მაშინ ტროას მისადგომებთან ვიდექით აქაველთა სამი სარდალი — მენელოსი, ოდისევსი და მე. მათგან წვეული მივედი და ჩვენ-ჩვენი მეომრებითურთ ილიონის კედლებთან ლელიანში ჩავსაფრდი. ავბელითი ღამე ჩამოწვა, მოთოვა. მერე მრისხანე ბორცსამაც დაბერა და სუსხმა ძვალრბილში გაგატანა. ქირხლი თეთრად შეეყინა ღვთისა. თბილ მოსასხამებში გახვეულ მეომრებს ფარები წაებურათ და ბრძოლის მოლოდინში უღრტინეწვლად ექიანათ. მე კი, უგუნურმა, ჩემი თბილი მოსასხამი საფარში წამოსვლისას მეგობრებს დაუტოვე, — ვერ მოვიწახურე, რომ ფარის, ქიტონისა და სარტყელის ამარა დარჩენილი სუსხიან ღამეში გავიყინებოდი.

ღამის მესამე სახმილავზე, როცა ვარსკვლავები ცაზე გადაიდნენ, ჩემს გვერდით მწორობდა ოდისევსს მხარი წაქვარ:

— ზეცის ნაშვირო, ვერ გავაწე ამ ღამეს, ყინვა მომავლობს უმოსასხამოდ. ალბათ რომელიღაც ავმა დაიბონნა შემაკდინა, ქიტონის ამარა რომ წამოვედი. სასტიკ სიყვლილს ვეღარსად წაუტვალ!

ეს გაუუხილე ოდისევსს და მანაც, როგორც სჩვეოდა, უმაღვე ნახა გამოსავალი. სუო, — მიხურჩულა, — თანამებრძოლებმა არ გავიგონო! მერე იდაყვზე წამოიწია და ხმამალა გასძახა აქველებს:

— ცუდი სიზმარი მესიზმრა წელან, მოყმენო! თითქოს შორს ვყოფილიყოთ ხომალდებისგან. ვინმე უნდა გამეპოროს ავამომონთან, ეგების მამველი დავგახმაროს!

მაშინ წამოღდა ანდრემონის ძე, მკვირცხლი თოსი. ძიწისფერი მოსასხამი გადაიძრო და მყისვე გაშურა ხომალდებისკენ. მე კი გახარებულნი მის მოსასხამში გავეხვიე და ოქროსტახტოვანი ეოსის გამოჩენამდე მშვილად შეძინა. ეპ, წინანდებურად ჰუბუკი და ძალგულოვანი რომ ვიყო, განა ვინმე დამიკავებდა მოსასხამს? ახლა კი, ჩამოძონძილსა და დაბეჩავებულ ბერიკაცს ვინ მიაგებს პატივს?

ასე უპასუხა მრავალღონე ოდისევსს კეთილშობილმა მელორემ:

— მომწონს შენი ნაუბარი, სტუმარო, ურიგო არაფერი გიკადრებია. ნუ გეშინია, არა მოგაკლდება რა, არც სამოსი არც სხვა რამ. ამაღამ ჩემი მოსასხამი გეხუროს, დილით კისევ შენსას ჩაიცმევ. თითო ხელი ტანისამოსი გვაქვს მწყემსებს. როცა ოდისევსის სანატრელი ძე, ტელემაქე, დაბრუნდება, თავად გიბოძებს ქიტონს, მოსასხამს და სხვა სამოსელსაც. შენ შენს ზახს გავისტუმრებს.

ეს თქვა და წამოღდა ევმეოსი. სტუმარს ცხვრისა და თხის ტყავები დაუგო კერიასთან, დააწვინა და ზედ საწამთროდ გადანახული თავისი ხშირმატყლიანი თხისურის მოსასხამი გადაახურა. იქვე, ოდისევსთან მიწვენენ ჰაბუკი მწყემსები. თავად ევმეოსი ქობიანად გავიდა: გაჩეთ დარჩენილი ტახტის დარდი აწუხებდა. ეამა ოდისევსს, მის ხვასტაგს ასე თავგამოდებით რომ უფლიდა ერთგული მელორე.

ევმეოსმა ძლიერ მხრებზე მოსასხამი მოისხა. ზედ ტყავფერი მოიგდო, მგელთა და ავაზაკთა მოსავეერიგებლად ხელი შუბი იპყრა და სწრაფად გასწია. იქით, სადაც მყუდროში, ქარისაგან თავშეფარებულ მის თეთრეშვიან კოლტს ექიან.

ძმობაძრწულიდან თარგმნის
ზურაბ აიხანაძე, თამაზ ჩხენკელი.



დემონარო ჯუდაბაშვილი

საქართველოთი მოხიბლულნი

ქართული კულტურის ენთუზიასტმა, ილიკო ქურხულმა თითქმის მთელი მსოფლიო შემოიარა და საქართველოს სახელი ქვეყანას მოჰყინა.

იგი ყველას უამბობდა საქართველოს დიად წარსულზე, ნათელ აწყობას და ბედნიერ მომავალზე. მან მეორე სამშობლოდ ბულგარეთი აღიარა, რადგან ქართველი ერისადმი უანგარო სიყვარული ბულგარულ ხალხში მძაფრად შეიგრძნო.

ოღითვან დამკვიდრებულმა ბულგარეთ-საქართველოს სულიერმა სიახლოვემ და მეგობრობამ შთააგონა ილიკო ქურხულს, ღრმად ჩასწვდომოდა ბულგარელი ხალხის გმირულ ისტორიას, შეესწავლა მისი ყოფა-ცხოვრება და მოსიყვარულ ბულგარელებისათვის თავისი გულის კარი გაეღო. ამ მიზნით იგი ბულგარეთის ერთ-ერთ სოფელში დასახლდა და წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით შეუდგა თავისი მიზნების განხორციელებას. მას ბულგარულ ხალხამდე მიჰქონდა ქართული სიტყვის ქურუმების — შოთას, ილიას, აკაის, ვეპას და სხვათა ნაწარმოებების სიმშვენიერე და ჩვენი მელიოდის მომაფადებელი, მრავალხმიანი ჰანგები, რამაც ბულგარელების ყურადღება და აღიარება მოიპოვა.

ბულგარელი ახალგაზრდობა ცხოველი ინტერესით შეუდგა ქართული კულტურის გაცნობასა და შესწავლას.

ამგვარი კეთილშობილოტი საქმის სისტემატურ განხორციელებას ქურხულმა საფუძველი ჩაუყარა ქალაქ სვილენშიც.

საქართველოს კულტურის შესახებ ქურხულმა დაწერა საინტერესო წიგნი: «გარსკვალვითა კასკაშზე, ბულბულთა ენაზე და ლაქვარდ საქართველოზე» და 1924 წელს, ბულგარულ ენაზე გამოსცა სოფიაში. თუ რა დი-

დი ინტერესი გამოიწვია ამ წიგნმა, ნათლად მოწმობს ის წინასიტყვაობა, რომელიც დაწერილია რედაქტორის, სტოიან ბაიროვის მიერ (სტოიან ბაიროვი რედაქტორობდა ბულგარულ გაზეთ — «ახალ საზოგადოებას» («Ново общество»).

«ილიკო ქურხულის წიგნი რომელსაც «ახალი საზოგადოება» ბეჭდავს და სთავაზობს მკითხველს, — წერს ს. ბაიროვი, — ავტორის მიერ მრავალჯერ ნაამბობია სოფლებსა და ქალაქებში... სკოლებში, ყრილობებზე, მოედნებზე, საპატიმროებსა და ყველგან, სადაც კი იგი ატარებს მოხსენებებს და აწყობს დამოსვლებს.

ქართველი კაცი, წერს ხალხზე და ხალხისათვის, ტანჯული, ჩაგრული მშრომელებისათვის. ქურხული დადის მთელ მსოფლიოში და თანაბარი სიყვარულითა და თანაგრძნობით შრომობს ყველა ეროვნებისათვის.

საქართველომ, რომელსაც იგი დედას უწოდებს, ჩაუნერგა მას უმაღლესი სურვილები და იდეალები ჩაგრული ხალხის საკეთილდღეოდ.

რასაკვირველია, ზოგიერთი ლეგენდა ბავშვობაში, დედისაგან მოუსმენია, მაგრამ მაღალ მისწრაფებასა და სულიერ მოთხოვნებზე მის უკარნახეს ლეგვარდ ცამდე ზეატორცინილმა თეთრქოჩორა კლდეებმა, უმანკო მთებმა, მოკისკისე ნაკადულებმა, მდინარეებმა და, საერთოდ, ამ თვალწარმატებამ ლეგენდარულმა სილამაზემ, რომლითაც შემკულია საქართველო.

ილიკო ქურხული «ახალი საზოგადოებისათვის» თავგანწირული მებრძოლია და მუშაობს წყნარად, თავმდაბლად, შეუმჩინებლად, მაგრამ მისი მუსიკა, ლეგენდები და პედაგოგიური მიდგომები თვალსაჩინო და ძლიერია.

იგი ყველგან იპყრობს მსმენელთა გულსა და



სულს, ხალხში ნერვებს და აღვივებს კეთილ-
შობილურ მოთხოვნებს. მართალია, ილი-
კო ქურხულის ძალა მის ცოცხალ სიტყვებსა
და მუსიკაშია, მაგრამ ეს წიგნიც დიდი აღ-
მზრდელი თვისებისა და ღირსებისა.

წიგნის ავტორი — ილიკო ქურხული წარ-
მოშობით ქართველია, თბილისელი. 1912 წლი-
დან ხალხშია, სადაც მისი სახელი საქმოდ
ცნობილია. რუსეთში მას ძალიან აფასებენ,
უყვართ, მითი ამაყობენ კიდევ, მაგრამ იგი
მსოფლიო, მახლობლად მუსიკოსისა და იმდენადვე
ეკლესიის ბულგარეთის, რამდენადაც საქარ-
თველოს.

დღეს მთელი მსოფლიო დიდი ამოცანის
წინაშე დგას — „ახალი საზოგადოების“ აწე-
ნებას ფარობს. დედამიწაზე უნდა დამყარდეს
მშვიდობიანობა, სოლიდარობა და ძმობა ყვე-
ლა ერებს შორის. ბუნებრივია, ჩვენც უნდა
მივცეთ ჩვენი ხელი ყველა ამგვარი, ბრწყინ-
ვალ და უმადლესი იდეალების მოციქუ-
ლებს...“

წიგნის ერთ-ერთი განყოფილება, რომელ-
საც ჰქვია — „მონათხრობი ლაქვარ საქარ-
თველზე“, იწყება საქართველოს შესახებ
მოკლე ისტორიულ-გეოგრაფიული ექსკურს-
სით. აქ მკითხველის ყურადღება გამახვილე-
ბულია შვიი ზღვის შინაშენლოვან ნავსად-
გურ ბაიუმზე, ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა-
დროინდელ სახელწოდების განმარტებებზე
(კოლხიდა, ივერია, საქართველო) და მათ
უცხო გამოთქმებზე.

აქვე დაბეჭდილია ქართული ანბანი. ასოე-
ბი — ქ, თ, ჯ, დ, წ, ყ, კ, ჰ, რომელთა მსგავ-
სი სლავურ ენებში არ გვხვდება, სათანადოდ
ახსნილი და განმარტებულია.

ქართული დამწერლობის ნიმუშის თვალსა-
ჩინოებისათვის მოტანილია რამდენიმე მაგა-
ლითი (საქართველო, ბულგარეთი, სოციალიზ-
მი, დემოკრატია), რომელთაც ერთვის სათანა-
დო გამოთქმები ბულგარულ ენაზე.

ჩვენი კულტურის კარდინალურ საკითხებს
შორის წიგნში დაბეჭდილია საგულისხმო ან-
ოტაგია საქართველოს მომხიბლავ ბუნებაზე:
„ჩვენი ქვეყანა ხიზლავს ადამიანს თავისი
უხვი და წარმტაცი ტყეებით, მთებით, ხეობა-
ებით, ველებით; მიუხედავად ამისა, საქართვე-
ლო მეტწილად მაინც მთავორიანია.“

ამ შესანიშნავ ბუნებას ხოტბას ასხამენ და
ატკობენ თავიანთი სიმღერა-გალობით ფრინ-
ველები, ნაყადულაბი და თვით ბუნებაც უხ-
ვად არხებს ჰანგებს. მათ გარდა ამ ქვეყანა-
ეტრთვიან მგრძნობიარე, მოსიყვარულე პოეტე-
ბი“.

ამის ნათესაყოფად ავტორის მოჰყავს გიორ-
გი ქუჩიშვილის ცნობილი პატრიოტული ლე-
ქსი, რომელიც დაბეჭდილია ქართულად და
იქვე მოტანილია ბულგარული პროზაული
თარგმანი.

**ვინც ეწვევა საქართველოს
საივნიერ სერებს, —
სიღვრავ რომ არ იცოდეს,
მაინც დაიძვრება!**
ვინც მისწვდება ჩემი მთების
მწვერვალებს და ღრუბლებს, —
ისიც მაგონად გარდქმევა,
ღმერთთან ისაუბრებს!

წიგნში განხილულ ქართული კულტურის
მსოფლიო მნიშვნელობის საკითხებთან ერთად
მკითხველის ყურადღება გამახვილებულია
ჩვენს ეროვნულ სიამაყეზე — შოთა რუსთა-
ველზე, მსოფლიო მასშტაბის მწვერვალზე
და კომპოზიტორებზე, რომელნიც გენიალური
ქართველი მგოსნის გვერდით არიან მოხსენე-
ბულნი.

საგულისხმოა, რომ სისტემატურ ცნობებს
ქართულ კულტურაზე და ახსნა-განმარტებებს
„ვეფხისტყაოსანზე“, ბულგარულ საზოგადოე-
ბრიობას აწვდიდა ქართველი ავტორი.

თავისი ნაყოფიერი მოღვაწეობის დროს,
ქურხულმა სავეფელი ჩაუყარა დამწყებ ბუ-
ლგარულ პოეტთა შორის რუსთაველის
„ღვთაებრივი პოემის“¹ პოპულარიზაციას და
მისი გაცნობის საქმეს.

მისმა ნაყოფიერმა ლექციებმა და მოხსენე-
ბებმა ქართულ კულტურასა და ჩვენს სა-
ქაღლო მგოსანზე სასარგებლო ნაყოფი გამო-
იღო, რის შედეგადაც ბულგარული აუდიტორია
დინტერესდა რუსთაველის გენიალური
პოემით.

ქართველი კაცის ღვაწლით და ამ წიგნით
მოხილულმა პროფესორმა პეტკო ციანევმა
მიიწვია ქურხული უნივერსიტეტში და თავი-
ისი სალექციო საათები ფილოლოგიის ფაკულ-
ტეტის მეოთხე კურსზე საქართველოს კულტურის
და უმთავრესად მწვერლობის გაცნობას და
შესწავლას დაუთმო. შინაარსიანმა წიგნმა სა-
ქართველოზე მეორე ცნობილი ბულგარული
მოღვაწისა და პედაგოგის მიხეილ გერასკოს
ყურადღებაც მიიპყრო, რომელიც ბულგარულ
ოფიციალურ წიგნებში ხოტბას ასხამდა ბულგარულ
ენაში უკვე ცნობილ და სახელმწიფოებრივ მო-
ღვაწეს ილიკო ქურხულს. მისივე დაყენებით
მოთხოვნი ქურხული მიიწვიეს მასწავლებლად
ხარმანლიის პედაგოგიურ უმაღლეს სას-
წავლებელში. ამ პატრიოტულ ფაქტს ბულგარეთის
განათლების სამინისტროც კმაყოფი-
ლებით შეხვედრია.

ქართველ მოამაგის სასარგებლო, ორიგინალური
შემოქმედებით დაინტერესდნენ ბულ-

¹ ასე უწოდებდნენ ბულგარელები „ვეფხისტყაოსანს“.

ლეონარდო ჯუზაპაშვილი
საქართველოში მონივრულნი

გარეთის ოფიციალური წრეები. მას უბოძეს სათანადო ოფიციალური ნებართვა, ე. წ. „უკუ-გების ფურცელი“ (№ 22428, 1922/28-X), რომელიც მას შემდგომი მოღვაწეობის უფლებას ანიჭებდა.

ბულგარეთის იუსტიციის სამინისტრომ ქუჩულს ნება დართო პატიმრებში მუსიკალურ-საგანმანათლებლო საუბრები ჩაეტარებინა. „ძია ილიკო“ ხალხთა საკრებულოების და მანუალებელთა კონფერენციების ხშირი სტუმარიც იყო. მას ხშირად იწვევდნენ სხვადასხვა დაწესებულებებში — ქართული მუსიკის შესახებ მოხსენებების გასაკეთებლად.

ვაზეთ «Зорница» 1926 წლის, № 24-ში და მთელ რიგ ჟურნალ-გაზეთებში დაბეჭდილია წერილები, სტატიები, რეცენზიები, შთაბეჭდილებები ქართველი კაცის მოღვაწეობაზე ბულგარეთში. ძალზე საყურადღებოა ერთ-ერთი მათგანი დაწერილი დონ ხეჩოუსის მიერ, რომელშიაც ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს ჩვენი თანამემამულის ნაყოფიერ და ორიგინალურ მოღვაწეობას...

ბულგარეთში ყოფნის დროს ქუჩულს დასრულება ახალგაზრდების ლიხსი და დამტკბარა ძველ ბალკანეთში გავრცელებული მომხიბლავი „ენტიმი ცეკვით“. დანიტერესებულა ამით და გაუგია, რომ თავდაპირველად ამ ცეკვას თურმე რუმინეთში ასრულებდნენ, შემდეგ ბულგარელებს გადამოუღიათ. „ანთიმი“ (ანუ დამახინჯებული „ენტიმი ცეკვა“, ჩვეულებრივი ფერხულ-ხორუმის მსგავსი ყოფილა. იგი ქუჩულს გულმოდგინედ შეუსწავლია და დამიტრია არაყიშვილისათვის გაუცნია. კომპოზიტორი დანიტერესებულა ამ ისტორიულ-ქარიოგრაფიული ფაქტით და გამოთქვამს ჭრი „ანთიმი ცეკვა“ შეიძლება ახლაც სადმე შემონახული იყოსო. ანთიმი (ანთიმოზ) ივერიელი, ძველად ბალკანეთში დიდგავლენიანი პიროვნება იყო და მის სიცოცხლეში ხალხს, მისდამი პატივისცემისა და სიყვარულის ნიშნად, ქართულის ზეგავლენით, ცეკვები და სიმღერები შეუთხზავს...”

საფიქრებელია, რომ დიდი ანთიმოზის კარზე მის სიცოცხლეშივე სხვა გასართობთა შორის ქართული სიმღერები და ცეკვები სრულდებოდა, ხოლო ქუჩულის მიერ ნახული და შესწავლილი ცეკვა მისი ნაშთი იყოს.

ჩანს, ცეკვებს თავდაპირველად საეპისკოპოსო კარზე და საეკლესიო უძემ დღეობით ასრულებდნენ ჭერ ვლახეთში (რუმინეთი), ხოლო დროთა განმავლობაში იგი რუმინეთის ფარგლებს გასცდა და ბულგარეთშიც გადავიდა. თავის მრავალმხრივ, ნაყოფიერ მოღვაწეობასთან ერთად ილიკო ქუჩულმა თავისებურად ააღდგრა დიდი ბულგარული პოეტების ხრისტო ბოტევის და ივანე ვაზოვის რეჟიმული რეჟისაზე შეთხზული მელიოდები,

რომლებსაც გუდასტირებ ასრულებდა ხშირად სიარულის დროს...

აღნიშნული წიგნის ეგზემპლარები განთავსებულია საქართველოს მუსიკალური მემკვიდრეობის ცენტრში, რომელიც შეიქმნა და ამით უფრო მეტად გააღრმავა ოდიდან დამკვიდრებული ტრადიციული ურთიერთობა, სიხლოვე და სიყვარული.

გალაქციონ ტაბიძე, გიორგი ქუჩიშვილი და სხვები კმაყოფილებით შეხვდნენ თავისი თანამემამულის მოღვაწეობას ქართველთა მოსიყვარულე მხარეში და სიხარული გამოთქვეს, როდესაც ილიკო ქუჩულსისაგან გამოგზავნილი წიგნები მიიღეს.

ბულგარეთში გაგზავნილ ბარათში გალაქციონი თავის მეგობარ ილიკოს წერდა:

„ჩემო კეთილი ილოჯანო. მომწონს ეგ საქმე და მახარებს შენი კეთილშობილური დეაწლი მოძმე ბულგარეთში... აბა, შენ იცი, როგორც მთავრად ჩვენს თავს ქართველების მოსიყვარულე ბულგარელებს“.

გალაქციონი.

ილიკო ქუჩულსს მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა დამიტრი არაყიშვილთან. და მასთან საუბრისას „საქართველოს მეზობელს“ გაუმახვილებია კომპოზიტორის ყურადღება იმაზე, რომ მას ბულგარეთში ქართული სიმღერები მოუხმენია და მათ შორის ოდნავ გადასხვაფარებული ქართული „ჩონგური“ ბულგარული ხალხური საკრავის ბარბოთის, ანუ მუნდის თანხლებით...

ბულგარულ მუსიკისმოცოდნე ცნოცო პოპოვის სიტყვით, ქართული მელიოდა „ჩონგური“ თავისი ივეური ზემოქმედების ძალით ღრმად შეჭრილა ბულგარელების სულსა და გულში. მერე მტკიცედ დამკვიდრებულა კიდევ და ბულგარეთში ისეთი პოპულარობით სარგებლობდა თურმე, რომ მას დობრი ჩინტულციის სიუეტებზე შექმნილ ცნობილ ბულგარულ სიმღერასა („აღსდევ, ბალკანელ ჭაბუკო“) და ლეკენდარულ გმირ ჩაღდარზე შეთხზულ პაილდურ სიმღერასთან ერთად მღეროდნენ. ეს სიმღერა ჩვენებურ „არსენა ოქლაშვილის“ სიმღერას გვაგონებს.

თავისი ნაყოფიერი მოღვაწეობის პერიოდში ქართველი მენესტრელი სწვევია პეტრიწონის სავანეს (ბაჩკოვის ცნობილი ქართული მონასტერი თავისი სემინარიით), საშუალო საუკუნეების ქართული მატერიალური კულტურის მსოფლიო ძეგლს, რომელიც გაშენებულია მდინარე ჩაიას-ჩაპელარის (ჩაპელარსკა რეკა) მარჯვენე ულამაზესი როდობის ხეობის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე. სავანეს კარიმიდამო ზეატყორცნილი მთების ზავერდოვან უნავიშოა ჩასამული. ამ შესანიშნავ მდელიშო

1 ცნობები მოგვაწოდა გალაქციონ ტაბიძემ.

განცხრომისათვის თავმოყრილი ბულგარელები ეროვნულ სიმღერებთან ერთად ასრულებდნენ პოპულარულ ქართულ სიმღერას „სულიკო“.

ქურხული გაცნობია მომღერალთა ჯგუფს, უამბნია მათთვის „სულიკოს“ თავგადასავალი. სიმღერის შემსრულებელთა შორის მოსწონებია სტელა რადევის და რაიჩო დინევის ხმები, რომლებიც დიდი გრძნობით ასრულებდნენ ჩვენს შესანიშნავ სიმღერას. თანაც გაუმახვილებია მათი ყურადღება ამ სიმღერის შესრულების თავისებურებაზე და სასარგებლო მითითებები მიუცია...

პეტრიწონის გარდა ქურხულს „სულიკო“ მოუხმენია ბულგარეთის სოფლებსა და ქალაქებში, და ყველგან, სადაც კი ყოფილა, ჩვენს მშობლიურ კულტურაზე თავისი მაღლიანი სიტყვა უთქვამს.

აკად. ნ. ბერძენიშვილი ბულგარეთში ყოფნისას შეხვედრია ქურხულის ბულგარულ მებობრებს (მათ შორის იყო გეორგი დიმიტროვიცივიენლსკი), რომელნიც მასთან საგანგებოდ

მოსულან და ქართველებისადმი სიყვარულის ნიშნად მოუგონებიათ ჩვენი თანამემამულის მაღლიანი ღვაწლი და უჩვენებიათ ფოტოსურათები, რომელზედაც ქურხული აღბეჭდილია თავის მეგობრებთან — ბულგარულ მწერლებთან, პედაგოგებთან და მსახიობებთან. ერთ-ერთ მათგანზე ქურხული ასახულია თავის მეგობრებთან, ცნობილ ბულგარულ მოღვაწესთან ვიოლინო პრიმოსთან, რომელიც მოხიბლული იყო „სულიკოთი“.

„სულიკოს“ პოპულარიზაცია იმდენად დიდი იყო, რომ გერმანელ-ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ომის დროს ეს ქართული სიმღერა (ლ. ჯ.) ბულგარულ კომუნისტთა ჰიმნი ყოფილა. დღესაც ჩვენი დიდებული მელოდია ორი მოქმე ხალხის გრძნობების მაკავშირებელი და მაუწყებელია.

ქართველი კაცის მაღლიანმა ღვაწლმა მოძმე ბულგარეთში სასარგებლო საქმე გააქეთა და მშვენიერი ნაყოფი გამოიღო.



ზურაბ ჩხენკელი

„ბუნებრივები“ ქართულად

ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ უცილობელი ფაქტია, რომ თანამედროვეობის ისეთი დიდი შემოქმედელი, როგორც თომას მანია, რატომღაც ჩვენში არ სარგებლობს პოპულარობით. ზემონათქვამი სრულებითაც არ ნიშნავს, რომ თითქოს ქართველი მკითხველი არ იცნობდეს ამ სახელმძღვანელო მწერალს, ან მის საქვეყნოდ ცნობილ რომანებს. ინტერესი თ. მანის ლიტერატურული მემკვიდრეობის მიმართ საქართველოში საკმაოდ დიდია და მრავალ წელსაც მოითვლის. ამიტომ მით უმეტეს გაუგებარია ჩვენი მთარგმნელებისა და გამომცემლობების „გულგრილობა“, როცა საქმე ეხება „ჯადოსნური მთის“, „დოქტორ ფაუსტუსის“ ან რომელიმე სხვა მნიშვნელოვანი ნაწარმოების თარგმნას. ამ ცოტა ხნის წინაა „ბუნებრივებიც“ მათ რიცხვში იყო და ქართველი საზოგადოებრიობა მხოლოდ რუსულ ან გერმანულ ენაზე თუ ეცნობოდა რომანს, რომელიც ყველა კულტურული ერის ენაზეა თარგმნილი და რომელსაც მსოფლიო კლასიკური ლიტერატურის საგანძურში ერთ-ერთი საპატიო ადგილი უკავია.

სიმაართე მოითხოვს და უნდა ითქვას, რომ თომას მანი არ არის სათარგმნელად „ადვილი“ მწერალი. თარგმნის პროცესში მთარგმნელი ისეა ნაწარმოების შინაარსით გარემოცული, ისე მკვეთრად განიცდის მწერლის ნააზრვის ზემოქმედებას, განსაკუთრებული რიდი და კრძალვით ეცილება ყოველ ფრაზას, ყოველ ეპითეტს, ვინაიდან, ადვილი შესაძლებელია, რომ სულ ოდნავმა გარეგნულმა ცვალებადობამ შინაარსობრივ სხვადასხვაობაზე მიგვიყვანოს. თ. მანის უსასწევლოდ გრძელ წინადადებებზე თავისი კონსტრუქციით, სიტყვათმონაცველობით უმკაცრეს ლოგიკურ თანმიმდევრობას მოითხოვს მთარგმნელისაგან. მწერალი არავითარ გასაქანს არ აძლევს მთარგმნელს. მას თითქოს ვანგებ შეაქვს ყოველად უბრალო, უფერულ სიტყვებში განუმეორებლობის, ღრმააზროვნებისა და კონკრეტულობის ელემენტი, რომელთა ერთობლიობა თითქმის შეუძლებელს ხდის მის წინადადებებ-

ში ერთი სიტყვის გამოცდებს, ან ჩამატებას, რადგან შემდგომ, მომდევნო ეტაპზე შეიძლება ამ სიტყვამ ვადაშეყვეტი როლი ითამაშოს. ამას თავადაც კარგად გრძნობდა თ. მანი და ამ მოსაზრებამ, ცხადია, გარკვეული როლი ითამაშა მის მიერ მთარგმნელის საქმიანობის შეფასებაში. „პოეტური ქმნილების სხვა ენაზე თარგმნა შეუძლებელია. ეს ფაქტი უკვე დიდი ხანია აღიარებულია, მაგრამ ვინ იცის, იქნებ ეს აზრი მაღალი პროზის მიმართაც სწორი იყოს? თარგმანში. ხომ იკარგება მისი ბუნებრივობა, ირლევარიტი, იკარგება ყველა ფაქტი, ნიუანსი, უფრო მეტიც, ნაწარმოების შინაგანი მიზანსწრაფვა. სულიერი წყობა და იდეური ჩანაფიქრიც კი ისე მახინჯდება, რომ მისი ცნობაც კი ჭირს, მახინჯდება სრულ გაუგებრობამდე, თუმცა მთარგმნელს შეიძლება სულითა და გულით სურდა შეექმნა ზუსტი თარგმანი“, — სწერდა თ. მანი ენე დიემორის. მთარგმნელის როლის ესოდენ სკეპტიკური შეფასების მიუხედავად მწერალი მაინც აღიარებდა თარგმანის განსაკუთრებულ მნიშვნელობას კაცობრიობის სულიერი კულტურის განვითარებისა და განვითარების საქმეში. მას მოაქვს მაგალითი ბირადი ცხოვრებიდან: „მე რუსულისა არაფერი გამეგება. სიმამწვილეში წაიკითხული XIX საუკუნის უდიდესი რუსი მწერლების გერმანული თარგმანები კი ძალზე სუსტი გახლდათ და მაინც, ამ თარგმანების კითხვას ჩემს ჩამოყალიბებაში უმნიშვნელოვანეს მოვლენად ვთვლი. თუ ფიგნში არის დედააზრი, ცუდ თარგმანშიაც კი რჩება ბევრი რამ. ჰოდა, ეს უკვე ჩინებულია. ძალიან ცოტამ თუ იცის უცხო ენა ისე, რომ ნაწარმოების ყველა ნიუანსი ორიგინალის მშობლიურ ენაზე მკითხველვით აღიქვას. მე ასე მგონია: თუმც ნაკლებს ჰკარგავ, როცა უცხო ნაწარმოებს დედანში კითხულობ, მაგრამ მაინც ბევრით მეტს არა, თუ თარგმანი კარგია“.

თუ თარგმანი კარგია, მაგრამ თუ ცუდია? მაშინ, მიუხედავად ამ დიდი ნაწლისა მასში, თ. მანის სიტყვები რომ გავიშოროთ, მაინც „რჩება



ბეგრი რამ". ღრმა დედაზრის მქონე წიგნის წა-საკითხად სუსტ თარგმანსაც დაყაბულდებოდა კაცი. მაგრამ ზემონათქვამი ისე არ უნდა გაეი-გათო, თითქოს ცუდი თარგმანის მომხრე ვიყოთ, ჩვენ მხოლოდ იმის თქმა გვსურდა, რომ ყოვე-ლი თარგმნილი ნაწარმოები (ყოველად უფარგის-ზე არაფერს ვამბობთ, რაჟღერ ასეთს იშვიათად თუ სტამბავენ) რაღაცთ მინც ამართლებს თა-ვის თავს. მეტრისმეტმა სიფრთხილემ თარგმნისას და განსაყურებობით საზოგადოების წინაშე მო-რიდების გრძნობამ იქამდე მიგვიყვანა, რომ დღეს მსოფლიო მწერლობის მრავალი თვალსა-ჩინო შემოქმედის ლიტერატურული ნაღვენი ქა-რთულად არ მოგვეპოვება. რაც უფრო დიდია მწერალი, ე. ი. რაც უფრო სასურველია მისი ნაწარმოებების გადმოქართულება, მით უფრო მეტად ერიდებიან მთარგმნელთა მისთან კონ-ტაქტს, რადგან ავტორის სახელთან ერთად იზ-რდება შიშის გრძნობაც. ამის შედეგია სწორედ, რომ გოეთეს „ფაუსტი“ ქართულად მხოლოდ ამ რამოდენიმე წლის წინათ გამოიცი პირველად. მთარგმნელის უდიდესი ცოდვა უმეტესად იმაში მდგომარეობს, რომ იგი ხშირად თავს ვერ ართ-მევს დედნის ზეგავლენას, სიტყვა-სიტყვით, კვა-ლდაკვალ მისდევს მწერლის თხრობას, რადგან მის ყურში ტკბილად ხვანობს ავტორის ენა და ეს ტკბილხმოვანება მას საკუთარი ენის კანო-ნებს ავიწყებს. ამგვარი თარგმანი უკიდურესად უხალისოდება ორიგინალს, თითქმის დედანის იდენტური ხდება, მას ბეჭდურდის სიზუსტე სჩე-ვი. ეს კი, გოეთეს აზრით, „ზედმიწვენით გვი-ადვილებს ორიგინალს გაგებას. მას თითქოს კინ-წისკერით მივყავართ დედანთან და უცხოისი მშობლიურთან, უცნობის-ნაცნობთან მიახლოე-ბის წრე საბოლოოდ იკვრება“.

თუ ეს ასეა (არადა ძნელია არ გაიზიარო გო-ეთეს მართებული მსჯელობა), მაშინ, ერთგვარი „ლმობიერებით“ უნდა მოვიკიდოთ ყოველ ახალ თარგმანს, არ მოვთხოვოთ, ის, რაც ჩვენი ბროზისთვისაც ხშირად მიუღწეველი რჩება. ამი-ტომ სასურველია, რომ ქართველი მკითხველი მშობლიურ ენაზე ეცნობოდეს ერთი და იგივე ნაწარმოების თუნდაც ორ თარგმანს მინც, (უწინარეს ყოვლისა, ეს სურველი ეგება მსოფ-ლიო მნიშვნელობის ლიტერატურულ ძეგლებს), ვინაიდან ზოგჯერ ასეთი ძეგლი შემთხვევით მთარგმნელის ხელში ხვდება, ითარგმნება, ისტა-მბება და ერთზე უკვე თარგმნილს სხვა აღარა-ვინ კიდებს ხელს. ამაში გარკვეული ბრალი გა-მომცემლობებსაც ედებათ, ვინაიდან ისინი არა-ვითარ ინტერესს არ იჩენენ ერთხელ უკვე თარგ-მნილი ნაწარმოების ახლებური ვარიანტის გა-მოსაცემად, ადგენად, ჩვენის აზრით, შესაძლე-ბელია, რომ კარგი თარგმანის გვერდით არსე-ბობდეს არც თუ ისე კარგიც, ვინაიდან თარგმნი-ლი წიგნების მრავალფეროვნება თანდათანობით დახვეწავს მთარგმნელთა გემოვნებას და საბო-

ლოო ჯამში ბეგის შემატებს მშობლიურ მხატ-ვერულ ენას (ვიმეორებთ, როდესაც სუსტ თარგმანზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში როდო გვაქვს კომერციული მიზნით შეთიხნილი ნახე-ლავი).

ყოველი ზემონათქვამი. ცხადია, არ ეგება დღევანდელი ჩვენი საუბრის თემას, ეს არის უშუალოდ იმ მიზეზების გამოძახილი, რა მიზე-ზებზეც რამდენიმე ათეული წლის განმავლობა-ში საშუალება არ მოგვეცეს ქართულად გავცნო-ბოდოთ მეოცე საუკუნის უდიდესი გერმანელი მწერლის თომას მანის შემოქმედებას და, უწი-ნარტეს ყოვლისა, მის რომანს „ბუდენბროკებს“, რომლისთვისაც მას 1929 წელს მიანიჭეს ნობე-ლის პრემია.

პირველად თომას მანი ქართულად ითარგმნა 1966 წელს. ეს იყო მოთხრობების კრებული, რომელშიაც შეძლებისდაგვარად სრულად იყო წარმოდგენილი მწერლის უმნიშვნელოვანესი მკირე ზომის პროზაული ნაწარმოებები. ამ მოთხრობების თარგმანი შესრულებული იყო სცვლადსხვა მთარგმნელთა მიერ, ერთ-ერთი მა-თგანი იყო დოლო კოკია-ფანჯიკიძე, რომელმაც თარგმნა მოთხრობა „იმედის ვაცრუება“ და რო-მელიც რამოდენიმე წლის მანძილზე გულმოდგი-ნედ ეცნობოდა და სწავლობდა თ. მანის შემო-ქმედებას, ვინაიდან „ისეთი დიდი ინტელექ-ტუალური მწერლის ნაწარმოებების თარგმნა, როგორც თომას მანია, შეუძლებელია მისი შე-მოქმედებისა და კონკრეტული სთარგმნი ნა-წარმოების საფუძვლიანი შესწავლის გარეშე. თომას მანის შემოქმედების დიდ და წინააღდე-გობრივ სამყაროში ჩაწვდომა, მისი რთული და მრავალფეროვანი სტილისტურა მანერის შესწა-ვლა, მისი რომანების ინტელექტუალური საწ-ყისის აღქმა მთარგმნელისაგან ღრმა და ფაქიზი ანალიზის უნარს მოითხოვს.“ ეს სიტყვები აღე-ბულია დ. კოკია-ფანჯიკიძის სადისერტაციო შრომიდან, რომელშიაც იგი მის მიერვე თარ-გმნილი „ბუდენბროკების“ საფუძვლზე მოთო-იხილავს გერმანული და ქართული ენების შეპი-რისპირებითი სტილისტიკის საკითხებს და მხა-ტურული თარგმანის პრობლემასაც. ეს მოსა-ზრება შეეხება არა მარტო თომას მანს და არა მხოლოდ მისი ნაწარმოებების მთარგმნელებს. ეს შეიძლება ითქვას ყოველი მწერლის შემოქმე-დებასა და ყოველი მთარგმნელის საქმიანობაზე, მაგრამ დ. კოკია-ფანჯიკიძის სიტყვებს ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან მის სადისერტაციო შრომაში თეორიულადაა და-საბუთებული ყოველივე ის, რაც მან შემდგომ „ბუდენბროკების“ ქართულ თარგმანში პრაქ-ტიკულად განახორციელა.

აქ ჩვენ საქმე გვაქვს ძალზე საინტერესო შემ-

ზურაბ ჩხენკელი
„ბუდენბროკები“ ქართულად

თხევასთან. კარგი ფილოლოგი რომ კარგი მთარგმნელი იყოს ამაში გასაკვირი არაფერია, მაგრამ იშვიათად რომ ვინმე საკუთრივ ნათარგმნი მასალის გვერდით მის მეცნიერულ ანალიზსაც იძლეოდეს. ამ გაორკეცებულ, ფრიალ პასუხ-საგებში და ხანგრძლივი შრომის შედეგად დღეს ჩვენ ხელთა გვაქვს „ბუღენბროკების“ ქართულთარგმანი, რომლის გამოსვლასაც არ შეიძლება სიხარულით არ შევეგებოთ. ასევე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ამ თარგმანის დასტურება იმათეთვე სიახლოვეებით იყოსა გამოიკეცა „ნაკადულმა“ და რომანზე მუშაობის პროცესში ყოველმხრივ დახმარებას უწევდა მთარგმნელს. ღირსი როგორ შეძლო. და კოკია-ფანჯიციემ გამოიმკვლია ნდობისა და ქართული მკითხველის მოთხოვნების დაკმაყოფილება, ამაზე შემდგომ ვილაპარაკებთ, თუცა აქვე უნდა გავითვალისწინოთ ერთი ფრიალ მნიშვნელოვანი მომენტი. სახელდობრ: დასტურებული წიგნის წარმატებას ბაზარზე გასაღების შედეგით ამოწმებენ მუდამ. „ბუღენბროკები“ ქართულად 40.000 ტირაჟით გამოიცა. ციფრი საკმაოდ დიდია, მაგრამ მაღაზრებში გამოტანის შემდეგ დიდი ხანს არ გაუვლია და წიგნი ძნელი საშოვნელი გახდა, რაც თავისთავად უკვე მრავალსმეტყველი ფაქტია.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თომას მანი საკმაოდ ძნელად საითვისებო და მით უფრო ძნელად სათარგმნელი ავტორია. ამ მწერლის ტექსტი მკითხველის წინაშე აყენებს მძიმე ესთეტიკურ და ინტელექტუალურ ამოცანას და ამ ამოცანის გადაწყვეტა წინაპირობად აუცილებლად გულისხმობს გარკვეულ ინტელექტუალური ინტერესის ქონებას და ფილოსოფიურ-ესთეტიკოლოგიურ საკითხებზე ვრცელი განსჯების მოსმენის ჩვევას, სპეციალური ლიტერატურული განათლებისა და ერუდციის განსაზღვრულ მიზნებს მაინც და თანადროული ხელოვნების ნიმუშებზე აღზრდილ გემოვნებას“ (ნ. კაკაბაძე).

ყოველივე ეს ევალება მკითხველს. რაც შეეხება მთარგმნელს, მთარგმნელს გაცილებით მეტი ვინაიდან:

„ბუღენბროკები“ — ეს დიდი ეპიური ნაწარმოებია, რომელიც გვაოცებს თავისი კომპოზიციური აგებულებით, ნათარგმნი ფორმების პარაფრაზით, ხასიათთა კონტრასტებით, საზოგადოებრივ კლასებს შორის არსებული კონფლიქტებით, რომელთა ერთობლიობა, გარეგნულად თითქოსდა ყოველგვარ კავშირ-უერთობას მოკლებული თავებიდან გამომდინარე, საბოლოოდ ერთ უღარესად ტრაგიკულ მომენტში იჩენს თავს. ამასთან აქვე უნდა განვმარტოთ, რომ რომანს რამე გარკვეული კულმინაციური პერიოდი არ გააჩნია. კულმინაცია უკვე მის ქვესათაურშია მოცემული. „ერთი ოჯახის დაქცევა“. აქ უკვე ყველაფერია ნაგულისხმევი. მთავარი სათქმელი უკვე თქმულია და მკითხველს აღარაფერი რჩება საგუ-

ლისხმო თუ გამოსაცნობი. მწერალი უნდა აზრებს, რომლის ტრაგიკული ბოლო შედეგად საწყისშივე გამხვლილი ფაქტია და მას მსგავსად სჭირდება „თვალთმაქცობა“, საამბობლის ათასნაირად შენიღბვა და იღუმალებით გარემოცვა. იგი დინჯი, უღრენირველი ტრინთ, ეპიური სიღარბისლით გაღმოვცემს უღარესი დაძაბულობის ნიშნით დადასტურებულ ცხოვრებისეულ ფაქტებს, რომელთა ლოგიკურ მონაცხელობასაც იოანზ ბუღენბროკის ოჯახის დეგრადაციამდე მივყავართ. მაგრამ აღსანიშნავია, რომ რომანში, კერძოდ, ავტორისულ თხრობას ძალზე ცოტა ადგილი უკავია. ცალკეული სურათების ცვალებადობა „ბუღენბროკებს“ კომპოზიციურად სცენიურ აგებულებას ანიჭებს. ამ სცენების ცალკეულ სურათებად ზოგჯერ ტრადიციული ზემო გვევლინება, ზოგჯერ გოდება, ოჯახურ იდილიას ხშირად საქმისათვის წაყიდებული აღამიანების ჩხუბი სცელის, ლამაზის ადგილს ყამადანეაშზე მახინჯი იყავებს, ეესტს ეესტი მოსდევს, მიმიკას — მიმიკა, იყვრება სურათი, იშლება და შემდგომ განახლებული სახით ისევ იქმნება მკითხველის წინაშე. ამ გაუთავებელი წრებრუნებით, კონკრეტული დეტალების ფერნაცვალებად განმეორებით თომას მანი ქმნის ენობრივ ლაიტმოტივს, რაც ინდივიდუალური ნიშანთვისების უთუმოქცევით აძლიერებს ხასიათთა პლასტიკურობას.

ყოველივე ამის გადმოსაცემად „თომას მანმა, თანამედროვე გერმანული ლიტერატურული ენის უბადლო ისტატმა და თანამედროვეგერმანული პროზის სწორუმოვარამა სტილისტმა“ ენობრივი თვალსაზრისით „ბუღენბროკებში“ გენიალობასთან ზღვარდადებული ნიჭი გამოიჩინა. ყველაფერი, რისი თქმაც სურს ავტორს, ნათქვამია უკიდურესად ნათლად; მიუხედავად გრძელი პერიოდებისა, თ. მანის აზრი მაინც გამოირჩევა ლაკონურობით, რაც ამავე დროს ყოველი მხრიდან სრულად ასანავს ამა თუ იმ მოვლენას, ამა თუ იმ პერსონაჟს. რომანში ვერ შეხვდებით ვერც ერთ მოქმედ პირს, რომლის მეტყველება, ქცევა, მეორისას ჰვადდეს. თომას მანი ზედმიწევნით აუხსტებს ყოველი მათგანის აზროვნების ინდივიდუალურ მანერას, ხმას, მიმიკას, არტიკულაციას, რაც თავისთავად ცალკეულ პერსონაჟის უშუალო დახასიათებას წარმოადგენს. ამ მხრივ თ. მანის გატაცება იმდენად დიდი იყო, რომ თვით რომანის გმირები აიძულა ერთიმეორის ენობრივ თავისებურებებზე ელაპარაკათ. ამიტომ არის, რომ „ბუღენბროკებში“ ზედმიწევნით მკაფიოდაა გამოკვეთილი მოქმედ პირთა ენობრივი პორტრეტები. ტონის ბუღენბროკის, გროუნდის, გოტჰოლდის და თომას ბუღენბროკის ზუსტი დახასიათებისათვის თუნდაც მათი წერილები იკმარება, იმდენი პიროვნული, დამახასიათებელი და ტიპურია მათში ჩაქსოვი-

ლი; ისევე როგორც მოხუცი ბუღენბროკის ფრანგული ტერმინებითა და დიალექტებით გადატვირთულ მეტყველებაში, მის ინტონაციაში უაღრესად დამახასიათებელი ენობრივი პორტრეტი იხატება.

თომას მანისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს დალოკის აქუსტიკას, ყოველი პერსონაჟისათვის დამახასიათებელ არტიკულაციას. „თ. მანისათვის, როგორც უღარეგისა და მუსიკალური მწერლისათვის, ნიშანდობლივია ჭეხ ბგერითი მხარის, შემდეგ კი ხილული მხარის აღქმა“, აღნიშნავს ჰანს არნიმ პეტერი. მაშასადამე, მეტყველების მანერა, მიმოყა, რაც თავისთავად მოქმედ პირის ხასიათიდან გამომდინარეობს, ამავე დროს თავად ქმნის მის ხასიათს. აღსანიშნავია, რომ მწერალი, მიუხედავად პერსონაჟთა ნიარხხვაობისა, თითქმის არ სცოლდება სალიტერატურო ენის ფარგლებს და მხოლოდ სიტყვის ისტატური ხმარებით, ცალკეულ ცნებაში მოქცეული აზრის გამდიდრების წყალობით ქმნის დაუვიწყარ, მრავალფეროვან ენობრივ პორტრეტებს. „პურსონაჟების ენობრივი პორტრეტები ავტორი-მთხოვლის ენისაგან მხოლოდ სტრუქტურული თვალსაზრისით გამოირჩევა. ჩვეულებრივ, თომას მანისათვის დამახასიათებელი საკმაოდ მძიმე დეტალებით გადატვირთული ფრაზა დიალოგში ადგილს უთმობს დინამიკობით აღსავსე, სასაუბრო მეტყველებასთან რიტმული და ლექსიკური თვალსაზრისით ახლო მდგომ რეზუსას, ხოლო გვერტობლივ ავტორისეული ფრაზისა და ყოველივე ენობრივი პორტრეტისათვის განსხვავებული ლექსიკური აღნაგობის მიჩნეობის წყალობით ყოველი პერსონაჟის ენობრივი პორტრეტი მკაფიოდ არის გამოკვეთილი და აშკარად განსხვავდება ერთმანეთისაგან“ (დ. კოკიაი-ფანჯიკიძე).

პირდაპირი მეტყველება, ირიბი მეტყველება, განცდილი მეტყველება, ყოველივე ეს, თავისთავად ცხადია, ცალკეულ მოქმედ პირთა ცოცხალი სურათების, მათი ხასიათების, მათი ბუნების აღწერასთან ერთად ქმნის ავტორის განუმეორებელ, ნიშანდობლივ სტილს, რომლის ოდნავში შეცვლამ თარგმნისას შეიძლება პერსონაჟის პორტრეტის, მისი ხასიათის შეცვლამდე, მთელი ნაწარმოების აზრობრივ დამახინჯებამდე მივიყვანოს.

თომას მანი თავის „ბუღენბროკების“ „თაობათა მონაცვლეობის ეპიკურ, ლიტმოტივებით შეკრულ რომანსაც“ უწოდებდა. ლიტმოტივი მწერლისათვის ფრიალ მნიშვნელოვანი სტილისტური ელემენტია. მეცნიერები თვლიან, რომ თომას მანის ანალიზურ რეალობს ეპიკური სიმყარე და უდრტივიელობა სწორედ დიდი ხელოვანის მიერ დახვეწილმა ლიტმოტივის ტექნიკამ შესძინა, ამ უკანასკნელი დებულებისათვის ჩვენ შესაძლებელია ყურადღება აი მივუქციათ, რომ არ გვგოსებოდა თო-

მას მანის მიერვე გამოთქმული ფრაზა: „ბუღენბროკებში“ გამოყენებულა ფიზიოლოგიურ-ნატურალისტურად ნახშირი ენობრივი ლიტმოტივი. თუმცა აღსანიშნავია, რომ გარდა ენობრივი ხასიათისა, „ბუღენბროკების“ ლიტმოტივის რომანში მრავალნაირი სტილისტური ფუნქციაც აქისრია.

თავისთავად ცხადია, ყოველივე ზემოაღნიშნული ლიტერატურათმცოდნეობის თვალსაზრისით დიდ სიახლეს არ წარმოადგენს და შესაძლებელი იყო ზოგიერთი დებულებისათვის თავი აგვერიდებინა, მაგრამ ჩვენ მინც საკუროდ ვეცანიოთ რომანის ამ სტილისტურ-ენობრივ თავისებურებების თავმოყრა, რომლებსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ „ბუღენბროკების“ თარგმნისას. „თომას მანის ნაწარმოებები მარტო მოვლენებისა და საგნების ანალიზი არ არის. ეს არის სიტყვების დიდი დათვალიერება, მათი აწონ-დაწონა მოცემული საგნისადმი, ცნებისადმი, თვისებისადმი, მოქმედებისადმი მათი შესაბამისობის თვალსაზრისით,“ — წერდა აღმონი და სილმანი. ადგილი მისახვედრია, რაოდენ მძიმე მოვალეობა აქისრია მთარგმნელს „სიტყვების ამ დიდ დათვალიერებაში“ მოქცეულს. ამასთან ეს სიტყვები უსაშველოდ გრძელ პერიოდებს ქმნის, თ. მანის რომანებში, როგორც ებერპარდ ჰიშლერი გვაუწყებს, თომას მანთან იშვიათი როდია 350 სიტყვისაგან შემდგარი წინადადება, 150 და 60 სიტყვიანი წინადადება კი მის პრაზაში ჩვეულებრივი მოვლენა. საშუალოდ თომას მანის წინადადება 45 სიტყვას მოითვლის. მაგრამ ის მინც ადგილი და სასიამოვნო წასაკითხია. ეს იმიტომ, რომ ამ, ერთი შეხედვით დაუსრულებელ წინადადებებში ჩაქსოვილია კომპოზიციის კანონზომიერებას შეარწყმული ჰარმონიულობა, ფაქიზი მელოდია და დახვეწილი რიტმი. „მე დარწმუნებულ ვარ, — წერდა თ. მანი, — რომ პროზის იდეალური და უძლიერესი მიზიდულობის ძალა მის რიტმულობაში იმალება, ხოლო მისი კანონები აშკარად გამოხატულ მეტრიკულ კანონებზე გაიცლებით უფრო დელიკატურია.“ ეს სრული ქვემარტებაა, მაგრამ უეჭველია ისიც, რომ „ბუღენბროკების“ უზალო რიტმული აგებულება დამატებით სირთულეს უქმნის მთარგმნელს.

ყოველივე ამ მწელად გადასაქრელი პრობლემის წინაშე იდგა დ. კოკიაი-ფანჯიკიძე, როცა თომას მანის „ბუღენბროკების“ სათარგმნელად ემზადებოდა და არ შეიძლება ხაზგასმით არ აღინიშნოს, რომ მხოლოდ კეთილსინდისიერი, თეორიულად დასაბუთებული და ლოკიკურად გააზრებული შრომის შედეგად გახდა შესაძლებელი „ბუღენბროკების“ ქარ-

ზურაბ ჩხენკელი

„ბუღენბროკებში“ ძარბუშაღ

თულ ენაზე გადმოვება. რომანის სიუჟეტი, ენა, სტილი, გმირთა სახეები, ცალკეული თავების სტრუქტურა და მათი ერთობლიობა ქვეშაირითად მეცნიერული თვლით არის აწონდაწონილი, შეფასებული და შემდგომ ქართულად გადმოტანილი

„ბუდენბროკების“ კითხვისას ყურადღებას იპყრობს მწერლის მრავალფეროვანი ლექსიკა, ხშირად უცხოური სიტყვებით გადატვირთული, რომელთა ქართული ექვივალენტების გამოჩინება ძალზე რთულია და ზოგჯერ შეუძლებელიც, მაგრამ მთარგმნელს არც აქ დალატობს ალღო და მშობლიური ენის სიტყვიერ მარაგში მუდამ პოულობს შესაფერის ტერმინს. აქ-იქ კი იგი ისეთ ცნებებს ვითვალისწინებს, რომლებიც გერმანულს არ მოუპოვება და ამ წინადა ქართული შინაარსის მქონე სიტყვებით შესანიშნავ უფექტს აღწევს. მაგ: „ლუბრეტ კროვერისგანაა, — ულვამუშენ ჩაიციან ბატონმა ბუდენბროკმა, — ჩემი ძვირფასი ბატონი მძახალი მუდამ ასეთი თავზიანია“ (გვ. 14.). მთარგმნეში ასევე სრულყოფილადაა ნახმარი ზმნების „ბრძანება“, „უახლა“, „გახლავე“ მრავალფეროვანი მწნიშვნელობებით. მაგ.: „ერთი გაზედე და ხელი მახლე, იქნებ არ იცი, კონსულ ბუდენბროკის ქალიშვილი რომ გახლავარო“ (გვ. 57).

როგორც ცნობილია, ბუდენბროკებში იშვიათად ვხვდებით ბუნების სურათებს, მაგრამ ყველგან, სადაც ლანდშაფტის აღწერაა წარმოდგენილი, მას შინაარსობლივითან ერთად ფსიქოლოგიური ფუნქციებიც აქისრია. ბუნება ფონს უქმნის მომხდარი ამბის საერთო განწყობას და ამავე დროს პერსონაჟების ხასიათის გარკვევაში გვემსახურება. მთარგმნელი გრძნობს, რომ ასეთ შემთხვევაში განსაკუთრებული სიფხიზლეა სჭირო, რადგან ზედმეტად შელამაზებული ბუნების სურათი შეიძლება მიჩენილ ადგილს ვეღარ შუთავსდეს. ამიტომ იგი საოცარი სიხუსტით გადმოგვცემს ავტორის აზრს. ქართული სიტყვების მორგებულ სამოსელში მოქეულს: „ჰაერი დაიხუთა. ცაზე უკანასკნელი ლურჯი ნიჟუფი გაქპრა და მოქუფრული ცა მიიმედ ჩამოემო მიღამოს თავზე. ოთახის ფერები, შალერებზე დახატული ლანდშაფტების სიმწვანე, ავეჯისა და ფარდების ოქროსფერი თითქოს ჩაქრა, ეღარც ტონის კაბა ლევილებდა, ადამიანებსაც ჩაუქრათ თვალბში სხივი“ (გვ. 219).

ტონი ბუდენბროკისა და მორტენ შვარცკოფის ენებათა დღეა თითქოს ზღვასაც გადასდებია. შევჯერებულთა სულიერ სიმშვიდეს გარემოც ესიტყვება და მთარგმნელს უშედეგოდ გამოაქვს ამ მონაკვეთის იდილიურა. წყნარი განწყობილება, ხოლო როდესაც მორტენი გრძნობებს ვეღარ იოგებს, როდესაც ტონის გამგზავრების შიში გონებას უფორია-

ქებს, ბუნების სურათიც მევეთრად იტყვება და ეს შინაგანი და გარეგანი ძალებს მტყუბული ქრება თომას მანს შესანიშნავად აქვს უაღრესად ცემული. მთარგმნეშიც ამ ადგილს წუნს ვერ დაუღებს კაცი: „მოქუშული, ამობობრებელი ზღვა თვალსაწიერზე ქაფით იყო დაფარული. დიდი, ძლიერი ტალღები ზეიადად, შიშისმომგვრელი სიმშვილით მოგარავდნენ, მედიდურად იზნიებოდნენ, მუქმწვანე, ფოლადიით აღამაზებულ რკალს ხანავდნენ და ნაპირს ხმურით ეხეთქებოდნენ... ტონი და მორტენი ზღვის ბალახმოვრულ მწვანე ტალღებს გასცქეროდნენ. ტალღები წინ მუქართო მოიწვედნენ და პირდაპირ აღმათულ ლოდზე იმსხვრევოდნენ... გიჟური, შეუჩერებელი გრგვიწვა კაცს ამბრებდა, სიტყვას ართმევდა და დროის განცდას უკლავდა“ (გვ. 126-127).

ჩინებულად არის მთარგმნელი კონსულ ბუდენბროკის საუბარი თავის მეუღლესთან ტონის მომავალი გათხოვების გამო: „რომ ვიცოდე, ტონის რაღაც სეროზული მიზეზი ამორავებს და ამ ქორწინებისაგან თავს შორს იმიტომ იეჭრს... მაგრამ არა, ის ხომ ბავშვია, ბეტსი, გართობა უყვარს, ბალღებზე ცეკვას ხომ არაფერი ურჩევნია, ყმაწვილ კაცებს ნებას აძლევს ეამოიონ. ეს სიამოვნებს, იცის, რომ ლამაზია და კარგი ოჯახის შვილია... იქნებ საიდუმლოდ და შეუდგნულად რაღაცას ეებს კიდეც... მაგრამ მე ხომ ვიცნობ ჩემს ქალიშვილს, ის... თავის გრძნობებში არცაა გარკვეული... კაცმა რომ ჰქითოს, ვინმეზე ხომ არ გიჭირებს თვალიო, თავს აქეთ-იქით გადააქნევს და ჩაფიქრდება... მაგრამ ვერავის ვერ დაასახელებს... ის ჭერ მოლოდ ბავშვია, ბელურის ბარტიკითაა, ვერ კიდეც უქიწინებს თავში. ამ ქორწინებაზე რომ დათანხმდებოდეს, საზოგადოებაში ადგილი განადიდებული ექნება, მშვენიერად მოიწყობა, იცოცხლე, ეს კი სურს. ქმარიც რამდენიმე დღეში შეუყვარდება. ბატონი გრიუდენი კალმით ნახატი არ არის, მაგრამ მინც წარმოსადეგა კაცია. ბოლოსდაბოლოს, მამატიც ვაჭრული გამოთქმა და, ხუთფეხა ცხვარს, ძალიანაც რომ გინდოდეს, სად იმოვი?“ (გვ. 99).

მთარგმნის 130 გვერდზე ჩვენს ყურადღებას იპყრობს შემდეგი ადგილი:

უქვირფასესო მადმუაზელ ბუდენბროკ!
რა დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც ქვემოთე ხელისმომწერს მომხიბლავი გოგონას სახე არ უხილავს? ამ რამოდენიმე სტრიქონმა უნდა გამცნოთ, რომ თქვენი ხატება მუდამ ტრიალებდა მის სულიერ თვალთა წინაშე... ენადართულთა იწყებს წერას გროუნლიში და მისთვის ჩვეული სიტყვაკაზმულობის კიდეც ერთი ნიმუში ხელახლად მოგავიგონებს საქმიანი ადამიანის კანში ჩატეული ქლესა კაცის განუმეორებელ სახეს. მთარგმნელს უზნალო ოსტატობით გადმოაქვს წერილის ტონი, გან-



წყობილება, ფრაზებს მიღმა დარჩენილი უტყემლო აზრი და მთელი ბარათის (და მასთან ერთად ამ ბარათის დამწერის) უსუსტრობა.

ასევე დიდებულია 182-185 გვ. აღწერილი გრიუნლიძისა და ბანჯირი კესელმაიერის საუბარი. აქ წარმოდგენილია ორი ასპირანტურად განსხვავებული პიროვნება, ორი პოლარული ხასიათი, ერთი პროფესიის მქონე ორი სხვადასხვა ადამიანი, რამდენადაც შორისაც სხვაობა მათ სიტყვიერ კვილიშშია მოქცეული. საკმაოდ მორბილი დიალოგის მანძილზე, იმისდა მიხედვით თუ რომელი მოქმედი პირი ლაპარაკობს, ავტორი შესაბამისად ცვლის სტილს, სიტყვიერ მარაგს, ინტონაციას. მაგრამ თვითონველი პერსონაჟის ენა თავიდან ბოლომდე უცვლელი რჩება. მითარგმნელისათვის ძალზე რთული იყო ამ ხასიათთა მონაცვლეობაში შესაფერისი ტონის აღება და ცალკეული მოსაუბრის მეტყველების მანერის შენარჩუნება. მაგრამ ამ სირთულეს ჩინებულად ვაგართვათვი დ. კოკია-ფანჯიციძემ და ავტორის ჩანაფიქრი ზუსტად გადმოიტანა.

ჩვენ ძალზე შორს წაიჭყვიანს მსგავსი მაგალითების აღნუსხვა და ამიტომ საინფორმაციოდ მხოლოდ ამით დავმყოფდებით. რატომღაც წესად იქცა, რომ ახალი თარგმანის გარჩევისას მხოლოდ მისი ნაყოფიანი ადგილები მოაქვო ხოლმე რეცენზიაში. იშვიათად თუ ასეენებს ენმე რა მოეწონა მას განსაკუთრებით. რეცენზენტები ზოგადად აღნიშნავენ თარგმანი კარგითა და საამისოდ ნიშნუი არ მოაქვთ. იქნებ ეს ადვილის უქონლობით იყოს გამოწვეული, ან იქნებ საფრთხილო იყოს, რომ ერთის მოწონებული სხვამ არ დაიწუნოს. ისე კი კარგი თარგმანის საუკეთესო ადგილებიც უნდა გახდეს მსჯელობის საგანი სხვა მითარგმნელთათვის მაგალითის მისაცემად.

ახლა რაც შეეხება იმ წინადადებებს, რომლებიც თვალს მოხვდა და ყურს ეხამუშა: თარგმანის 91 გვერდზე ვკითხულობთ: „ყოწსულმა გაზეთის მაგივრად ახლა დიდი, მოლურჯო კონვერტი დაიბრტყა მაგიდაზე“. „დააბრტყა მაგიდაზე“ არ არის სწორი; აჭიბებდა „დაავადო მაგიდაზე“ ან „დაპკრა მაგიდას“. „დროადარო ზღვაზე თოლია გაისარალებდა და გამყინავი ხმით დაიპყვიღებდა“. საზოგადოდ თოლია არ სუკივის, დედანში კი „მტაცებელი ფრინველის ხმაზეა“ ლაპარაკი (გვ. 127).

„შენ ხომ სისულელებს ლაპარაკობ... მართალია აქ ავტორის სურს გვიჩვენოს, რომ აღვლევებული კონსული მდამბიურ „როგებს როშავს“ ივიწყებს და მისთვის ჩვეული სიტყვების მარაგს იშველიებს, მაგრამ ეს წინადადება მაინც არ არის გამართული და თავის დაწინაშულებას ვერ ამართლებს (გვ. 171).

185 გვერდზე მოტანილი გრიუნლიძისა და კესელმაიერის ჩინებულად თარგმნილი დიალოგში ულუბათოდ ქღვრის „ხომ იცი, რა დაუღე-

ვარი და აღლოიანი ვარ“. იგივე ფრაზა მეორდება თარგმანის 201 გვერდზე. აზრი თითქმის სწორია, მაგრამ ქართული შესატყვისი მაინც ვერაა გამონახული.

დღენის ზედმეტი ვაღლენა შეიმჩნევა შემდეგ წინადადებებში: „მის ვარდისფერ სახარს ვაფთოტების უნარი არ ვაგანია“ (გვ. 186). „ტონის თვალეზში ერთ და იმავე დროს დარცხვენილი და მოუთმენელი, მორჩილი და თან აღწვთოთებით სავსე გამომეტყველება ვასჩენოლა“ (გვ. 189).

სწორედ არ არის თარგმნილი: „ქრისტიანული მოვალეობა და დედაკაცის ღირსება“ (გვ. 190). აქ ქალაქის ღირსებაზეა ლაპარაკი. „თითქმის ამ მტახიანში მელანო დააღვწენისო“ (გვ. 208). „ტონის შუბლზე ვაულობილად, ბეჭითად და ტუტეხების წკლახუნით აკოცებდა ხოლმე“ (გვ. 213)

ზოგიერთი ადვილი მეტად მძიმე ენითაა ვაღწოტანილი და ამიტომაც თვალს ეხამუშება: „არც არავის უნდა შეშინებოდა, ეს განწყობილება რაიმე უმწველიური ცელტობით არ დაირღვესო. თვალის ერთი ვადავლებაც კარაოდა, შეგვინშაო: აქ შეტრებილი ოჯახის წევრები ისეთ ასაკში იყვნენ, როცა ხალისიანობის გამოძღვანებას კარგა ხანია დაადგენილი ფორმები აქვს მიღებული“ (გვ. 472).

იქვე ასეთ გამოთქმასაც ვაწვდებით: „თავისი ახლო-ხლო ვანლაგებულა, მოლურჯო ჩრდილებით შემოხურული, უცნაურად მოციმციმე თვალეზი“ რაც ჩვენის აზრით თომას ბუენბროკის პირმშვენიერი მეუღლის სახსვერ უთანხმდება.

მსგავსი ლაფსუსკალიში შეიძლება აქა-იქ კიდევ გამოინახოს, მაგრამ ამისგან სიძველა, რომელიც მითარგმნელი იყოს დაზღვეული, თანაც, როცა ასეთი გრანდიოზული რომანის თარგმანთან ვვაქვს საქმე. მაგრამ მათ მაინც არა აქვთ არსებობა მნიშვნელობა და ჩვენც ამ შეინშვნებზე მხოლოდ იმეფებით ვავამახვილეთ ყურადღება, რომ „ბუდენბროკების“ ხელმეორედ ქართულად გამოცემისას, რაც უსათუოდ სასურველია, მითარგმნელმა გაითვალისწინოს ზოგიერთი ჩვენი მოსაზრება და უფრო კრიტიკული თვალთ გადახედოს თავის ნაშრომს.

საერთოდ კი თომას მანის ამ შესანიშნავი რომანის ქართულ ენაზე დასტამბავს უფრო მეტი ყურადღებით უნდა დაზღველოს ჩვენი მკითხველი, რადგან ეს მხოლოდ ახალი წიგნის გამოსვლა როდია. ამგვარი მნიშვნელოვანი ძეგლის ქართულ ენაზე გადმოლება უშეძლებლად ამდიღრება ჩვენს ლიტერატურულ საგანძურს, უშუალოდ აახლოებს მკითხველს სხვა ქრის კულტურის მონაპოვართან და ზეწევის ადამიანების გემოვნებას.

დ. კოკია-ფანჯიციძის მიერ თარგმნილი, ბუდენბროკების სწორედ ამ კეთილშობილურ მიზნებს ემსახურება.

ქათეპან გუგუერიანი

ილია ოქრომჭედლიშვილის მოსაგონებლად

ილია ლაზარეს ძე ოქრომჭედლიშვილი (სერბერიაკოვი) დაიბადა 1836 წელს ქალაქ სილნალში. სასკოლო ასაკის ილია თბილისის ფარჩეულობის მაღაზიაში შევირდად მიაბარეს, მაგრამ გონებაგახსნილ ყმაწვილს თავისი სამუშაო სრულიად არ იზიდავდა. თავისუფალ დროს წიგნების კითხვას ანდომებდა და ცოდნას ეწაფებოდა. მუშაობდა დამოუკიდებლად, ყოველგვარი მასწავლებლისა და ხელმძღვანელის გარეშე. მიუხედავად ამგვარი პირობებისა, დავალები შრომით მალე მიიპყრო მოწინავე ახალგაზრდების ყურადღება, რომელთაც შეუტაროეს ფული და სწავლამოწყურებული ყმაწვილი 1859 წლისათვის რუსეთში გაისტუმრეს. სახსრებს მოკლებული ილია არავითარ დაბრკოლებას არ შეუშინდა. მოკლე ხანში სიმწიფის ატესტატზე ჩააბარა გამოცდები, შემდეგ ასევე წარმატებით ჩააბარა მისაღები გამოცდები პეტერბურგის უნივერსიტეტში და ჩაირიცხა აღმოსავლური ენების ფაკულტეტის სომხურ-ქართულ განყოფილებაზე.

პეტერბურგის უნივერსიტეტში ამ დროისათვის სწავლობდნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი, ნიკო დოლობერიძე, ბესარიონ დოლობერიძე და სხვანი.

ქართველი სტუდენტები ხშირად იკრიბებოდნენ და მსჯელობდნენ თავიანთი სამშობლოს საკიბორჩოტო საკითხებზე, მის აწმყოსა და მომავალზე. ილია ჭავჭავაძის თაოსნობით მათ საქმით რაოდენობით მოუყარეს თავი ქართულ წიგნებს. როგორც ნიკო ნიკოლაძე გადმოგვცემს, „ქართველ სტუდენტებს, რომელთაც ხელმძღვანელობდა ილია ჭავჭავაძე, ძველი ქართული წიგნებისა და ხელნაწერების კარგა გვირავიანი კოლექცია შეგროვებინათ და თავზე ევლებოდნენ მას“.¹

მათი ბიბლიოთეკა განსაკუთრებით გაამდიდრა დავით ჩუბინაშვილმა, რომელმაც სტუდენტებს საჩუქრად გადასცა სალომე ბატონიშვილის (დადიანის) წიგნები.

1863 წელს ილია ოქრომჭედლიშვილმა პირველი კანდიდატის ხარისხით დაამთავრა უნივერსიტეტი. ამის შემდეგ იგი მიიწვიეს მოსკოვის ლაზარევის ინსტიტუტში ქართული ენის კათედრაზე პროფესორად. ინსტიტუტში ხანგრძლივი მუშაობის განმავლობაში (25 წელი), აქტიურ მონაწილეობას იღებდა ყოველგვარ საქმიანობაში, იყო მისი ეკონომიური საბჭოს წევრი, დაწესებულებას შეწირულების სახით აძლევდა ფულად თანხას და წიგნებს.

ილია ოქრომჭედლიშვილი დიდად აფასებდა ინსტიტუტის საგანმანათლებლო მნიშვნელობას კავკასიისა და საერთოდ აღმოსავლეთისათვის. საქართველოში გადმოსახლების შემდეგაც არ შეუწყვეტია კავშირი მასთან. 1891 წელს წერილში ინსტიტუტის დირექტორი დიდ მადლობას უხდის საუკეთესოდ გაკეთებული კავკასიის არწივის ფიტულის გაზავნისა და იმ გულთბილი დამოკიდებულებისათვის, რასაც იგი იჩენდა ინსტიტუტის მიმართ.

მოსკოვის ლაზარევის ინსტიტუტში ნაყოფიერ მუშაობასთან ერთად ილია აქვეყნებდა მთელ რიგ სტატიებს ქართულ ჟურნალ-გაზეთებში. იგი ქართული ენისა და ისტორიის ღრმა მცოდნე იყო. მის კალამს ეკუთვნის საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილების მთელი რიგი.

ი. ოქრომჭედლიშვილი დახმარებას უწევდა რუსეთში და საზღვარგარეთ მყოფ სტუდენტებს. ყოველ მხრივ ცდილობდა ხელი შეეწყვა ქართული კულტურისა და განათლების წინსვლისათვის, რაც იმს ქველმოქმედებრივ საქმიანობაში გამოიხატებოდა.

1889 წელს ი. ოქრომჭედლიშვილმა კათედრა აღუქსანდრე ხახანაშვილს გადასცა და ოჯახით

¹ ნ. ნიკოლაძე — რჩეული ნაწერები გვ. 95.

გადმოსახლდა საქართველოში; განზრახული ჰქონია თავისი სასარგებლო ღვაწლისათვის სასოფლო-სამეურნეო სკოლა, მაგრამ ეს სურვილი ვერ განახორციელა, სამაგიეროდ ფართოდ იყო ცნობილი, როგორც უხვი ქველმოქმედი და ძველი ქართული ლიტერატურული ძეგლების გამომცემელი.

ი. ოქროშქელიშვილს, როგორც თავისი ქვეყნის დიდ პატრიოტს, მოსკოვში მოღვაწეობის ხანგრძლივი დროის განმავლობაში სამშობლოსთან მჭიდრო კავშირი არ გაუწყვეტია. მასთან მეგობრული ურთიერთობა და ხშირი მიმოწერა ჰქონდათ ი. ჰავეაჟაძეს, ი. გოგებაშვილს, ი. წინამძღვრისშვილს, ნატო გაბუნას და სხვა მოწინავე დიამინებთან. ამასთან ი. ოქროშქელიშვილი ურთიერთობა საქართველოში, სადაც იგი უფრო ახლის ეცნობოდა თავისი ქვეყნის მდგომარეობას, მის ავ-კარგს. ცდილობდა შეძლებისდაგვარად დახმარების ხელი გაეწვდინა სამშობლოსათვის.

1881 წელს ქართველმა საზოგადოებამ ბანკეტი გამართა დ. ჩუბინაშვილის, ილია ოქროშქელიშვილისა და ალ. ცაგარელის პატივსაცემად, სადაც სტუმრებს გულთბილი სიტყვებით მიმართეს ილია ჰავეაჟაძემ, ავადი წერეთელმა. საპასუხო სიტყვაში ი. ოქროშქელიშვილმა განაცხადა: „როგორც თ. ავაგიმ ბრძანა, რუსეთის ყინულს არ გაუყინავს ჩემი გული. ჩემი ნატვრა და სურვილი ეს არის და... ეს იქნება, რომ რითაც შეიმძლავრება, ზნეობით თუ ნიჭით, დავეხმარო ამ ჩემ ქვეყანას!..! აქ წამოართქმულ სიტყვებს ფუჰად არ ჩაუღებია. ი. ოქროშქელიშვილი ყოველთვის დიდად იყო დაინტერესებული თავისი ქვეყნის როგორც ეკონომიურ, ასევე მეცნიერული და კულტურული დაწინაურებით და ყოველმხრივ ცდილობდა თავისი წვლილი შეეტანა ამ საქმეში.

ამ დროისათვის ქართველი საზოგადოების ერთ-ერთი საჭიროებას ბიბლიოთეკის დაარსება წარმოადგენდა, „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზ-ბა“ შემოწირულობებითა თუ შექმნილი თავს უყრდა მიმოფანტულ ძველ ქართულ ხელნაწერ წიგნებს.

ი. ოქროშქელიშვილმა ამგვარი წიგნების დასაბეჭდად „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ 6.000 მან. შესწავლა. თუმცა იყო ასეთი აზრით, რომ ამ თანხის ნაწილი ახალი წიგნების გამოცემასაც მოხმარებოდა. „ჩვენი ხალხის გონების განვითარებას უნდა მოვლავთ თავი ახალი მეცნიერების მოფენით და ეს მოვლენა მაშინ შეგვიძლება, როცა ახალი შინაარსის წიგნებს დაგვბეჭდავთ და გავავრცელებთ ხალხში“¹ ამბობდა ი. გოგებაშვილი და

მოითხოვდა თანხის ნახევარი ახალი წიგნების გამოცემას მოხმარებოდა.

1881 წელს ი. ჰავეაჟაძე წერილით ი. ოქროშქელიშვილს ატყობინებდა: „წარსულ ხეთშაბათს შენის წიგნის სავანის შესახებ „წერა-კითხვის საზოგადოებისა“ წარუდგინე საზოგადოების ვამგეობას, ვადაწყვიტეს, რომ ყველაზე უწინარეს ვისამაინი უნდა დაიბეჭდოს, ამოირჩიეს კომისია, რომ სია შეადგინონ დანარჩენის წიგნებისაც, რომელნიც ერთმანეთე უნდა შენის შემწეობით, დაიბეჭდონ“¹.

1884 წ. ი. ოქროშქელიშვილის სახარებათ დაიბეჭდა ძველი ქართული კლასიკური მწერლობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლი „ვისრამიანი“, რომელიც ალ. სარაჯიშვილისა და პეტრე უმიჯაშვილის რედაქტორობით გამოვიდა. აგრეთვე დ. ჩუბინაშვილის რუსულ-ქართული ლექსიკონი.

ი. ოქროშქელიშვილი გარდა ფულადი დახმარებისა, სხვა მხრივაც ცდილობდა ხელი შეეწყო ქართული წიგნების ბეჭდვისათვის. იგი ავზავინდა წიგნებისათვის საჭირო ქალაქს ან მოსკოვშივე აბეჭდინებდა ცალკეულ ბროშურებსა თუ წიგნებს.

1881 წ. ქართული მუდმივი თეატრის მიმეფინანსიური მდგომარეობა მის არსებობას საფრთხეს უქმნიდა. ამ გაერეობის გამო ი. ჰავეაჟაძე წერდა ი. ოქროშქელიშვილს: „თუ რამ შეგიძლიან, მხოლოდ ილია, ნუ დაზოგავ, ხომ იცი, თეატრი რა არის ჩვენი სიანა და ცუდილი ხალხისათვის. მავის მეტი ნაციონალობის ნიშნაწყალი ჯერჯერობით ჩვენ არა ვაქვს რა. ევ ერთი ადგილია, საცა ჩვენი ენა საჯაროდ ისმის და საჯაროდ მოქცეობს... შენ იცი, მხოლოდ, თუ შენს უხვ და მოწყალე ხელს გამოუწვდი ამ სულმოლეულს საქმეს“...²

როგორც ი. ოქროშქელიშვილის პირადი წერილებიდან ჩანს, მას თავისი აზრი თეატრის დახმარების შესახებ ი. წინამძღვრისშვილისთვის გაუზიარებია. ამის პასუხად ი. წინამძღვრისშვილი მას დაწერალებით უხატავდა ქართული თეატრის სავალალო მდგომარეობას და წერდა: „შენ გულ-მოდინე კაცი ხარ და ვაქვს სურვილი მისცე ყველა კეთილ საქმეს შეგმეობა. ამით შენ ამატკიებ შენ კაცობრიობას“³

ი. ოქროშქელიშვილმა ქართულ თეატრს

1 ი. ჰავეაჟაძე — წერილები ი. ბოცვაძის რედაქციით. ქ. სოხუმი. 1949 წ. გვ. 61.

2 იქვე, (წერილი დატულია ლიტ. მუზეუმში). ი. ოქროშქელიშვილის ფონდში ომი. მუხ. ი. ოქროშქელიშვილი, ფ. № 2008—3.

3 ლიტ. მუხ. ი. ოქროშქელიშვილი, არქივი, ფონდი 2008.

1 ვაზ. „დროება“, 1881 წ., № 195, გვ. 1-2.

2 საქ. ცსსა, ფონ. 481, საქ. 8. გვ. 45, 1883 წ.



1.500 მან. გამოუგზავნა. მის წერილებს შორის არის ნატო გაბუნიას წერილი, რომელიც მადლიერების გრძობითაა გაუღენთილი. „თქვენი კარგად ყოფნა სისხარულთა არა მარტო ჩვენთვის, არამედ საზოგადო ჩვენი ქართველებისათვის“, — წერდა იგი.

ი. ოქრომჭედლიშვილი დიდად იყო დაინტერესებული თავისი სამშობლოს ეკონომიური განვითარებითაც. რომლის საწინდარი იქნებოდა ჩვენში სასოფლო-სამეურნეო ცოდნის გავრცელება. მას მნიშვნელოვან საქმედ მიანდნა საქართველოში სასოფლო-სამეურნეო სკოლების გახსნა. იგი სიხარულით შეეგება წინამძღვრიანთაგან ი. წინამძღვრიშვილის მიერ სასოფლო-სამეურნეო სკოლის გახსნას და სკოლას 6.000 მან. გამოუგზავნა. თვით ი. წინამძღვრიშვილიან მკიდრო მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა. მათ ერთმანეთთან ხშირი მიმოწერა ჰქონდათ ჩვენი საზოგადოებან ცხოვრების ავ-კარგზე ი. წინამძღვრიშვილი წერილებში დაწერილებით ატყობინებდა სკოლის მდგომარეობას და უზიარებდა თავის გულისწერობას იმდროინდელი რუსიფიკატორული სასოფლო რეჟიმის გამო: „ამ იანოვსკიმ, ჩაენმა პოპეჩიტელმა, თავის ტვინი წაიღო, გზებს გვიხლართავს; ქართული ენა ამათ ყუღში გეხიდათ. სურს ჩვენი მასწავლებლები თითონ დანიშნონ ხოლმე და პირველივე წლიდან დაიწყოთ რუსული ენის სწავლა... მე იანოვსკის არ დაუვარდები და რაც შემეძლება ჩემს საფუძველზედ ვიდგები“.¹

1882 წელს იგორის დამზოგველი ამხანაგობის² თავდომარე სოფ. საგარჯოს სახალხო სკოლის მასწავლებელი ა. ცხედაძე ი. ოქრომჭედლიშვილს თხოვდა ფულად დახმარებას პეტრიაკოვსკის გუბერნიიდან საქონლის გამოსაწერად და მიმართავდა მას „როგორც ამისთანა საქმეების თანამგრობობელს“.³

ი. ოქრომჭედლიშვილი დახმარების ხელს უწყობდა ყველა შრომისმოყვარე და გამარჯვებულს. ამიტომაც იყო, რომ მას თხოვნის წერილები ხშირად მოსდიოდა სხვადასხვა მხრიდან. მის მიერ ფულადი დახმარების წყალობით ქართველი სტუდენტები ცოდნას ეწავებოდნენ რუსეთისა და საზღვარგარეთის უმაღლეს სასწავლებლებში. ი. ქავჭავაძე წერდა: „ხოჯნი იმისთანანი არიან ჩვენში დღესაც, რომელნიც კაცად გამხდარან მისის შემწეობით, თოხ-თოხ, ხუთ-ხუთ წლობით მისი ხარჯით ყოფილან სასწავლებლებში შინ თუ საზღვარგარეთ“.³

„ივით თქვენ დიდი ხარჯი გეძლევათ სტუდენტების შენახვაზე და სხვა ქველმოქმე-

დებრივ მიზნისათვის, ასე რომ თქვენს ხემა ადვილი არ იყო“.¹ — წერდა პეტრიაკოვსკის რგის სახელდრო-სამედიცინო აკადემიის ხტუდენტი ფ. ვიჟაძე, რომელიც სტიპენდიის დანიშვნას თხოვდა.

ვენეციაში მხატვრობის შესასწავლად წასული ა. ბერიძე წერდა: „თქვენ შეუწუხებას არ ვერიდებ, მით უფრო, რომ თქვენ, ეცი, კაცთმოყვარე და ერთგული მამულოშვილი ხართ“.² მხატვრიდან გარდა ა. ბერიძისა იგი ეხმარებოდა გ. ვაზაშვილს და მოვეთხიეს.

ამგვარად ი. ოქრომჭედლიშვილის დამსახურება სწავლამოწყურებული ქართველი ახალგაზრდების მიმართ ნამდვილად მნიშვნელოვანი იყო.

ი. ოქრომჭედლიშვილს მოსკოვში, ლაზარევის ინსტიტუტში მუშაობისას ხელი მოუქცია აგრეთვე ხე-ტყის მრეწველობისა თუ ვაჭრობის საქმისათვის, ამ მხრივ ალბათ მას ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ ცოლად ჰყავდა მოსკოველი სოფდაგარის ქალიშვილი, როგორც ილია ჰავჭავაძე აღმოგვცემს: „ილია მოსკოვში შეუღდა ტყის საქმეს და საკმაო პატივიც მოიპოვა მოსკოვის სოფდაგართა შორის, როგორც პატიოსანმა და გამკრიახმა მშრომელ-გამარჯულმა“.³ სწორედ ამის შემდეგ ჰქონდა საშუალება დახმარება გაეწია ქართველი სტუდენტებისათვის. იგი კარგად ითვისებდა მათ მდგომარეობას, რადგან საკუთარ თავზე ჰქონდა გამოცდილი მწარე სიღარიბე სტუდენტობის წლებში. შემდეგ ი. ჰავჭავაძე წერს: „იგი თუმცა რუსეთშივე გადიდრდა, მაგრამ გული საქართველოსაკენ ეწეოდა და ამ სიყვარულს თავისის ქვეყნისას ვეღარ გაუძლო. გაჰყვია ყველაფერი, რაც მოსკოვში ჰქონდა, დაანება თავი ტყის საქმეს, რომელიც დიდ მოგებას აძლევდა, დაანება თავი სამსახურს და გადმოვიდა აქ ცოლ-შვილით“.⁴

1886 წელს ი. ოქრომჭედლიშვილმა მოსკოვის ლაზარევის ინსტიტუტის ქართული ენის კათედრა აღ. ხახანაშვილს გადასცა. და 1889 წელს მუდმივ საცხოვრებლად საქართველოში გადმოვიდა ოჯახით.

საქართველოში ხე-ტყის მრეწველობის განვითარებით ილია ოქრომჭედლიშვილი ჯერ კიდევ 1888 წელს დაინტერესდა. ქ. ბათუმში ყოფნის დროს მან უურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ აქ დიდი როდენობით შემოდიოდა ხე-ტყის მასალა როგორც საზღვარგარეთიდან, ისე რუსეთიდან. ქ. ბათუმის მზა-

¹ ლიტ. მუხ. ი. ოქრომჭ. ფონი 2009.

² იქვე, „ „ „ 2043.

³ „ივერია“ 1898 წ. № 2.

¹ ლიტ. მუხუთში ი. ოქრომჭედლიშვილია, ფონი 2012.

² იქვე, „ „ „ 2013.

³ „ივერია“, 1898 წ. № 2.

რდი მრეწველობის მოთხოვნა, განსაკუთრებით 1883 წლიდან ბაქო-ბათუმის რკინიგზის დამთავრების შემდეგ, ხის მასალაზე იზრდებოდა თან იზრდებოდა.

ი. ოქრომჭედლოშილი დაინტერესდა ბათუმთან ახლო მდებარე ქუთაისის გუბერნიის საუკეთესო ჯიშის წიწვიანმა ტყეებმა, რომელთა წარმატებით შეიძლოთ შეეცვალოთ უცხოური ხე-ტყის მასალა.

საკმაო კაპიტალთან ერთად ილია ოქრომჭედლოშილს ჰქონდა დიდი სურვილი, ენერჯია და პრაქტიკული გამოცდილება ხე-ტყის წარმოების საქმეში, ამიტომ გადაწყვიტა სახერხი ქარხნის აგება. თავისი არჩევანი მდ. ცხენისწყლის პირას მდებარე დადიანის კუთვნილ ვრცელ ტყეებზე შეაჩერა.

1890 წელს იანვარში მან ლ. დ. დადიანისაგან ლეჩხუმის მაზრაში იჯარით აიღო დაახლოებით 200.000 დესტინა ტყე. სახერხი ქარხანა ააგო სადგ. სამტრედიასთან ახლოს, სოფ. საჭილაოში.

ი. ოქრომჭედლოშილს დიდი სამუშაოების ჩატარება მოუხდა გზების გასაყვანად და მდინარის გასაწმენდად და მხოლოდ 1893 წლის ზაფხულიდან გახდა შესაძლებელი მდინარეზე მორების დაცურება.

ქუთაისის გუბერნიის ხე-ტყის სახერხ ქარხნებს შორის ილიას ქარხანა ყველაზე დიდი და უკეთ მოწყობილი იყო.

ი. ოქრომჭედლოშილი ითვალისწინებდა ქვეყნის სამრეწველო განვითარებით შექმნილ ახალ მოთხოვნებს, ვითარებას, რაც უზიძვებდა მას თავისი წარმოების მოწყობის დაჩქარებისაკენ. სჯეროდა, რომ თავისი წარმოებით იგი ხელს შეუწყობდა ქვეყნის ეკონომიურ დაწინაურებას. ქუთაისის გუბერნიის მოსახლეობა, რომელიც მცირე მიწიანობის გამო სამუშაოდ შორს მანძილზე მიდიოდა, დიდი სურვილით იმუშაებდა გუბერნიის ფარგლებში. „რასაკვირველია, ამ საქმეს ჰირღებდა დიდი ძალ-ღონე, მაგრამ სამაგიეროდ გარდა კომერციული ანგარიშისა, აქვს საზოგადოებრივი და პოლიტიკური მხარეც“, — ამბობდა იგი.


XIX საუკუნეში საქართველოში ხე-ტყის მრეწველობას მეტად მტაცებლური ხასიათი

ჰქონდა: განსაკუთრებით ეს ითქმის უცხოელ კაპიტალისტებზე. სწრაფი მოგების სურვილით შეპყრობილი ანგარიშს არ უწყევდნენ ადგილობრივ პირობებს, არ ითვალისწინებდნენ მისთვის დამახასიათებელ თვისებებს. სწორედ ეს იყო ძირითადი მიზეზი, რაც დასაწყისშივე იწვევდა მათი წარმოების კრახს. იმ პირობებში მსგავსი კაპიტალისტებისაგან სრულიად განსხვავდებოდა ილია ოქრომჭედლოშილი. მართალია, მის წარმოებას ჰქონდა ის დამახასიათებელი მხარეები. რაც ყველა კაპიტალისტურ წარმოებას გააჩნია, მაგრამ თავისი დროისათვის მისი სამრეწველო საქმიანობა წინ გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა. იგი როგორც თავის ქვეყნის პატრიოტი, საქმეს მთელი ცოდნით და სიყვარულით მოეკიდა. მტკიცედ სჯეროდა, რომ მოვიდოდა დრო და მის წარმოებას სხვა მიმამაქველებიც გამოუჩნდებოდნენ, მრეწველობის ეს დარგი ისე დაწინაურდებოდა, რომ ადგილობრივი ხე-ტყის ნაწარმი დაეკმაყოფილებდა არა მარტო ქვეყნის შიდა მოთხოვნებს, არამედ წარმატებით გავიდოდა უცხოეთის ბაზრებზეც.

„ქვეყნის წარმატება და წინსვლა თუ ვაჭრობისა და მრეწველობის წარმოებასთან არის დაკავშირებული, მისი მუშაინი და ხელის შემწყობანი ქვეყნის მოღვაწეთ უნდა ვაღიაროთ“. წერდა ვაჭეთი „ეკალი“ ი. ოქრომჭედლოშილის შესახებ.

ი. ოქრომჭედლოშილი 1898 წლის 3 იანვარს გარდაიცვალა. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში. მის გარდაცვალებასთან დაკავშირებით მრავალი ნეკროლოგი გამოქვეყნდა რუსეთისა და საქართველოს იმდროინდელ პრესაში. მათგან განსაკუთრებული გულთბილობით გამოირჩეოდა ი. ჰავეჯავის მიერ მიძღვნილი ნეკროლოგი. იგი წერდა: „გუშინ, სამ იანვარს გარდაიცვალა ერთი კარგი ქართველი კაცი. ი. ოქრომჭედლოშილი. მისი ცხოვრება სწორედ გამუდმებული და დაუღალავი შრომა იყო... საოცარი ღონე ჰქონდა სულისა და ამავე დაუღალავ ღონით იბრძოდა უკანასკნელ დღემდე...“¹

¹ „ივერია“, 1898 წ., № 2.



ჩვენაჲ თჳარაჲჲ

აკროკაგელი და რუსთაველი

ეს წერილი მიზნად არ ისახავს ყველა შესაძლო თუ საეარაუდო ასპექტით გააშუქოს რუსთაველის დამოკიდებულება ფსევდო-ლიონისე არეობაგელის შემკვიდრებასთან. აქ უმთავრესად წარმოდგენილია წინასწარი დაკვირვებები, რომლებიც ავტორმა არეობაგელისა და რუსთაველის კმნილებათა პარალელურად შესწავლის ნიადაგზე მოახდინა. ამ მოაზროვნეთა დამოკიდებულების ამომწურავად და საბოლოოდ განსაზღვრა უფრო ჩადრმავებულ კვლევას საჭიროებს.

არეობაგელსა და რუსთაველს შორის არსებული ორგანული კავშირის მიკვლევა აკადემიკოს შალვა ნუცუბიძის საშვილიშვილო დამსახურებაა. ის, რაც მანამდე იყო შენიშნული, ვიწრო ფილოლოგიურ ძიებათა სფეროს არ გასცილებია. რუსთაველოლოგიაში სრულიად ახალი ეტაპი მას შემდეგ დაიწყო, რაც გამოქვეყნდა აკადემიკოს შალვა ნუცუბიძის შრომები „ფსევდო-ლიონისე არეობაგელის საიდუმლოება“ (1942) და „რუსთაველი და აღმოსავლეთის რენესანსი“ (1947), რასაც მოჰყვა „რუსთაველის შემოქმედება“ (1958), „პეტრე იბერიელი და ანტიკური ფილოსოფიური შემკვიდრება“ (1963), აგრეთვე არაერთი სტატია და წერილი, თავ-თავის დროს დაბეჭდილი პრესაში.

ამ შრომების უმთავრესი მონაბოვარი იყო იმ უვრცესი პანორამის გარეშემოწერა, ურომლიონდაც რუსთაველის მსოფლმხედველობის კვლევა მოკლებული იქნებოდა მყარ მეცნიერულ საფუძველს: ანტიკური ფილოსოფია, ნეოპლატონიზმი, მანიქეიზმი, ქრისტიანული ფილოსოფია და მისტიკა, არეობაგეტიკა, ქართული ფილოსოფიური აზრის მიღწევები. შემდეგ: დასახვა აზრის მდინარებისა არეობაგელი — რუსთაველი. დაბოლოს: აღძრულ პრობლემათა გაშუქება თავიდან ბოლომდე მკაცრად გააზრებული, მყარი და ამოქმენილი კონცეფციის მიხედვით. ამ უქანასკნელ მომენტს იმიტომაც

აღვნიშნავ, რომ ხაზი გავესვა შემდეგ გარემოებას: ვისაც ამგვარი კონცეფცია არ გააჩნია, ის ვერასოდეს შეძლებს მთლიანობაში ჩასწვდეს „ვეფხისტყაოსანს“. ამ შემთხვევაში ის კი არ არის უმთავრესი, გავიზიარებთ თუ არ გავიზიარებთ ამგვარი კონცეფციის მქონე ამა თუ იმ მკვლევარის შეხედულებებს, არამედ ის, რომ მთლიანი კონცეფციის უქონლად დღესდღეობით საერთოდ წარმოუდგენელია რუსთაველის მსოფლმხედველობის საკითხთა კვლევა.

აკადემიკოს შალვა ნუცუბიძის ფუძემდებლურმა ნაშრომებმა რუსთაველოლოგიის წინაშე წამოჭრეს მანამდე სრულიად უცნობი ამოცანა: ფსევდო-ლიონისე არეობაგელის შემკვიდრების გამოწველივით შესწავლის აუცილებლობა. ცხადია, კვლევა-ძიების პროცესში თავს იჩენს თვალსაზრისთა და კონცეფციათა სხვაობა, რაც მოპოვებულ შედეგთა ნაირბინასაც განაპირობებს. მაგრამ მეცნიერული საქმიანობა უამისოდ ყოველგვარ აზრს დაკარგავდა. წარმოდგენილი ნაშრომიც ხსენებული სამუშაოს ერთი მცირე ნაწილია. როგორც უკვე აღინიშნა, მისი მიზანია არეობაგელისა და რუსთაველის დამოკიდებულების მხოლოდ ზოგიერთი ასპექტის მონიშვნა.

1

ხელთ ავიღებთ თუ არა ფსევდო-ლიონისე არეობაგელის შრომების ევრემ მცირესეულ თარგმანს, პირველსავე აბზაცში ჩვენს ყურადღებას მიიპყრობს სიტყვები: „...რომლისათ მიერ უთქუმელთა და უცნაურთა უთქუმელად და უცნაურად შევეერთებით...“ (5, 12-13). „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის ასე თუ ისე მცოდნე ყოველი ადამიანისთვის ხაზგასმული სიტყვები საიმისო სიგანადაა უნდა იქცეს, რომ უურადღება გაამახვილოს კითხვაზე: კიდევ ხომ არ აღმოჩნდება ფსევდო-ლიონისე არეობაგელის

თხზულებათა ტექსტში ისეთი ადგილები, რომ-
ლებიც «ვეფხისტყაოსნის» ავტორის მიერ ამ
ტექსტის ნაწილობას დადასტურებდნენ?

ცხადია, ვისაც ამგვარი კითხვა აღძვრის,
მზამზარეული რეცეპტების მოიძედე არ უნდა
იყოს: აღძრული კითხვის გამოძიებისას მისი
ერთადერთი შემწე მისივე ლიტერატურულა
მეცნიერება იქნება მხოლოდ. ეს კი იმას ნიშნავს,
რომ კვლევა-ძიების შედეგები დაზღვეული არ
აღმოჩნდება არც შემთხვევითობისგან (ორი
ტექსტის ესა თუ ის თანხედრა მას შესაძლოა

სულაც გამოჩნეს მხედველობიდან) და, გარკ-
ვეული თვალსაზრისით, არც სუბიექტურობის-
გან (მის მიერ თანხედრილად მიჩნეული ესა თუ
ის ტექსტი სხვა მკვლევარებმა შესაძლოა თა-
ნუხედვრედალ ან სხვა, მესამე წყაროდან მომ-
დინარედ დასაზოონ).

მიუხედავად ყოველივე ამისა, ვფიქრობ,
ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს ის ფაქ-
ტები, რაც ამ ორი ტექსტის აღნიშნული თვალ-
საზრისით შესწავლის შედეგად იქნა მიკვლეუ-
ლი.

არეოგაგეული

1. „... ზემთა ერთ-მთავრობისა ერთობაჲ, უთ-
ქუმელი, მრავალ-ხმოვანობაჲ, უცნაური...“
(17, 18); „... ხორცთ-შესხმაჲ ღმრთისაჲ გამო-
უთქუმელდე არს ყოვლისა სიტყვისაგან და უც-
ნაურ ყოვლისა გონებისაგან...“ (21, 31-33);
„... ძალსა უთქმულესა და უცნაურსა...“ (74, 32)¹.

2. „... ყოველთა მატება და ყოველთა მოკ-
ლებაჲ...“ (17, 20).

3. ეგრეთვე სახიერებისა ღმრთისა საჩინოა
სახე, დიდი ესე და ყოვლად მბრწყინვალე და
მარადის მნათობი მზე...“ (32, 30).

4. „... ყოველნივე ძრვანი და დგომანი გონე-
ბათანი, სულთანი, გვამთანი“ (36, 35).

5. „... რომელი დაამყარებს ყოველსა სიტყ-
ვითა წამის-ყოფისა თვისისაათა...“ (36, 37-37, 1).

6. „... იგი არს სახე-მყოფელი უსახოთაჲცა...“
(43, 31).

7. „ვიწამცა არა ღმრთისა მიერ არს ბოროტი,
არცა ღმრთისა შორის არს ბოროტი და ბორო-
ტი არა საღმრთო არს...“ (49, 27); „რამეთუ სა-
ხიერებაჲ სახიერთა დაჰბადებს და წარმოად-
გენს“ (51, 5); „რამეთუ კეთილისა მიერ შო-
ბილნი და ქმნულნი ყოველნი კეთილ არიან“
(55, 14).

8. „რამეთუ უგონებო და უგრძნობელობაჲ
არა მოკლებითაღ, არამედ ზემთაღმატებითაღ

რუსთაველი

1. „უცნაურო და უთქმელო...“ (809)².

2. „... შენ ხარ საესება ყოველთა...“ (917).

3. „...ჰე, მზეო, ვინ ხატად გთქვეს მზიანისა და-
მისად, ერთ-არსებისა ერთისა, მის უდამოსა ეა-
მისად“ (836); „ვის ხატად ღმრთისად გიტყვიან
ფილოსოფოსნი წინანი“ (837)³.

4. „... გონებო, სულო, გულო...“ (309).

5. „იგი ვახზის წამის-ყოფით ერთსა ასად
ასსა ერთად“ (792).

6. „მოთხარ, უსახო რა ქმნილა...“ (877).

7. „ბოროტიმცა რად შეექმნა კეთილისა-
შემოქმედსა?“ (113); „ღმერთი კარგსა მოავლი-
ნებს და ბოროტსა არ დაბადებს“ (1492).

8. „...ჰე, მზეო, ვინ ხატად გთქვეს მზიანისა
ღამისად...“ (836).

¹ პეტრე იბერიელი (ფსევდო-დიონისე არეო-
პაგელი), შრომები, ეფრემ მცირის თარგმანი.
გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო
სამსოხ ენციკლოპედიამ, თბილისი, 1961. ქვემოთ
მოტანილი ციტატები უკლებლივ ამ გამოცემის
მიხედვით იქნება მითითებული. მძიმის წინ და-
წერილი ციფრები ამ გამოცემის გვერდს აღნი-
შნავს, მძიმის მომდევნოდ დაწერილი — სტრი-
ქონებს.

² „ვეფხისტყაოსნის“ სტროფებს მიეუთითებ
1937 წლის გამოცემის მიხედვით.

³ ამ თანხედრის მითითებისას, ცხადია, მხედ-
ველობიდან არ გამომჩნენია, რომ ღმერთის ხა-
ტად მზე ფსევდო-დიონისე არეოპაგელამედ პლა-
ტონმა და ნეოპლატონიკოსებმა დასახეს.

რეპაზ თხარაძე
არეოგაგეული და რუსთაველი

ითქმოდენ ღმრთისათვის, ვითარ-იგი უსიტყობასაცა ვიტყვით ზენთასიტყვაობისათვის და უსრულობასა ზეშთასრულისათვის და პირველითგან სრულისთვის და შეუხვებლობასა და უხილავ-ნისლობასა ნათლისა შეუხვებლისასა, რამეთუ ზეშთა აღმატების იგი ხილულსა ამას ნათელსა“ (70, 31-36); „საღმრთოაზა ბნელისა შარავანდედმან...“ (223, 22); „ამას ზეშთა ნათელსა ნისლსა შინაგან ქმნად ვილოცოთ...“ (225, 26); „ზეშთაარსებისა იგი ვიხილოთ ნისლი ყოვლისგანვე არსთა შორისისა ნათლისა დამალული“ (226,10); „საღმრთო ნისლი არს უხილავი ნათელი, რომელსა შინა მკვიდრობაა ღმრთისაა ითქმის, რომელი-იგი უხილავ არს ზეშთა გარდამატებულისა საინრობისათვის და მიუხალებელობა მისსა არს გარდარეულებისათვის ზეშთაარსებისა ნათელთ-განფენისა“ (235, 18-21).

9. „ესე საძიებელ არს, ვიტყვით უკვე, ვითარმედ ძალ არს ღმერთი...“ (74,20).

10. „ხოლო რაბლა-მე ვთქვათ საღმრთოაზა დგომისათვის გინა ჯდომისა?“ (83,20).

11. „... ვითარცა უფალი უფლებათაა და ღმერთი ღმერთთაა (92,30)“.

12. „რომელი-იგი პირველ ყოვლისა ერთისა და მრავლისა, და კერძოთა და ყოვლისა, და საზღვრისა და უსაზღვროებისა, და დასასრულისა და დაუსრულებელობისა განასაზღვრებს ყოველთა არსთა და თვით მას ყოფასაცა“ (96,6-9).

13. „... და უსახოსა სახესა მრავალ-გზის ცეცხლის სახედ დაჰსახვენ...“ (143,34).

14. „... და ნათელ მდიდრისა შარავანდედისა ღმერთ-მთავრობითა მზის კრთომათაა მხედველობისა ძალთა სიმრთელით აღპყრობილებითა დაუბრკოლებლად და მართლ და მიუდრეკელად მხედველობასა“ (149, 10-13).

15. „ხოლო ცხენთა მიერ კეთილ მორჩილთა და სადების მყოლთა, უკუეთუ სპეტაკ იყვნენ — ბრწყინვალეებასა და უფროას თვისებასა საღმრთოაზა ნათლისასა გამოჰსახავენ დე უკუეთუ შავ — საიდუმლოობასა...“ (149,14-17).

16. „... საღმრთოთა მათ მობერვათა...“ (190,26).

წარმოდგენილი თანხედრანი და შესატყვისობანი მხარს უჭერენ იმ თვალზრისს, რომლის თანახმადაც რუსთაველი ახლოს უნდა ყოფილიყო გაცნობილი ფსევდო-ლიონისე არეოპაგელის მოძღვრებას. მიუხედავად ამისა, მსგავს შესატყვისობათა საფუძველზე საბოლოო დასკვნების

9. „...ვინ არს ძალი უხილავი...“ (792).

10. „...ზის უკვდავი ღმერთი ღმერთად“ (792).

11. „... უფალო უფლებათაო“ (809).

12. „... ვინ საზღვარსა დასაზღვრებს...“ (792).

13. „... მის უსახოსა სახისა“ (896).

14. „... ვხედვიდე მზისა ელვათა კრთომასა“ (1304).

15. „შავი ცხენი სადავითა ჰყვა...“ (84); „ოღენ ჩნდა შავი ტაივი...“ (210); „მერანი რამე შავია“ (204) და სხვა — ტარიელს ცხენი.

16. „ზეგარდმო არსნი სულითა ყვნა ზეცით მონაბერითა“ (1).

გამოტანა ნაადრევი იქნებოდა, ცხადია. ვადამწყვეტი მნიშვნელობა იმას აქვს, მსოფლმხედველობრივად თანხედება თუ არა არეოპაგელისა და რუსთაველის ნააზრევი. მივყვით ამ საკითხს.

4 შეადარეთ: „...ღმერთი ღმერთთა და უფალი უფლებათა...“ მეორე სტულისა, 10,17.

როგორც ცნობილია, ფსევდო-ლიონისე არეოპაგელის მოძღვრება შეიცავს ნეოპლატონიზ-



მის თითქმის ყველა ძირითად დებულებასა და იდეას (ღმერთი — ზესთასიყვეთ; ღმერთის განმკვლენა — სიციეთის, საესესის, სინათლის საფუარებრივად განფენა მსგავსად ხილული მზისა; იგარაქიული საფუარებრებით დამავალი და აღმავალი ხაზები და ამასთან დაკავშირებული მოძღვრება ერასიას; წრიული განვითარების დიალექტიკა; ბორბტების უსტბტანციურობა). ამასთან, ფსევდო-ლიონისე არეოაგელის წინამებში დაცული ზოგიერთი იდეა თუ დებულება, მისივე საკუთარი ან ნეოლატონიზმიდან მომდინარე, ისეთად არის მიჩნეული, რომ მის შემდგომ განვითარებას პანთეისტური მსოფლმხედველობა უნდა მოჰყოლოდა შედეგად. უნდა აღინიშნოს, რომ ფსევდო-ლიონისე არეოაგელის მოძღვრება ჩვენში ამ ასპექტით გაცილებით უფრო არის შესწავლილი, ვიდრე ქრისტიანულ ფილოსოფიასთან მიმართების თვალსაზრისით. ასეთ ვითარებაში არეოაგელთან რუსთაველის დამოკიდებულების საკითხი საბოლოოდ ვერასაზიხით ვერ გაირკვევა: ამ უქანსკენელ ხანს მკვლევარნი სულ უფრო მეტად იხრებიან იმ აზრისკენ, რომ რუსთაველის აღმსარებლობა ქრისტიანული რელიგიის წილდა საიბებელი. ამ მოსაზრების მართებულობის შემთხვევაში ან ფსევდო-ლიონისე არეოაგელიც ქრისტიანობის აბოლოგატად უნდა მივიჩნიოთ (იმის გათვალისწინებით, რომ ნეოლატონური ელემენტები მის მოძღვრებაში ქრისტიანობის უფრო დასაბუთების ამოცანას ემსახურებოდა და არა ერესის დამკვიდრებას), ან კიდევ უნდა უარყოფოთ რუსთაველის მსოფლმხედველობის არეოაგელის მოძღვრებაზე ასე თუ ისე დამოკიდებულება.

მამასადამე ისლა დაგვრჩენია, გამოვიძიოთ — რამდენად ეთანხმება ფსევდო-ლიონისე არეოაგელის მოძღვრებაში არსებული ზემოხსენებული იდეები და დებულებები ქრისტიანულ რელიგიურ ფილოსოფიას.

ერთ-ერთი ამგვარი დებულებაა ღმერთის უარყოფითი განსაზღვრა (ნეგატური თეოლოგია, აბოფატკია).

აქ ჩვენ მოვკიდებთ იმის გახსენება, რომ ღმერთის უარყოფითს განსაზღვრას რელიგიურ-ფილოსოფიური აზრი ფსევდო-ლიონისე არეოაგელამდე მრავალი საუკუნის წინაც იცნობდა. სახელდობრ, უფანისაღებში, ბრაჰმანულ რელიგიაში ჩვენ ვხვდებით ღმერთის უარყოფითი განსაზღვრის მრავალ მაგალითს: „ის, რაიც სიტყვით არ გამოითქმის და რითაც გამოითქმის სიტყვა, ის, რაიც თვალბით არ ხედავს და რითაც ხედავენ თვალნი, ის, რაიც სუნთქვით არ სუნთქავს და რითაც სუნთქავს სუნთქვა, — ის ერთი არის ბრაჰმანი“⁶; „წარმავალი

სამყარო სრულიად არ არსებობს. იგი არის მიახ — ღმერთის მაცდუნებელი მავის პროდუქტი. იგი არის თვალსასერიო, სადაც ყოველივე ილუზია — თეატრი, მსახიობები და პიესები — სრულტური თავისთავთან აგრბოვებს, რელატირა მხოლოდ ის, რაიც გამოუთქმელია და მიუწვდომელი“⁶. „უფილავი მხილველი, მოუსმენი მსმენელი, შეუცნობი შემეცნებელი...“⁷; „ბრაჰმანი ჰეშმარიტად გამოუთქმელია, ის, რაიც გამოთქმაც შეუძლებელი რამ არის. ინდურ ფილოსოფიაში აბსოლუტური არასოდეს მოიხსენიება. მის გამო შეიკოვბის აღმერისას ინდი ფილოსოფიაი უქანსტებს: არა ეს, არა ეს, — უარყოფს რა ყოველგვარ ატრიბუტს, ყოველგვარ პრედიაკტს (ებრაული კაბალა ამევე იდეის გამოხატვას იცსრავების, როცა აბსოლუტს აღნიშნავს გამოთქმით ენ-ზოფ—ის რაც უარყოფითად არსებობს). აბსოლუტური გამოუთქმელია, ყოველგვარი გამოვლენილი აზრის უმადლესი. ბრაჰმანის ამგვარი განსაზღვრა (ან, უფრო სწორად, განუსაზღვრელობა) დასავლელ მოაზროვნეებს აფიქრებინებს, რომ, რაიც ყოველგვარი პრედიაკტი უარყოფილია, ბრაჰმანი აღარც შეიძლება რომ არსებობდეს. მაგრამ ინდი ფილოსოფიაი თვით არარებობის ამ ატრიბუტსაც უარყოფს. აბსოლუტურის გამოხატვა ოდენ დემილით შეიძლება“⁸ (შეუფლაროთ ამას ფსევდო-ლიონისე არეოაგელისეული განმარტება: სახელი და ატრიბუტ მხოლოდ იმას მიემართება, რაიც უფვე გამოვლენილია, ხოლო როდესაც აბსოლუტს შეეხება საქმე, რაჟამს ზემთავონებისას მას ნისლსა შევიდოდეთ, არღარა მციერედ სიტყვაობასა, არამედ ყოველითურისა უტყვებასა და მუუგონებლობასა ვკპოებთ“⁹. (227,14-16).

ღმერთის უარყოფითს განსაზღვრას გნოსტიკოსებთანაც ვხვდებით,⁹ კაბალაშიც¹⁰. ნეგატური თეოლოგია არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს ღმერთის არარსებობის მტკიცებას, როგორც ზოგჯერ შეედომით ჰგონიან ხოლმე. ნეგატური თეოლოგია ღმერთის ზესთარსებობის მოძღვრებაა¹¹. რაღად არსებობა-არარსებობა გონებით

⁶ А. Барт. Религии Индии, Москва, 1897. С. Радхаршншан, Индийская философия, т. I, Москва, 1956.

⁷ Г. Ольденберг, Будда, его жизнь, учение и община, 1898.

⁸ Чаттерджи, Сокровенная религиозная философия Индии.

⁹ Гегель, Сочинения, т. XI, М.-Л., 1935, стр. 30.

¹⁰ А. Штекль, История средневековой философии. Москва, 1912, стр. 54.

¹¹ შდრ. ა. შტოკლის მითითებული წიგნი, გვ. 55.

⁵ Бетани и Дуглас, Великие религии Востока.

რეზანე თხარამი
არეოაგელი და რუსთაველი

მისაწვდომი („საცნაური“) ცნებები, ხოლო ღმერთის, ფსევდო-დიონისე არქოპაგელის თეალსაზრისით, ამათზე მადლა დგას, გონებას არ ძალუძს მისი განსაზღვრა; მსგავს შემთხვევებში რელიგიური ფილოსოფია ლოგიკურ არგუმენტაციას კი არ მიპართავს, რწმუნას ეყარება. ამას არაერთხელ აღნიშნავს ფსევდო-დიონისე არქოპაგელი: „ესავე ესევეთარი უუეთუთ იხილენ ანუ ესმენ ჩვენ მიერ აღსრულებულად არაწმიდათა მათ, ვრცელად განიციენებენ, ვითარ ეკონებ, და რეცა შედომილურისათვის ვიწყალუთ ჩვენ. ვარნა არა ჭერ-არს ამისთვის განკვირებამა, რამეთუ უუეთუთ არა ჰრწმუნენს, ვითარცა სიტყვიანი იტყვიან, ვერცა გულისხმავთარ“ (211,28).

ამის შემდეგ უნდა მოვიხსენიოთ სამყაროს საფუძვლებრივი, იერარქიული წყობის იდეა, რაც, როგორც ფიქრობენ, ზღუდავს ღმერთის ყოვლისშემძლეობას და საბოლოოდ იმ აზრს ამოვირდებს, რომ სამყარო ღმერთს არ შეუქმნია.

რელიგიურ-ფილოსოფიურ აზროვნებაში აგრე არ ხდება. ჭერ ერთი, ამ იდეას ქრისტიანული რელიგია თავისთავადი იცნობდა (მართალია, აქ იგი ისეთი სიხედალით არ ყოფილა გამოკვეთილი, როგორც, ვთქვათ, ნეოპლატონიზმში): ძველი აღთქმის იაკობის სიზმარი სხვა არაფერია, თუ არ სამყაროს იერარქიულად განწყობის იდეის გამოხატულება — იაკობმა სწორედ კიბე იხილა სიზმრად, ღმერთი და ქვეყანა სწორედ საფუძვლებით დაკავშირებულად წარმოისახენ. ამავე იდეის დადასტურებას წარმოადგენენ ძველსა და ახალ აღთქმებში მრავალგზის ნახსენები ანგელოსნი, ქერუბინნი, სერაფიმნი, „მზებრობა ცისა“, „ქალნი ცისანი“. ფსევდო-დიონისე არქოპაგელიც ხომ ამ უკანასკნელთა მეშვეობით გამოთქვამს იერარქიული წყობის იდეას. ოღონდ ამ განსხვავებით, რომ ეს ზესათსოფლური არსებანი მისთვის არიან „ზეცისა გონებანი“ (116,30), რაც იმას მოწმობს, რომ აქ ქრისტიანული წარმოდგენები ნეოპლატონური შეესებოდა (პირველისთვის, რამდენადაც ვიცო, უცხო იყო ციურ არსებათა დასახვა გონებად). ვარდა ამისა, რელიგიური ფილოსოფიის ისტორიამ არაერთი შემთხვევა იცის, როდესაც, ფილოსოფოსთა ვასაოკრად, სამყაროს ღმერთის მიერ შექმნის და, ამავე დროს, ემანაცისა და იერარქიული წყობის იდეები თანაარსებობენ ხოლმე ერთსა და იმავე მოძღვრებაში. შუა საუკუნეთა ფაქტებიდან ამას ადასტურებს კაბაუცა და ავიცებრონის (იბნ გაბიროლის) მსოფლმხედველობაც. საფუძვლებრივად წარმოესახება სამყაროს მოდელი აგრეთვე ინდურ რელიგიურ ფილოსოფიას.

არ შეიძლება იმ ფაქტის გათვალისწინებლობა, რომ შუა საუკუნეთა ვითარებაში სამყაროს ხსენებული საფუძვლებრივი მოიაზრებოდა

როგორც სავსებით არამატერიალური რამ, რწმუნებისაგან მიუხედავად, „ყოველთავე ნივთიერებასა ზეშუათსოფლისად ამაღლებული“ (ესქიქსე, 149,30, 157,4 და სხვა), სულიერი. ~~ამისაგან~~

ნერც იმას დაივიწყებთ, რომ ეს ყოველგვარი მატერიალურობისაგან დაცლილი სულიერი იერარქიებიც კი (თვით მათი უმაღლესი საფუძვლები) განუზომლად შორს იდგნენ იმისაგან, რადაც ღმერთი ისახებოდა: „რომელნი-ესე (ზესათსოფლური არსებანი) რეცა უპირატესობაშია განა და უპატიონსენი მისთვის მოპოვნებულთა სახებთან და ნივთიერთა სახებებთანასა რეცა თუ ზეშუათსოფლად ვითამე საგონებელნი, ვარნა ვგრეთცა დაკლებულნივე ღმერთითა ვითარობითა ქემშარტიცისა მსგავსებისაგან, რომელი-იგი ყოვლისავე არსებისა და ცხოვრებისა ზეშუათსო“ (106, 35-107,2); „ყოველთა ზედასა მას ზეშუათსოებისა ზეშუათსობებებსა თანა-შუტყვებულად ზეშუათსაყარებულ არს ღმერთი ყოვლისავე ხილულისა და უხილავისა ძალისა. ამას თანა ყოველითურთ ყოველთა ზეშუათსობებულ არს, ვიდრემდის ვერცადათუ უპირატესთა მათ არსთა არსებათა მიერ დასატყვენელ არს...“ (138,32-36). ამ არსებთა სწრაფის საგანი ის არის მხოლოდ, რომ, „რადღე დასატყვენელ არს, ღმერთის მსგავსობადა“ შეიძინონ (110,27-28, 111,17-22, 144,29, 146,20 და სხვა).

აქ უნდა განვიხილოთ აგრეთვე ერთი უმნიშვნელოვანის იდეა — არსებთა ღმერთთან მიხედვების „განღმრთობის“ („დეიფიკაცია“) იდეა, რომელიც ზოგჯერ ისეთ რაღმე ისახება, რაც ძირითადად უნდა ეწინააღმდეგებოდეს ქრისტიანობის საფუძვლებს.

რა არის ღმერთად ქმნა („განღმრთობა“) ფსევდო-დიონისე არქოპაგელის მოძღვრების თანახმად?

„განღმრთობა არს ღმრთისა მიმართი, რაოდენ დასატყვენელ არს, მსგავსებადა ეერთობა“ (158,101).

რას ნიშნავს ეს ფორმულა? ამის გამოიჭებანდე კიდევ ერთი ფორმულა მივიჩინებთ წინასწარ: „საღმრთო ყოფიად ჩვენდა არს საღმრთო დაბადებადა მეორედ ზობისა...“ (160,30).

საკმარისია ეს ორი ფორმულა გავიზაროთ სათანადო სიღრმით, რომ ცხადი შეიქნეს: განღმრთობის იდეა არავითარ შემთხვევაში არ ეწინააღმდეგება ღმერთის განწყობის ქრისტიანული მოძღვრებას. სემქე სწორედ პირიქითაა: ღმერთად ქმნის არქოპაგელის იდეა უშუალოდ ქრისტიანობის წიაღიდან არის ამოზრდილი.

გავიხსენოთ სათანადო ადგილი ახალი აღთქმისა. იესო ეტუნება ფარისეველ ნიკოდემოს: „უუეთუთ ვინმე არა იშვეს მეორედ, ვერ ხელეწიფების ხილვად სასუფეველი ცათა“ (იოანე, 3,3). ეს აზრი ნიკოდემოსს აციფერებს: „ვითარ ხელეწიფების კაცსა ბერსა შობად? ნუუკვე შესაძლებლად არს მუელსა დედისა თვისისა შე-



სულად მეორედ და შობად?" იესოს პასუხი: „უკეთეს ვინმე არა იშვეს წყლისაგან და სულსა, ვერ ხელეწიფების შესვლად სასუფივევლსა ღმრთისასა. შობილი იგი ხორციდანაა ხორცი არს, და შობილი იგი სულისაგან სული არს. ნუ გაკვირნ, რამეთუ ვარქმე შენ ესე: ჭერ არს თქვენდა მეორედ შობა“ (იქვე, 3,5-7).

ამავე იდეას მოციქულნიც არაერთხელ იმეორებენ: „მას უნდა და გემუნა ჩვენ სიტყვითა ქრისტიანობისაჲთა, რაითა ვიყენებ ჩვენ დასაბამ რამე მისთა დაბადებულთა“ (იაკობ, 1,18); „მეორედ შობილ ხართ არა თესლისაგან განხრწნისა, არამედ უხრწნისა, სიტყვითა ღმრთისა ცხოველისაჲთა, რომელი-იგი ჰგვის უკუნისამდე“ (1 პეტრე, 1,23); „...წყალობითა თვისითა მიხსნა ჩვენ, ბანჯითა მით მეორედ მოხსიანთა, განახლებითა სულისა წმიდისაჲთა“ (ტიმოთე მამართ, 3,5).

საქმის არსება ბოლომდე გასაგები რომ იყოს, დავუბრუნდეთ იოანეს სახარებას: ქრისტემ „რაოდენთა-იგი შეიწყნარეს, მოსცა მათ ხელმწიფებნა შეილ ღმრთისა ყოფად, რომელთა ჰრწმას სახელი მისი, რომელია არა სისხლთაგან, არცა ნებითა ხორცთაჲთა, არცა ნებითა მამაკაცისაჲთა, არამედ ღმრთისაგან იშვენს“ (1,12-13). შეადარეთ აგრეთვე: მათე, 5,9, 5,45, ლუკა, 6,35, იოანე, 13,33, 14,20, 1 იოანე, 2,29, 5,2-4, რომაელთა მიმართ, 8,15, გალატელთა მიმართ, 4,26 და სხვა მრავალი. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა პავლე მოციქულის ერთი ეპისტოლე, სადაც მკვდართა აღდგომის შესახებ არის საუბარი. მაგონებ უშუალო კავშირი აქვს აქ განსახილველ საკითხთან: „...აღდგომასა მკვდართასა დაეთესვის ხრწნილებით და აღდგების უხრწნილებით; დაეთესვის ხორცი მშვიინიერი და აღდგების ხორცი სულიერი. არს ხორცი მშვიინიერი და არს ხორცი სულიერი. ეგრეთა წერალ არს: იყო პირველი იგი კაცი ადამ სამშვიინველად ცხოველად, ხოლო უკანასკნელად ადამ სულად განმაცხოველებულად. არამედ არა პირველად სულიერი იგი, არამედ მშვიინიერი, მაშინდა სულიერი. პირველი იგი კაცი ქვეყანისაგან მიწისა, ხოლო მეორე იგი კაცი — უფალი ზეცი. ვითარცა-იგი მიწისაგანი, ეგრეთა მიწისაგანნი, და ვითარცა-იგი ზეცისა, ეგრეთა ზეცისაგანნი იგი. და ვითარცა-იგი შევიმოსეთ ხატი იგი მიწისაგანისა, შევიმოსით ხატიცა იგი ზეცისაგანისა“ (1 კორინთ. 15,42-49).

მავსადალაჲ მეორედ უნდა ნიშნავდა იმ პრინციპის ზიარებას, რომლის სახელწოდება ღმრთი, სამება, ქრისტე (ამის სიმბოლური გამოხატულებაა სწორედ ნათლობა). ქრისტიანად ქცევის შემთხვევათა იგივე პრინციპი დაიბადებოდა ადამიანის სულში, რის შედეგადაც ადამიანი ღვთის შვილად უნდა ქცეულიყო. რადგანაც „სულ არს ღმრთი“ (იოანე, 4,24) და, ამავე დროს, „არა ზომით მოსცა ღმრთმან სული. მამას. უყვარს

ძე და ყოველივე მოსცა ხელთა მისთა. რომელსა ჰრწმენეს ძე, აქენდეს ცხოვრებას საუკუნოდა...“ (იოანე, 3,34-36). ეს „სულ არს ღმრთი“ არის იგივე აბსოლუტური ფსევდო-დიონისე არეოპაგელისა, კატაფატიკურად გამოთქმული. იგი მთელი სისრულით, განუყოფლად იმყოფება ყოველსავე არსებულში („არა ზომით მოსცა ღმრთმან სული“), ოღონდ ყოველივე არსებულში როდი იმყოფება მასში. არსებულის მასში ყოფნა (მისი მიმსგავსება, მასთან მიახლოება, მის შვილად ქცევა) დამოკიდებულია არსებულის მიმღობის უნარსა და ხარისხზე (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი ამას მზის მავალითი განმარტავს. იმასაც დასძენს, რომ ღმრთა მის მიმღებულთ სრულად, მთელი მთლიანობით მიეცემთ და არა დანაწილებულად. ამისთვისაცაა მოხმობილი წერტილისა და წრის, ბუქტისა და ანაბექტების მავალითები — 19,6-16). და სწორედ ის არის ქრისტეს განცაცების მისია, რომ აღამაწნა გააღვიძოს (შვას) „სული განმაცხოველებელი“, რომელიც თავისი არსებით იგივეა, რაც ღვთაებრივი სული.

ამიტომ ამბობს ფსევდო-დიონისე არეოპაგელი: „საღმრთო ყოფა ჩვენდა არს საღმრთო დაბადება მეორედ შობისა“, რაც იგივე დეიფიკაციაა („განღმრთობა“, ღმერთად ქმნა), რადგან „განღმრთობა არს ღმრთისა მიმართი, რაოდენ დამატებულ არს, მსგავსება და ერთობა“.

კაცმა რომ თქვას, დეიფიკაციის იდეა ეპბრიონალური სახით უკვე იმ ავტორის ჰქონდა, ვინც ღმრთს „ხატად და მსგავსად“ ღვთისა (შესაქმე, 1,26) შეაქმნევინა კაცი და ვინც შემდეგ ამავე ღმრთს ათქმევინა: „აჲ ადამ იქმნა ვითარცა ერთა ჩვენგანი“ (შესაქმე, 3,22). უფრო ადრინდელი ძეგლების გამო თუ ვილაპარაკებთ, გილაგამეშის ეპოსიც ამასვე დაგვიდასტურებს, ინდური რელიგიური ფილოსოფიაც, ევკლიტელთა მითოსიც. არც პლატონისთვის ყოფილა უცხო ეს იდეა, არც რომაულტიონიკოსთათვის, არც მომდევნო საუკუნეთა მისტიკოსებისა და სუფისტებისთვის (მისივე გამოხატულებაა ქართული ჰაიოგრაფიული ძეგლების საყვარელი გამოთქმა: „ქუეყანისა ანგელოზი და ზეცისა კაცი“. — „აბოს წამება“, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, ათონელთა ცხოვრებანი).

ვარან ეს იმდენად რთული და ვრცელი საკითხია, საგულდაგულო გამოკვლევას მოითხოვს. ხოლო ჩვენი მიზანი ამყარად სახეებით კონკრეტულია: საბოლოოდ უნდა გაირკვეს — როგორ ესმოდა ეს იდეა ფსევდო-დიონისე არეოპაგელს. საამისოდ უნდა დავიმოწყოთ კიდევ ერთი საგულისხმო დავალი, რომელიც განსაკუთრებით მკაფიოდ მიგვანიშნებს ავტორის თვალსაზრისს:

რამხა თმარამბი
არიოპაგელი და რუსთამელი

„და ვითარცა მრავალ-ნათლევანი და თხელი საბეული, სიმაღლესა კათა მწვერვალობისასა დამოკიდებული და ვიდრე მოაქამდე შთამოწვეული, რაჟამს მის ზედა აღმავალთაგან წამართ ცვალებითა ხელთათმა იმკვლებოდის, შთამოწივდა მისი გვირგვინი. გარნა არა მას შთამოწივდავთ, რომელი ზეცა არს და ქვეცა, არამედ ჩვენ მის მიერ აღვიყვანებით უშაღლესთა მათ მიმართ მრავალ-ნათლეთა შარავანდელთა ბრწყინვალე-ობის“ (26,29-27,3. ამას მოსდევს ნაპირს მი-ახლოებულ მენავეთა და კლდის მავალით, ამავე აზრის გამოხატეული).

ღმერთთან მიახლოება, ღვთისადმი დამსგავსება, ღმერთად ქმნა ზეცის მიწვევ ჩამოყვანას კი არ ნიშნავს, არამედ ზესთასოფლად აღსვლას. ეს არის „აღმართ მავლობა სულისა“ (107,2). კვლავ ტექსტი დავიმოწმოთ: კაცნი ღმერთის მიერ „ვითარცა ერთ-მყოფელითა ძალითა შეეყვანეთით და განყოფილთა ამითგან სხეულობათა ჩვენთა ზეშთასოფლისა შემოყვარებით ღმერთისა სახეობითად ერთობად და ღმერთის მსგავსებითად ერთ-ბუნებობად“ (8,21-24). ხოლო ეს იმის მეოხებით ხორციელდება, რომ „მარტვი იესუ... შინაგან ბუნებას ზეცისა იქმნა“ (9,1-3), რაც, როგორც ვნახეთ, ნიშნავს კაცის მეორედ (სულიერად) შობას.

ამრიგად, ღვიფიკაციის იდეა ერთი ნაბიჯითაც არ შორდება ქრისტიანობის უმოთაგვის დებულებებს. პირუქუ. ვანკაეებისა და ღმერთად ქმნის იდეათა შერწყმა შეადგენს სწორედ ქრისტიანობის არსებას და სამყაროს მონისტურად მოაზრების საფუძველს (ქრისტიანობაში ისინი უფროძინებითად ვერც მოიაზრებიან: ვანკაეება შემდგომ ღმერთად ქმნის გარეშე აბსურდია, ხოლო ღმერთად ქმნა ვანკაეების გარეშე — შეუძლებელი. აქ დამავალი და აღმავალი ხაზები ერთმანეთს ავსებენ და არა უპირისპირდებიან თუ ეწინააღმდეგებიან. ამ სფეროში ფსევდო-დიონისე არეობაგელი სრულყოფილი ქრისტიანი მოაზროვნეა.

აღტორი ამ საკითხში კი არ სცილდება ქრისტიანობას, არამედ ამ საკითხთან უადრესად ორგანულად დაკავშირებულ საღმრთო ტრადიციების საკითხში. უფრო სწორად — სცილდება კი არა—ავსებს, რადგან ახალ აღთქმაში საღმრთო ტრადიციების იდეა სათანადო სიცხადით არ არის მოცემული (იოანე ღვთისმეტყველის პირველ ეპისტოლეში: „სიყვარული ღვთისაგან არს... რამეთუ ღმერთი სიყვარული არს“, 4,7-8, და ზოგიერთი სხვა). ასევე ორგანულად არის დაკავშირებული აღნიშნული საკითხი სამყაროს იერარქიული წყობის იდეასთან და ბაქვის იდეასთანაც. აი, აქ შეიძლება ითქვას ის, რაც ზემოთ ცოტათი ნაადრევი იქნებოდა: ფსევდო-დიონისე არეობაგელის ნააზრებში იერარქიათა არსებობას ღმერთის „უმოსნის“ ეფრქვიათა კი არ ეკისრება, არამედ სწორედ ღმერთისკენ აღსვ-

ლისა. ყოველი ზემდგომი იერარქიის ფუნქცია ქვემდგომი დაეხმაროს, უმევესი ღმერთისადმი დამსგავსებაში, ღმერთად ქმნაში. იერარქიათა მითითებული დანიშნულება ფსევდო-ღმერთის არეობაგელის თხზულებებში ვრცლად არის განმარტებული (114,35-115,12, 124,4-125,18, 136-138 და სხვა).

ამავე პრობლემას უკავშირდება ფსევდო-დიონისე არეობაგელის მისტიკის საკითხი.

აქ ჩვენ წინასწარ უნდა გავუსთავო ხაზი ფილოსოფიურ და რელიგიურ-ფილოსოფიურ პრობლემათა არსებობის სხვაობას. ფილოსოფია (იდეალისტური) მიზნად ისახავს ლოგიკურ კატეგორიებში მოაქციოს ის, რასაც ღმერთი ეწოდება; ხოლო რელიგიური ფილოსოფია მიზნად ისახავს ლოგიკურ კატეგორიებში მოაქციოს ის, რაც უკვე ღმერთი კი არაა, არამედ მისი გამოვლენა („...რაჟამს სახელ-ესდეთა ზემთაარსებისასა მას დეფარულებასა ღმერთად, ანუ ცხოვრებად, ანუ არსებად, გინა ნათლად, ანუ სიტყვად, არარს სხვასა გულისხმა-ვსყოფთ თვისიერ მის მიერ ჩვენდა მომავალთა ძალითა განმადრთობდეთ... 20,23-26); რადგან ის, რასაც ღმერთი ეწოდება, გონებისთვის აბსოლუტურად მიუუწვდომელია („ზეშთა ყოვლისა გონებისა და ცნობისა არს“, 20, 21-22; „...პირი სიტყვისაა აცა თუ ზემთაარსებისა არსებასა ზემთაარსებისად საინო ჰყოფს,—რამეთუ ვამუთქმელ არს იგი და უცნაურ და ყოვლად გამოუცხადებელ და თვით მის ერთობისაცა ზემთააღმადებულ,—არამედ არსებათ-მოქმედსა ყოველთა არსათსა ღმერთ-მთავრობითსა არსებათ-დასაბამად გამომავლობასა უგალობს“ 58,30-59,2). ამ უქანასკნელის შესახებ დადებითი აზრი საერთოდ ვერ გამოითქმის, აზრი აქამდე ვერ მალდება. ეს მხოლოდ და მხოლოდ რწმენის სფეროა (ამიტომ არ ნიშნავს ნეგატური თეოლოგია ღმერთის არსებობის უარყოფას). რწმენის საფუძველს კი წარმოადგენს ან საღვთო წერილისა და ღვთისმეტყველთა ავტორიტეტი, ან კიდევ საღმრთო საიდუმლოსთან უშუალო ცდით ზიარება — მისტიკა. ფსევდო-დიონისე არეობაგელი ამას გარკვევით განმარტავს: კაცობრიული გონების, განყვანებული აზროვნების, ლოგიკის სფეროში რის მოქმედებაც შეიძლება („საღმრთო განყოფა“, ღმერთის გამოვლენის ასპექტები), იმას აზრობრივადვე განვმარტავთ, ხოლო რაც საცნაურის სასლავარს სცილდება, გონებით არ მოიაზრება („საღმრთო შეერთება“), იმას, რამდენადაც ძალგეივს, მისტიკით ვეზიარებით: „ამთ შეერთებათა და განყოფათათის... თითოეულისათვის შემოვიფიქროთ სიტყვად და, რაოდენ დასატყვენელ იყო, მათთვის განვაწესეთ; და რომელიმე მათგანი ჭეშმარიტებისა სიტყვითა ვთარგმნეთ და განვმარტეთ და შემოვრდევდენი გონებანი საინონსა მას სიტყვითა ზედვასა მოიყვანენით, ხოლო რომელითა-მე, ვითარცა საიდუმლოთა, საღმრთოდასებარ



მოციმისა ზემო საცანურისა მოქმედებისა შე-
ვეერთენისა“ (20,10-18). იერთოთისს შესახებ
მოთხრობილი ამბავიც ამასვე გვაძენობს: „და
კვალდ დიდებულისა მისცა წინამძღვრისა ზე-
ნისგანაცა ზემოაბუნებისა საგალობელ ქმნულ
არს ღმრთის-მეტყველებითა მათ შინა მის-
თა თხრობის შენივთებათა, რაჲცა რაჲ-იგი მას
გინა თუ დიდთა ღმრთის-მეტყველთაგან მიე-
ღო, გინა თუ ხელოვნებითისაგან სიტყვა-გამო-
მქვიძლობისა თანა-ვანხილვა მრავალსა მისგან
მათ შორის გამოცდილებისა და წვრთილებისა,
გინა თუ საღმრთოთა რაჲსმე მობერებისა მე-
საიდუმლოე ქმნითა არა ხოლო სწავლულ, არა-
მედ ვნებულცა იყო საღმრთოთა მით მისდა
მიმართ თანაღმობითა და წყალობითა, გინა თუ
ჭერ-არს ესრეთცა თქუმაჲ, ვითარმედ უსწაე-
ლელთა მათდა საიდუმლოთა შეერთებათა მი-
მართ და სარწმუნოებათა შეერთებული და შეს-
რულებული“ (22,4-15).

საღმრთო საიდუმლონი იმდენად შეუცნობე-
ლნი არიან, რომ თვით უზენაესნი ანგელოზნიც
ეი ვერ ჩასწვდებიან მის სიღრმეს. თვით ისეთი
უცხადესად გამოვლენილი საღმრთო ფაქტოე კი,
როგორცაჲ ქრისტეს განკაცება, „გამოთუქმე-
ლვე არს ყოვლისა სიტყვისაგან და უცნაურ ყო-
ვლისა გონებისაგან“ (21,30-33). ამიტომ ქრის-
ტეს განკაცების საიდუმლოსთან ზიარება მხო-
ლოდ მისტიური გზით არის შესაძლო: „მამაკა-
ცებრ არს-ქმნაჲ მისი საიდუმლოდ მოგვიღიეს“
(იქვე)

3

ამ წინასწარი შენიშვნების შემდეგ შეიძლება
მოკლედ ვაღმოვიცნოს ისიც, თუ როგორ ესახება
ამ ნაშრომის ავტორის ფსევდო-დიონისე არეო-
პაგელის მსოფლმხედველობა მის მთლიანობაში
მა ამ მოფლმხედველობასთან რუსთაველის მი-
ზიართობა.

ფსევდო-დიონისე არეოპაგელის მოძღვრების
თანახმად, ყოველივეს შემქმნელი (იგივე პირ-
ველმიზეზი) არის აბსოლუტურად შეუცნობელი
რამ — ღმერთი, რომლის დადებითად განსაზღვ-
რა საერთოდ არ ძალუქს აღამაინის გონებას.
ამავე დროს, ეს არის იგივე ქრისტიანული ღმე-
რთი — სამება; ამასთან, „წყარო ღმრთეებისაჲ
არს მამაჲ“ (18,26, 20,33). მაგრამ, მიუხედავად
ამისა, სამება არის კვლავ და კვლავ განუყოფე-
ლი მარტვი რამ. არც იმის თქმა შეიძლება,
რომ სამების იპოსტასები (მამა, ძე, სული წმი-
და) ერთი და იგივეა, ერთიგორეს შერეულია,
არც იმისი, რომ ისინი ერთიმეორისაგან განსხ-
ვევდებიან. ხოლო როგორც არის ეს ყოველივე
შესაძლო, „ამისი არცა თქუმაჲ, არცა მოგონე-
ბაჲ (მოაზრებაჲ) შესაძლებელ არს“ (21,1). ეს სა-
ხლში ანთებულ ლამპართა ნათელის მაგალითით
შეიძლება მივინიშნოთ მხოლოდ (17,29-15,6),
მაგრამ მაგალითი, როგორც ვიცით, არ არის ახ-
სნა და დასაბუთება.

ეს არის ფსევდო-დიონისე არეოპაგელის
მსოფლმხედველობის ამოსავალი, უმოკერესო
დებულება: ყოველივეს შემქმნელი და მიზეზი
ღმერთი (იგივე სამება) აღამაინის გონებისა
ვის აბსოლუტურად მიუწვდომელია. ამას არა-
ფერი აქვს საერთო ღმრთის უარყოფასთან. პი-
რუქუ — ეს არის ყოველი დროის მაღალგანი-
თარებული რელიგიური ფილოსოფიის ამოსავა-
ლი დებულება. ეს არის უფანიშაღების ბრამპა-
ნი, შანარასა და ვიკეჰანანდს აბსოლუტური
„მე“ (ატმანი), ბუდიზმის ნირვანა, კაბლას ენ-
ზოფ (არა-არსი). ეს არის ღვთაებრივი გამოცხა-
დების, მისტიური ზღვის, საბოლოოდ — რუქუ-
ნის და არა გონების სფერო. კლტურულ-ისტორი-
ური ფაქტების გამოძიებისას ყოველივე ამის-
თვის ანგარიშის გაუწეველობა არსაგზით არ იქ-
ნება. ეს თუ არ გაითვალისწინეთ, გარდასული
დროის ობიექტური სურათის დასხვავე ვერ მო-
ხერხდება.

შეუცნობელი ღმერთი გლინდება და ამით-
ვე ეძლევა დასაბამი იმ საფეხურს, რომლი-
საც უკვე შესაძლებელია გააზრება, სახელის
დარქმევა, კაცობრიულ ცნებებში მოქცევა,
განსაზღვრა. თუ ამ საფეხურამდე მხოლოდ
უარყოფითი აზრის გამომატაველი სახელები
იხმარებოდა (ზესოსიკეთე, ზესოსღმერთი, ზე-
სთარსება, ზესოსიბრძენე), ახლა შეიძლება
მიზეზის მიმინიშნებელ სახელთა გამოყენება:
სიკეთე, არსი, მშენება, ცხოველყოფელობა,
სიბრძნე და მისთანანი, — რადგან ღმერთი არ-
ის ყოველივე ამის თავისთავში მატარებელი
მიზეზი (16, 18-27).

ღმერთის გამოვლენა სხვა არაფერია, თუ
არ ღმერთისგან გამოამართი ძალის მიერ
სამყაროს შექმნა. რაც რამ არსებობს, ყოველი-
ვე ღმერთის მიერ არის შექმნილ, თვით მა-
ტერიალ ეი (53,28-29). მაგრამ სამყაროს შე-
ქმნა ოდნაჲდაც არ ეკლის ღმერთს (23,
32-36). იგი არის ყოველივე შექმნილში „გა-
მოუვალად თავისა თვისისაგან“ (41, 29), მარად
თავისი თავის იგივეობრივია. იგი არის ყოვე-
ლივეში, არის ყოველივე არსებული (პანთეი-
ზმი?), მაგრამ, ამავ დროს, იგი არ არსცა
რა იმისაგან, რაც არსებობს (პანთეიზმის უარ-
ყოფა. 12, 1-20). „ყოველთავე არსთა მიზეზ
არს, ხოლო თვით — არცა ერთი მითგანა“
(10,36); იგი განუყოფლად, თავისი მთლიანო-
ბით იმყოფება ყოველივეში, მაგრამ ყოველი-
ვე როდია მასში (პანთეიზმის სრული უარყო-
ფა. 25, 18-19. 25. 24-26,7). იგი მიძლებებს
მიეციმა ისე, რომ მათთან არავითარ შე-
ხებაში არ მოდის (19, 11-16). „ყოველთაგან
ყოვლად შეუხებელია“ (10, 10). იგი ჯანიყო-
ფება ისე, რომ მთლიანი რჩება, სიბრავლედ იქ-

რამაზ თხარაძე
არეოპაგელი და რუსთაველი

ცემა „ერთობისაგან გამოუვალობით“. ოღონდ მისი ერთობა ზესთაერთობაა, რომელიც შექმნილია, არსებულთა მიმოხილვით მიღებულ ერთობ ცნებას არაფრით ჰგავს, „არსთა შორის ყოფილს ამის ერთობის“ უზესთავისა (23, 25-24, 16).

ღმერთის გამოვლენა, სამყაროს შექმნა სხვა არაფერია, თუ არ სიკეთის გადმოღვრა და განდევნა: „საღმრთოდ განყოფის ყოფად ვიტყვი... სახიერების შევნიერთა მათ ღმერთ-მთაყვარობისა გამოსლვათა“ (23, 21-23). ზესთასიკეთე (ღმერთი) ადამიანის გონებისთვის მიუწოდებელი გზით განიფინება, გამოვლინდება სიკეთედ (სამყაროდ). ამას შეიძლება ეწოდოს აგრეთვე სისრულეს; ნათელის, მშვენიერების, სიყვარულის განდევნა. ოღონდ განდევნა ხდება საფეხურებრივად, იერარქიულ წყობათა წიად, და ამის გამო სისრულეს, სიკეთის, ნათელის, მშვენიერების, სიყვარულის მიმღებლობის უნარი არსებულთაგან ყველას თანაბრად როდი აქვს მინიჭებული. რაც უფრო დაშორებულია არსება ცენტრალურ სულიერ ძმეს (რომლის ხატიც არის ხილული მზე), მით უფრო ნაკლები მიმღებლობის უნარი აქვს. ოღონდ ამ უნარს სრულიად მოკლებული არაფერია არ არსებობს, თვით მატერიალ კი (რადღაც ყოველივე ზესთასიკეთის მიერ არის შექმნილი და, ამდენად, თავისი ბუნების ძალით, არის სიკეთე). ყოველივე განათებულთა ამ სიკეთის მადლით, ამ ნათელით, და ისწრაფვის მეტი და მეტი სისრულე, სიკეთე, სინათლე, მშვენიერება შეიმოსოს, იმ ზომამდე, რომ არა-არსიც კი თითქმის მიისწრაფვის იმისკენ, რომ არსად და, ამდენად, სიკეთედ იქცეს. ამ სწრაფვაში, რაც აღმართო სიყვარულის გამოხატულებაა, ყოველი იერარქია მონაწილეობს, ამასთან, ზემდგომთა ფუნქციაა ქვემდგომთაღმდეგ დახმარება, მათი აყვანა ზედა საფეხურზე, ერთობის დაახლოება და მომსახურება. მაშასადამე, რაც კი არსებულთა, ყოველივე ღმერთის მიერ არის შექმნილი. არსებობა თავისთავად უკვე არის სიკეთე, გონიერება, სინათლე, მშვენიერება, სიყვარული — არსებობა უსრულესი ჰარმონიისკენ მიმსწრაფი ჰარმონიაა. ამიტომ არ გაანია არსებობა (სუბსტანციურობა) ბოროტებას, ამიტომ არ არსებობს იგი. ბოროტება მხოლოდ სიკეთის ნაკლებობაა. თვით ეშმაკიც კი თავიანთი არსებით კეთილნი არიან და არა ბოროტნი. ოღონდ ისინი იმას ესწრაფვიან, რაიც არ არის მათს არსებაში, ისინი არა-არსობას ესწრაფვიან, არსებობას გაურბიან და ამით ესწრაფვიან ბოროტებას („საღმრთოთა სახელთათვის“, თავი 4).

როგორც ვხედავთ, გამოვლენილი სამყარო, მიუხედავად იმისა, რომ არც ერთი თავისი ელემენტით (და არც თავისი მთლიანობით) ღმერთის იგივეობრივი არ არის, მაინც ღვთაებ-

რეია (ფილოსოფიურად ეს შეუძლებელია, რომ არის, მაგრამ რელიგიური ფილოსოფიის თვალსაზრისით, რწმენის და არა ლოგიკურად) ცილებლობის თვალსაზრისით, როგორც უკვე ითქვა, — თავისებოთ შესაძლებელია. ეს არის თავისი დროისთვის უდიდესი მნიშვნელობის მქონე დებულება. ეს არის დადგენება უმკაცრესი მონიშნისა, რომელიც ვერაფრითა დღესამდინავე იწყნარებს. ამგვარი თვალსაზრისის მიხედვით სამყაროს მოდელი მთლიანად, ჰარმონიად ისახება, სოფელი და ზესთასოფელი ურთიერთდაპირისპირებულიად, გათიშულად, მტრულად ვერაფრით ეკლარს მოთარბება. სოფელისა და ზესთასოფლის გამოთქველი უფსკრული გაჭრა.

ამ საერთო სურათის მოხაზვის შემდეგ ჩვენ გემართება ზოგიერთი არა კიდევ დასაზუსტოთ ფსევდო-დონისე კომპაგელის მსოფლმხედველობაში. ზემოთ უკვე ითქვა, რომ ღმერთისაგან გამოშავალი ძალის მოქმედება არის იგივე სისრულე, სიკეთე, ნათელი, მშვენიერება, სიყვარული, ისიც ვიცით, რომ ეს არის „ყოველგან მყოფი და არასადა დასატყვევო ძალა“ (26, 15), სამყაროს შექმნით მასში არაფერი იცვლება, იგი თავისი თავის იგივეობრივი რჩება, ატარებულები მას კი არ მიემართება, არამედ მის მიერ შექმნილი სამყაროს — უმაღლესი იერარქიებით, ზესთასოფლები არსებებით („გონებანი“, „სულინი“, „ძალნი“) დაწყებული, ვიდრე მატერიალდე (სოფელი). მაშასადამე ეს ძალა არის იგივე ღმერთი, რომელიც იერარქიის ყოველ საფეხურზე სრული თავისი მთლიანობით განუყოფლად ჰგავს. მაგრამ რამდენადაც ამ იერარქიებს (საფეხურებზე) განდევნილი სამყაროს იგი თავადვე ქმნის, ეს არის მისი დამავალი ხაზი; ხოლო რამდენადაც ყოველივეს ქმნის მხოლოდ სიკეთედ და ყოველივეს უწესებ საღმრთო სიყვარულს, რათა მეტს და მეტი სიკეთე, სიყვარული შეიმოსოს, ღმერთს მიუახლოვდეს ანუ, რამდენადაც შესაძლოა, დაემკავოს, ეს არის მისივე აღმაველი ხაზი. და, აი, ირკვევა, რომ ყოველივე შექმნილსა და არსებულზე აბსოლუტურად აღმატებულს ეს ძალა (სოფლისა და ზესთასოფლის ჰარმონიის საფუძველი) შეიძლება მოაზრებულ იქნეს აგრეთვე როგორც ბოროტული რამ, როგორც „საცნაური ნათელი“, როგორც „არსება უხრწნელად შემაველი ყოველთა არსებათა“, როგორც „ყოველთა მიზეზი და აღმავებული იესუსის ღმრთებდა“ (22, 24-23,16) — ესე იგი ქრისტიანული სამების მტრე იპოსტასი, ძე ღვთისა, ქრისტე.

ახლა საჭიროა მკარგოდ დავკვირებამ, რათა ცხადი შეიქნეს, რომ ეს ყოველივე აბსოლუტური სიზუსტით შეესატყვისება ქრისტიანული რელიგიის საფუძველთა საფუძველს: „პირველითგან იყო სიტყვა, და სიტყვა იყო იყო ღმრთისა თანა, და ღმერთი იყო სიტყვა



იგი... ყოველივე მის მიერ შეიქმნა, და თვინ-
ვრ მისა არცა ერთი რა იქმნა, რაოდენ ი-რა იქმ-
ნა. მის თანა ცხოვრება იყო და ცხოვრება იგი
იყო ნათელ კაცთა... იყო ნათელი ჰუმანიტი,
რომელი განანათლებს ყოველსა კაცსა, მომა-
ვლასა სოფლად... და სიტყვა იგი ხორციელ იქმ-
ნა და დაემკვიდრა ჩვენს შორის... ხოლო რაო-
დენთა-იგი შეიწყნარეს, მოსცა მათ ხელმწიფე-
ბა შეიღობრთისა ყოფად“ (იოანე, 1,1-14).

ასე შეიარწყმის ფსევდო-დონისანი არეობა-
ველის ნაპარევი ანტიკური ფილოსოფია, ნეო-
პლატონიზმი და ქრისტიანობა. უფრო სწორად
— ქრისტიანობა იყვება და უკეთ საბუთდება
ანტიკური ფილოსოფიისა და ნეოპლატონიზმის
მონაპოვრებით.

რაგორც ზემოთაც ითქვა, იერარქიულობის
იდეა უცხო არც ქრისტიანობისათვის ყოფი-
ლა. მაგრამ აქ ეს იდეა იმდენად ბუნდოვანი
ფორმით გამოითქმოდა, რომ ფაქტურად ვერ
ავსებად ღმერთსა და სამყაროს შორის არსე-
ბულ უფსკრულს. ამას (განსაკუთრებით პატ-
რისტიკაში) შედეგად ის მოსდევდა, რომ სო-
ფილი ბოლოს და ბოლოს არა-არასად, ბორო-
ტებად ცხადდებოდა. ამგვარად მოწყობილ
სამყაროში ადამიანს, რაღა თქმა უნდა, უცხოდ
უნდა ეგარძნო თავი, ყოველივე არსებული
უარყოფი, განეშორებინა (ასკეტიზმის იდეო-
ლოგიური საფუძველი) და დაუწყებელიყო იმ
ერთადერთ ხელჩასაჭიდ პრინციპზე (სული),
რომელიც მის არსებას არსთან, ჰუმანიტთან,
ნამდვილად მყოფთან აერთებდა. ამას კი ცხო-
ვრებაში რეალური თარიღტაციის თვალსაზრი-
სით მუდამ სავალალო შედეგები ახლდა, რაც
უშუალოდ ვლინდებოდა კელტურის ფაქტებში.

მაგრამ თუ სამყაროს იერარქიული წყობა
იგივეა, რაც სამყაროს შექმნა (ღვთაებრივი
ძალის გამოვლენა), და თუ შემოქმედი ზეს-
თასიკეთა, ცხადია, ყოველივე შექმნილი უკ-
ვე თავისთავად არის მეტ-ნაკლები სისრულე,
სიკეთე (იგივე ნათელი, იგივე მშვენიერება,
სიყვარული). ღმერთი ყოველივეშია (განუ-
ყოფლად, თავისთავისაგან გამოუსვლელად),
ყოველივე არ არის ღმერთში, მაგრამ არც ღმ-
ერთის გარეთაა, რადგან „ყოველთა სახითა და-
კეტებული კეთილისაგან არაოდეს არასადა
იპოვოს, არცა ყოფილ არს, არცა არს, არცა
იყოს, არცა ყოფად შესაძლებელ არს... უკუ-
ეთუ ყოველითურთ მოსპო კეთილი, არცა არ-
სება იყოს, არცა ცხოვრება, არცა სურვილი,
არცა ძვრა, არცა სხვადა არცა ერთი რაჲ“ (47,
15-32). აქ სიტყვას აღარ გვაგარძმებდ იმის
თაობაზე, თუ რაოდენ განუზომელი მნიშვნე-
ლობა უნდა ჰქონოდა ამგვარ თვალსაზრისს
შუა საუკუნეთა ვითარებაში.

მეორე მხრივ, მიუხედავად იმისა, რომ ღმე-
რთი არის აბსოლუტურად ტრანსცენდენტური
და შეუცნობი, მისი ძალის გამოვლენა, გამოვ-
ლენა ანუ განფენა შეცნობადია, ეს არის „სა-

ცნაური ნათელი“. ადამიანისთვის ეს იმის მე-
ოხებით არის შესაძლო, რომ მისი არსება სხვა
არაფერია, თუ არ იგივე ნათელი, ღვთაებრი-
ვი პრინციპი — სული. ოღონდ საამისოდ სა-
ჭიროა მან საკუთარ თავშიც შეიქმნოს ეს ნა-
თელი. ეს კი „მეორედ შობით“ აღსრულდება,
რაც, რაგორც ითქვა, ნიშნავს ადამიანის „დე-
ფიციციას“, „დეფიციციის შეიღობა“ ქმნას, ანუ
ღმერთისადმი მიახლოებას, დასმავსებას. მაგ-
რამ აქ უმთავრესი ის არის, რომ, განსხვავე-
ბით ნეოპლატონიზმისაგან, ადამიანი მარტოდ-
მარტო კი არ არის შთენილი ერთიდან გარდა-
მოფენილი ამ აბსტრაქტული დამამრბავებელი
ნათლის წინაშე (რომლისთვისაც თვალის გა-
სწორების შეუძლებლობას ხილული მზის მა-
გალითის მოშველიებით არაერთგზის აღნიშნა-
ვენ პლატონიც, ნეოპლატონიკოსებიც და
ფსევდო-დონისნიც არეობაველიც). ამ საღმ-
რთო აქტის აღსრულებისას მისი შემეხ და წარ-
მმართებელია პიროვნული ღმერთი — ქრისტე,
რომლის სიყვარულიც ყოველივე შექმნილის,
ეგრძოდ კი კაცთა მიმართ იმდენად უზომოა
(41, 7-39), რომ იგი ადამიანადაც კი განსხვ-
ულდა კაცთა მოდგმის ასამაღლებლად. აი, ეს
ყოველივე — ღმერთის გამოვლენის დასახვა
კაცთათვის ესოდენ ახლობელი და გასაგებელი
გრძნობის — სიყვარულის გამოვლენებად, შე-
მოქმედის მიერ შექმნილის უსახომო სიყვარუ-
ლი, პიროვნული ღმერთის მიერ კაცთა შეწყ-
ენა და თავისთან მიახლოება — იმ კონკრე-
ტულ ეპოქაში ქრისტიანობას მომგებიანად გა-
მოარჩევადა ნეოპლატონიზმისაგან, რომლის
განყენებული ერთი არაფილოსოფიურად მო-
აზროვნე ადამიანთათვის უნდუეზოდ მიუწყ-
დომოდა უნდა ჭოფილიყო.

მაგრამ თუ ღმერთის გამოვლენა იგივე სა-
ღმრთო სიყვარულის გამოვლენაა, თუ ზემ-
დგომი ქვემდგომს ეტრფილება, ხოლო ქვე-
მდომი — ზემდგომს, სიყვარული ყოფილა ის
ძალა, რომელშიც შექმნა სამყარო („...თვით
მიზეზიცა იგი ყოველთა კეთილთა და სახიერ-
ებთაჲთა ყოველთა ტრფილიებისთვის გარდა-
მატებულბობითა ტრფილბობითისა სახიერბო-
სათა ვარგვან თავისა თვისისა იქმნებოდა...“
41,22-24) და რომელიც ამოძრავებს ამ სამ-
ყაროს კვლავ ღმერთისადმი ასამაღლებლად
(ღმერთი ანუ სიყვარული არის „მძვერელ ყო-
ველთა“. 42, 7). ეს ყოველივე ფსევდო-დონის-
ნიც ანუ ნეოპლატონის მომდგარის იეროთეოსის მი-
ერ ამგვარად არის დაფორმულებული: „ტრფი-
ალებმა გინა თუ საღმრთოთა ანუ ანგლოზებრი-
ბი, გინა საცნაურებრი, გინა მშვენიერებრი
ანუ ბუნებითა და წერგობითი რაჲმას ვთქვათ,
ერთობითისა რასმე და შეზავებითისა ძალსა გუ-
ლისხმა-გყყოფთ. ქრამეთუ რომელიმე ურეშ-

რიზაზ თხარაძე
არმოკვებული და რუსთაველი



თავსა აღსკრავს განმგებელ-ყოფად უღარეს-თა, ხოლო ცვალდ ანა-მონიფეთთა ზიარებ-თად ურთიერთ არსობად და უქანადასკულთა და უღარესთა — უზუშთავისთა მათ და უმე-ტისთა მიმართ მიქციევისა ყოფად“ (42,29-35).

ყოველივე აღნიშნულიდან კი უმინშენლო-ვანეში დასკვნა გამოდინარებობს: სიყვარული და ქმედება ერთი და იგივეა. თუ არის სიყვარული, არ შეიძლება არ იყოს ქმედება, და, თუ არის ქმედება, არ შეიძლება არ იყოს სიყვარული. სხვაგვარად — ღმერთისადმი მიმსგავსება შეუძლებელია ქმედების გარეშე. აქედან — მოძრაობის, ქმედების ღვთაებრიობა და ქველთი ცხოვრების იდეალი (160, 30-161, 4).

ჩოლო რაკი „ვერცხა სადა რაჲ ცნას ღმრ-თოვ მოცემულთ: ვანი, გერაკი რაჲ ქმნას, რა-მელსა არცალათუ საღმრთო ყოფად აქნდეს“, ცხადია, რომ ზესთაარსებელი, ღვთაებრივი და არსებული, ბუნებრივი ურთიერთსაწინააღმდე-გებს არაფერს შეიცავენ (ეს, რაღა თქმა უნ-და, მათს იგივეობას არ ნიშნავს). არსებულში მიკვლევულ, ბუნებრივ წესთა მიხედვით ქმე-დება იგივე საღმრთო ქმედება (რადგან ეს არ-ის სიყვარულსავე ანუ სისრულისავე სწრაფვა) და ცხოვრებაში უშთავრესია სამყაროელი ჰა-რმონის გამოხატველ ამ წესთა მიღედენება, დაცვა და აღსრულება. რაკ კი არსებულია, დაუნებრია (თვით მატერიალ კი), მასში უარ-საყოფთ ვერაფერს ვპოუბთ: სწორედ არსე-ბულის, ბუნებრივის უარყოფით ეძლევა და-საბამი ბოროტებას (23,14, 44,20, 50,33, 54, 17-22, 160, 21 და სხვა).

ამგვარად შესახება ფსევდო-ღიონისე არე-ობაველის მსოფლმხედველობის ძირითადი მო-მენტები. ახლა კი შევეცდები ეს ყოველივე „ეფესისტყაოსანს“ დავეკავშირო.

ამ ნაშრომის მიზანდასახულება და ფარგლე-ნი საშუალებას რომ იძლეოდეს, პოემის ტექ-სტის მთლიანი და ამოწურავი ანალიზის მე-შეობით უნდა წარმოჩენილიყო, თუ როგორ ღვას „ეფესისტყაოსანს“ შუა საუკუნეთა ძი-რითადი მსოფლმხედველობრივი (და არა ფი-ლოსოფიური) საკითხი — სოფლისა და ზეს-თასოფლის მიმართება. ამასთან, მთლიანსა და ამოწურავ ანალიზში აქ იგულისხმება არა მხოლოდ და არა იმდენად ტექსტის ცალკეუ-ლი ჩვენებანი, არამედ პოემა მის მთლიანობა-ში — სიტუეტსა და მის განვითარებაში მოქ-ცეული აზრი და იდეები, პერსონაჟთა შინაგანი ბუნება და მათი ურთიერთმიმართება და მის-თანანი. ვინაიდან ამის საშუალება ამჟერად გა-მორიცხვლია, აქ დავეყვარებოდეთ პოემის შესავლის „დასაწყისი“ ანალიზით, ხოლო ძი-რითადი ტექსტის გასაანალიზებლად გაწეული მუშაობის შედეგებს მხოლოდ დასკვნების სა-ხით წარმოვადგენ.

კაცმა რომ თქვას, ჩვენთვის ამჟამად საინ-ტერესო საკითხის არსება პოემის პირველსა-

ვე სტროფშია წარმოდგენილი შექმნის კონდენსირებულ ფორმით, ამასთან, იმდენად ამომწურავად, — ეფესისტყაოსნიდან* მეტი რომ აღარაფერი დარჩენილიყო, ამ სტროფი-თაც შესაცნობი იქნებოდა მისი ავტორის კრე-დო. აქ არის ზესთასოფელიც, სოფელიც და მათი სრულ პარამონა. ამ სტროფის გაცნო-ბისთანავე ნათელი ხდება, რომ მისი დამწე-რისთვის გამოირცხვლია სამყაროს დუალის-ტური გაგება, რაიმე უფსკრულის თუ დაპი-რისპირების არსებობა სოფელსა და ზესთა-სოფელს შორის. ამასთან, ფიქრიც არ შეიძ-ლება იმისა, რომ ეს პარამონა, ეს მლიანობა, ვთქვათ, ზესთასოფლის მოხსნით, მიწაზე მისი ჩამოტანით და ამაღლებული სიმბოლოდია გამოცხადებით იყოს მიღწეული. არა, ჩვენს წინაშეა კრეაციონული იდეის სრული დადას-ტურება.

„რომელმან შექმნა სამყარო...“
მაშასადამე, პოემის პირველივე სიტყვა ღმერთს აღნიშნავს: ღმერთმა შექმნა სამყარო. გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად აქ ზოგი რომ უნდა განიმარტოს. ტექსტის პირვე-ლივე სიტყვა შესაძლოა ორგვარად იქნეს გა-გებული:

1. „რომელმან“ არის განსაზღვრებითი ნა-ცვალსახელი. ამ შემთხვევაში ჩვენს წინაშე იქნება არა რთული თანწყობილი წინადადება („ღმერთმა შექმნა სამყარო... არსნი სულითა ყვნა... კაცთა მოგვცა ქვეყანა“), არამედ რთუ-ლი ქვეწყობილი წინადადება, სადაც პირველი წინადადება განსაზღვრებითია: „რომელმან (ვინც) შექმნა სამყარო, (მან) არსნი სულითა ყვნა და (მან) კაცთა მოგვცა ქვეყანა“. ვინ ყვნა არსნი სულითა და სხვა? — რომელმაც (ვინც) შექმნა სამყარო.

2. „რომელი“ ძველ ქართულში ჩვეულებრა-ვი ნაცვალსახელი კი არ იყო მხოლოდ, არა-მედ იხმარებოდა ცნება „ღმერთის“ აღნიშ-ვნელად, მის შემცველ სიტყვად (არსებით სახელად). ახლა ძნელი მისაკვლევიია, საიდან იღებს სთავეს ქართულ ფილოლოგიაში სი-ტყვა „რომლის“ ამგვარად გაგების ტრადი-ცია, მაგრამ ეს ტრადიცია კარგა ხანია არსე-ობს და მას ანგარიში უნდა გაუქონოს¹².

¹². ბიბლიის ქართულ ტექსტში დასტურდე-ბა სულ ორი შემთხვევა, როდესაც „რომლის“ ამგვარ გაგებას რაღაც გამართლება შეიძლება მოეძებნოს (2 გამოსვლ. 3,14, იობ. 9,5-10). მა-გრამ ორსავე შემთხვევაში ფრაზები ისეა აგ-ებული, თანაბარი უფლებით შეგვიძლია „რო-მელი“ განსაზღვრებით ნაცვალსახელდაც მი-ვიჩნიოთ. მით უმეტეს, შესატყვის ადგილს ბი-ბლიის უცხოური ტექსტები, მათ შორის ებ-რათული, მსგავსს არაფერს იცნობენ, ე. ი. არ დასტურდება ნაცვალსახელის ხმარება არსები-თის მნიშვნელობით.



განურჩევად იმისა, თუ რომელ წაითხვას მივიჩნევთ მართებულად, არავითარი ეჭვი არ არის: იქ იველისხმება ღმერთი (კრიტიკას ვერ უძლებს მოსაზრება, თითქმის რუსთაველმა განზრახ აარიდა თავი ღმერთის ხსენებას. ასეთ შემთხვევაში სტროფის სრულ გაუგებრობად თუ არა, რებუსად იქცევა).

„ზეგარდმო არსნი სულითა ყვნა ზეციით მონაბერითა“.

აქ „ყვნა“ არის სტილიტური ეპეივალენტო წინა სტროფში ნახმარი ზმინისა „შექმნა“ (ზმნა სყოფა — „ქმნა“, „გაყვითება“ — ნამყო სრულის მესამე სუბიექტური პირის შემთხვევაში იძლევა ფორმას „ყო“ — „გაყეთა“, „ქმნა“. რაკი ობიექტი — არსი — მრავლობით რაცხვშია, ვლევლობით ფორმას „ყვნა“). შექმნის აქტი ელვად დასტურდება, ოღონდ დეკონკრეტულია გითარება: ზეციით მონაბერი სულით შექმნა არსნი.

მტორე განმარტება აქაც არის საჭირო.

სიტყვა „ზეგარდმო“ აგრეთვე ორი მნიშვნელობით შეიძლება იქნეს გაგებული:

1. „ზეგარდმო“ — მაღლით, ზემოდან, ზეციდან: „ზემოდან ყვნა არსნი...“ ამ შემთხვევაში ჩვენს წინაშეა რუსთაველისთვის ეგზომო ჩვეული სინტაქსური ტემის, ესე იგი წინადადება სალექსო საზომში რომ არ იყოს ჩასმული, ამგვარ სახეს მიიღებდა: „ზეგარდმო (ზემოდან) ყვნა (შექმნა) არსნი ზეციით მონაბერი სულით“. აქ „ზეგარდმო“ არის ადვალის გარემოება.

2. „ზეგარდმო“ ადვალის გარემოება კი არაა, არამედ განსაზღვრება, იგი უკავშირდება სიტყვას „არსნი“ — „ზეგარდმო არსნი“, ესე იგი ციური (ზესთასოფლური) არსებანი. ამ შემთხვევაში წინადადება წაიკითხება ამგვარად: „ზეგარდმო არსნი (ციური არსებანი) ყვნა (შექმნა) ზეციით მონაბერი სულით“.

სიტყვა „ზეგარდმო“ პოემაში კიდევ ორჯერ გვხვდება (სტროფები 1354, 1371). ორსავე შემთხვევაში პირველი მნიშვნელობით იხმარება — მაღლით, ზეციდან. ეს, რაღა თქმა უნდა, იგრ გადაწყვეტს საქმის ვითარებას. გამოჩინებული არ არის, რომ ამ შემთხვევაში „ზეგარდმო“ სწორედ მეორე მნიშვნელობით იხმარებოდეს.

მასში ჩვენს წინაშე გადაიშლება სამყაროს იერარქიული წყობის სურათი: ღმერთი — ზეგარდმო არსნი (ზესთასოფლური, არამატერიული არსებანი) — ქვეყანა (სოფელი). ამაში მოულოდნელი არაფერი იქნებოდა, ცხადია: რუსთაველის პოემის ტექსტი ადასტურებს სამყაროს ამგვარ მოდელს, ოღონდ ზესთასოფლური არსებანი ტექსტში ქვემოთ მოიხსენებიან როგორც „ძალნი“ („მცაეს თუ ცისა ძალთა დასი“, 164, „...ძალნი ზეციერნი განაგებენ...“, 1050. შეიღარეთ ძველი აღთქმიდან:

წიგნი ნემასი, 9, 6, ფსალმუნნი, 88,8, 149, და სხვა).

მაგრამ აქ მთავარი ისაა, რომელ წაითხვასაც უნდა დაუქვიროთ მხარი, საქმის არსება არაფრით შეიკვლება: ორსავე შემთხვევაში ჩვენს წინაშე კრეაციონული იდეის ილუსტრაცია (ოღონდ მეორე წაითხვა უფრო ახლოს დგას სამყაროს არეოპაგიტულ მოდელთან).

მესამე სტრიქონი გამოხატულებაა სოფლის და ზესთასოფლის იმ ჰარმონიისა, რომელიც ზემოთ აღინიშნა: „ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერთა“. ეს არის რენესანსული მხრით დანახული სოფელი, ღვთაებრივი ზეწალით გაშუქებული, სადაც აღმანიცი ამ ნათელის მატარებელია და მისი მიუცილებელი ნაწილი.

ხოლო მეოთხე სტრიქონში „მისკან (ღმერთისაგან) არს ყოვლი ხელმწიფე სახითა მის მიერთითა“ — ავტორი წარმოგვიდგენს აბსოლუტურად ქრისტიანულ-არეოპაგიტულ მოდელს. მიწიერი იერარქია ზეციურის შესატყვისია (ესეც ადასტურებს ზესთასოფლისა და სოფლის ჰარმონიულ მიმართებას), როგორც ღმერთი დგას ყოველივეზე მაღლა, ასევე სოფლი-ორ ყოფაში — ხელმწიფე, და ეს მისი მდგომარეობა ღმერთის მიერ არის დადგენილი, ხელმწიფობა ზეციით ნაკურთხი ინსტიტუტია (შეიღარეთ: „...ნაბუქოდონოსორ არს ღმერთი ქვეყანისა და თინიერ მისსა არა არს სხვა“. წიგნი იგილითა, 5, 29).

ამგვარად, პოემის პირველმა სტროფმა ორი მნიშვნელოვანი მსოფლმხედველობრივი ფაქტი დაგვიდასტურა:

1. პოემის ავტორს სოფელი და ზესთასოფელი განუყოფელ, ჰარმონიულ მთლიანობად ესახება;

2. პოემის ავტორი კრეაციონიზმის თვალსაზრისს ადგას, სამყაროს შექმნა მას ისეთივე აქტად ესახება, როგორადაც სახავდა ქრისტიანული რელიგია.

გადავიდეთ მეორე სტროფზე.
„ჰე, ღმერთო ერთო, შენ შექმენ სახე ყოვლისა ღმერთსა“.

აქ, უწინარეს ყოვლისა, ერთი რამ უნდა შევნიშნო: განსახილველი სტრიქონის ნამდვილად მეცნიერული ანალიზი ვერ ვახორციელებ, ვიდრე ამომწურავი სიზუსტით არ გავირკვევ, თუ რა მნიშვნელობით ხმარობს რუსთაველი სიტყვებს „სახე“ და „ტიანი“. ეს კი მანამდე ვერ მოხერხდება, ვიდრე საბოლოოდ არ დადგინდება, რა და რა მნიშვნელობით იხმარებოდა, მაგალითად, „სახე“ ქართულ ჰიმნოგრაფიაში, ჰაგიოგრაფიაში, საერო ლიტერატურაში, განსაკუთრებით კი ბიბლიისა და ფსე-

რამაზ თხარაძე
არეოპაგეული და რუსთაველი



ვლო-ლიონისე არეოპაგელის თხზულებათა თარგმანებში, პროკლეს ნაშრომის პეტრიწისეულ თარგმანში, თავად პეტრიწის შრომებში და სხვა ფილოსოფიურ ძეგლებში. დასახელებულ ტექსტებში „სახე“, მისი დღევანდელი მნიშვნელობის გარდა, ნიშნავს აგრეთვე „სიმბოლოს“, „ფორმას“, „მსგავსებას“, „ნიშანს“, „ნიშნულს“, „მაგალითს“, „გვარს“, „წესს“, „გამოხატულებას“, „სახეობას“. მოსალოდნელია „სახის“ სხვა მნიშვნელობათა წარმოჩენაც. რომელი ერთია რუსთაველის მოტიხილ სტრიქონში ნახმარი სიტყვა? ეს თუ საბოლოოდ არ გაირკება, ყოველგვარი მსჯელობა ალაღებულზე იქნება მიწოდებული. უამისოდ აქ, არეოპაგტიკის გადართვას, შესაძლია პლატონის „იდიას“ ეპოვით, არისტოტელეს „ფორმაც“ (ორივე გაგება სავსებით შესაწყნარებელი იყო რელიგიური ფილოსოფიის თვალსაზრისით), „პირველ-სახეც“ და მრავალი სხვაც.¹³

„დასაწყისის“ სტროფებიდან ყურადღება უნდა შევამჩროთ კიდევ მიჯნურობის არსებობის გამოხატვულ ადგილზე (მე-20 და მომდევნო სტროფები).

კვლავ წინასწარ შევნიშნოთ, რომ აქაც შეუძლებელია შეცნიერული კვლევის სათანადოდ მყარ ნიადაგზე დაყენება, ვიდრე არ დაზუსტებულია, მთელი სიცხადით არ გამოკვეთილა ზოგიერთი ტერმინის მნიშვნელობა: „...ტომი გვართა ზენათა...“, „...ჰკვიანნი ვერ მიხვდებიან...“. ხაზგასმული სიტყვები სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას ქმნიან. მაგალითად, „ვეფხისტყაოსნის“ სიმფონიის შემდგენელთათვის „მიხვდომა“ (სტრიქონში „მას ერთსა მიჯნურობასა ჰკვიანნი ვერ მიხვდებიან“) ნიშნავს „მიხედვას“ დღევანდელი გაგებით; ამ შემთხვევაში სტრიქონს ამგვარი აზრი ექნება: იმ პირველ მიჯნურობას ჰკვიანნი ვერ მიხვდებიან (დღევანდელი მნიშვნელობით), ვერაფერს გაუგებენ.¹⁴ მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ ეს სიტყვა აქ იხმარებოდეს იმგვარი გაგებითაც, როგორც შემდეგ სტრიქონებში: (ავთანდილ) „მიხვდა რამე ჰქვეყანასა უგემურსა...“, „ჩემი სთქვა: სხვათა მიხვდოა იგი აღვისა ტანითა“ და სხვა. ესე იგი „მიხვდომა“ როგორც „მიახლება“, „წილად რება“, „ხვედრად ქცევა“. მაშინ მოტიხილი სტრიქონი უკვე ამგვარად უნდა გაიშიფროს: ის პირველი მიჯნურობა ჰკვიანთა ზედრი არ არის, ჰკვიანნი მას ვერ მიეახლებიან. ვიდრე

მსგავსი ამბები არ დაზუსტებულა, მდებარეობს კოფულ მდგომარეობაში ვიქნებით.

ამ სიძნელეთა გათვალისწინებით შევეცადოთ აღნიშნული სტროფის გაანალიზებას.

აქ უნდა გავიხსენოთ ზემოთქმული: ფსევდო-ლიონისე არეოპაგელის მსოფლმხედველობის თანხმად, სამყაროს გამოვლენაც და ღმერთისად მისი მიქცევაც შეიძლება განვიხილოთ როგორც ღვთაებრივი ძალის მოქმედებაც და აგრეთვე როგორც სისრულის, სიკეთის, მშვენიერებისა და სიყვარულის განფენაც. ეს უკანასკნელი ასპექტი პლატონის თეორიას ემყარება, მაგრამ, ამვე დროს, აბსოლუტურად შეესატყვისება ქრისტიანულ მსოფლმხედველობას (ყრამეთუ ღმერთი სიყვარული არს“ და სხვა). ყოველი არსი იმას ესწრაფვის, რომ მეტი და მეტი სისრულე (იგივე სიკეთე, იგივე მშვენიერება) შეიმოსოს და ამით მოჰყვეს აღმავეალ ხაზს, ღმერთს მთუახლოვდეს და დაემსგავსოს შეძლებისდაგვარად. ეს არის სწორედ წრიული მოძრაობის საფუძველი. ამ მხრივ ყოველი საფეხური ზედის ბაჟებს, მისი მაგალითისამებრ მიიღობის ყოველივეს მიზნუხისა და მიზნისკენ — ღმერთისკენ. ეს კი იგივეა, რაც ეროსის მოქმედება, ზენა სიყვარულის გამოვლინება, არსის სიყვარული შემოქმედისადმი. „და ყოველსავე მისსა მიმართ სურის, ვითარცა დასაბამისა და შემოკრებულისა და აღსასრულისა“ (33, 21). მაგრამ აქ ერთი უმნიშვნელოვანესი მომენტაც უნდა გავითვალისწინოთ. როგორც ვიცით, ფსევდო-ლიონისე არეოპაგელის თვალსაზრისით, ისეთი არაფერი არსებობს, რაც მთლიანად დაცლილი იქნებოდა სიკეთისაგან, არა-არსიც კი იმას ესწრაფვის, რომ არსებობს და, ამდენად, სიკეთის რაღაც ნაწილი მიიპოვოს. ხოლო რამდენადაც სიკეთე და სიყვარული ერთი და იგივეა, ცხადია აგრეთვე, რომ ისეთი არაფერი არსებობს, რასაც ეროსის ძალა არ ამოქმედდეს, რაც მთლიანად მოკლებული იქნებოდა სიყვარულის უნარს. ამ თვალსაზრისით, განვიმარტავს არეოპაგელი, „ვითარ-იგი ტრფიალი სიძვისა და დაცვათუ დაკლებულ არს კეთილისაგან პირუტყვულობა მით გულისთქმითა, რამეთუ მით კერძობათა არცა არს, არცა არსისთვის გული უთქვამს, გარნა ეგრეთცა მიიღებსვე სახიერებისაგან მითვე შეერთებისა და სიყვარულისა წვრილობა და ნახმეითა“ (47,17-22). აქ ჩვენ ვერ ჩავწვდებით უმთავრესს, თუ ისიც არ გავითვალისწინებთ კიდევ ერთხელ, რომ სამყაროს იერარქიული წყობა აქვს. ესე იგი საყოველთაო საღმრთო სიყვარულის გამოვლინების ინტენსიობა შეესატყვისება იერარქიის იმ საფეხურს, რომელზეც არსი იმყოფება. რაც უფრო მაღალ საფეხურზეა არსება, მით უფრო ცხოვე-

13. ეს ნაშრომი უკვე დაწერილი იყო, როდესაც ავტორმა გაიცნო ელვუკა ხინთიბიძის დიდდ საყურადღებო გამოკვლევა — „ვეფხისტყაოსნის სახე ყოვლისა ტანისა“ („მაცნე“, 1970, № 4).

14. ასევე ეხმოდა ეს ადგილი აკადემიკოს შალვა ნუცუბიძეს.



ლია საღმრთო სიყვარული და პირუტყვ. ოღონდ აქ კიდევ ერთი მომენტი დაერთვის: მაწიერ არსთავან ადამიანს აქვს მიმადლებული იმის ნიჭი, რომ თავი მთლიანად „ღმერთს გაუსაკუთროს“, ამქვეყნიურს ყოველსავე ზურგი აქციოს და მისტიური ექსტაზის მეოხებით, იერარქიათა ზემდგომი საფეხურების გვერდის ავლით, უშუალოდ მისწვდეს ზენას, ღვთაებრივ სინათლეს ეზიაროს.

ესე იგი ისახება ღმერთისად მიქცევის ორი გზა: არსებული საფეხურის შესატყვისი ქმედება, საკუთარი გვარის ფარგლებში სრულყოფა (ანუ სისრულის, სიკეთის, მშვენიერების შემოსევა) და იერარქიის მწვერვალისკენ საფეხურებრივი თანდათანობით ამღობება; ან კიდევ საკუთარი თავის საღმრთო სიყვარულის მწვერვალზე აღტყორცნა და უზენაესის უშუალო მისტიური წვდომა. მაგრამ ეს ძნელი გზაა და ყველას როდი ძალუმს მისი გადალახვა.

ეს ყოველივე გათვალისწინებულია ახალ აღთქმაში: „ჰრქვეს მას (იესოს) მოწაფეთა მისთა: უკეთუ ესოდენი ბრალი არს კაცისა დედაცკისა თნა, არა შეგვავს ქორწინება. ჰრქვა მათ იესო: არა ყოველთა დაიტონ სიტყვაჲ ემე, არამედ რომელთა მიცემულ არს. რამეთუ არიან საკურისნი, რომელნი მუცლითგან დედისა თვისისათ საკურისნი იშვენს; და არიან საკურისნი, რომელნი კაცთაგან გამოისაკურისნენ; და არიან საკურისნი, რომელთა გამოისაკურისნეს თავნი თვისნი სასუფევველისათვის ცათაჲსა. რომელი შემძლებელ არს დატევნად, დაიტონ“ (მათე, 19, 10-12).

აი, სწორედ ეს მეორე გზა, საღმრთო სიყვარულის ეს უძნელესი ფორმა (რომლის „დატევნა“ ყველას არ ძალუმს, რომელიც მოწიერისგან, ხორციელისგან სრულ განდგომას გულისხმობს) აქვს მხედველობაში რუსთაველს, როდესაც წერს:

ვთქვა მიჯნურობა პირველი
და ტომი გვართა ზენათა,
ძნელად სათქმელი, საჭირო
გამოსავები ენათი;
იგია საქმე საზოგადო;
მომცემი აღმადრენათა;
ვინცა ეცდების, თობამაცა
ჰქონდა მრავალთა წყენათა.

მას ერთსა მიჯნურობასა
ჰკვიანი ვერ მიხედებთან,
ენა დაშვრების, მსმენლისა
ყურნიცა დავალდებთან.

ვიღრე მოვიტანდე მომდევნო ცნობილ ფრაზას („ვთქვენე ზელობანი ქვენანი...“), ცოტა რამ უნდა ითქვას წინასწარ.

საღმრთო სიყვარულის ეს სახეობა იყო საფუძველი, რომელსაც ესწრაფოდნენ ყოველ

ემოქაში მისტიური ხედვის მიმდევარნი და რომელსაც ემაჯარებოდა აღმოსავლეთის ქრისტიანულ სუფიზურ სკოლაში პოეზია. მაგრამ ჩვენ ისიც ვიცით, რომ საქართველოში სუფიზურმა პოეზიამ (მიუხედავად ყველა ხელშემწყობი გეოგრაფიული თუ კულტურულ-ისტორიული პირობისა) ვერაფერითაღი ნიადაგი ვერ პოვა დასამკვიდრებლად. რა იყო ამის მიზეზი?

ჩემის აზრით, სხვა მიზეზთა გარდა, გადაწყვეტი მნიშვნელობა იმ გარემოებას ჰქონდა, რომ ქართული კულტურა მკვიდრად ადგა სოფლისა და ზესთაოფლის მილიანობის, სამყაროს პარამონიულობის არეოპატიტულ თვალსაზრისს. ვისთვისაც სოფელი და ზესთაოფლის დამოკიდებულება ბოლოდღე დაძლეული არაა, მას განოსავლად ისლამს ესახება, რომ „გამოისაქურთოსოს თავი თვისი“ (ამ სიტყვის არა პირდაპირი გაგებით, ცხადია), ესე იგი ყოველსავე ამქვეყნიურს, მიწიერს, ხორციელს განუდგეს და საღმრთო მიჯნურობის მისტიურ გზასლა მიჰყვეს; მაგრამ ვისაც სწამს, რომ სოფელი ზესთაოფლისადმი პრინციპულად დამორისპირებული და მტრული რამეც არ არის, არამედ მხოლოდ ერთ-ერთი საფეხური უსასრულო იერარქიისა, სადაც, მართალია, სისრულე (სიკეთე, მშვენიერება...) შედარებით ნაკლებად ვლინდება, ოღონდ საიმისოდ ეს საფეხურები საკმარისია, რომ ბუნებრივ, მოცემულ საფეხურისთვის დადგენილ წესთა აღსრულების შემთხვევაში „ზესთ მწყობრთა წყობისი“. ესე იგი ზედა იერარქიების წვდომის (და, ამგვარად, ღმერთთან უსასრულო მიახლოების) პერსპექტივა არსებობდეს, — ის არ უარყოფს, არ მოიძულეს სოფელს. არ მოიძულეს თუნდაც იმიტომ, რომ, იმავე ქრისტიანული შსოვლმხედველობის თანახმად, „ეფრთისი ამისა სიყვარულთა არავის აქვს, რამათა სული თვისი დადგას მეგობართა თვისთა თვისი“ (იოანე, 15, 13). მისტიური ექსტაზის გზა ცალკეულ გამორჩეულ პირთა გზაა, ეს არ არის კაცთა მთელი მოდგმის გზა. მაგრამ გზათა ეს სხვაობა არ არის აბსოლუტური რამ. საკუთარი გვარის ფარგლებში სრულყოფით, საღმრთო სიყვარულის „რაზობაცა დასატყვენელ არს“ (ესე იგი, რამდენადაც შესაძლოა, რამდენადაც კაცს ძალუმს იტვირთოს) მიდევნებით უკანასკნელნი იმასვე ეზიარებინან, იმასვე შეერთებინან, რასაც პირველნი. ოღონდ ეს საკუთარი გვარის ფარგლებში, მოცემული საფეხურის შესატყვისად განხორციელებული სიყვარული, როგორც ვიცით, არის იგივე სწრაფვა უზენაესისაკენ ზემდგომ იერარქიათა წილ აღმავალი გზით. ამიტომაც, რომ ყოველი ქვედა საფეხური ზედის ესწრაფვის, ზედის ბაძავს.

რამაჲ თხარამე
არემკაბელი და რუსთაველი



ფსევდო-დონისე არეომაგელის მიერ დეტალურად დამუშავებული ეს პლატონისეული იდეა თუ არ გაითვალისწინეთ, ძნელი იქნება რუსთაველის განსახილველი სტროფის ჰემი-მარიტი აზრის გაგება. დავუკვირდეთ ზემოთ ციტირებულ ექვს სტრიქონს. მათში რუსთაველი ასახიათებს „პირველ მიჯნურობას“, ძნელ გზას, ყველასთვის ვერმისაწვდომ საღმრთო სიყვარულს. მაგრამ ამას მოსდევს განმარტება, რომელიც მთელი პოემის აზრს გამიხატავს:

მართ მასვე ჰბაძვენ, თუ ოდეს არ სიძვენ, შორით ბნდებიან.

აქ არის არეომაგიტული მოძღვრების არსება: სიყვარული ერთი განუყოფელი ძალაა ღმერთიდან ვიდრე არა-არსამდე. ოღონდ ეს ძალა სხვადასხვა ინტენსივობით ვლინდება იმისდა მიხედვით, თუ იერარქიის რომელ საფეხურთან გვაქვს საქმე. შთავარია ყოველმა საფეხურმა დაიცვას განვითარების მისი დონის შესატყვისი ბუნებრივი (რაც იმავე ღვთაებრივ ნიშნავს) წესი. კაცობრიული სახეფურისთვის სიძვა ამ წესის დარღვევა და შეღახვა იქნებოდა, უკან სვლა, რაც, როგორც ვიცით, საბოლოოდ არის აღმასვლის საერთო ტენდენციიდან გამოთიშვა, არარსებობისაკენ სწრაფვა ანუ ბოროტება. მაგრამ კაცობრიული საფეხურისთვის ბუნებრივი, განვითარების მოცემული დონის შესატყვისი სიყვარული — ხორციელ სწრაფვას გამოვლენილი სულერი ილტოლვა („შორით ბნდა“) — თავისი არსებით იგივე საზეო სიყვარულის ბაძვია, მისი მსგავსია.¹⁵ ამის შემდეგ სავსებით გასაგებია, რასაც ნიშნავს „ვთქვენ ხელობანი ქვენანი, რომელნი ხორცთა ხვდებიან“. რუსთაველი იგივე საღმრთო სიყვარულის ამბავთა მთქმელია, ოღონდ მას სოფლთან აქვს საქმე, იერარქიის იმ საფეხურთან, რომელზეც ხორციელი არსებანი მოქმედებენ, და, ცხადია, სიყვარულის გამოვლენა აქ ხორცისაღ უნდა შეხოს — სწორედ ამის უარყოფა იქნებოდა მოცემული საფეხურისთვის დადგენილი წესის დარღვევა.

განსახილველი ადგილი ზოგჯერ გაუგებრობას იმიტომ იწვევს მკითხველთა თუ მკვლევართა შორის, რომ არ ითვალისწინებენ ხოლმე რუსთაველისთვის ეგზომ დამახასიათებელ

სინტაქსურ ტემეს. საქმის არსება ბოლომდე გასაგები რომ შეიქნეს, საქმითა სტრუქტურულ ხელახლა ციტირება. მაშასადამე აქ კანონიკია იმ საზეო სიყვარულის შესახებ, რომელიც ჩვეულებრივ კაცთათვის ერთობ ძნელად მისაწვდომი რამ არის. და, აი:

მას ერთსა მიჯნურობასა ჰქვიანნი ვერ მიხვდებიან, ენა დაშვებების, მსმენლისა ყურნიცა დავალდებიან; ვთქვენ ხელობანი ქვენანი, რომელნი ხორცთა ხვდებიან; მართ მასვე ჰბაძვენ, თუ ოდეს არ სიძვენ, შორით ბნდებიან.

რას ჰბაძვენ, როცა „არ სიძვენ, შორით ბნდებიან“? „ქვენა ხელობათ“, ხორციელ სიყვარულს? არა. მეოთხე სტრიქონი, წესით, პირველსა და მეორეს უნდა მოსდევდეს: „მას ერთსა მიჯნურობასა ჰქვიანნი ვერ მიხვდებიან, ენა დაშვებების, მსმენლისა ყურნიცა დავალდებიან, მართ მასვე ჰბაძვენ, თუ ოდეს არ სიძვენ, შორით ბნდებიან“. მაგრამ მეორე და მეოთხე სტრიქონები გათიშულია ჩართული წინადადებათ (სინტაქსური ტემის), რომელიც გვაუწყებს ფაქტურად ბოლოში სათქმელს: როცა სიძვა კი არ არის, არამედ ამაღლებული, წმინდა სიყვარული, ეს იგივე საზეო სიყვარულის ბაძვია, მაგრამ ადამიანისთვის ამაღლებული, წმინდა სიყვარული ამავე დროს ხორციელ სწრაფვასაც ნიშნავს და ამიტომ მე მოგოთხრობთ იმ სიყვარულის ამბავს, რომელიც საზეოს ბაძვაც არის და თან ხორცისაღ უკავშირდება.

ასეთია, ჩემის აზრით, სიყვარულის რუსთაველური გაგება. ეს გაგება პლატონისეულ თეორიას არაფრით არ ეწინააღმდეგება, პირიქით, ამ თეორიის არეომაგიტული ვაზრების ილუსტრაციას წარმოადგენს და სავსებით შეესატყვისება „გუფხისტყაოსნის“ უმთავრეს აზრს — სოფლისა და ზესთასოფლის ჰარმონიას.

სოფლისა და ზესთასოფლის მიმართების ამგვარი გაგება რუსთაველის მსოფლმხედველობის საფუძველთა საფუძველია. ამგვარი გაგების შედეგია ადამიანის აუყანა შუა საუკუნეთა მსოფლიოსთვის არნახულ სიმძლავრე, გონების ზეობის კულტი და ქმედითი ცხოვრების ფილოსოფია. აქედან კი უკვე ადვილი ასახსნელია ჰუმანურობის, მეგობრობის, მშობისა და სხვა იდეები, რომლებიც მრავალგზის აღნიშნულია და განხილულია რუსთაველოლოგიურ ლიტერატურაში.

¹⁵ ამას ინტუიტურად მიხვდა, მაგრამ ბოლომდე ვეღარ ჩასწვდა ვახტანგ მეექვსე, ამიტომ რუსთაველის საღმრთო სიყვარულის განმარტება ბოდიშით დაასრულა — გინდაც ასე არ იყოს პოემაში, მაინც ხომ ამგვარად განმარტება სჯობს.



სოფლისა და ზესთასოფლის გათიშვის, მათი შეურთებელი დაპირისპირების პირდაპირ შედეგს წარმოადგენს შუა საუკუნეთა ქრისტიანული კულტურის ქვეყნებში ესოდენ პოპულარული „ორგვარი ქეშმარიტების“ თეორია (ამ თეორიის იდეოლოგიურ სთავივებს, როგორც ცნობილია, არაბ არისტოკრატელებთან მიგვაკვართ, მაგრამ საბოლოოდ იგი კონფესიონალური ქრისტიანობის ორგანულ ნაწილად იქცა და ცოტათი უფრო გვიანდელ კულტურის ფაქტურში მიიწივრი და ზეციური ვენერის დაპირისპირებით გამოიხატა).

ამ ამბავს იმტომ ვიხსენებ, რომ ორგვარი ქეშმარიტების თვალსაზრისი XVII—XVIII საუკუნეთა საქართველოში თითქმის მთელი კულტურული ცხოვრების იდეოლოგიურ საფუძვლად იქცა. მას შემდეგ, რაც საქართველომ განიცადა დაქვემდებარება ვიზიტი (XIV—XVI საუკუნეები), მას შემდეგ, რაც დაიბრუნა ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიური მთლიანობა, მოიშალა სოციალური სისტემა, სავალალოდ დაქვეითდა კულტურული ცხოვრების დონე, ცხადია, უნდა დაკარგულიყო სოფლისა და ზესთასოფლის პარმონის მაღალი იდეალიც, რასაც მრავალი საუკუნის განმავლობაში აზრის დაუცხრომელი კეთების შედეგად მისწვდა ქართული კულტურა X—XIII საუკუნეებში. უფსკრული კვლავ გაიზარდა, ზეცისა და მიწის დუალიზმი (ქრისტიანული რელიგიის პრიმიტიულიად გააზრების შედეგი) კვლავ წინა პლანზე წარმოვდა.

ასეთ ვითარებაში სოფლიური ყოფა, სოფლიური ქმედება კვლავ ისეთ რადმე დაისახა, რაც პრინციპულად გამორიცხავდა ზესთასოფლურს. რაღა უნდა თქმულიყო იმ კულტურული მოღვაწეობის შესახებ, რომელიც თავის საგნად სწორედ ხსენებულ სოფლიურ ყოფას აქცევდა? რაღა უნდა თქმულიყო ეგრეთ წოდებული საერო მწერლობის შესახებ? მხოლოდ ის, რომ ეს არის „მიწიერი ქეშმარიტება“, თავისი არსებით ზეციურისადმი დაპირისპირებული, ამაო საქმიანობა ამოებისავე წარმავალ ასპარეზზე. ამით აიხსნება ის დაუსრულებელი ბოდიშობა, რაც ესოდენ დამახასიათებელია ეგრეთ წოდებული აღორძინების ხანის მწერალთათვის (თეიმურაზ პირველი, არჩილი და სხვანი). მათ არასდროს სწყინდებთ ლევისგან შენდობის გამოთხოვა იმის გამო, რომ ისეთ ფუჭ საქმიანობას მისდევენ, როგორიცაა სოფლიურ საქმეთა ასახვა და აღწერა, რომ სავალით საკითხებს კი არ აქცევენ პოეტური შთაგონების საგნად, არამედ ქვეყნიურს. ცხადია, მსგავს პოზიციებზე მდგარ ლექსების მიზნველთა ხელიდან გამოუსული ქმნილებებები ჩვენთვის საინტერესო საკითხში ახალს ვერაფერს მოგვცემენ. აქ ფაქტის კონსტატაციით უნდა დავკმაყოფილდეთ.

ამ ეგრეთ წოდებული აღორძინების ხანაში მხოლოდ სულხან-საბა ორბელიანი და დავით გურამიშვილი ამაღლდენ კვლავ ქართული კლასიკური კულტურის დონემდე, მხოლოდ მათს ნააზრევში გამოთლიანდა კვლავ სოფელი და ზესთასოფელი. ამ ამბავმა განსაკუთრებით რელიეფურად გურამიშვილის შემოქმედებაში იჩინა თავი.

ეს თუ არ გავითვალისწინებთ, სრულიად აუხსნელი დარჩება, როგორ თავსდება დავით გურამიშვილის შემოქმედებაში გვერდგვერდ უღრმესი ქრისტიანულ-არეომაგიტული სახის მისტიკა და, ვთქვათ, „ქაეცია მწყემსის“ ეროტული სცენები, როგორ ხერხდება „ზუბოვკაში“ ტრეიალების საგნად ერთსა და იმავე დროს რეალური, ზორციელი ასულისა და ქრისტეს დასახვა (ეს ლექსი სუფისტური გავლენის შედეგად მიიჩნის. სუფიზში აქ არაფერ შუაშია. როგორც ზემოთ ვნახეთ, მსგავსი საყვარულის გამოვლინება ქრისტიანობის ფარგლებიდან გაუსვლელოდაც შეიძლება).

განსახილველი საკითხის თვალსაზრისით უადრესად საგულისხმოა დავით გურამიშვილის ერთი ლექსი („ოდეს დავითს ტყვეობასა შინს სციოდა და მზე დრუბოსი გამო თვალთან არა ჩნდა, იმაზე თქმული“), რომელშიც პარმონულად შერწყმული სოფლისა და ზესთასოფლის ნამდვილი მოდელია შექმნილი.

პირველივე სტრიქონებიდან ჩვენ კვლავ ვეზიარებთ არეომაგიტული მოძღვრებით შეუფხილ ღრმად ქრისტიანულ იდეებს:

მსურის ქება და დიდება
ნათლისა წარუალისა,
მზეთამზის ვახში თავს მაქეს,
მმართებს გარდახდა ვალისა.
ჭირს საცნაურის მზისაცა
სწორედ გამართვა თვალისა,
არამ-თუ უცნაურისა
ცნობა გზისა და კვალისა.
სჯობს ვეტრფალო მზეთამზეს,
მზისათვის თავი ვახელო,
ნათლისა ვახზე მიჯნური,
რადგან თვალუმსა ვახელო;
ვის უკეთესი მოყვარე
სად ეოვო, სადა ვახელო?
მზე მიწყენს, თუ მზის სანაცვლოდ
თინათის ხელი ვახელო.

ჩვენს წინაშე წარმოვდა რაღაც სიმბოლური მნიშვნელობის მატარებელი რამდენიმე ცნება: მზეთამზე, მზე უცნაური (შუეტნობელი), მზე საცნაური (შეცნობელი), აგრეთვე თინათინი.

რამაზ თვაბაძე
არეომაგიტული და რუსთაველი

რამდენიმე სტრატონის შემდეგ ირკვევა, რომ საცნაურ, ხილულ მზეს მზეობას ანიჭებს უცნაური მზე: „მზე, მზისა მამზევებელო“. ამასთან, ეს უცნაური მზე არის პიროვნული ღმერთი, რომელსაც ვედრებით მიმართავენ, ნუგეშსა და დახმარებას სთხოვენ. აქ საოცარი უშუალოდ შერისწყმის სოფლური და ზესასოფლური გამოვლინებანი, ეს ყოველივე ერთ განუყოფელ მთლიანობად წარმოიხატება:

მზეო, ყოველთა მნათობთა
შენ სჯობხარ მანათობელად,
თუშეცა ვერ გხედავ თვალითა,
ხარ ძნელი დასათობელად;
მე ყინვისაგან დამძრალი
გენუევი დასათობელად,
გემულარები, ნუ გამხდი
ცეცხლზედა დასართობელად.

გითარება ბოლომდე გასაგები რომ შეიქნეს, აქვე უნდა გავეცნოთ ამის მომდევნო სტროფის:

ისმინე, ლექსთა მკითხველო,
სიტყვა ავიხსნა წინადა:
ძეს ღმერთსა ცაცებით მზედ ვსახავ,
სახიო მზეს — თინათინად;
ღმერთთა ღმერთობით, მზეთამზედ
მამას ვსახ თქმად სასმინადა.
მე მზესა ვეძებ, თინათინ
ყოველ-ღღივ შუქს თვალის ჩინადა.

მასასადამე, მზეთამზე არის ქრისტიანული მამა ღმერთი; მზე (უცნაური) — სამების მეორე იპოსტასი, ძე ღმერთი ანუ ქრისტე. საცნაური, ხილული მზე მხოლოდ თინათინა ამ ქეშმარიტი მზისა. და ზემოთ ციტირებულ სტროფში გამოთქმული ვედრება თანაბრად მიემატება როგორც ხილულ, საცნაურ მზეს, ისევე უცნაურ, ქეშმარიტ მზეს — ქრისტეს. ხილულ მზეს იმდენად მიემატება, რამდენადაც მისტიურ პლანთან ერთად რეალური პლანიც სახეზეა: ლექსი იმასთან დაკავშირებით დაიწერა, რომ „ღვთის ტყვეობასა შინა სციოდა და მზე ღრუბლის გამო თვალით არა ჩნდა“. მაგრამ ქვეტექსტი აქ მეტაფორულ მნიშვნელობასაც ატარებს: როგორც ხილული მზე ამ კონკრეტულ შემთხვევაში ღრუბლებით არის დფარული და საჭიროა ვედრება, რათა გამოანათოს და დამზრალი კაცი გაათბოს, ასევე უხილავია ქეშმარიტი მზე. და ავტორი ხაზგასმით ვგამაცნობს, რომ მისი ვედრება იმ უცნაურ ღმერთისაც მიემატება ზოგადად: „მე მზესა ვეძებ, თინათინ ყოველ-ღღივ შუქს თვალის ჩინადა“. თინათინი, როგორც ვნახეთ, არის ხილული მზე ქეშმარიტ მზესთან მიმართებით. აქ გათბობის ვედრება ფიზიკურ პლანთან ერთად სულიერსაც გულისხმობს — ზოგიერ სხივთა მოფენას.

ამჯერად ნუ გამოვიძიებთ საკითხს — რას ნიშნავს ხილული მზის დასახვა უცნაური მზის თი-

ნათინად — ემანაციის იდეის გამოხატულებასთან გვაქვს საქმე, თუ წმინდა არეომაგიკულ სიმბოლიკასთან (თუ ორივესთან ერთად) მთავარი მზე — ქრისტე ისევე ამაღლებულია ხილულ მზესთან შედარებით, როგორც ხილული მზე უკვე თავის საკუთარ თინათინთან შედარებით:

საწუთროს მზის ტრფიალება
მასთან არ განიხსენება,
ძისა მოვითხარ მზეობა,
შენ მზისა ნუ გეჩემება.
ვით საწუთროსი მზესთანა
მიჩნს თინათინის შევენება,
ეგრევე ძესთან საწუთრო
მზე მიჩანს და მის თენება.

აქ უკვე მთელი არეომაგიკაა: გონებით მიუწვდომელი ცენტრალური მზე — ღმერთი, ყოველივე გამოვლენილისადმი ტრანსცენდენტური და მინც საფეხურებრივად განფენილი, განფენილი როგორც ნათელი, მშვენიერება, სიყვარული.

მაგრამ კიდევ უფრო განმაცვიფრებელია ის, რაც ამას მოსდევს და რითაც მთავრდება ლექსი:

საწუთროს მზის თინათინი
მოვითხარ, რაცა ფერია:
სარკის მზის შუქით ციალსა
უწოდენ ქაროველთ ერია,
ვერას ხორციელს სულდამგულსა
ბჰალში ვერ დაუჭერია.
მე თინათინით მინათობს
სახლთ კედელ-ყურე, ჰერია.

საწუთროს მზის, ესე იგი ხილული, საცნაური მნათობის თინათინი ყოველად მზის შუქით სარკის აციალება, უინარსად მსწრაფლურამავალი, მოუხელთებელი, მოჩვენებითი რამ. მაგრამ თავად ხილული მზეც ხომ მხოლოდ თინათინია ქეშმარიტი მზისა! დიდი დაკვირვება არ უნდა იმის მიხედვით, თუ რა ზარი გამომდინარეობს ყოველივე აქედან: გამოვლენილი სამყარო, ხილული ქვეყანა, სოფელი მოჩვენებითი, ილუზორული რამ არის, მას ქეშმარიტი არსებობა არ ახლავს!6, აქედან თითქოს ერთადერთი დასკვნა უნდა გამომდინარეობდეს: სოფელი არაფერად ღირს, ხილულ სამყაროს ზურგი უნდა შეაქციო და მხოლოდ ზესასოფლურ ქეშმარიტებას მიესწრაფო. მაგრამ ირკვევა, რომ ამგვარი

16. სურათი ისეთი სიღრმით არის მოცემული, შეიძლება ისიც კი გავიქრებინოთ, რომ ავტორი გაცნობილი იყო ინდურ რელიგიებს, კერძოდ კი „მაიას“ იდეას. ამგვარი ვარაუდი ალბათ გამოირიცხებოდა უნდა იყოს, თუ გავითვალისწინებთ იმ კულტურულ-ისტორიულ ვითარებას და გეოგრაფიულ ვარდობას, რომელშიც გურამიშვილი ცხოვრობდა.

დასკვნა ნაჩქარევი იქნებოდა. ავტორი სრულიად გარკვევით გვეუბნება ლექსის დასასრულს:

მე თინათინო მინათობს
სახლთ კედელ-ყურე, ქერია.

მართლაც, ლექსს შთაინახავს თუ ჩაეწვდები, ხსენებული ტიპის დასკვნა გამორიცხული უნდა იყოს: თინათინი (ხილული სამყარო) უაღრესად მსწრაფლწარმავალია, მხოლოდ მოჩვენებითი რეალობის მქონე, მაგრამ ეს მაინც არის თინათინი, ეს არის სინათლე, რომელიც არსებობის გარკვეულ საფეხურზე ანათებს და ათბობს კიდევ (ლექსის ზემო სტრიქონებში ამგვარი რამ გვხვდება: „თინათინითაც განმათბე, ყინვით ნუ განმაცივებო“). ხილული სამყარო ამ თინათინით არის შუქფენილი, ღვთაებრივი სინათლის მოუქვეთელი ნაწილით. კაცთა მოდგმას, რამდენადაც კაცნი ხალხს სამყაროს, სოფელს

ეკუთვნიან, თინათინი უნათებს, ხოლო რამდენადაც „ღვთის შვილი“ არიან — ქეშპარიტი მზე; ამასთან, ეს ორი ნათელი ცალ-ცალკე, ერთიმეორის საპირისპიროდ კი არ არსებობს, არამედ შერწყმულად; სოფლის ნათელიც იგივე ზესთასოფლური ნათელია, ოღონდ განუზომლად მცირე ძალის მქონე.

ასე აღორძინდა ფსევდო-დიონისე არეოპოგელისა და რუსთაველის იდეები მეფერამეტე საუკუნის ქართულ პოეზიაში. ოღონდ ეს იყო ამ ნათელი მსოფლმხედველობის თითქმის უკანასკნელი გამობრწყინება. მსგავსი რამ ერთხელ კიდევ გაკრთა ბარათაშვილის, აგრეთვე ვაჟა-ფშაველას პოეზიაში, ხოლო შემდეგ ქართული აზროვნება, როგორც ცნობილია, სულ სხვა სადინარს გააყვა და სოფლისა და ზესთასოფლის მიმართების პრობლემაც საერთოდ მოიხსნა დღის წესრიგიდან.



ჩინი ქვეყნები

გასვონ ბუჩიძე

მარსელ პრუსტი ელისა გინდვრეზე

მარსელ პრუსტი (1871-1922) ახალი ფრანგული პროზა იწყება.

პრუსტის მთელი შემოქმედება იყო გზა მისი დედაქმნილების, „დაკარგული დროის ძიებისაკენ“. მთავარი ეტაპებია ამ გზაზე: ნოველებების კრებული „სიამოვნებანი და დღენი“ (1896) ანატოლ ფრანსის წინასიტყვაობით; პრესაში გამოქვეყნებული კრიტიკული წერილები და ხელნაწერად დარჩენილი ავტობიოგრაფიული რომანი „ჟან სანტი“, რომელიც მომავალი ციკლის პირველ ჩანასახს წარმოადგენს.

1905 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემამდე პრუსტი თავის უზარმაზარ რომანზე მუშაობს. ცნობილია, თუ რა დაუცხრომელი მიზანსწრაფვა და შრომა დასჭირდა მძიმედ დაავადებულ მწერალს, რათა მომავალი თაობებისათვის ანდერძად დაეტოვებინა ეს იშვიათი მონუმენტი — „დაკარგული დროის ძიება“, — რომლის ავტულებმა მას კეთილდარაღური ტანძრის სახით ევლინებოდა.

თუ „დაკარგული დროის ძიების“ პირველი ტომი მწერალმა საკუთარი ხარჯით გამოსცა, და მას თითებზე ჩამოსათვლელი მკითხველი ჰყავდა, მომდევნო წიგნების გამოსვლამ თანდათან განამტკიცა პრუსტის სახელი, როგორც თავისი დროის პირველი მწერლისა.

მას აქვთ მარსელ პრუსტის შემოქმედება სანიშნოდ და მიჩნეული და ლიტერატურის ისტორიის სახელმძღვანელოებში სპატიო ადგილს იკავებს. მიმდინარე წელს ფართოდ აღინიშნება მწერლის დაბადების ასი წლისთავი. საფრანგეთში და მის ფარგლებს გარეთ მრავალი მონოგრაფია და გამოკვლევა მიეძღვნა

მარსელ პრუსტის შემოქმედებას. სულ ახლახან რომენ როლანის მიერ დაარსებულმა სტელტანინამა ეურნალმა „ეროპმა“ ორი სავანგებო ნომერი მიუძღვნა პრუსტს (ჩვეულებრივ კი ერთ მწერალს ერთი ნომერი ეძღვნება ხოლმე).

საბუთა კავშირში მარსელ პრუსტის თხზულებების თარგმნა ოციანი წლებიდან დაიწყო, ხოლო მის კრიტიკულ ათვისებას საფუძველი ჩაუყარა ანატოლ ლენაჩარსკიმ. პრუსტს მიეძღვნა სტატიები, სადისერტაციო ნაშრომი, ლანდრეევის გამოკვლევა. ამჟამად „დაკარგული დროის ძიების“ ორი რუსული თარგმანი მზადდება გამოსაცემად. გამომცემლობა „პროგრესმა“ ფრანგულად გამოსცა ეპოპეის პირველი ნაწილი — „სენის მხარეს“.

მარსელ პრუსტი თვისობრივად ახალი მოვლენა არის ლიტერატურის ისტორიაში. ადამიანის შინაგანი სამყაროსა და ბუნების სურათების გადმოსაცემად პრუსტმა საკუთარი მეთოდი შეიმუშავა. ამ მეთოდის თავისებურებას შემდგენიად ახასიათებს თანამედროვე ფრანგი მწერალი და კრიტიკოსი კლოდ მორიაკი: „პრუსტმა ხელთ მოგვცა ვასალები და საკვირველია, რომ იგი ასე მცირედ და ასე ცუდად გამოიყენეს მის შემდეგ... მაშ როგორი იყო მისი მეთოდი, როგორი ბუნებისა იყო მისი იარაღი? მეთოდიც და იარაღიც, ჩემი აზრით, მიზნად ისახავდა ამ ოვე წუთა გარეშე თუ შინაგანი სანახაობა, რომლის აღწერაც სწავლა ავტორს. სხვანიარად რომ ვთქვათ, იგი ცდილობდა სულ უფრო წინ გადაეწია გამოთქარავეების მიჯნა, ისე რომ არც ერთ დეტალს არ თავილობდა, არც თვით ამ დეტალის წიაღში



კიდევ სხვა დეტალს და, შესაძლებლობისდაკვარა, ამ დეტალის დეტალს“.

სისრულისათვის, ამ განსაზღვრას თვით პრუსტის მიერ მოცემული მისივე მეთოდის ხატოვანი განსაზღვრა უნდა დავემატოთ: „თვით ისინიც კი, ვინც კეთილად იყო განწყობილი ქვეშაირებთანა ჩემებური დანახვისადმი... იმას მილოცავდნენ, რომ მე ეს ქვეშაირებები თითქოსდა „მიკროსკოპით“ აღმოვაჩინე, მაშინ, როდესაც პირიქით, ვიყენებდი ტელესკოპს, რათა თვალი მომეგლო მართლაცდა სულ მცირე საგნებისათვის, მაგრამ ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი დიდად იყვნენ დაშორებულნი და თვითველი მათგანი მიველ სამყაროს წარმოადგენდა და ხოლო როდესაც მე ზოგად კანონებს ვეძებდი, წვრლმანის ჩიჩქინას მიწოდებდნენ“.

სწორედ უმცირესი დეტალიდან უდიდეს განზოგადებამდე გადასვლა განაპირობებს მარსელ პრუსტის ქმნილების დომინანტს. ამის ჩვენებას „დაკარგული დროის ძიების“ მრავალი თემიდან ერთის გაჩვენებით შევეცდებით.

პარიზის ცენტრალურ არტერიას „მოკრძალებული ადგილი უყავია მარსელ პრუსტის ფართოდ გაშლილ პიროვნულ ნაიაში. მაგრამ მწერლის წერის მანერა ვარიაციულია. სხვადასხვა ობიექტსა და გარემოს იგი თავიდანვე გარკვეული კუთხით უდგება. ამდენად, პრუსტისეული ხელწერის დადგენა შესაძლებელია ნებისმიერი თემის განხილვით, ოღონდ იმ პირობით, რომ ეს თემა აღებული იქნება მთლიანობაში, რადგან პრუსტის ხელოვნება თავის არსს მხოლოდ ციკლურ მონაკვეთებში ამქლავნებს სრულიად.

ციკლოურია ადამიანის ცხოვრება, სადაც სიზღერე გარეგნულად ბევრგზას უბრუნდება, ხოლო არარაობიდან აღმოცენებული სიცოცხლე არარაობად იქცევა. ოღონდ „დაკარგული დროის ძიების“ ერთიანობას შეადგენს ის, რომ მრავალი ციკლი ერთ კვანძად ივსება. მას აერთიანებს მიხრობელის, მარსელის, ცხოვრება და მის მიერ წამოწყებული და დაგვირგვინებული ძიება დაკარგული დროისა.

ელისეს მინდვრებზე უფრო ბ ა ნ ა ლ უ რ ი ა ს ა ხ ვ ი ს საგანი ძნელად მოიძებნება. პარიზელები ცნობისმოყვარენი არიან და მეტწილად, თავიანთ ქალაქს რიგიანად იცნობენ. ისინი წლების მანძილზე ავირდებიან ასოციაციის, სილამაზის, მნიშვნელობის ამ უშრეტ რუხერეუარს, კვლავ და კვლავ ივკლვიენ მას, ისევე როგორც „დაკარგული დროის ძიების“ პერსონაჟებს გადააქვთ ყურადღება და აღერის სატრფოს გარემომცველ საგნებსა, სახლებსა, ხეებსა თუ ქუჩებზე. ამ გაგებით, რეალური და კვირეე ბანი ერთობით არსებითი, წამყვანი თვისებაა ფრანგული მსოფლადქმისა, რაც თავის რეალიზაციას ხელოვნებაში და ლიტერატურაში პოუვებს. მაგრამ,

რარიგ გულმოდგინედ არ უნდა სწავლობდეს თავის დედაქალაქს ფრანგი, ცხადია, მხოლოდ მთლიანად ვერასოდეს წარმოიდგენს, მხოლოდ მის მიერ წარმოსახულს სჯერდება. არსებობს პარიზი ვიონის, მერსიეს, რეტიფ დე ლა ბრეტონის, ბალზაის, პუფუსის, ევენ სიუსი, ანეტოლ ფრანსის, ანდრე მორუასი, ჩვენს დღეებში არმან ლანუსი და სხვა. ბუნებრივია, სხვა არის პრუსტის პარიზი. პარიზელს უთუოდ უნახავი დარჩება თვის ქალაქის ესა თუ ის მომხიბვლელი კუთხე, მაგრამ შეუძლებელია გვერდიგვერდ მჭიდროდ ჩამწყობებულ სახლებსა და ქაღრებში ჩაფლული იმ ქუჩის ქვაფენილზე სიცოცხლეში ერთხელ მაინც არ დაედგას ფეხი. ეს არის ელისეს მინდვრები.

ამიტომ ძნელია რაიმე ახალი მოუთხრო დემიანებს იმაზე, რაც მუდამ მათ თვალწინ არის. ისევე ძნელია, როგორც თბილისელს რუსთაველის პრისიუქტი „აღმოუჩინო“. ძნელიცაა და ადვილიც... თუკი ხელოვნის საკუთარი ხედვა და მხატვრული ნიჭი გააჩნია.

მარსელ პრუსტის ხელოვნებაც სხვა არაფერია, თუ არა ბანალურში არაჩვეულებრივის დანახვა-აღმოჩენა. ამ თვისების საილუსტრაციოდ კი ზედამოჭრილია სააშკაროდ გამოტანილი ბანალურობა — ელისეს მინდვრები.

ელისეს მინდვრები გამოგვადგება აგრეთვე როგორც მოდელი იმისა, თუ რანაირად გადაისახება მარსელის არტიტულ წარმოდგენაში მშობლიური კომბრე, სენისა და გერმანტების მომიჯნავე მხარეები, ახალგაზრდობასა და „აყვავებულ“ ქალიშვილთა ჩრდილში დანახული ზღვისპირეთი, მთელი ეს ხილვადი, ფერთი, სურნელი, გემოთი და ბგერით აღსავსე მიმზიდველი სამყარო.

იმისათვის რომ თავიდანვე ნათელი გახდეს თუ რა მიმართულებით შორდება სინამდვილის ემპირიულ სტენოგრაფას პრუსტისეული ასახვა, კარგი იქნებოდა გვერდიგვერდ დავეედო კლოდ მონეს ტილო „კაუტუციების ბულვარი“ და ამავე ქუჩის ფოტოსურათი. მონეს ქმნილების გვერდით ხელთ რომ გვექონოდა იმავე დღეს უბრტულიად საუკეთესო ფერთა და ფოტოაპარატი ნორმალური ექსპოზიციით გადაღებული ფერადი ფოტოსურათი, მათ შორის განსხვავება აშკარა ვახდებოდა. მონეს სურათი და მარსელ პრუსტის შემოქმედება თანამედროვენი არიან. მონესთან, ისევე როგორც საერთოდ იმპრესიონიზმთან, მარსელ პრუსტს ბევრი რამ აკავშირებს და, პირველ რიგში, პეროვანი გამპერიკალიებით გაღმომცემული სიცოცხლის ტრევალი. საზეიმოა მონეს „კაუტუციების ბულვარი“ და სწორედ სიტყვა „ზეიმით“ ასრულებს მარსელ პრუსტ

ბასტონ ბუანიძე

ბარსელ პრუსტი ელისეს მინდვრებზე



ელისეს მინდვრებზე გაფურჩქნელი თავისი პირველი სიყვარულის სურათს.

იმპრესიონისტი მხატვრებისა და მუსიკოსების, მათ შორის ელვარ მანეს, უისტლერის, დეგას, დებუისის შემოქმედებით ვატყებებს პრუსტი თანაუგრძობს და იზიარებს. თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ამ შემოქმედთა გვერდით კლოდ მონეს. „დაკარგული დროის ძიებაში“ ერთ-ერთი პერსონაჟი, ჟანი ლვარანდენი წამოიძახებს: „მინე, დეგა, მანე, აი მესმის, მხატვრები! უცნაურია, — დაუთრო მან, — და დაჩინებული და აღფრთოვანებული მზერა მიაპყრო სივრცის ერთ გაურკვეველ წერტილს, სადაც იგი საკუთარი ფიქრის დანახვას ცდილობდა, — უცნაურია, მაგრამ უფინ მანეს გამჭობინებდი. ახლა, ცხადია, მანეს კვლავაც თაყვანსა ვცემ. ოლონდ, ვგონებ, მას მონე მიჩინებია. აჰ! მისი ტაქტიკა!“ და ბოლოს, მონეს პირადული თვისებები და მხატვრული სამყარო მარსელ პრუსტს გამოაღდა, როგორც ვარაუდობენ. ერთ შემადგენელ ნაწილად „დაკარგული დროის ძიებაში“ მხატვარ ელსტირის სახის შესაქმნელად.

კლოდ მონეს „კაპუცინების ბულვარში“, თუ მხედველობაში არ მივიღებთ აივანზე გადმომდგარი მამაკაცების შედარებით მკაფიოდ გამოხატულ სილუეტებს (თუმცა ისინიც უწინდა იმპრესიის ფარგლებში რჩებიან), ტროტუარზე გადმოღვრილ გამელელთა ნაკადიდან ევრც ერთ სახეს ვერ ამოიკითხავთ: არც ერთ მათგანს არა აქვს არც ცხვირი, არც პირი, არც თვალები, არც ლაყა თუ ნიკაბი... ნამდვილად რომ უცხვირობითი არიან გამველლები, მაგრამ არა მხატვარი, მაგრამ არა სურათი. ხელოვნების საიდუმლოება იმაშია, რომ ეს უცხვირობირო ბრბო გაცილებით მეტსა და, რაც მთავარია, სიღრმისეულს, ა რ კ ე ბ ი თ ს გეუბნებათ პარიზელებზე, ვიდრე ფოტოსურათი.

გამველლები კაპუცინების ბულვარზე ისევე იშლებიან ჰაერსა და ატმოსფეროში, როგორც მალხოის წინაფრები, ტროტუარი, ხეები და მათში ჩაფლული ეტლების ლურჯი სახურავები, ხეებით თითქოსდა წალკილი სახლების კარნიშები...

ასევე იშლება გარესამყარო ჰაბუჟი მარსელის ირგვლივ ეილბერტას ნაცნობი სახლის ხსენებისას ელისეს მინდვრებზე. ამიერიდან ეს ორი სურათი ერთმანეთს უკავშირდება — ეილბერტასი და ელისეს მინდვრებისა — რათა მრავალფეროვანი, ერთიანად გაილილი პრუსტისეული ფერწერა შექმნას.

ეილბერტას სახლის ხსენებამდე ერთი ორჯერ გაიღვლებს „დაკარგული დროის ძიებაში“ ელისეს მინდვრები, მაგრამ ეს გამოწვეულია ეილბერტას უფრო ახლო გაცნობის ანტიციპაციით. ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ეილ-

ბერტა პირველად ჩაუვლის მარსელს სიერნიზისას კომბრეს მიდამოებში, „სვანის მხატვრული მთხრობელი წინ უსწრებს ამბებს და ისწავლებს“ ელისეს მინდვრების იმ ნაღვლიან უბანს, სადაც იგი ცხოვრობდა პარიზში“.

აქ მარსელ პრუსტი მიმართავს თავის ჩვეულებრივ ხერხს — ქრონოლოგიურ დროთა აღრევას, რადგან ქუეშპარიტი დრო მისთვის საათებითა და წლებით კი არა, ხელოვნების მეოხებით ვაზრებულთ არსებობის მაჩვენებლებით განიზომება. პრუსტი შეგნებულად თავს არიდებს მკაფიოდ გათიშოს შეგარძნებათა ნაკადი პერსონაჟის ასასისა და მისი არსებობის გარკვეული მომენტის მიხედვით. იგი, რა თქმა უნდა, უსასრულოდ აფართოებს მოკვების პრიზმაში დანახულ და ერთი შემთხვევითი დეტალით (ჩაიში გამდნარი ნამცხვარის — მიდღენის — ნაჭერი იქნება ეს თუ სხვა რამე) გამოცოცხლებულ, დროებით ხილვად არსებობას მოწყვეტილ, მაგრამ სინამდვილეში დაუკარგავ და ახლა კი ახალი სისასისითა და ელვარებით გამოშხურებულ არსებობის სხვადასხვა ეტას. მაგრამ ეს ვაცოცხლება ერწყმის მთხრობელის წერისდროინდელ მომენტს და, ვარდა ამისა, წარსული ამბისა და თხრობის მომენტებს შორის (ან კიდევ წარსულ ამბავამდე) მოქცეული დროის მონაკვეთს მოიცავს. ამიტომ არის ასეთი მდიდარი, ტევადი და მკვირივი დროის შეგარძნება მარსელ პრუსტთან.

დროის შეგარძნება ისეთი კომპონენტია, რომელიც „დაკარგული დროის ძიებაში“ ერთიან ფერწერულ ტილოდ აქცევს. თვითიული ფრაზა, ეპიზოდი თუ ნაწილი წიგნისა ფუნქციის მონახშია. თვითიული მონახშიდანაც კარვად ჩანს მხატვრის თავისებურება და ტილოს ნებისმიერი ფრაგმენტიც რომ შემოიხრნილიყო, უწყაყმანოდ შეიძლებოდა წარმოგვედგინა მისი შექმნელის პირველადმოჩენი ნიჭი. ოლონდ „დაკარგული დროის ძიების“, როგორც ქუეშპარიტი ფერწერის, დასრულებით, დისტანციით აღქმა მართებს. აქ სიცოცხლის წაილიდან აღმოცენებული ხელოვნება სიცოცხლესავე წვედება ისეთი დოზით, რომელიც ბუნებაში მუხუნად არის გაფანტული და ამიტომ გაწონასწორებულია.

ცხადია ისიც, თუ რაოდენ შეგნებულად პიროვნულია მარსელ პრუსტის პროზა. იმევე კლოდ მონეს კათედრელების მსგავსად, მწერალი იმდენად საგანს კი არ წარმოგვიდგენს, რამდენად ამ საგნის მიერ სხვადასხვა დროს, სხვადასხვა განათებაში მიღებულ შეგარძნებაშთაბეჭდილებებს. ასეთი საგნების მირიადებშია „დაკარგული დროის ძიებაში“, ხოლო ამ საგნების ირგვლივ კი ფანტასმაგორული სიუჟეტისა და აკვარელური სიცხადის ფონია შექმნილი.

ერთი ასეთი მობეჭეტია ელისეს მინდვრები. ზემოთმოტანილ მაგალითში ელისეს მინდვრები



„ნაღვლიანია“ იმიტომ, რომ მიხრობელმა უკვე იცის თავისი პირველი სიყვარულის უნუგეშო დასასრული. ბუნებრივია, რომ ვერც ერთი ფოტოსურათი, გეოგრაფიულ-სტატისტიკური აღწერილობა, ინფრაწითელი სხივი და თანამედროვე ტექნიკის რაიმე სხვა სრულყოფილი საშუალებით მიღებული მანაობი ვერ აღწერს ეს ელისეს მინდვრების მიადონ ნაღვლიანობას. ელისეს მინდვრების ეს თვისება მწერალ მარსელ პრუსტის კომპეტენციაში შედის და ყველას ეხება. ამიტომაც შექნილია მარსელ პრუსტის ქმნილების კითხვაში დეკარგული დრო. „დეკარგული დროის ძიების“ სიცოცხლისუნარიანობის მიზეზი ისიცაა, რომ მკითხველი იმავე პარაბოლურ გზას იმეორებს, რაც შემოქმედმა განვლო. სანამ რომანს კითხულობს, იგი სინამდვილის ღრმა წვდომის შემოქმედია.

ელისეს მინდვრებზე ამოვარდნილი ქარი მოულოდნელად ავარნებს მიხრობელს ერთმანეთისაგან განუყოფელ ორ კერპს: „...როდესაც ფრანსუაზამ ელისეს მინდვრებზე გამოყვანა, ქარი გადლოერებულოყო და მიჩჩია, კედლებთან მაინდამაივც ახლო არ მეკლო, კრამიტა რომ არ დამცემოდა. ვაზეთებში მოსხენებულ კატასტროფებსა და ჩაძირულ გემებზე ობერით ლაპარაკობდა. მე კი ერთი დიდი სურვილი მქონდა — მენახა ქარიშხალი ზღვაზე, არა იმდენად როგორც სანახაობა, არამედ როგორც ბუნების ნამდვილი არსებობის ერთი ფარფარისნილი წამი; ან, უფრო სწორად, ჩემთვის მშვენიერი სანახაობა მხოლოდ ის იყო, რომელიც, მე ვიცი, რომ ჩემი სიამოვნებისათვის ხელოვნურად კი არ იყო გამართული, არამედ იყო აუცილებელი, უცვლელი, — პეიზაჟების ან დიდი ხელოვნების მშვენიერება“.

როგორც ითქვას, სიცოცხლესა და ბუნებას პრუსტი ხელოვნურად პრიზმიზმ ალიქვამს. ამკერად იმას მივაქვითოთ ყურადღება, თუ როგორ დაუკავშირა მიხრობელმა ელისეს მინდვრებზე ჩაქროლილი ქარი თავის საყვარელ საფიქრალს. მაგრამ ეს გადახვევა როდია. რომელიმე სხვა მწერლისაგან განსხვავებით, ეს ხერხი პრუსტთან თითქმის არარაობამდეა დაყვანილი. ასეთ შენაცვლებაში სიუჟეტი, ინტრიგა თუ კლასიკური რომანის რომელიმე სხვა კომპონენტი, იქცა საბაბად, მთავარ ობიექტს კი — სიცოცხლესა და სიცოცხლის შეგრძნებას — შუამავლები აღარ სჭირდება. მარსელ პრუსტის პროზა, ხარისხობრივად ახალი, ახალ მკითხველსაც მოითხოვს. მართლაც, თუკი ინტრიგაზე აგებულ ძველ რომანს შეიძლება ჰყოლოდა სხვა მკითხველი, რომელიც ცხოველი ინტერესით თვალს მიაღვენებდა ინტრიგის განვითარებას და მწიდად გამოტოვებდა ბუნების აღწერებს ან მეტისმეტად დეტალიზირებულ ფსიქოლოგიურ დაკვირებებს, ამავე სულისკვეთების მქონე პრუსტის მკითხველს ისღა

დარჩებოდა, რომ ერთი მეორის მიყოლებით გადაეფურცლა, გამოეტოვებინა თითქმის მთელი რომანი. ანრი ბერგსონის ინტუიტივიზმს ნაზიარვეთ „დეკარგული დროის ძიების“ ავტორი შეგნებული ნოვატორი იყო. მარსელ პრუსტი აღსდებდა ბალზაკის შემოქმედებას და, ამავე დროს, უპირისპირებოდა მას, რადგან მისი აზრით, ხელოვნებისათვის წინამორბედი დიდოსტატის გაცვეთილი იმაში მდგომარეობს, რომ დაიფიქრო იგი და სულ სხვა საშუალებით შემოქმედების იმავე დონეს მიაღწიო. მართლაც, ვარკვეული თვალსაზრისით ბალზაკისა და პრუსტის შემოქმედება ერთმანეთს ავსებს და, ამავე დროს, სხვა კუთხით დანახული, ორ პოლარულად დაშორებულ მოვლენას წარმოადგენს. ბალზაკის თხრობა ფსიქოლოგიზმს ინტრიგის გალუსასა და მძაფრი ხასიათების გამოძერწვაში აქსოვს, მარსელ პრუსტი კი თავისუფლვებს ჭკვტვას. სიუჟეტის მაქსიმუმის შესუსტების მხრივ აქ, ისევე როგორც სხვა პრუსტის ახალი დასავლელი შემოქმედისათვის, პრუსტის უშუალო წინამორბედი ფლობერი. მაგრამ, მართებულა და შესაძლოა, რომ პრუსტს მაინც მეტი რამ აჯავშირებდა ბალზაკის მშვეთვარე და უშრეტ გენიასთან და კიდევ ერთ დრანგ მწერალთან, XVIII საუკუნის ცნობილ მემუარების ავტორთან, სენ-სიმონთან. ჰერცივი დე სენ-სიმონ ბეერს საფრანგეთის ერთ-ერთ უდიდეს მწერალად მიიჩნევს. მის სახელს „დეკარგული დროის ძიებაშიც“ არა ერთხელ ვხვდებით. პრუსტს მასთან აჯავშირებს უპირატესი ინტერესი ვნებათა შექანობის გამოხატვისადმი და სიუჟეტის შესუსტებული პულსაცა. ადამიანის ვნებათა მიმართ ინტერესს თავის წინამორბედ სენ-სიმონთან და შთამომავალ მარსელ პრუსტთან ინაწილებს აგრეთვე სტენდალის ანალიტიკური პროზა, რომელსაც ბევრ თვისებას, და, პირველ რიგში — კრიტიკალიზაციის ფენომენს, როგორც ეს შესანიშნავად აქვს ნაჩვენები თავის ესეიში ანდრე მორუას, — უმაღლის „დეკარგული დროის ძიების“ ავტორი.

თავის წიგნში „ქარი კავკასიიდან“ ანდრე ბელი შენიშნავს, რომ ქვეყნების აღქმაში მის ეხმარებოდნენ დიდი მწერლები, რომლებმაც თავის დროზე აღწერეს ეს ქვეყნები და როგორც მაგალითს, ასახელებს გოეთეს წიგნს იტალიაზე. რაც შეეხება მარსელ პრუსტს მისთვის სინამდვილის დანახვაში ხელოვნების მოშველელაა თითქმის უნივერსალური ხერხი ხდება. ხელოვნების პრიზმიზმ აღიქვამენ „დეკარგული დროის ძიების“ მიხრობელი და პერსონაჟები ადამიანებს, ბუნებას, ქალაქებს, ქვეყნებს, თვით სამზარეულოსა და კერძებსაც

გასტონ ბუაჩიძე

მარსელ პრუსტი ელისეს მინდვრებზე



კი; პრუსტისათვის ხელოვნების შემაჯავლობა წარმოადგენს გარანტიას უფრო გამოკვეთილი აღქმისა, წვდომისა. დამახასიათებელია მოზარდი მარსელის წინასწარი განწყობილება ელისეს მინდვრებისადმი, რომლებიც თავისთავად მისთვის არაერთარ ინტერესს არ წარმოადგენენ, ვინაიდან არ არიან ასახული მისი საყვარელი მწერლის ბერგოტის შემოქმედებაში. აქ ის ვარაუდობს იმის თაობაზე, რომ მარსელ პრუსტი ერთგვარ უპირატესობას, პრიმატს სინამდვილესთან ხელოვნებას ანიჭებს. ის, რომ ამგვარი მიდგომის აბსოლუტიზაცია აბსურდი იქნებოდა, პრუსტს შესანიშნავად ესმის: სინამდვილის გარეშე ხელოვნება ხომ ვერ იარსებებდა. მაგრამ პრუსტის მწერლურ პრაქტიკაში მთავარი ისაა, რომ მისეულ, გარკვეულ დონეზე განვითარებული ადამიანისა და საზოგადოებისათვის განვითარება შეუძლებელია ხელოვნების გარეშე. ამიტომ შინაგანი სინანული იმის გამო რომ ელისეს მინდვრები ბერგოტს არ აღუწერია, თვითნებური კაპრიზი კი არ არის, აუცილებლობის გამოხატულებაა. ასე იზოლირებულად აღებულ ამ მავალით, შესაძლოა, ოდნავ პარადოქსალურობისა და ქარაფშტომბის ელფერი გადაკრავდეს, მაგრამ ყოველი ფეხის ნაბიჯზე ამგვარი მავალი-თებისაგან შემდგარი ქსოვილი „დაკარგული დროის ძიებისა“ საწინააღმდეგოს გვიდასტურებს: „ელისეს მინდვრებზე გასვლა ჩემთვის აუტანელი იყო. ბერგოტს რომ ისინი აღუწერათ თავის რომელიმე წიგნში, მე უთუოდ სურვილი დამებადებოდა გავცნობოდი, ისევე როგორც ყოველივე იმას, რის „ორულსაც“ ჩემს წარმოდგენაში ათავსებდნენ. წარმოდგენა მათ ათბობდა, აცოცხლებდა, ინდივიდუალობას სძენდა და სურდა კვლავ ეხილა ისინი სინამდვილეში; მაგრამ ამ ღია პარკში ჩემს ოცნებებს არაფერი უკავშირდებოდა“.

მის მიერ აღმოჩენილი სამყაროს უჩვეულობას პირველ რიგში თვით მარსელ პრუსტი გრძნობდა და ამიტომაც პოლემიკურ ფორმაში ამბობდა კიდევ, რომ სამყარო იმდენია, რამდენიც ნიუთონი მხატვარი. ჩვენ კი ვიტყვი, რომ სინამდვილე ერთია, უშრეტო თავისი შინაარსით და ამიტომ ყველა თვითმყოფადი მხატვრის მიერ აღმოჩენილი მისი სხვადასხვა მხარე ერთიმეორეს ავსებს და ამით სამყაროზე სულ უფრო მრავალწახანავიან წარმოდგენას უქმნის კაცობრიობას. ხოლო ხელოვნების მიერ დასახული ეს სურათი არის ის ისტემა, სადღესოდ ყველაზე ადამიანური და ჰუმანური, რომელიც კაცობრიობის გონებრივი განვითარებისა და ბედნიერების საწინდარია.

ჩვეულებრივ, მარსელ პრუსტის პროზაში ამა თუ იმ სურათს რომელიმე პრესონაჟი ანიჭებს თავისებურ ელფერს: ელისეს მინდვრებს ფილბერტა სვანის პიროვნების პროზაში ვხე-

დავთ. მარსელ პრუსტის პროზა აგებულია რამდენიმე ერთიმეორეს მიყოლებულ სექტივებით. ერთი სახე სხვა სახეთა შექმნე იკითხება, ერთი სიტუაცია — სხვა სიტუაციების შექმნე... ჩვენს კერძო შემთხვევაში ეილბერტას მამის, სვანის სატრფიალო თავდადასავლის პერსპექტივაში უკვე სხვაგვარად იკითხება მისი ქალიშვილის, ეილბერტას, დეტალურად მისი პარავალმზრივად გაცოცხლებული სახე. ეილბერტას სახე იკითხება აგრეთვე დედამისის, ოდეტას სახის პერსპექტივაში. თავის მხრივ, სვანი გაუმღებებით ხელავს ოდეტას სახეს სხვადასხვა ხელოვნების ნაწარმოებში. ორივე სახე — სვანისა და ოდეტას — იკითხება ვერდიურენების სალონის ატმოსფეროში და ა. შ. თითქმის უსასრულომად. პრუსტი უფრო „მბურღავია“, ვიდრე „ტობ-ოვარაფი“.

ამ სიღრმისეული ჩვენების ერთი უცვლელი და უცილობელი კომპონენტია ადამიანის გარემოცვა, რასაც უფრო პირობითად საგნებს ვუწოდებთ. ეს — ფართო და ერთ-ერთი მთავარი საუბრის თემაა მარსელ პრუსტთან. აქ ჩვენ მხოლოდ ზოგადად შევიხებით ამ თემას.

ნივთი ადამიანის ნახელება და ერთგვარი გაკრძელება ადამიანისა. ეს განაპირობებს ენობრივ თუ მხატვრულ პერსონიფიკაციას. ასეთი მიაჩნტი, მაგრამ ჭანსალი დამოკიდებულება აუცილებელია ადამიანის არსებობის გამართლებისა და მისი წინსვლისათვის. (თუმცა, ამ ბოლო დროს, თავი იჩინა საპირისპირო ცდამაც — ადამიანისაგან ნივთების განთავსიფიკებისა — „ახალი რომანის“ ანუ „შოზიზმის“ სახით, რასაც ჩვენთვის საინტერესო კითხით დაბლა შევეხებით).

რაც შეეხება ფრანგულ კულტურას და კერძოდ, მხატვრულ ლიტერატურას, იგი დასაბამიდანვე მძაფრად აღიქვამს ნივთიერ სამყაროს. ურიცხვ ფრანგულ რომანსა თუ მოთხრობაში ნივთი ეხმარება ამა თუ იმ მოქმედ პირს თავისი ადამიანობის შეგნებაში. ერთ პოლარიზაციას ამ ტენდენციისას შეიცავს ბალზაის „ადამიანური კომედია“, დაკვირვების ეს უშრეტე წყარო. მეორე სახესხვაობა ნივთთა ადამიანური აღქმისა მოცემულია პრუსტის „დაკარგული დროის ძიებაში“.

რაში გვეხმარება არსებითი განსხვავება? ბალზაის პეისაჟი, ურბანისტული ჩანახატი, ინტერიერი თუ ჩაცმულობის აღწერა რომანისტს ეშველება პერსონაჟის სოციალურ-ფსიქოლოგიურ დანახაათებაში, მაგრამ ადამიანი და ნივთი ბალზაითან მაინც ორი თვითმყოფადი, ერთმანეთისაგან ბუნებრივი ზღვარით გათიშულია, „თანარსებული“ მოვლენაა. პრუსტი თანმიმდევრულად, თავისი პროზაული ნაკადით შლის ამ ზღვარს. „დაკარგული დროის ძიებაში“ ადამიანის სამყარო იჭრება ნივთთა არსებობაში,



ოპტიმიზმს და მისი პირველ ოლონდ პრუსტს, ისევე როგორც ბალზაკს და, შესაძლოა, კიდევ უფრო ბალზაკს, ფლობერს, ვანსაკუთრებით ზოლას ნივთი იზიდავს წმინდა მხატვრულადაც, როგორც ნატურმოვრტი. (ნაკლებად აინტერესებს როგორც ნივთი, ხოლო იზიდავს ადამიანისა და ნივთის ამ შერევის ადამიანურობის ახალი შტრიხების აღმოჩენის შესაძლებლობა). პრუსტი, ასე ვთქვათ, ადამიანის ნახელადიან პროცენტებით უბრუნებს ადამიანს მის მიერ ნივთში ჩაქსოვლი (და მხოლოდ ნივთში დაცულ) მის ადამიანურობას. ამავე დემარშს პრუსტი განაგრძობს ბუნებაზე საერთოდ.

ელისს მინდვრების პეიზაჟი იმპრესიონისტული საღებავებითაა გადმოცემული: „...ჩვენ შივიდვითა ელისს მინდვრებისავე გაჩირადდნებული და ხალხმრავალი ქუჩებით, სადაც მზე და ოხშივარი აივნებს სახლებს აცილებს და მათ წინ ოქროს ღრუბლებით ატივტივებს“.

ნიშანდობლივია და ამ წამოწყებაში პრუსტის წარმატების საწინდარია ის, რომ იგი ეყრდნობა ადამიანის შედარებით სრულყოფილ, გამოკვეთილ შემოქმედებას — ხელოვნებას. ელისს მინდვრების, ისევე როგორც სხვა დასარჩენის, აღწერაში იჭრება ხელოვნების შუამავლობა: ბალზახზე „დაშვებული მტრედები შვავდნენ ანტიკურ ქანდაკებებს, რომლებიც კურთხეულ დეამიწაზე ამოტანა მებაღის ნიჭბაჟა“. ამ მაგალითშიც, როგორც სხვაგან, ზეველებრივ, ხელოვნების მოშველიება ემსახურება დასახული სურათის პოეტისატიას, წარმატებულ შთაბეჭდილებას მარადიულობის, ზე-ემიერების ელფერს ანიჭებს და ამით შვიდროდ უკავშირდება პრუსტისეულ დროის შეტაფიზიკას.

პრუსტი ვერ მანამდე მიუღწევდა ზღვარამდე განავრცობს კაცობრიობის ლტოლვას, რომ ბუნებაში ნივთის მეოხებით საკუთარი მეობა ვანამტიკოსს. პრუსტი ანსახიერებს ნივთის (ნივთის მიღმა კი მთელი სამყაროს) უქიდურებს ანექსიას ადამიანის მიერ. ამგვარი მოქმედების საპირისპიროა „ახალი რომანის“ წარმომადგენელთა ბრძოლა ნივთის გათავისუფლებისათვის, მისი თავისთავადობისათვის მხატვრულ ლიტერატურაში, რადგან ახალ რომანისტულ პრუსტთან სამართლიანად შეეძლოთ მთელი სიმძაფრით ეგრძნოთ ნივთის დამორჩილება — გაადამიანურება.

ჩვენს მიერ არჩეულ ეპიზოდში მარსელის ყუარდლებს იპყრობს საყვარელი არსების, ეილზერტას ირგვლივ მყოფი ნივთები, გარემოცვა, ადამიანები, რაზედაც მას გადააქვს ყურადღებაცა და სიყვარულიც. როდესაც ელისსს მინდვრებზე უამინდობის გამო ეილზერტა ვერ მივა, მარსელის მთელი ყურადღება გარ-

ემოცივზე გადაინაცვლებს: „იმპოზანტურმაგრამ მცივნა მასწავლებელი ქალებისაგან მიტოვებულ სკამები ცარიელი იყო. ვაზონის მახლობლად იჭდა მხოლოდ ხანში შესული მარტოხელა ქალი, რომელიც ყველა ამინდში მოდიოდა, ყოველთვის ერთნაირად გამოწყობილი, დიდებულად და პირქუშად, და რომლის გასაცნობად მე მაშინ შეეწირავედი, თუკი ასეთი გაცვლის საშუალება მომეცემოდა, ჩემი მომავალი ცხოვრების უდიდეს პრივილეგიებს, ვინაიდან ეილზერტა ყოველდღე ესალმებოდა მას: იგი ეილზერტას ეკითხებოდა „მისი საყვარელი დედიკოს“ ამბავს: და მეჩვენებოდა, რომ იგი გამეცნო, ეილზერტასათვის სულ სხვა ვინმე ვაგზდებოდი, — ადამიანი, რომელიც მისი მომზადების ნაცნობებს იცნობდა. ვიდრე მისი შვილოშვილები შორიახლოს თამაშობდნენ, იგი მუდამ დე ბატებსა კითხულობდა, რომლებსაც „ჩემს ძველ დებატებს“ უწოდებდა და არისტოკრატიულ ყაიღებს ამბობდა ქალაქის პოლიციელისა თუ სკამების გამჭირავებელი ქალის შესახებ: ჩემი ძველი მეგობარი პოლიციელია, სკამების გამჭირავებელი და მე ძველი მეგობრები ვართო“.

ასე მიზანსწრაფულად ერთგანზომილებიანი, ეგოცენტრიულია მარსელ პრუსტის ქმნილება. ოლონდ ეს ერთგანზომილებიანობა ზემოთგანაღლი „მრავალპერსპექტივიანობის“ პრინციპში უნდა გაივითო. თხრობის ცენტრშია მარსელი და მის ცხოვრებასთან ასე თუ ისე დაკავშირებული სხვა ადამიანები. ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ რომანის თვითეულ მონაკვეთში, გარდა მოხრობელისა, რომელიც ყველა ეპიზოდს აერთიანებს, თვითონ კი ზოგში უფრო მეტად ზოგშიც ნაკლებად ირეებს წინა პლანზე, ცენტრში ჩვეულებრივ ერთი პიროვნება, რომელიც სხვადასხვა წახანავით იხსნება ჩვენს თვალწინ, დანარჩენი პერსონაჟების, ნივთების, გარემოცვის საშუალებით. სხვა არის სვანი მისადმი მიძღვნილ ნაწილში, სადაც ყველაფერი მას უკავშირდება, და სულ სხვა — იმ ეპიზოდში, სადაც ავანსენა მის ქალშვილს, ეილზერტას უჭირავს, პირველ შემთხვევაში იგი უფრო შინაარსიანი ჩანს, მეორეში კი — შედარებით მკრთალია, ზედაპირულია. ეს, ვფიქრობთ, გამოწვეულია არა მხოლოდ და არა იმდენად სვანის ბუნების მრავალმხროვითით, რამდენადაც თვით მარსელ პრუსტის მეოხლით: როდესაც პერსონაჟი ყურადღების ცენტრშია, იგი თავისთავად აინტერესებს მწერალს. მისი პიროვნების ყოველი განცდა და თვისება დამოუკიდებელი დავიერების ღირსია, მათ სათითაოდ, დაუღალავად არჩევს და აცოცხლებს მწერლის ხელი; არა მხოლოდ აცოცხლებს, არა-

პასტორ ბუნიძე
მარსელ პრუსტი ელისს მინდვრებზე



მედ დაეინებით ემებს, პოულობს და ამზეუ-
რებს თვითეულ ატომს, რომელიც ემსახურება
ამ ცენტრალური პერსონაჟის, თუნდაც ერთი
ბატარა თვისების გახსნას. ხოლო როდესაც
პერსონაჟი ავანსცენაზე აღარ არის, იგი უერ-
ოდება სხვა პერსონაჟებს, საგნებს, ბუნებას.
სინათლის სხივი მასზე მხოლოდ მაშინ ეცემა,
როდესაც მას უტრადლებას მიაქცევს ამჟამად
მთავარი პერსონაჟი, ან როდესაც მისი პიროვნე-
ბა რაიმე გარკვეულბას ანიჭებს პროტაგო-
ნისტს. ასეთ მოულოდნელ გარდატეხას პოუ-
ლობს მარსელ პრუსტთან ფრანგული კულტუ-
რის ქვეყნობიერებაში ჩაქსოვილი კლასიციზმის
პრინციპების შორეული გამოძახილი.

რაც შეეხება ავანსცენიდან მეორე პლანზე
გადასვლს, ანდა თავიდანვე მეორე პლანზე გა-
მოჩენილ პერსონაჟს თუ ეპიზოდურ სახეს,
დამახასიათებელი მისი „შეთქმულება“ საგნე-
ბსა და გარემოცვასთან. ეს მხარე ზემომო-
ტანილ მავალითშიც ჩანს, სადაც ვაზეთი, პო-
ლიციელი და სკამების გამჭირვებელი ქალი,
ერთგვარად, ერთ პლანშია მოქცეული. მართა-
ლია, აქ საქმე გვაქვს არა მთხრობელის მიერ
მოწოდებულ მასალასთან, არამედ თვით პერ-
სონაჟის შეტყველებასთან, მაგრამ ასეთია
მწერლის ბუნება, იგი არ ჩქმალავს მათ თა-
ვისებურებას და არ არღვევს მათ ნამდვილ
სახეს, ნებისთ თუ უნებლოდ, გულმოდგინედ
აღწესხავს მათში მისთვის ახლობელ, თხრო-
ბის საერთო ტონალობის შესაფერ და ერთგვა-
როვან გამოვლინებებს.

ზოგჯერ ესა თუ ის პერსონაჟი დროებით
მეორედან პირველ პლანზე გადადის, მაგ-
რამ ეს ვადამოცალვება მოჩვენებითია, მას
მხოლოდ დამხმარე ფუნქცია აქვს. ჩვეუ-
ლებრივ, ისეთ შემთხვევაში, როდესაც პრო-
ტაგონისტი ამა თუ იმ მიზეზით მზად არ არის,
მეორე პლანის პერსონაჟი (ისევე, როგორც
ნოვით ან ბუნების დეტალი) დაქტიურად თა-
ვისი სახელით კი არ გამოდის, არამედ წარ-
მოადგენს ძალაუნებურად მოდუნებულ მითო-
თება-სქოლიოს მთავარი პერსონაჟის არსებო-
ბაზე, რათა კვლავ თავისი ანარეკლით შეაე-
სოს მისი დროებითი არყულის სიცარიე-
ლე. ასეთ როლში გვევლინება შემდგომ თხრო-
ბაში, კერძოდ, ელისეს მინდვრების ხანშიშესუ-
ლი ქალი, რომლის სახე დაეინებით წარმოუდ-
ელი მარსელს მაშინ, როდესაც იგი ამაოდ ცდი-
ლობს ყილბერტას სახის გახსენებას.

პერსპექტივის სლოცარ მიზაჟს აქვს ადგილი
მარსელ პრუსტთან: მისი რომანი, ერთი და-
ნახიტი, ექსტენსიური უნდა იყოს, სინამდვი-
ლეში კი იგი, პირველ ყოვლისა, ინტენსიუ-
რია. პროზის ერთსა და იმავე ფართობზე, გა-
რდა ამბებისა, პერსონაჟების რიცხვიც ნაკლე-
ბია პრუსტთან, ვიდრე ბალზაქთან, ან თუნდაც
სტენდალთან. ბალზაქის თხრობა ადამიანთა
არსებობისათვის ყოველდღიურ ჰილიში იქ-

რება. თავისი რომანის ფართობს პრუსტი, მარს-
ელს პერსონაჟების სახეების გახსნას. მითად
ბითად რომ ითქვას, კომფაქტური რვა ტომს-
მწერალი ამჟამს სამი-ოთხი სატრფიალო კვა-
ნდის გახსნას და ათიოდე მკაფიოდ გამოხატუ-
ლი პერსონაჟის გამოძერწვას. ოღონდ, რალა
თქმა უნდა, და ამას თვით ავტორიც გვიანს-
ტურებს, თვითეული სახის გამოვანა-ჩამო-
ყალიბებას ემსახურება ასობოდ ადამიანებზე
ცხოვრებაში ჩატარებული დაკვირვებები. ამი-
ტომ პრუსტი სამართლიანად იშორებს თავიდან
გაუგებრობით გამოწვეულ იმ ბრალდებას, თი-
თქმის მისი თხრობა ზურღდავდობდეს, წვრილ-
მანებს მისდღედს (ამგვარი ბრალდება ისეთი-
ვე გაუგებრობაა, როგორც დისტოვესკისათვის
სიტყვაშირეულობის დწამება). სინამდვილე-
ში, პრუსტის წვდომა უდღედს სიღრმეებს აღ-
წევს, მისი განზოგადება კი, ამის წყალობით,
სიტყვაკაზმულობის უმადლეს დონეზეა აყვა-
ნილი. ხარისხობრივი ძეგა მარსელ პრუსტის
ან ჯეიმზ ჯოისის პროზაში შეიძლება შეგ-
ვედარება წარმოების სფეროში მიმდინარე
კონცენტრაციისათვის. ერთ შემთხვევაში ეს
კონცენტრაცია ციცილიზაციის ახალ საფეხურს
წარმოადგენს, მეორეში — კულტურისას, ორ-
ივე პროცესი კი პარალელურად მიმდინარე-
ობს.

ელისეს მინდვრებს თუ დაუბრუნდებით,
გაეისხნებთ, რომ ისინი არსებითად (თუმცა-
აქაც მცირეოდენი კორექტივის შეტანა დაგვი-
ჭირდება) ყილბერტას პიროვნების გამოს-
ასპარეზია. უდღედსი ინტენსიურობით ეხმარე-
ბა ელისეს მინდვრებთ ყილბერტას სახის გა-
ხსნას. შეგვიძლია თუ გოგონას მოლოდინში
მარსელსათვის გამოხირო და დრო ორ ყოვე-
ლისმომცველ და, როგორც ყოველგვარ აბსო-
ლუტს შეფერის, განყენებულის გამიშვებულ
სიმბოლოდ ევლინება: „...ეს მოლოდინი ბო-
ლოს და ბოლოს ჩემთვის უფრო ამაღლებებე-
ლსა ხდიდა... მითვის ელისეს მინდვრებს და
ნაშუადღევის ჟამის ხანგრძლიობას. ის თით-
ქოს იყო ვეება გადაშლილი სივრცე და დრო,
რომლის თვითეულ წერტილში და თვითეულ
წამში შესაძლებელი იყო ყილბერტას სახის
გამოჩენა...“

ცხადია, ყოველგვარ შემეცნებას და მით-
უფრო მხატვრულ სახის მეშვეობით შემეც-
ნებას თან ახლავს პირობითობა. ხელოვანს
ხელოვანისაგან ასეთი პირობითობის ქონა-არ-
ქონა კი არ განასხვავებს, არამედ ამ პირობი-
თობის ხასიათი, თვისებები. იმისათვის, რომ
პრუსტის მოტანილი პიპერბოლის თავისებო-
რება უკეთ გამოჩნდეს, საქირაა მოვთავსო-
იგი სხვა ანალოგიური მოვლენების, მაგა-
ლითად, რაბლენიანური ან რომანტიკული პი-
პერბოლის გვერდით. წინასწარ კი აღვნიშნოთ,
რომ პრუსტის პიპერბოლას აქვს მიღრეკლე-
ბა სივრცისეული და განყენებული განზომი-

ღებისაკენ, აგრეთვე მითოლოგიზაციისა და ხელოვნების სისტემაში მოქცევისაკენ.

პრუსტი ახდენს ელისეს მინდვრების მითოლოგიზაციას: ექიმი ურჩევს მარსელის ბებიას: „მიბრძანდით ელისეს მინდვრებზე, ქალბატონო, დაფნის ხეივანთან, რომელიც თქვენს შვილიშვილს უყვარს. დაფნა კარგა იქნება თქვენთვის. იგი წმუნდს ფილტვებს. მის შემდეგ რაც დაფნა გველი პითონი მოსპო, აპოლონი სწორედ დაფნის ტოტით შევიდა დელფოსში. ამით მას უნდოდა თავი დაეცვა შხაშიანი ცხოველის თესლისაგან“.

ამავე „დაფნის ხეივანს“ უკავშირდება სხვა მითოვნება, ეილბერტას გულის მოცულობა.

მწერალი ამას არსად საგანგებოდ არ აღნიშნავს, მაგრამ ხალხის ფონი, მონეს სურათისა ან იყოს, აქაც ხან ძუნწადაც მინიშნებული, ზან ნაგულისმევეი, ხანაც — სიცარიელის შეგრძნებას იწვევს. სიკარიეულ აიის არა მხოლოდ ელისეს მინდვრების იმ ხეივანში და კორტებზე, სადაც ეილბერტა, მისი რამდენიმე შეგობარი და მარსელი ბურთსა თამაშობენ, არამედ, მეტწილად, საერთოდ ელისეს მინდვრებზე. ამის შინაგანი ლოგიკა გასაგებია: ფიქრებსა თუ აღქმაში ჩადგული ადამიანი ჭარხანგნებს ნაკლებად აღიქვამს. პრუსტის თხრობაში ხომ სიღრმისეულ-კონცენტრირებულია და საკუთარ ტონალობასა და ჰერეტას ექსპლურება.

ბრბო მონეს სურათის მსგავსი პრინციპებით არის დახატული (გარდა ერთი ორი კოლორითული ფიგურისა, როგორც ვნახეთ). ასეთია ზსენებულ: „იმპოზანტური, მაგრამ მცირეანა მასწავლებელი ქალებისაგან მიტოვებული სკამები ცარიელი იყო“, ანდა: „...უფლავრული ფონი სხვიდასხვა ფენის მისკირნეთა, რომლებიც ელისეს მინდვრების ამ ხეივანს ავსებდნენ...“

„სასიცოცხლო სივრცის“ ხელოვნურად გაზარდვად პრუსტს რამდენიმე ხერხი აქვს მომარჯვებული. ასე, მაგალითად, თოვლით დაფარული პროსპექტი და ხეივანი მას ესახება უზომოდ გაზარდილ „ზამთრისეულ და ახალ მხარედ“.

ნივთების მოშინაურების გამოხატულებაა წამოძახილი ხანშიშესული ქალისა, როდესაც იგი ზამთრის ერთ დღეს ეილბერტას დაინახავს. საგულსხმობა, რომ ეს ქალი, რომლისთვისაც აქ თითოეთული სკამი, ვამეველი თუ პოლიციელი ახლობელია ამ შემთხვევაში, ავტორის თქმით, „სიტყვას მდუმარე ელისეს მინდვრების სახელით წარმოთქვამს, რათა მადლობა უთხრას ეილბერტას იმისათვის, რომ უამინდობამ ვერ შეაშინა და მაინც მოვიდა“. ქალაქის მთავარ არტერიას ეს ქალი „ჩვენს ძველ ელისეს მინდვრებს“ უწოდებს. ასე უთ-

მობს პრუსტი ადამიანურ განზომილებას დიდ სივრცეებს.



დროის გარეგნული ნიშნები საკმაოდ ძველად წად არის მოცემული, მაგრამ ზოგი დეტალი მაინც ხერხდება მისი დინების ლოკალიზაცია: ასეთებია აწ გამჭრალი გინიოლის თეატრი, ცირკი, სათამაშო კორტები...

ელისეს მინდვრები თბრობის ცენტრშია მოქცეული რომანის პირველი ნაწილის, „სეანის მხარის“ დასკვნით ეპიზოდში — ეილბერტასა და მარსელის ყმაველიურ სიყვარულში, — მაგრამ ისევე როგორც სხვა დანარჩენი წამყვანი თემა, ელისეს მინდვრების რემინისცენცია — რეტროსპექცია რომანის სულ უქანასკნელ ფურცლებამდე გვხვდება. პრუსტისეული მხატვრული შემეცნების თავისებურება სწორედ ამაშია: სახის, მოვლენის თუ შთაბეჭდილების არსი ერთხელ და სამუდამოდ კი არ ღდინდება არამედ მისკენ მრავალჯერ დაბრუნებით სხვადასხვა კუთხით. პრუსტს, რომელმაც მუსიკისაგან მიღებული მრავალი შთაბეჭდილება საგულდაგულოდ ასახა, თავისი რომანის თემაში, მუსიკალური თემებივით მიყვას და ახალ-ახალი ნიუანსებით ავსებს, თხრობის განვიტარებისათან ერთად. სინამდვილის რელატიური მონაცემების გათვალისწინებით, პრუსტი აბსოლუტური განზომილებებისაკენ მიემართება.

შედარებით პლანში ერთხელ მომხდარი ამბავი შეიძლება კინდებოდეს კიდევ (თანდათან გაქარწყლებული გრძნობა ეილბერტასადმი), მაგრამ აბსოლუტურ პლანში იგი უწყვეტად იზრდება როგორც ადამიანური გამოცდილება, რომელსაც პიროვნება სულ ვეღამ რაღაც ახალს უმატებს. ასევე რომანის ბოლომდე ფართოვდება და მდიდრდება ელისეს მინდვრების სურათი. ზოგჯერ ეს არის შემთხვევითი რემინისცენცია რომელიც დამატებით ელფერს იღებს ახალ გარემოებათა წყალობით.

ზიარდულია ასოციაციები, რომლებსაც იწვევს ელისეს მინდვრები: ელისეს მინდვრების გაქირავების პუნქტს აქვს მთხრობელისათვის „სიგრილუე, რომელიც კომბრეს მაკონებდა“.

ისევე როგორც მატერიალური სამყაროს სხვა კომპონენტებს, სურნელს ძალუძს მოვონების მრავალი წახნავი აღადგინოს. ამიტომ ელისეს მინდვრების სურათი არ იქნებოდა სრული, რომ მათაც არ უკავშირდებოდეს: „...ელისეს მინდვრებზე მე უსუნთქავდი უღრანი ტყის სურნელს...“

პრუსტი ერთი შტრიხით ქმნის განწყობილებას: ზამთრის მოახლოებისას „ელისეს მინდვრებზე ნაცვლად ქალიშვილებისა, რომლებსაც ელოდები, მხოლოდ მარტოხელა ბელურები არიან“.

ბასონო გუარინო
მარსალ პრუსტი ელისეს მინდვრებზე

გარდა ამისა, ბუნებისა თუ ცხოვრების სხვადასხვა მოვლენები მიხრობელის მესხიერება-აღქმაში ურთიერთს უკავშირდება: „მითი გაშუქებული აივანი“ მიხრობელის წარმოდგენაში აცოცხლებს „ელისეს მინდვრების მტრედებს“.

ზოგჯერ ეს არის გახანგრძლივებული სიამოვნება. მარსელი სავსებით ვერ ტყებმა თუნდაც სასიამოვნო, მაგრამ წინასწარ შეუშაღებული ამბით. ამიტომ იგი შემდეგ ხელოვნურად აღრმავებს ამ სიამოვნებას იმით, რომ მოუნახავს ხოლმე ტყობის ახალ-ახალ მიწეზებს. ასე გახანგრძლივებულად ტყებმა მარსელი ელისის მინდვრების ხილვით უქილბერტად.

პრუსტი ამ მწერალთა რიცხს განეკუთვნება, რომლებიც დაეინებოთ ავირდებიან მოვლენებსაც და მათ ამახველ სიტყვებსაც. სიტყვას, უმთავრესად კი საკუთარ და გეოგრაფიულ სახეებს მისთვის თავისი შეფერილობა, დამატებითი შინაარსი (მიოლოგიური, ასოციაციური და სხვა), ეღერადობა, სიმკვრივე, წონა, სურნელება და გემოც კი გააჩნია და ყოველივე ამაში მწერალი დამატებით საშუალებებს ზედავს სამყაროს შემეცნებას. ამიტომ პრაქტიკულად თითქმის გარდუვალი იყო, პრუსტი რომ არ დაკვირვებოდა ელისეს მინდვრების სახელს.

ამას მწერალი რამდენჯერმე აკეთებს სხვადასხვა კუთხით. ზოგიერთ ოჯახში ელისეს მინდვრების სახელწოდებას ისე აღიქვამენ, როგორც განთქმული ექიმის სახელს. ამ ექიმმა მრავალი არასწორი დიაგნოზი დასვა. ეს იმით, რომ, დედების აზრით, ელისეს მინდვრების ხეივანში თამაშისას ბავშვები ოფლიანდებიან და ხშირად ცივდებიან.

გამჭირის სახელწოდების გააზრებით ახერხებს მიხრობელი მის მიოლოგიზაციას: „სალამოვდებოდა და მეც ვეფლობოდი მოგონების ძველსა და გრილ ატმოსფეროში, მე მას ვისუნთქავდი იმავე სიამოვნებით, რომელსაც განიცდიდა ორფეოსი ამ ქვეყანაზე, როდესაც უცნობი, მისთვის კი მშობლიური ელისეს მინდვრების უწმინდესი ჰაერით თერებოდა“. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოთ, რომ სახელ-

წოდების ამდაგვარი გაშიფრა მხოლოდ მწერალურ სტილიად რჩება და რომ, შემთხვევებში, პრუსტი ოსტატია გაიცოცხლოს უფრო გაბედული, ახალი და გაშლილი ასოციაციებისა.

ისევე როგორც სხვა შემთხვევებში, სიყვარულის გრძობა პრუსტთან უკავშირდება ევიანობის განცდებს. ვილბერტას შემთხვევაში ეს დაკავშირებულია ელისეს მინდვრებთან, სადაც საღამოს ბინდში მარსელი თვალს მოპკრავს ვილბერტას ვილაც უცნობთან, რომლის სახესაც ვერ დაინახავს. ეს წამიერი ხილვა მომავალშიც მრავალჯერ გაივლებს მიხრობელის თვალწინ, ვიდრე თხრობის ბოლოს არ შევიცნობთ, რომ ეს, თურმე, მამაკაცად ვადიდებული ქალიშვილი ყოფილა.

გარდა სიყვარულისა და ეკვიანობისა, მარსელის აღქმაში ელისეს მინდვრები დაუკავშირდება ბებიაშის გარდაცვალებას, ამ გამჭირზე გასეირნების შემდეგ.

ცხადია, ყველა ეს დამთხვევა იმით არის განპირობებული, რომ მიხრობელის შეძლებული ოჯახი და მისი ნაცნობ-მეგობრებიც პარიზის უბნის მკვიდრნი არიან.

ამ საუკუნის დამდეგიდან ელისეს მინდვრებმა იცვალა სახე: მეტი ბრწყინვალება შეიძინა რეკლამებმა და განათებამ, ვიტრინებმა და კინოთეატრებმა, გასართობმა ადგილებმა, ბანკებმა და უცხო ქვეყნების სპაერო სააგენტოების წარმომადგენლობებმა... ვადიანაცვლა ცირკმა და თოჯინების თეატრმა, სხვაგან თამაშობენ ბურთის მარსელისა და ვილბერტას ტოლი პარიზელები. მომავალში კი არქიტექტორები ძირფესვიან გარდაქმნას უშაადებენ დედაქალაქის ცენტრალურ არტერიას. ოღონდ ხელოვნების თვისება ხომ ის არის, რომ იგი წვდება ხანგრძლივსა თუ მარადიულს. ამიტომ, ისევე როგორც „დაკარგული დროის ძიების“ შთავონებულ ფურცლებზე, ზამთრის მოახლოებისას მარტოხელა ბელურები მაინც ქალიშვილებით დასხდებიან თოვლით მოფენილ მერმინდელ ელისეს მინდვრებზე.



ენოლოგია

დაწინა

რამე მუშაობს
პანს შერფიბი?

დაწინის ფილმოფონდმა პანს შერფიბის რომანის „დაღუპული ჩინოვნიკის“ მიხედვით ფილმის დასაღმებლად ნახევარი მილიონი კრონი გამოჰყო. კინოხელოვნებამ დანიური პროგრესული ლიტერატურის ამ კლასიკურ ნაწარმოებს, ბურჟუაზიული სამყაროს წინააღმდეგ მიმართულ მწვევე სატირად რომ ითვლება, პირველად მიმართა. რომანი ოცდაათ წელს შეიქმნა ხნის წინათ დაიწერა, მაგრამ მას ცხოველმყოფელობა და აქტუალობა დღესაც არ დაუკარგავს. საყურადღებოა, რომ პაქრობა კინოხელოვნება შორის ნაწარმოების ეკრანზე ამტკველებსათვის მხოლოდ ახლახან შეწყდა, მას შემდეგ, რაც თვით შერფიბმა მოიწონა სცენარის მეშვიდე ვარიანტი, რომელიც ერიკ სიუჰსენს ეკუთვნის. ფილმს ახალგაზრდა რეჟისორი პეტრ ფრედჰოლმი დგამს, ჩინოვნიკ ამსტერდას და მის ცოლს უფე სპროგე და დანიური კინოს ვარსკვლავი ბოდილ კიერი ასახიერებენ. პანს შერფიბის სახელი კარგადაა ცნობილი საბჭოთა მკითხველისათვის. მისი წიგნები: „ფრუდენგელმის ციხე“, „დაკარგული მაიმუნი“, „მორიელი“ ჩვენს ქვეყანაში დამსახურებული სიყვარულით სარგებლობს.

ამჟამად ცნობილი მწერალი წერს წიგნს საბჭოთა საქართველოს შესახებ. საქართველო მან 1968 წელს მოინახულა. ამას წინათ კი შერფიბმა „ლანდ ოგ ფოლკის“ კორესპონდენტთან საუბარში აღნიშნა: „წიგნი ასახავს „ლიტერატურულ“ მოგზაურობას საქართველოში, მოგზაურობისას თითქოს კვალდაკვალ მიუყვებოდი დიდ რუს მწერლებს — პუშკინს, ლერმონტოვს, ტოლსტოის, მაიაკოვსკის, მათ, ვისთვისაც საქართველო სხვადასხვა დროს ლიტერატურული შთაგონების წყაროდ ქცეულა“.

საქართველო მწერალს დიდი ხნიდან იზიდავდა. „ჩერ კიდეც ადრე, — აღნიშნავს შერფიბი, — როცა საქართველოს მხოლოდ წიგნებით ვიცნობდი, აღტაცებას მგვრიდა უძველესი კულტურის ეს უმშვენიერესი მხარე, სამოთხე, სადაც მარადიული გაწაფული სუფევს“.

ინლოგია

პაკადემიის პრემიები
მწერლებს

ინლოეთის ლიტერატურის აკადემიამ 1970 წლის საუკეთესო ნაწარმოებებისათვის პრემიები მიანიჭა 16 მწერალსა და ლიტერატორს. ლაურეატთა შორისაა ცნობილი ინლოელი ლიტერატურათმცოდნე, რამბოლას შარმა, რომელმაც მრავალი წიგნი მიუძღვნა

ინლოურ ლიტერატურასა და ინლოურ ენებს. პრემიები მიენიჭათ აგრეთვე გაზეთ „კაუმი ავაზის“ რედაქტორს ხაიტულა ანსარის, ურდუს ენაზე დაწერილი რომანის — „სისხლიანი უვავილების“ ავტორს; აბუ საიდ აიუბს, ცნობილი წიგნის — „თანამედროვეობისა და რაბინდრანატ თაგორის“ ავტორს; მეცნიერ-სანსკრიტოლოგს სუბრაჰმანია შასტრის და სხვებს.

საზრანგაბით

ქორშ სანდის
მიმორწმუნთა ახალი
გამოცემა

ქურნალ „რევიუ დე ლო მონდის“ რეცენზენტი იუწყება ქორშ სანდის მიმორწმუნთა ახალი გამოცემის შესახებ, რომლის 7 ტომი უკვე გამოქვეყნდა.

ქორშ ლუბენის მიერ მომზადებული ეს გამოცემა მნიშვნელოვნად განსხვავდება ადრეულთაგან, უფრო ვრცელია, მასალა საგულდაგულოდაა შერჩეული და შემოწმებული. წარმოდგენილია ახსნა-განმარტებანი. ყოველ ტომს ბოლოში დართული აქვს შენიშვნები იმ პირებზე, ვისთანაც ჰქონია მიმორწმუნთა ცნობილ მწერალ ქალს.

ქორშ ლუბენს მრავალი ახალი დოკუმენტი შეუგროვებია. მას განწარხული აქვს სანდის 12 ათასი წერილის გამოქვეყნება, რომელთაგან 8 ათასი დღემდე უცნობი იყო.



ნაცნობთა წრე, ვისთანაც მიმოწერა ჰქონდა უორუ სანდს, საკმაოდ ვრცელა და მრავალფეროვანი: ლიტერატორები, მხატვრები, მსახიობები, პოლიტიკური მოღვაწეები, პროფესორები. „როდის ასწრებდა მწერალი ყოველივე ამას? — კითხულობს რეცენზიის ავტორი, — რომანებს იგი ღამით წერდა, დღით ეძინა, დღისით კერავდა და მნახველებს დებულობდა, საღამოობით თეატრში დადიოდა, წერილებს უფრო ზშირად გამთენიისას წერდა, შვიდსაათიანი დაძაბული შრომის შემდეგ“...

ბუნისი

პირველი ტრილოგია

არაბული გაზეთები წერენ, რომ გამომცემლობა „ად-დარ ატ-ტუნისიამ“ გა-

მოსცა მამედ ელ-მუხთარის ვრცელი რომანი „ციალი“.

წარმოები ტუნისელი ხალხის ცხოვრებას ასახავს და ნაციონალური ლიტერატურის პირველ ტრილოგიად ითვლება.

ამავე გამომცემლობამ გამოუშვა ამას წინათ გარდაცვლილი ცნობილი ტუნისელი კრიტიკოსისა და პოეტის მამედ ფერიდ გაზის წიგნი „ტუნისური რომანი და ნოველა“.

შვეიცარი

„პრადილები სამრთხეში“ — რამბარპის უპანსპენელი წიგნი

გაზეთ „ინტერნეშნელ მეორად ტრიბუნის“ პარიზელი კორესპონდენტის ცნობით სახელგანთქმულმა კი-

ნომსახიობმა პოლეტ გოდარმა, გერმანელი მწერლის ერის მარია რემარკის ქვრივა, მიუნხენის გამომცემლობა „დრომერს“ გადასცა მწერლის უკანასკნელი რომანი „პრადილები სამრთხეში“.

„რემარკი ამ რომანზე ისეთივე გულმოდგინებით მუშაობდა, როგორც სხვა დანარჩენებზე“, — უამბო პრესის წარმომადგენლებს პ. გოდარმა. მწერალს ნაწარმოები ექვსჯერ გადაუწერია.

რემარკის ქვრივმა „პრადილები სამრთხეში“ მწერლის ყველაზე ავტობიოგრაფიულ წიგნად აღიარა. სიუჟეტი ამერიკულ შთაბეჭდილებებს ეფუძნება კერძოდ 1940 წლის ამებეს, როცა მწერალი ევროპიდან ამერიკაში ჩავიდა.

ქუჩნალი გააფორმა დ. ერისთავმა.

ტექნიკური ხელმძღვანელი ჯ. ტიარაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლენანოვის ბრ. № 91

ტელეფონები: რედაქტორის — 95-08-75. პ/მგ. მდივნის — 95-08-85. განყოფილებების: პოეზიის კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის — 95-08-86. პროზის, კულტურისა და ხელოვნების — 95-08-85.

გადაეცა ასაწყობად 15/VI 1971 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 27/VII-1971 წ., ქალაქის ზომა 70x108. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14. სააღრ.-საგ. თაბახი 14,5. შეკვეთა 2207. უე 02114. ტირაჟი 26 100.

091/36



3360 60 333.

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ
ИНДЕКС 76236